

რა ერის

თავის ზღადაპა?

კრებული მეორე



ამხანაჟი

ქალაქი, 2018

თბილისი
2015

რა არის
თავისუფლება?

კრებული მეორე

რა არის თავისუფლება?

კრებული მეორე



შემდგენლები: **კახა ჯამბურია**
თამაზ ჯოლოგუა

რედკოლეგია: **ნინო ქუმბურიძე**
თეა დულარიძე
ნაირა ცხვედიანი
გულავერ ჭარელიშვილი

ტექსტის აკრეფა და კორექტურა:

ნინო კახაძე

მარიამ ლოლაძე

დამკაბადონებელი **მაკა ცომიაია**

ყდაზე გამოყენებულია პაველ კუჩინსკის ნახატი „ოკეანე“

© Pawel Kuczynski

წინამდებარე წიგნი გამოცემულია ააიპ „მოქალაქის“ მიერ (2014-2015 წწ.) სამოქალაქო განათლების სასკოლო ოლიმპიადის პროექტისთვის. წიგნი წარმოადგენს დამატებით სასწავლო მასალას უფროსკლასელებისთვის, რიგდება უსასყიდლოდ პროექტში ჩართულ მოსწავლეებსა და სკოლებზე. არ არის განკუთვნილი კომერციული გამოყენებისათვის.

ISBN 978-9941-0-7506-3

სარჩევნი

წინათქმა9

მხატვრული ტექსტები

გრიგოლ რობაქიძე

ჩაკლული სული (ნაწყვეტი) 17

გერმანულიდან თარგმნა ალექსანდრე კარტოზიამ

მარკ ტვენი

გუბერნატორის არჩევნები 49

ინგლისურიდან თარგმნა ვახტანგ ჭელიძემ

აკა მორჩილაძე

სანტა ესპერანსა (ნაწყვეტები) 57

ვიქტორ პელევინი

განდგომილი და ექვსთითა 83

რუსულიდან თარგმნა კახა ჯამბურია

რევაზ ინანიშვილი

შორი თეთრი მწვერვალი 131

ჰაინრიხ ბიოლი

ჩემი ნაღვლიანი სახე 137

გერმანულიდან თარგმნა

რუსუდან შამელაშვილ-ზექლაშვილმა

ნოდარ დუმბაძე

HELLADOS 149

გაბრიელ გარსია მარკესი
პატრიარქის შემოდგომა (ნაწყვეტი) 175
ესპანურიდან თარგმნა ელზა ახვლედიანმა

ნაირა გელაშვილი
მთვართი განათებული ბალი..... 223

ო'ჰენრი
პოლისმენი და ჰიმნი 239
ინგლისურიდან თარგმნა ირაკლი ლომოურმა

ნუგზარ შატაიძე
ნოემბრის ნვიმა 251

მარგერიტ იურსენარი
მერცხლების ღვთისმშობელი..... 305
ფრანგულიდან თარგმნა მანანა გიგინეიშვილმა

ფრანც კაფკა
ძველი ამბავი..... 315
გერმანულიდან თარგმნა მამუკა კახნიაშვილმა

პუბლიცისტიკა

მიგელ დე უნამუნო
ესპანეთის თანამედროვე მარაზმისათვის (ნაწყვეტები) 323
ესპანურიდან თარგმნა მერი ტიტვინიძემ

გაბრიელ გარსია მარკესი
ეს ავისმომასწავებელი შობა 331
ესპანურიდან თარგმნა ელეონორა კუჭავამ

ილია ჭავჭავაძე	
ახალი დასის მოლოდინში.....	335
ილია ჭავჭავაძე	
დავით აღმაშენებელი	341
აკაკი წერეთელი	
სიტყვა, თქმული აკაკისაგან ხელთუბნის სკოლის კურთხევის დროს ოქტომბრის 1-ლს 1884 წ.....	347
ნიკო ნიკოლაძე	
ფრანგული პრესის დეკადანსი (ნაწყვეტები)	353
გერონტი ქიქოძე	
წარმოება და ეროვნული ენერგია (შემოკლებით)	367
აკაკი ბაქრაძე	
რატომ ხდება ასე?	373
ჯემალ ქარჩხაძე	
მონოლოგი დიალოგიდან (ნაწყვეტები)	385
ოთარ ჭილაძე	
სიცოცხლისათვის (ნაწყვეტები)	393

ეს წიგნი გამოიცა არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ დაფინანსებით და მიზნად ისახავს ახალგაზრდობის დაინტერესებას სამოქალაქო საზოგადოებისათვის აქტუალური და მნიშვნელოვანი თემებით. ამ კრებულში შეტანილია ის ტექსტები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული საშუალო სკოლის სასწავლო პროგრამით და ამიტომაც მკითხველთა დიდი ნაწილისათვის, სავარაუდოდ, უცნობი იქნება.

კრებული გაყოფილია ორ ნაწილად. პირველი ნაწილი მხატვრულ ტექსტებს მოიცავს.

ტოტალიტარული რეჟიმები და დიქტატორის მხატვრული სახე ერთ-ერთი მთავარი თემა იყო XX საუკუნის სხვადასხვა ქვეყნის მწერლობაში. ეს კრებულიც სწორედ ამ თემით იხსნება – რა მოსდის ადამიანის ზნეობას ტირანულ გარემოში და რას წარმოადგენს ის, ვინც ამ საშინელ რეალობას ქმნის – ამ საკითხებს ეხება გრიგოლ რობაქიძის, გაბრიელ გარსია მარკესისა და ნუგზარ შატაიძის ტექსტები, ჰაინრიხ ბიოლის ნოველა კი ტოტალიტარული მმართველობის თავისებური პაროდიაა.

როგორც არ უნდა იყოს რეალობა, თავისუფლების მიღწევა

ყოველთვის შესაძლებელია, თუკი თავს არ დაზოგავ და მიზნისთვის ბოლომდე იბრძოლებ – ასეთია თანამედროვე რუსი მწერლის, ვიქტორ პელევინის, ძალზე საინტერესო მოთხრობაში გამონახული პოზიცია. დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გააზრებას, თუ რა მხატვრული დატვირთვა ენიჭება იუმორს ვიქტორ პელევინისა და აკა მორჩილადის ტექსტებში ან მარკ ტვენის ბრწყინვალე პაროდიაში.

უფროსების სისასტიკემდე მისული უუნარობა – ჩანვდნენ ბავშვისა თუ მოზარდის რთულ შინაგან სამყაროს – არაერთხელ გამხდარა მხატვრული ლიტერატურის თემა, რაც ძალზე შთამბეჭდავად არის დამუშავებული რევაზ ინანიშვილისა და ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებში, ნაირა გელაშვილის ტექსტში კი ნაჩვენებია საზოგადოების უუნარობა, გაიგოს განსხვავებული ადამიანის – ლილიპუტის – სათქმელი და მისი სატყვივარი.

ერთნაირად საშიშია რაიმეს გაფეტიშება – სულ ერთია, იდეოლოგია იქნება ის თუ რელიგიური მრწამსი – ასეთია მარგარეტ იურსენარის პოზიცია, რომელიც მან თავისებური იგავით გამოხატა. აქედან ერთი ნაბიჯია სისასტიკემდე და შეუწყნარებლობამდე.

წიგნის მეორე ნაწილი პუბლიცისტურ ტექსტებს ეთმობა.

„ყოველი ადამიანი თავისი არსისა და ბუნების თანახმად უნდა ვითარდებოდეს“ – გვეუბნება ესპანელი მწერალი და მოაზროვნე მიგელ დე უნამუნო და დასძენს: „სადაც ახალგაზრდობა არ არის, იქ არც ერთიანობის ჭეშმარიტი სული ტრიალებს“. ხოლო ქვეყანაში ერთიანობისა და განვითარების სულმა რომ იტრიალოს, ამისთვის საჭიროა ახალგაზრდობა გავათავისუფლოთ იმ „ყინულის სავანისაგან“, რომელსაც „ფარული ინკვიზიცია“, „ბებრული ფორმალიზმი“, ერთფეროვანი და ერთსახოვანი ცხოვრება ქმნის.

ტრადიციების უგულვებელყოფა გზას უხსნის აგრესიულ ფსევდო-კულტურულ „კონტრაბანდას“, ინვესს თვითმყოფადობის რღვევასა და პიროვნებისა თუ საზოგადოების დეჰუმანიზაციას, რაც, თავის მხრივ, მომასწავებელია კულტურული კატასტროფისა – ასეთ თვალსაზრისს აყალიბებს გაბრიელ გარსია მარკესი პუბლიცისტურ წერილში „ეს ავისმომასწავებელი შობა“.

თაობათა ურთიერთმიმართების პრობლემაზე მსჯელობს ილია ჭავჭავაძე წერილში „ახალი დასის მოლოდინში“. „ცხოვრება ფერს იცვლის“ – ამბობს ავტორი და ეს ცვლილება საზოგადოებას ახალ-ახალი მოთხოვნილებებისა და საჭიროებების წინაშე აყენებს. ასეთ ვითარებაში განვითარების პერსპექტივა აქვს იმ საზოგადოებას, რომელსაც გაცნობიერებული აქვს: „საცა მოძრაობაა, იქ სიცოცხლეც არის“ და „დგომა – ცდომა“.

ისტორია თვითკმარი ღირებულება ან ჩაკეტილი სამყარო კი არ არის, არამედ მარად ცოცხალი ორგანიზმია, ანმყოფი გამოსაყენებელი გამოცდილებაა, გაკვეთილია, მწვრთნელია. ისტორია ეროვნული თავისთავადობისა და თვითმყოფობის საძირკველია. საკუთარი ისტორიის მიმართ დამოკიდებულება ერის სიცოცხლისა და მოქმედებისუნარიანობის მაჩვენებელი და საზომია – ასეთ თვალსაზრისს აყალიბებს ილია ჭავჭავაძე წერილში „დავით აღმაშენებელი“ და ხაზგასმით მიუთითებს, თუ რა უნდა ისწავლოს ქართველთა ყველა თაობამ თავისი დიდი და გამორჩეული წინაპრისაგან – „თავგადადებული მოყვარე თავის ეროვნობისა და მართლმადიდებელის სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნობისა და სარწმუნოებისა“.

„უმეცრება და უსწავლელობა. – სანამ ამას არ მოვიშორებთ, თვალი არ აგვეხილება“ – წერს აკაკი წერეთელი და ამგვარ „უმეცრებათაგან“ ცალკე ამახვილებს ყურადღებას თანამემამულეთა შორის რელიგიურ ნიადაგზე აღმოცენებულ გაუცხოებაზე. ჩვენ საერთო სამშობლო გვაერთიანებს, საერთო ისტორია, მშობლიური ენა, „ერთი ზნე და ერთი ჩვეულება“ და ასეთ ვითარებაში განათლებაა „სხვადასხვა რჯულზედ მდგომი ძმების“ ჰარმონიული თანაცხოვრების, საერთო ინტერესებისა და მიზნების გარშემო შეკავშირების საუკეთესო საშუალება.

ჟურნალისტიკა, რომელიც პოლიტიკური ორთაბრძოლების იარაღადაა ქცეული, აღუწებს საზოგადოების თვითორგანიზაციისა და თვითმოქმედების უნარს, აღვიძებს მასში „იაფფასიანი, უგემოვნო გასართობების მოთხოვნილებას, რაც უცხადესი ნიშანია ერის მორალური დეკადანსისა და მისი, როგორც გვამის, გახრწნისა...“ – მიიჩნევს ნიკო ნიკოლაძე და გამოსავალზეც მიუ-

თითებს – ჟურნალისტიკა უნდა ემსახუროს საზოგადოებისა და არა პატრონის ინტერესებს, აღჭურვილი იყოს მაღალი სახელმწიფოებრივი და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით, თქვას სიმართლე ისე, როგორც თვითონ წარმოუდგენია და არა ის, რასაც მფლობელი უკარნახებს, მიუკერძოებლად და სრულფასოვნად ასახოს პოლიტიკური ცხოვრება, მაგრამ არ ჩაერთოს პარტიულ ინტრიგებში და დაპირისპირების დროს არ წარმოადგენდეს მხარეს. ნიკო ნიკოლაძის ეს ტექსტი 1875 წელს ფრანგულ ენაზე ბროშურის სახით გამოქვეყნდა პარიზში და მას საინტერესო რეზონანსი მოჰყვა – ცალკეული მონაკვეთები გადაიბეჭდა პარიზის გაზეთებში, პოზიტიურად გამოეხმაურნენ იმდროინდელი საფრანგეთის პოლიტიკური და ინტელექტუალური წრეების თვალსაჩინო წარმომადგენლები: ლუი ბლანი, ემილ ჟირარდენი და სხვ.

გერონტი ქიქოძის შეხედულებით, „მართალია, თანამედროვე სოციალური და პოლიტიკური ფრაზეოლოგია უკვე შევიმუშავეთ, მაგრამ თანამედროვე წარმოება ჯერ კიდევ არ შეგვიქმნია... ამ მხრივ საშუალო საუკუნეების მეკობრეებსა და რაინდებს უფრო ვგავართ, ვიდრე თანამედროვე ადამიანებს“. ხოლო „თანამედროვე ადამიანებს“ რომ დავემსგავსოთ, ამისთვის საჭიროა შევქმნათ და განვავითაროთ ეროვნული წარმოება, ამასთანავე, ისე გარდავექმნათ ჩვენი შეგნება, რომ კაპიტალს ვუყუროთ არა მხოლოდ მომხმარებლის, არამედ მწარმოებლის თვალთაც.

მე რაც არ მესმის, ცუდია! მე რაც არ მომწონს, უნდა აიკრძალოს! – ხელოვნების (ზოგადად, ცხოვრებისეული მოვლენების) მიმართ საზოგადოებაში არსებული ასეთი მანკიერი დამოკიდებულების წინააღმდეგაა მიმართული აკაკი ბაქრაძის წერილი „რატომ ხდება ასე?“ ავტორის აზრით, „ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვირწმუნოთ ერთი ურყევი კანონი – შეიძლება არსებობდეს ხელოვნების ნაწარმოების გარშემო ორი რადიკალურად განსხვავებული აზრი და სამივეს (ნაწარმოებს და ორ სხვადასხვა აზრს) არსებობის თანაბარი უფლება ჰქონდეს“. ხოლო იმას, თუ რა არის ღირებული და რა არა, ყველაზე უცდომელი და პირუთვნელი მსაჯული – დრო – გაარკვევს.

ვინ არის ინტელიგენტი? რა ფუნქცია ეკისრება ინტელიგენ-

ციას საზოგადოებრივ ცხოვრებაში? ამ საკითხებზე მსჯელობს ჯემალ ქარჩხაძე თავის მრავალმხრივ საინტერესო ტექსტში „მონოლოგი დიალოგიდან“. „როგორც სინდისსა აქვს ბიოლოგიური შემკავებლის ფუნქცია, რაც ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრების საწინდარია, ისე ინტელიგენციას აქვს საზოგადოებრივი შემკავებლის ფუნქცია, რაც უფრო მაღალი ზნეობრივი საფეხურია და კანონიერებისა და სამართლიანობის საწინდარი“ – ამბობს ავტორი და იმასაც აღნიშნავს, რომ ინტელიგენციის ფორმირება ბუნებრივი პროცესია და ხელოვნურად მისი „გამოჩარხვა“ მარცხისთვისაა განწირული. ამასთანავე, ჭეშმარიტი (და არა ხელოვნურად შექმნილი), საკუთარი ფუნქციისა და ღირსების შემგნები ინტელიგენცია გარანტია იმისა, რომ ქვეყანა და საზოგადოება არ ჩაეფლობა უსამართლობის, სიცრუის, ცრუპატრიოტიზმისა და პროვინციალიზმის ჭაობში.

„ვაი იმას, ვინც სიცოცხლიდან მხოლოდ კარგის ამოკენკვას შეეცდება“ – წერს ოთარ ჭილაძე და მოგვინოდებს, პირუთენელად ვამხილოთ საკუთარი ნაკლი და შეცდომები, ყოველდღიური შრომითა და ღვწით ვიპოვოთ მიზანი და მისი განხორციელების საშუალებები. ამასთანავე, საფუძვლიანად გავიაზროთ, რომ თითოეული ჩვენგანი ხალხის ნაწილია, ხოლო ის ხალხი, რომლის ნაწილიც ჩვენ ვართ, ნაწილია კაცობრიობისა. ავტორის თვალსაზრისით, „თავისი განსაკუთრებულობითა და გამორჩეულობით ესა თუ ის ხალხი კი არ უპირისპირდება მთელს, ანუ დანარჩენ კაცობრიობას, არამედ ავსებს და ამდიდრებს შეძლებისდაგვარად... ცალკე და იზოლირებულად ცხოვრება დღეს არათუ დაუშვებელია, შეუძლებელიცა“.


და მაინც, რას გვასწავლიან, რა გამოცდილებას გვიზიარებენ, რა ღირებულებებზე ამახვილებენ ჩვენს ყურადღებას წინამდებარე კრებულში შესული ავტორები?

როგორც ინდივიდუალურ, ისე საზოგადოებრივ, ეროვნულ თუ სახელმწიფოებრივ დონეებზე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ალლო ავულოთ დროის ცვლილებებს და ზუსტად განვსაზღვროთ ამ ცვლილებებით გამოწვეული საჭიროებები. შექმნათ პიროვნების განვითარებისა და სრულფასოვანი თვითრეალიზა-

ცივისათვის აუცილებელი გარემო, ვაღიაროთ, განუხრელად დავიცვათ და პრაქტიკულად დავამკვიდროთ ისეთი ღირებულებები და პრინციპები, როგორებიცაა: ადამიანის უფლებათა პატივისცემა და დაცვა, მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ინტერესთა შეკავშირება, საზოგადოებრივი თვითორგანიზაციისა და კონსოლიდაციის უნარის ჩამოყალიბება და განვითარება, განათლების პრიორიტეტულობა, ცოდნაზე დაფუძნებული შრომის სიყვარული, ტოლერანტული გარემო, ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებათა ჰარმონიზაცია...

ზოგადად – და განსაკუთრებით დღევანდელ გლობალისტურ მსოფლიოში – გადარჩენისა და პროგრესის პერსპექტივა აქვს მხოლოდ იმ კონსოლიდირებულ ერს, რომელიც ინტერესთა და ღირებულებათა ამგვარ ჰარმონიზაციასა და მის საფუძველზე საერთაშორისო ცხოვრებაში სრულფასოვან ჩართულობას შეძლებს.

მხატვრული ტექსტები



გრიგოლ რობაქიძე 1881 წელს დაიბადა სოფელ სვირში. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ჯერ ტარტუს, შემდეგ ლაიფციგის უნივერსიტეტებში. 1907 წელს დაბრუნდა საქართველოში და დაიწყო საჯარო ლექციების კითხვა ჯერ ქუთაისში, შემდეგ კი – თბილისში. ამ ლექციებმა მაშინვე დიდი ავტორიტეტი შეუქმნა ახალგაზრდა მწერალს, რომელიც სულ მალე ქართული მოდერნიზმის ლიდერად იქნა აღიარებული. 1932 წელს იგი გაექცა საბჭოთა დიქტატურას და გერმანიაში დაიღო ბინა, სადაც უამრავი საინტერესო ნიგნი და სტატია გამოაქვეყნა. ემიგრაციაში გამოქვეყნებული პირველი ნიგნი იყო „ჩაკლული სული“ (1933 წ.), რომელმაც მაშინვე მიიქცია ყურადღება თავისი სიღრმითა და ბოლშევიკური რეალობის მრავალმხრივი ანალიზით. გრიგოლ რობაქიძე 1962 წელს სრულ მარტოობაში გარდაიცვალა შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში. 1976 წელს გადაასვენეს საფრანგეთში, ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

ჩაკლული სული

(ნაწყვეტი)

აკაშას ქრონიკა

მამაკაცური და ქალური ელემენტები ყოველ ცოცხალ არსებაში მოიპოვება. იმის მიხედვით, რომელი ელემენტია გაბატონებული, ადამიანს მამაკაცად ან დედაკაცად ვრაცხთ. სადაც ელემენტები ტოლია, იქ არც მამაკაცია, არც დედაკაცი, არამედ ანდროგენი. არაბული ციფრი 8 იქნებოდა ადამიანის გრაფიკული გამოსახვა – შეუდარებელი საზომი და მაჩვენებელი: ამ ფიგურის რომელიმე ნახევრის გაზრდა ან შემცირება მრავალგზის წარმოაჩენდა ორივე სქესის ურთიერთმიმართებას. იმ დღეებში საბჭოთა ადამიანი სხვაფრივაც ჰგავდა რვიანს: რევოლუციურ ელემენტსაც ისევე შეიცავდა, როგორც კონტრრევოლუციურს – კომუნისტი, თუმც მცირე ზომით, კონტრრევოლუციურ მარცვალსაც ატარებდა თავის თავში. ნებისმიერი კომუნისტისათვის რომ გეკითხათ – რა თქმა უნდა, ხუმრობით – გული ხომ არ დაგწყდება, ხვალ რომ ქვეყანა გადატრიალდესო, ხუმრობითვე გიბასუხებდათ, გული არც ბევრ სხვა კომუნისტს დასწყდება ძალიანო. ორად გახლენა არაკომუნისტებს უფრო ემჩნეოდათ. ვინც

ჯერ კიდევ გუშინ საბჭოებს გამანადგურებლად აკრიტიკებდა, დღეს მათი თავგამოდებული დამცველი იყო. ორივე შემთხვევაში სრულიად გულწრფელნი იყვნენ: გუშინ მათი სულიერი მაჩვენებელი კონტრრევოლუციური ელემენტის მომატებას აღრიცხავდა, დღეს – რევოლუციურისას. ატმოსფერულ ზემოქმედებას ემორჩილებოდნენ. როგორც დოსტოევსკის ადამიანებმა არ უწყიან, სად თავდება ღვთისმშობელი და სად იწყება სატანა, ასევე არ იცოდნენ საბჭოთა მოქალაქეებმა, სად თავდებოდა რევოლუცია და სად იწყებოდა კონტრრევოლუცია – ან უკეთ: კარგადაც იცოდნენ, მაგრამ ცხოვრების მდინარებაში, როცა ინტელექტის თვალი ერთობ შესუსტებულია, გამყოფი ზოლი აღარ მოჩანდა. არავინ იცის რას მოიმოქმედებს დოსტოევსკის გმირი: ექსტაზით მიიღებს ზიარებას თუ რისხვით უკან გადმოაფურთხებს – მეტაფიზიკური ისტერია რუსული ყოფის. საბჭოეთშიც ასეთი ისტერია სუფევდა იმხანად: საზღვრები წაიშალა, ერთი უკიდურესობიდან ატმოსფერულად გადადიოდნენ მეორეში, თანაც უცნაური შთაგონებით: თითქოს წუხდნენ, რომ ასე დიდხანს იდგნენ ძველ ნიადაგზე; მით უფრო ცეცხლოვანი გატაცებით აწყდებოდნენ ახალს. დროდადრო უცხო ძალა იგრძნობოდა, აუხსნელი. რევოლუციური ელემენტის გაძლიერება უმეტესად კონტრრევოლუციურის ხარჯზე ხდებოდა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა საბჭოთა ადამიანს უცხოელთან, მწერალთან, ჟურნალისტთან ან უბრალო ტურისტთან უწევდა შეხება. უცხოელი ამჩნევდა, რაღაც არ იყო წესრიგში, იბნეოდა. ხან წრფელად მიაჩნდა ეს გარდასახვა, ხან შიშით ხსნიდა მას. ორივეჯერ ხელიდან უსხლტებოდა სინამდვილე. თუ მაინც არ მოეშვებოდა ფიქრს, შეიძლებოდა „რუსული სული“ დაესახა მიზეზად და ამით კიდევ უფრო დიდი თავსატეხი გაეჩინა.

ფარდობითობის თეორიის შემდეგ სამყარო ველარ გაიზომება ჩვეულებრივი წარმოდგენებით. საბჭოთა ყოფის გაზომვაც ასევე ჭირდა. ცხოვრების ძველი კანონები დაემხო. გეგონა სინამდვილეს ეხებოდი – ხელში ლანდი გრჩებოდა. ყველას მცდარი ნაბიჯის გადადგმის საფრთხე ემუქრებოდა ყველგან. აღარ იყო დასაყრდენი, მის მაგიერ მარქსისტული დოგმა. სათავეში მარქსი

იდგა, მას ლენინი მოჰყვებოდა, ენგელსს მარქს-ენგელსის ინსტიტუტშილა თუ მოიხსენიებდნენ. ლენინს პირდაპირ სტალინი მოსდევდა. ყველას აჯადოებდა დიალექტიკური მეთოდი, რომლის მიხედვით სიცოცხლის ყოველი ფაზა თავის საპირისპიროში გადადის. საოცარია: მათთვის ისტორია მუდამ კომუნიზმით თავდება. მაგრამ ესეც უნდა ითქვას: ვერასოდეს წარმოიდგენდნენ, რა სოციალურ წინააღმდეგობაში გადავიდოდა კომუნიზმი, რადგან დიალექტიკას ისინი სრულ სულიერ გაურკვევლობამდე და, მასასადამე, უმოქმედობამდე მიეყვანა საბოლოოდ. მაინც ყველაზე მეტად მოქმედება სწყუროდათ. ასე იყო თუ ისე, დოგმამ ფეხი მოიკიდა. ოღონდ არავინ იცოდა, ვინ ადგენდა ამ დოგმის შინაარსს. ხელშესახები წინამძღოლი არავინ იყო. ადგილობრივი კომიტეტი რაიონული კომიტეტისგან ელოდა გენერალურ ხაზს, რაიკომი – საოლქო კომიტეტისგან, ის, თავის მხრივ – სამხარეო კომიტეტისგან, ხოლო ეს უკანასკნელი – მოსკოვისგან. საბოლოოდ ცენტრალური კომიტეტილა რჩებოდა, მაგრამ აქაც იგივე მეორდებოდა: ერთი მეორეს უყურებდა, მეორე – მესამეს, მესამე – მეოთხეს და ასე უმაღლეს თანამდებობამდე. რიგი გენერალურ მდივანთან თავდება. საბოლოოდ, ის მარტო უძღვებოდა გენერალურ ხაზს. ამავე დროს ჩვეულებრივი ავტოკრატი როდი იყო ეს ადამიანი: მასში მხოლოდ მასების ძალთა ნაკადები იყრიდა თავს. სხვებთან შედარებით ერთადერთი უპირატესობა ჰქონდა: უნარი ამ გროვის საკუთარ თავში დატევისა. თუ ეს უნარი მიატოვებდა და შეცდომას დაუშვებდა, ძაბვა პირველ რიგში თვით მას მოსპობდა. სინამდვილეში იგიც კი არ იყო გენერალური ხაზის შემოქმედი. რალაც უცხო და უპიროვნო მართავდა ამ ხაზს. არავინ იყო საკუთარი თავის ბატონ-პატრონი. ცალ-ცალკე გენერალური მდივანი არავისზე იყო დამოკიდებული, მთლიანობაში – ყველაზე. ის მთლიანობის მაჯისცემას უგდებდა ყურს და თუმცა ყველაზე მაღლა იდგა, ყველაზე ნაკლებ იყო თავისუფალი უპიროვნო მთელის წინაშე. ერთი მცდარი ნაბიჯი და გათავდება მისი საქმე. ასე აღმოჩნდა, რომ არსებითად არავინ იყო თავისუფალი. ამკარა შეიქნა: რევოლუციამ გამოიწვია ძალები, რომლებსაც თვითონ ვეღარ ერეოდა. იმ გაურკვეველ რალაცას

უკვე ისტორია იქმნოდა – აღარც ცალკე ადამიანი, აღარც რომელიმე ჯგუფი.

ასეთი ატმოსფერო სუფევდა. უნდობლობა და შიში ბატონობდა. ბევრი მზად იყო მთავარ ხაზს გაჰყოლოდა, მაგრამ სწორი ხაზი მხოლოდ გეომეტრიაში არსებობს. ასე გაჩნდა გადახრის ნამდვილი მანია: მარცხნივ, მარჯვნივ და ღმერთმა იცის, კიდევ საით. ერთ თანამშრომელს რომელიმე გადახრას აღმოუჩენდნენ და მერე გაზეთებში, უჯრედებში, კრებებზე ბობოქრობდნენ, საპროტესტო რეზოლუციებს ადგენდნენ. გაზეთები, უჯრედები, კრებები, რეზოლუციები – ამ ქარბორბალას უმაღლესი მოხელეც ვერ გაუმკლავდებოდა. ის მოუხელთებელი რაღაც აქაც საშინელ გავლენას ახდენდა; არავინ იყო თავისუფალი, ყველა საკუთარ თავს ადანაშაულებდა. მხოლოდ ერთი ხსნა არსებობდა: მონაწილება, თვითმხილება და დანაშაულის აღიარება ეპიდემიასავით მოედო მთელს საბჭოეთს. რომელიღაც გადახრილმა საჯაროდ შეაჩვენა თავისი მოქმედება და ფიცი დადო, აღარასოდეს გამოეჩინა სისუსტე. ერთმა ისტორიკოსმა განაცხადა, რომ საკმარისად ვერ გამოიყენა დიალექტიკური მეთოდი თავის ისტორიულ კვლევა-ძიებაში. ზოგი უფრო შორს მიდიოდა, საკუთარ თხზულებებს ასამართლებდა გაზეთებში: „აქა და აქ სიბეცე გამოვიჩინე, აქა და აქ სისულელე ჩავიდინე“ და ასე შემდეგ. ეს შემთხვევები ისე მომრავლდა, რომ მონაწილების მყარი ფორმულაც კი ჩამოყალიბდა. ინანიებდნენ არა მხოლოდ ჩადენილს, ჩაუდენელ ცოდვებსაც. ეს მავნებელთა სენსაციურ პროცესებზე გამოჩნდა ყველაზე უკეთ. ნებისმიერი მავნებელი – თუკი ასეთი საერთოდ არსებობდა – მთელი პროცესის მანძილზე შიშნარევი მღელვარებით მიჰყვებოდა საკუთარ მ-იანის მაჩვენებელს – თანდათან მზარდ კონტრევოლუციურ ელემენტს. იმ ატმოსფერომ, რომელშიც სინამდვილე და მოჩვენება ერთმანეთში გადადიოდა, ჩაუდენელი ცოდვის რეალურად აღქმის შესაძლებლობაც გააჩინა. თუ მავნებელი იყავი, ასევე მავნებლად უნდა მიგეჩნია საკმაოზე მეტი ხალხი შენ გარშემო, ერთი ნამდვილი მავნებელი ათ ვითომ მავნებელს წარმოშობდა – როგორც გზასაცდენილი ქალის ქმრის ეჭვებით ანთებულ ფანტაზიას ეჩვენება ღალატის მრავალი შემთხვევა.

უცნაურობა ის იყო ოღონდ, რომ ამჯერად უდანაშაულოც ცოდვებს აღიარებდა. იგი შიგნიდან აკვირდებოდა თავს და ცხადად გრძნობდა: მართალია, ცოდვა ჯერ არ ჩაედინა, მაგრამ უთუოდ ჩაიდენდა მომავალში. ამ დომხალში, რომელშიც „დღევანდელსა და ხვალინდელს შორის“ ზღვარი ნაშლილიყო, ჩაუდენელი ცოდვა უკვე ჩადენილად ეჩვენებოდა და საჯაროდ აღსარებას იწყებდა. როგორც ცუდ სიზმარს ჰყვებიან იმ იმედით, რომ არ აუხდებათ, ეს უდანაშაულონიც მოჩვენებით ცოდვებს აღიარებდნენ, რათა ისინი არასოდეს ჩაედინათ. რაც უფრო დიდი ჩანდა ცოდვა, მით უფრო ძლიერი იყო აღსარების ვნება: ადამიანს სურდა, განსაწმენდელი გაეწეო. საბოლოოდ საბჭოთა ხელისუფლება იქნებ არც ცდებოდა, როცა მათ მავნებლობაში სდებდა ბრალს. აქ ნაშლილიყო ყველა საზღვარი, სინამდვილე მორღვეულიყო. ერთის აღსარებას სხვათა კოლექტიური პროტესტი ახლდა თან. რაც უფრო ცნობილი იყო ბრალდებული, მით უფრო მძაფრი იყო თავდასხმა. ბოლოს იმდენი აღსარება და თავდასხმა იყრიდა თავს, ორივეს აზრი ეკარგებოდა – განსაკუთრებით თავდასხმებს.

მთავარი ხაზის მიყოლის მზადყოფნა დროდადრო ფანტასტიკურ ზომებს აღწევდა. ერთმა ფიზიკოსმა განუცხადა კოლეგას: „მას შემდეგ, რაც ამხანაგ სტალინის ბოლო თეზისები მივუყენე ფიზიკას, ჩემთვის ბევრი რამ საოცრად ნათელი შეიქმნა“. კოლეგამ გაოგნებულმა შეხედა, მაგრამ თვითონაც დაფიქრდა, მართლაც ნაყოფიერი ხომ არ იქნებოდა ამ თეზისების გამოყენება, და მხოლოდ გაურკვეველი „ჰმ“ ჩაიბურღლუნა. საკვირველი ეს იყო: ფიზიკოსს მართლა სჯეროდა თავისი სიტყვებისა. შეკითხვაზე, თუ რომელ წიგნებს კითხულობდა უპირატესად, ერთმა პოეტმა დამცინავად მიუგო: „წიგნებს? წიგნებს საერთოდ არ ვკითხულობ, განა უკეთესი საკითხავი არ მოიპოვება?! ცენტრალური კომიტეტის ნებისმიერი სხდომის სტენოგრამასავით წარმტაც და საინტერესო რასმე ვერც შეხერეზადას ზღაპრებში პოევებთ, ვერც რობინზონის დღიურებში“. ეს კაცი ექსცენტრიულია, ფიქრობდა ზოგიერთი. სხვები ეჭვის თვალთ უცქრდნენ: იქნებ შენიღბული დაცინვაა? ხსენებულ სხდომებზე მართლაც შეუღარებელი ფანტასტიკა მეფობდა. ერთმა მკვლევარმა „ფეოდალუ-

რი ჟღერადობები“ აღმოაჩინა ბახისა და ბეთჰოვენის მუსიკაში. მეორემ „ბურჟუაზიულ პასაჟებს“ მიაგნო ვაგნერის ოპერებში. მესამემ საკითხი დასვა, გოგენის ფერებში საფრანგეთის კოლონიური პოლიტიკა ხომ არ ცნაურდებაო. მეოთხე, თავის მხრივ, მძიმე ინდუსტრიის ეპოქას ჭვრეტდა სეზანის ტილოებში. მეხუთე პროლეტარულ მეტაფორებს აგროვებდა. ხუთივე ბეჯითად ინვალებდა თავს უზარმაზარი დიაგრამების ხატვით და იაჰვეს სიტყვებს ადასტურებდა: „ოფლითა შენითა მოიპოვე პური შენი“.

ლიტერატურაში, თეატრში, კინოში – ყველგან მუშაითობდნენ, ყველა ცდილობდა სწორად გაეველო ბაგირზე. შესაფერის თემებს ეძებდნენ, ამგვარი ცდებისათვის უფრო გამოსადეგს. ათასგვარ მხატვრულ ხერხს იგონებდნენ, მიზნის მიღწევა საეჭვო რომ არ ყოფილიყო. გარკვეული ოსტატობა ჩამოყალიბდა, ერთგვარი აკრობარტიკა. მაგრამ თემებთან და მხატვრულ ხრიკებთან ერთად, სიძნელეებიც იზრდებოდა. თუ თვით სამუშაოს ძირითადი ხაზის გარკვევას მოისურვებდნენ, მხოლოდ მექანიკურ სქემას იღებდნენ, რომელიც ვერავითარ აღფრთოვანებას ვერ გამოიწვევდა. თუ მასალის წმინდა დიალექტიკურ დამუშავებას მოისურვებდნენ, ობიექტურობის საფრთხე ჩნდებოდა – დიალექტიკაში ხომ ერთნაირად უნდა დაეძებნოს გამართლება როგორც ერთ მხარეს, ისე მის საპირისპიროს – ეს კი კვლავ შეასუსტებდა ბრძოლას. თუ ინტუიციას ეყრდნობოდა კაცი, ფსიქოლოგიაში ეშვებოდა ან სულაც დოსტოევსკიში. გამოსავალი არ იყო. ამ სიძნელეებს ყველაზე იოლად კინო აუდიოდა: ის ხომ ყველაზე შორს იდგა ნამდვილი ხელოვნებისგან. შემდეგ მოდიოდა თეატრი, სულ ბოლოს ლიტერატურა და პოეზია. მასებისა და საქმეების გასაძლოლად ხომ კინოც კმაროდა – ეს ყველაზე ნაკლებ ინტიმური ხელოვნება. ლირიკა სულ მთლად გადაშენდა. მაგრამ: გეოლოგიურ შრეებში მკვლევარი ხანდახან რაიმე უცნაურობას ნაანყდება, გაქვავებულ ფოთოლს, მწერის ფრთას, უმნიშვნელო წვრილმანს, რომელიც მთელი პერიოდის დადგენის საშუალებას იძლევა. ასე შემთხვევით აქაც არსებობდა ცალკეული წინადადება, სახე, რომელიც ხატოვნად გადმოსცემდა საბჭოეთის მარჯისცემას. მთელ ამ გარდაქმნას ყველაზე მკაფიოდ ანეკდოტი

ასახავდა – ჰუმორი მიამიტად, და მიტომ დაუსჯელად, ეთამაშებოდა სინამდვილეს.

ქალაქიდან ქალაქში დაეხეტებოდნენ მსახიობთა დასები. სტეპების სივრცე და რუსეთის პირქუში ღამე მოჰქონდათ თან. რევოლუციურ ლექსებს კითხულობდნენ, სისხლმონყურებულ თვალებს აკვესებდნენ, საშინელი გილიოტინით იმუქრებოდნენ. ლექსებიდან მოგრგვინავდა მუქარა: თქვე ბურჟუებო! მსახიობთა ხმა, ტემპერამენტი მქუხარე ტაშისკენ აქეზებდა მასებს. შთაბეჭდილება ისეთი იქმნებოდა, თითქოს ყოველი მათგანი სტენკა რაზინი ყოფილიყოს: ამბოხებასაც ახლავე დაიწყებდა და „დონის კაზაკთა მსხვერპლსაც“ გაიღებდა – სატროს ვოლგაში გადაუძახებდა. ხალხი თვრებოდა მათი ბანგისგან. მაგრამ ხანდახან რომელიმე მსახიობს შეეშლებოდა და „თქვე ბურჟუებო!“-ს ნაცვლად უეცრად „თქვე ბოლშევიკებო!“-ს დაიყვირებდა – თან სატანური ვნებაც არ აკლდა. მასებს შიში შეიპყრობდა, ვერავინ გაბედავდა მეორისთვის სახეში შეეხედა. გონს მოსული მსახიობი შიშისაგან სცენაზე შფოთავდა, თავს იკატუნებდა, დუჟმორეული და მინაზე გაგორებული ეპილეფსიურ შეტევას ასახიერებდა. გამოფხიზლებულს ეჭვი ისე გახვრეტდა, როგორც ჭია ხეს: ფსიქონალიტიკური ახსნა ხომ არ დაეძებნებოდა ამ შეცდომას.

ხელშესახები სინამდვილე აღარ არსებობდა. მხოლოდ მინალა იყო ნამდვილი – მინა არ იცნობს ისტერიას. ჩნდებოდა ტრაქტორები, იქმნებოდა კოლექტივები. გლეხი შეცბუნდა, დაიბნა: ინსტინქტი რაღაც უცხოს უგრძნობდა. მინამ რომ შექმნის ნიჭი უწყალობოს, ბერნი აფრიკელი ცოლ-ქმარი მობიბინე მინდორში ერთდება – მინაშიც და მინაზეც ხომ იგივე ხდება, რაც მამაკაცს და დედაკაცს შორის. კოლექტივები იქმნებოდა, გლეხის გუმანი კი ბუნდოვნად გრძნობდა: რაც აქ ხდებოდა, განაყოფიერება კი არ იყო, არამედ ათვისება მხოლოდ. ამ სიახლეს ისე განიცდიდა, როგორც დედის მკვლევლობას, მკრეხელობას. ხედავდა: ეს ბელტი მისი იყო, მისი საკუთარი ცოლი, ეს ვენახი მისი იყო, მისი საკუთარი ვაჟი. ეს ხე უყვარდა, პაპის დარგული, მის ყოველ ტოტსა და ფოთოლს იცნობდა. აგონდებოდა, როგორ იზრდებოდა მთელი თაობა ამ ხესთან ერთად. არა, უსამართლობა ხდება,

ფიქრობდა იგი. მინა ფაბრიკად ვერ გადაიქცევა. ფაბრიკა მილიონობით დეტალს უშვებს, მაგრამ ნაყოფს არ ისხამს. კოლექტივები ფართოვდებოდა, მინა ნაყოფის მაგიერ ნანარმს იძლეოდა. მინას მაღლი არ ჰქონდა, რადგან მისკენ გული არ იხრებოდა. ქვეყანა ევროპული „რაციონით“ მიაბიჯებდა. ამას გლეხი მინიერი ინსტინქტით გრძნობდა. მძიმე ორთაბრძოლა ჩაღდებოდა.

გლეხი კოლმეურნეობას ვერ ეგუებოდა – არა მარტო გლეხი, საქონელიც. ერთმა ხარმა მძლავრი რქებით გაანგრია ბოსლის კარი, კოლექტიური ბაგა დატოვა, ნაჩვევ ეზოს მიაშურა. კომკავშირლები მათრახით გამოედევნენ. შინ მისულ პირუტყვს ბავშვები მხიარული ყიჟინით და ალერსით დახვდნენ. ძველად ციმბირის გადასახლებიდან დაბრუნებულს ეგებებოდნენ ასე. კომკავშირლები არ აუღელვებია მოსლუკუნე ბავშვების ალერსს, ხარის მშვიდ სიხარულს. რადაც უნდა დასჯდომოდათ, უკან უნდა გაედენათ პირუტყვი. მათ მოხუცმა გლეხმა მიმართა: „დღევანდელი ღამე მაინც გაათევიეთ თავის ბოსელში“. ამკარა დაცინვა ჟღერდა მის სიტყვებში. ხმადაბლა დაუმატა: „ხარსაც კი არ უნდა თქვენი კოლმეურნეობა“. ერთმა შემოსწრებულმა თავი გააქნია: „შენ, მგონი ის დრო დაგავინწყდა, სხვანაირად რომ ექცეოდნენ ხარს. ტყის პირას რომ თავადები ქეიფობდნენ, ახალგაზრდა ხარს იქ მიდენიდნენ, წინა ფეხებით და თავით ერთ ხეს მიაბამდნენ, უკანა ფეხებით – მეორეს. ყასაბი მოვიდოდა, პირჯვარს გადაისახავდა, შენდობას შესთხოვდა ყოვლისშემძლე ღმერთს. გალესილი დანით ხარს ელვისებური სისწრაფით ამოაჭრიდა ასოს. ხარის ბლავილი მოქეიფეთა ხმაურს შეუერთდებოდა. მწვადებისათვის ცეცხლს გააჩაღებდნენ – ასეთი მწვადის გემოს ვერ დაივინწყებ, შეგუბებული სისხლი ხომ განსაკუთრებით ტკბილია. იმ დროს ხომ არ ნატრობ? ის ხომ არ გაგონდება?“ „მე არც იმ დროს ვნატრობ, როცა ხარს აწვალებდნენ, არც კოლმეურნეობას, როცა პირუტყვი კოლექტიურ ბაგაზე ჰყავთ მიბმული“, უპასუხა მოხუცმა გლეხმა. „პირუტყვს თვითონ არ უნდა...“ კოლმეურნეობის ირგვლივ უსასრულო კამათი გაჩაღდა.

ელსადგურებს აშენებდნენ, სასოფლო-სამეურნეო მანქანები შემოჰყავდათ, ჭაობებს აშრობდნენ, სტიქიებს იმორჩილებდნენ,

სარწყავ სისტემებს ქმნიდნენ და საზეიმოდ ხსნიდნენ. ხალხი იკრიბებოდა, ინტერნაციონალს მღეროდა, რადიო მილოცვებს გადმოსცემდა მოსკოვიდან, ხარკოვიდან, ბაქოდან, ტფილისიდან. იყო დამორჩილებული მდინარისა და მუშის მარჯვენის დღესასწაული – მაგრამ არ იყო ის უმაღლესი წამი, რომელსაც ერთ დროს განიცდიდა ეგვიპტელი: როცა მზის პირველ სხივებთან ერთად გაქროლებულ მიმინოს ქვრეტდა – მზის ეგვიპტურ სიმბოლოს – ის ნეტარი წამი, როცა მზის თესლით ავსებული შეყვარებულივით უახლოვდებოდა მიწას.

ახალი გზები გაჰყავდათ მოშორებულ რაიონებში, სადაც ჯერ კიდევ ძველი ტომები სახლობდნენ. ხშირად გზის გასაჭრელად მთა უნდა აეფეთქებინათ და მასთან ერთად ანკარა წყაროც მოესპოთ, წმიდათაწმიდა რამ ტომის წარმოდგენაში. შიშით უმზერდა მთელი ტომი წყაროს განადგურებას: დაბნეული და მოქუფრული ღრმად გრძნობდა თავის არსებაში სიკვდილს. განხიბლული ახლა კვალარეულ ნადირს ჰგავდა, გონდაკარგული იდგა სიცარიელის პირისპირ.

იყო ელემენტების ბრძოლა ადამიანში, იყო ბრძოლა ადამიანებს შორის. ყველას, ვინც რაიმეს წაიღებდა კოლმეურნეობის მოსავლიდან, სიკვდილი დაუნესეს. ქურდობა ადვილი აღმოსაჩენი იყო და სოფლებში ერთმანეთისთვის ქურდობის დაბრალება დაიწყეს. გლეხებს მოსავლის ალებისა ეშინოდათ, ქურდობა რომ არ დაჰბრალებოდათ. ბევრ რაიონში მზესუმზირა არ მოუკრეფიათ: მაცდუნებელია მისი მარცვლები. შეუძლებელი იყო მოსავლის ალება ნაყოფის გაუსინჯავად, განსაკუთრებით რუსისათვის: მისთვის მზესუმზირას კნატუნი კოსმოსურ რიტმში გადასვლას ნიშნავს. სამუშაო ასე განაწილდა: ერთნი მუშაობდნენ, მეორენი თვალს ადევნებდნენ, რათა არავის ექურდა. ტრაქტორისტები მხოლოდ მანქანის გამართვაზე აგებდნენ პასუხს, სანვავზე სხვა უნდა გაეპიროვნებინათ. მანქანის მძღოლები ტვირთზე პასუხისმგებლობას არ კისრულობდნენ: „ორი თავი არ მაქვს. კაციჭამიები ბლომად არიან, ქურდობას დამაბრალებენ და მერე ველარავინ მიხსნის“. ზოგიერთი შეუმონმებლად აღარც კი იბარებდა მარცვლეულს. ამგვარად, თვით გლეხებს შორისაც ბრძოლა გა-

ჩაღდა, თანდათან გარეგნულადაც გამოირჩნენ ერთმანეთისგან. მოსკოვის საკოსტუმო სანარმო, რომელიც რეკვიზიტით ამარაგებდა პროვინციულ თეატრებს, ფართო არჩევანს სთავაზობდა მსურველთ. აქ ყველაფერი ჰქონდათ: კულაკის წვერი – ჟღალი, მარაოსავით გაშლილი; საშუალო გლეხის ყავისფერი წვერი – შუაზე გაყოფილი; წვრილი გლეხის პატარა ხუჭუჭა წვერი; დაბოლოს, შავი წვერი – კოლმეურნისა. ადამიანები ერთმანეთს დაერიენ, შვილმა მამა დაასმინა, საკოლმეურნეო მოსავლის ნაწილი მიითვისაო. მამა ციმბირში გადაასახლეს, ვაჟი ბიძაშვილმა მოკლა. ამ ცნობამ გადასახლებულამდეც მიაღწია. მან გამოიგლოვა ვაჟი და ყოვლადძლიერს პატიება შესთხოვა.

იბრძოდნენ რაღაც ახლისთვის. ძველი ძლივსღა იდგა ფეხზე. სისხლი იღვრებოდა, დედები ტყუპებს აჩენდნენ: ერთი აბელი იყო, მეორე – კაენი. მეფობდა ორპირობა, ორგულობა, უნდობლობა, ბეზლობა, ლალატი, შიში – ამავე დროს არსებობდა რაღაც, რამაც არც რევოლუცია იცოდა, არც კონტრრევოლუცია, არც კულაკობა, არც ხუთწლიანი გეგმა, არც არანაირი გეგმა საერთოდ. მან არც ცენტრალური კომიტეტი იცოდა და არც გენერალური მდივანი – ეს იყო ადამიანური გული, ღმერთითა და ცეცხლით სავსე. სიბნელე მეფობდა, მაგრამ უეცრად ცეცხლი აგიზგიზდებოდა, მასში ლოცვა და სიხარული ცოცხლობდა. ეს აალებული გული იყო. რუსეთის დიდ ტრამალებზე, ციმბირში, უკრაინაში, ყაზახეთში, კავკასიაში – ყველგან იესო ან თამუზი იბადებოდა: ჩუმად, შეუმჩნევლად, სადღაც, რომელიღაც კუთხეში.

რაც ხდებოდა, ყველაფერი იწერებოდა. ოღონდ არა ღიად, არამედ საიდუმლოდ, როგორც ინდოელთა აკაშა იწერებოდა ხეზე, ქვაზე, ძაღლის დინგზე, ადამიანის შუბლზე, მთის ფერდობებზე, ტალღებზე, ხავსზე, მძორზე. საიდუმლოდ ყველაფერი იწერებოდა ყველგან, მაგრამ ვინმეს რომ გაეშიფრა და წაეკითხა ეს იდუმალი ნაწერები, პროტესტის ქარბორბალა ავარდებოდა. დარწმუნებით იტყოდნენ, რომ მსგავსი არაფერი მომხდარა, და რაც უფრო უცნაურია: თვით აღმომჩენი დაუნყებდა თავს დარწმუნებას, რომ ეს ყოველივე მისი გზააბნეული ფანტაზიის წარმოსახვაა.

რომენ როლანმა საბჭოთა ქვეყანას ახალი მომართვა გამოუგზავნა: იქიდან დასამხობად განწირული კაპიტალისტური სამყარო უფრო ლაპარაკობდა, ვიდრე ტოლსტოის მინის გაგება. ბერნარდ შოუმ ერთ სენსაციურ ინტერვიუში საბჭოების წარმატებებით აღფრთოვანება გამოხატა, თან შიშობდა, რომ მის სიტყვებს სიმართლედ არ ჩათვლიდნენ. ანდრე ჟიდმა აღიარება დაწერა: უხერხემლო განაზებული ლათინელი რუსეთის ბარბაროსული სიცინცხალიდან ელოდა სისხლის განახლებას. მთელს მსოფლიოს მზერა ახალი ჩრდილოური სფინქსისაკენ, ხუთქიმიანი ვარსკვლავისკენ მიეპყრო. მაგრამ ნიშნეულია: იდუმალი პენტაგრამა თავდაყირა იდგა. ურიცხვი წიგნი გამოდიოდა: ყველაფერს იპოვიდით მათში, გარდა სიმართლისა. სფინქსი იღიმებოდა მხოლოდ. თუ ამ სფინქსს დააკვირდებოდით, გენერალური მდივნის სახეს გამოაჩენდა: თითქოს ქვეყნის მთელ სისტემას მოიცავდა თავის თავში. ყველას ბედი მასზე იყო დამოკიდებული, ის თვითონ რევოლუციის კვანძი იყო, მისი ძალების შემჭიდროება. უპიროვნო პროცესი პიროვნულში მოგროვდა. ამით პიროვნებამ დაკარგა პიროვნული: გენერალური მდივანი აღარ იყო ადამიანი, ის იყო არსება. ინერებოდა მისი ბიოგრაფია, მის შესახებ ლიტერატურულ ნარკვევებს ბეჭდავდნენ, რადიო მის ყოველ სიტყვას ავრცელებდა. მილიონები ფიქრობდნენ მასზე: ზოგი თავყვანისცემით, ზოგი ნდობით, ზოგი წყევლა-კრულვით. არ იყო ადამიანი, საკუთარი თავი არ დაეჭირა ამ კაცზე ფიქრში. ხანდახან მაცდუნებელი აზრი მოდიოდა: რა მოხდებოდა, ის რომ დაემხოთ? აზრს შიში კლავდა. ეს კაცი სტალინი იყო თვითონ. ლენინს არ მოუგროვებია ამდენი ძალა თავის არსებაში. არც ერთ დიქტატორს მსოფლიო ისტორიაში ამდენი ძალაუფლება არ მიუთვისებია: ეს ფენომენი ყველას აწვალებდა – კომუნისტსაც, არაკომუნისტსაც. ყველა გრძნობდა მის ძალას, მაგრამ არავის უყვარდა. მასთან შებრძოლების ყოველი ცდა წინასწარ იყო განწირული. დემონურად გრძნობდა ხალხი ამ ძალას.

ასე კითხულობდა თამაზი იდუმალ დაუნერებელ ქრონიკას, მაგრამ არ იცოდა, რომ ის ძალა ყველაზე მეტად ერთს ტანჯავდა – ეს იყო ბერზინი, თვითონ მძლავრი პიროვნება. ქართულ მიწაზე ბერზინი ჩანვდა სტალინის ხასიათს.

სტალინის ჰოროსკოპი

თამაზი ტახტზე იწვა და საკუთარი ლექსების ტომს ფურცლავდა. ღამე იყო. თამაზმა რამდენიმე სტრიქონი წაიკითხა – უცხოდ მოეჩვენა: ნუთუ მისი დანერვილი იყო? გაოცებულმა ღიმილით წიგნი გვერდზე გადადო და სხვა აიღო: დაკვირვებები პუშკინზე. ეს ნაწარმოები უკვე წაკითხული ჰქონდა, ახლა მხოლოდ ფურცლავდა, მაგრამ საკვირველია: აშეიშველდა გაკეთებულ თავისსავე შენიშვნებს თითქმის ველარ არჩევდა. მართლა ასე შეიცვალა? თამაზი გაოცდა. ამჯერად აღარ გაუღიმიო. ეს წიგნიც გვერდზე გადადო და გუნებანამხდარი ბუხრის ნავლს მიაჩერდა. ოთახი, სხვა დროს ასეთი მყუდრო, ახლა მწარედ და უნდოდ გამოიყურებოდა. თამაზმა კედლები შეათვალიერა, აქა-იქ დამსკდარი შპალერის მელანქოლიურ ხაზებს გაჰყვა. დაწყვეტილი ხაზები უცნაურ ლურსმულს ქმნიდნენ: თითქოს ვიღაც გადარეულის ხელს ასოები გამოეყვანა. მონუსხულმა წაიკითხა ასოები და გამოვიდა სახელი „სტალინ“. თვითონ ხომ არ გაგიჟებულა? სურდა სხვა რამ ამოეკითხა. თამაზი ჩაფიქრდა. უეცრად ერთი რვეული გაახსენდა, სასწრაფოდ წამოხტა და ქალაქებში ძებნა დაუწყო. ეს იყო ჩანაწერები სტალინის შესახებ, რომლებიც ანალების ფორმით გაეკეთებინა რამდენიმე კვირის წინ. ბუხარში ცეცხლი თავიდან დაანთო და უცნაურად აღელვებულმა კითხვა დაიწყო.

„ლენინმა განსაკუთრებული სახელი უწოდა სტალინს – „ლეგენდარული ქართველი“. ლეგენდარული ჭარბად იყო სტალინში, ოღონდ ქართული – მეჩხრად. საქართველოში სტალინის ხასიათის თავისებურებას მისი წარმომავლობით ხსნიდნენ: მამამისი ოსი იყო. აქ, შესაძლოა, სხვა ფენომენტან გვექონდეს საქმე. ყოველი ხალხი თავის წიაღში უცხოთა შობს, თვით მისსავე წინააღმდეგ მიმართულსაც კი. ეს ბიოლოგიური საიდუმლოება უნდა იყოს. იქნებ აუცილებელია, უცხოს შობის უნარი გვექონდეს, რათა სხვა ჯიშისას სძლიო. სტალინი მხოლოდ იმდენად იყო ქართველი, რამდენადაც საპირისპირო პოლუსი იყო ქართველობისა.

პრეისტორიული ხვლიკის გაქვავებული თავი – ასე დაახასიათა იგი ერთმა ყოფილმა თანამშრომელმა, რომელმაც, მგონი, არც კი იცოდა, როგორ ზუსტად მოარტყა მიზანს. ვინრო, სუსტად განვითარებული შუბლი – პირდაპირ მისწრება საქმის კაცისთვის. განსაკუთრებით თუკი ზურგის ტვინი აქვს უღევად. მაგრამ სტალინის ხერხემალი მოაზროვნესავით მაგარიც იყო, ამასთანავე – მას რეპტილიის მგრძნობელობა ჰქონდა. ბავშვობაში ყვავილი მოეხადა და ამ სნეულების ძლივს შესამჩნევი კვალი კიდევ უფრო ამკვეთრებდა პრეისტორიულობას თავისას; ასევე ჭორფლი, რომელიც მისი სახის ფერს ციცარს ამსგავსებდა. უღვაშებში ირონია, დაცინვა ჩამალულიყო, თითქოს სურდა ეთქვა: მე ვხვდები, რისი დაფარვაც გინდა. ამ მდუმარე განცხადებას მალლა აწეული მარცხენა წარბი აძლიერებდა – საოცარია: ლენინთან მარჯვენა წარბი იყო. მონკურული, პატარა, გაუმჭვირვალე თვალები ჩასაფრებულის დაჟინებით იმზირებოდნენ. მთელს მის არსებაში უბედურების მომტანის ცივი სისხლი იგრძნობოდა, რომელიც მზაკვრობით ყველას აჯობებს. მისი მზერის წინაშე ყოველი ნება უკან იხევდა.

სტალინი ნაბიჯებს კატასავით ნელა, რბილად ადგამდა, თითქოს სურდა, რალაცას დაჰმალვოდა ან ვინმეს შეუმჩნეველად თავს დასხმოდა. იდუმალი ჯადო, რომელსაც შეუძლია ადამიანი უჩინარი გახადოს, ზღაპარი როდია; ტიბეტში იგი რეალობაა. ტიბეტელი იოგი, რომელსაც არ სურს შეამჩნიონ, უჩინარდება: ნებისყოფის საშინელი დაძაბვის წყალობით ის თავის ნაჭუჭში ძვრება და ამით ამცირებს ხილვად ელემენტებს. სტალინიც ასე იყო ჯერ კიდევ მაშინ, როცა რევოლუციონერობისთვის ოხრანკა დასდევდა. მთვარეულივით დაეხეტებოდა ქუჩებში, ყოველ კუთხე-კუნჭულს აყურადებდა. თუ თვალს მოჰკრავდნენ, შიში მთვარეულს კი არ იპყრობდა, არამედ შემხვედრს, რომელსაც ეგონა, ადამიანს კი არა, აჩრდილს ვხედავო. პიროვნება კი არა, უმალ ნილაბი იყო. მხოლოდ არალეგალური ცხოვრების გამო როდი ატარებდა სტალინი ამდენ ფსევდონიმს. სტენდალის მსგავსად, ფსევდონიმები მისთვისაც ნამდვილი სახელები იყო. სახელით იხელთებ პიროვნებას, ასე ფიქრობდნენ ძველი ეგვიპტელები. სტალინი გამუდ-

მეზით იცვლიდა სახელებს, ამიტომ მუდამ მოუხელთებელი და გამოუცნობი რჩებოდა. ხოლო თუ დააპატიმრებდნენ, მარჯვედ უსხლტებოდა შემპყრობთ. მან ბევრი ციხე მოიარა, ბათუმში, ტფილისში, ბაქოში, ცენტრალურ რუსეთში და ციმბირში – ხშირად გარბოდა ციხეებიდან. რამდენჯერმე გადაასახლეს – ისევ და ისევ გარბოდა და სულ სხვა ადგილას ამოყვინთავდა ხოლმე ახალი სახელით, ახალი ნიღბით. შესამჩნევ კვალს არსად ტოვებდა. სადღაც უეცრად თავს ამოყოფდა, უსახელო პილიგრიმი, როგორც გოლემი, რომელიც ებრაული თქმულების მიხედვით, ოცდაათ ნელინადში ერთხელ ენვევა ხოლმე სამყაროს: მასთან შეხვედრა გაკრთობს – გონს მოხვალ, ის კი უკვე აღარ ჩანს.

სტალინი გველივით იცვლიდა კანს და ამით ხელშეუხებლად ინახავდა შინაგან არსებას. მაგრამ თავდაცვის სხვა ხერხიც ჰქონდა: სინამდვილის გაბიაბრუება. ერთხელ ბაქოს ციხეში პოლიტიკური პატიმრები აიძულეს როზგებმომარჯვებული ჯარისკაცების მწკრივებს შორის გაევლოთ. სტალინმაც გაიარა – მაგრამ როგორ? ხელში ბროშურა ეჭირა – უთუოდ მარქსისტული – კითხულობდა და ისე მიაბიჯებდა, თითქოს მას არაფერი ეხებოდა. დამსჯელების აბუჩად აგდებით საკუთარი პიროვნება მორალური შეურაცხყოფისაგან იხსნა. აქ უკვე ნაპოვნი ჰქონდა თავისი ნამდვილი სტიქია.

ვინ იყო ეს ანონიმი? მამამისი მენალე იყო, ლოთი, ბოლშევიანი და სასტიკი. დედამისი – მკერავი, წყნარი, მორჩილი და გულმონწყალე ქალი. როცა დათვრებოდა, მამა სცემდა დედას. სცემდა ერთადერთ პატარა ვაჟსაც. მათ ქოხში მეფობდა სილატაკე, ცოფიანის დორბლი და ცრემლი. იმის გაფიქრებაზეც კი, რომ საცაა მამა დაბრუნდება, ბიჭს ტანში სზარავდა. თვით სამყაროს შექმნაშიც კი მხოლოდ სიბილნეს ხედავდა, მამა კი ურჩხულად ეჩვენებოდა. ოჯახური კავშირის ასეთი რღვევა ბავშვს გულს უმძიმებდა. აღმოსავლეთმა იცის, რა არის მამა – კოსმიურად გამანაყოფიერებელი თესლი. თუ ბაყაყის ჩანასახოვან უჯრედს შუაზე გაჭრით, ორი ბაყაყი წარმოიშობა. ორი ნაწილიდან თითოეული გადაიქცევა არა ნახევარ, არამედ ნახევარი ზომის მთლიან ბაყაყად. ბიოლოგია აქ შეუდარებლად ადასტურებს მამობის

აღმოსავლურ ინსტიქტს. ერთი ჩანასახოვანი უჯრედიდან ორი იზადება, მაგრამ რა მოსდის თავდაპირველს, შექმნისთვის განსაზღვრულს? ის არ განხორციელებულა, ფიზიკურად ის აღარ არსებობს – მაგრამ მეტაფიზიკურად სიცოცხლეს აგრძელებს ორ პატარა ბაყაყში. თითოეული მათგანი თავის თავში ატარებს მას, დაუბადებელს. აქ ცოცხლობს გვაროვნული მახსოვრობა მამისა. სადაც ეს მახსოვრობა მოკვდება, იქ სიცოცხლე ჩავარდება საფრთხეში. სტალინის სახლში ეს მახსოვრობა დაირღვა. ვაჟმა დაწყევლა მამა, თესლი. გამწარებულმა თვით შექმნა შეიძულა. მისთვის აღარ არსებობდა სიყვარული, აღარც სიხარული. მამის მიმართ სამუდამოდ ჩაბუდებულმა სიძულვილმა სიცოცხლე მოუწამლა.

ასეთ უმამოს – თუკი უმამობა მისტიურად არ დაძლია – თავიდანვე აკლია არსებითი – სიცოცხლის სიყვარული. მას არაფერი ახარებს. მის გულს არ ძალუძს კოსმიურად ძირისძირამდე გაიხსნას. ის არ არის აალებული, ხორცშესხმული ნაწილი მისტიურად დაგლვეჯილი ღმერთისა: ის ცივია, მტკიცე და პირქუში. ასეთი ადამიანისთვის არ არსებობს ექსტაზი. ასეთ უმამოს რომ ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია მოესმინა – განსაკუთრებით დასასრული, სადაც მღელვარე ორკესტრში ადამიანთა ხმები იჭრებიან, ხმები დიონისოს მიერ გაბრუებულ არსებათა, ხმები, რომლებიც სხვა სიცოცხლეს, ახალს, ადამიანურს თუ ზეადამიანურს აცხადებენ – ის მაინც ვერ გახლეჩდა თავის ვინრო ნაჭუჭს, რათა უნაპირო სინამდვილეს შეერთებოდა. ის ცივი, მტკიცე და პირქუში დარჩებოდა. თვითონ უექსტაზოს სხვისი ექსტაზის ატანა არ შეუძლია – სხვისი ექსტაზი მას არ ითრევს, ის ლამის ნამდვილი უსიამოვნებაა მისთვის. ასეთი არსება თავიდანვე ნაკლოვანია და საფრთხე ემოუქრება. თქმულება კაენსა და აბელზე მიუდგებოდა სტალინს – ღმერთმა მიიღო აბელის მიერ შეწირული მსხვერპლი და პირი იბრუნა კაენის მირთმეული მსხვერპლისგან. რატომ? თქმულება არავითარ ახსნას არ იძლევა. იქნებ კაენს გულით არ მიუტანია მსხვერპლი? იქნებ სურდა კიდევ გულით მიეტანა, მაგრამ სურვილზე შორს ვერ წავიდა. ერთადერთი ახსნალა გვრჩება: ჩანს, კაენს თავიდანვე აკლდა სიცოცხლის მაღლი. მოსეს პირ-

ველი წიგნის ფურცლები აღგვიძრავენ ამ ეჭვს: განა აბელი კი ჩაიდენდა ძმის მკვლელობას, იაჰვეს რომ მისი მსხვერპლი არ მიეღო? კეთილ სწრაფვათათვის იმის გულია დახურული, ვისაც სიცოცხლის მადლი აკლია. ეს ყველაფერი ფარულად და იქნებ გაავებითაც კი ადრევე უნდა ეგრძნო სოსო ჯულაშვილს, როცა, მაგალითად, ერთხელ ავადმყოფი თანაკლასელი ინახულა. ის გულითადად ესაუბრება ამხანაგს, მაგრამ მისი სიტყვები ავადმყოფის გულს არ ხვდება. მოდის მეორე სტუმარი, მეორე ამხანაგი, რომელიც ალერსიანად შუბლზე ხელს გადაუსვამს ავადმყოფს – და ტკივილი ცხრება. ეს ღვთიური ძალა სიცოცხლის მადლია. როგორ ამბობს გრეტხენი? – მისი სიახლოვე სულს მიხუთავსო. როგორც კი ის – მეფისტოფელი – მოგვიახლოვდება, მეჩვენება, რომ აღარც კი მიყვარხარო. გრეტხენის წრფელი გული რაღაცას გრძნობს: მეფისტოფელის ახლომახლო ყოფნაც კი საკმარისია სიყვარულის მოსასპობად, ატმოსფეროს მოსანამლად. მას ღირიულობა აკლია. მას იქნებ უფრო მშვენიერი ლექსებიც კი დაენერა, ვიდრე რაინერ მარია რილკეს – მაგრამ ერთი რამ მიუღწეველი დარჩებოდა ამ ლექსებში: ამოუცნობი პოეტური მდინარება, ასე მადლიანად რომ მობრწყინავს რილკეს სიტყვებიდან. აქ შერვენებაა დამალული. პოეტურ ზარხოშს არასოდეს აუჩქროლებია სტალინის გული, თუმცა მოწაფეობისას საეპისკოპოსო გუნდში აბრეშუმით რბილი ალტით გალობდა. ეს უთუოდ დაცემული ანგელოზის ხმა იყო – ასეთ ანგელოზს ჯერ კიდევ ძალუძს მომაჯადოებლად გალობა. სტალინმა ლექსების თხზვაც კი სცადა – შესაძლოა, პატრიოტულისა –, მაგრამ იმავე დროს ესპერანტოსაც სწავლობდა: უკვე მაშინ სწამდა მსოფლიო ენისა, ცხადია, მექანიკურად შეკონინებულისა. აშკარად სტანჯავდა სამყაროს ორგანული მრავალფეროვნება. მეტიც: თვით სიცოცხლის ატანა არ შეეძლო. მკრეხელურად ოცნებობდა ნგრევაზე, რათა თავისი გამანადგურებელი თვითნებობა გამოეცადა და გაეტარებინა.

ნიჰილიზმი ზედგამოჭრილი იყო საამისოდ. ვლადიმერ სოლოვიოვმა ერთ ირონიულ წინადადებაში შეაჯამა რუსეთის ნიჰილისტური ინტელიგენციის ღვანლი: ადამიანი მაიმუნისგანაა წარმოშობილი, მასასადამე, გაუმარჯოს თავისუფლებას! „მაშასადამე“

აქ უაზრობაა: ძნელი დასაჯერებელია, რომ მაიმუნისგან წარმომავლობას ადამიანისათვის თავისუფლების მიცემა შეეძლოს. მაგრამ ლოგიკას ხშირად მოულოდნელად თავს ესხმის ფსიქოლოგია, და ამ სილოგიზმშიც უთუოდ ფსიქოლოგიური ალლო იყო ჩამალული. თუ დამტკიცდებოდა, რომ ადამიანი მაიმუნის მოდგმისაა, მაშინ თვით რჩეულნიც კი ყოველგვარ ხიბლს დაკარგავდნენ. ნაპოლეონი „ვინმეზე“ უფრო არაჩვეულებრივი აღარაფრით იქნებოდა, ხოლო კლეოპატრა – არაფრით მეტი, ვიდრე ნებისმიერი ქალი. ხიბლთან ერთად მონინებაც გაქრებოდა. ასე ფიქრობდა ნიჰილისტი. მაგრამ უფრო ღრმად აქ სხვა აზრიც იყო დაფარული. თუ ადამიანი არსებითად იგივეა, რაც მაიმუნი, მაშინ შესაძლებელი გახდება გამიშვლება შესაქმის მცდარი მოძღვრებისა, თითქოს ადამიანი ღვთის ხატი იყოს, და, მასასადამე, ღვთის ხატისა და მსგავსების დამხობა. ნიჰილისტების განზრახვას მტკიცე საფუძველი არ ჰქონდა; მით უფრო ჯიუტად ეჭიდებოდნენ მას.

სტალინიც მოექცა ნიჰილისტების გავლენის ქვეშ და გატაცებით შეუდგა ბუნების მეცნიერებათა შესწავლას. ღრმად სწამდა, რომ ეს შტუდიები უღმერთობამდე მიიყვანდნენ. არსებითი ეს იყო: თუ ღმერთი მოკვდებოდა, თავისუფლებას მოიპოვებდნენ. იგი ვერ მიხვდა, რომ ღმერთისგან მოწყვეტილ, უღმერთო ადამიანს ღმერთთან ერთად იმავე დროს სამყაროსთანაც უნდა გაენწყვიტა ყოველგვარი კავშირი. შესაძლოა, ქვეცნობიერად სტალინს სწორედ ეს სურდა. თუ დაირღვეოდა საკრალური კავშირი საგნებს შორის, მაშინ თვითონ სიცოცხლე აღმოჩნდებოდა საფრთხეში. ის, ვისაც სიცოცხლე თავიდანვე სტანჯავდა, ანგარიშში არ ცდებოდა.

მას ჰქონდა კარგი მეხსიერება – არა მახსოვრობა! – ძლიერი, ცივი ლოგიკა. ის დაშორდა ღმერთს და თავაშვებულ თვითმმართველად აღზარდა თავი. ის ყველგან ცუდს ხედავდა, და სადაც კეთილს შეხვდებოდა, დამცინავად იღიმებოდა. ცივისსხლიანი სასტიკად უმონყალო გახდა. ერთხელ ერთ შუკაში წინილას ფეხი დააბიჯაო, ჰყვებიან. წინილას ცალი ფეხი მოსტყდა და წივილით გაფრთხილდა. სტალინი დაენია და მთლად გასრისა. „შენ მაინც

აღარ ივარგებ“, დაიყვირა უცნაური მრისხანებით. ამ წამს იქნებ სულ სხვა, საშიშად უცხო სახე ჰქონდა.

სიცოცხლის მიმართ მტრულად იყო განწყობილი და ყველგან მტრები ელანდებოდა. მტრის დასაძლევად ორი რამ არის საჭირო: თავდაჭერა და ირონია. სტალინის თავდაჭერა იოგებისას ჰგავდა, ხოლო მისი ირონია უბადლო იყო. ნელა, გაუნძრევლად, გულგრილად აღიზიანებდა იგი მოწინააღმდეგეს, აქეზებდა, დასცინოდა, წყობიდან გამოჰყავდა. ის ცილისწამებითა და დამცირებით სპობდა თავის მტრებს. ამაში უმოწყალო და სასტიკი იყო. მისი ცივი, ჭიხვინა ჩაცინება ხანდახან მკაცრ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიცილიში გადადიოდა. იყო თუ არა ბოროტი ჩვეულებრივი აზრით? არა. ის არ ყოფილა მკვლელი, არც ყაჩაღი, არც არანაირი დამნაშავე. პირიქით: საუკეთესო სურდა ადამიანებისათვის – და მაინც: მის ხასიათში იმთავითვე რაღაც უცხო გვარის ბოროტი თესლი ბუდობდა. იქნებ პირად სიამოვნებას მიეღვტვოდა? სულაც არა. მინიერი სიამოვნებანი – ქალი, ღვინო, აზარტული თამაში, ფული – არ არსებობდა მისთვის. ნიშნეულია, რომ ქართულ ლხინში, სადაც მუდამ დიონისეს ადიდებენ, როცა ყველა სხვა თვრებოდა, ის ერთადერთი, ფხიზელი რჩებოდა. ის გულუხვი იყო, რამდენადაც კი შეეძლო ასეთი ყოფილიყო, და დახმარებისთვის მუდამ მზად იყო, ვითარცა სულიერი მოძღვარი. და მაინც არავისთან იყო ახლო. არ ჰყოლია არც ერთი მეგობარი, რადგან ასეთი ვინმე – მეგობარიც რომ ყოფილიყო – სამუდამოდ მის ქვეშევრდომად უნდა დარჩენილიყო. შესაძლოა, ეს გულის სიღრმეში ანუხებდა კიდევ. შეიძლება ხანდახან თრგუნავდა საკუთარი ხასიათი. ასეთ წუთებში იქნებ ღრმა კაეშანი იპყრობდა. მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს კაეშანი თუნდაც ერთი წამით სხვებისთვის გაემხილა. მუდამ რაღაც ხელს უშლიდა გული გაეხსნა.

ძველ სამყაროს უკვე დაემშვიდობა. მისთვის აღარ არსებობდა არც სისხლის ერთობა, არც ხალხი, არც სულიერი კავშირი, არც რწმენა. ხალხი მასამ შეცვალა, სული – კლასმა. აქ თავის სტიქიაში იყო. სოციალისტური იდეის შესათვისებლად სავსებით იყო მომწიფებული. სენ-სიმონის და ფურიეს მოძღვრება მის

გულს არ ეკარებოდა, რადგან უტოპიისა და რომანტიკისაკენ მიდრეკილება არასოდეს განუცდია: მარქსის დოქტრინა კი კაკალ გულში მოხვდა მის არსებას: აქ იყო ლოგიკა და სიმტკიცე და არა უხერხემლობა მისი მენშევიკური ნაირსახეობისა. სტალინი ბოლშევიკად იყო დაბადებული. უნინ უყვარდათ თქმა, მავანი და მავანი წინაქრისტიანული ქრისტიანი იყო. სტალინისათვის შეიძლებოდა ბოლშევიზმამდელი ბოლშევიკი გვენოდებინა. იმდროინდელი რუსეთიდან არალეგალური მარქსისტული ლიტერატურა საქართველოშიც მოდიოდა; ერთბაშად ლენინის თხზულებებიც გამოჩნდა. სტალინი დატყვევდა: მანამდე არყოფილი ღრმა განცდა დაეუფლა – საკუთარი თავის პოვნისა, ოღონდ სხვაში. აი, სად იყო ის, რისკენაც სტალინი თავისი ბნელი ინსტინქტის ცეცებით მიისწრაფოდა: მარქსისტული იდეის დემონიზმი. რაც დასავლეთში „სიტყვა“ იყო, რუსეთში „საქმედ“ უნდა ქცეულიყო. მაგრამ ეს გარდაქცევა ცოფიანი გრიგალივით უნდა შემოვარდნილიყო სამყაროში, რომლის საფუძვლები უკვე მოერყია ომს.

ლენინი გამოჩნდა ვითარცა მუშტადქცეული ენერგია ქარიშხალისა. როცა თავის ამხანაგებთან ერთად დაჯავშნული მატარებლით გერმანია გადმოკვეთა, რათა რუსეთში რევოლუციური ცეცხლი დაენთო, კაცობრიობამ არ უნყოდა, თუ რა ვულკანურმა ძალებმა მოიყარეს აქ თავი. ლენინი მოევლინა რუსეთს როგორც რევოლუციის ბედისწერა, ის გახდა კოსმიური ბიძგის მიმცემი ოქტომბრის ნგრევისა. ორი სტიქია იყო მასში: სლავური და მონგოლური; სლავური: ქაოსის სუნთქვა, უარყოფა ყოველგვარ საზღვრის. მონგოლური: შინაგანი კრულვა და შორეული გაქანება. ინსტინქტი და ნება ერთი იყო ლენინში. დიდოსტატი დასტაქრის თანშობილი თვისებები ჰქონდა: სწორი, უცთომელი თვალზომა; ინტუიცია, რომელიც საგნის შუაგულს ხვდება; თავდაჭერა, ოღონდ არა ცივი, არამედ ცეცხლოვანი; შეუმცდარად მტკიცე ხელი. ამას მასთან შეხვედრისთანავე გრძნობდა ყველა. სტალინმა ეს მასთან შეხვედრამდე იგრძნო.

1903 წელს ლენინის წერილი მიიღო ევროპიდან. მისთვის ეს მოსეს ფილების მიღებასავით იყო. 1905 წელს სტალინი ფინეთში პარტიულ კონფერენციაზე შეხვდა ლენინს. დიდმა რევოლუციო-

ნერმა დუმილისმოყვარე ქართველში სანდო მებრძოლი ცნო. 1906 წელს ჩატარდა ყრილობა სტოკჰოლმში, სადაც ბოლშევიკებმა მარცხი განიცადეს. მაგრამ როგორ მიიღო ლენინმა ეს მარცხი: „არ დალონდეთ, მეგობრებო, ჩვენ უთუოდ გავიმარჯვებთ, ჩვენ სწორ გზას ვადგავართ“. მის თანამოაზრეთა შორის სტალინი იყო ერთადერთი, ვინც მხოლოდ ყურით არ მოისმინა ეს სიტყვები. 1907 წელს ლონდონის ყრილობაზე ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს. მაგრამ როგორ მიიღო ლენინმა ეს გამარჯვება? სტალინი მოგვიანებით იხსენებდა: „გამარჯვების შემდეგ ის განსაკუთრებით ფხიზელი და ფრთხილი გახდა“ – და მოჰყავდა ლენინის სიტყვები: „ჯერ ერთი, არ გაგიტაცოთ გამარჯვებამ და კვებნა არ დაიწყეთ; მეორე, განამტკიცეთ თქვენი გამარჯვება; მესამე, გაანადგურეთ მტერი, რადგან ის მხოლოდ დამარცხებულია და არა მკვდარი“. ყველაზე მეტად ამ სიტყვებს უნდა მოეხიბლა სტალინი, რომლისთვისაც გამარჯვებას თავბრუ არასოდეს დაუხვევია და რომელსაც ბრძოლის ველზე არასოდეს მანამ არ მიუტოვებია დამარცხებული მტერი, სანამ მთლად არ მოათავებდა. სხდომებზე სიტყვაძუნნი იყო სტალინი; დუმდა – ჭეშმარიტი საქმის კაცი.

სტალინის სტიქია მასა იყო: აი, სად იყო ნაღდი. ფინეთის კლდოვანი სანაპიროდან კოლხეთის ზღვისპირეთამდე ორგანულ ერთობას გრძნობდა მასებთან. ხვდებოდა და უახლოვდებოდა რუსებს, პოლონელებს, უკრაინელებს, ასევე ქართველებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს, ლატვიელებს, ლიტველებს, ებრაელებს და მრავალი სხვა ხალხის წარმომადგენლებს. ის ეცნობოდა მუშათა ჯერ კიდევ მთვლემარე ფსიქიკას, სინჯავდა მასების მაჯას და მათს პროლეტარულ ინსტინქტს აღვიძებდა. ის არკვევდა მათს სურვილს და ფოლადივით აწრთობდა მათს მებრძოლ ნებას. ის ათასებს ხვდებოდა და მრავალი ათასი ნაცნობი ჰყავდა. მისთვის არ არსებობდა მეგობარი – იყო მხოლოდ უთვალავი ამხანაგი. ოხრანკას კვალს არ უტოვებდა, სამაგიეროდ მუშებში ტოვებდა წარუშლელ კვალს. აქაც ჩრდილში რჩებოდა: საიდუმლო ორგანიზაციებში ისე ჩნდებოდა, როგორც პროლეტარული ფსიქიკის იდუმალი უსახელო. გასაკვირი არაა, რომ რუსული რევოლუციის თავისებურება მან იმთავითვე იგრძნო. 1917 წელს, ივლისის ამ-

ბების შემდეგ, პარტიული კონფერენცია ტარდებოდა. ლენინი არ ესწრებოდა, რადგან იმალებოდა. არ ესწრებოდა ტროცკიც. პირველად ამ კონფერენციაზე აირჩიეს ცენტრალური კომიტეტის წევრად. სტალინს მიჰყავდა კონფერენცია, მაშინ წარმოთქვა ისტორიული სიტყვა: „გამორიცხული არ არის, რომ სრულიად განსაკუთრებულად რუსეთი გახდეს ის ქვეყანა, რომელიც სოციალიზმის გზას დაადგება... ჩვენში რევოლუციის საფუძველი უფრო მყარია, ვიდრე დასავლეთ ევროპაში, სადაც პროლეტარიატი მარტო უპირისპირდება ბურჟუაზიას. ჩვენს მუშებს მხარს უჭერს გლეხთა უღარიბესი ფენა... უნდა უკუვავდეთ საძრახისი თვალსაზრისი, თითქოს ჩვენთვის გზის მითითება მხოლოდ ევროპას შეეძლოს“. კონფერენციის მსმენელთა მასაში, ცხადია, გაჩნდა ეჭვი იმის თაობაზე, თუ რამდენად ეთანხმებოდა ეს თეზისი დოგმატურ მარქსიზმს. სტალინმა ეს, აშკარაა, შეამჩნია და დაუმატა: „მე შემოქმედებით მარქსიზმს ვემხრობი“. აქ ის უკვე მომავალი სიდიადით წარმოდგა.

ლენინზე პირველი შეხვედრისთანავე მოახდინა განსაკუთრებული შთაბეჭდილება: ლენინმა იგრძნო ამ რევოლუციონერში რალაც ძლიერი და ბნელი. 1914 წელს ტურუხანსკში, ენისეისკის გუბერნიაში, გადაასახლეს. იმ წლის ნოემბერში ლენინი ჟენევიდან სწერს თავის მეგობარ კარპინსკის: „ერთი დიდი სათხოვარი მაქვს შენთან: შეეცადე გაიგო კობას უკანასკნელი გვარი (იოსებ ჯ..., ჩვენ აღარ გვახსოვს), ეს ძალზე მნიშვნელოვანია“. სტალინი გადასახლებაში თავისი ნამდვილი გვარით იმყოფებოდა – ჯულაშვილი, და სწორედ ეს გვარი ვერ გაიხსენა ლენინმა. აქ ლენინი იხსენებს და ვერც იხსენებს სტალინს: განცდა რალაც ბნელისა და უცხოისი, ამასთანავე, მიმზიდველისა. ოქტომბრის გადატრიალებამდე ცოტა ხნით ადრე ლენინს გერმანიის აგენტობა დასდეს ბრალად. ლენინის კეთილშობილება აღშფოთდა, მან გადაწყვიტა პეტროგრადის მაშინდელი საბჭოების სასამართლოს წინაშე ემართლებინა თავი. სტალინმა მყისვე იგრძნო საშიშროება და დაარწმუნა ლენინი, რომ წასვლის უფლება არ ჰქონდა. შესაძლოა, ამ უეცარმა გადაწყვეტილებამ „ოქტომბრის“ ბედი გადაწყვიტა. გადატრიალების შემდეგ სტალინი გვერდიდან

არ მოშორებია ლენინს, თუმცა კვლავ უჩინარი რჩებოდა. როცა ტროცკიმ 1918 წლის 15 თებერვალს ბრესტ-ლიტოვსკიდან ტელეგრაფით ითხოვა შემდგომი ინსტრუქციები, ლენინმა უპასუხა: „სანამ თქვენს შეკითხვას ვუპასუხებდე, მსურს სტალინს მოველაპარაკო“. ტროცკიმ აქ ალბათ პირველად იგრძნო, ვისთან ექნებოდა საქმე მომავალში.

სტალინს მხოლოდ ლენინისა სწამდა, მაგრამ ლენინის გვერდით იზრდებოდა მეორე ფიგურა: ტროცკი. თუ ლენინი ბედი იყო რევოლუციისა, ტროცკი რევოლუციას ნახევარბედად მოეწვინა – ნახევარბედიც არსებობს. გენია ლენინში უფრო იყო განხორციელებული, ხოლო ტალანტი – ტროცკიში. ტროცკის სიტყვა შედეგრი იყო: ის ქაფიანი მღელვარე ტალღებით იზრდებოდა და შორს იტაცებდა მსმენელს. ლენინის სიტყვა სადა იყო, უბრალო, უპათოსო, მაგრამ მკაფიო, და უფრო ძლიერად მოქმედებდა. ერთის სიტყვა ათრობდა, მეორისა მართავდა. ტროცკის სტილი დახვეწილი იყო: მარქსის შემდეგ არც ერთ მარქსისტს ასე მოხდენილად არ უწერია. ლენინს არ გააჩნდა სტილი. მისი წინადადებები გრძელი და მძიმე იყო, მაგრამ ისინი უფრო მეტად არწმუნებდნენ მკითხველს. ტროცკი რევოლუციის გარდა სხვა პრობლემებითაც იყო დაკავებული – ხელოვნებით, ლიტერატურით, თეატრით. ლენინს მხოლოდ ერთი პრობლემა ჰქონდა: პროლეტარიატის გამარჯვება რევოლუციის გზით. ნებისყოფის დიდი დაძაბვით იგი ერთადერთ გზას ეძებდა მარტორქასავით. ტროცკი, როგორც რევოლუციონერი, მიხვეულ-მოხვეული, ხანდახან მცდარი გზებითაც დადიოდა. იქნებ სწორედ ამაში იყო მისი ნახევარბედი. ტროცკის ყველაფერი ჰქონდა იმისათვის, რომ დიდი რევოლუციონერი ყოფილიყო, ოღონდ ბოლშევიკური ფსიქიკა აკლდა – ასეთი ღამეც არსებობს. სახარებაში ქრისტეს „ძე ღვთისას“ და „ძე კაცისას“ უწოდებენ. ევრო-ამერიკელ ადამიანში ძე ღვთისა თითქმის მოკვდა. ლოგოსის ნაცვლად მასში რაციო მეფობს. უღმერთო ბოლშევიკს ლოგოსი არ სჭირდება, მისთვისაც რაციო ყველაფერია. აქ ის სავსებით ისეთივეა, როგორც ევროპელი ან ამერიკელი. მაგრამ ევროპამ და ამერიკამ ლოგოსთან ერთად სიცოცხლის ქვედა შრეებიც დაკარგეს: მინა, ინსტინქტები,

ფესვები, წინათგრძნობა. ბოლშევიკებმა კი ეს შრეები უკლებლივ შეინარჩუნეს. ინდიელის თავიდან რომ ღვთიური ცეცხლი აღმოგვეფხვრა და მის ნაცვლად ინტელექტი ჩაგვენერგა, ბოლშევიკურ ტიპს მივიღებდით. რაციო და ინსტინქტი – უკეთესი ნაზავი წარმოუდგენელია რევოლუციონერისთვის. ლენინს ჰქონდა ეს ნაზავი, ტროცკის – არა. მას აკლდა ბოლშევიკის რასიული ფსიქიკა. ანდერძში ლენინმა თავის მემკვიდრეებს შორის ტროცკი პირველადგილზე დააყენა, მაგრამ საკვირველია: იქვე დაუმატა: ტროცკი არ ყოფილა ბოლშევიკი.

სტალინი თავიდანვე ლენინის ნატეხი იყო: მასშიც გაერთიანებული იყო რაციო და ინსტინქტი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მეორე ელემენტი უფრო მძლავრად ჰქონდა განვითარებული. ეს სტალინს ლენინთან შედარებით უპირატესობასაც კი ანიჭებდა. ცხოველური ინსტინქტით სტალინი მუდამ გრძნობდა, რომ ნახევარბედი ვერ გაუძღვებოდა რევოლუციას. ის მუდამ აღმაცერად უყურებდა ტროცკის: არ სჯეროდა მისი. ამ დროს შური კი არ ამოძრავებდა, არამედ ნაღდი რევოლუციონერის ყნოსვა: ისეთი ელემენტის სუნი იკრა, რომელიც რევოლუციის წიაღიდან არ იყო ნაშობი. ყველაზე უკეთ ცარიცინის ამბებში გამოამყლავნა თავი. ტროცკის სურდა წითელ არმიაში მეფის ყოფილი ოფიცრები გამოეყენებინა, სტალინს კი უბრალოდ სძაგდა ინტელიგენტები. აქ ორი ადამიანი შეეჯახა ერთმანეთს: ერთი მოდიოდა რევოლუციიდან, მეორე რევოლუციისკენ. ლენინი ორივეს საჭიროებას გრძნობდა და დიდი ოსტატობით შეაერთა საპირისპირო დინებები. მან სტალინის მეშვეობით ბონაპარტიზმის საშიშროებაზე მიუთითა ტროცკის, ხოლო ტროცკის მეშვეობით ვიწრო სწორხაზოვნებისგან გაათავისუფლა სტალინი. ეს იყო ორი განსხვავებული სტიქიის ბრძოლა, ამათგან ერთი საჩინო იყო, ხოლო მეორე – უჩინარი.

ტროცკი ლენინის გვერდით იზრდებოდა. ლენინის გვერდით ეს სვენაკლული სვებედნიერი ხდებოდა. ულენინოდ კი კარგავდა იმას, რასაც იღბლიან გამბედაობას უწოდებენ. ტროცკი არ იყო ლაჩარი: სამოქალაქო ომში დემონური სიმამაცე გამოავლინა. გენერალ იუდენიჩისაგან პეტროგრადის გადარჩენა მისი დამსახურ-

რება იყო. ეს სიმამაცე მით უფრო ფასობდა, რომ ლენინი თავდაპირველად მზადაც კი იყო, პეტროგრადი მტრებისთვის დაეთმო. მას იმ დროს სხვა უფრო დიდი საფრთხე ემუქრებოდა. ლენინს ინტუიცია მხოლოდ მაშინ უჭრიდა, როცა თვითონ იჭრებოდა მოვლენებში – ფრონტები მან ტროცკის გადაულოცა. ტროცკიმ დაარწმუნა იგი პეტროგრადის შენარჩუნების საჭიროებაში და უკიდურესი, ზეადამიანური გამბედაობით დაიცვა ქალაქი. და მაინც: ამ გამბედაობის უკან ურყევ კლდესავით იდგა თვითონ ბედი – ლენინი. საკმარისი იყო, ლენინს სისხლი ჩაჰქცეოდა, რომ ტროცკის მყისვე დაეკარგა სიმამაცე.

რევოლუციის საბედისწერო გარდატეხის ჟამი მოვიდა. ერთ პატარა შემთხვევას შეენირა ტროცკი – მაინცდამაინც საქართველოს საკითხს. ქართველი კომუნისტების ერთი ნაწილი მდივანის ხელმძღვანელობით საქართველოსთვის მეტ ეროვნულ თავისუფლებას ითხოვდა. ამ მოთხოვნის წინააღმდეგ ყველაზე მკვეთრად სტალინი გამოვიდა: მამის მოძულე მამულის მიმართაც მტრულად უნდა ყოფილიყო განწყობილი. ლენინმა შეატყო, რომ საქართველო უაღრესად თავისებური ქვეყანა იყო, და მდივანის ჯგუფს მხარი დაუჭირა, თუმცა წმინდა კომუნისტური თვალსაზრისით იქნებ სტალინის ცენტრალისტური ხაზი უფრო იყო გამართლებული... შესაძლოა, სხვა ღამეშიც იყო საქმე. სისხლის ჩაქცევის შემდეგ ლენინს, რომელსაც უკვე ჩაესუნთქა სიკვდილის ჰაერი, ინსტინქტი გაუმძაფრდა. მოცელილი მარტორქა ახლა უკვე ხედავდა თავისი პატარა დაბინდული თვალებით, რომ უჩუმარი და უჩინარი კატა, სტალინი, ვეფხვში გადაიზარდა. საკუთარ თავს საყვედურობდა, რომ აქამდე ეს ვერ შეამჩნია. სცადა ნელში გამართულიყო და ღონიერი შეძახილით კვლავ კატის სხეულში გამოემწყვდია ხახადაღებული ვეფხვი, მაგრამ გვიანდა იყო. ეს ალბათ ლენინის ყველაზე მწარე განბილება იყო... საქართველოს საკითხში ტროცკი ლენინს მიემხრო – თავისთავად გასაგებია: საქართველოს სიყვარულით არა. ავადმყოფმა ლენინმა მოამზადა მოხსენება, რომელიც მეთორმეტე პარტკონფერენციაზე ყუმბარასავით უნდა გამსკდარიყო სტალინის წინააღმდეგ, მაგრამ, რადგან სისხლის ჩაქცევის განმეორებას შიშობდა, მთელი მასა-

ლა ტროცკის ანდო, ხოლო მდივანისათვის მიწერილი ბარათის ერთი ასლი კამენევეს გაუგზავნა. ეს საკმარისი იყო, რათა სტალინს ყველაფერი შეეტყო. იგი მოემზადა. ჯერ სცადა ლენინისთვის გადაეთქმევინებინა, მაგრამ კრუპსკაია შეეწინააღმდეგა და გზაზე გადაეღობა. აქ სტალინს დიდი შეურაცხყოფა უნდა მიეყენებინა ბელადის ცოლისათვის. ლენინი განრისხდა და მეუღლეს სტალინის მისამართით წერილი უკარნახა, რომლითაც ყოველგვარ პირად ურთიერთობას წყვეტდა თავის მარჯვენა ხელთან. ეს იყო ლენინის უკანასკნელი და ამავე დროს ყველაზე საბედისწერო წერილი. სტალინმა კარგად უწყოდა, რას ნიშნავდა ეს განხეთქილება ლენინთან, და მისთვის დამახასიათებელი ჩუმი, პირქუში შეუპოვრობით ნახტომისათვის მოემზადა. ტროცკიმ იხმო კამენევი, ყველაფერი შეატყობინა და მოითხოვა შეცვლილიყო ეროვნული პოლიტიკა, კერძოდ, საქართველოს საკითხში, ხოლო სტალინს ბოდიში მოეხადა კრუპსკაიას წინაშე. კამენევემ გადასცა სტალინს. სტალინმა დათმო: ბოდიში მოიხადა, ხოლო კამენევი საქართველოში გაგზავნა ეროვნული პოლიტიკის შესაცვლელად. შინაგანად კი ბოღმით აივსო და სხვა რამისთვის მოემზადა. სწორედ ამ დროს ლენინს მეორედ ჩაექცა სისხლი. სტალინმა კამენევეს სასწრაფოდ დეპეშა გაუგზავნა. კამენევი საკმაოდ ეშმაკი იყო და მყისვე მიხვდა, როგორ უნდა მოქცეულიყო: როცა ტფილისში ჩამოვიდა, ორჯონიკიძის – სტალინის თანამოაზრის – მხარე დაიჭირა. სტალინური პოლიტიკის შეცვლის მაგიერ მის განმტკიცებას შეუწყო ხელი.

ასე დამთავრდა ეს პატარა ინტერმედია. მაშინ უკვე გადაწყდა, ვინ გაიმარჯვებდა მომავალში. ჩაექცა თუ არა ლენინს სისხლი, ტროცკიმ ისტორიული სიმამაცე და საკუთარი თავის რწმენა დაკარგა. მან არ იცოდა, რომ ქართულ ენაში „ბედს“, „გამბედაობას“, „ბედნიერებას“ ერთი ძირი აქვს. სტალინმა კი იცოდა, და არა მხოლოდ ასოების მიხედვით, თუმცა მესამის – ბედნიერების – აღსაქმელად იმთავითვე აკლდა ორგანო. ჯერ კიდევ ლენინის სიცოცხლეში მან გაბედა ყოფილიყო ლენინი. რაც შემდეგ მოხდა, მხოლოდ გაღვივება იყო ჩანასახისა. მოკვდა თუ არა ლენინი, სტალინმა სამუდამოდ მოაშთო ტროცკი. ორი დემონის ბრძოლა-

ში, როგორც ყოველთვის, აჰრიმანმა – სიძულვილის ნაშიერმა – დაამარცხა ლუციფერი. სხვა დიადოხების დამარცხება ადვილი საქმე იყო. სტალინმა ლენინის ადგილი დაიკავა.

გადიოდა დღეები, კვირები, თვეები, წლები. ოპოზიციური პარტიები მარჯვნიდან და მარცხნიდან თავს ესხმოდნენ სტალინს. სტალინი, მრავალმხრივ გამოცდილი, მუდამ იმარჯვებდა. დამარცხებულნი ქედს იხრიდნენ მის წინაშე, იჩოქებდნენ და ცოდვებს ინანიებდნენ. „ლეგენდარული ქართველის“ გამარჯვებები ყველას უკვირდა და ლენინის მიერ შერქმეულ ამ მეტსახელს ახლა ყველა ყურადღებით აკვირდებოდა. უკვირდათ და ვერ გაეგოთ: როგორ? საიდან ასეთი ძალა ამ ველურ, უხემ კავკასიელში? მათ ვერ გაეგოთ, რომ სტალინის ბოლშევიკურ ფსიქიკაში დაუშრეტელი ინსტინქტები კვებავდნენ რაციოს. სწორედ ეს იყო გადამწყვეტი გამარჯვებისთვის. გამარჯვება გამარჯვებას მოსდევდა, სტალინი დღითი დღე იზრდებოდა და ვერავითარი ძალა ვეღარ აჯობებდა მას. ყოფილ რუსეთის იმპერიაში უშიშრო ეპოქას ერთბაშად არნახული ტოტემური ძალის მქონე კაცი მოევლინა.

რევოლუციის ბედი, ლენინი, კუბოში იწვა ბალზამირებული – მითი ახალი ფარაონისა. რევოლუციის მებრძოლი ტროცკი, გაგდებული, ბოსფორის ნაპირებზე მემუარებს წერდა. რევოლუციის საჭე ხელთ ეპყრა სტალინს. ის იჯდა კრემლში როგორც ადამიანადქცეული რადიომიმღები: საბჭოთა ქვეყნის კიდით კიდიდან უთვალავ ტალღებს იღებდა. ის ამ ტალღების მხოლოდ მიმღები კი არ იყო, არამედ მათი შემოქმედი და განმსჯელი. ერთი განკარგულებით შეაჩერა ქვეყნის კოლექტივიზაცია, როცა „წარმატებებმა“ თავბრუ დაახვია განსაკუთრებით ყოჩაღებს და ლამის კატასტროფა გამოიწვია. თვითონ უცნაური მოლეკულა თვრამეტი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ მუშათა მასების მოლეკულურ პროცესებში ყვინთავდა და არც ერთი მოლეკულა შეუხებელი არ დარჩენია. სხვა თანამებრძოლნი რევოლუციამდე რუსეთიდან შორს ცხოვრობდნენ: რუსეთის განვითარებას ევროპის ემიგრანტული მანსარდებიდან ადევნებდნენ თვალს. სტალინი კი მუდამ მუშათა მასების ქარბორბალაში ცხოვრობდა – მუ-

დამ უჩინარი, მაგრამ ქმედითი ელემენტი. ძველ დროში ტომის ბელადში მთელი ტომის ძალა იყრიდა თავს, სტალინში შეგროვდა პროლეტარული ენერჯია, და როცა რევოლუცია ძლევამოსილად გაიშალა, მან ამოყვინთა: ის რევოლუციის განხორციელებად იქცა. ის უკვე აღარ იყო ადამიანი, ის იყო არსება, სასტიკი და საშინელი.

ზოგიერთები მას ჩინგიზ-ხანსა და თემურს ადარებდნენ. შედარება მცდარი გახლდათ: მონგოლ დამპყრობლებს ჰქონდათ ცეცხლი, გაქანება და სიშმაგე. სტალინს არ ჰქონია ცეცხლი, ის ცივისსხლიანი იყო. ეს ერთგვარად აორმაგებდა კიდევ მის ძალას. სტალინს არ უხდებოდა ნიცშეს სიტყვები გენიის სიმნიფის შესახებ: „ის კვლავ პოულობს სერიოზულობას, რომელიც ბავშვობაში ჰქონდა თამაშისას“. მას არ ჰქონია ეს სერიოზულობა, თვით ბავშვობის ასაკში აკლდა ბავშვობა, თავიდანვე რალაც ამძიმებდა და არ უყვარდა თამაში. ყოველგვარი კომპლექსებისა და შეფერხებების გარეშე მოქმედებდა როგორც ბუნების ძალა, ბრმად და მძლავრად.

მას შურიანობას მიაწერდნენ და შემდეგ ჰყვებოდნენ. პეტროგრადის გადარჩენისათვის პოლიტბიურომ ტროცკი „ნითელი დროის“ ორდენით დააჯილდოვა. უეცრად კამენევმა წინადადება შემოიტანა, ასეთი ორდენი სტალინსაც ეკუთვნისო. „რისთვის?“ ხმამაღლა იყვირა კალინინმა. ბუხარინმა განმარტა: „ნუთუ არ გესმით? ეს ლენინის იდეაა. სტალინი ვერ იტანს, როცა არ იღებს იმას, რაც აქვს სხვას. ის ასეთ ღამეს არასოდეს პატიობს“. ამას იხსენებდნენ და ვერ ამჩნევდნენ, რომ, თუ მართლაც ასე იყო, მაშინ ლენინისთვის ადამიანის ცნობას უმტყუნია. სტალინს არ შეეძლო შურიანი ყოფილიყო. მართალია, სხვისი გამორჩეულობა აუტანელი იყო მისთვის, მაგრამ განა იმიტომ, რომ სურდა თვითონ ყოფილიყო გამორჩეული: იგი საერთოდ რჩეულობას ვერ იტანდა, ვერც საკუთარს და ვერც სხვისას. საკუთარი თავის რჩეულად გრძნობა თრობის ნიჭია: სტალინში კი დიონისოს გადატანითი მნიშვნელობითაც კი არასოდეს უცხოვრია. სხვათა შორის, ეს თვისება იყო ჯავშანი ძალაუფლების შენარჩუნებისათვის. იგი არ იცნობდა გამარჯვების ბანგს.

ყველას აკვირვებდა სტალინის ასკეტიზმი, ყველა აღტაცებული იყო იმით, რომ მას არ იზიდავდა მინიერი სიამოვნებანი: არც ქალი, არც თამაში, არც ღვინო. მაგრამ ვერ ამჩნევდნენ, რომ სტალინს სრულებით არ სჭირდებოდა ასკეტიზმი: ასეთი რალაცებისათვის მას უბრალოდ ორგანო აკლდა. უნდა გიყვარდეს, რათა სიამოვნება იგრძნო – თავდავინწყებამდე. მაგრამ სტალინს არასოდეს დავინწყნია თავი. ხოლო დოსტოევსკის სიტყვებს ჯოჯოხეთის შესახებ – თუმც არც ჯოჯოხეთისა სწამდა და არც სამოთხისა და ყოველგვარ ღვთის რწმენას, ლენინის მსგავსად, გვამთმავლობას ადარებდა – დოსტოევსკის სიტყვებს: „ჯოჯოხეთი არის ტკივილი იმის გამო, რომ აღარ ძალგიდს სიყვარული“, ყველაზე მეტი თავსატეხი უნდა გაეჩინა მისთვის. მას არ ჰქონდა სიყვარულის ნიჭი. აქ დაელო ხახა უღრმეს სიცარიელეს მისი კაემნისას, დამნაშავეობის შეუვალ ნილაბს რომ ამოჰფარებოდა.

საქმეებში ჩაფლული სტალინი კრემლში იჯდა. ძალაუფლების პატრონი, მაგრამ არა ხელმწიფე, არსება და არა ადამიანი, რევოლუციური ძალების ელექტროგაყვანილობა გამაფრთხილებელი წარწერით „მომაკვდინებელია“. მასთან ტელეფონით საუბარიც კი ყველას თრგუნავდა. მისი საშიში ზემოქმედებისგან არავინ იყო დაზღვეული. სისასტიკით აღსავსე ძლევამოსილად აღმართულიყო, როგორც საბჭოეთის – და, შესაძლოა, მთელი მსოფლიოს – ცივი და ბრმა ბედისწერა. როცა ხანდახან იდუმალი კონტაქტი გადაირთვებოდა, როცა ის – შეუდრეკელი – დროებით დენის ქსელიდან გამობობლდებოდა დარეტიანებული და გაუცხოებული, როცა შეშინებული გრძნობდა, როგორ ეცლებოდა ღონე, აი, მაშინ სტალინი მხოლოდ სოსო ჯულაშვილი იყო, უბრალო ქართველი. მაშინ ახსენდებოდა შორეული საქართველო, რომლისგანაც ესლა შემოენახა: საცივისა და კახური ღვინის გემო, მრავალჟამიერის ჰანგი და ქართული გინება: „მაგათი დედა კი ვატირე“.


თამაზმა რვეული გადადო და სინათლე ჩააქრო. ბუხარში ჯერ კიდევ ღვიოდა ნალვერდალი. მთვლემარე ნახშირი თითქოს დიდი ძაბვისაგან გათავისუფლებულიყო. თამაზსაც ნელ-ნელა ჩასთვლიმა. თუმცა ძილი არ მოდიოდა. იმ სიფრიფანა

საზღვარს მიაღწია ძილ-ღვიძილს შორის, როცა გრძნობები დაჭიმულია უკიდურეს სინატიფემდე. სიზმარ-ცხადში ბუნდოვნად და უცხოოდ ის ხეები გაახსენდა, ოცდაათი წლის წინ თავისი ხელით რომ დარგო მშობელ მიწაში. მწუხარედ დასცქეროდა ახლა მიწაზე დაცემულ ამ ხეებს, მკვდართ, გამხმართ, ფესვებამოგლეჯილთ. სიზმარსა და ცხადს შორის წამით ამ ხეებად იქცა. შეძრწუნდა. სიცოცხლის კიდეზე იგრძნო თავი, საკუთარი თავისა აღარ სჯეროდა. მისი არსება ხანდახან მკვეთრად ეხებოდა იმ ზღვარს, სადაც არარა და ღმერთი ერთად არიან. ამჯერად ისე ჩანდა, თითქოს მხოლოდ საშინელს შეეხო, „არარას“ – სუნთქვა გაუჩერდა – პირდაღებულ სიცარიელეს, რომელიც გაქრობას უქადის და „არად-ყოფს“. თამაზი ძლიერ შეშინდა. თითქოს სიკვდილი შეეხო, ძილ-ღვიძილიდან გამოერკვა, ცივ ოფლში ცურავდა. უნდოდა ელოცა – მაგრამ ლოცვა მაშინ შეიძლება, როცა სული ივსება, როგორც თავთავი ჩუმი მწიფობის მადლიან ჟამს. თამაზმა იგრძნო: წამიც და გონებას დაკარგავს არარას წინაშე... ნაკვერცხალი თეთრად აღარ ვარვარებდა, უკვე ჩაეთვლიმა. თამაზმა კვლავ აანთო სინათლე, შინაგან სიღრმეებს მიუგდო ყური. ანაზდად ბუხართან ხის მორზე დიდი მორიელი შენიშნა. შიშმა მოიცვა, სუნთქვა შეწყვიტა. მორიელი არ ინძრეოდა. თამაზი, ჰიპნოტიზირებული, წამოიძვრა, მარცხენა ხელში ფანქარი აიღო, მარჯვენაში – კალმისტარი და მორიელისკენ გაემართა – ჩუმად, მოუხეშავად. მთელი სხეული უთრთოდა. მორიელი ოდნავ შეირხა, თავის დასაცავად მოემზადა. თამაზი შიშსა და ზიზღს აევსო, განადგურების ტკბილ მოლოდინსაც. გაბრაზებულმა ფანქრითა და კალმისტრით ერთბაშად აიყვანა მორიელი და ნაკვერცხლებში მოისროლა... გაშეშებული ელოდა... მაგრამ დახე, არაფერი მომხდარა, მორიელი იდუმალად გაქრა. თამაზი შეშინებული და დათრგუნული შემოტრიალდა. უეცრად იმ ხელნაწერში, სტალინს რომ ეხებოდა, ნაზი შრაშუნი მოესმა: ნუთუ რვეულში შეძვრა მორიელი? თამაზს ფიქრი აღარ შეეძლო, აკანკალებულმა ფრთხილად აიღო რვეული და ცეცხლში შეაგდო: ჭკუაზე შემცდარივით უყურებდა ცეცხლის ალში გახვეულ ფურცლებს. ნელ-ნელა ფერფლად იქ-

ცნენ... უეცრად გარედან მანქანის შემოგელვების ხმა მოესმა. ცოტა ხნის შემდეგ კი საექვო ზარი კარზე. რამდენიმე წამში ორი გპუ-ელი გაჩნდა. თამაზი კვლავ გონს მოეგო. აპატიმრებდნენ. გპუ-ელებმა რვეულის ერთი პატარა, დაწვას გადარჩენილი ნაგლეჯიც გამოიღეს ბუხრიდან და თან წაიღეს. მთელი გზა მხოლოდ ამას ფიქრობდა: ნუთუ შეიძლებოდა, ქალაქის ამ ნაგლეჯს რაიმე საექვო ნაწერი შერჩენოდა?

გერმანულიდან თარგმნა
ალექსანდრე კარტოზიამ

გრიგოლ რობაქიძე. ჩაკლული სული.
თბილისი: ფირმა „ივერია“. 1991.



მარკ ტვენნი (ნამდვილი სახელი და გვარი – სემუელ კლემენსი) 1835 წელს დაიბადა ფლორიდაში, მისურის შტატში. 1847 წელს, მამა რომ გარდაეცვალა, სკოლიდან გამოიყვანეს და სტამბაში მიაბარეს შეგირდად. ამის მერე ბევრგან მუშაობდა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მისთვის გემის ლოცმანობა იყო მდინარე მისისიპიზე. 1876 წელს დაიბეჭდა მისი პესტსელერი „ტომ სოიერის თავგადასავალი“, რომელსაც ათიოდე წლის შემდეგ მოჰყვა „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“. მან ბევრი სხვა თხზულებაც გამოაქვეყნა („ოქროს ასაკი“ – 1873, „უფლისწული და მათხოვარი“ – 1881, „იანკები მეფე არტურის სასახლის კარზე“ – 1894 და სხვ.), მაგრამ სწორედ ტომ სოიერისა და ჰეკლბერი ფინის მხატვრული სახეების გამო შეიყვარა იგი მკითხველმა და აღიარა მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსად. სიკვდილამდე ერთი წლით ადრე მარკ ტვენმა თქვა: „მე 1835 წელს მოვედი კომეტა გალეისთან ერთად, ერთი წლის შემდეგ ის ისევ დაბრუნდება და მასთან ერთად წასვლას ვაპირებ“. ასეც მოხდა – 1910 წელს მარკ ტვენი გარდაიცვალა.

გუბერნატორის არჩევნები

ამ რამდენიმე თვის წინათ დამოუკიდებელთა პარტიამ ჩემი კანდიდატურა წამოაყენა ნიუ-იორკის დიდი შტატის გუბერნატორის თანამდებობაზე. კენჭი უნდა მეყარა მისტერ ჯონ სმითისა და მისტერ ბლენკის წინააღმდეგ, რომელთა კანდიდატურები სხვა პარტიებმა წამოაყენეს. ვგრძნობდი, რომ ამ ჯენტლმენებთან შედარებით ერთი დიდი უპირატესობა მქონდა – შეუბღალავი რეპუტაცია. უბრალოდ რომ გადაგეკრათ თვალი გაზეთებისათვის, მიხვდებოდით, რომ თუკი ოდესმე ჰქონდათ ჩემს მეტოქეებს კარგი სახელი, ეს დრო უკვე წარსულს ჩაბარებოდა: ათასი ქუჩი მოსცხებოდათ ამ ბოლო წლებში. თავი მომქონდა ჩემი უპირატესობით და გახარებული ვიყავი. თუმცა ერთ ღამეზე მაინც მეთანაღრებოდა გული – ჩემი გვარი ყალბაბანდებთან ერთად უნდა ეხსენებინათ. სულ უფრო და უფრო მანუხებდა ეს ფიქრი. ავდექი და ბებიაჩემს მივწერე ასე და ასე-მეთქი. პასუხს არ დაუგვიანია, ბებია მწერდა:

„მთელი შენი დღე და მოსწრება პატიოსნად და სინდისიერად იქცეოდი; ძეხორციელს ვერ ნახავ, თუნდაც ერთი ბენო უსინდისობა ახსოვდეს შენი. ეგ შენი მეტოქეები ხომ ხედავ, რა ხალხიც

ყოფილან – გაზეთებში ჩაიხედე და გაიგებ. შენ თვითონვე განსაჯე – გეკადრება კი თავი დაიმცირო და საჯაროდ შეებრძოლო მაგისტანა ხალხს!“

მეც ეს არ მტანჯავდა? მთელი ღამე თეთრად გავათენე, თვალი არ მომიხუჭავს. მაგრამ უკან დახევა აღარ შეიძლებოდა და მეც თანხმობა განვაცხადე, გადავწყვიტე გამარჯვებამდე მებრძოლა.

ღილით, საუზმეს რომ შევექცეოდი და უგულისყუროდ ვათვალიერებდი გაზეთებს, უცებ ასეთ შენიშვნას მოვკარი თვალი და სახტად დავრჩი.

„ც რ უ მ ო ნ მ ე. იქნებ ახლა მაინც ინებოს ბატონმა მარკ ტვენმა, როგორც გუბერნატორობის კანდიდატმა, და გულწრფელად აღიაროს – როგორ მოხდა, რომ 1863 წელს კოხინ ჩაინას ქალაქ ვაკავაკში ოცდაათობმეტმა მონმემ ამხილა მისი სიყალბე და ცრუ ფიცი: თურმე უმწეო ქვრივი დედაკაცისათვის ერთი უბადრუკი მიწის ნაკვეთის წართმევა ენადა, რომელზედაც რამდენიმე ბანანის ხე იდგა. ეს იქნებოდა სრული განადგურება საბრალო დედაკაცისა, რადგან მის ღარიბ ოჯახს იმ მწირი მიწით ედგა სული, სხვა არაფერი ებადათ. მისტერ ტვენი ვალდებულია, განუმარტოს ეს ხალხს, რომლის მხარდაჭერასაც იგი ელის არჩევნებში. გაბედავს?“

ღამის გული გამისკდა! რა საშინელი, არაადამიანური ცილისწამებაა! კოხინ ჩაინა თვალით არ მენახა! ვაკავაკი პირველად მესმოდა! ბანანის ხე და კენგურუ ჩემთვის ერთნაირი ცნება იყო. აღარ ვიცოდი, რა მექნა. სიბრაზისაგან ღონე წამერთვა. ის დღე ისე მიიწურა, რომ ვერაფერი ვიღონე. მეორე დღეს იგივე გაზეთი წერდა:

„ს ა გ უ ლ ი ს ხ მ ო ა მ ბ ა ვ ი! – უნდა შევნიშნოთ, რომ კოხინ ჩაინას ცრუ ფიცთან დაკავშირებით მისტერ ტვენის საექვოვოდ დუმს“.

(ამ დღიდან მოკიდებული, საარჩევნო კამპანიის დამთავრებამდე ეს გაზეთი სულ „შერცხვენილ ფიცისგამიტებს“ მისტერ ტვენს მიწოდებდა).

ამას მოჰყვა მეორე გაზეთის ცნობაც:

„ს ა ს უ რ ვ ე ლ ი ა გ ა ვ ი გ ო თ, ინებებს თუ არა გუბერნატორობის ახალი კანდიდატი, განუმარტოს თავის ამომრჩევლებს

(რომელთაც თავი უნდა გადადონ და ხმა მისცენ მას!) მონტანას წვრილმანი ამბები, სადაც ჯარის ამხანაგებს ათასი ღამე ეკარგებოდათ და მერე კი ყოველთვის ან მისტერ ტვენის ჯიბეში ან მისივე „ჩემოდანში“ (ერთ ძველ გაზეთში, რომელშიაც ის თავის ხარახურას ინახავდა) აღმოაჩენდნენ ხოლმე. ბოლოს ამხანაგებმა თავს იდევს მეგობრული სამსახური გაენიათ და ჭკუა ესწავლებინათ მისთვის – კუპრში ამოთხვარეს, გარედან ბუმბულები მიაცარეს, ჯოხზე გააკრეს და მთელი ქალაქი შემოატარეს; მერე კი ურჩიეს, სხვა ოთახში გადაბარგებულიყო. საინტერესოა, ინებებს თუ არა მისტერ ტვენი ამის განმარტებას?“

ასეთი საძაგლობა გაგონილა?! ჩემს დღეში არა ვყოფილვარ მონტანაში.

(იმ დღიდან მოყოლებული, სულ „მონტანელ ქურდ“ ტვენს მიწოდებდა ეს გაზეთი).

ამის შემდეგ ისეთი შიშითა და სიფრთხილით ვილებდი გაზეთს ხელში, რა სიფრთხილითაც საბანს გადასწევს კაცი, რომელსაც ლოგინში შხამიანი გველი ეგულება.

ერთხელ ასეთ შენიშვნას მოვკარი თვალი.

„ც ი ლ ი ს მ ნ ა მ ე ბ ე ლ ს ნ ი ღ ა ბ ი ჩ ა მ ო ხ ს ნ ე ს!
ფაივ-პოინტსელმა ესკვირმა მაიკლ ოსფლანაგანმა და უოლსტრიტელმა მისტერ კეტი მალიგანმა და მისტერ სნაბ რაფერტიმ ფიცით დაადასტურეს, რომ მისტერ ტვენის მტკიცება, თითქოს ჩვენი ღირსეული კანდიდატის მისტერ ჯონ სმითის პაპა ყაჩაღობისთვის ჩამოეხრჩოთ, თავიდან ბოლომდე მოჭორილია. განა შემადრწუნებელი არ არის, რომ ზოგიერთი კარიერისტი ეგოისტური მიზნების განსახორციელებლად აღარაფერს ეპუება და მიცვალებულსაც კი არცხვენს! ამას ვერ მოითმენს პატიოსანი ხალხი. ვურჩევთ შეურაცხყოფილ და დამცირებულ ხალხს, საკადრისად გაუსწორდნენ ცილისმწამებელს!“

ბოლო ფრაზამ მალე გამოიღო შედეგი. იმავე ღამეს იძულებული შევიქენი ლოგინიდან წამომდგარიყავი და უკანა კარებიდან გავპარულიყავი. „შეურაცხყოფილ-დამცირებულ“ ხალხი კი ჩემს სახლში შეიჭრა, მინები ჩაამსხვრია და ზოგ-ზოგი ღამე ანაპნა.

ღმერთმა ხომ იცის, მისტერ სმითის პაპისათვის ცილი არასოდეს დამინამებია. მართალი თუ გინდათ, არც კი ვიცოდი – ასეთი კაცი თუ არსებობდა ქვეყანაზე.

იმ დღიდან მოკიდებული ეს გაზეთი სულ „საფლავების შემგინებელ“ ტვენს მიწოდებდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ თვალში მეცა კიდეც ახალი შენიშვნა:

„ს ა ნ უ კ ვ ა რ ი კ ა ნ დ ი დ ა ტ ი. – მისტერ მარკ ტვენი წუხელ გამანადგურებელი სიტყვის წარმოთქმას აპირებდა, მაგრამ დამოუკიდებელთა პარტიის გაფართოებულ მიტინგზე სულაც არ გამოცხადებულა! მისი ექიმი დეპეშით იტყობინებოდა, გაქანებული ეტლის ქვეშ ჩავარდა, ფეხი ორგან აქვს გადატეხილი და ჯოჯოხეთური ტკივილები სტანჯავსო, და სხვა ამნაირი მონაჩმახები. დამოუკიდებელთა პარტიის წევრები ბევრს ეცადნენ, მიეჩქმალათ საქმის ნამდვილი არსი და გამამართლებელი მიზეზები ეპოვნათ იმ სუბიექტისათვის, რომელსაც ისინი მეზიარახტრობას აკისრებენ.

მაგრამ წუხელვე შეუნიშნავთ სიმთვრალისაგან სახეშეშლილი ვილაც კაცი როგორ წვალეებით შებარბაცდა მისტერ ტვენის სასტუმროში. დამოუკიდებლები ვალდებული არიან დაამტკიცონ, რომ ეს გამოლენჩებული პირუტყვი მარკ ტვენი არ ყოფილა. როგორც იქნა, ნილაბი მოეხსნათ! ამ ფაქტს სადღა დაემალეებიან! ხალხის ხმა ჰქუხს და პასუხს მოითხოვს – ვინ იყო ეს კაცი?“

დაუჯერებელი იყო, წარმოუდგენელი! როგორ შეიძლებოდა ჩემზე ასეთი სიბილწე ეფიქრათ! სამი წელი ისე მიიწურა, ერთი წვეთი ღვინო არ ჩამიკარებია პირში, არც ელი, არც ლუდი, არც სხვა რამ სასმელი.

მაგრამ დრომ მართლაც თავისი ქნა – სულაც არ მწყენია, როცა ამოვიკითხე „გამოუსწორებელი ლოთი ტვენი“; ვიცოდი, რომ არჩევნების დამთავრებამდე შემრჩებოდა ეს სახელი.

ამასობაში დაიძრა და წამოვიდა ჩემი მისამართით ანონიმური წერილები, დახლოებით ასეთი შინაარსისა:

„იმ უბედურ დედაბერზე რას იტყვით, რომელმაც მოწყალება გთხოვათ, და თქვენ კი პანდური ამოჰკარით?“

პო ლ პ რ ა ი“.

ანდა:

„ზოგ-ზოგი თქვენი ბნელი საქმე ჩემს მეტმა არავინ იცის. რამდენიმე დოლარს თუ არ გამოიმეტებთ, ყველა გაზეთი გაიგებს.“

ჰ ე ნ დ ი ე ნ დ ი“.

მალე რესპუბლიკელების მთავარმა გაზეთმა ამომრჩეველთა დაქრთამვაში დამდო ბრალი, ხოლო დემოკრატების ორგანომ ფულის გამოძალვა დამნაშა (ამრიგად ორი ახალი სახელი შევიძინე: „ტვენი – ბილნი გაიძვერა“ და „ტვენი – საზიზლარი ყალთაბანდი“).

ბოლოს ისეთი აურზაური ატეხეს გაზეთებმა და ისეთი დაჟინებით მოითხოვდნენ ჩემგან პასუხის გაცემას წამოყენებულ ბრალდებებზე, რომ დუმილი აღარ შეიძლებოდა, ჩვენი პოლიტიკური კარიერა საბოლოოდ დაიღუპებოდა. მეორე დღეს ერთ-ერთ გაზეთში მართლაც დაიბეჭდა ასეთი შენიშვნა:

„ა მ ვ ა ჟ ბ ა ტ ო ნ ს ვ ე რ უ ყ უ რ ე ბ თ ! – დამოუკიდებელთა პარტიის კანდიდატი დაჟინებულ დუმილს არჩევს. ან კი რა უნდა ქნას, რაც ბრალდებები წაუყენეს, სულ დადასტურდა. მაშ, რატომ სდუმს ასე?! ამ ვაჟბატონს ვერ უყურებთ – ამ შერცხვენილ ფიცის გამტეხს, მონტანელ ქურდს, საფლავების შემგინებელს, გამოუხსნორებელ ლოთს, ბილნი გაიძვერას და საზიზლარ ყალთაბანდს!

კარგად დააკვირდით, ყოველი მხრიდან შეხედეთ და მერე თვითონვე ბრძანეთ – მაინც მისცემთ თქვენს პატიოსან ხმებს ამ გაიძვერას, რომელმაც თავისი ბნელი საქმეების გამო ამდენი ბინძური მეტსახელი დაიმსახურა და ენაც ვერ დაუძრავს, რომ ერთი ბრალდება მაინც უარყოს“.

სხვა გზა აღარ იყო, დავჯექი და საპასუხო წერილების წერას შევეუდექი.

მაგრამ წერა არც კი დამემთავრებინა, რომ ახალი საშინელი ცილისწამება მომიგონეს: ბრალს მდებდნენ საგოყეთის დანვაში, რომელიც ჩემი სახლის წინ იდგა და, თითქოს, ფანჯრიდან ხედს მიმახინჯებდა, ხალხიც შიგ გამობუგაო. გავმწარდი კაცი. მერე დამნაშეს – ალალი ბიძა მოწამლა გაძარცვის მიზნითო. თავგა-

მოდებით მოითხოვდნენ გვამის გაკვეთას. შიშმა შემიპყრო, არ გავგიჟდე-მეთქი. ესეც არ მაკმარეს.

ერთ დღეს ერთ-ერთ წინასაარჩევნო კრებაზე სხვადასხვა ფერის ცხრა ჩამოძონძილი ბალლი მომისიეს. ჩამომეკიდნენ ეს ბავშვები ფეხებზე და მორთეს ჩხავილი – „მამა, მამაო!“

დავთმე! დროშა დავუშვი და იარაღი დავყარე. აღმოჩნდა, რომ საარჩევნო კამპანიის ჩატარება ჩემს ძალღონეს აღემატებოდა. დავჯექი და დავწერე – ჩემს კანდიდატურას ვხსნი-მეთქი, და ხელი მოვანერე.

„პატივისცემით, თქვენი ოდესლაც პატიოსანი, ამჯერად კი შ. ფ., მ. ქ., ს. შ., გ. ლ., ბ. გ., და ს. ყ.

მ ა რ კ ტ ვ ე ნ ი“.

ინგლისურიდან თარგმნა
ვახტანგ ქელიძემ

ამერიკული ნოველა (ორ ტომად).
შეადგინა ციალა თოფურიძემ.
ტ. I. თბილისი: გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“. 1967.

საკა მოჩილაძე (ნამდვილი სახელი და გვარი – გიორგი ახვლედიანი) 1966 წელს დაიბადა თბილისში. 1988 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და იქვე მუშაობდა დიდი ხნის განმავლობაში, თან თანამშრომლობდა გაზეთ „რეზონანსთან“, რომლისთვისაც წერდა საპარლამენტო სხდომების მიმოხილვებსა და სპორტულ რეპორტაჟებს. გამოცემული აქვს მრავალი რომანი და მოთხრობა, არის ლიტერატურულ პრემია „საბას“ არაერთგზის ლაურეატი. მისი ერთ-ერთი საუკეთესო რომანი „სანტა ესპერანსა“ გერმანულ ენაზე ითარგმნა და ევროპელი მკითხველის დიდი ინტერესი გამოიწვია.

სანთა ესპერანსა

(ნანყვეტები)

იოანეს კუნძულზე არ უყვარდათ ვისრამიანები.

მერე რა, რომ ისინი თვრამეტი რჩეული გვარიდან ერთ-ერთის შთამომავალნი იყვნენ? რჩეული ხომ მოსაწონს არ ნიშნავს, ისევე, როგორც სრულყოფილი არ ნიშნავს მაინცდამაინც ლამაზს და კარგს, არამედ უფრო – ჩვეულებრივს. აი, სკამი, ხომ სრულყოფილია? მაგრამ ვინ იტყვის, რომ სკამი ბანქოს ქალაღზე უფრო ლამაზია? განსაკუთრებით მაშინ, როცა ბანქოს მხატვართა შესახვევში შეივლი და იქ დახლებთან თავჩარგულ, ესპერანსული კალმებით მომუშავე მხატვრებს მიაცქერდები? საერთოდ არ გაგახსენდება ის სრულყოფილი სკამები, რომლებზეც ამ, მხრებში საუკუნოდ მოხრილ, ხშირად კი კუზიან შემოქმედებს თავიანთი შეუმჩნეველი გავანი დაუნყვიათ.

ვისრამიანთა სიყვარული შეუძლებელი იყო, მათთან მეგობრობა – წარმოუდგენელი.

მაგრამ ვისრამიანები არსებობდნენ და ვერაფერს გახდებოდი.

ისინი არსებობდნენ სწორედ იმ დროიდან, რაც კუნძულზე ციხესიმაგრის მშენებლობა დაიწყო. ალბათ, მანამდეც არსე-

ბობდნენ, მაგრამ პირველად იქ გამოჩნდნენ. მანამდე სხვა გვარი ექნებოდათ, თუ ჰქონდათ საერთოდ გვარი, ვისრამიანები კი იოანეს კუნძულებზე დაერქვათ, ვინაიდან პირველი ვისრამიანი ციხესიმაგრის მშენებლობისას ასი მუშის უფროსად გამძვრალიყო. მისი სახელი არ დარჩენილა, მაგრამ სახელი სწორედ ეს იყო: ვისრამიანი დაარქვეს, არა სპარსულ ლექსთა და ამბავთა სიყვარულის გამო, რაიც შეუძლებელი იქნებოდა, ვინაიდან სპარსული მაგ დროის საქართველოში მხოლოდ ნარჩევმა ხალხმა იცოდა და ლექსთა ტკბილთა სათქმელ ჯადოსნობად სჭიროდათ, არამედ იმიტომ, რომ ეს მკაცრი ასისტავი, ნახარჯ-მოხმარებულ-ნათალი ქვისა და კვერცხნარევი ტალახის ანგარიშებს რომ ადგენდა სამხრეთის კედელთან, რომლის ამოყვანაც ევალებოდა, გამუდმებით იმეორებდა საშენთა გამო, ვისი და რამდენიო.

ოხერი, ბევრჯერ დამთვლელი კაცი ყოფილა. ერთი ხუროსთვის ხელიც კი უკრავს და დაუგორებია დაბლა, რაც ორი ათას კირმანეულად დაჯდომია.

ქვა მოჰქონდათ ნავებს ჩაბმული ტივებით, უკვე გათლილი და გამზადებული. ქვა ძვირი იყო კუნძულზე. ხუროთა და ქვისმთლელთა ამბავი მოგეხსენებათ, მაინც თავის ჭკუაზე უნდა მოარჯულონ უკვე გათლილი ქვები, კიდეზე სატეხი დაუმიზნონ, ჩაქუჩი ჰკრან და ნატეხი განზე გადააგდონ.

ვისრამიანი თურმე მარტო საქმისას კი არ ითვლიდა, ვისი და რამდენიო, არამედ ამ ნატეხებსაც, და არა მხოლოდ ითვლიდა, არამედ აგროვებდა კიდეც. ყოველ სალამოს ოთხ ტომარას გაავსებდა ხოლმე ამ ნატეხებით, აჰკიდებდა ორ ჯორს და მშენებელთა ბანაკად ჩამოჰქონდა. ყველა რომ დაიძინებდა, ვისრამიანი ფხიზლობდა, კვლავ წამოყრიდა ჯორებს და ამ ტომრებს მოშორებული ტყისპირისკენ ეზიდებოდა.

ციხესიმაგრის მშენებლობა რომ დამთავრდა, ვისრამიანმა მთელი ჯამაგირით მეტივები და ჯორები იქირავა და მამინ უსახელო მთავარი კუნძულიდან სამხრეთის, შემდგომ ხალხში ვისრამიანისად წოდებულ კუნძულზე გადაზიდა. მეფე და ჭყონდიდის ეპისკოპოსი შეპირებულიყვნენ, ციხის შენებაში ჩაბმულ ყოველ ათასისთავს საგანგებო მიწას ვუსახსოვრებთ ამ კუნძულ-

ზე, ხოლო ასისტავებს, იმ ორ პატარა კუნძულზე, ამ დიდს რომ ჩაბმიაო.

ასისტავ ვისრამიანსაც მოუზომეს მინა, მაგრამ აბა ვინ იფიქრებდა, რომ მისი სახლი ქვისა იქნებოდა. საუკუნენახევრის განმავლობაში იოანეს კუნძულებზე ქვისგან ნაგები სამი ადგილი იყო: ციხესიმაგრე, მონასტერი და ვისრამიანების სახლი სამხრეთის კუნძულზე.

ვისრამიანებს აზნაურობაც კი არ მიუღიათ, აზატები ერქვათ, მაგრამ ისე კი გამოვიდა, რომ სანტა ესპერანსას აეროპორტმა სწორედ იმ ადგილას გაფინა თავისი ასაფრენი შარაგზები, რომელიც მეთორმეტე საუკუნეში მოიზომა სამამულედ პირველმა ვისრამიანმა.

ვისრამიანებს მინა არ მიუყიდათ ბრიტანული ავიაკომპანიისთვის, ნახევარი საუკუნით მიაქირავეს და თან ისე, რომ აეროპორტის დირექტორთა საბჭოში ერთი ვისრამიანი თავისი საგვარეულო ფასიანი ქალაქებით ყოველთვის უნდა მჯდარიყო.

სიმდიდრე უცხო არ იყო ვისრამიანთათვის.

საუკუნეთა განმავლობაში ისინი მდიდარი მეცხვარეები იყვნენ და მატყლითა და ხორციით გვარიანი ქონება იშოვეს და ზვრებიც ჩაყარეს. ოსმალებთან ყოველთვის კეთილად ბრძანდებოდნენ და საერთოდ, ვინც კუნძულს მართავდა, იმათთან საქმე კარგად გამოუდიოდათ. საზოგადოდ და ისტორიულად მათ მთავარი კუნძული, ქალაქი და ციტადელი არ უყვარდათ, ისხდნენ იმ თავიანთ სამხრეთის, მერე ვისრამიანისად წოდებულ მიწის ნაგლეჯზე და მდიდრდებოდნენ, მაგრამ ახალმა დრომ მათ სანტა სიტიშიაც დააჭერინა სახლები, ხოლო მთვლემარე პარლამენტში – ადგილები და ტურისტული სახლების ერთი ცნობილი ქსელის, „ოქროს სახლის“ მფლობელადაც შექმნა. ვისრამიანები ყოველთვის საჭირო ადგილებზე ისხდნენ: ბანკებში, სასტუმროებში, ბუნგალოებში, ბანქოს მხატვართა სახელოსნოებშიც კი. შვიდი საოჯახო საქმე მოეგროვებინათ.

ვისრამიანები არ უყვარდათ.

ეს ადვილი ასახსნელიც იყო და ძნელიც.

ისინი ძალიან ამაყობდნენ იმით, რომ პირველი ქვის სახლი

ამ კუნძულზე მეფემ ააშენა, მეორე – კათალიკოსმა, მესამე კი – პირველმა ვისრამიანმა. ისინი ასევე ამაცობდნენ, რომ პირველი გვარი, რომელიც ამ კუნძულზე კაცს დაერქვა, ვისრამიანი იყო. ისინი ასევე ამაცობდნენ, რომ ესპერანსულად მოქარგულ სასუვენირო, მატყლით გამოტენილ ბალიშებს კოხტა იარლიყებზე ამაცად ეწერა: „ვისრამიანი მერჩენდაის“. უსაზღვრო იყო მათი სიამაყე იმის გამო, რომ აეროპორტის მთავარ ალაცაფს ამშვენებდა დაფა, რომ სწორედ ამ ადგილას იდგა სანტა ესპერანსას პირველი ქვის სახლი, რომელიც ვისრამიანმა ააშენა და საერთოდაც, განუზომელი იყო მათი სიამაყე იმის გამოც, რომ ისინი არსებობენ, სხვები კი ასევე არსებობენ, მაგრამ ვისრამიანები არ არიან.

საოჯახო ადათები ვისრამიანებს თავისებური და ხერხიანი დაედოთ. იმათში იყო ბრაზიც და ვაჟკაცობაც, თუმცა რომელს უფრო დაარქმევდი, შენი გონების ჭრაზე ეკიდა.

რახან ამათ მთავარი კუნძული არ უყვარდათ და მხოლოდ გასამდიდრებლად სჭირდებოდათ, ჩაითვლებოდა, რომ ვისრამიანები საუკუნეთა განმავლობაში ჩაკეტილად ცხოვრობდნენ და სასაფლაოც კი თავიანთი ჰქონდათ.

საგვარეულო შეკვეთა იყო, თუ სხვა ხიმიანდრობა, ყოველ მამაკაც ვისრამიანს სამი შვილი ეძლეოდა, ყოველ ქალს კი – ორი. გაგრძელებაც შეკვეთას ჰგავდა: მამაკაცს ორ ვაჟსა და ნაბოლარა ქალს აჩუქებდა ღმერთი, ქალს კი – ქალსაც და ვაჟსაც. პირველი ვისრამიანიდან ასე იყო. მამაკაცი ვისრამიანები ადრე მელოტდებოდნენ და მარჯვენა ხელის ნეკზე ფრჩხილი ორად გაყოფილი ეზრდებოდათ, ქალებს კი ყოველთვის ძალიან შავი თმა და შინდისფერი თვალები დაჰყვებოდათ.

ვისრამიანები თავიანთ გვარს შინაურული სახელითაც მოიხსენიებდნენ ხოლმე. ეს სახელი მათთვის საამაყო იყო, სხვებისთვის – სახითხითო. ვისრამიანები საკუთარ მოდგმას „შენახულებს“ უწოდებდნენ. ეს არა მხოლოდ იმას გულისხმობდა, რომ ვისრამიანებს რჯული არასოდეს შეუცვლიათ, არამედ იმასაც, რომ ისინი ყოველთვის ქართველებს ირთავდნენ ცოლად და მეტიც, სიძეებსაც მარადუამს ქართველობაში ეძებდნენ. ახირე-

ბა იყო, თუ საგვარეულო ვალდებულება, არავინ იცოდა, მაგრამ კუნძულების ხალხი თავს დაცინულად ხედავდა იმის გამო, რომ როცა მოაწევდა საჭირო ფაქტი, ვისრამიანები ნავებს შეკაზმავდნენ და საქართველოს ნაპირისკენ გასცურავდნენ.

ეს ქორწილს ნიშნავდა: რაც უნდა ნამხდარი, უბედური, არეული და ლატაკი ყოფილიყო ქართველების ქვეყანა, ვისრამიანნი მაინც იქ ეძებდნენ საბედოს. ერთი უცნაური მათი ადათებისა ისიც გახლდათ, რომ ისინი სიძესაც, თითქოს რძალი ყოფილიყო, შინ მოიყვანდნენ და თავიანთი ოჯახის წევრად შექმნიდნენ. ამის დამთანხმებელი ჭაბუკის პოვნა იოლი არ იქნებოდა, რადგან ჩამოსიძებული თანდათანობით ვისრამიანი ხდებოდა და თუკი კაცს გვარი უვარგა და ოდნავი პატივდება მაინც გამოუჩენია თავისი წინაპრისა, ცოლის საგვარეულოს რად შეუერთდება?

მაგრამ, რახან საუკუნეთა განმავლობაში ასე ყოფილა, ჩანს ამნაირი მხეჭაბუკნი საპოვნელია. ვისრამიანები წლობით არჩევდნენ თავიანთ სასიძოებს და სარძლოებს. საგანგებო ჯაშუშა-კაცებსაც კი დაიქირავებდნენ ხოლმე და საქართველოში აგზავნიდნენ საბედოთა მოსაზვერად. ვისრამიანები დიდგვაროვნებს არ დაეძებდნენ, მაგრამ გლეხის ქალიც ძვირი იყო: რომელი ბატონი შეელოდა იაფად სულ ნორჩ ქალს, რომლის ფასიც სამი წლის განმავლობაში ყოველთვიურად მოიმატებდა? მაგრამ ვისრამიანები ახერხებდნენ.

მათი საგვარეულო ისტორია ძირითადად ქორწინებათა ისტორიაა და აქედან გამომდინარე, საგმირო, სხვანაირად კი თავზე-ხელაღებული ამბებია.

საუკუნეთა განმავლობაში, ვისრამიანები ისე ქორწინდებოდნენ, რომ თავიანთ ცოლ-ქმრებს თავიანთსავე ჯვრისწერაზე გაიცნობდნენ ხოლმე. ეს ჯვრისწერებიც ყოველთვის მათ მამულებში სრულდებოდა მღვდლებისგან, რომლებიც აგრეთვე ვისრამიანთა გვარისანი გახლდნენ.

საქმე ერთგვარად გააიოლა ფოტოგრაფიის გამოგონებამ, რადგან ამდენი დანაბარები და საეჭვო მხატვართა ჩახატული სახებანი საჭირო აღარ შეიქნა და მხოლოდ არქივად დარჩა. ვისრამიანთა დიდი საგანძურია მსტოვარ კაცთა მონაწერი ქალა-

დების ორმოცი დიდი ყუთი, რომელთა დასტამბვაც დიდი რამ იქნებოდა, რადგან იქ არაჩვეულებრივი ოსტატობითაა აღწერილი ქალთა და კაცთა ღირსებანი, ხატოვანებანი და მოხდენილობანი საუკუნეთა განმავლობაში და სატკივილოც ის არის, რომ ორმოცი ყუთიდან ოცდაჩვიდმეტში დაწუნებულ საბედოთა ამსახველი ქალაღები ინახება, ხოლო ვისრამიანთ კი ვერავინ შეასმენდა, რომ საოცარი, მრავალტომიანი წიგნი მათ ოჯახს კიდევ უფრო განადიდებდა.

დიალ, ფოტოგრაფიამ თითქოს საქმე გააიოლა, მაგრამ მის შემოღებამდე ოცდაათიოდ წლით ადრე ხუთ საქართველოდ დაშლილ საქართველოს ერთი რამ მოუხდა: ამ ხუთიდან ოთხი თანდათან დაიჭირა რუსეთმა, და რახან მეხუთე კარგა ხანია ოსმალეთს ეჭირა, იმ ოთხში სულ სხვანაირი კანონები შემოვიდა.

ერთ-ერთი ასეთი ცუდი წესი გამოჩნდა პირველი ღამის უფლება, რომლის მონდომებაც ბატონის სინდის-ნამუსზე ეკიდა. ყველაზე უნამუსონი კი ბატონები საქართველოს გულში, ქართლში გამოდგნენ და ეს რუსული გატაცება ხელზე გადაიხვიეს. ერთი მოლაპარაკების შემდეგ, როცა მავანი ბატონი სუმბათაშვილი გლეხის ქალის გაყიდვას დათანხმდა ვისრამიანთა წარგზავნილებს, საჭირო ქალაღდის ხელმოსანერად ქართლს ვისრამიანებიც ჩავიდნენ და სუმბათაშვილმა იქ შეიტყო, რომ მოვაჭრენი თუმც თავისუფალი, მაგრამ მაინც გლეხები ყოფილან საიდანღაც, იმერეთს და სამეგრელოს იქიდან და ქალს იმიტომ ყიდულობენ, რომ ცოლად შეირთონ. სუმბათაშვილმა არად ჩააგდო ის საკითხი, რომ მყიდველები უცხო ქვეყნიდან არიან და ორი ქვეყნის კანონთა შეჯერებიდან ერთი დასკვნა გამოწვლა: წესი უნდა აღსრულდეს, ქალი ჯერ მე უნდა გავსინჯოო. ისე აიტეხა ეს ამბავი, რომ სათავადო სახლიდან ღრიალიც კი გამოისმოდა, მაგრამ მერე თითქოს ყველაფერი მიჩუმდა და სოფლელებმა დაინახეს, როგორ შესვეს ქალი ცხენზე მოსულებმა და როგორ გაქუსლეს.

შემზარავი ტყის პირზე მომხდარი ამბავი იყო: იქ შემაზე მყოფ სუმბათაანთ გლეხებს ვისრამიანთა გუნდის ბოლო მხედარი გაუჩერდა და ხურჯინი გადმოუგდო.

ხურჯინში სუმბათაშვილის თავი აღმოჩნდა.

ამის შემდეგ ვისრამიანებმა თავი ანებეს საქართველოს გულისგულში საბედოთა ძებნას და უფრო დასავლეთით, იმერეთსა და სამეგრელოში გადმოინაცვლეს. ოსმალთს საქართველოში ისინი არ დადიოდნენ, რადგან მუსლიმის შერთვა-გადმონათვლას არა სცნობდნენ.

ვისრამიანთა საქორწილო საქმეები დიდად გაამწარა საერთაშორისო პოლიტიკამაც, რომელშიაც სანტა ესპერანსაც ჩათრეული აღმოჩნდა. შავ ზღვაში უშნოდ ამოჩრილი ბრიტანეთის ხელქვეით მყოფი სამი კუნძული ყელში ეჩხირებოდა იოსებ სტალინს, რომელსაც სანტა ესპერანსა იმპერიალიზმის მთავარ ფორპოსტად მიაჩნდა თავისი ქვეყნის სიახლოვეს და ორჯერ დააპირა კუნძულების სათავისოდ მოთრევა. ერთხელ, 1938 წელს, მეორედ კი – მეორე მსოფლიო ომის მიწურულს, თუმცა, ორივეჯერ საერთაშორისო საჭიროებებმა შეაჩერა. ვისრამიანებს ეს მძიმე დროება იმით დაეტყოთ, რომ რუსთაგან ხელახლა დაპყრობილი საქართველო უკვე საბჭოთა კავშირის ნევრი იყო და 1930 წლიდან საბჭოთა საზღვრები უმკაცრესად დაეგმანა იმავე სტალინს. იმგვარი კლიტეები დაედო, რომ უცხოელის შესვლა და იქ სასიძო-საპატარძლოების კანონიერად ძებნა სრულიად შეუძლებელი იყო, მონონებულს მაინც არავინ გამოგატანდა.

და ვისრამიანებმა მაინც მოუნახეს ხვრელები საბჭოთა იმპერიას. იმ ოცდაათწლეულს, შესაძლოა, მოტაცებათა ეპოქაც ეწოდოს. მათი მსტოვრები, რომლებიც სუნგალები¹ იყვნენ და უკვე საგვარეულო რაზმის იერი მიეღოთ, თურქეთს მიემგზავრებოდნენ, იქიდან საიდუმლო ბილიკებით გადადიოდნენ სამხრეთ საქართველოში და იქ მოხერხებულად მიმოდიოდნენ სოფლებში. ქალებს ან წაბუკებს შეათვალიერებდნენ, ღამე-რუმეებს შეიტყობდნენ, თუ შეძლებდნენ, ფოტოაპარატსაც გააჩხაკუნებდნენ და უკან ბრუნდებოდნენ.

1. **სუნგალები** – სანტა ესპერანსაზე ასე უწოდებენ მესამე, სხვანაირად ჩრდილოეთის კუნძულის მოსახლეებს. ამ კუნძულს ხალხში სუნგალის კუნძული ჰქვია. სუნგალები ყოველთვის კარგად იყვნენ ვისრამიანებთან და მათ სახლებსა და მამულებში ქირით მუშაობდნენ ხოლმე. ვისრამიანებს ბევრჯერ ხელიც გაუმართავთ მათთვის.

ამორჩეული ქალის მოსატაცებლად იმავ გზით მიდიოდა ოთხკაციანი რაზმი.

სტალინის დროებაში ასეთი ლაშქრობა სულ სამჯერ მოენყო, ერთხელ სიძის, ორჯერ კი რძლის მოსატაცებლად და ყველა ჯერზე გაამართლა.

მერე სასაზღვრო დაცვის სისტემები განვითარდა და ქვეყანაში შეღწევა თითქმის შეუძლებელი შეიქნა. სამაგიეროდ, სხვა რამ გაიოლდა; სტალინის სიკვდილმა ვითარება შეაშლილვა და საბჭოეთში მისვლა უკვე ტურისტული იერით შეიძლებოდა. ეს ოპერაციაც ორსაფეხურიანი იყო და ორჯერ და ძალიან რომანტიკულად განხორციელდა. საბჭოელებს არ უყვარდათ, როცა მათი მოქალაქე უცხოელს ეუღლებოდა, განსაკუთრებით ისეთი მტრული ადგილის შვილს, როგორც სანტა ესპერანსა იყო, რომელსაც საბჭოეთი თავის ნაწილად თვლიდა, როგორც ყოფილ საქართველოს ნაწილს, არასოდეს უცვნია იგი ცალკე მხარედ და სრულიად სულელურად უწოდებდა ინგლისელთაგან ოკუპირებულ ტერიტორიას.

ამიტომ, ვისრამიანებს ნაირგვარი ხერხების გამოგონება უწევდათ და თუმც ერთი ქორწინება ჩაეშალათ, ორი ხომ მაინც გამოუვიდათ და ის ჩაშლილი, ერთი ხნით ოჯახურ დარდთა რვეულში ჩაენერა, რადგან ნანაია ვისრამიანმა გათხოვების მორიგ ოპერაციაზე უარი განუცხადა თავის საგვარეულოს, თბილისში რომ მსახიობი ირაკლი კლდიაშვილია, ჩემს ქმრად მე იმას ვთვლი, მერე რა, რომ საბჭოთა საქართველოს მთავრობამ ქვეყნიდან არ გამოუშვაო.

აქვე მოგახსენებთ, რომ ირაკლი კლდიაშვილმა მაინც მოახერხა ქვეყნიდან გაღწევა: 70-იან წლებში ებრაელ ქალზე დაქორწინდა ყალბად, რითაც ისრაელში წასვლის საშუალება მიიღო, ვინაიდან იმ დროს საბჭოელები ებრაელებს მათ სამშობლოში უშვებდნენ ხოლმე. იერუსალიმიდან ირაკლი კლდიაშვილმა სანტა ესპერანსაზე დარეკა და თქვა:

– მე ირაკლი ვარ... ნანაიას თხოვეთ, თუ შეიძლება...

ასე რომ, საბოლოოდ ეს ქორწინებაც გამოვიდა, თუმც, გამოწვევის მიხედვით: მათ შვილი არ ეყოლათ. გამოწვევის ყოველთვის წესს ადასტურებს. სანტა ესპერანსაზე არ უყვარდათ ვის-

რამიანები, ზოგადად და კერძოდ, ქალი და კაცი, ყველანი გარდა ერთისა, რომლის გამოც ამბობდნენ, შეუძლებელია ეგ ვისრამიანი იყოს, ეგ გოგო გვრიტებმა მოაფრინეს საიდანლაც და კაია ვისრამიანს და მის ქმარს, ბუს, შუაში ჩაუნვინესო.

ვისრამიანები არ უყვარდათ...

*
* *

გვიანი იყო, როცა ბუ თავისი სავარძლიდან წამოდგა და ტელევიზორი არ გამორთო. ფეხაკრეფით შეუყვავა სანოლი ოთახებისკენ ამავე კიბეს, ჩუმად შეალო სააბაზანოს კარი, ონკანი მოუშვა და კბილები გამოიხეხა. მერე ჯაგრისი შარვლის ჯიბეში ჩაიდო და ფრთხილად შევიდა სანოლ ოთახში, სადაც მის ცოლს, კაია ვისრამიანს დასძინებოდა „ჩერჩილის ცხოვრების“ ახალი მოზრდილი ტომით გულზე და ლოგინზე ჩამოჯდა. ბუმ ფრთხილად გამოსწია სასთუმლის მაგიდის უჯრა, იქიდან ფოტოების თხელი შეკვრა ამოიღო და პერანგის ჯიბეში ჩაიდო. მერე ჟილეტი და ფოსტლები გაიხადა და ასევე ფრთხილად შეყო ხელი ლოგინის ქვეშ.

იქიდან თხელი საზაფხულო ფეხსაცმელები გამოაძვრინა და ასევე ფრთხილად ჩადგა შიგ ფეხები. მერე ოდნავ ბებრული ჟაკეტი გაიხადა და ცოლის ხმა გაიგონა:

- ბუ... გძინავს?
- ვწვები...
- რომელი საათია?
- ოთხის ნახევარი, – იცრუა ბუმ და საათს დახედა. თორმეტის წუთები იყო.

ქალი კრუსუნით გადაბრუნდა, „ჩერჩილის ცხოვრება“ რბილად დაეცა ხალიჩაზე.

ბუ ფრთხილად წამოდგა და წინდანინ მომზადებულ ჟაკეტს დასწვდა. უჩუმრად გამოცოცდა სანოლი ოთახიდან და კიბეზე ჩაცუხცუხდა.

მერე სამზარეულოში შებრუნდა, ტელევიზორს ოდნავ აუწნია და საარხე პულტი სავარძელზე მიაგდო.

მერე კი ჰოლში გაფრატუნდა და კედლის კარადიდან ტყავის მომცრო ჩანთა გამოაძრო. საკიდზე შლაპას ასწვდა და დაიხურა.

მერე შლაპა მოიხადა, უკან შეაგდო და ნასვრეტებიანი კეპი ჩამოიღო.

კეპი ოდნავ ვიწრო ჰქონდა, მაგრამ მაინც პატიოსნად მოირგო და ჩანთაგადაკიდებულმა ფრთხილად გამოალო სახლის კარი.

ზედ სადარბაზო კართან ორი დარაჯი იჯდა და ტელევიზორს უყურებდა.

ერთი იყო ოცდაორის, მეორე – ოცდაათობმეტის.

ისინი პირველად ხედავდნენ, რომ ბუ ვისრამიანი სახლიდან გადიოდა ფეხით და თანაც ღამით.

– გავივლი ცოტას... – თითქოს თავი იმართლა ბუმ, – კაიას სძინავს. თქვენც დაიძინეთ, რას უყურებთ, სულ სისულელეებია.

ისინი დააბნია ბუს ხილვამ.

– დაიძინეთ, დაიძინეთ...

ბუმ კიბეზე ჩაირბინა და ქურჩას ფეხით გაუყვა.

მცველები წამოდგნენ, თვალი გააყოლეს, იმის თქმაც ვერ მოახერხეს, რომ ერთ-ერთი გამოგყვებით, ან მანქანას გამოგიყვანთ და სადაც გვეტყვით, მიგაბრძანებთო.

– ამან ქალი ხო არ გაიჩინა? – ჰკითხა ერთმა მცველმა მეორეს.

– ჰა... მაგარი იქნება... ჰა... ბიჭო? კაია დახეთქამს კაკლებსა...

– თულა აქ კაკლები...

იცინოდნენ და არც იცოდნენ, რომ ეგებ სამსახურიც დაეკარგათ ამის გამო.

*

* *

ბუ ვისრამიანს სინამდვილეში ვახტანგ ავალიანი, სხვანაირად კი ვახო ერქვა და იყო ქართველი საქართველოდან, რაც ნიშნავს იმას, რომ ის ვერ იტანდა სამყაროს, მაგრამ მოსწონდა იგი. ეს, ასევე ნიშნავს, რომ თუ სხვაგან ხარ, შინ ვერაფრით იქნები.

ბუს არასოდეს უფიქრია ამაზე, თუმცა, ასე კი გამოდიოდა.

ის ბავშვობიდან გარბოდა: ჯერ სტალინის დროის რეპრესიებს მორიდებული ფარმაცევტი მამა დაანონიალებდა ოჯახს რაიონიდან რაიონში, პატარა ქალაქიდან უფრო პატარა ქალაქში: ერთ ადგილას დიდხანს ჩამოუმჯდარი კაცით შინსახკომი არ დაინტერესებდა. გაუმართლა კიდეც, თავისი სიკვდილით აღესრულა სტალინისავე მოკვდომიდან ასე, ერთი წლის თავზე, გული გაუსკდა. ეს ადგილების ხშირი ცვლის ხერხი მამისთვის ერთ გამოცდილ კაცს ესწავლებინა და არ იქნებოდა, არ მოეხმარა, ცოლის ძმა მიქელა ხომ დაუჭირეს და ლაგერებში დაკარგეს. ციმბირი იმხელაა.

ბუ სტუდენტობისასაც გარბოდა, ორი კურსი კობტად დაფარა იმხანად მეტად მოდურ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და იქაურ ჯახსაც აშველებდა ხმას, მაგრამ სრულიად აიბურდა სტუდენტური მიჯნურობის საკითხში და ორ გოგონას შორის არასწორად ამოირჩია. ანუ, ის ამოირჩია, რომელთანაც ნაკლებად ახლოობდა, ხოლო ის, რომელთანაც ახლოობდა, განზე მოიტოვა, რამაც ასე წყაროსავით არ ჩაირიკრიკა და როცა იმ არასწორად არჩეულსაც უწყო ძაფების ჭრა, ერთბაშად ორი ოჯახის მიერ გამართულ ჭყლეტაში მოჰყვა. პირველად უკუგდებულის ოჯახი, ცხადია, ქალიშვილის ღირსებას იცავდა, არასწორად არჩეულისა კი ასევე ქალიშვილის ღირსებას. მთლად დაბნეული ბუ კი ადგა და გაიქცა, სრულიად სხვაგან, ისე, რომ დედასაც შეუთანხმდა. ის გაიქცა იქ, სადაც ყველაზე ხშირად გარბიან ქართველები, რუსეთში. იქ კი დედისა და ბიძაშვილებისთვის მოულოდნელად, უმცროს საზღვაო ოფიცერთა სასწავლებელში მოენყო კურსანტად.

ქართველი იყო და ზღვისა მხოლოდ სანაპირო წყალი თუ უყვარდა საჭყუმპალაოდ. მაინც იქ ჩაირიცხა: ვინ იცის, ფიქრობდა, მერე უფროს ოფიცერთა სასწავლებელში გადავალ და ნამდვილი კაპიტანი თუ ადმირალი შევიქნებიო.

და ის კვლავ გაიქცა, სასწავლებელი ბოლო კურსიდან მიატოვა: მამინ ბევრი იქცეოდა ასე, ხელმოკლეობისა გამო. ვახო მობრუნდა ზღვისპირა საქართველოში და მეზღვაურად მოენყო გემზე. მეზღვაური შემონმებული კაცი უნდა ყოფილიყო, სასურველია, ოჯახს მოკიდებული, მაგრამ ბათუმში მეზღვაურები

ჭირდა. ათასგვარად შეამონმეს, გაუკვირდათ, რომ არც ერთი სასწავლებელი არ დაუმთავრებია, მაგრამ მაინც სანდო კაცად ცნეს, თანაც შიდასატვირთო გემზე უნდა მიეღოთ, რომელიც შავი ზღვის საბჭოთა ნავსადგურებს შორის დაცურავდა.

და ის კვლავ გაიქცა. ეგონათ, რომ დაიხრჩო, თუმცა ისიც იფიქრეს, რომ ღამით გემბანიდან გადახტა და გაცურა. ბათუმიდან ფეოდოსიაში მიმცურავი მშრალი ტვირთმზიდიდან კი გაუჩინარდა და საბჭოთა დაზვერვამაც თორმეტი წლის შემდეგ აღმოაჩინა, ისიც ვარაუდით, ვინაიდან სახელი და გვარი უკვე სხვა ჰქონდა.

ღამით გემიდან გადახტომა საბჭოთა კავშირიდან გაქცევის იშვიათი და სახიფათო, მაგრამ მაინც ნაცადი ხერხი იყო.

ლტოლვილმა იცოდა, რომ თუ განსაზღვრულ დროს, ანუ ღამის ხუთის ნახევრიდან ექვსამდე, გემი განსაზღვრულ ადგილას გაივლიდა, სანტა ესპერანსას უკიდურეს კუნძულამდე ოცდასამი კილომეტრი უნდა გაეცურა. როგორც ჩანს, ვახო ავალიანი, ოცდაოთხი წლისა, ამისთვის მზად იყო და საერთოდაც, მეზღვაურობაც ამიტომ გაენია.

მაგრამ მან მხოლოდ თორმეტი კილომეტრი გაცურა. მერეღა ფიქრობდა, ოცდახუთს ნამდვილად ვერ გავცურავდიო. რიჟრაჟზე მეთევზეებმა დაინახეს. მეთევზეები ვისრამიანების საზღვაო ფლოტილიის მუშები იყვნენ, კეფალზე ნადირობდნენ.

იმის შემდეგ, ორმოცი წლის განმავლობაში ვახო ავალიანი, გადანათლული ბუ ვისრამიანად, არსად გაქცეულა. წესიერი, ოდნავ უბედური და უქონელი, კარგად შესახედი ყმაწვილი კაცი ვისრამიანებმა მოათბეს, მოასუქეს და ქმრად შერთეს თავიანთ ქალიშვილს, კაიას.

ვისრამიანები ვერც ოცნებებდნენ ასეთ სიძეზე. ღვთის გამოგზავნილად თვლიდნენ, რადგან უტეხი საგვარეულო ადათი აასრულებინა მათ და სიძედ სწორედაც რომ საქართველოელი ქართველი მოუვლინა.

ის აღარსად გაქცეულა, რადგან აღმოაჩინა, რომ მისი ქვეყნისგან განსხვავებით, ამ ქვეყანაში შეიძლება, არსად არ ნახვიდე და გაქცეული კი იყო. ის ისე გაიქცა, რომ სულ მალე ბუ შეარქვეს დუმილისა და ზედმეტი ჩაკეტილობისათვის.

ასე გაიარა მთელმა ცხოვრებამ, ალბათ უზრუნველად. ბუ ქართველი იყო და ვერაფერს ეგუებოდა, თუმცა ყველაფერი მოსწონდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იქ იყო, ოღონდ თან სხვაგან.

ბუს ორი შვილი ჰყავდა და ისინი არაადამიანური გრძნობით უყვარდა, მაგრამ მათთან სიცოცხლეში სულ თითოჯერ თუ ესაუბრა გულახდილად.

საბჭოთა კავშირის დაშლის ამბებს ბუ სამ წელიწადს უყურებდა ტელევიზორში. საქართველო რომ გათავისუფლდა, ბუმ ველური ძალით შეჭრილა, მერე კი სადილზე გამოთვრა და სადღაც წავიდა.

რომ დაბრუნდა, თავისი უმცროსი ვაჟი დათა ფანჯარასთან მიიყვანა და უთხრა:

– აი, აქედან რომ ნახვიდე, მერე წყალში გადახტე და გაჰყვე ცურვით, სალამოს საქართველოში იქნები...

საქართველოს გათავისუფლებიდან ბარე ათი-თორმეტი წლის თავზე, ბუმ, რომელსაც არაფერი შეუტყვია არც დედის გარდაცვალების დროისა და არც სხვა ნათესაობისა, ვისრამიანთ კაიას სახლი გამოიხურა და წვრილი ქუჩებით გასწია ყალივან სტრიტისკენ, რათა გამოსათხოვარი შეესვა, იქიდან კი კობტად მისულიყო ნავსადგურში, საიდანაც გამთენიას სტამბოლს უნდა გაჰყოლოდა გემს. სტამბოლიდან საქართველოს გზა საპოვნელი არ იყო.

ბუ ვისრამიანი გაიქცა.

*

* *

ბუ მიდიოდა გაჩახჩახებულ ყალივან სტრიტზე, სადაც ძალიან დიდი ხნის წინათ თუ გაევილო ფეხით. კაი მოხდენილი ქუჩა გამხდარიყო.

ბუ ჩუმად მხუხავი კაცი გახლდათ, თანაც იმ ასაკისა, მსმელ ქართველებს სმის მეხუთე, ძალიან თავისებური ჟამი რომ ჩამოუდგებათ ხოლმე.

ბუმ არ იცოდა კაფეების, რესტორნების და ბარების ფასები და არც მათი კლასისა გაეგებოდა ღამე, ვინაიდან ქართველი გახლდათ და თანაც სამოცს გადაცილებული და ამიტომ, ახალი ღამეების შეცნობით თავს არ ინუხებდა.

ადრევე იფიქრა, ამ ქალაქის გამოსათხოვარი ერთი კი უნდა გადაუშვაო. ოღონდ კი, რახან ქართველი გახლდათ, მარტო დალევა არ უყვარდა და არც სიამოვნებდა, ვინმე მაინც უნდა ჯდომოდა გვერდით, თუნდაც ას ნელს მიტანებული ბებო, რომელიც მის ნალაპარაკებს ვერ გაიგონებდა, მაგრამ შიგადაშიგ თავს დაუქნევდა, ასეაო. შინ ბუ ხშირად სვამდა კატებთან ერთად, სოფლად, ვისრამიანების ფერმებზე, სუნგალ გლეხებთან, რომლებიც ამ კუნძულების მხოლოდღა ღირსეულ ტომად მიაჩნდა და ამიტომაც, ხშირად იყო ხოლმე სოფლად, პატარა კუნძულზე.

ახლა ჩანთაგადაკიდებულმა ბუმ თავისი მთვლემარე თვალები ჩამოატარა კაფეებს და შეაბიჯა იტალიურ ადგილას, რომელსაც ერქვა „მამა ამაღფი“.

ეს ადგილი დიდად არ ბზინავდა და ხალხიც მაინცდამაინც არ მიძალებოდა, მაგრამ სახელი მოენონა და თანაც კრემისფრად შეღებილი დარაბები. სუნი პიცისა იყო, სხვა რა იქნებოდა? პიცა და პასტა. მან მოითხოვა ზეთისხილი, ყველი და ბოთლი ბაროლო. კაი მძიმე ღვინო იყო და სწორედ რომ ეყოფოდა ერთი ბოთლი, გემზე კი კიდევ დაამატებდა.

სამწუხაროდ, ბუ მარტო იყო. იქ მყოფნი რომ მოათვალიერა, საკამპანიო ვერავინ ამოიჩნია.

უკვე მეორე ჭიქა გამოცალა და ზეთისხილებს „მალბორო ლაითიც“ მიაყოლა, როცა „მამა ამაღფის“ კარში ორი ინგლისელი გამოჩნდა.

ერთს ბუ იცნობდა, მათთანაც ყოფილიყო სტუმრად. მწერალი თუ წიგნების დამწერი კაცი იყო, ოღონდ, მისი სახელი არ ახსოვდა. ხოლო მეორეს ბუ პირველად ხედავდა, მაგრამ მიხვრა-მოხვრაზე დაატყო, რომ ისიც ინგლისელი იქნებოდა: ოდნავ დაბალი, წარბებდაფანჩული და თითქმის გაბრაზებული. კაი სიმთვრალე ეტყობოდათ.

– ჰეი, ჭირიმე, – გასძახა ბუმ და ხელი დაუქნია.

მწერალმა გამოხედა, იცნო და კეთილი ღიმილითა და უნაპირო მონდომებით გამოეშურა მისი მაგიდისკენ. ტანმორჩილიც მოჰყვა.

– ბუ, მისტერ ბუ, არა? – მხურვალედ ჩამოართვა ხელი მწერალმა.

– ვრათერ! – შესძახა ბუმ და ჭიქები მოითხოვა.

ის მეორე სქოთი გამოდგა.

ბოთლი უცებ მიიღეს, კაი ლაპარაკი იყო.

ბუმ დაატყო, რომ მეორე ბოთლად ბაროლო აღარ გამოადგებოდათ და მოარბენინებინა რონის გემრიელი ღვინო, ბაროლოზე უფრო იოლად დასალევი და მოსთხოვა თანამეინახეებს, რომ ჭიქები ბოლომდე დაეცალათ, ვითარცა ქართველთა წესია. მწერალი, რომლის სახელსაც ის მეორე არ ამბობდა, ბუს კი არ ახსოვდა, საქართველოში ნამყოფი არ აღმოჩნდა და გაუკვირდა, თუკი ასე სმა შეიძლებაო. ბუმ დასცინა მეგობრულად და მოუწოდა, რომ საქართველოში წასულიყო და იქაურობაზე დაეწერა წიგნები და არა რალაც ჩიბუხზე, რადგან ჩიბუხი იდიოტობაა, იმიტომ რომ ადამიანს თამბაქოს მოწვეას არ შეარგებს.

რონული ღვინის პირველი ბოთლის ბოლოსკენ გაირკვა, რომ ის მეორე, სქოთი, ნამყოფი ყოფილიყო საქართველოში, სადაც დაეძებდა რალაც ძველ ისტორიას, რომელსაც ვერ მიაგნო. ბუ კინალამ ატირდა, რადგან თვითონაც უნდოდა, რადგან ძალიან ენატრებოდა საქართველო. გულახდილად შეატყობინა, მე ორმოცი წელიწადია ვერ ჩავედი და ამ დილით მივდივარო. ინგლისელებმა გაიკვირვეს, აქამდე რა გიშლიდა ხელსო, რაზეც ბუმ მიუგო, კომუნისტებმა სიკვდილი მომისაჯეს, რადგან ოფიცერი ვიყავი და გამოვიქეციო. ამან ალაფრთოვანა მწერალი, ის მეორე კი სტალინზე ბუტბუტებდა რალაცას.

როცა მეორე რონულის ბოთლი დაინყეს, ბუს მადა გაეხსნა და ორი მოზრდილი რომაული პიცა და ხმელთაშუაზღვური სალათიც დაუკვეთა, მეინახეებს კი აუხსნა, მსმელების წესი არ არის წითელი ღვინით თრობა, თეთრი უნდა მივახმაროთო. ისინი დათანხმდნენ, ხოლო მწერალმა შესძახა:

– ბინჯ? ლეთს ბინჯ!

მოატანინეს თეთრი, ფისკარინო, ასევე ორი ბოთლი, მაგრამ ბუმ ზიზლით უკუაგდო თეთრი ღვინისთვის საჭირო, უფრო პატარა ჭიქები. ამის გამო პირველ ჩამოსხმულს ცოტა ვარდისფერი დაჰკრავდა, მაგრამ ეს არაფერი. მოულოდნელად, ბუმ მოითხოვა პური და მოუტანეს კოხტად ნაცხობი. ბუმ პური ღვინოში ჩაანო, მაგიდის კიდეზე დადო და ფეხზე წამოდგა, რის შემდეგაც სულმოუთქმელად დასცალა. ამან აღაფრთოვანა ტანდაბალი სქოთი, მწერალი კი მხოლოდ მწერლურად გააოცა. სქოთი საქართველოში ნამყოფობით კი გამოეჯგომა, მაგრამ ამგვარი რიტუალი არ ენახა და მისი არსი გამოიკვლია, რის შემდეგაც იოლად დაადგინა, რომ აქ მაცხოვრის სისხლსა და ხორცზეა ლაპარაკი და ასე მოიგონებენ და ასე მიაგებენ პატივს მიცვალებულებს.

ამის შემდეგ საუბარი სიკვდილის გადასარბენზე ჩამოდგა. მალე გაირკვა, რომ ბუს სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნია, რათა დაისვენოს. ამან კიდევ ერთხელ აღაფრთოვანა სქოთი, მწერალი კი კიდევ უფრო გააოცა, ზუსტად ისე, როგორც გაოცდებიან ხოლმე მწერლები.

სიკვდილზე საკმაოდ ისაუბრეს.

ბუმ განაცხადა, რომ თავში, მგონი, სიმსივნე აქვს, რადგან მოულოდნელად და ხშირად ასტკივდება ხოლმე, მწერალმა კი ჰარლი სტრიტის ექიმთა ჩამოთვლა დაიწყო, რაზეც ბუმ ხელი აიქნია, მე ქართველი ვარ, ექიმები მძულსო.

სიკვდილს, ცხადია, მოჰყვება ხოლმე ოჯახზე ლაპარაკი და მწერალმაც დიდი, თუმცა შემთვრალი მონივნებით მოიკითხა ბუს მეუღლე. ამ მოკითხვაში ასაკობრიობისდა მიუხედავად ეროტიზმი შეიგრძნობოდა და ავა გარდნერი იყო ნახსენები. ამას კიდევ ერთი ჭიქა მოჰყვა და ბუმ განაცხადა, რომ მის მეუღლეს სძინავს და ეს ყველაზე კეთილი რამ არის, რაც შეიძლება მოიმოქმედოს. მწერალმა გამოთქვა აზრი, რომ მეუღლე ალბათ პირდაპირ ნავსადგურში მოვა მის გასაცილებლად, რაზეც ბუმ თქვა, რომ ძალიან მალე სანტა ესპერანსაზე საშინელი ამბები ატყდება და მისი მეუღლე ეგებ კუნძულების დედოფალიც გახდეს, თუმცა ეს, პირადად მას არ აინტერესებს, რადგან საქართველოში მიემ-

გზავრება და აქ აღარასოდეს დაბრუნდება. ამაზე ყური ცქვიტა ტანდაბალმა, რომელმაც სასწრაფოდ შეავსო ჭიქები და შესვა დედოფლის სადღეგრძელო, თუმცაღა იქვე დაურთო, არ ვიცი თქვენი წარმომავლობა, მაგრამ ამ კუნძულს ერთი დედოფალი ჰყავდა, ჰყავს და ეყოლება და მე მისი მესაჭურვლე ვარო. ბუ არა, მაგრამ მწერალი კი დაინტერესდა ამ დედოფლის ვინაობით და მიიღო პასუხი, ეს გახლავთ მოხუცებული ქალბატონი აგათია ციხისთავი არჩილიანიო.

ამის შემდეგ საუბარმა თითქმის მისტიკური მოსასხამი მოიროგო, მაგრამ მანამდე, ბუს მოთხოვნით, კიდევ დაიმატეს ერთი ბოთლი თეთრი ღვინო.

ბუმ ვერაფრით შეიკავა სიცილი, რადგან ტანდაბალი გასაგიჟებელ ღამეებს ჰყვებოდა. ისეთ ღამეებს, ქართველი რომ ვერასოდეს დაიჯერებს. ამან ოდნავ გააბრაზა ტანდაბალი, ხოლო მწერალმა ჩათვლიმა. ორთა საუბარში გამოიკვია, რომ ბუ ვისრამიანთა ოჯახს წარმოადგენს, რაზეც ტანდაბალმა ჩაიქირქილა, რომ არ უკვირს ვისრამიანის ამგვარი ქცევა დედოფლის მიმართ.

ამით აღშფოთებულმა ბუმ აგინა ყველა ვისრამიანს საუცხოო ინგლისური სიტყვებით და თქვა, რომ მისი შვილები ვისრამიანები სულაც არ არიან, არამედ ავალიანები და ეს სულ სხვა რამ არის. ტანდაბალი მოიხიბლა ამგვარი შეხედულებით და უთხრა, რომ იცნობს მის სიძეს, სპეტაკ რაინდსა და დედოფლის მარჯვენა ხელს, რომელიც ამჯერად ემალება ვისრამიანთა რისხვას, რადგან მათი ქალიშვილის გაქრობას აბრალებენ.

ბუმ საბოლოო ჩამოასხა და უთხრა, რომ კარგად იცის, სად არის მისი ქალიშვილი, ოღონდ ვისრამიანებს არასოდეს ეტყვის, ხოლო მისი ვაჟიშვილი, დათა ბანქოს საუკეთესო მოთამაშეა კუნძულებზე. ამ სიტყვებზე იფხიზლა მწერალმა, რომელსაც ნაცნობი სახელი მოესმა და მხურვალედ ჩამოართვა ხელი ბუს, მეტად გამეხარდა, რომ ჩემი კარგი მეგობრის მამა ბრძანებულხართ, ეს არ ვიცოდით.

ბუმ კი ინანა, რომ ისე ტოვებს ამ ოხერ კუნძულებს, რომ თავის სიძეს ერთხელაც ვერ დაელაპარაკა ხეირიანად და რომ ის კარგ, თუმცა თავზეხელაღებულ ადამიანად მიაჩნია. ტანდაბალ-

მა ჩურჩულით განუცხადა, რომ შეუძლია მისი სიძესთან შეხვედრის მოწყობა.

– როდისლა? – ხელი ჩაიქნია ბუმ.

– ახლავე, ვფიცავ ნავის ჯვარხატს, – გამოაცხადა ტანდაბალმა, რომლის სახელიც ასევე ვერ დაიმახსოვრა ბუმ.

მწერალმა აღარაფერი თქვა, ისევ თვლემდა.

ბუმ გამოსცალა და ასევე მოიქცა ტანდაბალიც. ნამოიშალნენ და ბუმ ასფუნტიანი მიუძღვნა „მამა ამაღლის“ მიმტანს, ხოლო თავისი ჩანთა კედელსა და მაგიდის ფეხს შორის დარჩა.

გარეთ გამოვიდნენ, ეამათ გამთენიის წინარე სიგრილე და სამივემ, ბუნებრივი პირობით, გადაწყვიტა, მოენახულებინა დევნილი სიძე ბუ ვისრამიანისა, რომელსაც, ტანდაბალს თუ დავუჯვრებდით, უკვე დიდი სულიერი მისია ეკისრა.

„მამა ამაღლიში“ თითქმის აღარავინ დარჩა: ერთი ბიჭ-ბუჭურად ჩაცმული, ხნიერი, ღამისმტეხელი კაცი იჯდა და გაზეთს ათვალერებდა, ბუმ მისი მოწვევაც კი გადაწყვიტა, მაგრამ მერე მისი მოსვირინგებული, გამხმარი მკლავები არ მოეწონა და გადაიფიქრა.

ამ კაცს ერქვა ლამურ მოსიარულე და არც ერთი სამთაგანი მას არ იცნობდა, ის კი იცნობდა სამივეს და როცა ამ იტალიური ადგილიდან გამოვიდნენ, ისიც გამოჰყვა. იქ რალა უნდა ეკეთებინა?

*

* *

ედმონდ კლევერს თავში სამი ათასი ტანკი დაუდიოდა და ყოველივეს მაინც მორად ბეის თამბაქოში ჩარეულ ხითხითა ბალახ-ბულახს აბრალებდა.

ედმონდ კლევერს მტკიცედ სჯეროდა, რომ „ალი ბეის და ბასილას ჩიბუხიდან“ წამოსვლის შემდეგ ბევრი არ დაუღევია, რადგან ჩვეულებრივ ცოტას სვამდა, მხოლოდ გუნებაზე მომყვან ოდენობას.

ღამის მსვლელობისა მას ცოტაღა ახსოვდა, ვინაიდან ის და უცნაური გეოგრაფი პარდონ ბელი ორ ქუჩაზე დაეხეტებოდნენ და ბელი უამბობდა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ეძებო ისტორიის ნამდვილი სურათები. ამ კაცს ისე გამოსდიოდა, რომ ნაპოლეონთან ერთად ეცხოვრა წმინდა ელენეს კუნძულზე. კლევერი დიდად არ ეკამათებოდა და სწორედ ამ ლაპარაკ-ლაპარაკში გამოვიდნენ ყალივან სტრიტზე, რომელსაც კლევერი მარად უძინარ ქუჩას უწოდებდა. რიგ-რიგობით იცქირებოდნენ კაფეებსა და რესტორნებში და ბოლოს იტალიურ ადგილას შეაბიჯეს, სადაც ცოტა ხალხი იყო.

აქ კლევერი ერთმა კაცმა იცნო და კლევერმაც იცნო ეს კაცი, რომლის ოჯახშიაც ნასადილვეი იყო.

სმა რომ გახურდა, კლევერმა დაატყო, რომ ამ ხნიერ კაცსა და თვალებანთებულ სქოთს ვერ გაეჯიბრება და ცდილობდა, მათთვის ერგენებინა, რომ ჩაეძინა, თუმცაღა, ამ მცდელობებისას ერთხელ მართლა ჩაეძინა და ძალიან შინაურულადაც გამოაღვიძეს, მივდივართო.

მერე ისინი დაბოდილობდნენ ქუჩაზე. კლევერს უკვე ყურებში უწიოდა გემის გასვლის ნიშანი, თანამგზავრები კი შევიდნენ პატარა მაღაზიაში, საიდანაც გამოიტანეს სამი ბოთლი შამპანის ღვინო და პარკში ჩაყრილი ლელვის ჩირი. მერე მათ მოძებნეს ტაქსი და ჩასხდნენ. კლევერი უარს იყო, მაგრამ შუაში ჩაისვენს.

უკვე ინათა, როცა ტაქსიმ აღმართებზე სვლა მოათავა და გაჩერდა რომელიღაც დიდ კარიბჭესთან. კლევერს მეგობრების ლაპარაკი უკვე ძალიან შორიდან ესმოდა, მაგრამ მიხვდა, რომ ისინი არ ჩქარობდნენ და შამპანურის სმას ეპირებოდნენ.

მათ ტაქსის მძღოლიც შემოიერთეს. რაც კარგად ახსოვდა კლევერს, ის იყო, რომ ზარის რეკვა შემოესმა და ამით მიხვდა, რომ მონასტრის გაღავანთან იყვნენ. ამის გამო, მგონი, იმ კაცმა ცრემლიც კი იდინა, ხოლო პარდონ ბელმა ესე ყოველი დიდ მაგიურ ნიშნად მიიჩნია და გაშტერებულ კლევერს რამდენჯერმე ჩასძახა ყურში:

– გესმის?

კლევერს არ ესმოდა. მას სურდა, ტაქსიში ჩამჯდარიყო და

იქვე დაეძინა, უფრო სწორად, სადმე დამჯდარიყო, რომ თავი მიედო. ტაქსისტი მონდომებით სვამდა ბოთლიდან შამპანურს, რაც იოლი არ იყო.

ერთადერთი, რაც კლევერმა დალაგებულად გაიფიქრა, ის იყო, რომ მონასტერში ცისკრის მსახურება დაიწყო და ეს განაცხადა კიდეც.

თანამეინახენი დაეთანხმნენ, რომ ახლა ბერებისთვის ხელის შეშლა არ ეგების, თუმცა, ის ხნოვანი კაცი მაინც მონდომებით და ხალისით დაიძახებდა ხოლმე რალაცას, ხოლო პარდონ ბელი – იგივეს, ალბათ ინგლისურად.

– ნიკა, გამოდი, ბიჭო, რა მოგივიდა? – ამას იძახდა კაცი, თუმცა კლევერი ვერ იმახსოვრებდა.

– მისტერ ბელ... მისტერ ბელ, და შენც, რა გქვია შენ?

– მურაზი.

– მურაზ, ოსმალო ხარ?

– ქურთი ვარ, სერ... იეზიდი.

– აი, სად შევკრებილვართ ერთად ყველა ჩაგრული და დალუპული. მოდი ეს მწერალი ხევში გადავაგდოთ, – გამოაცხადა უფროსმა.

კლევერმა გაჭირვებით გაიღიმა, არ გამოუვიდა.

– ხევში გადავაგდოთ და იყოს იქ...

– ეხლავე? – იკითხა მძლოლმა.

– არა, საერთოდ გადავაგდოთ... ჩემი საქართველო დაიპყრო რუსეთმა, ამისი შოტლანდია დაიპყრო ინგლისმა, შენი ქურთისტანი ყველამ დაიპყრო... ეს კიდეც ინგლისელია. რა უნდა უუქნათ ინგლისელს? რა უნდათ ინგლისელებს კაი ხალხის სუფრაზე?

– სანტა ესპერანსაც ამან დაიპყრო, – თქვა მძლოლმა.

– აქედან მიეთრევიან. ნახე ტელევიზორში როგორ გაცურა ოცმა გემმა? ჰა, ნახე?

კლევერმა კვლავ გაღიმება სცადა და გამოსცრა:

– იუ... იუ ქანა გო... ქერი ონ.... მაზა ფფფაა...

– აი, როგორია ინგლისელი. ალბათ ისეთივე, როგორიც რუსი. ჩიბუხებს ეწვეიან, ხე-ხე... მოდი, გაგვიმარჯოს დაპყრობილებს და მაგრებს, ინგლისელებმა კრიკეტი ითამაშონ...

– ჰა-ჰააა... კრიკეტი, – რატომღაც გაეხარდა ტაქსისტს – კრიკეტი...

– აქ რისთვის მოვედით? – იკითხა უცებ ბელმა.

– მე გემში უნდა ჩავჯდე, განაცხადა იმ ოჯახიშვილმა, – მე საქართველოში უნდა წავიდე, იქ ომი იყო და უნდა მივეშველო აღდგენაში.

– მე... მინდა... – ბოთლს წაეტანა კლევერი, – მე მინდა, რომ აქედან წავიდე...

– საქართველოში, – თქვა მძღოლმა, – მე წაგიყვანთ საქართველოში, ეფენდი...

– გარშემო ზღვაა, – ამოიოხრა კაცმა, რომელსაც საზაფხულო კეპი ეხურა, – მე არა ვარ ვისრამიანი, არც არასდროს ვყოფილვარ. მე ავალიანი ვარ...

– დიახ, – თავი დაუქნია ბელმა, – გარშემო ზღვაა... რისთვის მოვედით აქ?

– ნიკა, – თქვა უცებ ვისრამიან-ავალიანმა, – ჩემი სიძის სანახავად მოვედით... ნიკა?

– აქ არის? – იკითხა მურაზმა.

ბელმა ღირსეულად ჩაიღიმა:

– ეს მე ვიცი... იცი მე ვინ ვარ? მე დედოფლის მესაჭურვლე ვარ.

– რომელი დედოფლის?

– თამარ დედოფლის, – დაჯერებით თქვა ბუ ვისრამიანმა, – ასე არ არის? თამარ დედოფალი საქართველოს მეფე იყო. პირველ მოადგილედ ქურთი ჰყავდა.

– მართლა? – გაეხარდა მძღოლს.

– თქვენ არ იცით... ნიკაააა! გამო რა, რა გაატრაკე საქმე...

– ეგენი ლოცვას არ განყვიტავენ, – თავი გააქნია მძღოლმა, – შენ კიდევ გემზე დაგაგვიანდება.

– რას ქვია დამაგვიანდება... უჩემოდ გემი არ წავა. მე კიდევ ჩემი სალო-მალე უნდა ვნახო... ჩემი გოგო. იცი, სალო-მალე? ნიკა უნდა მივიყვანო და შევარიგებ... ხო იცი, ბავშვების ამბავი. ხან იჩხუბებენ, ხან შერიგდებიან. ახლა ნაჩხუბრები არიან და აგერ, ამან, თქვა ნიკა შოტლანდიაშიაო...

– მონასტერშია-თქო... დედოფლის მარჯვენა ხელია, – დაასლოკინა პარდონ ბელმა.

– ნიკას რა უნდა მონასტერში? – უცებ გაბრაზდა ვისრამიანი, – ნიკამ უარი თქვა ცხოვრებაზე? სწორი იყო... სწორი იყო ის ვირიშვილი.

– ვინ? – ჰკითხა მძლოლმა

– სტალინი.

– მე იქ ვიყავი, – თქვა უცებ სქოთმა.

– სად?

– სტალინგრადში.

ვისრამიანი ჩაიცინა:

– შენ იქ იყავი და ნიკა აქ არი, არა? ნიკას რა უნდა ბიჭო, მონასტერში, ნიკა ცოცხალი ადამიანია, ნიკა რო მიუშვა, მთებს გადააბრუნებს, მარა აქ ვერ გაუგებენ... ეს ხო ქვეყანა არ არი, ეს არი სალორე. აბა, შეხედე ამას, ეს კაცია?

ედმონდ კლევერი მანქანასთან ჩაკეცილიყო, თავი განზე გადაეგდო და პირდაღებულს ეძინა.

– ამან რამდენი წიგნიც არ უნდა დაწეროს, ეს კაცია? ჩიბუხები, ბომბები, წყალზე გადებული ჩიბუხი, ვინ იყო ჰომოსექსუალისტი... ეგ არი წიგნები? მაგას რა უნდა?

მძლოლს ძალიან გაეხარდა.

– აქა, თქვენ... თქვენი მულამი არი სუპერმარკეტი... დაგიხურავენ სუპერმარკეტს და გეტირებათ დედა, ნამდვილი ცხოვრება სხვაგან არი. არ შემეჭამეს თავისი სუპერმარკეტით? დიდი ღამე... სუნგალში, ერთ ქვევრში უკეთესი ღვინო ასხია, ვიდრე ყველა აქაურ სუპერმარკეტში. არ ჯერათ, იმიტო რო, მიაჩვიეს... ღვინო კარგია ასეთი და ასეთი? მე რო ვერ მიგაჩვიე, იმიტო?

მძლოლმა ტაში დასცხო.

– არ ვიცი, ვინა ხარ, მაგარი ხარ, ვინცა ხარ. წამო, თუ გინდა, სალამომდე მუქთად ვიაროთ.

– ფულში არ არი საქმე... საქმე სიბინძურეშია. ყელამდე სიბინძურეშია ეს კუნძული. გასკდება და მერე ნახე სუპერმარკეტი...

ერთხანს დუმდნენ, ტაქსისტის უფილტრო სიგარეტებს აბო-

ლებდნენ. დაბლა ჩანდა ქალაქი, გაღმა – ძველი ციხესიმაგრე.

უცებ კი პარდონ ბელმა შესძახა:

– საკმარია, ოჰ, ოჰ, საომარი... რას იტყოდით, სერ, რომ შემომმეთავაზებინა მოლაშქრეობა დედოფლის გუნდისა? სალამოსვე შევხვდებით დედოფალს.

– ეს კიდე კაცია, იმისგან განსხვავებით, – უთხრა მძლოლს ცრუ ვისრამიანმა, – ოღონდ სულელია... მე სულელები მიყვარს, – და ბელს გადაეხვია, ჯანიანად ჩაიკრა გულში ის პატარა, ოქროსფერწარბებიანი სქოთი, – არ გაგიგონ, თორე გადაგასახლებენ სუნგალების საგიჟეთში.

– მე იქ ვიყავი, – ჯიუტად გაიმეორა პარდონ ბელმა და აქვითინდა.

– სად?

– იქ, კალატაფიმთან. ყველაფერი ჩემი თვალით ვნახე.

– ცარიელა გულია, ამას შემოვევლე, სიძის მოძებნაში მშველოდა, – შუბლზე დაეკონა ვისრამიან-ავალიანი.

– მაგარი ადგილია ესა, – თქვა მძლოლმა, – აი, საერთოდ არ ისმის ქალაქის ხმა. ამ დროს, ქალაქია. ნახე როგორ გათენდა?

– ღმერთის არჩეულია, ბიჭო, – ბელს ხელი შეუშვა ვისრამიანმა, – დასალევი აღარ არი?

– გემი გავა... – თქვა მძლოლმა.

ვისრამიანმა უბეში ჩაიყო ხელი და რაღაც ქალაღდი ამოიღო:

– აბა, ნახე...

გაუნოდა ტაქსისტს.

– ვაახ... რა კობტა ბილეთია, – თქვა მურაზმა... – კაიუტა ლუქს, ორასორმოცი ფუნტი... „ფერენ ჯუზეპე მირილა“... ვისი გემია?

– ჯანდაბის... – იყო პასუხი.

მძლოლმა მანქანაში შეიხედა:

– ერთი საათის გასულია, მეტის... – თქვა დანანებით.

პარდონ ბელმა დააცემინა.

– ჩააგდეთ ეს მწერალია, თუ ვილაცა და ნავედით, – თქვა ვისრამიანმა.

– სად?

– ნავსადგურში ღამე დავლიოთ. აბა ხო არ გავჩერდებით? იქ იქნება ნამდვილი ხალხი. ყოველთვის ასეა, – მანქანის წინა კარი გამოალო ვისრამიანმა, – ა, ნავედით? გემში ვერ ვჯდები და გემის ხმები მაინც მოვისმინოთ.

– კარგია, – თქვა მურაზმა, – მე ვიცი კობტა ადგილი.

აკა მორჩილაძე.

სანტა ესპერანსა.

თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 2004.



ვიქსორ პელეჰინი დაიბადა 1962 წელს მოსკოვში. 1979 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და ჩააბარა მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტში, რომელიც 1985 წელს დაამთავრა. 1989 წელს შევიდა გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში, საიდანაც 1991 წელს გარიცხეს. ამ პერიოდში მან გამოსაცემად მოამზადა კარლოს კასტანედას სამტომეული და არაერთი პუბლიკაცია ჟურნალისთვის „მეცნიერება და რელიგია“. 1992 წელს გამოვიდა ვ. პელეჰინის მოთხრობების პირველი კრებული, რის შემდეგაც მისი პოპულარობა თანდათან იზრდებოდა და დღეისთვის ის რუსეთის ერთ-ერთ ყველაზე აღიარებულ და ცნობილ მწერლად ითვლება. ცხოვრობს მოსკოვში.

განდგომილი და ექვსთითა

|

– დაახვიე!

– ?..

– ხო გითხარი, დაახვიე-მეთქი. ყურებას მიშლი.

– და რას უყურებ?

– ღმერთო, რა იდიოტია... მზეს, რა თქმა უნდა.

ექვსთითამ თვალი მოაცილა შავ ნიადაგს, რომელიც მოფენილი იყო საჭმლის, ნახერხისა და მიწის ნარევით და თვალმოჭუტულმა ზევით აიხედა.

– ჰოო... ვცხოვრობთ, ვცხოვრობთ – არადა, რატომ? საუკუნეთა საიდუმლოა. და ვინმე კი ჩასწვდა მნათობთა ნაზ, ძაფისებრ არსს?

უცნობმა თავი მოაბრუნა და ზიზღნარევი ცნობისმოყვარეობით დააკვირდა.

– ექვსთითა, – დაუყოვნებლივ გაეცნო ექვსთითა.

– მე განდგომილი ვარ, – უპასუხა უცნობმა. – ეს ასე თქვენს სოციალურ სტრუქტურაში მნათობთა ნაზი, ძაფისებრი არსი?

– ჩვენთან უკვე აღარ, – უპასუხა ექვსთითამ და უცებ დაუსტვინა. – აი, ეს მესმის!

– რა იყო? – იკითხა დაეჭვებულმა განდგომილმა.

– აი, უყურე! ახალი გაჩნდა!

– მერე რა?

– სამყაროს ცენტრში ასე არასდროს ხდება, ერთდროულად სამი მნათობი რომ იყოს...

განდგომილმა ქედმაღლურად ჩაიფხუკუნა.

– მე კი თავის დროზე ერთდროულად თერთმეტი მინახავს. ერთი ზენიტში და ხუთ-ხუთი თითოეულ ეპიციკლზე. მართალია, ეს აქ არ ყოფილა.

– აბა, სად? – ჰკითხა ექვსთითამ.

განდგომილმა არაფერი უპასუხა. მიბრუნდა და ცოტა გვერდით გადაგა, მიწიდან ფეხით საჭმელი გამოქეჩა და ჭამა დაიწყო. სუსტი, თბილი ქარი ქროდა, ჰორიზონტის მომწვანო-მონაცრისფრო ზედაპირზე ორი მზე ირეკლებოდა, და ამ სურათში იმდენი სიმშვიდე და სევდა იყო, რომ ჩაფიქრებული განდგომილი შეერთა კიდეც, მის წინ მდგომი ექვსთითა რომ აღმოაჩინა.

– ისევ შენ ხარ? რა ჯანდაბა გინდა?

– უბრალოდ, დალაპარაკება.

– შენ ხო ჭკვიანი არა ხარ, როგორც მივხვდი, – უპასუხა განდგომილმა. – მიბრუნდი სოციუმში. თორე, აი, სად შემოეხეტე. მართლა, ნადი...

მან ხელი აიქნია ჭუჭყიანი ყვითელი ზოლისკენ, რომელიც ძლივს შესამჩნევად მოძრაობდა, – დაუჯერებელი იყო, რომ აქედან ასე გამოიყურებოდა უზარმაზარი მოგუგუნე ბრბო.

– მე კი დავბრუნდებოდი, – თქვა ექვსთითამ, – მაგრამ გამომაგდეს.

– მართლა? რატომ ვითომ? რა, პოლიტიკაა?

ექვსთითამ თავი დაიქნია და ერთი ფეხით მეორე მოიფხანა. განდგომილმა ფეხებზე დახედა და თავი გააქნია.

– ნაღდია?

– აბა! და ეგრეც მითხრეს – ჩვენ, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი ეტაპისთვის ვემზადებით და შენ კი ფეხებზე ექვს-ექვსი

თითი გაქვს... ნახე რა შენც დროო...

– რა „გადამწყვეტი ეტაპი“?

– არ ვიცი. ყველას სახე აქვს მოღრეცილი, განსაკუთრებით ოც დაახლოებულს, მეტს ვერაფერს ვერ გაიგებ. დარბიან, ღრიალვებენ.

– ა, – თქვა განდგომილმა, – გასაგებია. ის, ალბათ, უფრო და უფრო მკაფიო ხდება, არა? კონტურები კი უფრო და უფრო ცხადი?

– ზუსტად, – გაუკვირდა ექვსთითას. – საიდან იცი?

– ერთი ხუთჯერ მაინც მინახავს ეს გადამწყვეტი ეტაპები. ოლონდ სხვადასხვანაირად ჰქვია.

– მართლა? – თქვა ექვსთითამ, – კი მარა, პირველად რომ ხდება?

– გეგონოს. საინტერესოც კია იმის ნახვა, მეორეჯერ როგორ მოხდება. მაგრამ ჩვენ, ცოტა არ იყოს, სხვადასხვა ღამეზე ვლაპარაკობთ.

განდგომილმა ჩუმად გაიცინა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა სოციუმის მიმართულებით, მერე ზურგით მიუტრიალდა და ფეხები მთელი ძალით ააფხაკურა ისე, რომ მალე მის ზურგს უკან საჭმლის ნარჩენების, ნახერხისა და მტვრის ღრუბელი გაჩნდა. ამავე დროს ის უკან იყურებოდა, ხელებს იქნევდა და რალაცას ბურტყუნებდა.

– ეს რალა იყო? – იკითხა ოდნავ შეშინებულმა ექვსთითამ, როდესაც აქოშინებული განდგომილი მობრუნდა.

– ეს ჟესტია, – უპასუხა განდგომილმა. – ხელოვნების ასეთი ფორმაა. კითხულობ ლექსს და თან მის შესაფერის მოძრაობასაც ასრულებ.

– და ახლა რომელი ლექსი წაიკითხე?

– ასეთი, – თქვა განდგომილმა:

ხანდახან მოვიწყენ,

იმათ ყურებაში, ვინც მივატოვე,

ხანდახან ვიციანი,

და მაშინ ჩვენ შორის

ყვითელი ნისლი აღიმართება.

– ეს რა ლექსია, – თქვა ექვსთითამ. – მე, ღვთის წყალობით, ყველა ლექსი ვიცი. ზეპირად არა, რასაკვირველია, მაგრამ ყველა ოცდახუთივე მომისმენია. ასეთი კი ნაღდად არ არის.

განდგომილი გაოცებული მიაჩერდა, მერე, როგორც ჩანს, მიხვდა.

– შენ ერთი მაინც გახსოვს? – ჰკითხა მან. – აბა, წამიკითხე.

– ახლავე. ტყუპები... ტყუპები... ჰო, მოკლედ, იქ ჩვენ ვამბობთ ერთს და სხვას ვგულისხმობთ. მერე კი ისევ რაღაცას ვამბობთ და ისევ სხვა ღამეს ვგულისხმობთ, აი, თითქოს პირიქით. ძალიან ღამაზი ღამე გამოდის. ბოლოს და ბოლოს, თვალებს კედელს მივაპყრობთ, იქ კი...

– საკმარისია, – თქვა განდგომილმა.

დადუმდნენ.

– მისმინე, შენც გამოგაგდეს? – სიჩუმე დაარღვია ექვსთითამ.

– არა. ეს მე გავყარე ყველა.

– ასე რომ არ ხდება?

– ყველანაირად ხდება, – თქვა განდგომილმა, ერთ-ერთ ციურ ობიექტს გახედა და ისეთი ტონით თქვა, რომ ცხადი იყო, ყბედობიდან სერიოზულ საუბარზე გადადიოდა: – მალე დაბნელდება.

– მოიცა რა, – თქვა ექვსთითამ, – არავინ იცის, როდის დაბნელდება.

– მე კი ვიცი. გინდა მშვიდად დაიძინო – მომბაძე. – და განდგომილმა დაიწყო ფეხებთან მიმოზნეული ნაყარნუყარის, ნახერხისა და მიწის ნაფლეთების მოქუჩება. მალე წარმოიქმნა პატარა, ცარიელი სივრცის შემომფარგვლელი კედელი, საკმაოდ მაღალი, მისივე ზომის. განდგომილი მოშორდა დამთავრებულ ნაგებობას, სიყვარულით შეხედა და თქვა: – აი, ამას მე სულის თავშესაფარს ვეძახი.

– რატომ? – ჰკითხა ექვსთითამ.

– ისე. მშვენივრად ჟღერს. შენთვის არ გაიკეთებ?

ექვსთითამ დაიწყო ჩალიჩი. არაფერი გამოსდიოდა – კედელი ეშლებოდა. მართალი რომ ითქვას, დიდადაც არ ცდილობ-

და, რადგან ოდნავაც არ დაუჯერებია განდგომილის ნათქვამი მოახლოებული სიბნელის შესახებ, – და როდესაც ციური ცეცხლი შეკრთა და ნელ-ნელა ქრობა დაიწყო, სოციუმის მხრიდან კი ქარის მსგავსი საყოველთაო ამოოხვრის ხმა მოისმა, გულში ერთდროულად ორი ძლიერი გრძნობა წარმოეშვა: ჩვეულებრივი შიში მოულოდნელად მოვლენილი სიბნელის წინაშე და აქამდე უცნობი თაყვანისცემა ისეთი ვილაციისადმი, ვინც მასზე აშკარად მეტი იცოდა სამყაროს შესახებ.

– კაი, ეგრე იყო, – თქვა განდგომილმა, – ჩახტი შიგნით. მე კიდევ გავიკეთებ.

– მე ხტომა არ ვიცი, – ხმადაბლა უპასუხა ექვსთითამ.

– მაშინ კარგად იყავი, – თქვა განდგომილმა და მოულოდნელად მთელი ძალით ჰკრა ფეხი მიწას, აფრინდა და კედლის მიღმა გაქრა, რის შემდეგაც მთელი მისი ნაგებობა თავზე ჩამოეშალა და ნახერხისა და მიწის თანაბარი ფენით გადაეფარა. წარმოქმნილი ბორცვი ცოტა ხანს ტოკავდა, შემდეგ კედელში პატარა სივრცე წარმოიშვა – ექვსთითამ კიდევ მოასწრო მასში განდგომილის მბრწყინავი თვალის დანახვა, – და საბოლოო სიბნელე დაეშვა.

რალა თქმა უნდა, ექვსთითამ, რაც საჭირო იყო, ყველაფერი იცოდა ღამის შესახებ. „ეს ბუნებრივი პროცესია“, – ამბობდა ზოგიერთი. „საქმეს უნდა მიხედო“, – მიაჩნდათ სხვებს – უმეტესობა ასეთი იყო. საერთოდ, შეხედულება მრავალგვარი არსებობდა, მაგრამ ყველას ერთი და იგივე რამ ემართებოდა: როდესაც ყოველგვარი მიზეზის გარეშე სინათლე ქრებოდა, შიშის კრუნჩხვებთან მოკლე და უიმედო ბრძოლის შემდეგ ყველა შეშდებოდა და გონს რომ მოეგებოდნენ (მნათობები ისევ რომ აინთებოდნენ), ძალზე ცოტა რამ ახსოვდათ. იგივე ემართებოდა ექვსთითასაც, სანამ სოციუმში ცხოვრობდა, ახლა კი – ალბათ იმიტომ, რომ ჩამოშვებული სიბნელის შიშს ასეთივე სიძლიერის მარტოობის შიშიც დაემატა და, ამდენად, გაორმაგდა, ის ჩვეულ, მხსნელ კომაში აღარ ჩავარდნილა. აი, მოშორებით საყოველთაო კვნესაც მიჩუმდა, ის კი ისევ იმ ბორცვთან იჯდა და ჩუმად ტიროდა. ეტყობა გარშემო არაფერი იყო და, როდესაც

სიბნელეში განდგომილის ხმა გაისმა, ექვსთითამ შიშისგან ქვემ ჩაისვარა.

– ეი, მორჩი ზუზუნს, – თქვა განდგომილმა, – დაძინებაში ხელს მიშლი.

– არ შემიძლია, – ხმადაბლა უპასუხა ექვსთითამ, – გულის ბრალია. იქნებ დამელაპარაკო, ა?

– რაზე? – ჰკითხა განდგომილმა.

– რაზეც გინდა, ოღონდ კარგა ხანს.

– მოდი შიშის შესახებ, კარგი?

– ვაი, არა რა! – დაინრიპინა ექვსთითამ.

– ჩუმად იყავი! – დაუსისინა განდგომილმა, – ახლა აქ ყველა ვირთხა მოვა.

– რომელი ვირთხები? ეგ რალა არი? – იკითხა გულგახეთქილმა ექვსთითამ.

– ეგ ლამის არსებებია. თუმცა, სინამდვილეში დღისაც.

– არ გამიმართლა ცხოვრებაში, – ნაიჩურჩულა ექვსთითამ, – იმდენი თითი რომ მქონოდა, რამდენიც საჭიროა, ახლა ყველასთან ერთად მეძინებოდა. ღმერთო, როგორ მეშინია... ვირთხები...

– მისმინე, – ამოიდგა ენა განდგომილმა, – აი, სულ იმეორებ: ღმერთო, ღმერთო... იქ რა, თქვენთან, ღმერთის სწამთ?

– მე რა ვიცი. რალაც რომ არსებობს, ეს ნალდია. მაგრამ რა – არავინ იცის. აი, მაგალითად, რატომ ბნელდება? თუმცა, ცხადია, ბუნებრივი მიზეზებითაც შეიძლება აიხსნას. მაგრამ ღმერთზე ფიქრს თუ დაიწყებ, მერე ცხოვრებაში ველარაფერს გააკეთებ...

– საინტერესოა, რა შეიძლება ცხოვრებაში გააკეთო? – იკითხა განდგომილმა.

– როგორ თუ რა? რა საჭიროა სულელური კითხვების დასმა – თითქოს თვითონ არ იცოდე. ყველა, ვისაც როგორ შეუძლია, მიძვრება საკვებურისკენ. სიცოცხლის კანონია.

– გასაგებია. რა საჭიროა მაშინ ეს ყველაფერი?

– რა „ყველაფერი“?

– აი, სამყარო, ცა, მიწა, მნათობები, საერთოდ – ყველაფერი.

- როგორ თუ რა საჭიროა? ასეა სამყარო მოწყობილი.
- და როგორ არის მოწყობილი? - იკითხა დაინტერესებულმა განდგომილმა.
- აი, ასე. ვმოდრაობთ სივრცესა და დროში. სიცოცხლის კანონების შესაბამისად.
- საიტკენ?
- მე საიდან უნდა ვიცოდე? საუკუნეთა საიდუმლოა. შენ, ვისაც გინდა, ჭკუიდან შეშლი.
- ეს შენ გააგიჟებ კაცს. რაზეც არ უნდა დაილაპარაკო, შენთვის ყველაფერი სიცოცხლის კანონი და საუკუნეთა საიდუმლოა.
- არ მოგწონს და ნუ მელაპარაკები, - ნაწყენი ხმით თქვა ექვსთითამ.
- და არც დაგინყებდი. ეს შენ გეშინია სიბნელეში ჩუმად ყოფნის.

ექვსთითას ეს საერთოდ აღარ ახსოვდა და, საკუთარ განცდებს რომ დააკვირდა, მიხვდა, რომ არანაირ შიშს აღარ გრძნობდა. და ამან კი ისე შეაშინა, რომ წამოხტა და მთელი ძალით გავარდა ბრმად, სანამ სიბნელეში უხილავი სამყაროს კედელს არ შეასკდა.

შორიდან განდგომილის წრიპინა სიცილი მოესმა და ექვსთითაც ფეხების ფრთხილი მონაცვლეობით გაემართა ამ ერთადერთი ხმის მიმართულებით საყოველთაო სიბნელესა და მდუმარებაში. იმ ბორცვს რომ მიუახლოვდა, რომელშიც განდგომილი მოთავსებულიყო, ჩუმად მიუწვა გვერდით და სიცივისთვის რომ არ მიექცია ყურადღება, ისე სცადა დაძინება. ვერც შეამჩნია მომენტი, როცა ასეც მოხდა.

II

- დღეს მე და შენ სამყაროს კედელზე ავძვრებით, გაიგე? - თქვა განდგომილმა.

ექვსთითა სწორედ ამ დროს მირბოდა სულის თავშესაფრისკენ. თვით ნაგებობა თითქმის ისეთივე გამოსდიოდა, როგორც განდგომილს, ოღონდ გადახტომა მხოლოდ გრძელი გარბენის შემდეგ შეეძლო და ახლა სწორედ ამაზე ვარჯიშობდა. ნათქვამის აზრი ზუსტად მაშინ გააცნობიერა, როცა უნდა გადამხტარიყო და შედეგად ამ სუსტ ნაგებობას ისე შეასკდა, რომ მიწისა და ნახერხის ნამცეცები, მისი სხეულის თანაბარი ფენით დაფარვის ნაცვლად, თავზე დაყრილ ნაგვის გროვად ექცა, ფეხებმა კი საყრდენი დაკარგა და ჰაერში გამოეკიდა. განდგომილი მიეხმარა გამოდრომაში და გაუმეორა:

– სამყაროს კედელზე უნდა ავიდეთ.

უკანასკნელი დღეების განმავლობაში მისგან ისეთ ღამეებს ისმენდა ექვსთითა, რომ სულში სულ რაღაც ჭრაჭუნობდა და ოხრავდა, სოციუმში განვლილი წარსული ცხოვრება კი გულისამაჩუყებელ ფანტაზიად ეჩვენებოდა (ან იქნებ უხამს კომპარად – ჯერ კიდევ ვერ გადაენწყვიტა), მაგრამ ეს უკვე ნამეტანი იყო.

– გადამწყვეტი ეტაპი ყოველი სამოცდაათი დაბნელების შემდეგ დგება, გუშინ კი სამოცდამეცხრე იყო. სამყაროს რიცხვები მართავს.

და მან იმ ჩალის ღერების გრძელ რიგზე მიუთითა, თავად სამყაროს კედლის გასწვრივ რომ ამოჩრილიყო მიწიდან.

– და როგორ შეიძლება სამყაროს კედელზე აცოცება, თუ ეს სამყაროს კედელია? თავად სახელწოდებაშიც ხომ... მის იქით ხომ არაფერი არ არის...

ექვსთითა იმდენად თავზარდაცემული იყო, რომ ყურადღებაც კი არ მიაქცია განდგომილის ბნელ, მისტიკურ განმარტებებს, რომლებიც სხვა შემთხვევაში მას უთუოდ ცუდ გუნებაზე დააყენებდა.

– მერე რა, – უპასუხა განდგომილმა, – რომ არაფერი არ არის. ეს უნდა გვიხაროდეს კიდევც.

– და იქ რა უნდა ვაკეთოთ?

– ვიცხოვროთ.

– და აქ რითია ცუდი?

– იმით, სულელო, რომ ეს „აქ“ მალე აღარ იარსებებს.

– და რა იქნება?

– დარჩი და გაიგებ. არაფერი არ იქნება.

ექვსთითამ იგრძნო, რომ საერთოდ დაკარგა თავდაჯერებულობა.

– მუდმივად რატომ მაშინებ?

– ნუ წუნუნებ, – წაიბურღლუნა განდგომილმა, თან ცაში რაც წერტილს აკვირდებოდა. – სამყაროს კედლის იქით ცუდი სულაც არ არის. მე თუ მკითხავ, აქაურობაზე უკეთესიცაა.

მივიდა ექვსთითას მიერ აგებულ სულის თავშესაფართან და ფეხებით გაფანტა.

– მაგას რატომ შვები? – ჰკითხა ექვსთითამ.

– სანამ რომელიმე სამყაროს მიატოვებ, უნდა განაზოგადო იქ მიღებული გამოცდილება, მერე კი ყველა კვალი გაანადგურო. ასეთი ტრადიციაა.

– ეგ ვინ მოიგონა?

– რა მნიშვნელობა აქვს. ვთქვათ, მე. სხვა, როგორც ხედავ, აქ არავინაა. აი ასე...

განდგომილმა თავისი ნაშრომის შედეგს თვალი მოავლო – დანგრეული ნაგებობის ადგილას იდეალურად სწორი ადგილი დარჩენილიყო, არაფრით გამორჩეული დანარჩენი უდაბნოსაგან.

– მორჩა, – თქვა მან, – კვალი წავშალე. – ახლა საჭიროა გამოცდილების განზოგადება. შენი ჯერია. აძვერი ამ კოლბოხზე და დაინყე.

ექვსთითა მიხვდა, რომ გააბითურეს, საქმის ყველაზე რთული და, რაც მთავარია, გაუგებარი ნაწილი რომ დაუტოვეს. მაგრამ დაბნელების შემთხვევის შემდეგ მან გადაწყვიტა, დაეჯერებინა განდგომილისათვის. მხრები აიჩეჩა და მოათვალიერა – სოციუმებიდან ხომ არ შემოეხეტა ვინმეო, – და კოლბოხზე აძვრა.

– რა მოვყვე?

– ყველაფერი, რაც სამყაროს შესახებ იცი.

– აუ, რამდენ ხანს მოგვიწევს აქ ყოფნა, – დაუსტვინა ექვსთითამ.

– არა მგონია, – მშრალად უპასუხა განდგომილმა.

– მოკლედ, ასე. ჩვენი სამყარო... რა იდიოტური რიტუალი გაქვს...

– სიტყვას ბანზე ნუ აგდებ.

– ჩვენი სამყარო ტოლფერდა რვაკუთხედია, სივრცეში თანაბრად და პირდაპირ მოძრავი. აქ ჩვენ გადამწყვეტი ეტაპისთვის ვემზადებით, ჩვენი ბედნიერი ცხოვრების დაგვირგვინებისთვის. ყოველ შემთხვევაში, ეს არის ოფიციალური ფორმულირება. სამყაროს პერიმეტრზე გადის ეგრეთ წოდებული სამყაროს კედელი, რომელიც სიცოცხლის კანონების ქმედების შედეგად წარმოიქმნა. სამყაროს ცენტრში მდებარეობს ორიარუსიანი საკვებურ-სარწყულელებელი, რომლის გარშემოც უძველესი დროიდან არსებობს ჩვენი ცივილიზაცია. სოციუმის ნევრის მდგომარეობა საკვებურ-სარწყულელებელთან მიმართებაში განისაზღვრება საზოგადოებრივი ღირებულებითა და დამსახურებებით...

– აი, ეს კი ადრე არ მსმენია, – გაანწყვეტინა განდგომილმა, – რა დამსახურებებით? რა არის საზოგადოებრივი ღირებულება?

– აი... როგორ გითხრა... ესაა, როცა ვიღაცა თავად საკვებურ-სარწყულელებელთან მოხვდება.

– და ვინ აღმოჩნდება ხოლმე?

– და ხო გეუბნები: ვისაც მეტი დამსახურება აქვს. ან საზოგადოებრივი ღირებულება. მე, მაგალითად, ადრე ისე რა დამსახურებები მქონდა, ახლა კი საერთოდ აღარა მაქვს. შენ რა, სამყაროს სახალხო მოდელის აზრზე არა ხარ?

– აზრზე არა ვარ.

– რას ამბობ? აბა, გადამწყვეტი ეტაპისთვის როგორ ემზადებოდი?

– მერე მოგიყვები. მიდი, გააგრძელე.

– უკვე თითქმის დავამთავრე. რა დარჩა... სოციუმის მიღმა დიდი უდაბნოა, ყველაფერი კი სამყაროს კედლით სრულდება. მასთან მხოლოდ ჩვენნაირი გარეწრები მიჭუჭყულან.

– გასაგებია. და მორი საიდანლა გაჩნდა? და ყველაფერი დანარჩენი?

– აუ, რა მაგარი ხარ... ამას ოცი დაახლოებულიც კი ვერ გეტყვის. საუკუნეთა საიდუმლოა.

– კააარგი. და საუკუნეთა საიდუმლო რა არი?

– სიცოცხლის კანონი, – ცდილობდა რბილად ეპასუხა ექვსთითას. რაღაც არ მოსწონდა განდგომილის ინტონაციებში.

– კეთილი. სიცოცხლის კანონი რაღაა?

– ეს საუკუნეთა საიდუმლოა.

– საუკუნეთა საიდუმლო? – უცნაურად წვრილი ხმით ჩაეკითხა განდგომილი და ნელ-ნელა წრიული სვლით უახლოვდებოდა ექვსთითას.

– რას შვები? მორჩი! – ექვსთითა. – ეს ხომ შენი რიტუალია! მაგრამ განდგომილი უკვე გონს მოეგო.

– კეთილი, – თქვა მან, – ყველაფერი გასაგებია. ჩამოდი.

ექვსთითა კოლბოხიდან ჩამოფორთხდა, განდგომილი კი დაძაბული და სერიოზული გამომეტყველებით ავიდა მის ადგილას. ცოტა ხანს დუმდა, თითქოს რაღაცას აყურადებო, შემდეგ კი თავი ასწია და საუბარი დაიწყო:

– მე აქ სხვა სამყაროდან მოვედი, – თქვა მან, – იმ დროს, როცა შენ ჯერ კიდევ ძალიან პატარა იყავი. აი, იმ მეორე სამყაროში კი მე მოვედი მესამიდან და ასე შემდეგ. სულ ხუთ სამყაროში ვარ ნამყოფი. ისინი ამის მსგავსია, პრაქტიკულად საერთოდ არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მთელი მსოფლიო კი, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, უზარმაზარი დახშული სივრცეა. ღმერთების ენაზე მას „ლუნაჩარსკის სახელობის ბოილერული კომბინატი“ ეწოდება, მაგრამ ეს რას ნიშნავს, არ ვიცი.

– შენ იცი ღმერთების ენა? – იკითხა გაკვირვებულმა ექვსთითამ.

– ცოტა. ნუ მანყვეტინებ. სულ მთლიანად სამოცდაათი სამყაროა. ჩვენ ახლა ერთ-ერთ მათგანში ვართ. ეს სამყაროები მიმაგრებულია უზარმაზარ შავ ლენტთან, რომელიც ნელ-ნელა მოძრაობს წრეზე. მის თავზე კი, ცის თაღზე, ასობით ერთნაირი მნათობია განლაგებული. ასე რომ, ისინი კი არ მიცურავენ ჩვენ ზემოთ, არამედ ჩვენ მივცურავთ მათ ქვემოთ. შეეცადე წარმოიდგინო ეს.

ექვსთითამ თვალეზი დახუჭა. სახეზე დაძაბულობა გამოეხატა.

– არა, არ შემიძლია, – თქვა ბოლოს.

– კეთილი, – უთხრა განდგომილმა, – მისმინე. ყველას, სამოცდაათივე სამყაროს, რაც კი არსებობს, სამყაროთა ჯაჭვი ეწოდება. ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად შეგვიძლია ასე ვუწოდოთ. ყოველ მათგანში არსებობს სიცოცხლე, მაგრამ იგი მარადიული კი არ არის, არამედ ციკლურად წარმოიშობა და ქრება. ღმერთების ენაზე ამას საამქრო ნომერი ერთი ჰქვია. ჩვენი სამყარო სწორედ მის შესასვლელთან იმყოფება. როდესაც გადამწყვეტი ეტაპი სრულდება და განახლებული სამყარო საამქრო ნომერი ერთის მეორე მხრიდან გამოდის, ყველაფერი თავიდან იწყება. წარმოიშობა სიცოცხლე, გაივლის ციკლს და განსაზღვრული დროის შემდეგ კვლავ საამქრო ნომერ ერთში ჩაინთქმება.

– ეგ ყველაფერი საიდან იცი? – ხმადაბლა იკითხა ექვსთითამ.

– ბევრი ვიმოგზაურე, – უთხრა განდგომილმა, – და ნამცეცნამცეც შევაგროვე იდუმალი ცოდნა. ერთ სამყაროში ერთი რამ იყო ცნობილი, სხვაში – სხვა ღამე.

– იქნებ ისიც იცი, საიდან გავჩნდით?

– ვიცი. თქვენ სამყაროში რას ამბობენ ამის შესახებ?

– რომ ეს ობიექტური მოცემულობაა. ასეთია ცხოვრების კანონი.

– გასაგებია. შენ ახლა სამყაროს არსებობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საიდუმლოს გაგებას ცდილობ და არც ვიცი, შეიძლება თუ არა, გახდო. მაგრამ, რამდენადაც შენ გარდა სხვას მაინც ვერავის ვეტყვი, გაგანდობ. ჩვენ თეთრი სფეროებიდან ვჩნდებით. სინამდვილეში ისინი მთლად მრგვალები კი არ არიან, ცოტა წაგრძელებული ფორმა აქვთ და ერთი ბოლო მეორეზე უფრო ვიწროცაა, მაგრამ ახლა ეს არ არის არსებითი.

– სფეროები. თეთრი სფეროები, – გაიმეორა ექვსთითამ და როგორც იდგა, ისევე დაენარცხა მინას. ამ ცნობის სიმძიმე მას ფიზიკური ძალით დაანწვა და ერთი წამით მოეჩვენა, რომ კვდე-

ბოდა. განდგომილი მივარდა და მთელი ძალით დაუნყო ნჯღრევა. თანდათან ექვსთითა გონს მოეგო.

– რა გჭირს? – ჰკითხა შეშინებულმა განდგომილმა.

– ვაჰ, გამახსენდა. მართლაც. ადრე თეთრი სფეროები ვიყავით და გრძელ თაროებზე ვიმყოფებოდით. ის ადგილი ძალიან თბილი და ნესტიანი იყო. მერე კი შიგნიდან გამოვამტვრიეთ ეს სფეროები და... სადღაც ქვემოდან ამოიზარდა ეს ჩვენი სამყარო და ჩვენც, ყველანი, უკვე იქ ვიყავით... მაგრამ რატომ არავის არ ახსოვს?

– არის სამყაროები, სადაც ახსოვთ, – უთხრა განდგომილმა, – დიდი ამბავი, მეხუთე თუ მეექვსე პერინატალური მატრიცა. არც ისე ღრმაა და თანაც ჭეშმარიტების მხოლოდ ნაწილია. მაგრამ სულ ერთია – ისინი, ვისაც ეს ახსოვს, ცოდნას მაღავს ხოლმე, რომ ხელი არ შეუშალოს გადამწყვეტი ეტაპისათვის მზადებას, თუ როგორც ჰქვია – ყველგან სხვადასხვაგვარადაა. ჩვენთან, მაგალითად, მშენებლობის დასრულებას უწოდებდნენ, თუმცა კი არავის არაფერი უშენებია.

როგორც ჩანს, თავისი სამყაროს გახსენებამ განდგომილი დაადარდიანა და დადუმდა.

– მისმინე, – ჰკითხა ცოტა ხნის შემდეგ ექვსთითამ, – და ეს თეთრი სფეროები საიდანღა ჩნდება?

განდგომილმა კეთილგანწყობით გადმოხედა.

– მე გაცილებით მეტი დრო დამჭირდა, ეს კითხვა რომ გარჩენილიყო ჩემს სულში, – თქვა მან, – მაგრამ აქ ყველაფერი უფრო რთულადაა. ერთ ძველ ლეგენდაში ნათქვამია, რომ ეს თეთრი სფეროები ჩვენგან წარმოიშობა, მაგრამ სავსებით შესაძლებელია ეს მეტაფორა იყოს...

– ჩვენგან? გაუგებარია. ეს სადღა გაიგე?

– მე თვითონ მოვიფიქრე. აქ რა უნდა გაიგო? – მოულოდნელი სევდით თქვა განდგომილმა.

– შენ არ თქვი, ძველი ლეგენდააო?

– მართალია. მე ის მოვიგონე, როგორც ძველი ლეგენდა.

– ეს როგორ? რატომ?

– იცი, ერთმა მოხუცმა ბრძენმა, შეიძლება ითქვას, წინას-

წარმეტყველმა (ახლა კი მიხვდა ექვსთითა, ვინ იგულისხმებოდა) თქვა, რომ ის კი არ არის მნიშვნელოვანი, რა ითქმება, არამედ ის, თუ ვის მიერ ითქმება. იმ აზრის ნაწილი, რომლის გამოხატვაც მსურდა, ნიშნავს, რომ ჩემი სიტყვები ძველი ლეგენდის სახით გვევლინება, თუმცა შენ ამას როგორ გაიგებ...

განდგომილმა ზეცას ახედა და საუბარი განწყვიტა:

– მორჩა. წასვლის დროა.

– სად?

– სოციუმში.

ექვსთითამ თვალები გადმოკარკლა.

– ჩვენ ხომ სამყაროს კედელზე გადაძრომას ვაპირებდით. რად გვინდა სოციუმი?

– და შენ იცი, რა არის სოციუმი? – ჰკითხა განდგომილმა.

– აი, ეგ არის სამყაროს კედელზე გადასაძრომი მონყობილობა.

III

მიუხედავად იმისა, რომ უდაბნოში არავითარი საგნები არ იყო, რომელთაც ამოეფარებოდა, ექვსთითა მაინც შემპარავი ნაბიჯით მიდიოდა, და რაც უფრო უახლოვდებოდა სოციუმს, მისი სიარული მით უფრო ემსგავსებოდა დამნაშავეის სვლას. თანდათანობით უზარმაზარი ბრბო, შორიდან ვეებერთელა მოძრავ არსებას რომ ჰგავდა, ცალკეულ სხეულებად იშლებოდა, და უკვე იმათი გაკვირვებული სახეების გარჩევაც შეიძლებოდა, რომლებმაც მოახლოებულები შეამჩნიეს.

– მთავარია, – ჩურჩულით უმეორებდა განდგომილი უკანასკნელ მითითებებს, – თავხედურად მოიქცე, მაგრამ არ გადააჭარბო. აუცილებლად უნდა გავაბრაზოთ, მაგრამ არა იმდენად, რომ დაგვფლითონ. მოკლედ, სულ იმას უყურე, მე რას ვიზამ.

– ექვსთითა მოეთრა! – მხიარულად წამოიძახა ვილაცამ. – გამარჯობა, ვიგინდარა! ეი, ექვსთითა, ეს ვინ მობრძანდება შენთან ერთად?

ამ უგუნურმა ნამოძახილმა სრულიად მოულოდნელად – და თან გაუგებარია, რატომ – ექვსთითაში ბავშვობის ნოსტალგიური მოგონებების მთელი ტალღა აღძრა. განდგომილმა თითქოს ეს იგრძნო და ექვსთითას ზურგში უთავაზა.

ზედ სოციუმის საზღვართან ძალიან ცოტა ხალხი იყო – იქ ძირითადად ცხოვრობდნენ ხეიბრები და მჭვრეტელები, რომელთაც სივინროვე არ უყვარდათ – მათთვის გვერდის ავლა ძნელი არ იყო. მაგრამ რაც უფრო მიიწვედნენ წინ, მით უფრო მჭიდროდ იდგა ბრბო და სულ მალე განდგომილი და ექვსთითა გაუსაძლის სივინროვეში აღმოჩნდნენ. წინსვლა ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო, მაგრამ მხოლოდ გვერდით მდგომთა ლანძღვით. აი, მაშინ კი, როდესაც წინ მდგომთა თავს ზემოთ საკვებურ-სარწყულელების მოცახცახე სახურავი გამოჩნდა, ნაბიჯის გადადგმაც კი შეუძლებელი აღმოჩნდა.

– ყოველთვის მაოცებდა, – ჩუმად უთხრა ექვსთითას განდგომილმა, – რა ბრძნულად არის ყველაფერი მოწყობილი. ისინი, ვინც საკვებურ-სარწყულელებთან ახლოს დგანან, ძირითადად იმიტომ გრძნობენ თავს ბედნიერად, რომ მუდამ ახსოვთ ისინი, ვინც მათი ადგილის დაკავებას ლამობს. ისინი კი, ვინც მთელი ცხოვრება ელიან, როდის გაჩნდება ხერელი წინ მდგომთა შორის, ბედნიერები არიან, რადგან რალაციის იმედი აქვთ. სწორედ ეს არის ჰარმონია და ერთიანობა.

- რა, არ მოგწონს? – ჰკითხა გვერდით ვილაცამ.
- არა, არ მომწონს, – უპასუხა განდგომილმა.
- და კონკრეტულად რა არ მოგწონს?
- რა და – არაფერი.

და განდგომილმა ფართო ჟესტით ხელი მოავლო გარშემო, საკვებურ-სარწყულელების დიად თალს, ყვითლად მოცახცახე ცეცხლით განათებულ ცას და შორს, ბუნდოვნად დაღანდულ სამყაროს კედელს.

- გასაგებია. და თქვენი აზრით, სად არის უკეთესი?
- უბედურებაც ის არის, რომ არსად! საქმეც ეს არის! – ნატანჯი ხმით უპასუხა განდგომილმა. – სადმე რომ უკეთესი იყოს, აქ თქვენ ცხოვრებაზე საუბარს დაგინებდით?

– თქვენი მეგობარიც ასეთივე აზრისაა? – იკითხა ხმამ, – რას ჩასჩერებია მიწას?

ექვსთითამ ამოიხედა – აქამდე ფეხებს დასცქეროდა, რადგან ეს საშუალებას აძლევდა მინიმალურად მიეღო მონაწილეობა ყოველივე ამაში – და ხმის პატრონიც დაინახა. მას გაბრტყელებული, მაძლარი სახე ჰქონდა და საუბრისას ცხადად ჩანდა მისი ყელის ყველა ანატომიური დეტალი. ექვსთითა მაშინვე მიხვდა, რომ მის წინაშე ოც დაახლოებულიაგან ერთ-ერთი იყო – მართლაცდა თავად ეპოქის სინდისი. ეტყობა, მათ მოსვლამდე აქ ახსნა-განმარტებით სამუშაოს ატარებდა, როგორც ეს ხანდახან ხდებოდა ხოლმე.

– ეს თქვენ იმიტომ ხართ ასეთი ნაღვლიანები, ძმებო, – მოულოდნელად მეგობრულად თქვა მან, – რომ სხვებთან ერთად არ ემზადებით გადამწყვეტი ეტაპისთვის. მაშინ ხომ ასეთი აზრებისთვის დროც არ დაგრჩებოდათ. მე თვითონ ხანდახან ისეთი აზრები მებადება, რომ... და, იცით, შრომა შველის.

და ამავე ინტონაციით დააყოლა:

– შეიპყარით.

ბრბო ამოძრავდა და განდგომილი ექვსთითასთან ერთად ყოველი მხრიდან შებოჭილი აღმოჩნდა.

– და მიგვიფურთხებია თქვენთვის, – ასევე მეგობრულად თქვა განდგომილმა. – სად უნდა წაგვიყვანოთ? კიდევ ერთხელ გაგვყრიოთ. სამყაროს კედელზე, როგორც ამბობენ, ვერ გადაგვაფრენთ...

აქ განდგომილის სახეზე შეშფოთება გამოიხატა, ბრტყელსახამ კი წარბები აჭიმა – მათი თვალები ერთმანეთს მიაშტერდა.

– არადა, საინტერესო ჩანაფიქრია. ასეთი რამ ჩვენთან ჯერ არც ყოფილა. რა თქმა უნდა, არსებობს ასეთი გამოთქმა, მაგრამ ხალხის ნება ხომ ანდაზაზე უფრო ძლიერია.

როგორც ჩანს, ამ აზრმა ალაფრთოვანა. მიტრიალდა და ბრძანა:

– ყურადღება! მოენწყვეთ! ახლა დაუგეგმავი ღონისძიება გვექნება.

არც ისე დიდი დრო გავიდა იმ მომენტიდან, როდესაც

ბრტყელსახამ მოწყობა ბრძანა იმ დრომდე, სანამ პროცესია, ცენტრში განდგომილი და ექვსთითა რომ მოემწყვდიათ, სამყაროს კედელს მიუახლოვდებოდა.

შთამბეჭდავი პროცესია იყო. პირველი ბრტყელსახა მიაბიჯებდა, მას უკან მოხუც-დედათაგან (არავინ, ბრტყელსახას ჩათვლით, არ იცოდა, ეს რა იყო – უბრალოდ, ასეთი ტრადიცია არსებობდა) შერჩეული ორი ცრემლიანი მიჰყვებოდა. ისინი განდგომილისა და ექვსთითასთვის სანყენ რაღაცებს ამბობდნენ ერთდროულად დატირებითა და წყევლით, შემდეგ თვითონ დამნაშავენი მოჰყავდათ და ბოლოს მსვლელობას ხალხის მასა ასრულებდა.

– ამრიგად, – თქვა ბრტყელსახამ, როდესაც პროცესია შეჩერდა, – სამაგიეროს მიგების ამაღლელებელი წამიც დადგავფიქრობ, ძმებო, ყველანი თვალებს მოვჭუტავთ, როცა ეს ორი ვიგინდარა არარსებობაში ჩაინთქმება, ასე არ არის? და დაე, ეს მღელვარე მოვლენა ნათელი მაგალითი იყოს ყველასთვის, ხალხისთვის. ხმამაღლა იტირეთ, დედებო!

მოხუც-დედები მიწაზე გაგორდნენ და ისეთი გულისმომკვლელი ხმით ატირდნენ, რომ დამსწრეთაგან მრავალი მიბრუნდა ნერწყვის ყლაპვით. ისინი თან იკლაკნებოდნენ ცრემლებით ატალახებულ მტვერში, თან შიგადაშიგ წამოცვივდებოდნენ, რათა განდგომილისა და ექვსთითას მისამართით უდავო და საშინელი ბრალდებები ესროლათ, შემდეგ კი ისევ ღონემიხდილნი ეშვებოდნენ მიწაზე.

– აბა, – თქვა ცოტა ხნის შემდეგ ბრტყელსახამ, – ინანიებთ თუ არა? შეგარცხვინათ მოხუც-დედათა ცრემლებმა?

– რასაკვირველია, – უპასუხა განდგომილმა, რომელიც შეფიქრიანებული სახით აკვირდებოდა ხან ცერემონიას და ხან რაღაც ციურ სხეულებს, – და როგორ უნდა გადაგყაროთ?

ბრტყელსახა დაფიქრდა. მოხუც-დედათა ხმებიც მიჩუმდა, შემდეგ ერთი მათგანი მტვერიდან წამოიშარათა და თქვა:

– მიწაყრილი?

– მიწაყრილი, – თქვა განდგომილმა, – მაგის გაკეთებას ხუთ დაბნელებას მოვანდომებთ. ჩვენ კი უკვე დიდი ხანია ვერ ვით-

მენტ, რომ ჩვენი გამოაშკარავებული სირცხვილი სიცარიელეში გადავმალოთ.

ბრტყელსახა, ცბიერად თვალმოჭუტული, განდგომილს მიაჩერდა და თავი დაუქნია.

– ესმით, – უთხრა ვილაც თავისიანს, – მხოლოდ თავს იკატუნებენ, ჰკითხე, იქნებ თვითონ შემოგვთავაზონ ლამე?

რამდენიმე წუთის შემდეგ სამყაროს კედლის თითქმის კიდემდე ცოცხალი პირამიდა აღიმართა. ისინი, ვინც ზემოთ იდგნენ, თვალებს ჭუტავდნენ და სახეს მალავდნენ, რათა, ღმერთმა ნუ ქნას, და იქით არ გაეხედათ, სადაც ყველაფერი მთავრდება.

– ზევითკენ, – უბრძანა ვილაცამ განდგომილსა და ექვსთითას და ისინიც, ერთმანეთისთვის ხელის ნაშველებით გაემართნენ მხრებისა და ზურგების არამყარ მწკრივზე სადღაც შორს მიკარგული კედლისაკენ.

ზემოდან მთელი დადუმებული სოციაუმის დანახვა შეიძლებოდა. ყურადღებით რომ დაკვირვებოდი, ჩანდა აქამდე შეუძინეველი ცის დეტალები და სქელი მილი, რომელიც საკვებურ-სარწყულელებისკენ ეშვებოდა უსასრულობიდან, – აქედან იგი უკვე ისე დიდებულად აღარ გამოიყურებოდა, როგორც მინიდან. როგორც კოლბოხზე, ისე იოლად შეხტა სამყაროს კედელზე განდგომილი და ექვსთითასაც მიეხმარა, გვერდით მოისვა და ქვემოთ ჩამოსძახა:

– ყველაფერი მზად არის!

მისმა ყვირილმა ვილაცას წონასწორობა დააკარგვინა ცოცხალ პირამიდაში, რომელიც რამდენჯერმე შეირხა და დაიშალა – ყველა ქვემოთ აღმოჩნდა, კედლის ძირას, მაგრამ, მაღლობა ღმერთს, არავინ დაშავებულა.

ცივი თუნუქის კიდეც რომ მოეჭიდა, ექვსთითა დააკვირდა ზემოთ მაცქერალ პანანინა სახეებს, თავისი სამშობლოს მონაცრისფრო-მოყავისფრო სივრცეს. იგი სამყაროს კედლის იმ კუთხეს მიაჩერდა, სადაც მწვანე ლაქა მოჩანდა და სადაც მისმა ბავშვობამ გაიარა. „ამას ველარასოდეს ვნახავ“, – გაიფიქრა მან და, თუმცა ყოველივე ამის კიდეც ერთხელ ნახვის განსაკუთრე-

ბული სურვილი არ ჰქონდა, მაინც რაღაც მოებჯინა ყელში. გვერდზე მიიხუტა ჩალის ღერმინებებული მინის პატარა ნაგლეჯი და იმას ჩაუფიქრდა, რა სწრაფად და შეუქცევად იცვლება ყველაფერი მის ცხოვრებაში.

– მშვიდობით, საყვარელო შვილებო! – დაიყვირეს ქვემოდან მოხუც-დედებმა, მიწამდე თავი დახარეს და მერე ზევითკენ მინის ბელტების სროლა დაიწყეს.

განდგომილი თითისწვერებზე წამოიმართა და ხმამაღლა დასძახა:

ვიცოდი მუდამდღე,
რომ მივატოვებდი
ამ უმონწილო სამყაროს...

ამ დროს მას მინის მოზრდილი ბელტი მოხვდა და ხელ-ფეხ-გაშლილი გადაეშვა ქვემოთ. ექვსთითამ უკანასკნელად მოავლო თვალი ქვევით და შეამჩნია, რომ ბრბოდან ვიღაცა დამშვიდობების ნიშნად ხელს უქნევდა – და საპასუხოდ მანაც დაუქნია ხელი. შემდეგ თვალები დახუჭა და ნაბიჯი უკან გადადგა.

რამდენიმე წამს უთავბოლოდ ტრიალებდა ჰაერში, მერე კი დაეცა რაღაც მაგარზე, საშინელი ტკივილი იგრძნო და თვალები გაახილა. უცნობი მასალისგან დამზადებულ მბრწყინავ შავ ზედაპირზე იწვა, სამყაროს კედელი კი გვერდით აღმართულიყო, განდგომილი კედელს გაშლილი ხელით მიყრდნობოდა და თავის ლექსს ასრულებდა:

მაგრამ ეს რომ ასე აღსრულდებოდა,
ვერ ვიფიქრებდი...

შემდეგ მობრუნდა ექვსთითასკენ და მარტივი ჟესტით ანიშნა, წამომდგარიყო.

IV

ახლა, როდესაც ისინი გიგანტურ შავ ლენტს მიუყვებოდნენ, ექვსთითა ხედავდა, რომ განდგომილმა სიმართლე უთხრა.

მართლაც, სამყარო, მათ რომ დატოვეს, ნელა მოძრაობდა ამ ლენტთან ერთად სხვა კოსმოსურ ობიექტებთან შედარებით, რომელთა ბუნებაც ექვსთითასთვის შეუცნობელი იყო, მნათობები კი უძრავნი იყვნენ – საკმარისი იყო, შავი ლენტიდან ჩამოსულიყავი, რომ ყველაფერი ცხადი გამხდარიყო. მათ მიერ მიტოვებული სამყარო ახლა ნელ-ნელა უახლოვდებოდა რკინის მწვანე კარიბჭეს, რომლის ქვემოთაც იკარგებოდა ლენტი. განდგომილმა უთხრა, რომ სწორედ ეს იყო საამქრო ნომერი ერთი. უცნაური კია, მაგრამ ექვსთითა სულაც არ იყო სამყაროში არსებული ობიექტების სიღიადით გაოგნებული – პირიქით, მასში თითქოს უფრო მსუბუქმა გაღიზიანებამ გაიღვიძა. „და სულ ეს არის?“ – ზიზლით ფიქრობდა იგი. მოშორებით ორი სამყარო მოჩანდა, სწორედ იმის მსგავსი, როგორიც მიატოვეს, – ისინიც შავ ლენტთან ერთად მოძრაობდნენ და აქედან საკმაოდ უბადრუკად გამოიყურებოდნენ. თავიდან ექვსთითას ეგონა, რომ ისინი სხვა სამყაროსკენ მიემართებოდნენ, მაგრამ შუა გზაზე განდგომილმა უცბად უბრძანა, ლენტს ჩაყოლებული ბორდიურიდან (რომელზეც მოძრაობდნენ) ჩამხტარიყო ქვემოთ, ბნელ ხვრელში.

– იქ სირბილეა, – უთხრა მან ექვსთითას, მაგრამ მან უკან დაინია და უარყოფის ნიშნად თავი გააქნია. მაშინ განდგომილი უხმოდ გადაეშვა ქვემოთ და ექვსთითასაც სხვა არაფერი დარჩენოდა, რომ უკან მიჰყოლოდა.

ამჯერად იგი კინალამ დაიმტვრა ქვასავით ცივ ზედაპირზე, რომელიც ჰორიზონტამდე ყავისფერი ფილებით იყო მოპირკეთებული და ძალიან ლამაზად გამოიყურებოდა.

– ეს რა არი? – იკითხა ექვსთითამ.

– კაფელი, – უპასუხა გაუგებარი სიტყვა განდგომილმა და თემა შეცვალა. – მალე დალამდება, ჩვენ კი იმ ადგილამდე უნდა მივასწროთ. გზის ნაწილის გავლა სიბნელეში მოგვინევს.

განდგომილი ღრმად შეშფოთებულს ჰგავდა. ექვსთითამ მითითებული მიმართულებით გაიხედა და შორს ნაზი ყვითელი კუბური მთები დაინახა (განდგომილმა უთხრა, მათ „ყუთებს“ უწოდებენ): ძალიან ბევრი იყო, მათ შორის არსებულ სივრცე-

ში კი ნათელი ბურბუშელის გორები მოჩანდა, – ეს ყველაფერი შორიდან ბავშვობაში ნანახ ლამაზ ზღაპარს წააგავდა.

– ნავედით, – თქვა განდგომილმა და სწრაფი ნაბიჯით გაემართა წინ.

– მისმინე, – ექვსთითამ, რომელიც კაფელზე სრიალით გვერდით მიჰყვებოდა, ჰკითხა – როგორ ხვდები, როდის დალამდება?

– საათის მიხედვით, – აუხსნა განდგომილმა, – ეს ციურ სხეულთაგან ერთ-ერთია. ახლა ის მარჯვნივ და ზემოთ არის – აი, ის დისკო შავი კლაკნილი ხაზებით.

ექვსთითამ ახედა ცის თაღის კარგად ნაცნობ, თუმც მისთვის აქამდე სრულიად უინტერესო დეტალს.

– როდესაც ამ შავი ხაზების ნაწილი გარკვეულ მდგომარეობას დაიკავებს, რომლის შესახებაც როგორმე სხვა დროს გიამბობ, შუქი ქრება, – უთხრა განდგომილმა. – ეს ახლა მალე მოხდება. ათამდე დაითვალე.

– ერთი, ორი, – დაიწყო ექვსთითამ და უეცრად ჩამობნელდა.

– არ ჩამომრჩე, – გააფრთხილა განდგომილმა, – თორემ დაიკარგები.

შეეძლო არც ეთქვა – ექვსთითა ლამის ქუსლებზე აბიჯებდა. სინათლის ერთადერთ წყაროდ სამყაროში ირიბი ყვითელი შუქი იქცა, რომელიც საამქრო ნომერი ერთის მწვანე ჭიშკრის ქვემო-დან აღწევდა. საიტკენაც განდგომილი მიემართებოდა ექვსთითასთან ერთად, კარიბჭესთან ახლოს, განდგომილის თქმით, ყველაზე დაცული ადგილი იყო.

ჩანდა მხოლოდ შორეული ყვითელი ზოლი კარების ქვეშ და გარშემო რამდენიმე ფილა. ექვსთითას უცნაური განცდა დაეუფლა. ეჩვენებოდა, თითქოს სიბნელე ისევე ავინროებდა მასა და განდგომილს, როგორც ის ბრბო ახლო წარსულში. ყოველი მხრიდან თითქოს საფრთხე უახლოვდებოდა და ექვსთითა ამას ისე გრძნობდა მთელი ტანით, როგორც ყოველი მხრიდან ერთდროულად მქროლავ ორპირ ქარს. როდესაც შიშის გაძლევა უკვე შეუძლებელი ხდებოდა, ქვემოთ დაფენილ კაფელის ფილებს თვალს აშორებდა და წინ მოკიფე სინათლის ზოლს

ამტერდებოდა და მაშინ ახსენდებოდა სოციუმი, რომელიც შორიდან თითქმის ასევე გამოიყურებოდა. მას ეჩვენებოდა, რომ რალაცნაირი ცეცხლოვანი სულების სამეფოსკენ მიემართებოდნენ და უკვე აპირებდა ამის შესახებ განდგომილისთვის ეთქვა, როდესაც იგი მოულოდნელად შედგა და ხელი ასწია.

– ჩუმად, – თქვა მან, – ვირთხები. ჩვენგან მარჯვნივ.

ვერსად გაიქცეოდი – გარშემო, ყველა მიმართულებით, ერთნაირი კაფელის სივრცე გადაშლილიყო, სინათლის ზოლი კი ჯერ ისევ ძალიან შორს იყო. განდგომილი მოტრიალდა მარჯვნივ და ძალზე უცნაური პოზა მიიღო, თან ექვსთითას ანიშნა, მის ზურგს ამოჰფარებოდა, რაც მან გასაოცარი სისწრაფითა და ხალისით შეასრულა.

თავიდან იგი ვერაფერს ამჩნევდა, მერე კი უფრო იგრძნო, ვიდრე დაინახა დიდი, სწრაფი სხეულის მოძრაობა სიბნელეში. ის სწორედ ხილვადობის ზღურბლთან შედგა.

– გველოდება, – ჩუმად უთხრა განდგომილმა, – უცდის, როგორ მოვიქცევით. ერთი ნაბიჯიც რომ გადავდგათ, მაშინვე გვეცემა.

– აჰა, გეცემით, – თქვა სიბნელიდან გამოსულმა ვირთხამ, – როგორც ბოროტებისა და მძვინვარების განსახიერება, როგორც უკუნეთის ჭეშმარიტი პირმშო.

– უჰ, – ამოისუნთქა განდგომილმა, – ცალთვალა. მე კი ვიფიქრე, რომ მართლა მოგვეხაზა. გაიცანით ერთმანეთი.

ექვსთითამ უნდობლად შეხედა ჭკვიან, ყავისფერ სიფათს, გრძელი უღვაშებითა და მძივის ორი მბრწყინავი თვალით.

– ცალთვალა, – თქვა ვირთხამ და შიშველი კუდი უხამსად გააქიციანა.

– ექვსთითა, – თავი წარუდგინა ექვსთითამ და ჰკითხა: – რატომ ხარ ცალთვალა, როცა ორივე თვალი წესრიგში გაქვს?

– მე მესამე თვალი მაქვს გახსნილი, – უპასუხა ცალთვალამ, – ის კი ერთია. რაღაც აზრით, ყველა, ვისაც კი მესამე თვალი გაეხსნა, ცალთვალაა.

– და რა არი... – დაიწყო ექვსთითამ, მაგრამ განდგომილმა აღარ დაამთავრებინა.

– ხომ არ გავისეირნოთ, – გალანტურად შესთავაზა მან ცალთვალას, – აი, იმ ყუთებამდე? ღამეული გზა მოსაწყენია, თან მოსაუბრე თუ არ გყავს გვერდით.

ექვსთითას ძალიან ეწყინა.

– ნავიდეთ, – დაეთანხმა ცალთვალა და ექვსთითასკენ გვერდმექცეული (მხოლოდ ახლალა გაარჩია მან მისი უზარმაზარი დაკუნთული სხეული) მიჰყვა განდგომილს, რომელიც სწრაფად მიდიოდა, რომ არ ჩამორჩენოდა. ექვსთითა უკან მისდევდა და ცალთვალას უკანა თათებსა და მის ტყავის ქვეშ მოძრავე მუსკულებს რომ აკვირდებოდა, იმაზე ფიქრობდა, თუ რითი შეიძლებოდა დამთავრებულიყო ეს შეხვედრა, ცალთვალა განდგომილის ნაცნობი რომ არ აღმოჩენილიყო, თან ყოველნაირად ცდილობდა, მისთვის კუდზე ფეხი არ დაედგა.

იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, როგორ სწრაფად დაემსგავსა მათი დიალოგი რომელიღაც ადრე დაწყებული საუბრის გაგრძელებას, ისინი ძველი მეგობრები უნდა ყოფილიყვნენ.

– თავისუფლება? ღმერთო, ეგ რაღაა? – ეკითხებოდა სიცილით ცალთვალა. – ესაა აფორიაქებული მარტოდმარტო რომ დარბიხარ ამხელა კომბინატში, მეთაფჯერ, თუ ვინ იცის, დანით სიკვდილს მერამდენეჯერ გადარჩენილი? აი, ეგ არის თავისუფლება, არა?

– შენ ისევ ყველაფერს აუბრალოებ, – პასუხობდა განდგომილი, – ეს თავისუფლების ძიებაა მხოლოდ. არასოდეს მივიღებ სამყაროს იმ ინფერნალურ სურათს, რომლისაც შენ გჯერა. ალბათ ეს იმიტომ ხდება, რომ უცხოოდ გრძნობ თავს ამ, ჩვენთვის შექმნილ სამყაროში.

– ვირთხებს კი სწამთ, რომ იგი ჩვენთვის არის შექმნილი. ამას იმიტომ გეუბნები, რომ მეც ვეთანხმები მათ. მართალი, რა თქმა უნდა, შენ ხარ, მაგრამ არა ბოლომდე და არა არსებითში. შენ ამბობ, რომ ეს სამყარო თქვენთვის არის შექმნილი? არა, ის შექმნილია თქვენ გამო, მაგრამ არა თქვენთვის. გასაგებია?

განდგომილმა თავი ჩალუნა და ცოტა ხანს ჩუმად მიდიოდა.

– კარგი, – თქვა ცალთვალამ, – მე გამოსამშვიდობებლად

მოვედი, თუმცა მეგონა, რომ ცოტა მოგვიანებით გამოჩნდებოდი, მაგრამ მაინც შევხვდით. ხვალ მივდივარ.

– საით?

– ყოველივეს საზღვრის მიღმა. ბეტონის ერთმა ძველმა სორომ გამიყვანა ბეტონის ცარიელ მილამდე, რომელიც ისე შორს მიდის, რომ ამაზე ფიქრიც კი ძნელია. იქ რამდენიმე ვირთხას შევხვდი – ამბობენ, ეს მილი უფრო და უფრო ღრმად ეშვება და იქ, ძალიან ქვემოთ, რომელიღაც სხვა სამყაროში გავყავართ, სადაც მხოლოდ ერთნაირ მწვანე ტანსაცმელში გამოწყობილი მამრობითი სქესის ღმერთები ცხოვრობენ. ისინი გიგანტურ შახტებში მდგარი კერპების ირგვლივ რაღაც უცნაურ მანიპულაციებს ასრულებენ.

ცალთვალა შეჩერდა.

– აქედან მარჯვნივ უნდა გავუხვიო, – უთხრა, – აი, ასე. საჭმელი იქ ისეთია, რომ ვერც კი გადმოსცემ. ეს სამყარო კი იქაურ ერთ შახტაში მოთავსდებოდა. მისმინე, გინდა ჩემთან ერთად წამოხვიდე?

– არა, – უპასუხა განდგომილმა, – ჩვენი გზა ქვემოთ არ მიდის.

როგორც ჩანს, მთელი საუბრის განმავლობაში პირველად გაახსენდა ექვსთითა.

– რას იზამ, – თქვა ცალთვალამ, – მაშინ წარმატება მინდა გისურვო შენს გზაზე, როგორც არ უნდა იყოს იგი. ხომ იცი, როგორ მიყვარხარ.

– მეც ძალიან მიყვარხარ, ცალთვალა, – უთხრა განდგომილმა, – და იმედი მაქვს, რომ შენზე ფიქრი გამამხნევებს. წარმატებას გისურვებ.

დარჩენილი გზა განდგომილმა და ექვსთითამ ჩუმად განვლეს. ყუთებს რომ მიადგნენ, ბურბუშელების რამდენიმე გორაკი გადაჭრეს და ბოლოს მიაღწიეს მიზანს. ეს იყო საამქრო ნომერი ერთის კარების ქემოდან გამომავალი სინათლით სუსტად განათებული და ბურბუშელებით დაფარული ორმო, რომელშიც გროვად იყო ჩაყრილი რბილი და გრძელი ჩვრები. კედლის გვერდით აღმართულიყო ნეკნებისმაგვარი კონსტრუქცია, რომლის

შესახებაც განდგომილმა თქვა, რომ ოდესღაც იგი ისეთ სიტბოს ასხივებდა, რომ მასთან მიახლოებაც კი ჭირდა. განდგომილი საგრძნობლად ცუდ ხასიათზე იყო. იგი ჩვრებში ფუთფუთებდა, დასაძინებლად რომ მოწყობილიყო და ექვსთითამ გადანყვიტა, აღარ შეენუხებინა საუბრით, მით უმეტეს, რომ თავადაც ეძინებოდა. ჩვრებში როგორღაც გაეხვია და გაითიშა.

გააღვიძა შორეულმა ღრჭენამ, ფოლადის ხეზე დარტყმის ხმამ და ისეთმა სასონარკვეთილმა ყვირილმა, რომ მაშინვე განდგომილს მივარდა.

– ეს რა არი?

– შენი სამყარო გადამწყვეტ ეტაპს გადის, – უპასუხა განდგომილმა.

– ???

– სიკვდილის დრო დადგა, – წყნარად უთხრა განდგომილმა, მიბრუნდა, ჩვარი გადაიფარა და დაიძინა.

V

გაღვიძებულმა განდგომილმა კუთხეში მოცახცახე ნამტირალევ ექვსთითას გახედა, ჩაიფხუკუნა და ჩვრებში ქექვა დაიწყო. მალე იქიდან ათი ცალი ერთნაირი რკინის საგანი ამოაძვრინა, რომლებიც ექვსკუთხა სქელი მილის გადანაჭრებს მოგაგონებდათ.

– შეხედე, – უთხრა მან ექვსთითას.

– ეს რა არი? – იკითხა მან.

– ღმერთები ქანჩებს ეძახიან.

ექვსთითა კიდევ აპირებდა რაღაც ეკითხა, მაგრამ უცებ ხელი ჩაიქნია და ისევ აღრიალდა.

– რა გჭირს? – ჰკითხა განდგომილმა.

– ყველა დაიღუპა, – მიუგო ექვსთითამ, – ყველა, ყველა...

– მერე რა, – თქვა განდგომილმა. – შენც მოკვდები. და გარწმუნებ, რომ შენც და ისინიც მკვდრები ერთნაირი დროის მანძილზე იქნებით.

- მაინც მეცოდებიან.
 - მაინც რომელი? მოხუც-დედათაგან რომელიმე თუ ის, ოც დაახლოებულითაგან ერთ-ერთი?
 - გახსოვს, როგორ გადმოგვყარეს კედლიდან? – ჰკითხა ექვსთითამ. – ყველას ნაბრძანები ჰქონდა, რომ თვალები დაეხუჭათ. მე კი, ხელი რომ დაფუქნიე, ვილაცამ ხელის დაქნევითვე მიპასუხა. და აი, რომ ვფიქრობ, რომ ისიც დაიღუპა... და მასთან ერთად ისიც გაქრა, რამაც აიძულა, ასე რომ მოქცეულიყო...
 - ჰოო, – თქვა ღიმილით განდგომილმა, – ეს მართლაც ძალზე სამწუხაროა.
 - და ჩამოვარდა სიჩუმე, რომელსაც მხოლოდ მექანიკური ხმა არღვევდა, იმ მწვანე ჭიშკრიდან რომ მოისმოდა, რომლის მიღმაც გაუჩინარდა ექვსთითას სამშობლო.
 - მისმინე, – ჰკითხა ექვსთითამ მას შემდეგ, რაც ტირილით გული იჯერა, – სიკვდილის მერე რა ხდება?
 - ძნელი სათქმელია, – უპასუხა განდგომილმა, – მრავალი ხილვა მქონდა მაგის თაობაზე, მაგრამ არ ვიცი, რამდენად შეიძლება მათი ნდობა.
 - მიაბზე, რა?
 - სიკვდილის შემდეგ ჩვენ, როგორც წესი, ჯოჯოხეთში გვეყრიან. დავთვალე არანაკლებ ორმოცდაათი შემთხვევა იმისა, რაც იქ ხდება. ზოგჯერ მკვდრებს ანანევრებენ და უზარმაზარ ტაფებზე წვავენ. ხანდახან მთლიანად ბრანავენ მინისკარიან რკინის ოთახებში, სადაც ლურჯი ცეცხლი ანთია ან გათეთრებამდე გავარვარებული ფოლადის ბოძები სიცხეს ასხივებს. ხანდახან გვხარშავენ უზარმაზარ ფერად ქვაბებში, ხანდახან კი, პირიქით, გვეყინავენ. მოკლედ, სანუგეშო არაფერია.
 - და ამას ვინ შვება?
 - როგორ თუ ვინ? ღმერთები.
 - და ეს რად უნდათ?
 - იცი რა, ჩვენ მათი საკვები ვართ.
- ექვსთითა შეკრთა, შემდეგ კი თავის მოცახცახე მუხლებს დააკვირდა.

– ყველაზე მეტად სწორედ ჩვენი ფეხები უყვართ, – შენიშნა განდგომილმა, – და ხელებიც. სწორედ ხელებზე ვაპირებ ახლა შენთან ლაპარაკს. ანე.

ექვსთითამ გაიშვირა წინ ხელები – გამხდარი, უღონო. საცოდავად გამოიყურებოდა.

– ოდესღაც მათი საშუალებით დავფრინავდით, – თქვა განდგომილმა, – მაგრამ მერე ყველაფერი შეიცვალა.

– ფრენა რა არი?

– ეგ ზუსტად არავინ იცის. ერთადერთი, რაც ცნობილია, ისაა, რომ ძლიერი ხელები უნდა გვქონდეს. იმაზე ბევრად ძლიერი, ვიდრე შენ ან თუნდაც მე მაქვს. ამიტომ მინდა ერთი ვარჯიში გასწავლო. ორი ქანჩი აიღე.

ექვსთითამ დიდი გაჭირვებით მიათრია ორი მძიმე საგანი განდგომილის ფეხებთან.

– აი, ასე. ახლა გაყავი ხელები ამათ ნახვრეტებში.

ექვსთითამ ესეც მოახერხა.

– ახლა კი ხელები ანე და დანე... აი, ასე.

წუთის შემდეგ ექვსთითა ისე დაილაღა, რომ, როგორც არ უნდა ეცადა, ერთ მოძრაობასაც ვეღარ აკეთებდა.

– მორჩა, – თქვა და ხელები დაუშვა, ქანჩები მიწაზე დაცვივდა.

– ახლა უყურე, მე როგორ ვაკეთებ, – თქვა განდგომილმა და თითოეულ ხელზე ხუთ-ხუთი ქანჩი წამოიწვა. რამდენიმე წუთი გაშლილი ჰქონდა ხელები, მაგრამ ეტყობოდა, რომ სულაც არ დაღლილიყო.

– როგორია?

– მაგარია, – ამოიოხრა ექვსთითამ, – გაუნძრევლად რატომ გიჭირავს?

– რაღაც მომენტიდან ამ ვარჯიშში ერთი სიძნელე წამოიქმნება. მერე გაიგებ, რასაც ვგულისხმობ, – უპასუხა განდგომილმა.

– დარწმუნებული ხარ, რომ ფრენის სწავლა ასე შესაძლებელია?

– არა. არა ვარ დარწმუნებული. პირიქით, მეეჭვება, რომ ეს ღამეს იძლეოდეს.

– აბა, მაშინ რა საჭიროა? თუ თავად იცი, რომ ასე არაფერი გამოვა?

– როგორ გითხრა. იმიტომ, რომ ამის გარდა ბევრი რამ ვიცი, მათგან ერთ-ერთი კი ასეთია: თუ სიბნელეში მოხვდი და სინათლის თუნდაც ძალიან სუსტ სხივს ხედავ, მისკენ უნდა წახვიდე ნაცვლად იმისა, იმსჯელო – ღირს თუ არა ამის გაკეთება. სიბნელეში უქმად ჯდომას აზრი არასოდეს არა აქვს. ხვდები, რა განსხვავებაა?

ექვსთითა დუმდა.

– იმ დრომდე ვცხოვრობთ, სანამ იმედი გვაქვს, – უთხრა განდგომილმა, – და მას თუ დაკარგავ, არავითარ შემთხვევაში თავს არ უნდა მისცე იმის უფლება, რომ ეს გაიზრო. და მაშინ რაღაცა შეიძლება შეიცვალოს. მაგრამ ამაზე დიდი იმედების დამყარება არ ღირს.

ექვსთითამ რაღაცნაირი გაღიზიანება იგრძნო.

– ეს ყველაფერი დიდებულია, – თქვა მან, – მაგრამ სინამდვილეში რას ნიშნავს?

– სინამდვილეში ეს იმას ნიშნავს, რომ შენ ყოველდღე ამ ქანჩებით იმდენი უნდა ივარჯიშო, სანამ ჩემსავით არ იზამ. ჩემთვის კი ეს იმას ნიშნავს, რომ ისე უნდა გააკვირდებოდე, თითქოს შენი წარმატებები მართლა ძალიან მნიშვნელოვანია.

– ნუთუ სხვა საქმე არაფერია? – იკითხა ექვსთითამ.

– კი, როგორ არა, – უპასუხა განდგომილმა, – შეგიძლია გადამწყვეტი ეტაპისთვის მოემზადო. მაგრამ ამ შემთხვევაში მარტო მოგიწევს ჩალიჩი.

VI

– მისმინე, განდგომილო, შენ ყველაფერი იცი და – რა არის სიყვარული?

– საინტერესოა, სად გაიგე ეგ სიტყვა? – ჰკითხა განდგომილმა.

– სოციუმიდან რომ მაგდებდნენ, ვილაცამ მკითხა, მიყვარს თუ არა ის, რაც დაწესებულია. ვუპასუხე, არ ვიცი-მეთქი. მერე კი ცალთვალამ თქვა, რომ ძალიან უყვარხარ, შენ კი – რომ ის გიყვარს.

– გასაგებია. იცი, ალბათ, ვერ აგისხნი. მხოლოდ მაგალითით შეიძლება გაიგო. აი, წარმოიდგინე, რომ წყლიან კასრში ჩავარდი და იხრჩობი. წარმოიდგინე?

– აჰა.

– ახლა კი წარმოიდგინე, რომ წამით თავი ამოყავი, სინათლე დაინახე, ჰაერი ჩაისუნთქე და რაღაცა შეგეხო ხელზე. და შენც ჩაებლაუჭე და ასე იმაგრებ თავს. ჰოდა, თუ მივიჩნევთ, რომ მთელი სიცოცხლე იძირები (და ეს ასეც არის), მაშინ სიყვარული ის არის, რაც შეგაძლებინებს, რომ თავი წყლის ზემოთ გეჭიროს.

– შენ ამას იმის შესახებ ამბობ, რისი სიყვარულიც დაწესებულია?

– არა აქვს მნიშვნელობა. თუმცა, რაც დაწესებულია, ის შეიძლება, გიყვარდეს წყლის ქვეშაც. რაც გინდა. რა განსხვავებაა, რას ჩაებლაუჭები, მთავარია – გაგიძლოს. ყველაზე ცუდია, თუ ეს ვილაც სხვა არის, ის, იცი, ყოველთვის შეიძლება ხელიდან გამოგეცალოს. მოკლედ რომ ვთქვათ, სიყვარული ის არის, რომლის წყალობითაც ყველა იქ არის, სადაც არის. მკვდრების გარდა... თუმცა...

– მე მგონი, მე არასდროს არაფერი მყვარებია, – შეაწყვეტინა ექვსთითამ.

– არა, ეს შენც შეგემთხვა. გახსოვს, ნახევარი დღე რომ ღრიალებდი იმის გახსენებაზე, ვინც საპასუხოდ ხელი დაგიქნია მაშინ, კედლიდან რომ გვყრიდნენ? აი, ეს იყო სიყვარული. შენ ხომ არ იცი, ეს რატომ გააკეთა. იქნებ ფიქრობდა, რომ სხვებზე უფრო დახვეწილად დაგცინოდა. მე, პირადად, სწორედ ასე მგონია. ასე რომ, შენ ძალიან სულელურად, მაგრამ სწორად მოიქეცი. სიყვარული აზრს ანიჭებს იმას, რასაც ვაკეთებთ, თუმცა კი სინამდვილეში იგი არ არსებობს.

– ესე იგი, სიყვარული გვატყუებს? სიზმარით რაღაცაა?

– არა. სიყვარული – ეს რაღაც სიყვარულივითაა, სიზმარი კი – სიზმარივით. ყველაფერს, რასაც აკეთებ, მხოლოდ სიყვარულის გამო აკეთებ. სხვა შემთხვევაში იჯდებოდი და იღრიალებდი შიშისა ან ზიზღის გამო.

– კი მაგრამ, ბევრი ხომ რასაც აკეთებს, იმას სიყვარულის გამო სულაც არ აკეთებს.

– სისულელეა. ისინი არაფერსაც არ აკეთებენ.

– და შენ ღამე გიყვარს, განდგომილო?

– მიყვარს.

– რა?

– არ ვიცი. ის, რაც ხანდახან შეიგრძნობა. ზოგჯერ ეს რაღაც აზრია, ზოგჯერ ქანჩი, ზოგჯერ ნიავი. მთავარია, რომ ყოველთვის ვცნობ, როგორც არ უნდა შეინიღბოს იმ ყოველივე საუკეთესოთი, რაც კი არსებობს ჩემში.

– როგორ?

– როგორ და ვმშვიდდები.

– და ყველა სხვა დროს აფორიაქებული ხარ?

– არა. ყოველთვის მშვიდი ვარ. უბრალოდ, ეს საუკეთესოა, რაც კი არსებობს ჩემში. და რაც მიყვარს, ის რომ მეძლევა, ამას მთელი ჩემი სიმშვიდით ვხვდები.

– და როგორ ფიქრობ, რა არის ჩემში საუკეთესო?

– შენში? ალბათ, ის, როცა ჩუმადა ხარ სადმე კუთხეში და არ ჩანხარ.

– მართლა?

– რა ვიცი... სერიოზულად – რა არის შენში საუკეთესო, გაიგებ მაშინ, როცა იმას შეხვდები, რაც შეგიყვარდება. რას გრძნობდი იმაზე ფიქრის დროს, ხელი რომ დაგიქნია?

– სევდას.

– ჰოდა, ესე იგი, საუკეთესო რამ შენში შენი ნაღველია და ყოველთვის ასე შეხვდები იმას, რაც გიყვარს.

განდგომილმა მიმოიხედა და რაღაცას ყური მიუგდო.

– გინდა ნახო ღმერთები?

– ოღონდ, თუ შეიძლება, ახლა არა, – უპასუხა შეშინებულმა ექვსთითამ.

– ნუ გეშინია. ჩლუნგები არიან. აი, შეხედე, აგერ.

გასასვლელში, კონვეიერს იქით, სწრაფად მიდიოდა ორი უზარმაზარი არსება – იმდენად დიდები იყვნენ, რომ მათი თავები სადღაც, ჭერთან, ბინდბუნდში იკარგებოდა. მათ უკან კიდევ ერთი მსგავსი არსება მოსდევდა, ოღონდ უფრო დაბალი და სქელი – ხელში ეჭირა გადაჭრილი კონუსის მსგავსი ჭურჭელი, მინისკენ დახრილი ვინრო თავით. პირველი ორი იმ ადგილის მახლობლად შეჩერდა, სადაც განდგომილი და ექვსთითა ისხდნენ და დაბალი მოგუგუნე ხმები გამოუშვა („საუბრობენ“ – მიხვდა ექვსთითა), მესამე არსება კი კედელს მიუახლოვდა, ჭურჭელი იატაკზე დადგა, ჩაანო შიგ ფუნჯიანი ჭოკი და ჭუჭყიან-ნაცრისფერ კედელზე გაუსვა ჭუჭყიან-ნაცრისფერი ზოლი. უცნაური სუნი დადგა.

– მისმინე, – ძლივს გასაგონად ჩასჩურჩულა ექვსთითამ, – შენ ამბობდი, რომ იცი მათი ენა. რას ამბობენ?

– ეს ორი? ახლავე. პირველი ამბობს: „მე ხეთქვა მინდა“. მეორე კი ამბობს: „შენ დუნკას აღარ მიეკარო“.

– „დუნკა“ რა არი?

– ეგეთი ადგილია სამყაროში.

– და პირველს რისი შეხეთქვა უნდა?

– დუნკასი, ცხადია, – უპასუხა ფიქრის შემდეგ განდგომილმა.

– და სამყაროს ადგილს როგორ შეხეთქავს?

– ღმერთები არ არიან?

– და ეს მსუქანი რას ამბობს?

– არაფერს, მღერის იმის შესახებ, რომ სიკვდილის მერე ტირიფად ქცევა უნდა. სხვათა შორის, ჩემი საყვარელი ღვთიური სიმღერაა. მერე როგორმე გიმღერებ. სამწუხარო მხოლოდ ის არი, რომ არ ვიცი, ტირიფი რა არის.

– ღმერთებიც იხოცებიან?

– აბა რა. ეს მათი ძირითადი საქმიანობაა.

იმ ორმა გზა განაგრძო. „რა დიდებულებაა!“ – ფიქრობდა ელდანაცემი ექვსთითა. ღმერთების მძიმე ნაბიჯები და მათი დაბალი ხმა მიწყდა, სიჩუმე ჩამოვარდა. კაფელის იატაკის ფილებზე ორპირი ქარი მტვერს ატრიალებდა და ექვსთითას ერ-

ვენებოდა, რომ წარმოუდგენლად მაღალი მთიდან დაჰყურებდა ქვის უცნაურ უდაბნოს, რომელზეც მილიონი წლის მანძილზე ერთი და იგივე რამ ხდება: ქრის ქარი და დააქროლებს ვილაცის სიცოცხლის ნარჩენებს, შორიდან ჩალის ღეროებად, ქალაღებ-ბად ან კიდევ რალაცად რომ გეჩვენება. „ოდესმე, – ფიქრობდა ექვსთითა, – ვილაც სხვა დაიწყებს აქედან ქვემოთ ყურებას და ჩემზე ისე იფიქრებს, რომ თავად არ ეცოდინება, რომ ჩემზე ფიქრობს. ისევე, როგორც ახლა მე ვფიქრობ ვილაცაზე, რომელიც იმავეს გრძობდა, რასაც მე, ღმერთმა იცის, როდის. ყოველ დღეში არსებობს წერტილი, რომელიც მას აკავშირებს წარსულთან და მომავალთან. რა სევდისმომგვრელია ეს სამყარო...“

– მაგრამ მასში რალაც ისეთიც არსებობს, რაც ყველაზე ნაღვლიან ცხოვრებასაც კი აზრს ანიჭებს, – თქვა მოულოდნელად განდგომილმა.

„სიკვდილის მერე რომ ტირიფად გადამაქციაააა“, – გაბმულად და ხმადებლა მღეროდა მსუქანი ქალღმერთი საღებავის ბაღურასთან, იდაყვზე თავჩამოდებული ექვსთითა სევდას გრძობდა, განდგომილი კი სავსებით მშვიდად იყო და თითქოს ათასობით უხილავი თავის ზემოთ სიცარიელეს გასცქეროდა.

VII

იმ დროს, როდესაც ექვსთითა ქანჩებით ვარჯიშობდა, მთელი ათი სამყარო მოექცა საამქრო ნომერ ერთში. რალაც ჭრიალებდა და აკაკუნებდა მწვანე კარს მიღმა, იქ რალაც ხდებოდა და ექვსთითას, ამაზე რომ ფიქრობდა, ცივი ოფლი ასხამდა და აკანკალებდა. მაგრამ ძალასაც სწორედ ეს მატებდა. ხელები შესამჩნევად დაუგრძელდა და გაუძლიერდა – ახლა უკვე ისეთივე ჰქონდა, როგორიც განდგომილს. მაგრამ ეს ჯერ არაფერს არ ნიშნავდა. ერთადერთი, რაც განდგომილმა იცოდა, – ის იყო, რომ ხელებით უნდა იფრინო, მაგრამ როგორ – მისთვის გაუგებარი დარჩა. განდგომილს მიაჩნდა, რომ ეს სივრცეში გადაად-

გილების განსაკუთრებული საშუალებაა, როდესაც ის ადგილი უნდა წარმოიდგინო, სადაც გინდა მოხვედრა და მერე ხელებს უნდა უბრძანო ფიქრით, რომ იქ მთელი ტანი გადაიტანონ. იგი მთელ დღეებს ქვრეტაში ატარებდა, თუნდაც რამდენიმე ნაბიჯით რომ გადაეადგილებინა სხეული, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა.

– ალბათ, – ეუბნებოდა ექვსთითას, – ხელები ჯერ კიდევ არა გვაქვს საკმარისად ძლიერი. უნდა განვაგრძოთ.

ერთხელ, როდესაც განდგომილი და ექვსთითა ყუთებს შორის ჩვრების გროვაში ისხდნენ და საგანთა არსს აკვირდებოდნენ, ფრიად უსიამოვნო ამბავი მოხდა. ირგვლივ ცოტათი ჩამოხნელდა და, როდესაც ექვსთითამ თვალი გაახილა, მის წინაშე რომელიღაც ღმერთის გაუპარსავი სახე მოჩანდა.

– უყურე შენ, სადამდე მოუღწევიათ, – თქვა მან, შემდეგ კი განდგომილსა და ექვსთითას ვეებერთელა ჭუჭყიანი ხელებით დასწვდა, ყუთებიდან ამოათრია, წარმოუდგენელი სისწრაფით გადაატარა უზარმაზარ სივრცეს და ერთ-ერთ სამყაროში ჩაყარა, რომელიც საამქრო ნომერი ერთიდან უკვე არც ისე შორს იყო. თავიდან განდგომილი და ექვსთითა ამ ამბავს მშვიდად და გარკვეული ირონიითაც კი შეხვდნენ – ისინი სამყაროს კედელთან მოკალათდნენ და სულის თავშესაფრის მოწყობას შეუდგნენ, მაგრამ ღმერთი უცბად მობრუნდა, ამოათრია ექვსთითა, კარგად დააკვირდა მას, გაოცებისაგან ტუჩები დაანკლაპუნა, შემდეგ ფეხზე ცისფერი ლენტი შეაბა და უკან ჩააგდო. რამდენიმე წუთში უკვე რამდენიმე ღმერთი მოუახლოვდა – მათ ამოიყვანეს ექვსთითა და აღფრთოვანების გამომხატველი ნამოძახილებით რიგრიგობით დაიწყეს მისი თვალიერება.

– ეს უკვე აღარ მომწონს, – თქვა განდგომილმა, როდესაც ღმერთებმა, როგორც იქნა, დააბრუნეს ექვსთითა თავის ადგილზე და გაბრუნდნენ, – ცუდად არის საქმე.

– მეც ეგრე მგონია, – უპასუხა შეშინებულმა ექვსთითამ. – იქნებ უკეთესი იყოს, ეს ხარახურა მოვიხსნა?

და ფეხზე შემოკრულ ცისფერ ლენტზე მიუთითა.

– ჯობია, ჯერ არ მოიხსნა, – უპასუხა განდგომილმა.

ცოტა ხანს პირქუშად დუმდნენ, მერე კი ექვსთითამ უთხრა:
 – ეს ყველაფერი ექვსი თითის ბრაღია. რომც გავიქცეთ აქედან, ისინი ხომ ძეზნას დაგვიწყებენ. ყუთების შესახებ უკვე იციან. სადმე სხვაგან შეიძლება დავიმალოთ?

განდგომილი კიდეც უფრო მოიღრუბლა, შემდეგ პასუხის ნაცვლად ადგილობრივ სოციუმში გასეირნება შესთავაზა, ცოტა სევდა რომ გაექარებინათ.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ შორეული საკვებურ-სარწყულელებისაგან მათკენ უკვე მთელი დელეგაცია მოემართებოდა. იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომ განდგომილისა და ექვსთითასგან დაახლოებით ოც ნაბიჯში ისინი მიწას გაერთხნენ და ასე, ხოხვით, წამოვიდნენ, მათ სერიოზული განზრახვა ამოძრავებდათ. განდგომილმა ექვსთითას უბრძანა, უკან დაეხია და თვითონ ამბის გასარკვევად გაეშურა. დაბრუნებულმა თქვა:

– ასეთი რამ კი ნამდვილად არასდროს მინახავს. მათ აქ, როგორც ჩანს, რელიგიური თემი ჰქონიათ. ყოველ შემთხვევაში, დაინახეს, რომ შენ ღმერთებთან ურთიერთობა შეგიძლია და ახლა შენ მოციქულად გთვლიან, მე კი შენს მოწაფედ თუ რაღაც ამგვარად.

– მერე ახლა რა იქნება? რა უნდათ?

– გვეძახიან. ამბობენ, რომ რაღაც გზა არის გაკვალული, რაღაცა არის მოფენილი და ასე შემდეგ. ვერაფერი გავიგე, მაგრამ მგონია, რომ წაყოლა ღირს.

– ნავიდეთ, – გულგრილად აიჩეჩა მხრები ექვსთითამ. შავბნელი წინათგრძნობა ტანჯავდა.

გზაზე რამდენჯერმე სცადეს, განდგომილი ხელში აყვანილი ეტარებინათ, რასაც მან დიდი გაჭირვებით დააღწია თავი. ექვსთითასთან არათუ მიახლოებას, თვალის შევლებასაც კი ვერავინ უბედავდა და იგი დიდი, ცარიელი წრის შუაგულში მოაბიჯებდა.

მოსვლისთანავე ექვსთითა ჩალის მაღალ მთაზე დააბრძანეს, განდგომილი კი ძირს დარჩა და საუბარში ჩაერთო აქაურ მღვდელმსახურებთან, რომლებიც ოცამდე იყვნენ, – მათი ცნობა იოლი იყო გაბრტყელებული, მსუქანა სახეების წყალობით.

შემდეგ მან ისინი აკურთხა და გორაკზე აცოცდა ექვსთითასთან, რომელიც ისეთ ცუდ გუნებაზე იყო, რომ განდგომილის რიტუალურ მისაღმებას არც კი უპასუხა, რაც მრევლის თვალში სავესებით ბუნებრივი ჩანდა.

გაირკვა, რომ კაი ხანია ყველა მესიის მოსვლას ელოდა, რადგან მოახლოებული გადამწყვეტი ეტაპი, რომელსაც აქ დიდი სასამართლო ენოდებოდა, ხალხს ძალზე ამოფოთებდა, მღვდელმთავრები კი ისე გასუქდნენ და გაზარმაცდნენ, რომ მათთვის დასმულ ყველა კითხვას ცისკენ თავის გაქნევითა პასუხობდნენ. ასე რომ, ექვსთითას გამოჩენა თავის მოსწავლესთან ერთად ძალზე დროული აღმოჩნდა.

– ქადაგებას ელიან, – აცნობა განდგომილმა.

– ჰოდა, ღამენაირად დააბოლე, – ჩაიბურტყუნა ექვსთითამ, – მე ხომ სულელზე სულელი ვარ, თვითონაც კარგად იცი.

სიტყვაზე „სულელი“ ხმა აუკანკალდა და საერთოდაც ეტყობოდა, რომ საცაა ატირდებოდა.

– შემჭამენ ეგ ღმერთები, – თქვა მან, – ვგრძნობ.

– კაი, კაი, დამშვიდდი, – უთხრა განდგომილმა, მიბრუნდა გორაკთან მოგროვილი ბრბოსკენ და მლოცველის პოზა მიიღო: თავი ზემოთ ასწია და ხელები ცისკენ აღაპყრო. – ეი, თქვენ! – დაიყვირა მან. – მალე ყველანი ჯოჯოხეთში ამოყოფთ თავს. იქ კარგად შეგბრანავენ, ყველაზე ცოდვილებს კი მანამდე ძმრიან მარინადში ჩაგანყობენ.

სოციუმს შემზარავი ამოოხვრის ტალღამ გადაუარა.

– მე კი, ღმერთთა და მათი მოციქულის, ჩემი ბატონის, ნებით, მინდა გამცნოთ, როგორ გადაირჩინოთ თავი. ამისთვის ცოდვა უნდა დაამარცხოთ. იცით კი, ცოდვა რა არის?

პასუხად ღუმილი იყო.

– ცოდვა – ეს ზედმეტი ნონაა. ცოდვილი თავად ჩვენი სხეულია, რადგან სწორედ მის გამო გვხოცავენ ღმერთები. დაფიქრდით: რა მოახლოებს გადამწ... დიდ სასამართლოს? სწორედ ის, რომ თქვენ ცხიმი გედებათ. ღამეთუ გამხდარნი გადარჩებიან, მსუქანნი კი – ვერა. ჭეშმარიტად ასეა: არც ერთი გაჩხინკული და გალურჯებული არ ჩავარდება ცეცხლში, მსუქნები და ვარ-

დისფრები კი ყველანი იქ იქნებიან. მაგრამ ისინი, ვინც დღეიდან დიდ სასამართლომდე იმარხულებენ, მეორე სიცოცხლეს მოიპოვებენ. ჰოი, უფალო! ახლა კი ადექით და აღარ სცოდოთ.

მაგრამ არავინ არ წამოდგა – ყველანი ინვნენ და უყურებდნენ: ზოგი ხელების მქნეველ განდგომილს, ზოგი ცის თაღს. მრავალი ტიროდა. კაცმა რომ თქვას, განდგომილის ქადაგება მხოლოდ ღვთისმსახურთ არ მოეწონათ.

– ეგ რად გინდოდა? – ჩაუჩურჩულა ექვსთითამ, როდესაც განდგომილი ჩალის გორაზე დაეშვა, – ისინი ხომ გიჯერებენ.

– მერე მე რა, ვიტყუები? – უპასუხა განდგომილმა, – თუ ძალიან გახდებიან, გამოკვების მეორე ციკლზე გაუშვებენ. მერე კი, შესაძლოა, მესამეზეც. მაგრამ მაგას თავი დავანებოთ და ჩვენს საქმეს მივხედოთ.

VIII

განდგომილი ხშირად ესაუბრებოდა ხალხს და ასწავლიდა, როგორ მოეშორებინათ მადის აღმძვრელი შესახედაობა. ექვსთითა კი ძირითადად თავის ჩალის მთაზე იჯდა და ფრენის ბუნებაზე ფიქრობდა. საზოგადოებრივ დისკუსიებში თითქმის არ ერეოდა და მხოლოდ ხანდახან აკურთხებდა ხოლმე მასთან მიხობებულ ერისკაცებს. ყოფილი ღვთისმსახურები, რომლებიც გახდომას არ აპირებდნენ, მძულვარებით შესცქეროდნენ, მაგრამ ვერაფერს ბედავდნენ, რადგან სულ ახალ-ახალი ღმერთები მოდიოდნენ მსოფლიოსთან, აიყვანდნენ ხოლმე ექვსთითას, ათვალეიერებდნენ და ერთმანეთს უჩვენებდნენ. ერთხელ მათ შორის დიდი ამალით გარშემორტყმული, შეშუპებულსახიანი, ჭალარა მოხუციც კი აღმოჩნდა, რომელსაც დანარჩენი ღმერთები დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ. მოხუცმა ხელში აიყვანა და ექვსთითამაც პირდაპირ მის აკანკალებულ ხელის გულზე ბოროტად მოისაქმა, რის შემდეგაც საკმაოდ უხეშად იქნა უკან დაბრუნებული.

ღამე კი, როდესაც ყველას ეძინა, ის და განდგომილი ისევ თავგანწირულად ავარჯიშებდნენ ხელებს – რამდენადაც ნაკლებად სწამდათ, რომ ეს რაიმე შედეგს გამოიღებდა, იმდენადვე გაცხარებით ცდილობდნენ. ხელები ისე დაუგრძელდათ, რომ ვარჯიში იმ რკინებით, რომელთა მოსაპოვებლადაც განდგომილმა საკვებურ-სარწყულბელი დაშალა (სოციუმში ყველა მარხულობდა და თითქმის გამჭვირვალედ ქცეულიყვნენ), უკვე საერთოდ შეუძლებელი იყო – საკმარისი იყო ოდნავ აქენიათ ხელები, რომ ფეხები მაშინვე მოსწყდებოდა მიწას და იძულებული იყვნენ, შეენყვიტათ ვარჯიში. ეს სწორედ ის სირთულე იყო, რომლის შესახებაც თავის დროზე აფრთხილებდა განდგომილი ექვსთითას, მაგრამ მას გვერდი ვერ აუარეს – განდგომილმა მხოლოდ ის იცოდა, როგორ მოემაგრებინა მუსკულები სტატიკური ვარჯიშებით და ასწავლა კიდევ ეს ექვსთითას. მწვანე კარიბჭე უკვე მოჩანდა სამყაროს კედლის გადაღმა და, განდგომილის გამოთვლით, დიდ სასამართლომდე მხოლოდ ათი დაბნელება და რჩენილიყო. ექვსთითას ღმერთების მაინცდამაინც არ ეშინოდა – მიეჩვია მათ მუდმივ ყურადღებას და ამას ზიზღნარევი მორჩილებით ეგუებოდა. მისი სულიერი მდგომარეობა ნორმალური იყო და ღამე გასართობი რომ მოეძებნა, ისეთი გაუგებარი, ბნელი ქადაგებები დაიწყო, რომ მრევლს თავზარი დასცა. ერთხელ გაახსენდა ცალთვალას ნაამბობი მიწისქვეშა სამყაროს შესახებ და შთაგონებულმა მწვანეტანსაცმლიანი ას სამოცი დემონისათვის სუპის მომზადების სურათი ისე დეტალურად აღწერა, რომ ბოლოს არა მარტო თავად გონების დაბნელებამდე შეშინდა, არამედ გვარიანად შეაშინა განდგომილიც, რომელიც მისი სიტყვის დანყებისას მხოლოდ ფხუკუნებდა. მრევლიდან მრავალმა დაისწავლა ეს ქადაგება ზეპირად, მას „ცისფერი ლენტის გამოცხადება“ ეწოდა – ასეთი იყო ექვსთითას საკრალური სახელი. ამის შემდეგ ყოფილმა ღვთისმსახურებმაც კი დაანებეს თავი ჭამას და წონის დასაკლება საათობით დარბოდნენ ნახევრადდაშლილი საკვებურ-სარწყულბლის ირგვლივ.

რადგან განდგომილიცა და ექვსთითაც ორმაგ ულუფებს ჭამდნენ, განდგომილს მოუწია შეემუშავებინა უცოდველობის

საგანგებო დოგმა, რომელმაც სასწრაფოდ ჩაახშო ქორაობის ყოველგვარი მცდელობა.

მაგრამ გადატანილი სტრესის შემდეგ ექვსთითა თუ სწრაფად ჩადგა ფორმაში, განდგომილს ცუდი რალაც ემართებოდა, თითქოს ექვსთითას დეპრესია გადაედო – თანდათანობით უფრო და უფრო იკეტებოდა თავის თავში.

ერთხელაც მან უთხრა ექვსთითას:

– იცი, თუ არაფერი გამოგვივა, სხვებთან ერთად გავემართები საამქრო ნომერი ერთისკენ.

ექვსთითამ პირი გააღო, მაგრამ განდგომილმა შეაჩერა:

– და რამდენადაც ჩვენ, ალბათ, არაფერი გამოგვივა, ეს საკითხი გადანყვეტილად უნდა ჩავთვალოთ.

ექვსთითა უცებ მიხვდა, რომ რის თქმასაც აპირებდა, სრულიად ზედმეტი იყო. მას სხვისი გადანყვეტილების შეცვლა არ შეეძლო, შეეძლო მხოლოდ თავისი ერთგულება გამოეხატა განდგომილისთვის – რაც არ უნდა ეთქვა, აზრი ეს იქნებოდა. ადრე, ალბათ, თავს ვერ შეიკავებდა ათასნაირი უქმი საუბრისგან, მაგრამ ამ ბოლო ხანს მასში რალაც შეიცვალა. და საპასუხოდ მან უბრალოდ თავი დაუქნია, გვერდზე გადაგა და ფიქრებში გაერთო. მალე მობრუნდა და უთხრა:

– მეც შენთან ერთად წამოვალ.

– არა, – თქვა განდგომილმა, – არავითარ შემთხვევაში. შენ ახლა თითქმის ყველაფერი იცი, რაც მე ვიცოდი. და აუცილებლად უნდა გადარჩე, რომ მოწაფე იპოვო. იქნებ ის მაინც მიუახლოვდეს ფრენის საიდუმლოს.

– გინდა, რომ მარტო დავრჩე? – ჰკითხა გაღიზიანებულმა ექვსთითამ, – ამ ნახირთან ერთად?

და მან მიუთითა წინასწარმეტყველთა საუბრის დაწყებისთანავე მიწაზე განრთხმულ მრევლზე: ერთიანად მოცახცახე სხეულებს მთელი სივრცე შეევესოთ.

– ეს ნახირი არ არის, – უპასუხა განდგომილმა, – ისინი უფრო ბავშვებს ჰგვანან.

– გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვებს, – დაამატა ექვსთითამ, – თანაც თანდაყოლილი უამრავი ბინიერებით.

განდგომილმა ჩაცინებით დახედა მას ფეხებზე.

– საინტერესოა, გახსოვს თუ არა, როგორი იყავი შენ თვითონ ჩვენს შეხვედრამდე?

ექვსთითა ჩაფიქრდა და დაირცხვინა.

– არა, – თქვა ბოლოს, – არ მახსოვს. მართლა გეუბნები, არ მახსოვს.

– კეთილი, – უთხრა განდგომილმა, – როგორც საჭიროდ მიიჩნევ, ისე მოიქეცი.

ასე დამთავრდა ეს საუბარი.

დასასრულამდე დარჩენილი დღეები სწრაფად გადიოდა. ერთხელ, დილით, როდესაც მრევლი ჯერ თვალებს იფშენებდა, განდგომილმა და ექვსთითამ შეამჩნიეს, რომ მწვანე კარიბჭე, ჯერ კიდევ გუშინ რომ ასე შორეულად ეჩვენებოდათ, პირდაპირ სამყაროს კედლის თავზე აღმართულიყო. მათ ერთმანეთს გადახედეს და განდგომილმა თქვა:

– დღეს უკანასკნელი მცდელობა გვექნება. უკანასკნელი იმიტომ, რომ ხვალ უკვე აღარავინ იქნება, რომ გაიმეოროს. ხელები ისე გაგვეზარდა, რომ მათი დაქნევაც კი არ შეგვიძლია ისე, რომ ფეხზე დავრჩეთ. ამიტომ ახლა სამყაროს კედლისკენ გავეშურებით, ამ ბურდღუნმა ხელი რომ არ შეგვიშალოს და მერე იქიდან ვცდით საკვებურ-სარწყულებლის სახურავზე გადმოადგილებას. თუ ვერ მოვახერხებთ, მაშინ დავემშვიდობებით სამყაროს.

– ეგ როგორ გავაკეთოთ? – ჩვეულებისამებრ იკითხა ექვსთითამ.

განდგომილი გოცებული მიაშტერდა.

– მე რა ვიცი, – უთხრა მან.

მრევლს აუწყეს, რომ მოციქულები ღმერთებთან სასაუბროდ მიდიოდნენ. მალე განდგომილი და ექვსთითა სამყაროს კედელთან იყვნენ, სადაც დასხდნენ და ზურგით მიეყრდნენ.

ექვსთითამ თვალები დახუჭა, მთელი თავისი ყურადღება ხელებზე გადაიტანა და ფიქრი დაიწყო რეზინის მილზე, რომელიც საკვებურ-სარწყულებლის სახურავს უერთდებოდა. თანდათანობით ტრანსში შევიდა და დაეუფლა მკაფიო განცდა, რომ ეს

მილი მის გვერდითაა, ერთი ხელის განვდენაზე. ადრე, როდესაც წარმოიდგენდა, რომ უკვე იქ იყო, სადაც უნდოდა გადაფრენა, ექვსთითა თვალის გახელას ჩქარობდა და ყოველთვის იქ აღმოჩნდებოდა ხოლმე, სადაც მანამდე იყო. მაგრამ ახლა გადანყვიტა სხვა ღამე ეცადა. „თუ ნელა ავამოძრავებ ხელებს, – გაიფიქრა მან, – ისე, რომ მილი მათ შორის აღმოჩნდეს, მაშინ რა მოხდება?“ ფრთხილად, მიღწეული თავდაჯერებულობის შენარჩუნების სურვილით, რომ მილი აქვეა, მან ხელების მოძრაობა დაიწყო და, როდესაც ისინი ერთმანეთს მიატყუპა, სადაც ადრე სიცარიელე იყო, მილს შეეხო, ვერ მოითმინა და მთელი ხმით შესძახა:

– არის! – და თვალი გაახილა.

– ჩუმად, სულელო, – უთხრა მის წინ მდგომმა განდგომილმა, რომლის ფეხსაც ჩაბლაუჭებოდა, – შეხედე.

ექვსთითა წამოხტა და მოტრიალდა. საამქრო ნომერი ერთის კარიბჭე გაღებულიყო და მათი სარქველები ნელა მოიწვედა გვერდებიდან და ზემოდან.

– მოვსულვართ, – თქვა განდგომილმა, – წავედით უკან.

უკანა გზაზე ხმა არ ამოუღიათ. ტრანსპორტერის ლენტი იმავე სისწრაფით მოძრაობდა, როგორც განდგომილი და ექვსთითა მიდიოდნენ, ოღონდ საპირისპირო მხარეს და ამიტომ მთელი ამ დროის განმავლობაში საამქრო ნომერი ერთის შესასვლელი იქვე იყო, სადაც ისინი იმყოფებოდნენ. და როდესაც საკვებურ-სარწყულბელთან თავიანთ საპატიო ადგილებს მიაღწიეს, შესასვლელმა ისინიც დაფარა და გზაც განაგრძო.

განდგომილმა მრევლიდან ვიღაც მოიხმო.

– მისმინე, – უთხრა მან, – ოღონდ მშვიდად! მიდი და დანარჩენებს უთხარი, რომ დიდი სასამართლო დაიწყო. ხედავ, როგორ დაბნელდა ცა?

– და ახლა რა ვქნათ? – იკითხა მან იმედიანად.

– ყველა უნდა დაჯდეს მიწაზე და ასე გააკეთოს, – უპასუხა განდგომილმა და თვალეები ხელებით დაიფარა. – და არ გამოიხედონ, თორემ პასუხს არაფერზე ვაგებთ. და ჩუმად იყვნენ.

თავიდან მაინც ხმაური ატყდა, მაგრამ მალევე მიწყდა –

ყველა მინაზე დაჯდა და ისე მოიქცა, როგორც განდგომილმა ბრძანა.

– აბა, – თქვა ექვსთითამ, – დავემშვიდობოთ სამყაროს, არა?

– მიდი, – უპასუხა განდგომილმა, – ჯერ შენ.

ექვსთითა ადგა, მიმოიხედა, ამოიოხრა და დაჯდა.

– მორჩა? – ჰკითხა განდგომილმა.

ექვსთითამ თავი დაუქნია.

– ჩემი ჯერია, – თქვა წამომდგარმა განდგომილმა, ასწია თავი და მთელი ხმით იყვირა: – სამყარო! მშვიდობით!

IX

– შეხე, რა ამბავშია, – გაისმა მჭექარე ხმა. – რომელია? ესაა ვითომ, რომ ყივის?

– არააა, – უპასუხა სხვა ხმამ, – გვერდით.

სამყაროს კედლის თავზე ორი სახე გამოჩნდა. ღმერთები იყვნენ.

– ფუ, რა ნაგავია, – ნალვლიანად შენიშნა პირველმა მათგანმა, – გაუგებარია, რა უნდა ვუქნათ. ნახევრად მიმხრჩვალეები არიან თითქოს.

სამყაროს თავზე გამოჩნდა უზარმაზარი თეთრი ხელი, სისხლით დასვრილი და სახელოზე მინებებული ბუმბულებით და საკვებურ-სარწყულებელს შეეხო.

– სიმეონ, შენი დედა! რა ჯანდაბას უყურებდი? საკვებური გაფუჭებული ჰქონიათ.

– მთელი იყო, – უპასუხა ბანმა, – თვის დასაწყისში ყველაფერი შევამოწმე. რა ვქნათ, დავკლათ?

– არა, არ გვინდა. ჩართე კონვეიერი, მეორე კონტეინერი მოაყენე, აქ კი ხვალ საკვებური შეაკეთე. როგორ არ დაიხოცნენ, გასაკვირია...

– კარგი.

– ამას რაც შეეხება, ექვსი თითი რომ აქვს, ორივე ფეხი მოგიჭრა?

– მიდი, ჰო.

– ერთი ჩემთვის მინდოდა.

განდგომილი მოუტრიალდა ყურადღებით მყოფ ექვსთითას, რომელსაც თითქმის არაფერი ესმოდა.

ექვსთითამ ვერ გაარჩია, რას ეუბნებოდა განდგომილი. ხელმა შებოჭა, აიტაცა, შემდეგ გამოჩნდა უზარმაზარი მკერდი, გულის ჯიბეში ავტოკალმით, პერანგის საყელო და ბოლოს ორი დიდი, გადმოკარკლული თვალი, რომლებიც მას მიაშტერდა.

– შეხედე ფრთებს, არწივივით არა აქვს! – თქვა წარმოუდგენელი ზომის პირმა, რომლის ნიაღშიც ყვითლად მოჩანდა უსწორმასწორო კბილები.

ექვსთითა დიდი ხანია შეეგუა ღმერთების ხელში ყოფნას, მაგრამ ახლა ხელისგულებიდან, რომლებსაც ის ეჭირა, რაღაც უცნაური ვიბრაცია მოდიოდა. საუბრიდან მან მხოლოდ ის გაიგო, რომ მისი ფეხებისა თუ ხელების შესახებ ამბობდნენ რაღაცას, შემდეგ კი სადღაც, ქვემოდან, განდგომილის შეშლილი ყვირილი გაიგონა:

– ექვსთითა! გაიქეცი! პირდაპირ სიფათში ჩაუნისკარტი!

მათი ნაცნობობის განმავლობაში პირველად მოხდა, რომ განდგომილის ხმაში სასონარკვეთა გაისმა და ექვსთითას შეეშინდა, ისე შეძრწუნდა, რომ ყოველმა მისმა მოქმედებამ სომნაბულის უშეცდომობის თვისება შეიძინა – მან მთელი ძალით ჩაუნისკარტა მასზე მიშტერებულ გადმოკარკლულ თვალს და მაშინვე მთელი ძალით ორივე მხრიდან მისცხო ფეხები და ხელები ღმერთის გაოფლიანებულ სახეს.

ისეთი ღრიალი გაისმა, რომ ექვსთითამ იგი აღიქვა არა როგორც ხმა, არამედ როგორც საშინელი წნეხი მთელ სხეულზე. ღმერთის ხელისგულები გაიშალა და მოულოდნელად ექვსთითამ აღმოაჩინა, რომ ჭერთან იმყოფება და ისე, რომ არაფერს ეყრდნობა, ჰაერშია გამოკიდებული. თავიდან ვერც კი მიხვდა, რაში იყო საქმე, მაგრამ მერე აღმოაჩინა, რომ ინერციით ხელების ქნევას აგრძელებს და სწორედ ეს აჩერებს სიცარიელე-

ში. აქედან კარგად ჩანდა, რას წარმოადგენდა საამქრო ნომერი ერთი: ეს იყო კონვეიერის ორივე მხრიდან შემოფარგლული უბანი, რომლის გვერდით იდგა გრძელი, წითელი და ყავისფერი ლაქებით დაფარული ხის მაგიდა, რომელიც მოფენილი იყო ბუმბულებითა და ფრთებით და გამჭვირვალე პაკეტების გროვები ეწყო. სამყარო, რომელშიც ჩარჩა განდგომილი, უბრალო, დიდ ოთხკუთხა კონტეინერს ჰგავდა, რომელიც უამრავი პატარა სხეულით გავსებულიყო. ექვსთითა განდგომილს ვერ ხედავდა, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ იგი მას ხედავდა.

– ეი, – დაიძახა მან ისე, რომ თან წრიულად დაფრინავდა ჭერთან, – განდგომილო! ჩქარა ჩემკენ! იქნით ხელები, რაც შეიძლება სწრაფად!

ქვემოთ, კონტეინერში, რალაც ამოდრავდა და, ზომებში სწრაფად გაზრდილი, მოუახლოვდა ექვსთითას – და აი, განდგომილიც ექვსთითას გვერდით აღმოჩნდა. მან ექვსთითას კვალად რამდენიმე წრე გააკეთა და დაუყვირა:

– აი, იქ დავსხდეთ!

როდესაც ექვსთითა მიუახლოვდა თეთრად განათებულ კვადრატულ ლაქას, რომელსაც წვრილი ჯვარი ჰყოფდა, განდგომილი უკვე რაფაზე იჯდა.

– კედელი, – თქვა მან, როდესაც ექვსთითა მის გვერდით დაეშვა, – მანათობელი კედელი.

განდგომილი გარეგნულად მშვიდად გამოიყურებოდა, მაგრამ ექვსთითა კარგად იცნობდა და ხვდებოდა, რომ მომხდარისგან თავგზა აზნეოდა. ექვსთითაც ამავე მდგომარეობაში იყო. და უცბად გონს მოეგო.

– მისმინე, – დაიყვირა მოულოდნელად, – და სწორედ ეს არის ფრენა! ჩვენ დავფრინავთ!

განდგომილი ცოტა ხანს მდუმარედ მისჩერებოდა, მერე კი თავი დაუქნია.

– მართლაც, – უთხრა მან, – თუმც კი ძალიან პრიმიტიული აღმოჩნდა.

ამასობაში ქვემოთ ფიგურების გაუთავებელი ბოდიალი ცოტათი მიწყნარდა, და შესაძლებელი გახდა იმის გარჩევა, რომ

ორი თეთრხალათიანი იჭერდა მესამეს, რომელსაც სახეზე ხელი აეფარებინა.

– ნაბიჭვარი! თვალი ამომთხარა მაგ ნაბიჭვარმა! – ღრიალებდა ის მესამე.

– „ნაბიჭვარი“ რა არი? – იკითხა ექვსთითამ.

– ერთ-ერთი სტიქიისთვის მიმართვის საშუალებაა, – უპასუხა განდგომილმა, – ამ სიტყვას თავისთავადი მნიშვნელობა არ გააჩნია. მაგრამ, როგორც ჩანს, ცუდი დღე გველის.

– და რომელ სტიქიას მიმართავს? – ჰკითხა ექვსთითამ.

– მაგას ახლა გავიგებთ, – თქვა განდგომილმა.

სანამ განდგომილი ამას ამბობდა, ღმერთმა მისი შემბორკავი ხელებისაგან თავი გაითავისუფლა, კედელს მივარდა, ცეცხლმაქრობის წითელი ბალონი ჩამოგლიჯა და ფანჯრის რაფაზე მსხდომთ ესროლა – ეს მან ისე სწრაფად გააკეთა, რომ ხელი ვერავინ შეუშალა, განდგომილმა და ექვსთითამ კი ძლივს მოასწრეს სხვადასხვა მხარეს გაფრენილიყვნენ.

მსხვრევისა და მტვრევის ხმა გაისმა. ცეცხლმაქრობი, ფანჯარა რომ გაანგრია, გაუჩინარდა და შენობაში სუფთა ჰაერის ტალღა შემოვარდა – მხოლოდ ამის შემდეგ გახდა ცხადი, რამდენად ყარდა იქაურობა. წარმოუდგენლად განათდა მთელი ის გარემო.

– გავფრინდეთ! – მთელი ხმით აღრიალდა განდგომილი, რომელმაც წამში დაკარგა სიმშვიდე. – სწრაფად! წინ!

და ფანჯარას ფრენით მოშორდა, შემდეგ გამოექანა, ფრთები სხეულზე აიკრა და გაუჩინარდა ცხელ, ყვითელ სინათლეში, რომელიც დამსხვრეული ფანჯრის ნახვრეტიდან შემოდის ქარის ტალღასა და მანამდე სრულიად უცნობ ხმებთან ერთად.

ექვსთითამ წრეზე ფრენა დაიწყო. უკანასკნელად მოჰკრა თვალი ქვემოთ რვაკუთხა კონტეინერს, სისხლით შეღებულ მაგიდას და ღმერთებს, რომლებიც ხელებს იქნევდნენ – შემდეგ ფრთები სხეულზე აიკრა და სტვენით გავარდა ფანჯრის ხვრელიდან.

თავიდან წამიერად დაკარგა მხედველობა – იმდენად კაშკაშა სინათლეში მოხვდა. მერე კი თვალი მიაჩვია და წინ და მალ-

ლა ისეთი სიკაშკაშის თეთრ-ყვითელი ცეცხლის წრე დაინახა, რომ მისთვის თვალის შევლებაც კი შეუძლებელი აღმოჩნდა. უფრო მაღლა კი შავი წერტილი მოჩანდა. ეს განდგომილი იყო. ის ტრიალდებოდა, რათა ექვსთითა წამოწეოდა და უკვე სულ მალე გვერდიგვერდ მიფრინავდნენ.

ექვსთითამ მოიხედა – შორს, ქვემოთ, დარჩა ვეებერთელა, მახინჯი, ნაცრისფერი შენობა, რომელსაც სულ რამდენიმე ზეთის საღებავით გადაღებილი ფანჯარა ჰქონდა. ერთი მათგანი ჩამსხვრეული იყო. გარშემო ყველაფერი ისეთი წმინდა და ნათელი ფერის იყო, რომ ექვსთითამ ზემოთ ყურება დაიწყო, რომ არ გაგიჟებულიყო.


ფრენა განსაცვიფრებლად იოლი აღმოჩნდა – სიარულზე მეტი ძალა არ სჭირდებოდა. უფრო და უფრო მაღლა მიფრინავდნენ და მალე ქვემოთ მხოლოდ ფერადი კვადრატები და ლაქებილა მოჩანდა.

ექვსთითამ თავი განდგომილისკენ მოატრიალა.

- საით? – დაიყვირა მან.
- სამხრეთისაკენ, – მოკლედ უპასუხა განდგომილმა.
- ეგ რაღაა? – ჰკითხა ექვსთითამ.
- არ ვიცი, – უპასუხა განდგომილმა, – მაგრამ ეს იქითკენაა.

და მან ფრთით ანიშნა უზარმაზარი, მბრწყინავი წრისკენ, რომელიც მხოლოდ ფერით თუ ნააგავდა იმას, რასაც ისინი ოდესღაც მნათობებს უწოდებდნენ.

რუსულიდან თარგმნა
კახა ჯამბურია
 იბეჭდება პირველად



რევაზ ინანიშვილი დაიბადა 1926 წელს სოფელ ხაშში, საგარეჯოს რაიონში. 1937 წელს მისი ოჯახი გადავიდა თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო თბილისის 31-ე ქარხანაში, საიდანაც გადავიდა საავიაციო ტექნიკუმში, თუმცა ეს სასწავლებელი არ დაუმთავრებია. 1947 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ორი წლის შემდეგ ხელმოკლეობის გამო მიატოვა სწავლა და მუშაობა დაიწყო სამგორის არხის მშენებლობაზე. 1951 წელს დაბრუნდა უნივერსიტეტში, რომელიც დაამთავრა 1956 წელს. სხვადასხვა წლებში მუშაობდა გამომცემლობა „ნაკადულსა“ და კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სასცენარო განყოფილებაში, 1989 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე რედაქტორობდა ჟურნალ „დილას“. გარდაიცვალა 1991 წელს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

პორი თეთრი მწვერვალი

ლასტის კარს გააღებ და პატარა რუზე გადახვალ. რუში მომწვანო წყალი მორაკრაკებს, შიგ ცხვირისატეხელები და მათიტელები დგას. თუ დააკვირდები, ის ცხვირისატეხელები და მათიტელები ქანაობენ, თრთიან. ახლა უკვე გახურებული არყების ხდაა და წყალი ალბათ ცოტა ღვინისფერიც იქნება. სუნიც ღვინისა იდგება, ღვინისა და კაკლის წენგოსი. შეიძლება რუს ნაპირებს თხელი ყინულიც გასდევს, კიდებგაბრწყინებული თხელი ყინული. საურმეში ჩარჩენილი ტალახი ლამაზად იქნება დაზოლილი ტყიდან მომავალი ოთხთვალეების მიერ. იქნება ცხენის ნაფლოქვარებიც, ხავსიანი ხმელი მუხის ქერქებიც, ჩალრმავებულ ადგილებში ჩაზლაცუნების დროს რომ ცვივა ხოლმე შეშადადებული ურმებიდან. ეს ხმელი ქერქები მოგაგონებს იდუმალებით მოცული ტყის ზღაპრების ნაწყვეტებს. გზის იქით კი, შეფერდებულში, მწვანე შუქი დგას, – ჟუნჟრუკი მოსდებია ფოთოლგაცვივრულ ვენახებს. შიგადაშიგ სხვადასხვა ფერის ხბორები გაფანტულან და გუნებაგამორჩევით სძოვენ. ბილიკზე, ჩრდილიან კბოდეს ძირში, ციკნისყურასა და მრავალძარღვაზე ჯერ ისევ იქნება შემორჩენილი თრთვილი.

ვენახის თავში გულაბების ფითრიან ტოტებს ფათქა-ფუთქით და წრიპინით ესევინ ჩხართვები. იმ გულაბების უკან, გაქუცულ სერზე, არქაული სიმშვიდით დაფამფალეზენ ჭუჭყიანი, მატყლში ძურნაჩაკრული ცხვრები. ძეძვის ძირში მიმჯდარა ნიბლა ესტატე და გრაკლის ჯოხს აჭრელეზს ბალღებისთვის. ზემოდან, სერზე გამომავალ გზაზე, გუდურებაკიდებული სახედრები ჩამოდიან, მოაფხაკუნებენ გუდურების ბოლოებს ხრიოკ, ალაგ-ალაგ ღორ-ღიან მინაზე. ილღიაში სახრეამოჩრილ ბიჭებს ჯიბეები ზღმარტლით აქვთ სავსე, თან რალაცას მოლაპარაკობენ და თან იმ ზღმარტლს ჭამენ. შეხვდები, გამოგლიმებენ და მეგობრობის ნიშნად, გვერდულად შემოგიღრენენ: „ჰა, ვერან!“ თანაც ზღმარტლს გამოგიწვდიან: „აჰა, ჭამე“.

სერზე რომ ახვალ, უეჭველად შეჩერდები, ქარს ამოიღებ, მიმოიხედავ... ეუჰ, რა სივრცეებია გადამლილი შენ წინ! აქეთ, დასავლეთით, რიყეში ჩაკარგული იორი, იორს იქით, გორაზე, უჯარმა და მუხროვანი, ქვემოთ – მულანლო, თათრების სოფელი, იმის ქვემოთ სართიჭალა, იმის ქვემოთ სასიანო, თეთრქვა, ქოჩორა... დასცქერი მალლიდან და ასე გგონია, ამოდენა მიდამოს ბატონ-პატრონი შენ ხარ, გაიქნევ ხელს და ჯადოქარივით შენს ნებაზე აამოძრავებ ყველაფერს.

სერს იქით, აღმოსავლეთით, ტყენვრილი ჩადის დაბლა-დაბლა. იქ ძირმინებია, ნასიმინდრები, ნახნავები; ზაფხულში მარწყვი იცის, ზოგჯერ ნითლად არის ხოლმე გადაღუებული ძეძვის ძირები. ახლა მონყენილობაა, შეიძლება, ყორანი ყრანტალებდეს, საიდანლაც ქარისგან ატაცებული ფოთოლივით შემოფარფატებული. ძირმინებს მოქურუშებული შავკაციანთ სერი წამოსდგომია თავზე...

ტყენვრილში თრთვილი დევს. ხეები სულ ჩამონმენდილან, მხოლოდ ახალგაზრდა მუხებზე შერჩენილა გაფხოკილი, დააფრაკებული ფოთლები და, ნიავი რომ წამოუბერავს, თხილის ნაჭუჭებივით ჩხრიალებენ. დიდ ტინებთან სასიამოვნოდ ხასხასებს რბილი, მაღალი ხავსი. ახლა იმ ხავსსაც თრთვილი ექნება დადებული, ხელი უნდა გადაჰკრა, გადაბერტყო და უფრო სასიამოვნოდ დაინყებს ხასხასს. ჭახჭახით გადადიან ბუნკნარიდან ბუნ-

კნარში საზამთროდ დასუქებული, ფერდაპენილი ყვითელნისკარტა შაშვები. რბილი სკუპ-სკუპით გადასჭრის ბილიკს ზურგზე ნაბლისფერგადაკრული კურდღელი, ჩაჯდება უკანა ფეხებზე, მოგხედავს, დაფეთდება და გავარდება ყურებგალურსული სერსერ. თუ მელია შეგხვდა, ის ნელა, ლანდით უხმაუროდ გადაგიორევს წინ თავის გრძელ, ფუმფულა კუდს და შეიკარგება გოხებში.

აქედან შეიძლება დაინახო დიდი ტყიდან მომავალი მონყენილი ურემიც, ან მანქანა...

მერე აჰყვები შავკაციანთ სერს. ჯერ ახვალ მუხიანში, მერე და მერე ღვიაც გამოერევა, ნაგიცდება ხელი, მოგლეჯ ჩხვლეთანანინვებიან ტოტს, გასრეს იმ წინვებს და მთელ დღეს აღარ მოგშორდება ღვიის საამური სუნი. აქ ტყე ჩაშავებულია, ჩაიდუმალებული. ხევ-ხევ ამავალი გზა ხმელი ფოთლებით არის სავსე. ახვალ სულ მაღლა და, ტყე რომ გათავდება, წმინდა ქუჩი ბალახით მოთებოვებულ ამობურცულ ველში გახვალ. ეს არის შავკაციანთ სერის ლბილი, ლბილი თხემი. ამ თხემიდან რომ ჩრდილოეთისაკენ გაიხედავ, თუ ცა მონმენდილია, ჩალურჯებული, ჩახორხილი, ტყიანი და ჩამოხვენილი მთების უკან თეთრ ლამაზ მწვერვალს დაინახავ. ის გასაოცრად ერთფეროვნად დგას ზამთარშიც და ზაფხულშიც, – სულ თეთრი. ხანდახან თუ ნამოედება ლეგა ღრუბელი, ან მოსცილდება, ანდა მზე მოავარაყებს ოქროსფრად. მაგრამ აუნერელი ძალით იზიდავს ადამიანის თვალს, საგანგებოდაც კი ამოხვალ ამ მწვერვალის დასანახავად (თან ნალდს ნამოილებ, თითქოს ფიჩხზე ან წნელზე იყო ნამოსული). დგახარ და გაჰყურებ გულისცემით. ასე რომ ველარ უძლებ, ჯდება, ზოგჯერ წვები კიდევ და ხან თვალებგადიდებული იყურები, ხან თვალებმოჭუტული. ჯიბეში ვაშლები გაქვს, ამოიღებ და მადიანად ჩაკბენ...

ბიჭმა კლასს გადახედა. მთელი კლასი მას მისჩერებოდა დაინტერესებული, დამცინავი ღიმილით.

– არ გესმის, შინდელაშვილო, – დაუძახა მასწავლებელმა, – გაიმეორე, რას ეწოდება ადგილის გარემოება.

ბიჭი წამოდგა, ხელები მერხის კალთებს ქვეშ ამოაწყო, თვალებში ისევ გაურკვეველობის ბურუსი ედგა.

– ვაი, შენს პატრონს უბედურს, ჰგონია, სკოლაში გამოგზავნა შენც! – ზიზლით თქვა მასწავლებელმა, მაგიდიდან ბლოკნოტი აიღო და ნითელი ავტოკალმით რაღაცა ჩაინიშნა.

– გაიკარ ორიანი, ბიჯო?! – კახურ კილოზე გადმოსძახა უკანა მერხიდან ყველაზე დიდმა ბიჭმა.

კლასი ახარხარდა.

– რა ამბავია! – იყვირა მასწავლებელმა.

შინდელაშვილი დაჯდა, თავი ჩალუნა და ქვედა ტუჩს კვნეტა დაუწყო. მის გვერდით მჯდარმა გოგონამ შეამჩნია, რომ წვრილი, შავ-ყვითელი თითები საბრალობლად უკანკალებდა.

ქუჩაში ტრამვაის ბუგელმა კაშკაშა, ბრაზიანი ცეცხლი გაუჩინა მავთულს...

რევაზ ინანიშვილი.

სალამო ხანის ჩანაწერები.

თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“. 1971.



ჰაინრიხ ჰიოლი 1917 წელს დაიბადა გერმანიის ქალაქ კიოლნში. 1924-1928 წლებში სწავლობდა კათოლიკურ სკოლაში, შემდეგ კიოლნის გიმნაზიაში, რომლის დამთავრებისთანავე დაიწყო მუშაობა ბუკინისტურ მაღაზიაში. 1939 წელს შევიდა კიოლნის უნივერსიტეტში, მაგრამ მალე ჯარში გაიწვიეს და მეორე მსოფლიო ომის დროს იბრძოდა საფრანგეთში, უკრაინასა და ყირიმში. 1945 წელს ჩაბარდა ამერიკელებს, როგორც სამხედრო ტყვე. საბოლოოდ დაბრუნდა კიოლნის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ნაწარმოებების ბეჭდვა დაიწყო 1947 წლიდან და საკმაოდ მალე მოიპოვა ავტორიტეტი. 1967 წელს ბიოლი იმყოფებოდა მოსკოვში, თბილისსა და პეტერბურგში. 1972 წელს მიენიჭა ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში. ხშირად ისე მწვავედ აკრიტიკებდა საბჭოთა წყობილებას, რომ მისი თხზულებების ბეჭდვა საბჭოთა კავშირში საერთოდ აიკრძალა. გარდაიცვალა 1985 წელს. დიდი პატივით იქნა დაკრძალული ბორნჰაიმში, კიოლნთან ახლოს.

ჩემი ნაღვლიანი სახე

როცა ნავსადგურთან ვიდექი და თოლიებს გავყურებდი, ჩემი ნაღვლიანი სახე თვალში მოხვდა ერთ პოლიციელს, რომელიც უბანში საპატრულო შემოვლაზე იყო. მე მზერაგაშტერებული ავყურებდი მოფარფატე ჩიტებს, ხან ცაში რომ აიჭრებოდნენ, ხან კი ღამე საკვების საძებრად ისარივით დაეშვებოდნენ. ნავსადგური უკაცრიელი იყო: მომწვანო, ჭუჭყიანი, მაზუთით მოზიმზიმე წყლის ზედაპირზე ათასნაირი ნაყარნუყარი ტივტივებდა; გემები არ ჩანდა, ამწეები დაჟანგულიყო, სანყოფის შენობა ჩანგრეულიყო. სანაპიროს შავ ნანგრევებში, ეტყობა, ვირთხებიც კი აღარ ბუდობდნენ. სინყნარე იყო.

როგორც ჩანდა, მრავალი წლის წინათ განყვეტილიყო ყოველგვარი კავშირი გარესამყაროსთან.

თვალი ერთ თოლიას დავადგი და მის ფრენას ვაკვირდებოდი. ის წყლის ზედაპირთან ახლოს დაფარფატებდა იმ მერცხალივით, გაავდრებას წინასწარ რომ გრძნობს ალლოთი; თოლია მხოლოდ ზოგჯერ ბედავდა ჭყივილით ზევით აფრენას, რომ მეგობრებს შეერთებოდა. სურვილის გამოთქმა რომ შემძლებოდა, ალბათ ყველაზე მეტად პურს ვინატრებდი თოლიებისთვის, რომ

დამეპურებინა, გადავუყრიდი ნატეხებს და ფრინველთა ამოფარფატს თეთრ წერტილს მოვუნიშნავდი, სამიზნეს გავუჩენდი, რომლისკენაც გამოფრინდებოდნენ. პურის ნატეხები ბოლოს მოუღებდა აჭყვივლებული თოლიების უთავბოლო ფრენას; მე კი თითქოს მათზე გამობმულ უხილავ თასმებს ჩემკენ გამოვქაჩავდი. თოლიები პურისკენ გამოეშურებოდნენ, მე კი მათ უმიზნო ფარფატს გავაერთიანებდი, მაგრამ რა? მეც მათსავით მშვიერი ვიყავი, დალლილი, თუმცა კი ბედნიერი, ჩემი ნაღვლიანობის მიუხედავად, რადგან კარგი იყო აქ ჯიბეებში ხელებჩანყობილი დგომა, თოლიების ცქერა და საკუთარ ნაღველში ჩაძირვა.

უცებ მხარზე ოფიციალური პირის ხელი დაეშვა და ვილაცის ხმამ მითხრა: „გამომყევით!“

თან ცდილობდა, მხრებში ჩამჭიდებოდა და უხეშად მოვებრუნებინე.

მე შევჩერდი, ხელი მოვიცილე და მშვიდად ვუთხარი:

– თქვენ გიჟი ხართ!

– ამხანაგო, – მითხრა ჯერ კიდევ უჩინარმა, – მე გაფრთხილებთ!

– ბატონო ჩემო... – მივუგე.

– ბატონები აღარ არსებობენ, – წამოიძახა გაბრაზებით, – ჩვენ ყველანი ამხანაგები ვართ.

შემდეგ უფრო მომიახლოვდა, გვერდიდან ამომხედა, იძულებული გავხდი, მომენწყვიტა ბედნიერი მზერა თოლიებისთვის და მისთვის ჩამეხედა კანონმორჩილ თვალეებში: კამეჩივით სერიოზული ჩანდა, ჯიუტი, მოვალეობების ბრმად შესრულების მეტი ათნლეულობით რომ არაფერი გაეგებოდა.

– რა მიზეზით... – მინდოდა დამენყო.

– მიზეზი საკმარისია, – მითხრა, – თქვენი ნაღვლიანი სახე გამეცინა.

– ნუ იცინით! – მართლა ძალიან გაბრაზდა. თავიდან ვიფიქრე, ალბათ მოწყენილობისაგან ჩამაცვივდა-მეთქი, რადგან ირგვლივ დასაპატიმრებელი და კანონდამრღვევი არავინ ჩანდა: არც დაურეგისტრირებელი მეძავი, არც შექეიფიანებული, ბანცალით მომავალი მეზღვაური და არც ქურდი ან ვინმე დეზერტირი.

მაგრამ ახლა ვხედავდი, რომ საქმე სერიოზულად იყო: მართლა დაპატიმრებას მიპირებდა.

– წამომყევით!

– კი მაგრამ, რატომ?! – შევეკითხე მშვიდად.

სანამ აზრზე მოვიდოდი, მარცხენა მაჯაზე წვრილი ჯაჭვი შემომახვია და მივხვდი: ჩემი საქმე წასული იყო. უკანასკნელად გავხედე მოფარფატე თოლიებს, თვალი მოვაველე მშვენიერ რუხ ცას და უცებ წყალში გადასახტომად გავიწიე, რადგან მეჩვენა, აჯობებს ამ ბლანტ, ჭუჭყიან წუმპეში თვითონ დავიხრჩო თავი, ვიდრე ვილაც სერჟანტმა სადმე, ჩაბნელებულ ეზოში, მიმახრჩოს ან ისევ სატუსალოში გამომამწყვდიოს-მეთქი. მაგრამ პოლიციელმა უცებ ისე მაგრად მომქაჩა, რომ თავის დაძვრენა შეუძლებელი იყო.

– და რის გამო? – ვკითხე კიდევ ერთხელ.

– არსებობს კანონი, რომლის თანახმადაც, ვალდებული ხარო, ბედნიერი იყოთ.

– მე ბედნიერი ვარ! – წამოვიძახე.

– მაგრამ თქვენი ნაღვლიანი სახე... – თავი გადააქნია.

– მერედა, ეს კანონი ხომ სულ ახალია, – ვცადე შეპასუხება.

– ოცდათექვსმეტი საათის წინანდელია და ალბათ იცით, რომ ყოველი კანონი გამოცხადებიდან ოცდაოთხი საათის შემდეგ შედის ძალაში.

– მაგრამ მის შესახებ ჯერ რომ არაფერი მსმენია.

– სასჯელისაგან ეს ვერ დაგიცავთ. გუშინწინ გამოაცხადეს ყველა რეპროდუქტორით, ინფორმაცია გამოქვეყნდა ყველა გაზეთში და ისეთებს, – ამ სიტყვებზე ამრეზით გადმომხედა, – ისეთებს, ვინც არ ეცნობა რადიოსა და პრესის სასარგებლო განცხადებებს, გააგებინეს ამ ინფორმაციის შემცველი პროკლამაციებით მთელი რაიხის ქუჩებში. მაშ, ახლა გამომჟღავნდება, ამხანაგო, სად გაატარეთ ბოლო ოცდაოთხი საათი!

და მან წამათრია. მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ ციოდა – მე კი პალტო არ მეცვა; მხოლოდ ახლა შემანუხა ნამდვილმა შიმშილმა, კუჭი ამიწრიალდა და მუცელი ამიბუყბუყდა; ახლალა მივხვდი, რომ დაუბანელი ვიყავი, გაბურძგნული, ჩამოძენილი, და

რომ არსებობდა კანონი, რომლის თანახმადაც, ყველა ამხანაგი უნდა ყოფილიყო სუფთა, გაპარსული, ბედნიერი და მადლარი. მან წინ გამიგდო იმ საფრთხობელასავით, ქურდობაზე რომ წაასწრეს და მინდვრის ნაპირი, თავისი ოცნებებისა და ფიქრების ადგილი, დაატოვებინეს. ქუჩები ცარიელი იყო; პოლიციის განყოფილებამდე არც ისე შორი გზა გვედო. თუმცა ვიცოდი, დასაპატიმრებელ მიზეზს ისინი შემდეგშიც გამომიძებნიდნენ, მაგრამ გული მაინც დამიმძიმდა, რადგან პოლიციელს მივყავდი ჩემი სიყრმისდროინდელ ადგილებში, რომელთა მონახულებაც თავად მინდოდა ნავსადგურის შემდეგ: ხშირი ბუჩქებით დაფარული ბალები, ერთ დროს დაუდევარი უნესრიგობის გამო უფრო ლამაზი, ბალახმოდებული გზები – ახლა კი ყველაფერი დაგეგმილ-მონესრიგებული, დასუფთავებული და ოთხკუთხედებად დაყოფილი იყო, პატრიოტული ლიგის ნაწილებისათვის კეთილმონყობილი, რომლებიც აქ ორშაბათობით, ოთხშაბათობითა და შაბათობით სამწყობრო წვრთნას გადიოდნენ. მხოლოდ ცა იყო ძველებური და ჰაერი – იმდროინდელი, როცა გული ოცნებებით მევსებოდა.

გზაში, აქა-იქ, სასიყვარულო გართობებისთვის გამოყენებულ ყაზარმებზე სახელმწიფო ემბლემა გამოეკიდებინათ მათთვის, ვისაც ოთხშაბათობით უწევდა ჰიგიენურ ტკობასთან ზიარების რიგი. ეტყობა, ზოგიერთ ლუდხანასაც დაავალეს ჩამოეკიდებინათ სასმელის სიმბოლო, ტვიფრიანი თუნუქის ლუდის კათხა რაიხის ფერებიანი ირიბი ზოლებით: ღია, მუქი და კვლავ ღია ხაკისფერი. ცხადია, იმათ სიხარულით ევსებოდათ გული, ვისაც ოთხშაბათის მსმელთა სახელმწიფო სიაში მოხვედრის პატივი ხვდა წილად და ამ დღეს ეღირსებოდა ლუდის დაღვევის ბედნიერება.

ქუჩებში გამვლელებს სახეზე გადაჰკვროდათ მუყაითობისა და გულმოდგინების უტყუარი იერი, აშკარად მომეტებულიც კი, რადგან პოლიციელს მოჰკრეს თვალი. ყველა ნაბიჯს უჩქარებდა და იღებდა სრულად ვალმოხდილის გამომეტყველებას; მალა-ზიებიდან გამოსული ქალები კი ცდილობდნენ, სახე სიხარულით იმდენად გაეცისკროვნებინათ, რამდენადაც მათგან ითხოვდნენ, რადგან დადგენილი იყო, რომ გამოეხატათ სიხარული და მხნე სიხალისე იმ დიასახლისის საპატიო მოვალეობის შესრულების

გამო, რომელიც საღამოობით კარგი ვახშმით უნდა გამასპინძლებოდა სახელმწიფო მოსამსახურეს და ხელი შეეწყო მისთვის ახალი ძალების მოკრებაში.

მაგრამ რატომღაც ყველა მოხერხებულად გვიქცევდა გვერდს, რომ როგორმე პირისპირ არ შემოგვფეთებოდა. თუკი სადმე ქუჩაში სიცოცხლის ნიშანწყალი გამოჩნდებოდა, ჩვენამდე ოცი ნაბიჯით ადრე უკვე ქრებოდა. ყველა ცდილობდა, სასწრაფოდ შეეფარებინა თავი მაღაზიისთვის ან გვერდზე გადაეხვია; ზოგი, ეტყობა, უცხო სახლშიც კი შერბოდა და შიშით აიტუზებოდა კარს უკან, სანამ ჩვენი ნაბიჯების ხმა მიწყდებოდა.

მხოლოდ ერთხელ, როცა გზაჯვარედინს მივუახლოვდით, ხნიერი კაცი შემოგვხვდა, რომლის სამკერდე ნიშნით მაშინვე მივხვდი, სკოლის მასწავლებელი იყო; ის უკვე ველარ აგვიქცევდა გვერდს და მას შემდეგ, რაც, დებულების თანახმად, პოლიციელს მიესალმა და სრული მორჩილების ნიშნად სამჯერ დაირტყა თავზე ხელისგული, სცადა აღესრულებინა მოვალეობა – ანუ სამჯერ ჩაეფურთხებინა ჩემთვის სახეში და შევემკე ასეთი შემთხვევისათვის სავალდებულო შეძახილით: „მოლაღატე ღორო!“ მან კარგად დამიმიზნა, მაგრამ, როგორც ჩანს, ცხელი დღე იყო და ყელი გაშრობოდა, რადგან ფურთხის მხოლოდ რამდენიმე საცოდავი წყალწყალა შხეფი მომწვდა, რომლის მოწმენდაც – დებულების დარღვევით – უნებურად ვცადა სახელოთი; ამის გამო პოლიციელმა პანდური ამომარტყა და ხერხემალში მუშტიც ჩამაზილა, თან მშვიდი ხმით დაამატა:

– პირველი საფეხური! – რაც იმას ნიშნავდა, რომ შეეძლო ესარგებლა პოლიციელის უფლებით და გამოეყენებინა სასჯელის პირველი ყველაზე მსუბუქი ფორმა.

სკოლის მასწავლებელი ჩქარა გაგვეცალა. ისე კი, როგორღაც, ყველა ახერხებდა ჩვენთვის გზის აქცევას; მხოლოდ ერთმა ქალმა, რომელიც, დადგენილების თანახმად, სუფთა ჰაერზე გამოსულიყო გასანიავებლად სასიყვარულო გართობებისთვის გამოყოფილ ყაზარმასთან, სანამ საღამოს ნეტარ ვნებებს მიეცემოდა, ფერმკრთალმა, ფუმფულა, ქერა ქალმა, ნაჩქარევად გამომიგზავნა ჰაეროვანი კოცნა, მეც პასუხად მაღლიერად გავუღიმე.

პოლიციელმა თავი მოიკატუნა, ვითომდა ვერაფერი შენიშნა: მათ ევალეზოდათ კიდევც, ამ კატეგორიის ქალებისთვის გარკვეული თავისუფლება მიენიჭებინათ, მაშინ, როცა ყველა სხვა ამხანაგს მსგავსი ქმედებისთვის უეჭველად მძიმე სასჯელს აჰკიდებდნენ; ამ ქალებს ხომ დიდი წვლილი შეჰქონდათ ხალისიანი შრომითი განწყობილების ამაღლებაში, ამიტომ კანონი თითქმის არ ეხებოდა მათ. ეს იყო შეღავათი, რომლის მნიშვნელობა პოლიტიკურმა ფილოსოფოსმა, სამგზის დოქტორმა ბლაიგოთმა, ზოგადი ფილოსოფიის ოფიციალურ ჟურნალში შეაფასა, როგორც ლიბერალიზაციის საწყისი ნიშანი. ეს დედაქალაქში წამოსვლისას ნავიკითხე გზაში, ერთი დღის წინ, როცა ვილაც გლახის კარმიდამოს საპირფარეოში ჟურნალის რამდენიმე გვერდს წავანყდი, რომლებზეც ეს ადგილები ვილაც სტუდენტს – ალბათ გლახის ვაჟს – ენაკვიმატი მინანერებით აეჭრებინა.

საბედნიეროდ, უკვე თითქმის მივალნიეთ განყოფილებამდე და გაისმა კიდევ სირენების ხმა, რაც ნიშნავდა, რომ ქუჩები ზომიერი ბედნიერებით სახეგაბრწყინებული ათასობით ადამიანით აივსებოდა (რადგან ნაბრძანები იყო, სამუშაოს დამთავრებისას ძალიან დიდი სიხარული არ გამოემჟღავნებინათ, ემანდ ვინმეს არ ეფიქრა, მუშაობა მძიმე ტვირთად აწევთო; სამაგიეროდ სამსახურის დაწყებამდე საყოველთაო საზეიმო აღტაცება უნდა გამეფებულიყო, აღტყინება და სიმღერები). ახლა კი ათასობით ადამიანს ჩემთვის სახეში უნდა ჩაეფურთხებინა. ყოველ შემთხვევაში, სირენის ხმა ნიშნავდა, რომ სამუშაოს დამთავრებამდე ათი წუთიღა რჩებოდა, სახელმწიფოს იმდროინდელი მეთაურის მონოდების მიხედვით კი — „ბედნიერება და საპონი!“, ბოლო ათი წუთი ყველა მოსამსახურეს საფუძვლიანი დაბანა-დასუფთავებისათვის უნდა მიეძღვნა.

ამ უბნის პოლიციის განყოფილება ბეტონის ბლოკის ერთი დიდი, უსახური შენობა იყო, მის კარებს ორი გუშაგი იცავდა; როცა მათ გვერდზე ჩავუვლიდი, ჩვეულებრივი „დამსჯელი ფიზიკური ღონისძიება“ უნდა გამოეყენებინათ: ამიტომაც საფეთქელთან მაგრად ჩამარტყეს ხიშტები და ლავინებში ჩამცხეს პისტოლეტების ლულები. სახელმწიფო კანონის (1) პრეამბულის თა-

ნახმად: „ყოველი პოლიციელი ვალდებულია ყოველ დაპატიმრებულს (იგულისხმება დატუსაღებული) სხეულზე დოკუმენტურად დაუტოვოს საკუთარი ძალაუფლების კვალი, გარდა დამპატიმრებელი პოლიციელისა, რადგანაც მას წილად ხვდა ბედნიერება, დაკითხვისას დაპატიმრებულს ჩაუტაროს აუცილებელი ფიზიკური დამსჯელობითი ღონისძიება“. თვით სახელმწიფო კანონი 1 კი ასე უღერდა: „ყოველი პოლიციელი უფლებამოსილი და ვალდებულია თვითონ დასაჯოს ყველა, ვინც რაიმე სახის დანაშაულებრივ ქმედებას ჩაიდენს. დაუსჯელობის კანონი არ ვრცელდება არც ერთ ამხანაგზე, არამედ არსებობს მხოლოდ დაუსჯელობის შესაძლებლობა“.

გავიარეთ გრძელი შიშველკედლებიანი დერეფანი, რომელსაც ბევრი დიდი ფანჯარა ჰქონდა; შემდეგ ჩვენ წინ ავტომატურად გაიღო კარი, ეტყობა, პოსტებიდან უკვე გადმოსცეს პატაკი ჩვენი მოსვლის შესახებ, და იმ დღეებში, როცა ყველა ბედნიერი, კანონმორჩილი და მონესრიგებული იყო, თითოეული ცდილობდა, დაბანა-დასუფთავებაში ბოლომდე გაეხარჯა მისთვის დღიურად გამოყოფილი ერთი გირვანქა საპონი, დაპატიმრებულის (დატუსაღებულის) გამოჩენა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

ნახევრად ცარიელ ოთახში შევედით, სადაც მხოლოდ ორი სავარძელი და სანერი მაგიდა იდგა, ზედ ტელეფონით. მე შუა ოთახში დამაყენეს; პოლიციელმა ჩაფხუტი მოიხადა და დაჯდა. ჯერ ხმას არავინ იღებდა და არაფერი ხდებოდა; ისინი ყოველთვის ასე იქცევიან და ეს ყველაზე აუტანელია; ვგრძნობდი, თანდათან როგორ ჩამიცვივდა ლოყები, დაღლილი ვიყავი და მშვიერი, მაშინდელი ნაღვლიანი ბედნიერების უკანასკნელი კვალიც კი გამიქრა, რადგან ვიცოდი, ჩემი საქმე წასული იყო.

რამდენიმე წამის შემდეგ უსიტყვოდ შემოვიდა ფერმკრთალი აყლაყუდა კაცი, ხაკისფერ უნიფორმაში გამონყობილი უმცროსი გამომძიებელი; ხმა არ ამოუღია, ისე დაჯდა და ამხედ-დამხედა.

- პროფესია?
- რიგითი ამხანაგი.
- დაბადების თარიღი?
- პირველი იანვარი, ცხრაას ერთი, – ვთქვი.

- უკანასკნელი საქმიანობა?
- პატიმარი.

ორივემ ერთმანეთს გადახედა.

- როდის და სად გათავისუფლდით?
- გუშინ, კორპუსი №12, საკანი №13.
- საით გამოგიშვეს?
- დედაქალაქში.
- მონმოზა.

ჯიბიდან განთავისუფლების მონმოზა ამოვიღე და მივანოდე. მან ის მიამაგრა მწვანე ბარათზე, რომელზეც ჩვენებების ჩამონერა დაინყო.

- მაშინდელი დანაშაული?
- ბედნიერი სახე.

ერთმანეთს გადახედეს.

- უკეთ განგვიმარტეთ, - მითხრა უმცროსმა გამომძიებელმა.

- მაშინ, - ვუთხარი მე, - ერთ პოლიციელს თვალში მოხვდა ჩემი ბედნიერი სახე, იმ დღეს, როცა გამოცხადებული იყო საყოველთაო გლოვა, სახელმწიფოს მეთაურის გარდაცვალების დღეს.

- სასჯელის ხანგრძლივობა?
- ხუთი წელი.
- ციხის ადმინისტრაციის აზრი თქვენზე?
- ცუდი.
- მიზეზი?
- არასაკმარისი მუშაობა.
- დაკითხვა მორჩა!

შემდეგ უმცროსი გამომძიებელი ადგა, ჩემკენ წამოვიდა და ერთი დარტყმით ჩამიმტვრია წინა სამი კბილი: ეს იმის ნიშანი იყო, რომ ჩემთვის რეციდივისტის იარლიყი მოეკრათ, გამკაცრებული ზომა, რომელსაც არ ველოდი. შემდეგ უმცროსმა გამომძიებელმა ოთახი დატოვა და შემოვიდა ჩასუქებული ყმანვილი მუქ ხაკისფერ ფორმაში.

ყველა მირტყამდა: გამომძიებელი, მთავარი გამომძიებელი,


უფროსი გამომძიებელი, ბრალმდებელი და მთავარი მოსამართლე. შესვენებებში კი დამპატიმრებული პოლიციელიც მიტარებდა სადამსჯელო ღონისძიებებს, როგორც ამას კანონი მოითხოვდა... და მათ მომისაჯვებს ათი წელი ჩემი ნაღვლიანი სახის გამო, ზუსტად ისე, როგორც ხუთი წლის წინ შემიფარდეს სასჯელად ხუთი წელი ბედნიერი სახის გამო.

ახლა კი უნდა ვეცადო, საერთოდ აღარ მქონდეს სახე, თუ გავუძელი ათი წელი ამ საყოველთაო ბედნიერებისა და საპნის ნეტარ ხანას...

1950

გერმანულიდან თარგმნა
რუსუდან შამელაშვილ-ზექალაშვილმა

ჟურნალი „არილი“. 2001. №10.



ნოდარ დუმბაძე დაიბადა 1928 წელს თბილისში. ბოლშევიკური რეპრესიების გამო ბავშვობაშივე დარჩა მშობლების გარეშე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ თანამშრომლობდა ჟურნალ „ცისკარში“, იყო ჟურნალ „ნიანგის“ რედაქტორი, მწერალთა კავშირის მდივანი, შემდეგ – თავმჯდომარე. მისი რომანები: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე ვხედავ მზეს“, „მზიანი ღამე“ და სხვ., გამოქვეყნებისთანავე ბესტსელერებად იქცა. ნოდარ დუმბაძის შემოქმედება გამოირჩევა ბრწყინვალე იუმორით, სიკეთის რწმენითა და ადამიანის სიყვარულით. გარდაიცვალა 1984 წელს. დაკრძალეს მისივე ინიციატივით შექმნილ ბავშვთა ქალაქ „მზიურში“, საიდანაც 2009 წელს მთაწმინდის პანთეონში გადაასვენეს.

ნოდარ დუმბაძე

HELLADOS

- ჯემალ, სკრიპკა!
- იანგული, ლანირაკო!
- ჯემალ, ქამო!
- იანგული, ნუნკო ბერძენო!
- ჯემალ, ნირპლიანო!
- პატარების ყოჩო!
- ვირისთავო!
- ვირის მწყემსო!
- გოგოების მაჩაღკა!
- ხულიგანო!
- თბილისელო ჰარიფო!
- შენი დედა ვატირე, იანგული!
- იმანა სუ ინე პროსტიკასა ინეკა, ჯემალ!

●

სოხუმელი ბერძნის ხრისტო ალექსანდრიდის შვილი იყო იანგული. ნაფოტივით თხელსა და ბეჭებგანიერს სწორი, ლამაზი

ცხვირი, ნახშირივით შავი თვალები და მაიმუნივით გრძელი ხელები ჰქონდა. რომ იდგა, მუხლებამდე წვედებოდა უზარმაზარი ტორები. თოთხმეტი წლისა იყო. თავის ტოლ უბნის ბიჭებს შიშის ზარს სცემდა. საოცარი ჩხუბი იცოდა, ორ-სამ ბიჭს ერთად გაასილაქებდა, ხელს არ გაანძრევინებდა. კატასავით სწრაფი იყო, კაჟივით მაგარი და ჯანმრთელი. ზამთარ-ზაფხულ სატინის შავი ხალათით დადიოდა, მკერდგაღელილი.

ვენეციის გზატკეცილზე ცხოვრობდა, მდინარე ჩალბაშის პირას, მამამისთან ერთად. დედა ისე პატარას გარდაცვლოდა, არც კი ახსოვდა. მინის ნაკვეთი ჰქონდათ, ხელისგულისოდენა ბოსტნით. ერთი ძროხა ჰყავდათ, ერთიც ნაცრისფერი ჩოკინა. რძეს, მანონს და მწვანე ჰყიდდნენ მეზობლებში და სოხუმის ბაზარში, იანგული არსად არ სწავლობდა, მამამისს ეხმარებოდა მეურნეობაში და ხანდახან ვირსაც დაჰყვებოდა სავაჭროდ. დანარჩენი დრო ქუჩაში იყო გადებული. რკინიგზის გადასასვლელთან იდგა ხოლმე, სკოლიდან დაბრუნებულ ბიჭებს ჯიბეებს უჩხრეკდა, ზოგს ძალით, ზოგს ნებით, თუთუნს, ხურდა ფულს, ბრჭყვიალა ნივთებს, ჯაჭვებს, ფერად ფანქრებს, კალმისტრებს ართმევდა, მეორე დღეს იმავე ნივთებს იმავე ბიჭებთან შეღავათიან ფასებში ჰყიდდა. მერე თავიანთსავე ფულზე ეთამაშებოდა, უგებდა, ჯიბეებგატენილი ბრუნდებოდა შინ.

ასე გრძელდებოდა ყოველდღე.

ამ თოთხმეტი წლის დიქტატორს ყურმოჭრილ მონებად ჰყავდა მთელი ვენეციის გზატკეცილის ბიჭები და მათ შორის ჩემი დეიდაშვილი კოკაც.

უბნის ყოჩი იყო იანგული.

ჩვენი ნაცნობობა 1938 წლის შემოდგომაზე დაიწყო. დეიდაჩემმა ნინამ, ობლობა რომ არ მეგრძნო, თბილისიდან ჩასული მეორე დღესვე მთელ სოხუმში სახელგანთქმულ მუსიკის მასწავლებელ ელენა მიხაილოვნა ნავროდსკაიასთან მიმიყვანა და მუხლებში ჩაუვარდა:

– ობოლია, დედამისი ვიოლინოზე ატარებდა, უდედობა და ობლობა რომ არ იგრძნოს, უარს ნუ მეტყვი; სხვას რომ ახდევინებთ, ორი იმდენი გამომართვით, ოღონდ აიყვანეთო.

ნავროდსკაიამ ჯერ სმენა გამისინჯა, მერე ნოტების კითხვაში გამომცადა, თითებზე დამხედა, ნიკაპის ქვეშ ხელით კოჟური მომისინჯა, ერთხანს იყოყმანა, შემდეგ მეორე ოთახში გავიდა. ვიოლინო გამოიტანა, სიმები მოუშალა და აანწყევო, მითხრა. დეიდაჩემი შეშინებული მიყურებდა და, როდესაც ვიოლინო ავანწყვე, შვებით ამოისუნთქა.

– აბა, ახლა ბეთჰოვენის „ზაზუნა“ დაუკარი! – მითხრა ელენა მიხაილოვნამ, სავარძელში ჩაჯდა და მოსასმენად მოემზადა. ბეთჰოვენის ხსენებაზე დეიდაჩემს საქციელი წაუხდა.

– პატივცემულო ელენა მიხაილოვნა, იქნება სხვა, უფრო პატარა კომპოზიტორი გეკითხათ?! – სთხოვა ნავროდსკაიას და ცხვირსახოცით შუბლზე გამოცვარული ოფლი დაიმშრალა.

– როგორ, „ზაზუნას“ არ უკრავს? – ჰკითხა გაკვირვებულმა ნავროდსკაიამ დეიდას და წარბები აზიდა.

მე მივხვდი, რომ დადგა ის სანატრელი ჟამი ჩემს ცხოვრებაში, როდესაც საშუალება მეძლეოდა თავი დამეხსნა მუსიკის მონობის უღლისაგან, რომელშიც ექვსი წლისა შემება დედაჩემმა და უმონყალოდ მხედნიდა, საკმარისი იყო ახლა, ამ წუთში, მეთქვა ერთი მაგიური სიტყვა – „არა“, და ყველაფერი დამთავრდებოდა, მაგრამ არ ვიცი დეიდაჩემის ტანჯულმა სახემ, ნავროდსკაიას გაკვირვებულმა გამოხედვამ, ცამეტი წლის ბავშვის განუზომელმა პატივმოყვარეობამ თუ ჩემთვის გაურკვეველმა კიდევ რაღაც ძალამ ხელში ამაღებინა ვიოლინოს ხედი და ოთახი „ზაზუნას“ მარტივი და გენიალური მელოდიით აივსო.

როდესაც დაკვრა დავამთავრე, დეიდა ნინას თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე, ნავროდსკაიას კი სახეზე კმაყოფილი ღიმილი ეფინა.

...და ელენა მიხაილოვნა ნავროდსკაიამ ამიყვანა.

როდესაც შინ ვბრუნდებოდით და რკინიგზის გადასასვლელს მივუახლოვდით, იანგული ქვაფენილზე იჯდა ფეხმორთხმული და კაკალს ამტვრევდა აგურის ნატეხით.

– გამარჯობათ, ნინა ივანოვნა! – მიესალმა იგი დეიდას, როდესაც ჩავუარეთ.

– გაგიმარჯოს! – მოკლედ უპასუხა დეიდამ.

- კოკა სადაა? – ჰკითხა იანგულიმ.
 - კოკა შენსავით უსაქმო კი არ არის, სკოლაშია! – უპასუხა დეიდამ.
 - ეგ ვინლაა?
 - შენი საქმე არ არის! – თქვა დეიდა ნინამ და წინ გამიგდო. იანგულიმ გაბმულად დაუსტვინა. ჩვენ გზა განვაგრძეთ.
 - ეეე, სკრიპკა! – მომესმა უცებ. გაკვირვებულმა მოვიხედე. იანგულის ცალი თვალი მოეჭურტა, კისერი მოეღრიცა, ენა გამოეყო და მარჯვენა ხელს მარცხენაზე ხერხივით ისობდა. მივხვდი, მე მაჯავრებდა ვიოლინოს დაკვრაში. ბრაზისაგან გული ყელში მომებჯინა.
 - მაიმუნო! – დავუძახე და მუშტი მოვუღერე.
 - ხვალ გამოიარე, შეშა მაქვს დასახერხი! – მიპასუხა სიცილით.
 - შენ არ მოიშალე ხულიგნობა? – უკმაყოფილოდ გადაიქნია თავი დეიდაჩემმა.
 - ვინ არის? – ვკითხე მე.
 - ბერძენის ბიჭია, იანგული, მამამისს რძე დააქვს ჩვენთან. არ დაგინახო მაგასთან გავლილი, ხულიგანია, დღე და ღამე ქუჩაში აგდია.
- მე ისევ მოვიხედე უკან, იანგული დამტვრეულ კაკალს არჩევდა, თან გამომწვევად მიცინოდა.



მეცამეტე სკოლაში სიარული, რომელშიც დეიდაჩემმა მომანყო, რკინიგზის ლიანდაგზე გავლით მიწვედა, ასე რომ, ჩემი და იანგულის ყოველდღიური შეხვედრა თითქმის გარდაუვალი შეიქმნა.

დაახლოებით ერთი თვე ყურადღებას არ მაქცევდა. იდგა უბნის ბიჭებში და, როგორც ყოველთვის, კოჭობანას ან პაჟარობანას თამაშობდა.

ერთი კი იყო, როგორც კი თვალს მომკრავდა, იმავე წუთში, ჩემს დასანახავად, ვინმეს ან ქუდს ჩამოაფხატავდა თვალებზე, ან პანდურს ამოჰკრავდა, თან ირიბად გამომხედავდა.

მეც ისე ჩაუვლიდი, თითქოს ფეხებზე მეკიდა იანგულიცა და მისი მრევლიც. ისე კი ერთი სული მქონდა, ბიჭებში გავრეულიყავი და იანგულის მსგავსად მეც მეჩვენებინა ჩემი შნო და მარიფათი, მაგრამ ჯერ უბანში უცხო, უამხანაგო, უმეგობრო და უდამქაშო ვიყავი, გვერდით ჩემი უმცროსი დეიდაშვილის, კოკას გარდა არავინ მომდევდა, და ამიტომ მისვლას ვერ ვბედავდი, ერთს კი ვგრძნობდი, ჩვენი ურთიერთობა ლალუმის პატრუქივით თანდათან იწვებოდა, პატარავდებოდა, ფისტონს უახლოვდებოდა, და ერთ მშვენიერ დღეს იფეთქებდა.

...და ზუსტად ერთი თვის თავზე ეს დღეც დადგა.

ელენა მიხაილოვნას მონაფე ჰყავდა. მე მოსაცდელში ვიჯექი და ჩემს რიგს ველოდი.

მრგვალ მაგიდაზე აკვარიუმი იდგა და შიგ წყალმცენარეებს, ლამაზ ნიჟარებსა და ქვებს შორის მარაოსავით ფარფლებგამოლილი ოქროს თევზები დასრიალებდნენ, თან პირს სასაცილოდ აფჩენდნენ და ჰაერის ბუშტებს უშვებდნენ. რატომღაც მომეჩვენა, რომ თევზებს სასტიკად შიოდათ და ამიტომ წრიალებდნენ. სასწრაფოდ ამოვიღე ჯიბიდან გაზეთში გახვეული შავი პურისა და ყველის ბუტერბროდი, წვრილ-წვრილად დავფშვენი და აკვარიუმში ჩავყარე, წყლის ზედაპირი შავი პურისა და ყველის ნაფხვენებით დაიფარა. თევზები ჯერ დაფრთხნენ, ქვებსა და ნიჟარებს ამოეფარნენ, შემდეგ, თითქოს მიხვდნენო ჩემს კეთილ განზრახვას, საფარიდან გამოცვივდნენ და გამაგებით შეესივნენ საჭმელს.

უზომო კმაყოფილებით ვუმზერდი ოქროს კორიანტელს. აკვარიუმი პატარა ოკეანესავით ღელავდა და ბობოქრობდა. თევზები თავდავინწყებით ტრიალებდნენ და ცეკვავდნენ. მერე თანდათან უკლეს თამაშს. აკვარიუმი დანყნარდა და დამშვიდდა. ახლა მუცელდაბერილი და დამძიმებული ოქროს თევზები ზანტად დაცურავდნენ მინანქრის ნიჟარებსა და ქვებს შორის, რიგრიგობით მოდიოდნენ მინის კედელთან და თითქოს მადლობას მეუბნებიანო, კუდის ოდნავი მოძრაობით ტოკავდნენ ჩემს წინ, უცებ ერთი მათგანი, რომელიც ყველაზე უფრო დიდი იყო, გულაღმა ამოტრიალდა და ზურგზე იწყო ცურვა. გაკვირვებული მივჩე-

რებოდი ამ უცნაურ სანახაობას. მალე სხვა თევზებმაც მიბაძეს. აკვარიუმი თითქოს თავდაყირა გადმოატრიალესო, ახლა ყველა თევზი გულაღმა ცურავდა შიგ, თან გამალებით ამუშავებდნენ ლაყურებს... წყალში ხელი ჩავყავი და თევზების ნაღმა გადმობრუნება ვცადე, მაგრამ ამოოდ, ისინი კვლავ გულაღმა წვებოდნენ, შეშინებულმა სასწრაფოდ ამოვიღე ხელი წყლიდან. მივხვდი, რომ მოხდა რაღაც საშინელება. მალე აკვარიუმში სიცოცხლე ჩაკვდა. მონამლული ოქროს თევზები უსულოდ ტივტივებდნენ წყლის ზედაპირზე. ტანში შიშის ჟრუანტელმა დამიარა, ვიოლინოს ბუდეს ხელი ვსტაცე და გასაქცევად მოვემზადე, მაგრამ უცებ კარი გაიღო და ოთახიდან ელენა მიხაილოვნა გამოვიდა. იგი ჩემზე ადრე მოსულ მოსწავლეს მოაცილებდა, თან რაღაც დარიგებას აძლევდა.

– შემოდი! – მითხრა მან, როდესაც მონაფე გააცილა. მე გაშეშებული ვიდექი.

– შემოდი, შემოდი! – გამიმეორა მან, მხარზე ხელი დამადო და მსუბუქად მიბიძგა ოთახისკენ. ადგილიდან არ დავეძრულვარ.

– გაკვეთილი არ იცი? – მკაცრად მკითხა ელენა მიხაილოვნამ და კვლავ რომ არ გავეცი ხმა, გაკვირვებულმა თვალი გააყოლა ჩემს გაშტერებულ მზერას... და მოხდა ის, რისი წარმოდგენაც მხოლოდ იქთილოგებს შეუძლიათ. მუხლმოკვეთილი ელენა მიხაილოვნა სავარძელში ჩაეშვა, ტუჩები გაულურჯდა და ხმის კანკალით მკითხა:

– Ты что наделал, паршивый мальчишка?!²

– მე არ მეგონა, ელენა მიხაილოვნა, მე მხოლოდ შავი პური და ყველი ჩაუყარე...

– Отравил!³ – ამოიგმინა მან სასონარკვეთით. მერე თავი ხელებში ჩარგო და შვილმოკლულივით აქვითინდა, მახსოვს, როგორ ვლულლულებდი, თავს ვიმართლებდი და ვცდილობდი, როგორმე დამემშვიდებინა მუსიკის მასწავლებელი, მაგრამ ყოველივე ამას იყო... იგი ადგა, აკვარიუმთან მივიდა, სათითაოდ

2. – ეს რა ქენი, შე საძაგელო?

3. – მონამლა!

იღებდა ნყლიდან უსულო თევზებს, ჰკოცნიდა, კვლავ აკვარიუმში აბრუნებდა, თან საოცარი სიტყვებით ეალერსებოდა.

– **Милые мои, золотые, ненаглядные, отравили, убили вас.**⁴

მერე ჩემსკენ შემოტრიალდა, სახე შეშლილი ჰქონდა, ნიკაპი უკანკალებდა და თვალებიდან ღვარად ჩამოსდიოდა ცრემლი. უცებ გაშლილი ხელი მოიქნია და ისეთი სილა გამანწა, თავი ძლივს შევიკავე, რომ არ ნავეცეულიყავი.

– **Вон из моего дома, варвар. Чтoб твоей ноги не было больше здесь! Вон!**⁵

მე სილა და ცრემლი ერთად გადავყლაპე, ვიოლინო ილლიაში ამოვიჩარე და უხმოდ გამოვიხურე კარი.

თავზარდაცემული, შერცხვენილი და ცოცხალ-მკვდარი მოვაბიჯებდი სახლისაკენ.

რკინიგზის გადასასვლელთან იანგული და მისი დამქაშები პაჟარობანას თამაშობდნენ. გულმა მათკენ გამინია. შინ მაინც არ მიმესვლებოდა. ბიჭებს რომ დავუახლოვდი, ფეხი ავითრიე, მერე განგებ გავჩერდი და დავიხარე, ვითომ ფეხსაცმლის თასმას ვისწორებდი.

– ეეე, სკრიპკა! – იანგულის ხმა ვიცანი. წელში გავიმართე და თვალებში შევხედე.

– რა გინდა? – ვკითხე.

– მოდი აქ! – მიმიხმო თითით.

– თუ საქმე გაქვს, თვითონ მოდი! – ვუთხარი. იანგულიმ გაკვირვებულმა გადახედა მასზე უფრო გაკვირვებულ ქვეშევრდომებს და ნელი ნაბიჯით წამოვიდა ჩემსკენ.

– შენ არ იცი, მე ვინა ვარ? – მკითხა ამაყად.

– ვიცი! – ვუპასუხე მე.

– მერე, რომ გეძახი, რატომ არ მოდიხარ?

– შენ ვინა ხარ, მე რომ მეძახი? – ვუთხარი აგდებით და ყო-

4. – ჩემო ძვირფასებო, მშვენიერებო, საყვარლებო, მოგწამლეს, დაგხოცეს!

5. – გაეთრიე ჩემი სახლიდან, ბარბაროსო. შენი ფეხი არ დავინახო აქ! გაეთრიე! შემდგენლები.

ველი შემთხვევისათვის ვიოლინო მინაზე დავდე. იანგულიმ ისევ გაკვირვებით გახედა თავის ბიჭებს, რომლებსაც თამაშისათვის თავი დაენებებინათ და ჩვენს გარშემო წრე შეეკრათ.

– იანგული, ასწავლე, ვინცა ხარ! – დაუძახა ვილაცამ წრიდან.
– მიდი, უთაქე, იანგული!
– ერთი შენებური სილა აჭამე!
– ჯერ ვნახოთ, რა ბიჭიც არის! – თქვა იანგულიმ და ლოყაზე ხელი მომითათუნა.

- ნუ ბანაობ! – ვუთხარი და თავი გავწიე.
- უყურე შენ?! – გაუკვირდა იანგულის.
- მიყურე! – ვუპასუხე მე.
- პაპიროსი! – ხელი გამომიწოდა უცებ იანგულიმ.
- არ ვეწევი!
- ფული!
- არ მაქვს!
- ჯიბეები ამოიტრიალე!
- შენ თვითონ ამოიტრიალე!

ბიჭებში ჩურჩული ატყდა, იანგული დაიბნა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა და ვიოლინოსკენ დაიხია.

– ხელი აიღე! – ვუთხარი მე და ვიოლინოსკენ წავიღე ხელი, მაგრამ იანგულიმ დამასწრო, ბუდე გახსნა, ვიოლინო ამოიღო, გამომიწოდა:

- მიდი, დაუკარი, ბიჭები გამირთე!
- არ ვუკრავ!
- მაშ, რას დაათრევ, მუქთა ვირი ხარ?

არაფერი ვუპასუხე, ვიოლინოსაკენ გავწიე, რომ გამომერთმია, იანგულიმ უკან გადადგა ნაბიჯი და ვიოლინო ზურგს უკან დამალა.

– პეტია, ფემა, კურლიკ, პანჩო, გენა, სკრიპკის ხმა გაგიგიათ როდისმე? – ჰკითხა ბიჭებს. ბიჭებმა კვიცებივით დაიჭიხვინეს.
– მარტო რადიოში! – თქვა პეტიამ და ისევ დაიჭიხვინა.
– მიდი, იანგული, გაგვაგონე!

სხვაზე ადრე ჩემი ვიოლინოს ხმა მე გავიგონე: იანგულიმ იგი მსუბუქად მოიქნია და ბრტყლად დამამხო თავზე. – ზზრრრ,

ნკრრრ... – დაიკვნესა ვიოლინომ და შუაზე გადაიხსნა, ქვე-
და ნაწილი მონყვეტილი მკლავივით დაეკიდა ზედას და ერთხანს
კიდევ გამოსცემდა ამაზრზენ ხმას. ბიჭები მიწაზე გაგორდნენ.
გული გამიჩერდა, სისხლი თავში ამივარდა და ყურები დამიგუბ-
და. აღარაფერი მესმოდა, ვხედავდი მხოლოდ მიწაზე გაგორე-
ბულ ბიჭებს, წელში განყვეტილ ვიოლინოს და იანგულის ოდნავ
წინ გამოწეულ გამხდარ ყბას და უცებ, რაც ძალი და ღონე მექონ-
და, დავკარი ამ ყბას გაციებული მუშტი.

როდესაც კვლავ დამიბრუნდა სმენა და ცნობიერება, იანგუ-
ლი ქვაფენილზე იჯდა, გაკვირვებული მიმზერდა და ყბას მარ-
ჯვენა ხელით იხელდა. სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა. მე უხ-
მოდ შევეტრიალდი და შინ წავედი.

სალამოს დამტვრეული ვიოლინოცა და მისი ყუთიც ჩვენმა
მეზობელმა და იანგულის მარჯვენა ხელმა, პეტიამ მოგვიტანა,
შემოსასვლელთან დაყარა და გაიქცა.

დეიდაჩემმა ჯერ პეტია შეიცხადა, მერე ვიოლინო, მერე იან-
გული ალექსანდრიდი, მერე მე და სულ ბოლოს დედაჩემი.

ახლა რომ ვიხსენებ, დეიდაჩემი დაახლოებით ასე მოსთქვამ-
და:

– როგორ ხარ დაგვაჯული, ისე არგასაზრდელო პეტიაა...
შენ და მემწვანილე მამაშენს რას გერჩით. თქვენ რა იცით ამ
ვიოლინოს ფასი, სტრადივარიუსი და პაგანინი მხერხავეები გგო-
ნიათ... იანგული ალექსანდრიდი მყავს მოსაკლავი, მაგრამ ვირის
ყროყინზე გაზრდილ ჩოჩორს მუსიკის რა მოეთხოვებაა... ჩემს
ოჯახში ჩამოსახლებული ეს ახალი ხულიგანი მყავს მოსაკლა-
ვი... სულწაწყვედილო და უბედურო დაო ანიკო, მე ჩემი გა-
ჭირვება არ მეყოფოდა, ეს ყაჩაღი რომ არ დაგეტოვებინა ჩემდა
სამწყემსარად. ვაი, შენს დღეს და უი, ჩემს გაჩენას...

ამ დღეს დასრულდა ჩემი მუსიკალური ოდისეა და დაიწყო
ახალი ერა ჩემს ცხოვრებაში – ბრძოლა არსებობისათვის.

●

მეორე დღეს იანგული და პეტია სკოლის ალაყაფთან დაგ-
ვხვდნენ მე და ჩემს დეიდაშვილ კოკას. ერთი კი შემიქანდა გული,

მაგრამ ისე ჩავეუარე ორივეს, თითქოს გუშინ არაფერი მომხდარიყოს.

– სკრიპკა! – ხმა პეტიასი იყო, მე გავჩერდი.

– უნდა გელაპარაკო! – მომიახლოვდა იანგული.

– რაზე?

– აქ უხერხულია! – თქვა მან და სკოლიდან გამოსულ ბავშვებს და მასწავლებლებს გახედა.

– აბა, სად? – ვკითხე მე.

– რკინიგზის გაღმა, ხიდის ქვეშ.

– სადაც გინდა! – ვუპასუხე და გავყევი.

იანგული წინ მიდიოდა! მერე მე და კოკა. პეტია უკან მოგვდევდა მოშორებით. ალბათ იმიტომ, რომ არ გავქცეულიყავით.

– დავიღუპეთ! – თქვა საქციელწამხდარმა კოკამ. კოკა ორი წლით პატარა იყო ჩემზე და არაერთხელ ჰქონდა ნაჭამი იანგულის ალიყური.

– ნუ გეშინია! – დავამშვიდე, თუმცა გულახდილად რომ ვთქვა, მეც მეშინოდა. რკინიგზის მიწაყრილზე რომ ვეშვებოდით, კოკამ გაქცევა დააპირა, მაჯაში ჩავავლე ხელი და რაც ძალი და ღონე მქონდა, მოვუჭირე.

– არ გაიქცე, ბიჭო, სირცხვილია!

– შენ არ იცი მაგის ამბავი, დაგვასიებს ორივეს, – ამოიკვნესა კოკამ.

– რა მოხდა მერე, ხომ არ მოგვკლავს, – ვუთხარი მე. კოკა დასაკლავად განწირულ ხბოსავით გამომყვა.

იანგული რკინიგზის ხიდის ქვეშ დადგა. აქეთ-იქით გაიხედგამოიხედა. კაცის ქაჭანება არ ჩანდა. ჩვენც გავჩერდით.

– აჰა, მოვედი, რა გინდა? – ვკითხე იანგულის. იანგულიმ თავი ჩალუნა, ერთხანს ასე იყო, რაღაცას ფიქრობდა.

უცებ თავი ასწია.

– შენ გუშინ უბანში შემარცხვინე. ერთი დარტყმით დამსვი... არ ველოდი და იმიტომ დამსვი, პასუხი იმიტომ არ მიიღე, რომ ვერ ავდექი. მინდოდა ადგომა, მაგრამ ვერ ავდექი. – მისმა მშვიდმა და გულახდილმა ლაპარაკმა სულ გამაფუჭა. – მე ამ უბნის ყოჩი ვარ და ყოჩად დავრჩები... – განაგრძო მან.

– მე არ მინდა შენი უბნის ყოჩობა, თავი დამანებე! – გულწრფელად ვუთხარი მეც.

– შენ რომ ჩემზე დიდი იყო, დაგანებებდი, მაგრამ შენ ჩემზე ერთი წლით პატარა ხარ, ამიტომ ვერ დაგანებებ თავს. უბანში ორი ყოჩი არ შეიძლება, ან შენ უნდა იყო, ან მე...

– აკი გითხარი, არ მინდა ყოჩობა-მეთქი! – გაუუმეორე.

– ეგრე არ გამოვა, უნდა ვიჩხუბოთ.

– ვიჩხუბოთ! – დავთანხმდი მე.

– პატიოსნად ვიჩხუბოთ! – თქვა იანგულიმ.

– პატიოსნად რას ჰქვია? – გამიკვირდა მე.

– არც პეტია, არც კოკა ჩხუბში არ უნდა ჩაერიონ. გინება არ იყოს, ქვა არ იყოს, ნაქცეულის ცემა არ იყოს!

– ეგრე იყოს!

– თუ მოგერიე, ხვალ იმავე უბნის ბიჭებთან გცემ, რომლებთანაც დამსვი, მერე მოგეშვები! – გამაფრთხილა.

– ცემა მორევაზეა! – ვუთხარი მე.

არაფერი არ მიპასუხა, შავი სატინის ხალათი გაიხადა და მიწაზე დააგდო. რომ გაიხადა და შევხედე, გულმა რეჩხი მიყო: იმხელა გაშლილი მკერდი ჰქონდა, თან მარცხენა ძუძუს ზემოთ ლურჯი ლათინური ასოებით დასვირინებული ჰქონდა სიტყვა HELLADOS, რომელმაც შემაკრთო უცებ.

იანგულიმ რალაც უთხრა პეტიას ბერძნულად. პეტია შეეყოყმანდა. იანგულიმ ბრძანება გაუმეორა. პეტიამ ორი დიდი ქვა ამოიღო ჯიბეებიდან და უხალისოდ გადაყარა. იანგულიმ ახლა კოკას შეხედა, კოკამ ცარიელი ჯიბეები ამოიტრიალა.

– დავინწყოთ! – თქვა იანგულიმ.

– დავინწყოთ! – ვთქვი მე და ჩანთა მიწაზე დავაგდე.

ჩხუბი ორ-სამ წუთს გაგრძელდა. მე შეკრული მუშტებით ვჩხუბობდი. იანგული გაშლილი ხელით. ჩემი დარტყმული ყრუ ხმას გამოსცემდა, მისი კი ქვეყანას აზანზარებდა: ისეთი ლანა-ლუნჩი გაუდიოდა ჩემს ყბებზე.

პეტია ბერძნული შეძახილებით ამხნევებდა იანგულის, კოკა კი ქართულად მკარნახობდა:

– თავი, თავი აჭამე, ჯემალ!

ვიცოდი, რომ ახლოს მისვლა და თავის ქმევა იყო საჭირო, მაგრამ წელს ზემოთ გახდილს რამდენჯერაც წავავლე მკლავში ხელი, იმდენჯერ დამისხლტა ოფლით დაპოხილი, კიდეც ერთი სილა და ვიგრძენი, რომ ცხვირიდან სისხლი წამსკდა.

ვიდრე ცხვირიდან წამსკდარ სისხლს ვიხოცავდი, იანგულიმ კიდეც ერთი სილა მაჭამა და ზუსტად ისე დავჯექი მიწაზე, როგორც გუშინ იანგული, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იანგულის გუშინ არ შეეძლო ადგომა, მე კი შეეძლო, მაგრამ ჩემს ადგომას ფასი აღარ ჰქონდა – ჩხუბი წაგებული იყო.

იანგულიმ ერთხანს მაცალა და რომ აღარ ავდექი, ხალათის ჩაცმა დაიწყო, და მე ისევ წავიკითხე მის მკერდზე ამოსვირინგებული HELLADOS.

– ხვალამდის! – მითხრა იანგულიმ და მხოლოდ ახლა შევამჩნიე, ზედა ტუჩი შესივებული ჰქონდა და მარჯვენა წარბი გახეთქილი.

– ხვალამდის! – ვუპასუხე და წამოვდექი.

იანგული და პეტია მიწაყრილზე ავიდნენ და რკინიგზის ლიანდაგს გაჰყვნენ. მე და კოკა ხიდის ქვეშ დავრჩით.

– არა უშავს, მაგასაც ბევრი მოხვდა! – დამამშვიდა კოკამ.

– სულერთია, ხვალ ვცემ! – ვთქი მე.

– ნეტავი სარკეში ჩაგახედა! – თქვა კოკამ.

– ძალიან ვარ დასიებული? – ვკითხე.

– ბულკივით! – მიპასუხა და თვალი ამარიდა.

– მაგის დედა ვატირე!

ამჯერად დეიდაჩემს არ შევუცხადებოვარ. ცივი კომპრესები დამადო სახეზე. დილით კი იანგულის მამას, ხრისტოს, ზუსტად ისე დააფშვნა მანვნის ქილა თავზე, როგორც იანგულიმ მე ვიოლინო და ციხეში ამოღობას დაჰპირდა მის გათახსირებულ და ხულიგან შვილს საბჭოთა პიონერის ასე უღმერთოდ ცემისათვის.

●

მეორე დღეს სკოლაში არ წავსულვარ, ჭრილობებს ვიშუშებდი. მესამე დღეს რკინიგზის გადასასვლელი სავსე იყო უზნელი ბიჭებით. მე და კოკა რომ მივედით, სტვენით შეგვხვდნენ.

- სკრიპკა, გაზიარეს?
- სანამ არ მოგკლავს, არ მოეშვები?!
- შენ აქ თბილისი ხომ არ გგონია?!

მთელმა ბირჟამ იცოდა უკვე ჩემი ცემის ამბავი.

ყველა აქ იყო იანგულის გარდა. არავისთვის ხმა არ გამიცია, ჩანთა ფილაქანზე დავაგდე, ზედ დავაჯექი და იანგულის მოსვლას დაველოდე.

- იანგული მოდის! – დაიძახა უცებ ვილაცამ.
- ახლა დაინყება ცირკი! – თქვა მეორემ.

– გამარჯობათ! – თქვა საერთო სალამი იანგულიმ და მე რომ დამინახა ფილაქანზე ჩამომჯდარი, გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდა.

– იანგული, თავისი ფეხით მოვიდა ბულკი, მიდი ერთი, შეჭამე! – უთხრა პეტიამ.

- კარაქს ნაუსვამ, იანგული, თუ ხიზილალას?!

იანგულიმ ლაზღანდარებს ყურადღება არ მიაქცია, ტრიბუნით ასწია ხელი, ბრბო დაანყნარა და ისტორიული სიტყვით მიმართა თავის ხალხს, ისე, როგორც ტომის ბელადებს სჩვევიათ ხოლმე.

– ბიჭებო! – დაიწყო მან. – ეს მე მოგმართავთ თქვენ, ვენეციის გზატკეცილის ტომის თავისუფალ შვილებს, მე, თქვენს მიერ არჩეული ბელადი, იანგული ალექსანდრიდი! თქვენს წინაშე დგანან მკრთალსახიანი თბილისელი ჰარიფი და მისი დეიდაშვილი, ჩვენი ტომის გამყიდველი და სამშობლოს მოღალატე, წკვინტლიანი კოკა. ამ მკრთალსახიან გადამთიელს, იმის ნაცვლად, რომ ესარგებლა ჩვენი სტუმართმოყვარეობით, დიდსულოვნებითა და სულგრძელობით, სურს მიისაკუთროს ჩვენი კურთხეული მიწა, ზღვა, მდინარე, ოქრო, ვერცხლი, საძოვრები და გაზონები...

– მორჩი ლაზღანდარობას! – შევანყვეტინე სიტყვა. – უნდა მეჩხუბო!

იანგული შეჩერდა და თვალი თვალში გამიყარა.

– მე თქვენ გაჩვენებთ ახლა, როგორ კეთდება მკრთალსახიანებისაგან კატლეტი... – განაგრძო ისევ.

- ნუ მაიმუნობ, დავინყოთ!
- შენ ეი, ნკვინტილიანო, – მიუბრუნდა იგი კოკას, – წადი, სასწრაფოში დარეკე, უთხარი ხუთ წუთში მოვიდნენ და შენი დაინვალიდებული დეიდაშვილი წაიყვანონ! – ბიჭებში ხარხარი ატყდა.
- დღეს შენ მოგინვეს სასწრაფოთო წაყვანა. – ვუთხარი მე და ავდექი. ბიჭებმა წრე შეკრეს. იანგულიმ ისევ რაღაც უთხრა პეტეის ბერძნულად, პეტია შეიშმუშნა და ქამრის შეხსნა დაიწყო. განცვიფრებული ვუყურებდი პეტეის თითის სიმსხო ღვედის ქამარს – „ნუთუ ქამრით უნდა მცემოს?“ – გამიელვა თავში. პეტეიამ ქამარი გადასცა იანგულის და ისევ წრეში ჩადგა. იანგულიმ ამაყად მიმოიხედა გარშემო და საჯაროდ განაცხადა:
- მე მკრთალსახიანს ორი ხელით არ ვეჩხუბები. იგი დღეს ცალი ხელით უნდა გაილახოს. პეტია, გამოდი და შემიკარი ხელი!
- ბიჭებში აღტაცების ყიჟინა გაისმა. მე ელდა მეცა. იანგულიმ გაჭიმული მარცხენა ხელი თეძოზე მიიდო. პეტია გამოვიდა, ქამარი ნელზე შემოარტყა ისე, რომ ის მარცხენა ხელი შიგ მოაყოლა, და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაუკრა.
- ნუ არტისტობ, ხელი ამოიღე და ისე ვიჩხუბოთ! – ვუთხარი დაკარგული ხმით.
- მე შენთან ორი ხელით ჩხუბს არ ვიკადრებ, – თქვა იანგულიმ. ბიჭებს კვლავ აღტაცების ყიჟინა აღმოხდათ.
- მაშინ არ მინდა! – ვთქვი მე და ჩანთა ავიღე.
- გეშინია? – მკითხა იანგულიმ.
- კი არ მეშინია, არ მინდა. ხელი ამოიღე და ისედაც გცემ!
- მეჩხუბე, თორემ გცემ! – თქვა გაღიზიანებით იანგულიმ.
- მიდი, დასვი! – წამჩურჩულა კოკამ. მე ჯიუტად გავიქნიე თავი. მაშინ იანგული მომიახლოვდა და სილა გამანწა. სახეზე ისე წამეკიდა ცეცხლი, თითქოს მღულარე შემასხესო, მაგრამ ხელი არ შევუბრუნე. იანგულიმ მეორედ გამანწა სილა, მერე მესამედ, შევატყვე, გამეტებით არ მირტყამდა, ეს უფრო გასილაქებას ჰგავდა, ვიდრე ჩხუბს. და მაინც რომ არ შევუბრუნე ხელი, იანგული გაჩერდა. მე შევტრიალდი და წრიდან გავედი, ბიჭები უხმოდ ჩამომეცალნენ.
- ეე, სკრიპკა! – მომესმა ზურგს უკან პეტეის ხმა, და უცებ

გავიგონე გაშლილი ხელის საშინელი ლანანი: ეს უკვე პეტიას ყბაზე გაღებული იანგულის ხელის ხმა იყო.

უკან არ მიმიხედავს, რადგან ვტიროდი და არ მინდოდა ბიჭებს ჩემი ცრემლი დაენახათ. ერთს კი მივხვდი – დღევანდელი ჩხუბი იანგულიმ წააგო.

●

მეორე დღეს, სისხამ დილით, ალექსანდრიდების ეზოს ჭიმკართან ვიდექი. ხრისტო ალექსანდრიდი ვირს კაზმავდა პატარა თავლასთან. იანგული ეხმარებოდა, რომ დამინახა, ვირი მიატოვა და ჭიმკარს მოადგა.

– საჩივლელად მოხვედი? – მკითხა მან და თვალი მამისკენ გააპარა. მამამისი ზურგშექცევით იდგა და ვერ მხედავდა.

– საჩხუბრად! – ვუპასუხე მე.

– ვინ არის? – დაუძახა მამამისმა, ისე რომ არ მოუხედავს.

– ამხანაგია ჩემი.

– იანგულის არ სცალია, ბაზარში მიდის! – მოიხედა ხრისტომ. უცებ მიცნო და გაუკვირდა: – შერიგდით?

– შევრიგდით! – ვუპასუხე მე.

– ეგრე არ ჯობია? ორივე კარგი ბიჭები ხართ! – გაუხარდა ხრისტოს და ეზოში შემიპატიჟა.

– მეჩქარება, – ვუპასუხე, მერე იანგულის მივუბრუნდი: – როდის დაბრუნდები ბაზრიდან?

– სალამოს!

– რკინიგზის ხიდის ქვეშ დაგელოდები! – ვუთხარი და წავედი.

●

სალამოს ხიდის ქვეშ ველოდი იანგულის. იგი მოვიდა. ხმა არ გაუცია ჩემთვის, ვირი ადამიების ლობეს მიაბა, ხალათი გაიხადა, ვირის კეხზე გადაჰკიდა და მე კვლავ წავიკითხე მის გაშლილ მკერდზე მაგიური სიტყვა HELLADOS.

დღეს ჩვენი ჩხუბის მოწმე მხოლოდ ვირი იყო.

ჩხუბი ამჯერად უფრო დიდხანს გაგრძელდა. პირველმა იან-

გულიმ დამარტყა, როგორ არ ვეცადე, მაგრამ მაინც დამასწრო. არ წავექცეულვარ, მხოლოდ წავიფორთხილე. მეორე რომ მომიქნია, თავი უკან გადავნიე და მისმა გაშლილმა ხელმა შხუილით ჩამიქროლა ცხვირწინ. მოქნეული ისე ძლიერად იყო, იანგულიმ თავი ვერ შეიკავა, ინერციამ ოდნავ შეატრიალა და ახლა იგი გვერდულად იდგა ჩემს წინ, მისი ყბა ზუსტად ისე დაეკიდა ჰაერში, როგორც მაშინ, პირველი ჩხუბის დროს; და ვიდრე კვლავ შემოტრიალდებოდა, რაც ძალი და ღონე მქონდა, მუშტი ყბაში მოვდე. იანგული სახით სილაში ჩაემხო. ერთხანს გაუნძრევლად იდო. არ მეგონა, თუ ადგებოდა, მაგრამ უცებ წამოხტა და საოცარი სისწრაფით გამოქანდა ჩემსკენ. მისი გაშილილი ხელი და ჩემი მუშტი ერთდროულად მოხვდა მიზანს, მე დავრეტიანდი, ცალ მუხლზე დავიროქე და უნებურად სახეზე ხელები ავიფარე. ხელები რომ მოვიცილე და თვალი გავახილე, იანგული ზუსტად ისეთივე პოზაში იყო ჩაჩოქილი, როგორც მე, და გახეთქილი ტუჩიდან სისხლს იხოცავდა. ხელებზე დავიხედე და მივხვდი, რომ მეც მჟონავდა სისხლი ცხვირიდან. თავს ძალა დავატანე და წამოვდექი. წამოდგა იანგულიც.

დიდხანს ვუცქერდით ერთმანეთს უხმოდ. მე მისი მძიმე და ღრმა სუნთქვა მესმოდა, ალბათ იმას – ჩემი. ყოველ წუთს ველოდი თავდასხმას. მაგრამ საოცარი ის იყო, ჩხუბის აღარც ხალისი მქონდა, აღარც სურვილი. რაღაც შინაგანი კმაყოფილება დამეუფლა. მივხვდი, რომ დღეიდან იანგული ველარასოდეს დამჩაგრავდა.

– გვეყოფა! – თქვა იანგულიმ და მკლავები ჩამოუშვა.

– გვეყოფა! – ვთქვი მეც და შვებით ამოვისუნთქე. ოღონდ ხვალ ბიჭებთან უნდა ვიჩხუბოთ! – დავაყოლე ყოველი შემთხვევისთვის.

– არ გინდა, ბიჭებს მე ვეტყვი, რომ მაგარი ხარ, ოღონდ ყოჩობას ვერ დაგიტოვებ. – ცოტა ხნის დუმილის შემდეგ თქვა მან.

– არც მინდა! – ვთქვი მე.

– თუ გინდა, მეორე ყოჩი იყავი! – შემომთავაზა მოადგილეობა.

– არ მინდა, შენ შენთვის, მე ჩემთვის! – ვიუარე ისევ, შემოვტრიალდი და წამოვედი.

– მოიცა! – მითხრა მან. მე გავჩერდი. – ასე არ ივარგებს. ყოველდღე ხომ არ ვიჩხუბებთ, მოდი ხვალიდან ვაგინოთ ერთმანეთს, ვინც აჯობებს, იმის იყოს!

– იმისი იყოს! – დავთანხმდი.

●

მეორე დღეს მე და იანგული კვლავ ბიჭების წრეში ვიდექით და უშვერი სიტყვებით ვამკობლით ერთმანეთს.

– ჯემალ, ვირისთავო!

– იანგული, ბერძენო მემწვანილე!

– თბილისელო სირისტიანო!

– ლანირაკო!

– წვინტლიანო!

– ვირის მწყემსო!

– ჩოჩორო!

– მჟავე კიტრო!

– კამბოლა!

– ლორჯო!

– მედუზა!

– კრეტინო!

– პაგანიანო!

სალანძღავი სიტყვების არსენალი შეუმჩნევლად შემომელია და გავჩერდი, იანგული მელოდებოდა, რადგან ჩემი ჯერი იყო.

– მიდი, თორემ წააგე! – იდაყვი გამკრა კოკამ.

– გამითავდა! – ვუთხარი მე.

– დედა შეაგინე! – შემახსენა მან.

– დედის გინება არ მოდის.

– „დედა ვატირე“ რა გინებაა?

– ეგ რუსულად არ ვიცი!

– ქართულად შეაგინე, ვერ გაიგებს! – არ მომეშვა კოკა და შემაცდინა.

– იანგული, შენი დედა ვატირე! – ვთქვი ქართულად და პასუხის მოლოდინში გული შემეკუმშა.

– იმანა სუ ინე პროსტიკასა ინეკა, ჯემალ! – მიპასუხა იანგუ-

ლიმ. მივხვდი, რომ ისიც დედას მაგინებდა, მაგრამ ისე ლამაზად ამბობდა, ავე-მარიასავით მეყურებოდა და გინება გავიმეორე:

– შენი დედა ვატირე, იანგული!

– იმანა სუ ინე პროსტიკასა ინეკა, ჯემალ! – გავიმეორა მან სიმღერასავით.

●

ასე გრძელდებოდა მთელი ნახევარი წელიწადი, მერე ვნებები დაცხრა. მე და იანგულიმ გინებათა არსენალი თითო ყველაზე მნიშვნელოვან გინებამდე დავიყვანეთ და შეხვედრისას, თითქოს ვესალმებითო, ხელის აწევით გავძახოდით ერთმანეთს:

მე: – შენი დედა ვატირე, იანგული.

ის: – იმანა სუ ინე პროსტიკასა ინეკა, ჯემალ!

●

მზიანი დღე იყო. მე და კოკა სკოლიდან ვბრუნდებოდით. რკინიგზის გადასასვლელთან რომ მივედით, იანგული, როგორც ყოველთვის, უბნის ბიჭებს პაჟარობანას ეთამაშებოდა. დამინახა თუ არა, თამაშს თავი დაანება და ჩემსკენ წამოვიდა, არ დამასწროს-მეთქი და გინება გზაზე შევაგებე.

– იანგული, შენი დედა ვატირე! – იანგული მონუსხულივით შედგა და თვალებში შემომხედა. დიდხანს ველოდი პასუხს, მაგრამ იანგული ხმას არ იღებდა.

– შენი დედა ვატირე, იანგული! – გავიმეორე მე.

იანგულიმ თავი დახარა, შეტრიალდა და ასე თავდახრილი წელი ნაბიჯით წავიდა. მე გაკვირვებული ვუქცერდი სახლისაკენ მიმავალ იანგულის.

– ნახე, როგორ გაიძურნა, გათავდა მაგის ყოჩობა! – ვუთხარი კოკას.

– გათავდა კი არა, ახლა დაიწყო! – მიპასუხა კოკამ და ცალცხად გაილიმა.

– როგორ?

– გაჯობა და ისე.

– მაშ, რატომ არ შემაგინა?

– გუშინ მკითხა, ჯემალის დედა სად არისო. მე ვუთხარი, აღარ არის-მეთქი, იმიტომ არ შეგაგინა, – თქვა კოკამ.

ელდა მეცა.

– რატომ გუშინ არ მითხარი, ლანირაკო!

– მე რა ვიცოდი!.. – თავი ჩაღუნა კოკამ.

– იანგული! – დავუძახე მე, მაგრამ იანგული უკვე შორს იყო და ან ვერ გაიგონა ჩემი ძახილი, ან გაიგონა და არ მოიხედა.

იმ დღიდან იგი ერთი ათად გაიზარდა ჩემს თვალში. ჩვენს შორის სამუდამოდ დამთავრდა ომი და ქიშპობა, მაგრამ მე და იანგული დიდი მეგობრები მაინც არ გავმხდარვართ. შეხვედრისას უბრალოდ ხელის აწევითა და ღიმილით ვესალმებოდით ერთმანეთს და თუ მამამისის მაგივრად რძეს ან მანონს მოგვიტანდა ხოლმე ვირით, მაშინ თუ გავესაუბრებოდით ერთმანეთს უნებურად ან რძის და მანონის ფასის, ან მამამისის, ან მწვანის, ან ვირის თაობაზე. ეს იყო და ეს.

●

ერთ დღეს იანგულიმ რძე მოიტანა, მე ეზოში შევეგებე, რომ შევხედე, ძლივს ვიცანი, ისე ჰქონდა სახე შეშუპებული და თვალის უბეები ჩალურჯებული.

– რა მოგივიდა? – ვკითხე გაკვირვებულმა.

წარმოუდგენელი იყო, იანგული ასე ეცემა უბანში ვინმეს, აშკარად მასზე უფროსის ნახელავი იყო.

– არაფერი! – მიპასუხა მან და თვალი ამარიდა.

– მაგარი ნაცემი ხარ! – ვუთხარი მე.

– არა უშავს! – თქვა მან და გაიღიმა.

– თქვი, ვინ არის, თუ მარტო ვერ მოერიე, მე წამოგყვები! – ვუთხარი. იანგულიმ უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია.

– ვირი აქ დააბი და ახლავე წავიდეთ, – არ მოვეშვი მე. რძიანი ქილა კიბეზე დავდგი და გასაყოლად მოვემზადე.

– არ გინდა, ვერ მოვერევიტ! – მწარედ გაიღიმა მან.

– ვინ? მე და შენ ვერ მოვერევიტ? – გავიქაჩე მე.

– ვერც მე და შენ, და ვერც მთელი ვენეციის გზატკეცილი...

– ასეთი ვინ არის? – შევცბი.

- მამაჩემი! – თქვა იანგულიმ.
- მამაშენი?
- ჰო, მამაჩემი.
- ასე როგორ გაგიმეტა? – ვკითხე გაკვირვებულმა და შეშუპებულ ლოყაზე ხელი დავადე.
- ჩემი ბრალია!
- რა დააშავე?
- სამ დღეში სოხუმში საბერძნეთიდან გემი ჩამოდის. ჩვენი თემის ბერძნები ელადაში ბრუნდებიან. მამაჩემიც... – იანგული გაჩუმდა.
- მერე? – ვკითხე მე.
- მერე არაფერი, მე არ მივყვები, არ მინდა წასვლა... მამა ამბობს, რომ იქ ჩვენი სამშობლოა, მშობლიური მიწა, დიდებული ელადა... მამა-პაპათა სისხლი გვეძახის და მოვალენი ვართ წავიდეთო...
- მერედა რატომ არ მიყვები? – გულწრფელად გამიკვირდა მე.

იანგული დიდხანს სდუმდა თავჩალუნული და ვირს აცქვეტილ ყურებს უუთოვებდა. ყურები იანგულის ხელის ყოველ დასმაზე მორჩილად წვებოდნენ, მაგრამ შემდეგ უცნაური სიჯიუტით კვლავ წამოხტებოდნენ და ცქვიტად დგებოდნენ. თითქოს ჩვენს საუბარს უგდებდნენ ყურს და ეშინოდათ, რაიმე სიტყვა არ გამოგვრჩესო.

– როგორ აგისხნა... – თქვა ბოლოს იანგულიმ. – მე ჩემი დედა არ მახსოვს, მამა კი მთელი დღე ან ბოსტანშია, ან საშოვარზე. მე ვენეციის გზატკეცილზე გავიზარდე, ქუჩაში... ჩემი ელადა, ჩემი სამშობლო სოხუმია, ვენეციის გზატკეცილი, ჩალბაში, კოკა, პეტია, კურლიკა, ფემა... შავი ზღვა, ჩემი ვირი, რკინიგზის ხიდი... – იანგული ცოტათი შეეყოვნდა. მერე ისევ განაგრძო: – მიდა... მიდა და შენც... – სახელი „მიდა“ იანგულიმ პირველად ახსენა ჩემთან, მაგრამ არ მიკითხავს, მიდა ვინ არის-მეთქი, რადგან კოკასაგან ვიცოდი: მიდა აფხაზე გათხოვილი ბერძენი ქალის შვილი იყო. მიდაზე ლამაზი გოგო სოხუმში არ დადიოდა და ეს გოგო იანგულის უყვარდა.

– გაიგე ახლა? – მკითხა იანგულიმ და თვალებში შემომხედა. მე ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ასეთი სიტყვები ჩემს სიცოცხლეში პირველად მესმოდა.

– კი მაგრამ ეგ რაღაა? – ვკითხე. მკერდზე ხალათი გადავუნე და ლურჯად ამოსვირინგებული HELLADOS ნავიკითხე ხმამაღლა.

– ეს ამოსვირინგებული სიტყვაა, ჯემალო. სამშობლო უფრო ღრმადაა. უფრო შიგნით... – თქვა იანგულიმ და ხელი მკერდზე დაიდო. მე ყელში გაჩხერილი მუშტისოდენა ბურთი გადავყლაპე და ვიდრე ღამეს ვუპასუხებდი, იანგულიმ ვირს ხელი მოჰკიდა, აღვირი მოქაჩა და ეზოდან გავიდა.



მესამე დღეს, სისხამ დილით, იანგული ჩვენს ეზოში იდგა. თან უბელო ვირი მოეყვანა.

– მამამ ყველაფერი გაყიდა: ძროხა, სახლი, კარი. ვირს არავინ არ ყიდულობს. თქვენი ხალხი ვირის ყოლას სამარცხვინოდ თვლის, ვირი კი ძალიან საყვარელი ცხოველია... მუშა, უწყინარი... ქუჩაში ხომ არ დავტოვებ, ან ვის დავუტოვო, ბერძნები ყველა მივდივართ... ძალიან ადვილი მოსავლელია, ერთი მუჭა ბალახი ჰყოფნის... ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა, თან ვირს ყელზე უსვამდა ხელს და ცრემლებს ყლაპავდა.

– მიდიხარ?

– მივდივარ. ხომ დაიტოვებ?

– დავიტოვებ!

– არ გააგდო სახლიდან!

– არა, იანგული!

– ნინა ივანოვნას სთხოვე, არ გააგდოს!

– ვთხოვ, იანგული!

– კოკა მოგეხმარება, ამის მოვლას რა უნდა...

– არაფერი, იანგული.

– სულ ერთი მუჭა ბალახი ჰყოფნის.

– ჰო, იანგული!

– აპოლონი ჰქვია!

- ვიცი, იანგული!
- მოეფერე ხოლმე!
- კი, იანგული!
- ნავედი ახლა, გემი სალამოს გადის!
- ნადი, იანგული.
- მშვიდობით, ჯემალო!
- პორტში მოვალ, იანგული!

იანგული გადამეხვია, დიდხანს ვყავდი გულში ჩაკრული. მერე უცებ ხელი გამიშვა და გაიქცა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. გაიქცა უკანმოუხედავად, ისე, თითქოს რაღაც საშინელსა და შემზარავს გაურბოდა.



სალამოს მთელი სოხუმი პორტში იყო გამოსული.

იყო ბევრი ყვავილები, ორკესტრიც, ტაშ-ფანდურიც, ცხვირ-სახოცების ფრიალიც, მადლობა, ნახვამდის, მშვიდობით, მაგრამ ყველაფერზე მეტი მაინც ცრემლი იყო.

სოხუმის მოქალაქენი თავისი სხეულის ნაწილს, თავის სისხლს და ხორცს – ბერძნებს აცილებდნენ. ბერძნები უკვე ასულიყვნენ გემზე. ღრუბელივით თეთრ და ქათქათა „პოსეიდონზე“ და იქიდან გვიყვიროდნენ ხელების ქნევით რაღაცას, ზოგს ბერძნულად, ზოგს რუსულად, ზოგს აფხაზურად, ზოგს სომხურად, ზოგს ქართულად... უზარმაზარი თეთრი „პოსეიდონი“ კიჩოთი ნაპირისკენ იდგა. ზღვა ოდნავ ღელავდა და გემი ისე ირწეოდა და იქნევდა თავს, თითქოს თვითონაც გვემშვიდობებოდა.

მე სხვა ბავშვებთან ერთად პირსის მოაჯირს მიჭყლეტილი, თვალებს ვაცეცებდი და გემის ქიმზე გადმოფენილ ბერძნებში იანგულის დავეძებდი. უცებ თვალი მოვკარი. მას კვლავ შავი სატინის ხალათი ეცვა. მკერდზე გაღელილი. იანგული მამამისის წინ იდგა და მომეჩვენა, რომ მამამისს ხელით ეჭირა.

– იანგული! იანგული! – ვიკივლე მე და ხელების ქნევა დავინყე. იგი დიდხანს, დიდხანს დამეძებდა ბრბოში, ბოლოს ეტყობა ხმით მომაგნო და რომ დამინახა, ორივე ხელი მაღლა აღმართა.

– იანგული, იანგული, მშვიდობით!

– ჯემალო, ელო ალაპო ი მანა სუ!

ჯემალო, მე მიყვარს დედაშენი! – მეძახდა იგი ბერძნულად და მე კვლავ მომეჩვენა, რომ იგი მღეროდა, მე ვერ გავუძელი მის ხმასა და ცქერას, გემს ზურგი შევაქციე და ატირებული შინ წამოვედი.

●


მესამე დღეს, მდინარე კელასურის შესართავთან, ზღვამ ახალგაზრდა ბიჭის სხეული გამოორიყა. უფრო სწორად, იგი სტარავერმა მეზადურებმა გამოიტანეს და როდესაც სილაზე დაასვენეს, იქვე მოზანავე ბიჭებს დაგვიძახეს გვამის ამოსაცნობად. ბიჭს სახე წაშლილი ჰქონდა. ვერავინ ვერ იცნო იგი. მხოლოდ მე, მე ვიცანი, როდესაც თავზარდაცემულმა მის გაშლილ მკერდზე ლურჯად ამოსვირინგებული HELLADOS წავიკითხე. უკანმოუხედავად და სულმოუთქმელად გავივრბინე პლაჟი, სანაპირო, რკინიგზის ლიანდაგი, ვენეციის გზატკეცილი და შეშლილივით შევვარდი სახლში...

– რა მოგივიდა, ბიჭო? – მკითხა გულამოვარდნილს შეშინებულმა დეიდაჩემმა.

– დეიდა ნინა... იანგული დაბრუნდა... – ვუთხარი მე. მერე დავიჩოქე მის წინ, კალთაში თავი ჩავუდე და მწარედ ავტირდი.

ნოდარ დუმბაძე.

თხზულებანი (ოთხ წიგნად). წიგნი III.
თბილისი: გამომცემლობა „მერანი“. 1990.



გაბრიელ გარსია მარკესი 1928 წელს დაიბადა კოლუმბიის ქალაქ არაკატაკაში. პირველი მოთხრობა 1947 წელს გამოაქვეყნა. ლათინოამერიკული გაზეთების კორესპონდენტად მუშაობის გამო ევროპის მრავალი ქვეყანა შემოიარა, ცხოვრობდა ვენესუელასა და მექსიკაშიც. 1965 წელს 18 თვის განმავლობაში ნებაყოფლობით გამოიმწყვდია თავი, რის შემდეგაც 1967 წელს ბუენოს-აირესში გამოაქვეყნა რომანი „მარტოობის ასი წელი“, რომელმაც ის მთელ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და აღიარებულ მწერლად აქცია. 1975 წელს დაიბეჭდა მარკესის რომანი „პატრიარქის შემოდგომა“, 1981 წელს კი – „გამოცხადებული მკვლელობის ქრონიკა“, რის შემდეგაც, 1982 წელს, მწერალს მიენიჭა ნობელის პრემია. გარდაიცვალა მეხიკოში 2014 წელს.

კასრიარქის შემოღობვა

(ნაწყვეტი)

ერთი კვირის თავზე სვავები პრეზიდენტის სასახლის აივნებს შეესივნენ, ფანჯრებზე აკრული ცხაურები ნაკუნებად აქციეს, ჩახუთულ ოთახებში შეჩერებული დრო-ჟამი ფრთების ფართქუნით შეარხიეს და უკვე ორშაბათ დილას, გამთენიისას, ქალაქი საუკუნოვანი ლეთარგიული ძილიდან გამოიყვანა დიდი მიცვალებულისა და ჩამპალი დიდებულების მხრიდან სუსტად მქროლავმა ბრიზმა. ჩვენც მხოლოდ მერელა გაგბედეთ იქ შესვლა. კედლებდაფხავებული ციხესიმაგრის ბრძოლით ალება არ დაგვჭირვებია, როგორც გვიჩვენებდნენ მეტისმეტად გულადნი, არც დიდი ჭიშკარი შეგვიჩვენებდა ძელებით, როგორც გვთავაზობდნენ ახლობლები, ხელის მიკარებაზევე გაიღო ის ჯავშნიანი შიდა კარიც, ოდესღაც, ამ ციხესიმაგრის ზეობის წლებში, უილიამ დემპერის⁶ ყუმბარებსაც რომ უძლებდა. ასე გვეგონა, სხვა სივრცეში, სხვა ეპოქაში შევავიჯეთ. სანაგვედ ქცეულ უზარმაზარ სახელისუფლო ბუნაგში სიჩუმეც კი ძველი იყო და დაბინდულ შუქზე

6 ინგლისელი ზღვაოსანი (მე-18 საუკუნის დასასრულსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში).

საგნებიც მოჩვენებებს ჰგავდნენ. პირველ პატიოში,⁷ სადაც მოძალებულ ნარშავას ქვაფენილი თითქმის ამოეყარა, დაფეთებულ ჯარისკაცებს ყველაფერი თავდაყირა მიეტოვებინათ, თოფ-იარაღიც უპატრონოდ მიეყარათ კარადებში. გრძელ ფიცრულ მაგიდაზე ჩამორიგებულ მათლაფებზე ლპებოდა პანიკის გამო შეწყვეტილი საკვირაო სადილის ნარჩენები. ჩვენ ვნახეთ ჩანყვდიადებული, პირქუში შენობა, სადაც ოდესღაც სამოქალაქო სამსახურები იყო განთავსებული, ახლა იქაურობა თეთრ შხამიან სოკოებს, უღიმღამო ცხოვრებასავით განელილ, დაუმთავრებელ საქმეთა საქაღალდეებსა და ამ საქაღალდეებიდან თავამოყოფილ უფერულ მყარლ ყვავილებს დაეფარა. შუა პატიოში ემბაზი იდგა, რომელშიც, როგორც ამბობდნენ, სასახლის ბინადართა სულ ცოტა ხუთი თაობა მონათლულა თურმე. ეზოს განაპირას მდგარი ერთ დროს ვიცე-მეფეთა საჯინიბო ახლა ეტლების სადგომად ქცეულიყო. ჭფარვანებისა და ჩრჩილების ღრუბლის მიღმა ძლივს გავარჩიეთ დიდი ხმაურის დროინდელი ორადგილიანი კარეტა, ჟამიანობის დროინდელი ფურგონი, სხვადასხვა ფენისა და წარმომავლობის მიცვალებულთათვის განკუთვნილი პროგრესის დროინდელი კატაფალკები და მშვიდობის პირველი საუკუნის სომნამბულური ლიმუზინი. ეს ყველაფერი დროშის ფერებად გადაელებათ და თუმცა მტვერსა და აბლაბუდას დაეფარა, მაინც მშვენივრად იყო შემონახული. რკინის მესერის გაყოლებაზე ვარდები ყვაოდნენ, თითქოს მთვარის მტვერი დაფრქვევითაო, ვერცხლისფერი გადასდიოდათ. ვარდების ჩრდილში, ამ სასახლის ზეობის წლებში, კეთროვანებს ეძინათ. მოუვლელ, უზომოდ გაბარდულ ბუჩქებს ლამის მთელი სივრცე ამოევისოთ, ჰაერი გაეჯერებინა მათ სურნელს, მაგრამ ბალის სიღრმიდან, ბაზილიკის მხრიდან წამოსულ სკორეს, საქონლისა და ჯარისკაცების შარდის მძაფრ სუნს მაინც ვერ უმკლავდებოდა. ადრე, ვიდრე ამ ბაზილიკაში ბოსელსა და ფერმას გამართავდნენ, ჯარისკაცები მის კედლებს კარგა ხანს იყენებდნენ მოსასაქმებლად. სულის-

⁷ შიდა ეზო.
(განმარტებები აქ და ქვემოთ მთარგმნელისაა)

შემხუთველ ვარდების ბუჩქნარს რომ გავცდით, დავინახეთ ნაირ-ნაირი ქოთნის ყვავილით მოფენილი თაღოვანი ვერანდა. იმდენი საკერავი მანქანა და ხარახურა ვნახეთ მიყრილ-მოყრილი, რომ, ჩვენი ვარაუდით, აქ ალბათ სულ ცოტა ათასამდე ქალი მაინც ცხოვრობდა ამდენივე უდლეურ ნაშიერთან ერთად. ჩვენ ვნახეთ იავარქმნილი სამზარეულო, ვნახეთ ვარცლებში ჩამპალი საც-ვლები, ვნახეთ ქალებისა და ჯარისკაცების საერთო ფეხსალაგ-თან განელილი ბინძური წუმპე, ეზოს განაპირა კუთხეში ვნახეთ ბაბილონური ტირიფები, რომლებიც მცირე აზიიდან ჩამოეტანათ უზარმაზარი კასრებით თავის მიწიანად, ნაჟურიანად და წვიმიანად. ტირიფებს რომ გავცდით, მივადექით დიდ და ნაღვლიან სასახლეს, რომლის ჟალუზებმორღვეულ ფანჯრებში სვავები და-თარეშობდნენ. გვეგონა, კარის შემტვრევა მოგვინევდა, მაგრამ თითქოს ჩვენს ხმას დაემორჩილაო, თავისით გაიღო. შესვლისთანავე ქვის კიბეს აფუყევით ზემო სართულისკენ. კიბეზე, როგორც საოპერო თეატრში, ფარდაგი ეფინა, ან უკვე ძროხების ფლოქვე-ბით გათელილი. თითქმის ყველგან შევიხედეთ, ჰოლიდან დანყე-ბული მინგრეულ-მონგრეული საძინებლებით, კაბინეტებით თუ სასტუმრო დარბაზებით დამთავრებული. სადაც შევდიოდით, ყველგან ძროხები გვხვდებოდნენ, მშვიდად დაბორიალობდნენ ოთახებში და ლეჭავდნენ ხავერდის ფარდებსა და ატლასის გადა-საფარებლებს, ფლოქვეებით თელავდნენ ფუნასა და ნამსხვრევებ-ში არეულ წმინდანთა ხატებსა და მხედართმთავართა პორტრე-ტებს. ჩვენ ვნახეთ ძროხების შეჭმული სასადილო ოთახი, ვნახეთ მათი ზმუილით შეურაცხყოფილი დიდი საკონცერტო დარბაზი, ვნახეთ მათი ფლოქვეებით ნაფოტებად ქცეული დომინოს სათამა-შო პატარა მაგიდები, ბილიარდის მაგიდების ხასხასა მწვანე სა-ფარი კი ისე გულდაგულ ამოელეჭათ, მინდორში ეგონათ ალბათ თავი. ვნახეთ კუთხეში მიგდებული ქარის მანქანა. მისი მბრუნავი ფრთებიდან ოთხივე კუთხით უბერავდა ნიავი, რაც აგრერიგად აკლდათ გამქრალი ზღვის გამო ნოსტალგიამოძალბებულ, უზ-ღვოდ დარჩენილ სასახლის ბინადართ. ვნახეთ წინა კვირის მერე ჯერაც ისევ ნაჭერგადაფარებული ლამის ყველგან მიკიდულ-მო-კიდული ჩიტებით სავსე გალიები. უამრავი ფანჯრიდან მოჩანდა

ქალაქი, განოლილი მძინარე მხეცი, რომელმაც ჯერაც არ უწყოდა, რა ისტორიული ორშაბათი დილა თენდებოდა. ქალაქს მიღმა უკიდვანო ვაკეზე, სადაც ოდესღაც ზღვა ფშვინავდა, ახლა ლამის ჰორიზონტამდე გადაჭიმულიყო ქვიშიანი უდაბნო თავისი კრატერებით, მთვარის ფერფლივით მიმობნეული ხეშეში ბორცვებით. აკრძალული ზონიდან, სადაც სულ ცოტა ხნის წინ ერთ-ორ კაცს თუ ჰქონდა შესვლის უფლება, ჩვენამდე მოაღწია დამძლარი სვავების მძიმე ქშენამ, ჩვენც მათივე ფრთების ფართქუნით მოდენილი სიმყრალის სუნს მივყევით და მივადექით სააუდიენციო დარბაზს, სადაც კვლავ გადავანყდით ძროხებს, ამჯერად მკვდრებს. მატლებდასეული მათი ძვალტყავა უკანა კიდურები მრავლად ირეკლებოდა სარკეებში. დარბაზს კიდევ ერთი ოთახი ემიჯნებოდა, შვეალეთ კარი და აღმოვჩნდით კაბინეტში. სწორედ აქ ვნახეთ იგი. ფეხზე კრავები ეცვა, ტანზე უნიშნო სამხედრო უნიფორმა, მარცხენა ფეხზე ოქროს დეზი ჰქონდა მიმაგრებული. იატაკზე პირქვე იწვა ამქვეყნად ყველა მოკვდავზე, ზღვისა და ხმელეთის უძველეს ცხოველებზე უხნესი კაცი. მოკეცილი მარჯვენა ხელი ბალიშით ამოედო თავქვეშ. ასე სჩვეოდა ძილი მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების ხანგრძლივ ღამეებში. მიცვალებული ამოსაცნობად გადმოვაბრუნეთ, მაგრამ სვავეებს ისე დაეკორტნათ მისი სახე, რას ამოვიცნობდით, თანაც ჩვენ ხომ არასოდეს გვინახავს იგი და თუმცა მისი პროფილი ამოტვიფრული იყო მონეტების ორივე მხარეს, გამოსახული იყო საფოსტო მარკებზე, ნამლებზე, ბანდაჟებზე და ავგაროზებზე, თუმცა მისი ლითოგრაფიული პორტრეტი დროშითა და დრაკონით მკერდზე ყველგან და ყოველთვის გვხვდებოდა თვალში, ვიცოდით, რომ ეს იყო ძველი ასლების ასლები და რომ ჯერ კიდევ კომეტის წელიწადსაც კი არავის სჯეროდა ამ სურათების ნამდვილობა, ჯერ კიდევ მაშინ ჩვენს მშობლებს თავიანთი მშობლებისაგან გაეგონათ მისი ამბავი, იმათ კიდევ თავიანთი მშობლებისაგან და ჩვენც ლამის დაბადებიდანვე გვიჩიჩინებდნენ, ის ცოცხალია და ხელისუფალთა სასახლეში ცხოვრობსო. ვილაცას დაუნახავს თურმე, ფიესტის ღამეს როგორ აინთო სასახლეში მრგვალი ღამპიონები. ეგ რა არისო, ირწმუნებოდა მეორე, ნამდვილად

დავინახე პრეზიდენტის კარეტაში ნამიერად გაელვებული ნაღვლიანი თვალები, გაცრეცილი ტუჩები და საეკლესიო სამოსელივით მოსირმული ფარდიდან გამოყოფილი იდუმალი ხელი, რომელსაც დამშვიდობების ნიშნად უქნევდა თითქმის უკაცრიელ ქუჩასო. იმასაც ამბობდნენ, ამას წინათ ერთი უსინათლო მანანწალა შეუპყრიათ ქუჩაში, ხუთ სენტავოდ კითხულობდა თურმე მივინყებულები პოეტის რუბენ დარიოს⁸ ლექსებს, მაგრამ მალევე გაუშვიათ გახარებული და ბედნიერი, პირადად პრეზიდენტს გაუმართა პოეზიის საღამო და ოქროს მონეტითაც დაასაჩუქრეს. მანანწალას, რა თქმა უნდა, პრეზიდენტი არ უნახავს, ჯერ ერთი ბრმა იყო და რას ნახავდა, მეორეც, ყვითელი ციებ-ციხელების მერე ის საერთოდ არც ერთ მოკვდავს არ უნახავს, და მაინც თავში გვექონდა ჩაჭედილი, რომ ის აქ იყო, რომ დედამინა ბრუნავს და სიცოცხლე გრძელდება, ცხოვრება თავისი გზით მიდის, ფოსტა მოდის და მუნიციპალური სასულე ორკესტრიც, სადაც გარდაცვლილ მუსიკოსებს სხვა ბებერი მუსიკოსები ცვლიდნენ, შაბათობით სულელურ ვალსებს უკრავს მტვრიანი პალმების ხეივანში დე არმას მოედნის ფარნების ნაღვლიან შუქზე. მაშინაც კი, როცა სასახლიდან აღარც ადამიანთა ხმები გამოდიოდა და აღარც ჩიტების გალობა, განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში, როცა თითქოს სამუდამოდ დაიხშო ჯავშნიანი კარი, ჩვენ მაინც ასე ვიცოდით, რომ იქ ვიღაც იყო. ზღვისკენ გაჭრილი ფანჯრებიდან, როგორც გემის ილუმინატორიდან, შუქი გამოკრთოდა ხოლმე. ისიც თქვეს, ვილაცას თავზე ხელი აუღია, სასახლესთან ახლოს მისულა და კედლებს მიღმა უცნაური კაკაკუკი და რომელიღაც დიდი ცხოველის ქმენა გაუგონიაო. იანვრის ერთ საღამოს კი სასახლის აივანზე მართლაც დავინახეთ ძროხა, რომელიც მონუსხულივით შესცქეროდა მზის ჩასვლას. ეს რასა ჰგავს, ეს რა თავის აგდებაა, ეს რა მძღ... ქვეყანაა, ძროხას რა უნდა სამშობლოს აივანზე, ვის მოსწრებია ძროხა კიბეზე ადი-ჩადიოდეს, თანაც სასახლის ქვის კიბეზე და თანაც ფარდაგდაგებულზე. ისე დავიბენით, ველარ გავარკვიეთ, მართლა დავინახეთ ეს დაწყევ-

⁸ ნიკარაგუელი პოეტი (1867-1916).

ლილი ძროხა პრეზიდენტის სასახლის აივანზე თუ სალამოხანს დე არმას მოედანზე შეკრებისას მოგვეჩვენა. ...ამ აივანზე ხომ უკვე რამდენი წელიწადია არავის არავინ და არაფერი დაუნახავს ამ საბედისწერო პარასკევ დილამდე, ანუ სვავების პირველ გამოჩენამდე. ღარიბთა საავადმყოფოს სახურავის ბინადარმა ლემი-ჭამია ფრთოსნებმა შორიდანვე იკრეს მკვდრის სუნი და ერთმანეთის მიყოლებით გამოემურნენ ლამის ჰორიზონტის ხაზიდან, სადაც ამჯერად ქვიშის ზღვა განოლილიყო. ჩგუნდ-გუნდად, ყოფილი ზღვის ტალღებით მოადგაფუნებდნენ ფრთებს სასახლისაკენ, თითქმის მთელი დღე დასტრიალებდნენ თავზე, მერე კი ერთმა წითელკისერამ, გვირგვინით რომ ადგა მოტიტვლებულ თავზე შერჩენილი ერთადერთი ფრთა, ეტყობა, წინამძღოლმა რაღაც ანიშნა თავისიანებს და სწორედ ამ უსიტყვო ბრძანებას მოჰყვა მინების მსხვრევა, დიდი მიცვალებულის სიმყრალე და უპატრონო სახლივით მიტოვებულ სასახლის ფანჯრებში სვავების თარეში. ჩვენც მერედა გავბედეთ შევსულიყავით ამ უკაცრიელ ტაძარში. შევედით და ვიხილეთ წარსული დიდებულების ნანგრევებიც და სვავების მიერ დაკორტნილი მისი გვამიც. ნასათუთევე ხელის არათითზე პრეზიდენტის ბეჭედი ეკეთა, მთელი სხეული დაფარული ჰქონდა ნამცეცა ლიქენებითა და ზღვის ქიალებით, განსაკუთრებით მრავლად მოსდებოდნენ ილღიებში და საზარდულთან. ერთადერთი ადგილი, რომელიც დაუკორტნავი გადარჩენოდა, ბრეზენტის ბანდაჟში საგულდაგულოდ ჩამალული, ხარის თირკმელებივით უზარმაზარი და ჩამოსიებული თიქარიანი სათესლეები იყო. თუმცა ეს ყველაფერი საკუთარი თვალით ვიხილეთ, დაჯერებით მაინც ვერ დავიჯერეთ მისი სიკვდილი. აკი ერთხელაც უპოვიათ იგი მკვდარი ამავე კაბინეტში, ასევე ჩაცმული და ასევე მარტოსული. როგორც თქვეს, ძილში გაპარულიყო, ბუნებრივი სიკვდილით აღსრულებულიყო, სწორედ იმ სიკვდილით, ძალზე დიდი ხნის წინათ ერთმა ნათელმხილველმა ქალმა რომ ამოუკითხა წყლით სავსე თასში. იმ ხანებში, როცა მისი შემოდგომა ის იყო დგებოდა და როცა იგი პირველად ნახეს მკვდარი, ხალხს ჯერ კიდევ შესწევდა იმდენი ძალა, პრეზიდენტს, თავის საძინებელში საგულდაგულოდ გამოკეტილსაც კი, სიკვდი-

ლის შიში გამუდმებით ჰქონოდა და მაინც კვლავ ისე მართავდა ქვეყანას, თითქოს დარწმუნებული იყო თავის უკვდავებაში. მალე სასახლეცა და მისი ეზო-გარემოც ლამის ბაზრად აქცია. კაცი გვერდს ვერ აუვლიდა ფეხშიშველა დენშიჩიკებს, რომლებიც ტვირთის სიმძიმისაგან წელში განწყვეტილ სახედრებს ბოსტნეულითა და ქათმებით სავსე კალათებს დერეფანშივე ხსნიდნენ ზურგიდან. დიდი სიფრთხილე მართებდა კაცს, ზედ არ გადაევიდა კიბის საფეხურებზე მთვლემარე დედაკაცებისათვის, მშიერი ბავშვებით ხელში მოთმინებით რომ ელოდებოდნენ ოფიციალურ მონყალებას, ან არ ამონუნულიყო ლარნაკებიდან გადმოშვებულ წყალში, რომელსაც მისი საყვარლები ჰაიჰარად ასხამდნენ ზემოდან, როცა წინა დღის ყვავილებს ახლით ცვლიდნენ. ქალები იატაკს რეცხავდნენ, აივნებზე გამოფენილ ხალიჩებს ბერტყავდნენ და საბერტყის რიტმს აყოლილნი უიმედო სიყვარულზე მღეროდნენ. ამ ხმებს ერთვოდა ხმამალალი გინება, რომლითაც მარადიული ჩინოვნიკები ერთმანეთს ამკობდნენ. საწერი მაგიდების უჯრებში კვერცხის დასადებად მოყუჩებულ კრუხებსაც გინებით უქშევდნენ. ფეხსალაგებში ჯარისკაცები და მეძავი ქალები ხორხოცებდნენ. სხდომათა დარბაზში ფრინველთა გნიასს ერთვოდა უპატრონო ძაღლების ღრენა-ყეფა, კაცი ვერ გაიგებდა ამ ფართოდ კარმოლებულ სასახლეში ვინ ვინ იყო ან სად იყო. ამ წარმოდგენელ ზიმზიმსა და ჯგლეთაში ვერავინ დაადგენდა ვინ იყო ან სად იყო მთლად უფროსი ანუ აქაურობის პატრონი. მთლად უფროსი კი არათუ მონაწილეობდა ამ არეულობაში, არამედ თავად გახლდათ მისი წამომწყებიც და წარმმართველიც. აინთებოდა თუ არა მისი საძინებლის ფანჯრებში შუქი, ეს კი მამლის ყივილს გვარიანად უსწრებდა, პრეზიდენტის გვარდიის მესაყვირე ახალი დღის დადგომას ამცნობდა მახლობელ კონდეს ყაზარმას, რომელიც თავის მხრივ სიგნალს გადასცემდა სან ხერონიმოს ბაზას, ის კიდევ პორტის ციხესიმაგრეს, რომელიც ექვსჯერ იმეორებდა სიგნალს და ასე და ამგვარად იღვიძებდა ჯერ ქალაქი, შემდეგ მთელი ქვეყანა. ის კი ამ დროს იჯდა თავის პორტატიულ უნიტაზზე და გულისგამანვრილებლად აზუზუნებულ ყურებზე ხელაფარებული ფიქრიანად გასცქეროდა ტოპა-

ზისფრად მოლივლივე ზღვაში მოცურავე გემების სინათლებს. იმ სანუკვარ, კეთილმოსაგონარ წლებში ზღვა ჯერ კიდევ ჩანდა მისი ფანჯრებიდან. მას შემდეგ, რაც მან საპრეზიდენტო სახლში დაიდო ბინა, თითქმის ყოველდღე დადიოდა ფერმაში და ძროხების ნველას ადევნებდა თვალს, მერე საკუთარი ხელით ანაწილებდა რძეს და სამი სამთავრობო ფორნით გზავნიდა ქალაქის ყაზარმებში. ფერმიდან დაბრუნებულს წინასწარ გათვლილი საქმე აღარაფერი ჰქონდა, ახალი დღის ქარს იყო მიხედობილი, საითაც დაუბერავდა, იქით გაქანდებოდა. მანამდე კი სამზარეულოში შეივლიდა, შავ ყავასა და მანიოკის ღვეზელს მიირთმევდა, თან გულდასმით უსმენდა მსახურთა ლაქლაქს. ამ სახლში ყველაზე მეტად მსახურებთან პოულობდა საერთო ენას, ყველაზე მეტად მათგან შესხმულ ქება-დიდებას აფასებდა, ყველაზე იოლადაც მათ გულისნადებს ხვდებოდა. ცხრა საათიდან თერთმეტ საათამდე სამკურნალო ბალახებით გაზავებულ თბილ წყალში ნებივრობდა. გრანიტის აბაზანა საკუთრივ მისთვის დაედგათ პატიოში, ნუშის ხეების ჩრდილში. აბაზანა სიმხნევესა და გაბედულებას მატებდა, დილას თუ საღამოს ყოველგვარი დაბრკოლების გადალახვაში ეხმარებოდა. ოკუპაციის წლებში, როცა საზღვაო დესანტი კალიასავით მოედო იქაურობას, იგი სადესანტო ჯარების სარდალთან ერთად იკეტებოდა კაბინეტში და წყვეტდა სამშობლოს ბედს. რაკი იმ ხანებში წერა-კითხვა არ იცოდა, ათასნაირ კანონსა და დადგენილებას ცერა თითის ანაბეჭდით ამტკიცებდა, მაგრამ როცა იგი მარტო დატოვეს თავისი სამშობლოსა და ძალაუფლების ამარა, გადანყვიტა, ტვინი აღარ ეჭყლიტა დაწერილი კანონებით და ქვეყანა ალაღბედზე ემართა. მეკლდეურის სიფრთხილითა და თავისი ასაკისათვის შეუფერებელი სიმკვირცხლით მიიწევა სახელისუფლო მწვერვალისაკენ, ყველგან და ყოველთვის საჭირო კაცი ხდებოდა. მუდამ ჯგროდ დასდევდნენ კეთროვნები, უსინათლოები, ხეიბრები. ამ საცოდავებს სჯეროდათ, რომ მხოლოდ მისი ხელიდან ნაწყალობევ მარილს შეეძლო მათი განკურნება. მუდამ გარს ეხვივნენ დიპლომიანი პოლიტიკოსებიც, თავხედი, გაიძვერა ადამიანები. რაღას არ მიაწერდნენ მის სახელს, მიწისძვრების, მზისა თუ მთვარის დაბნე-

ლების, ნაკიანი წელიწადის და, საერთოდ, ღმერთის მიერ დაშვებული შეცდომების კორექციდორი⁹ შენა ხარო, ეპირფერებოდნენ. ისიც იფერებდა, სპილოსავით დააბოტებდა მთელ სასახლეში და გზადაგზა, სიარულ-სიარულში წყვეტდა სახელმწიფო თუ შინაურ საქმეებს. მისი გადაწყვეტილებები მისი ბრძანებებივით მარტივი იყო. ეს კარი აქედან მოხსენით და იქით გადაიტანეთ. ბრძანება მაშინვე სრულდებოდა. ახლა ისევ აქეთ გადმოიტანეთ, ესეც უსიტყვოდ და მყისვე სრულდებოდა. კოშკის საათი თორმეტზე კი ნუ ჩამოჰკრავს თორმეტჯერ, ორზე ჩამოჰკრავს, ასე უფრო ხანგრძლივი მოგვეჩვენება სიცოცხლე. ვინ გაბედავდა ურჩობას. როცა ირგვლივ ყოველივე სიესტის სამარისებურ მღუმარებაში იძირებოდა, იგი ამ დროს თავისი ქალების სამყოფელს აფარებდა თავს, მისთვის სულ ერთი იყო რომელს დაითრევდა, წამსვე ეძგერებოდა, არც თვითონ იხდიდა ტანზე, არც ქალს ხდიდა, კარსაც არ კეტავდა, მაშინვე იწყებდა თავის საქმეს. მთელ სახლში ისმოდა მისი ქმენა, ძალღვივთ წკმუტუნნი, ოქროს დეზების გახშირებული წკარუნნი და ყვირილი გამწარებული ქალისა, რომელიც ამ სასიყვარულო წუთებშიც კი მხოლოდ იმას ცდილობდა, როგორმე დამალვოდა თავისი უდღეური შვილების ბინძურ მზერას. – ახლავე მოშორდით აქაურობას, ეზოში გადით და ითამაშეთ, რა თქვენი საქმეა ამის ცქერაო. სამაგიეროდ ამ დროს სამშობლოს ცაზე თითქოს ანგელოზმა გადაიფრინაო, ირგვლივ ყოველივე ყუჩდებოდა და ლამის სუნთქვას იკრავდა. მთელ ქვეყანას ტუჩთან მიჰქონდა ხელი, ჩუმად, გენერალი სასიყვარულო განცხრომაშიაო. მაგრამ ყველა როდი იჯერებდა, რომ გენერალს შეეძლო საქვეყნო საქმეებს მომწყდარიყო და თუნდაც წამიერად მაინც მოეთქვა სული. ის ხომ ერთდროულად ყველგან იყო, სალამოს შვიდ საათზე რომ დომინოს თამაშობდა, ზუსტად ამ დროს ანთებული ნაკელით მოსკიტებს დევნიდა სხდომათა დარბაზიდან. დანამდვილებით ვერავინ ვერაფერს იტყოდა მანამ, სანამ სასახლის ყველა ფანჯარაში არ ჩაქრებოდა შუქი, არ გაჩხაკუნ-

⁹ უპირველესად ნიშნავს გამომსწორებელს, შემსწორებელს; სხვა შემთხვევაში: გამგებელს, მოსამართლეს, ქალაქის თავს.

დებოდა მისი საძინებელი ოთახის სამი ბოქლომი, სამი გასაღები და სამი ურდული, სანამ არ გაიგონებდნენ მისი დაღლილი, მოშვებული სხეულის ზღართანს ქვის იატაკზე და ბებერი ბავშვის აჩქარებულ სუნთქვას, რომელიც ზღვის მიმოქცევას აყოლილი ხან ზომიერი იყო, ხანაც წყვეტილი და ღრმა, და მაშინ ღამეული ქარის არფები ყურებში ჩამდგარ ქრიჭინების კრუალს უხშობდნენ. ქაფმოდებული ტალღები ზედ ევლებოდა ვიცე-მეფეთა და ბუკანეროთა¹⁰ ძველი ქალაქის ქუჩებს, სასახლეში ფანჯრებიდან აღწევდა და, როგორც აგვისტოს ერთ საშინელ საღამოს, ახლაც სარკეებზე ლოკოკინებს ტოვებდა, სხდომათა დარბაზს ზვიგენებს უთმობდა და, თვითონ კი სულ მაღლა და მაღლა, ისტორიამდელი ოკეანის თითქმის უმაღლეს ნიშნულამდე მიიწევდა და სივრცესა და დროს ფარავდა. ამ დროს კი მხოლოდ ის ერთი ტივტივებდა პირქვე თავის სიზმრისეულ მთვარიან ზღვაში, მხოლოდ ის ერთი, ერთადერთი დამხრჩვალ კაცი, რომელსაც ჯარისკაცის უხეში ტილოს უნიფორმა და ოქრისდებებიანი კრავები ეცვა და მარჯვენა ხელი ბალიშით ედო ლოყის ქვეშ. იმ შორეულ წლებში კი, როცა თირკმელები სტანჯავდა და როცა პირველი სიკვდილიც ამ სატანჯველს მოჰყვა, მაშინაც კი საოცარი უნარი გააჩნდა, ერთდროულად ყოფილიყო ყველგან, კიბეზე რომ ადიოდა, იმავდროულად ჩადიოდა კიდეც, ზღვას რომ მოჯადოებული გასცქეროდა, იმავ წუთებში რომელიმე ქალთან იცხრობდა ვნებას. ეს სულაც არ გახლდათ მისი რაიმე განსაკუთრებული თვისება, როგორც ირწმუნებოდნენ მლიქნელები, არც საერთო ჰალუცინაცია იყო, როგორც ამბობდნენ მისი მტრები, უბრალოდ, მას ჰყავდა ორეული, თავისი ალი და კვალი, ძალღვივით ერთგული პატრისიო არაგონესი. იგი არავის უძებნია საგანგებოდ, შემთხვევით ნააწყდნენ. ჩემო გენერალო, ზუსტად თქვენნაირი კარეგით დადის ინდიელთა სოფლებში, პრეზიდენტად ასაღებს თავს. მართლა ძალიან გგავთ, ჩემო გენერალო, ვინც კარეტაში შეჭვრეტა მოასწრო, ყველა ირწმუნება, ჩვენი გენერალივით ნაღვლიანი გამოხედვა და გაცრეცილი ტუჩები აქვსო, აბრეშუმის

10 მეკობრეები, რომლებიც ესპანელთა ადგილ-მამულებს ძარცვავდნენ ამერიკაში.

ხელთათმანიც აცვია და გზადაგზა სამკურნალო მარილსაც ურიგებს სნეულებსო. კარეტას ორი ვითომ ოფიცერი დაჰყვება ცხენით, მარილში ფულს ახდევინებენ ხალხს. ხედავთ, რა სინდისგარეცხილები და უტიფრები არიან, ჩემო გენერალო. მაგრამ გენერალმა ცრუპენტელა კაცის დასჯა როდი მოითხოვა, პირიქით, აქ მომგვარეთ, სასახლეშიო, ბრძანა, ეცადეთ არავინ დაგინახოთ, იმ კაცსაც ტომარა ჩამოაცვით თავზე, ხომ შეიძლება მე ვეგონო ვინმესო. მართლაც მოჰგვარეს და მართლაც ისე დიდი იყო მსგავსება, რომ პრეზიდენტმა შეურაცხყოფილად იგრძნო თავი. დალახვროს ეშმაკმა, ნუთუ ეს მე ვარ, მაგრამ არც მთლად ასე იყო საქმე, იმ კაცს ხმა არ უგავდა პრეზიდენტისას, იმ ხანებში ჯერ კიდევ არ ჰქონდა შეთვისებული მისი მბრძანებლური კილო. თუ ეს კაცი მე ვარ, თქვა მან, აბა სცადოს და ჩემს ხმაზე გასცეს ბრძანებები. ამოდ გაირჯება, ჯერ არავინ დაბადებულა ამის გამკეთებელი. და თუ მან ამ გაიძვერა კაცის დახვრეტა არ ბრძანა, განა იმიტომ, რომ განიზრახა საკუთარ ორეულად ექცია იგი, რაც ცოტა მოგვიანებით აღასრულა კიდევ, არ ბრძანა იმიტომ, რომ შეეშინდა, ამ კაცის ხელისგულზე გავლებულმა ბედ-იღბლის ხაზმა ჩემს ბედ-იღბალზეც არ იმოქმედოს ცუდადო. მაგრამ როცა პატრისიო არაგონესმა ექვსჯერ მოიგერია თავდასხმა, მაშინ კი საბოლოოდ დარწმუნდა თავისი შიშის უსაფუძვლობაში. მართლა ძალიან ჰგავდა პატრისიო არაგონესი პრეზიდენტს, განსაკუთრებით სიარულით. მას ხომ იქამდე ურტყეს ხის ჩაქუჩი ფეხისგულებში, ვიდრე პრეზიდენტივით ბრტყელტერფა არ გახადეს, ვიდრე მასავით ფლატუნა სიარულს არ მიაჩვიეს, ყურებმაც კი მასავით დაუნყო ზუზუნი, თიაქარიც მასავით ახსენებდა თავს, განსაკუთრებით ზამთრობით, გათენებულზე. ოქროს დეზების შეკვრასაც დიდ დროს ანდომებდა, თასმები და ბალთებიც ვითომ ერთმანეთში ებლანდებოდა, ამას განგებ სჩადიოდა, აუდენციაზე გული არ მიუჩქაროდა, ბუზლუნებდა, ღმერთმა დასწყევლოს ამის მომგონი და უვიცი ფლამანდიელი მჭედლებიცო. როცა მინის მბერავად მუშაობდა მამამისთან, ერთი ლაზლანდარა კაცი იყო, ახლა პირქუში და მუნჯი გამხდარიყო, სამაგიეროდ მოსაუბრეს თვალს თვალში უყრიდა, იქ ამოვიკითხავ შენს გულისნადებსო,

შეკითხვაზე შეკითხვითვე პასუხობდა, თქვენ როგორ ფიქრობთო, ეს თაღლითი კაცი, სულ ცოტა ხნის წინ ვითომ სასწაულმოქმედ მარილს რომ ურიგებდა ხალხს და თანაც არცთუ უანგაროდ, ახლა საქმიანი და ნუნურაქი გამხდარიყო. ქალებსაც უბოდიშოდ ექცეოდა, ნუთს არ კარგავდა, ხან ერთს დაახტებოდა ზედ, ხან მეორეს. ტანგაუხდელს ეძინა იატაკზე, პირქვე, უბალიშოდ. მან უარი თქვა საკუთარ პატივმოყვარეობაზე, სურვილებზე, უარი თქვა საკუთარ თავზე, უარი თქვა იმ ხელობაზე, დაბადებიდანვე რომ ენერა შუბლზე, მინის მბერავობაზე. ეს ყველაფერი გაცვალა რისკზე, იმ რისკზე, რომელიც მუდამ თან სდევს უმაღლეს ხელისუფალთა ცხოვრებას. პატრისიო არაგონესი რისკავდა, როცა პირველი ქვის დადების ცერემონიაზე მიდიოდა იქ, სადაც მეორე ქვა არც არასოდეს დაიდებოდა. რისკავდა, როცა სადღაც რაღაცის საზეიმო გახსნაზე მიდიოდა ლენტის გასაჭრელად, თანაც პირდაპირ მტრის ხახაში, მოწინააღმდეგე მხარის შუაგულში, ესწრებოდა სილამაზის კონკურსებს, რათა ეფემერული და მიუწვდომელი სილამაზის დედოფლისათვის გამარჯვებულის გვირგვინი დაედგა თავზე. სხვაგვარად მათთან მიკარებაც კი სასტიკად ეკრძალებოდა. ბოლოს და ბოლოს იგი შეეგუა თავის დაწყვეტილ ბედს, შეეგუა სხვისი ცხოვრებით ცხოვრებას. ეს ნაბიჯი სიხარბის გამო არ გადაუდგამს, არც რაღაც რწმენისთვის უარუყვია საკუთარი თავი, უბრალოდ, სხვა გზა არ ჰქონდა, მარადიული მატყუარას თანამდებობა, თვეში ორმოცდაათი პესო და შანსი იმისა, რომ არ იყო მეფე, მაგრამ მეფესავით უნდა ეცხოვრა. მას ხომ ეს ყველაფერი, რომ იტყვიან, აჩუქეს სიკვდილით დასჯის სანაცვლოდ, მასაც მეტი რა უნდოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კიდევ უნდოდა რაღაც. ერთხელ, ღამით, პატრონი შემთხვევით გადააწყდა სანაპიროზე ჟასმინის სურნელოვან ბუჩქთან მიმჯდარ დანალვლიანებულ თავის ორეულს და გულითადად ჰკითხა, რა მოგივიდა, პატრისიო, სადილობისას ვინმემ ხომ არ სცადა შენი მოწამვლა, ან ვინმემ ხომ არ გაგთვალაო. უარესი მჭირს, ჩემო გენერალო, უთხრა პატრისიო არაგონესმა, შაბათს კარნავალის დედოფალს გვირგვინი დავადგი თავზე და პირველი ვალსიც ვეცეკვე, ახლა კი ვერაფრით მიპოვია ის

კარი, საიდანაც შევძლებდი ამ მოგონების გაძევებას. აღარ ვიცი, რა გზას ვენიო, ასეთი ლამაზი ქალი დედამინის ზურგზე არ დანდის, ნეტავი ერთი განახათო. პრეზიდენტმა შვებით ამოისუნთქა, ქალი ნდომებია, მე კი რა არ ვიფიქრეო, და შესთავაზა, მოვიტაცოთ ეგ შენი მზეთუნახავიო. თვითონაც ბევრჯერ მოქცევია ასე ვითომ უკარება ქალებს, რომლებიც მერე და მერე, წლების მანძილზე დიდად კმაყოფილნი ცხოვრობდნენ მასთან ერთად. ძალით ჩაგიგორებ სანოლში, ოთხი ჯარისკაცი ხელ-ფეხს გაუკავეებს, შენ კი ამასობაში მიდი და დიდი ჩამჩით მიირთვი რამდენიც გენებოს. მაგისტანები გვინახავს, ჯერ ვითომ არ უნდათ, თავს იფასებენ, ინაზებთან, მერე კი გეხვეწებიან, დამპალი ვაშლივით არ მოგვისროლოო. მაგრამ პატრისიომ ქვა ააგლო და თავი შეუშვირა, არა, ჩემო გენერალო, მე მეტი მინდა, მე მინდა იმ ქალს ვუყვარდე, მინდა სასურველი მამაკაცი ვიყო მისთვის, უმშვენიერესი ქალია, ჩემო გენერალო, თავადვე დარწმუნდებით, როცა პირადად გაიცნობთ. პრეზიდენტმა გაიფიქრა, ეს თუ ცოტა არ დავამშვიდე, ცუდადაა ამის საქმეო, და ამ სატანჯველიდან თავის დაღწევის ერთგვარი ფორმულა შესთავაზა. ღამითო, უთხრა პატრისიოს, ჩემი ქალების სამყოფელში შეიპარე და რამდენიც გინდა ისიამოვნე, ოღონდ ერთი პირობით, ჩემსავით მოიქეცი, რჩევა და ტანზე გახდა არ დამინყო იქ, მოახტი პირველსავე ქალს და იმოქმედე სწრაფად. პატრისიო არაგონესმაც კეთილსინდისიერად შეტოპა სხვისი სიყვარულის ჭაობში. რატომღაც ეგონა, საკუთარ ვნებას უშველიდა, ჩაიხშობდა, მაგრამ მართლაც ისე შეტოპა, რომ ზოგჯერ ავიწყდებოდა კიდეც სესხის პირობები, – მოძრაობდა ნელა, თითქოს გემოს ატანსო, ალერსთან მწყრალად მყოფ ქალებსაც კი უღვიძებდა სურვილს, აიძულებდა სიამოვნებისგან ეკვნესათ და თანაც გაცობულებს ეკისკისათ სიბნელეში, ეს რა ონავარი და დაუდევარი ყოფილხართ გენერალო, თანაც ამ ასაკში, საკვირველია პირდაპირ. სწორედ მას შემდეგ ვერც პრეზიდენტი, ვერც პატრისიო და ვერც ქალები ვერ იტყოდნენ ზუსტად, ვინ ვისი შვილი იყო ან ვინ ვისი მამა. ყველა სიკეთესთან ერთად პრეზიდენტსაც და პატრისიოსაც უღლეური შვილები ებადებოდათ. პატრისიო არაგონესმა მოიპოვა ყველაზე შინაური,

საჭირო და პატივსაცემი, ყველაზე საყვარელი და იქნებ ყველაზე საშიში კაცის სახელი სასახლეში. სამაგიეროდ პრეზიდენტმა მოითქვა სული, უამრავი თავისუფალი დრო ებოძა პატრისიოს წყალობით. როგორც ოდესღაც, ძალიან დიდი ხნის წინათ, თავისი სამსახურებრივი კარიერის დასაწყისში, პრეზიდენტი ახლაც დიდ დროს ახარჯავდა შეიარეღებულ ძალებს. ჩვენ გვეგონა, პრეზიდენტს არმია მიაჩნდა თავის საიმედო დასაყრდენად და იმიტომ ფიქრობდა მასზე ამდენს, მაგრამ აღმოჩნდა პირიქით. საქმე ის არის, რომ პრეზიდენტი სწორედ იქიდან ელოდებოდა საფრთხეს და იმიტომაც ადევნებდა თვალს სამხედროების ყოველ ნაბიჯს. ყაზარმებში დადიოდა, ოფიცრებს ცალ-ცალკე აქეზებდა, ამან ეს თქვა, იმან ის თქვაო. ყველა ერთმანეთს გადაკიდა, ოღონდ ერთად არ ყოფილიყვნენ და ზოგს სად ამწესებდა სამუშაოდ და ზოგს სად, ყველანაირად ცდილობდა შეთქმულების საყრდენი შეესუსტებინა. ყაზარმებს ისეთი ვაზნებით ამარაგებდა, ათიდან რომ რვა ფუჭი და უვარგისი იყო, დენტში ნახევარზე მეტი სილა ერია, სამაგიეროდ სასახლის სარდაფები იყო იარაღით გამოტენილი, გასაღებები მხოლოდ მას ჰქონდა, თანაც თითო-თითო. სარდაფების გაღებისას ყოველი შემთხვევისთვის, უფრო მეტად დაცვის მიზნით, საკუთარი აჩრდილივით დაჰყვებოდა განუყრელი მეგობარი, საკადრო არტილერიისტი გენერალი როდრიგო დე აგილარი, რომელიც ერთდროულად თავდაცვის მინისტრიც იყო, პრეზიდენტის გვარდიის მეთაურიც და ეროვნული უშიშროების სამსახურის უფროსიც, მცირერიცხოვან მოკვდავთაგან მხოლოდ მას ჰქონდა მოგების უფლება პრეზიდენტთან დომინოს თამაშისას. აქ არც არაფერი იყო გასაკვირი, როდრიგო დე აგილარმა ხომ მარჯვენა ხელი მაშინ დაკარგა, როცა განალმვისას დინამიტი აუფეთქდა იმ ადგილას, სადაც სულ რაღაც ორიოდ წამში პრეზიდენტის კარეტას უნდა ჩაეგლო. ასე რომ, როდრიგო დე აგილარისა და პატრისიო არაგონესის წყალობით პრეზიდენტი ისე არხეინად გრძნობდა თავს, რომ საერთოდ გაუქრა თავდაცვის ინსტინქტი და ხალხშიც ხშირ-ხშირად იწყო გასვლა. ქალაქში მხოლოდ ერთი ადიუტანტის თანხლებით და ჩვეულებრივი, უღერბო, ფარდებგადანეული კარე-

ტით დადიოდა. უკვე მერამდენედ ავლებდა თვალს მოოქროსფერო ქვით ნაგებ დიდებულ ტაძარს, რომელიც მისივე დეკრეტით მსოფლიოს ულამაზეს ტაძრად იქნა გამოცხადებული, თვალს ავლებდა ძილის დროინდელ პორტალებით მორთულ აგურის ძველისძველ შენობებს, ზღვისკენ პირშექცეულ მზესუმზირებს, ათვალიერებდა ვიცე-მეფეთა კვარტალის ქუჩებს, სადაც სანთლების ნამწვის სუნი იდგა. აივნებზე ხედავდა მიხაკებისა და იაჟუ-ჟუნების ქოთნებშია ჩამჯდარ, მაქმანის ქსოვაში გართულ ფერგამკრთალ ქალიშვილებს, რომლებსაც უბინოება ეხატათ სახეზე. ბისკაიელ ქალთა მონასტრიდან ყოველდღე ზუსტად სამ საათზე მოესმოდა კლავიკორდზე შესრულებული ის სავარჯიშოები, უხსოვარ დროში კომეტის პირველი ჩავლის აღსანიშნავ ზეიმზე რომ უკრავდნენ. ერთხელაც სავაჭრო კვარტალის ბაბილონურ ხალხმრავლობაში გაერია. შმაგი მუსიკით დაყრუებული შესცქეროდა დროშებივით გამოფენილ ლატარიის ბილეთებს, გუარაპოთი¹¹ დატვირთულ ორთვალებს, იგუანას¹² კვერცხების მთას, გამოხუნებულ თურქულ ძველმანებს, ურჩობისათვის მშობლების მიერ მკაცრად დასჯილ მორიელად ქცეულ ქალს. უკაცო ქალების უზადრუკ ქუჩაზეც ჩაიარა. მოსაღამოვებულზე ეს ქალები ლამის შიშვლები გამოდიოდნენ ერთი-ორი ნაჭერი თევზის საყიდლად და მემწვანილებთან სალაყბოდ. ამასობაში კი მათი საცვლები შრებოდა რიკულებიან ხის აივნებზე. ქუჩის ბოლოში რომ გავიდა, დამპალი ნიჟარების სუნი ეცა, ვარხვების გუნდი თეთრად ანათებდა შორიდან, ცოტა იქით, ზედ ზღვის უბეში უწესრიგოდ მიმოფანტულიყვნენ ზანგების ჭრელაჭრულა ქოხმახები და აგერ ისიც, პორტი, ო, პორტი, დამპალი ფიცრებისგან შეკონინებული ნავსადგომი, იქვე ქვეითთა ძველი ჯავშნოსანი, უფრო გრძელი და უფრო პირქუში, ვიდრე სიმართლე. უცებ კარეტამ, ცოტას განყდა, ბორბლებში არ მოიყოლა მტვირთავი ზანგი ქალი. იგი განზე გახტა, რათა გზა მიეცა ის-ის იყო რატომღაც შემობრუნებული კარეტისათვის. და სწორედ ამ დროს ქალმა ბერიკაცს მოჰ-

11 შაქრის ლერწმისაგან დაყენებული ღვინო.

12 გიგანტური ხვლიკი.

კრა თვალი კარეტაში და მოეჩვენა, თავად სიკვდილი ვიხილეო. ბერიკაცი მსოფლიო სევდით სავსე თვალებით შესცქეროდა ნავსადგომს. ის არის, შესძახა აღტაცებულმა ქალმა, გაუმარჯოს მაჩოს¹³. გაუმარჯოს, გაუმარჯოს, ტავერნებიდან, სამიკიტნოებიდან დაბარებულებივით გამოცვივდნენ კაცები, ქალები, პატარა ბიჭები. ზოგმა იმარჯვა და ცხენებს აღვირში წვდა. კარეტას გარს შემოეხვივნენ, ყველანი ცდილობდნენ ხელი ჩამოერთმიათ ქვეყნის პირველი კაცისათვის. მთელი ეს აგზნებული, ატაცებული ბრბო რალაც ისე ბუნებრივად, ისე სწრაფად შეგროვდა, რომ მან ძლივს მოასწრო ადიუტანტისათვის ხელი აეკრა რევოლვერზე. რისა გეშინიათ, ლეიტენანტო, რას ერჩით ამ ხალხს, მე მათ ვუყვარვარ. ბერიკაცი მეტისმეტად ააღელვა სიყვარულის ასეთმა გამოვლინებამ. მომდევნო დღეებშიც სიხარულის ყიჟინით ხვდებოდნენ მის გამოჩენას. გენერალმა როდრიგო დე აგილერმა ძლივს დაითანხმა ქალაქში ღია კარეტით აღარ გასულიყო. რა მოხდა ასეთი, გენერალო, ჩვენი ქვეყნის პატრიოტებმა ერთხელ მაინც მიხილონ თავით ფეხებამდეო. ვერც კი მიხვდა, მხოლოდ პორტში რომ შეხვდა ხალხი ნამდვილი პატრიოტული აღტყინებით, დანარჩენი შეხვედრები კი მისივე უშიშროების სამსახურის მიერ იყო მოწყობილი მისსავე საამებლად, თანაც უსაფრთხოდ, ყოველგვარი რისკის გარეშე. თავისი შემოდგომის წინა დღეებში ისე აუჩრყა გული მის მიმართ გამოჩენილმა საყოველთაო სიყვარულმა, რომ წლობით კარჩაკეტილი ცხოვრების შემდეგ უცბად განიზრახა, დედაქალაქიდან გასულიყო და ქვეყნის შორეული კუთხეები მოენახულებინა. სასწრაფოდ გასცა ბრძანება, ჩიხიდან გამოეყვანათ ეროვნული დროშის ფერებად გადაღებილი ძველისძველი მატარებელი. მალე ეს მატარებელი კატასავით მიიზღაზნებოდა ნაღვლით დამძიმებული, უზარმაზარი სამეფოს კარნიზებზე, ორქიდეებისა და ამაზონური ბალზამინების ბუჩქებში, აფრთხობდა მაიმუნებს, სამოთხის ჩიტებს და რელსებზე მთვლემარე ლეოპარდებს. ასე გადასერა მან მთელი ქვეყანა და მიადგა მიკარგულ, დათოვლილ სოფლებს, თავის მშობლიურ მხარეს.

13 მაჩო – ძლიერი, კაცური კაცი, ნამდვილი მამაკაცი.

სადგურებზე სამგლოვიარო მუსიკით ხვდებოდნენ, ზარებიც სამგლოვიაროდ რეკდნენ, მრავლად გამოფენილ ტრანსპარანტებზე მას მოიხსენიებდნენ როგორც წმინდა სამების მარჯვნივ მჯდომ უსახელო მოციქულს. მატარებელთან ძალით მორეკილი ინდიელები ცდილობდნენ წამით მაინც შეეველოთ თვალი სამთავრობო ვაგონის იმქვეყნიურ ბინდს მიღმა ჩაყუჩული ხელისუფალისათვის, მაგრამ ვინც ვაგონთან ახლოს მისვლა და მტვრიან ფანჯარაში შეხედვა მოახერხა, მხოლოდ გაკვირვებულ, გადმოკარკულ თვალებს, მოცახცახე ტუჩებს და მისალმების ნიშნად გამოშვერილ გაურკვეველ ხელისგულს შეასწრო თვალი. ერთ-ერთი პირადი მცველი ამაოდ ცდილობდა ფანჯრიდან მის გამორიდებას. ფრთხილად, გენერალო, თქვენ სჭირდებით სამშობლოს. ნუ ღელავთ, პოლკოვნიკო, ამ ხალხს მე ვუყვარვარ. შემდეგ იგი მატარებლიდან ხის ბორბლიან სამდინარო გემზე გადაჯდა და განაგრძო გზა. ბორბლის ფრთები, თითქოს პიანინოს კლავიშებია და ვალსს უკრავსო, ფართო, ნარნარ წრეებს ტოვებდა წყლის ზედაპირზე. გემი ტაატით მიიწევდა გარდენიების მოტკბო სურნელსა და ეკვატორულ შენაკადებში ჩამპალ სალამანდრებს შორის, გვერდს უვლიდა ისტორიამდელ ხვლიკების ჩონჩხებსა და ღვთისგან მივიწყებულ კუნძულებს, სადაც სირინოზები სტუმრობდნენ მხოლოდ. ჩამავალ მზის შუქზე შორეთი ცეცხლის ალში გახვეულ დიდ, გამქრალ ქალაქებივით გიზგიზებდა. ამასობაში კი ნაპირს მომსკდარი მთელი სოფელი გაოცებული შესცქეროდა ეროვნულ დროშისფერებად გადაღებულ გემს, პრეზიდენტის კაიუტის ილუმინატორიდან მისალმების ნიშნად გამოშვერილი ხელი კი არავის დაუნახავს. სამაგიეროდ თავისი კაიუტიდან ის ხედავდა, დროშების ნაცვლად მალანგის ტოტებს რომ იქნევდა ხალხი ჰაერში. ზოგი მდინარეშიც კი შევიდა, ვინ თხას მოათრევდა, ვინ სპილოს ფეხივით ვებერთელა ნიამის ბოლქვებს, ვინ პრეზიდენტის საკადრის ქათმებით სავსე კალათას. იგი ყოველივე ამის შემხედვარე გულაჩუყებული ბუტბუტებდა ეკლესიასავით შუქმიმქრალ თავის კაიუტაში. კაპიტანო, შეხედეთ, როგორ მოგვდევენ, შეხედეთ, როგორ ვუყვარვარ ყველას. დეკემბერში, კარიბის ქვეყნებში გაზაფხულის დადგომისას, იგი თავისი კარეტი

მიემართებოდა ციცაბო კლდის თავზე წამომართული შენობისაკენ, სადაც მთელი საღამო დომინოს ეთამაშებოდა კონტინენტის სხვა ქვეყნების ყოფილ დიქტატორებს, სხვა სამშობლოების ან დამხობილ მამებს, რომლებსაც უთვალავი წლის წინათ უბოძა თავშესაფარი. ისინიც, მისი სტუმართმოყვარეობის ჩრდილქვეშ შეეყუყულნი, ნელ-ნელა ნებდებოდნენ სიბერეს. ტერასებზე ჩარიგებულ სავარძლებში ჩაფლული ცოცხალი ლემები თავს ინუგეშებდნენ, ერთ მშვენიერ დღეს ქიმერული ხომალდი უსათუოდ მოგვაკითხავს და კვლავ ხელისუფლებაში დაგვაბრუნებსო. ეს სახლი პრეზიდენტმა ზღვისპირა კლდის თავზე მაშინ ააგო, როცა სტუმრები მომრავლდნენ, თუმცა რა ერთი და რა ასი, მისთვის ყველა ერთი იყო. ერთ დღეს მაინც დილაუთენია ბევრი მოადგა სასახლეს. საპარადო მუნდირები სიჩქარეში პირდაპირ საშინაო პიჟამოებზე ჩაეცვათ, თან წამოეღოთ ხაზინიდან მოპარული ფული და ორდენებით, გაზეთებიდან ამონაჭრებითა და სურათებით გაძეგილი ჩანთები. მასპინძელს პირველსავე აუდენციაზე უჩვენებდნენ სურათებს, როგორც რწმუნების სიგელს. აი, ნახეთ, გენერალო, აქ ჯერ ისევ ლეიტენანტის ჩინი მაქვს. ეს სურათი პრეზიდენტად არჩევის დღეს გადამიღეს, ეს კი ჩემი პრეზიდენტობის მეთექვსმეტე წლისთავზეა გადაღებულიო. აი, ეს ნახეთ, გენერალო. მაგრამ გენერალმა მოსულებს პოლიტიკური თავშესაფარი ისე უბოძა, სულაც არ დაინტერესებულა არც მათი წარმომავლობითა და არც მათი რწმუნების სიგელებით. ერთადერთი საბუთი, რომელსაც შეუძლია დამხობილი პრეზიდენტის პიროვნება დამიდასტუროს, გარდაცვალების ცნობა გახლავთო, ამბობდა ის და გაბეზრებული ისმენდა მათ უაზრო ლაქლაქს, დროებით გესტუმრეთ, ჩემო გენერალო, სულ ცოტა ხნით, ვიდრე ჩემი ხალხი კვლავ მიხმობსო. მაგრამ მასპინძელმა მშვენივრად იცოდა, ეს იყო პოლიტიკური თავშესაფრის მისაღებად საჭირო გაცვეთილი ფორმულა, რახარუხა სიტყვები და მეტი არაფერი. ყველა ერთნაირად რატრატებს, პირველად მოსულიც და ბოლოს მოსულიც, დამხობილიც და დამამხობელიც. ამ უტყვინოებს ლობიოს ჭამა ეგონათ პოლიტიკოსობა, ის კი არ იცოდნენ, თუ დაეცი, მორჩა, გათავებულია შენი საქმე, ახლა კი თავს იტყუებენ სულე-

ლური ილუზიებით. ახალმოსულებს პირველი ორი-სამი თვე თავის სასახლეში აბინავებდა და მანამ ეთამაშებოდა დომინოს, სანამ ბოლო სენტავოს არ წაგლეჯდა. ჯიბე რომ გამომიფხიკა, ჩემო ბატონო, მერე ზღვისკენ გაჭრილ ფანჯარასთან ხელკავით მიმიყვანა და გამიბა გულითადი საუბარი, ისაო, ეს ცხოვრება ხანმოკლეაო. ერთი ბოლო აქვსო, მაგრამ რაკი კაცის გული გაუ-
 მადლარია, ხომ ხედავთ აგერ იმ დიდ სახლს ზედ კლდის თავზე, ტრანსატლანტიკურ გემს რომ ჰგავს, მთის წვერზე შერჩენილს, იქაო თქვენ გელოდებთ ნათელი კაიუტა, გემრიელი კერძები და უამრავი თავისუფალი დრო, რათა თქვენსავით ბედკრულ ადამიანებთან ერთად დაისვენოთ მშვენიერ ტერასაზე, რომელიც პირდაპირ ზღვას გადასცქერისო. დეკემბერში, საღამოობით მასაც უყვარდა ტერასაზე გასვლა, მაგრამ ამ იმპოტენტებთან მაინცდამაინც დომინოს სათამაშოდ კი არა, უბრალოდ, სურდა ამ დამყაყებულებს, ბეხლენი ადამიანების დანახვაზე განეცადა იდუმალი სიხარული და უპირატესობა იმის გამო, რომ თვითონ ერთ-ერთი ამათგანი არ იყო. ამიტომაც გადაწყვიტა, კვლავ ბოლომდე გამოენურა ცხოვრება, ტკბილი ოცნებები სინამდვილედ ექცია და ცოდვილი სურვილები დაეკმაყოფილებინა, ამიტომაც ეძებდა დამყოლ მულატ ქალებს, დილაუთენია რომ იწყებდნენ ოთახების დაგვა-დალაგებას, ეძებდა და ადვილადაც პოულობდა თმის საცხისა და საერთო საძინებელი ოთახის საძაგელი სუნის წყალობით. ჩაუსაფრდებოდა რომელიმე მათგანს, სადმე კარს უკან მიიმწყვდევედა და ისე დაჩინჩლავდა, როგორც მამალი დედალს, თან სიბნელეში ესმოდა ქალის კრიახი, ეს რა ყოჩალი ყოფილხარ, ჩემო გენერალო, ამ ხნისა და ასეთი ყოჩალი, საკვირველია პირდაპირ. მაგრამ არც ეს წამიერი სიყვარული ამშვიდებდა, პირიქით, სევდით ევსებოდა გული და მის გასაქარვებლად სადღაც მოფარებულში მიყუჟული მღეროდა, იანვრის შუქმფინარე მთვარევე, შენს სარკმელთან, როგორც ეშაფოტზე, ვდგავარ სევდიანი. ისე სჯეროდა, ხალხს ვუყვარვარო, რომ გაზაფხულობით თავის ჰამაკს დედამისის ბენდისიონ ალვარადოს

სახლის ეზოში ჰკიდებდა და ტამარინდების¹⁴ ჩრდილში ატარებდა სიესტებს პირადი დაცვის გარეშე. ესიზმრებოდა საძინებელი ოთახის კედლებისფერ წყალში უთავბოლოდ მორიალე თევზები. სამშობლო ყველაზე კარგი გამოგონებაა, დედა, ოხრავდა იგი, თუმცა ნაკლებად ელოდებოდა მის პასუხს. დედა იყო ერთადერთი ადამიანი, ვისაც შეეძლო პირში მიეხალა მისთვის, ილლიაში საძაგელი სუნი აგდისო. სიესტის მერე იგი სახლში ბრუნდებოდა დამშვიდებული და მთელი ქვეყნის მიმართ კეთილად განწყობილი. ბრუნდებოდა კარიბული გაზაფხულისა და ბალბების სურნელით მთვრალი. ასეთ ნუთებში იგი მზად იყო შერიგებოდა პაპის ნუნცს და ასეც აკეთებდა. ნუნციც სალამოობით არაოფიციალურად სტუმრობდა მას, ფინჯან შოკოლადსა და ნამცხვარს მიირთმევდა, თან ცდილობდა სულიერი საუბრით კვლავ ქრისტეს სარწმუნოებისკენ მოექცია მასპინძელი, ის კი სიცილით კვდებოდა, თუ ასეთი ყოვლისშემძლეა ეგ თქვენი ღმერთი, თხოვეთ ჩემ მაგიერ, მომამოროს ის ქრიჭინა, ყურში რომ მყავს შემძვრალიო. მერე ცხრა ღილზე გაკრულ ხვანჯარსაც იხსნიდა, გადმოულაგებდა თავის უზარმაზარ თიაქარს და ეუბნებოდა, უთხარით თქვენს ღმერთს, ეს ქმნილება დამიჩუტოსო. მაგრამ პაპის ნუნცი თავისაზე იდგა, ამქვეყნად ყოველივე ღვთის ნებააო. ის კი კვლავ იცინოდა, ტყუილად ირჯებით, მამაო, ნეტავ რალად უნდა მომაქციოთ, ისედაც იმას ვაკეთებ, რაც თქვენა გსურთ, და ასე სიცილ-სიცილსა და საუბარში ათენდებოდათ თავზე და მასპინძელიც კარამდე აცილებდა თავის სტუმარს. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მის უშფოთველობას მოულოდნელად მოელო ბოლო და ეს მოხდა პარამოს¹⁵ ერთ სოფელში, მამლების ბრძოლისას. ერთმა ღონიერმა, გაშმაგებულმა მამალმა ასევე გაშმაგებული და აზარტში შესული მაყურებლის თვალწინ თავის მეტოქეს თავი წააცალა და ვიდრე მთვრალი მუსიკოსები ტუმს აგრილებდნენ გამარჯვებულის საპატივცემულოდ, იქამდე კორტნა, ვიდრე მთლად არ შემოეჭამა. პრეზიდენტს გულმა რეჩხი უყო, ნამდვილად მიმანიშ-

14 ინდური ფინიკი.

15 ცივი, მაღალმთიანი მხარე სამხრეთ ამერიკაში.

ნეს, შენც ასეთი დღე გელისო. ეს ისე ამკარად იგრძნო, რომ თავის მხლებელს ჩუმად უბრძანა, ბუკს რომ უკრავს, ის კაცი დააპატიმრეთო. მუსიკოსს იარაღიც აღმოაჩნდა და იქამდე ანამეს, ვიდრე არ აღიარა, როცა ხალხის გასასვლელისკენ გაემართებოდა, დრო უნდა მეხელთა და პრეზიდენტი მომეკლაო. მაშინვე მივხვდი, თქვა პრეზიდენტმა, მივხვდი, ჩემთვის რომ უნდა ესროლა, ყველას თვალებში შევცქეროდი, ყველა თვალებში შემომცქეროდა, ეგ კი თვალებს ვერ მისწორებდა, ერთხელაც არ შემოუხედავს ჩემთვის, რა ეგონა მაგ საცოდავ რქიან რქაზე დამკვრელს, ვერ შევამჩნევდი თუ რა. მაგრამ პრეზიდენტი ძალიან კარგად ხვდებოდა, ამით რომ არ დამთავრდებოდა მისი შფოთი და შიში, სასახლეშიც კი ვერ გრძნობდა თავს მშვიდად და უშიშრად. ყველაფერი წესრიგშია, ჩემო გენერალო, არავითარი საფუძველი არ არსებობს შიშისაო, გულდაჯერებით არწმუნებდა უშიშროების სამსახურის წარმომადგენელი, მაგრამ პრეზიდენტს იმ ზომამდე აწვალებდა მამლების ბრძოლის დროს გაჩენილი წინათგრძნობა, რომ ცოტას განწყდა, ადგილი არ გაუცვალა პატრიხიო არაგონესს. თავის კერძს აჭმევდა, თაფლს თავისი კოვზით სთავაზობდა, თუ მოწამლულია, ბოლოს და ბოლოს ორივენი მოკვდებით და ეგ იქნებაო, თავს იმშვიდებდა აფორიაქებული. ორივენი მდედარდადეგებულებივით დაბორილობდნენ მივინყებულ, ცარიელ ოთახებში, ცდილობდნენ მხოლოდ ხალიჩებზე ევლოთ, ვერავინ გაიგონოს ჩვენი ნაბიჯების, სპილოს ნაბიჯების ხმაო. ერთად დაცურავდნენ დარბაზებში ფანჯრებიდან შემოღვრილ მწვანე შუქში, რომელიც ყოველ ნახევარ წუთში ინთებოდა სადღაც შორს, უსასრულობაში. შუქთან ერთად ფანჯრებიდან აღწევდა დამწვარი ნაკელის კვამლი და მიძინებულ ზღვაში ღამეული გემების ნაღვლიანი გუგუნი. უმაქნის, უძლურ საყვარლებივით სექტემბრის მომთენთავ დღეებს მერცხლების დათვლაშიც ატარებდნენ. მთელ ქვეყნიერებას მოწყვეტილ პრეზიდენტს აზრადაც არ მოსდიოდა, რომ მისი ყოველგვარი ცდა, ერთდროულად ყოფილიყო ყველგან, აქაც და იქაც, ხალხში ეჭვს ბადებდა, არსებობს კი იგი საერთოდ, იქნებ სულაც ლეთარგიულ ძილშია ჩაძირულიო. და თუმცა პირადი დაცვა გაუძლიერეს, თუმცა სა-

სახლეში აგრე იოლად ვერც ვერავინ შევიდოდა და ვერც ვერავინ გამოვიდოდა, ამბობდნენ, თითქოს ვილაცამ მაინც მოახერხა სასახლეში შეღწევა. მკვდარი ჩიტებით სავსე გალიები უნახავს, ძროხებიც უნახავს თურმე, პირდაპირ წმინდა ემბაზიდან სვამდნენ წყალს, უნახავს ვარდის ბუჩქებში მიძინებული კეთროვნები და ხეიბრები. რაკი ხალხში ხმა დაირხა, ჩვენი ხელისუფალი ზუსტად ისე მომკვდარა, როგორც დიდი ხნის წინათ ერთმა ნათელმხილველმა ამოუკითხა წყლიან თასში, ძილში გაიპარებო, ქვეყანამ ისე განაბა სული, თითქოს შუადღის მერე კვლავ დილის მობრუნების მომსწრენი უნდა გამხდარიყვნენ, მაგრამ იმასაც ამბობდნენ, მაღალჩინოსნები არ ჩქარობენ მისი სიკვდილის გამოცხადებას, რადგან ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაერივნენო. ის კი თუმცა არად აგდებდა ამ ხმებს, მაინც გრძნობდა, რომ მის ცხოვრებაში სულ მალე რაღაც მნიშვნელოვანი უნდა მომხდარიყო. უჯდა დომინოს დაუმთავრებელ პარტიას და საცოდავ გენერალ როდრიგო დე აგილარს ტვინს უბურღავდა შეკითხვებით, როგორ არის საქმეები, მეგობარო, აგილარი კი პასუხობდა, ყველაფერი ჩვენს კონტროლს ექვემდებარება, ჩემო გენერალო, სამშობლოში სიმშვიდეაო, მაგრამ პრეზიდენტს წინათგრძნობა არ ასვენებდა, ავის მომასწავებელ ნიშნებს ხედავდა ნაკელით დანთებულ ნალვლიან ცეცხლის ენებშიც კი. ძველ, ჩალუსკუმებულ ქაში იხედებოდა, იქნებ მის ფსკერზე ამოვიკითხო ჩემი ბედილბალიო, მაგრამ ამაოდ, ვერაფერს ხედავდა და გარბოდა დედასთან, ბენდისიონ ალვარადოსთან, რათა იქ, ეზოში ტამარინდების ჩრდილში სული მოეთქვა სიცხისაგან შეწუხებულს. დედამისი, ბებრუხანა, მაგრამ სულით ძლიერი ქალი, შვილის გვერდით იჯდა თავის ძველ სარწვეველა სავარძელში და სიმინდს მუჭა-მუჭა უყრიდა აქოთქოთებულ ქათმებსა და ფარშავანგებს. თეთრ ჩალის სავარძელში ჩაფლული პრეზიდენტი მარათი ინიავებდა დასიცხულ სახეს და სევდიანი, მშიერი თვალებით შესცქეროდა ჯიშთან მულატ ქალებს, რომლებიც მონინებით სთავაზობდნენ შეფერადებულ ხილის წვენებს, მიირთვით, გაგრილდით, ჩემო გენერალო. ის კი შესცქეროდა მათ, ოხრავდა და ფიქრებში დედას შესჩიოდა, დედაჩემო ბენდისიონ ალვარადო რომ იცოდე რა უძ-

ლური ვარ ქვეყანას ველარ ვუვლი დავილალე მინდა მოვშორდე აქაურობას ამ წვალებას მაგრამ სად წავიდე არ ვიცი. დედა ვერ ხვდებოდა შვილის ოხვრისა და ხვაშიადის ნამდვილ მიზეზს, ეგონა, ამ ქალების გამო ოხრავდა მისი შვილი, ის კი შელამებულზე გულდამძიმებული ბრუნდებოდა სასახლეში, სამარქაფო კარით შედიოდა დერეფანში, იქიდან კი ფეხაკრეფით მიიპარებოდა თავის ოთახისკენ, თან ყარაულების ფეხის ხმას აყურადებდა. პატრონს მოჰკრავდნენ თუ არა თვალს, ყარაულები ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს, ყველაფერი წესრიგშია, ჩემო გენერალო, სრული სიმშვიდეაო. მაგრამ მან იცოდა, როგორც ყოველთვის, ახლაც ატყუებდნენ, იცოდა, არაფერი იყო მართალი ამ კრიზისულ დროში, სახელი და დიდება აღარაფრად უღირდა, განსაკუთრებით იმ ავბედითი მამლების ბრძოლის შემდეგ აღარ სურდა ხელისუფლობა. ღამით იატაკზე პირქვე დაგდებულს, უძილობისგან ილაჯგანწყვეტილს დოლების შორეული ბრავაბრუგი და სტვირის ხმა ესმოდა. სადღაც ღარიბულ ქორწილზე მხიარულებას მისცემოდა ხალხი, მისი სიკვდილის დღესაც ალბათ ასე იმხიარულებენ. ესმოდა ღამის ორ საათზე კაპიტნის უნებართვოდ ზღვაში გასული რომელიღაც საეჭვო გემის ძილისპირულივით გუგუნნი, ესმოდა, რა შარიშურით იშლებოდნენ ვარდის კოკრები განთიადის შესაგებებლად. ეს ყოველივე ესმოდა და ოფლად იღვრებოდა, სული ეხუთებოდა, რადგან პირველყოფილი ინსტინქტი წამითაც არ ასვენებდა, იმ საღამოს მოახლოებას უწინასწარმეტყველებდა, ერთხელ დედასთან სტუმრობის შემდეგ სასახლეში რომ ბრუნდებოდა და გზად ხალხის ბრბოს გადააწყდა. ფანჯრები ზოგან პირთამდე გაეღოთ, ზოგან ჩქარ-ჩქარა კეტავდნენ. ამ უჩვეულო გამოცოცხლებით შემკრთალი მერცხლები ერთმანეთს აწყდებოდნენ დეკემბრის გამჭვირვალე ლურჯ ცაში. სასწრაფოდ გადასწია კარეტის ფარდა, რათა უკეთ დაენახა, რა ხდებოდა ქუჩებში. აი, რა მტანჯავდა, დედა, აი, რა არ მასვენებდა. რალაცნაირი ველური შვევა იგრძნო ფერადი ბუშტების დანახვაზე, წითელი, მწვანე, ყვითელი ბუშტები ბროლივით ბზინავდნენ დღის ოთხი საათის შუქიან ცაზე. ბუშტები დაფეთებულ მერცხლების გუნდს შეერივნენ და ყველა ერთბაშად

დასკდა უხმაუროდ. დასკდა და ჰაერშიც ბზრიალ-ბზრიალით ნამოვიდა ათასობით ფურცელი და ქალაქს დაეფინა ქარიშხლიან ამინდში ჩამოცვენილი ფოთლებივით. მეეტლემ დრო იხელთა და როგორც იქნა ბრბოს თავი დააღწია. არადა, არც არავის მიუქცევია ყურადღება ამ კარეცისათვის. ვერავინ იცნო პრეზიდენტის კარეტა. საამისოდ არავის ეცალა. უნდა გენახათ, ჩემო გენერალო, რა ზედახორა იდგა, ხალხი პირდაპირ ჰაერშივე იჭერდა საჰაერო ბუშტებიდან გამოცვენილ პროკლამაციებს. აივნებზე ხმამალა კითხულობდნენ, ქუჩებში კი გაჰყვიროდნენ, ძირს ტირანია, სიკვდილი ტირანს. გაუმარჯოს ყოველთა ერთობას საუკუნოვანი დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, კმარა სისხლი, კმარა ნგრევაო. სასახლეში დაბრუნებულს ცუდი ამბავი დაახვედრეს, გენერალი პატრისიო არაგონესი მონამლული ისრით დაჭრეს და კვდებო. ორიოდე წლის წინ ერთ ნაღვლიან საღამოს მან პატრისიო არაგონესს შესთავაზა, მოდი, ჩვენი სიცოცხლე კარასა და სელიოზე¹⁶ გავათამაშოთო, თუ მონეტა კარაზე დაჯდება, შენ მოკვდები, თუ სელიოზე, მეო. მაგრამ პატრისიო არაგონესმა შეახსენა, თქვენი პროფილი, ჩემო გენერალო, მონეტის ორივე მხარეს არის გამოსახული და რა აზრი აქვს კარა-სელიოსო. მაშინ დომინო ვითამაშოთ ნიძლაგზე, ოცი პარტიიდან ვინც მეტს მოიგებს, ცოცხალიც ის დარჩესო. თანახმა ვარ, ჩემო გენერალო, ოღონდ ერთი პირობით, უფლება მომეცით, მოგიგოთო. ეს უფლება პატრისიომ მიიღო და თამაშიც დაიწყო. გათამაშდა ერთი, ორი, ოცი პარტია და ოცივე პატრისიო არაგონესმა მოიგო სასტიკი, ხელჩართულ ბრძოლაში. თუ აქამდე პარტიას პარტიაზე აგებდა, ახლა, რაკილა მოგების უფლება დართეს, ოცივე მოიგო. პატრისიო არაგონესმა სახეზე მომსკდარი ოფლი სახელოთი მოინმინდა და ხვნეშით თქვა, ვნუხვარ, ჩემო გენერალო, რომ მოგიგეთ, მაგრამ რა ვქნა, სიკვდილი არ მინდა. მაშინ მან თავი მოუყარა დომინოს ქვებს, გულმოდგინედ ჩაალაგა ხის პატარა ყუთში და თითქოს გაკვეთილს ხსნისო, სკოლის მასწავლებლივით წამლერებით თქვა, არც მე მინდა, ჩემო პატრისიო, სიკვდი-

16 იგივეა, რაც Орел и Решка.

ლი, მით უმეტეს, დომინოს მაგიდაზე. სიკვდილმა იცის, როდის და სად მომაკითხოს. ჯერ კიდევ ჩემი ეპოქის დასაწყისში ერთმა ნათელმხილველმა აკი მიწინასწარმეტყველა, ძილში გაიპარებო, და საერთოდაც, დედაჩემმა ბენდისიონ ალვარადომ იმიტომ კი არ გამაჩინა ამ ქვეყანაზე, რომ მთელი ცხოვრება იმაზე ვიჭყლიტო ტვინი, იმ ნათელმხილველმა ქალმა ნეტავ რა ამომიკითხა წყლით სავსე თასში-თქო, არამედ იმიტომ, რომ ვმბრძანებლობდე. შენ კი კარგად დაიმახსოვრე, მე მე ვარ და არა შენ და ღმერთს მადლობა უთხარი, რომ ხუმრობით დაგენიძლავე. რა იცოდა მაშინ, რომ ეს სულაც არ იყო ხუმრობა, რომ სულ მალე მათ შორის ერთ-ერთს მართლა მოუწევდა სიკვდილი და აი, ეს დღეც დადგა, პატრისიო არაგონესი კვდებოდა. ოთახში შესვლისას პრეზიდენტი რომაელივით ხელანევით მიესალმა თავის ორეულს, ღმერთი იყოს შენი შემწე, მაჩო, დიდი პატივია სამშობლოსათვის სიკვდილი. ვიდრე მომაკვდავი აგონიაში იყო, არ მოშორებია მის საწოლს, საკუთარი ხელით ასმევდა საძაგელ ნამლებს, პატრისიო არაგონესიც იფერებდა ამ პატივს. იოტისოდენა მადლიერებასაც არ ამჟღავნებდა. ერთხელაც, ის იყო გადაყლაპა კოვზით მიწოდებული ნამალი, რომ მოხსნა გუდას პირი და რაც ჰქონდა სათქმელი, უკლებლივ გადმოალაგა. დიდი ხნით როდი გტოვებთ, ჩემო გენერალო, ამ ბინძურ ქვეყანაში, გული მეუბნება, მალე შევხვდებით ერთმანეთს იმქვეყნიურ ქვესკნელში, მე შხამით დაგრეხილ-დაკვანძული, თქვენ საკუთარი თავით ხელში. უკვე გხედავთ კიდევ, რა უხერხულად გიჭირავთ საკუთარი თავი, არ იცით სად წაიღოთ, სად მიიწებოთ. მაპატიეთ გულახდილობა, ჩემო გენერალო, მე ახლა სიკვდილის პირას ვარ და რასაც ვამბობ, სიმართლეს ვამბობ, არასოდეს მყვარებინართ, ჩემო გენერალო. რატომღაც თქვენ ჩაიბეჭდეთ თავში, რომ მიყვარდით, არადა, ყოველთვის მძულდით. მძულდით იმ დღიდან, რა დღიდანაც დამაკარგვინეთ თავისუფლება. იმ დღიდან ყოველთვის ვნატრობდი თქვენს სიკვდილს, სულერთი იყო, როგორ მოკვდებოდით, უცბად თუ ტანჯვით, ოღონდ მომკვდარიყავით, ოღონდ თქვენი სიცოცხლე ჩემი დამახინჯებული სიცოცხლის სამსხვერპლოზე მიგეტანათ. რალას არ მიკეთებდნენ, თქვენ რომ სრულად

დაგმსგავსებოდათ, ხის ჩაქუჩს იქამდე მიბაგუნებდნენ ფეხის გულზე, ვიდრე თქვენსავით ბრტყელტერფა არ გამხადეს, ვიდრე თქვენსავით მთვარეულივით სიარულს არ მიმაჩვიეს, საკვერცხეები სადგისით გამიხვრიტეს, თქვენსავით თიაქარი რომ ჩამომსიებოდა. მაიძულეს სკიპიდარი დამელია, რათა მარტო წერაკითხვა კი არა, თუ რამ ვიცოდი, ყველაფერი დამვიწყნოდა და თქვენსავით ბნელი და უვიცი გავმხდარიყავი. საცოდავმა დედაჩემმა კი რა არ იღონა, ჩემთვის განათლება რომ მოეცა. პირადად თქვენ მაიძულებდით შემესრულებინა თქვენი ოფიციალური მოვალეობები არა იმიტომ, რომ არ გეცალათ და სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქვეყნო საქმეები გქონდათ გასაკეთებელი, როგორც გჩვეოდათ ხოლმე თქმა, არამედ იმიტომ, რომ გემინოდათ ქუჩაში გასვლა. ისე, კაცმა რომ თქვას, ყველაზე გულოვან ვაჟკაცსაც შეემინდებოდა, მისთვის რომ სილამაზის კონკურსზე წასვლა და რომელიმე გამარჯვებული ბოზისთვის თავზე დედოფლის გვირგვინის დადგმა დაევალებინათ. მე კი მივდიოდი, თუმცა ყოველ კუთხე-კუნჭულში სიკვდილი იყო ჩასაფრებული. სმენად ქცეული პრეზიდენტი მონოლილ რისხვას ძლივს იკავებდა, პატრისიო არაგონესის თავხედობასა და უტიფრობაზე მეტად მისი უმადურობა აცოფებდა. და ამას შენ მეუბნები, შენ, ვისაც აქ მეფესავით გაცხოვრებდი, ვისაც ყველაფერი მოგეცი, საკუთარი ქალებიც კი დაგიტოვე. მოეშვით ამ ქალებზე ლაპარაკს, ჩემო გენერალო, სჯობს საერთოდ არ გქონდეს კაცობა, ვიდრე ამ საცოდავ ქალებს ეძგერო და დასადაღავი პირუტყვივით წამოაქციო. პირუტყვი ხტის და ზმუის მაინცა, ესენი კი ვითომც არაფერიო, მოგიშვერენ გაძვალტყავებულ უკანალს, თან კარტოფილს ფცქენიან ან მეზობელ ქალს გასძახიან, ცეცხლზე ბრინჯის ფაფა მიდგას და ვიდრე ამ საქმეს მოვათავებდე, მიმიხედე, არ მიმენვასო. მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ამას სიყვარული დაარქვათ. თქვენ რა იცით, რა არის სიყვარული. მაშინ კი მართლა გაცეცხლდა პრეზიდენტი. გაჩუმდი, თორემ არ ვიცი რას გიზამ. ვერაფერსაც ვერ მიზამთ, ჩემო გენერალო. მომკლავთ, მე ხომ უკვე მომკლეს. სჯობს დაფიქრდეთ და სიმართლეს თვალებში შეხედოთ, გაიგოთ ის, რასაც ყველა ფიქრობს, თქმით კი მხოლოდ იმას გეუბნებიან,

რისი მოსმენაც თქვენ გსურთ, პირში გელაქუცებიან, ზურგში კი ტყვიას გიმიზნებენ. მადლობა მე უნდა მითხრათ სიმართლის თქმისთვის, ჩემო გენერალო, ერთადერთი კაცი ვარ, ვისაც თქვენ ებრალებით. არც არის გასაკვირი, მე ხომ თქვენი ორეული ვარ, თქვენი ალი და კვალი, ამიტომ მოვალეც ვარ წვრილად მოგახსენოთ ყველაფერი, რასაც მთელი ქვეყანა ლაპარაკობს. ეგ არ არისო კანონიერი პრეზიდენტი, ეგა ინგლისელებმა დასვეს პრეზიდენტის სავარძელშიო, მერე გრინგოებიც წაეხმარნენ თავიანთი ჯავშნოსნებიდან შიგადაშიგ გამოტყორცნილი კვერცხებითო. მე ხომ ვხედავდი, შიშით თავგზაარეული ხოჭოსავით როგორ წრიალებდით, როგორ ეხეთქებოდით აქეთ-იქით. ერთხელაც გრინგოებმა შემოგითვალეს, მივდივართ, გტოვებთ ამ შენს ბინძურ ბორდელში, ვნახავთ, უჩვენოდ რისი გამკეთებელი ხარო. და თუ მაშინ არ გადმობრძანდით მაგ სავარძლიდან და არც ახლა აპირებთ გადმობრძანებას, იმიტომ კი არა, რომ არ გინდათ, ძალიანაც კარგად გინდათ, მაგრამ გეშინიათ, იცით, ქუჩაში რომ გამოჩნდეთ ჩვეულებრივი მოკვდავივით, ადამიანები ძალღებავით დაგესევიან და დაგგლეჯენ სანტა მარია დელ ალტარში გამართული ხოცვა-ჟლეტისთვის, პატიმრები ცოცხლები რომ ჩაუყარეთ ნიანგებს წყლით სავსე ორმოში, იმისათვის, ადამიანებს ცოცხლად რომ გააძვრეთ ტყავი და მერე ამ უბედურთა ოჯახებს დაუგზავნეთ, აქაოდა, ვინც ჭკუით არ იქნება, ყველას ასე მოუვაო, იმისათვის. პატრისიო არაგონესმა დაგუბებულ ბოლმას გზამისცა, მოგონებათა უძირო ჭიდან ქაჩა და ქაჩა საზარელი ამბების კრიალოსანი და ისე მარცვლავდა, თითქოს სათითაოდ აღუვლენდა ლოცვას კაციჭამია რეჟიმის მსხვერპლთ. უცებ გაჩუმდა, ძლიერმა ტკივილმა შეურყია გულ-მუცელი, გულისცემა თითქოს შეუჩერდაო, მაგრამ მალე დაუბრუნდა ცნობიერება. ჩემო გენერალო, ნუ გაუშვებთ ამ შანსს ხელიდან, მოკვდით ჩემთან ერთად, თქვენთვის ახლა ყველაზე დიდი ხსნა სიკვდილია, მე ხომ ვიცი, მე ხომ თქვენა ვარ, თუმცა ღმერთია მოწამე, არც არასოდეს მინატრია, პატარა სურვილიც არ მქონია დიდების მოხვეჭისა, გმირად გახდომისა, მოხდა კი პირიქით, მე ხომ ვიცი, რა ცხოვრებაც გაქვთ, ჩემი ცხოვრება კიდევ რაღაცას ჰგავს, მთლად

არ წავმხდარვარ, რადგან, მიუხედავად ყველაფრისა, სულის სიღრმეში მე მაინც იმ უბრალო მინის მბერავად დავრჩი, თავის მამასთან ერთად ბოთლებს რომ აკეთებდა. ნუ გეშინიათ, ჩემო გენერალო, სიკვდილი არც ისე ძნელი ყოფილა, როგორც ამბობენ. პატრისიო არაგონესმა ეს სიტყვები ისე დამაჯერებლად, ისე გულახდილად წარმოთქვა, პრეზიდენტი არც გაბრაზებულა, არც შედავებია, კვლავ მასთან დარჩა, სიკვდილის კლანჭებში მბორგავს ხელს აშველებდა, სანოლიდან არ გადმოვარდესო. უცებ ტკივილისა და სირცხვილისაგან აბლავლებულმა პატრისიო არაგონესმა ორივე ხელი წაივლო მუცელზე, ღმერთო ჩემო, ჩემო გენერალო, ჩავ...ვი. პრეზიდენტმა გაიფიქრა, ალბათ გადაკრულად მიმანიშნებს, სიკვდილის წინაშე შიშს ვაღიარებო, მაგრამ პატრისიო არაგონესი თითქოს მიუხვდაო, შებლავლა, გადაკრულად კი არა, მართლა ჩა...ვიო. მაშინ კი შეუძახა პრეზიდენტმა, გემუდარები, მაგას ნუ იზამ, ცოტაც მოითმინე, სამშობლოს გენერლები ასე არ კვდებიანო, მაგრამ უკვე გვიან იყო. პატრიოტული გრძნობებისგან და კუჭისგანაც დაცლილი არაგონესი საკუთარ ცრემლსა და განავალში ამოქვარქნილი უსულოდ დაასკდა იატაკს. პრეზიდენტმა იქვე, სხდომათა დარბაზის გვერდით ოთახში საკუთარი ხელით განბანა მიცვალებული, ლამის მთელი საპონი შეაღია, რათა ჩამოერეცხა მისთვის სამარცხვინო სიკვდილის სუნი. ტანსაცმელი გაიძრო და მიცვალებულს ჩააცვა, ბანდაჟი, ჩექმა და მარცხენა ქუსლზე ოქროს დეზის მიმაგრებაც არ დავიწყნია. თავად დედიშობილად დარჩენილს მწუხარება აღბეჭდვოდა სახეზე. ამიერიდან სრული მარტოობა ელოდა, მასავით მარტოსული აღარავინ ეგულებოდა მთელს ქვეყანაზე. ეს კია, დაბნევით არ დაბნეულა, საგულდაგულოდ მოასუფთავა იქაურობა, თან ცდილობდა გაეხსენებინა შორეულ წარსულში მისთვის ნაწინასწარმეტყველი სიკვდილის ყოველი წვრილმანი, რათა იმის მიხედვით დაეწვინა მიცვალებული. სიკვდილი დაძინებულს გენგევაო, უნიშნო უნიფორმა გეცმევაო, პირქვე დაწოლილს ხელი ბალიშით გექნება სახის ქვეშ დადებულიო, ერთი სიტყვით, დამლაგებელი ქალი რომ შემოვა და მიცვალებულს დახედავს, იტყვის, ჩვენი პრეზიდენტი ძილში გაპარულა, როგორც

მკითხავმა უთხრაო. რაკი მან ადრეც, წლების წინათაც გაითამაშა სიკვდილი, რეჟიმის მემკვიდრეებს ამჯერადაც არ გაუხმაურებიათ მაშინვე ეს სამწუხარო ამბავი, რალაცას ელოდნენ, რალაცას საიდუმლოდ იძიებდნენ, ერთი-ორჯერ ისიც კი თქვეს, არ მომკვდარაო და ამის დასტურად დედამისს, ბენდისიონ ალვარადოს პირდაპირ სავაჭრო ცენტრში უხმეს, აქაოდა, ხომ ხედავთ, ხალხნო, დედამისს შავები არ აცვია, მასასადამე, პრეზიდენტი ცოცხალიაო. ტიკინასავით ჭრელაჭრულებში გამომანყვეს, სენიორ, ძალით მაყიდვინეს თუთიყუშის ფრთებით განყობილი ქუდი და ძალითვე დამაკოსეს თავზე, ყველამ დაინახოს, რა ბედნიერი ხართო. მე მათ ვეუბნები, რა დროს მალაზიებში სირბილია, ის მიცვალებული მართლა ჩემი შვილია და მათირეთ-მეთქი, მაგრამ რას ამბობთო, აბა, გაილიმეთო და მილებდნენ და მილებდნენ სურათებს, თანაც სამხედროები მარწმუნებდნენ, სამშობლოს ასე სჭირდებაო. ამ დროს კი ის თავად დედიშობილა იჯდა თავის სამალავში და უკვირდა, ჩემი სიკვდილის მერე რატომ არაფერი შეიცვალა ქვეყანაზეო. ვითომ არც მოვმკვდარვარ. მზე ისევ ამოდის და ჩადის ძველებურადო. კვირა რატომ არის ისევ კვირა, იქნებ შენ მითხრა დედა, რატომ ცხელა ისე როგორც ჩემს სიცოცხლეში ცხელოდაო. ასეთ საგონებელში იყო ჩავარდნილი, რომ უცებ პორტის ციხესიმაგრეიდან ქვემეხის გასროლამ შეარხია ჰაერი, მას მოჰყვა ეკლესიის ზარების სამგლოვიარო გუგუნი და მალე სასახლესაც მიანყდა ბრბო, რომელიც ამ იშვიათ, საგანგებო ამბავს ერთიანად გამოეფხიზლებინა საუკუნოვანი მარაზმული ძილიდან. მან ოდნავ გამოალო თავისი სამალავის კარი და დაინახა სხდომათა დარბაზში დასვენებული ანთებულ სანთლებში ჩაფლული საკუთარი გვამი. საცოდავი ისე მოერთოთ და მოეკაზმათ, ნებისმიერი ქრისტიანი პაპი რომ ინატრებდა. სადღა იყო მამაცი სამხედრო ჩინოსანი. შესცქეროდა მიცვალებულის პუდრშეფრქვეულ სახეს, შელებილ ტუჩებს, მედლებითა და ორდენებით დაჯავშნულ მკერდზე დასვენებულ ნებიერი ქალიშვილის სიფრიფანა ხელებს, ქვეყნიერების უპირველესი გენერლისთვის საგანგებოდ შეკერილ მუნდირს, მის სამხრეებზე აბრჭყვიალებულ ათობით მზეს, იქვე დასვენებულ ხმალს, ბანქოს მეფის ხმა-

ლივით უმაქნისსა და უბადრუკს და ლამის გული გასკდომოდა სირცხვილისა და სიბრაზისაგან. სწორედ ეს ხმალი ამცრობდა და სიდიადეს უკარგავდა მისი უსაზღვრო ძალაუფლების ყველა სიმბოლოს და აფერმკრთალებდა სამგლოვიარო ცერემონიალს, მისთვის მიგებულ მხედრულ პატივს. არადა, ეს ხმალი სწორედაც რომ შეეფერებოდა კუბოში მწოლ ჩვეულებრივი ზომა-წონის, ქალივით ნაზ მიცვალებულს. ღმერთმა დასწყევლოს, ნუთუ ეს მე ვარ, ამბობდა გაცოფებული და უწყვეტ ნაკადად მომწყდარ და მის კუბოსთან აჩოჩქოლებულ ხალხს თვალს არ აშორებდა. სულ რაღაც ერთი წამით დაივინყა, რომ ეს ყველაფერი ბნელი ზრახვებით ნაკარნახევი ფარსი იყო და შეურაცხყოფილად, დამცირებულად იგრძო თავი სიკვდილის დაუნდობლობის გამო, სიკვდილის მიერ ხელისუფალის არად ჩაგდების გამო. მან დაინახა ცხოვრება უმისოდ და გული სიბრაღულით აევსო, ამ უმწეო ხალხმა ჩემი სახით კარგი პატრონი დაკარგაო. დაინახა ისინიც, ვინც, ეტყობოდათ, მხოლოდ იმის დასაზუსტებლად მოსულიყვნენ, მართლა ის იყო მკვდარი თუ სხვა. მან დაინახა ფედერალური ომების მონაწილე ბერიკაცი, რომელიც კუბოსთან შედგა და მხედრულად გაიჯგო. დაინახა შავსამკლავურიანი კაცი, რომელმაც ბეჭედზე აკოცა მიცვალებულს, ერთმა მოსწავლე გოგონამ კი კუბოზე მოწინებით დადო ყვავილი. ეს ადამიანები მან განსაკუთრებულად ჩაიბეჭდა გონებაში. განსაკუთრებულად დაიმახსოვრა თევზით მოვაჭრე ქალიც, რომელმაც თევზით სავსე კალათა იატაკზე დადგა და გათხაპნილ მიცვალებულს აქვითინებული ისე ჩაეფსკვნა, ძლივს ააგლიჯეს. ღმერთო, რაღა გვეშველება ახლა, ის მოკვდა, ისაა მკვდარი. ისაა მკვდარიო, ამის გაგონებაზე ხალხი აფუსფუსდა, აჩურჩულდა, მართლა ის მომკვდარა, ამჯერად არ მოვუტყუებთ ვართო, მალე ჩურჩული ხმამალალ გადაძახილში გადაიზარდა და დე არმას მოედანზე ატორტმანებული ხალხის ყურთასმენას მისწვდა. ახლა იქაც აღრიალდა ბრბო, მართლა ის მომკვდარაო, და უცებ შეწყდა ზარების სამგლოვიარო გუგუნი და მის ნაცვლად, ხარება დღისა და წმ. ოთხშაბათის მსგავსად, დაუფარავი სიხარულით აწკრიალდნენ ყველა ტაძრისა თუ ეკლესიის ზარები. ატკაცუნდნენ სააღ-

დგომო პეტარდები, ცა შუშხუნებით მოიფინა და თავისუფლების მაუნყებელი დოლებიც აბრაგუნდნენ. მან დაინახა, როგორ შეცვივდნენ სასახლეში დაცვის უმოქმედობით ნაქეზებული მეამბოხეები, ხელკეტებით როგორ გაყარეს კუბოსთან შექუჩებული ხალხი, იატაკზე როგორ მოისროლეს თევზით მოვაჭრე ქალი. დაინახა, როგორ მიცვივდნენ მიცვალებულს, რვა კაცმა როგორ გამოსტაცა იგი უკვდავებისა და ყვაველთა მარადიულ საუფლოს, ფეხებში ნაავლეს ხელი და ასე ჩაათრიეს კიბეზე. დანარჩენებმა დრო იხელთეს და დაერივნენ იქაურობას, ანგრევდნენ ყველაფერს, რისი დანგრევაც შეიძლებოდა სიმდიდრითა და უბედურებით სავსე ამ სამოთხეში. ანგრევდნენ ქვის ფილებით მოპირკეთებულ დორიულ კაპიტელებს, ანაკუნებდნენ ხავერდის ფარდებს, გობელენებს, რომლებზეც გამოსახული იყვნენ უიმედობის გონდოლებში მთვლემარე, მიბნედილი ქალები, ეპისკოპოსთა და შორეული წარსულის სამხედრო ჩინოსანთა უზარმაზარ პორტრეტებს, ფშვნიდნენ ალებასტრის პალმის ტოტებით მოგვირგვინებულ ბაბილონურ სვეტებს, ფანჯრებიდან გადაყარეს გალიები ჩიტებიანად, ვიცე-ხელმწიფის ტახტი, როიალი, ერთი სიტყვით, ისეთი სიშმაგით დაერივნენ იქაურობას, თითქოს სურდათ სამარადჟამოდ გაესწორებინათ მიწასთან იარაღიანი ხალხის ეს საძულველი ბუნაგი და გაესწორებინათ ისე, რომ მომავალ თაობებს ვერასოდეს გაეგოთ, რა დანყველილი ფესვებიდანაც იყვნენ წარმოშობილნი. იგი სასწრაფოდ მივარდა ფანჯარას, ახლა იქიდან სურდა დაენახა, რა ხდებოდა ჟალუზებს მიღმა ქუჩაში. ო, დედაჩემო, ერთ წამში მე უფრო მეტი უმადურება და სივერაგე დავინახე, ვიდრე მთელი ცხოვრება ვხედავდი ლამის გაჩენის დღიდან, რის გამოც ბევრჯერ სდენიათ ცრემლი ჩემს თვალებს. მან დაინახა, რა გახარებული ტოვებდნენ სასახლეს მისი დაქვრივებული ქალები, როგორ მიდენიდნენ მისი ფერმის ძროხებს, მიათრევდნენ სახაზინო ავეჯს. ო, დედაჩემო, შენი სკებიდან ამოღებული თაფლით სავსე ქილებიც არ დავინწყნიათ. მან დაინახა, რა მხიარულად ურახუნებდნენ მისი უდღეური შვილები ქვაბების თავსახურებს, აწკრილებდნენ ბროლის ჭურჭელს და ეკლესიების სატრაპეზო სუფრის დანა-ჩანგალს, თან ხმამაღლა

გაჰყვიროდნენ, მამაჩემი მოკვდა, გაუმარჯოს თავისუფლებასო. მან დაინახა, როგორ წვავდნენ მის სურათებსა და ლითოგრაფიებს დე არმას მოედანზე გაჩაღებულ კოცონზე. მან დაინახა, როგორ მიათრევდნენ მის სხეულს, გზადაგზა ნაკვალევივით როგორ რჩებოდა ეპოლეტები, ჰუსარული დოლომანის ღილები, ოქრომკერდით მოსირმული მუნდირის ნაკუნები, ბანქოს ხმლის ფორჩები და ქვეყნიერების მეუფის ან უკვე მტვერში ამოგანგლული, დაბინდული ათივე მზე. შეხედე ერთი, დედა, რას მიშვებთან, ბუტბუტებდა იგი და ისე იგრიხებოდა, თითქოს საკუთრივ მის სხეულს ეპყრობოდნენ ასე უდიერად, თითქოს პირადად მას აფურთხებდნენ სახეში და აივნიბიდანაც პირადად მას ასხამდნენ თავზე ავადმყოფთა ღამის ქოთნების სიბინძურეს. უცებ შიშმა აიტანა, ხომ შეიძლება ამკუნონ და ჩემი სიკვდილის საკარნავალო პიროტექნიკის გრიალში ძაღლებსა და ორბებს მიმაგდონ საჯიჯგნადო. როცა ირგვლივ ყოველივე მიწყნარდა, როცა ამ კატაკლიზმმა გადაიარა, თავის სამალავში გამოკეტილს კარგა ხანს ესმოდა შორიდან მოღწეული მუსიკის ხმები, თუმცა კი ამინდი უქარო იდგა. სამალავში ადგილს ველარ პოულობდა, აქეთ-იქით ეხლებოდა, მოსკიტებს ხელისგულით სრესდა, მაგრამ იმ აბეზარ კუტკალიას კი მის ყურებში რომ დაედო ბინა და არ ასვენებდა, ვერაფერს უხერხებდა. კვლავ ფანჯარაში გაიხედა, ჰორიზონტს ცეცხლი ეკიდა. შუქურას მწვანე შუქი ყოველ ნახევარ წუთში ატანდა ჟალუზებში და იქაურობას ვეფხვის ტყავივით ხატავდა. მის ყურთასმენას მისწვდა ბუნებრივი, ჩვეული სუნთქვა ყოველდღიურობისა და რაკილა მისი სიკვდილი აღარ წარმოადგენდა გამორჩეულ, განსაკუთრებულ შემთხვევას, ცხოვრებაც ნელ-ნელა უბრუნდებოდა ჩვეულ კალაპოტს. მისი სიკვდილი ჩვეულებრივ სიკვდილად იქცა, გაფერმკრთალდა და წარსულის ათასობით უჩინო მოკვდავთა სიკვდილს დაემსგავსა, რეალობის მარადიული ქარბორბალა მას ყოვლისმიტევებისა და დავინყების მიწისკენ, არავის მიწისკენ მიაქანებდა. მაშინ კი შეუძახა სიკვდილს, ჯანდაბას შენი თავი, ფეხები არ მომჭამო ერთბაშად, და სამალავიდანაც გამოვიდა, ჩემმა საათმა ჩამორეკა, დროა გამოვჩნდეო. ფეხების ფლატუნით გაიარა აოხრებული, ბინდბუნდში ჩაძირუ-

ლი, მომაკვდავ ყვავილთა და ჩამოღვენილი სანთლების სუნით გაჟღენთილი დარბაზები. მოჩვენებას ჰგავდა წარსულის ნანგრევებში მობორიალეს. მინისტრთა საბჭოს სხდომათა დარბაზის კარი შეაღო. დარბაზი ერთიანად გაეზურა კვამლს. იმ მხრიდან, სადაც კაკლის ხის მაგიდა იდგა, ჩახრინული ხმები ისმოდა. კვამლის ბადეში ძლივს გაარჩია სახეები, მაგიდას სწორედ ისინი უსხდნენ, ვისაც ელოდა. აქ იყვნენ ლიბერალები, რომლებმაც იყიდეს ეს ომი. მაგიდას უსხდნენ არქიეპისკოპოსი, ელჩი შნოტნერი, რამდენიმე გენერალი და სამიც მინისტრი. ძალიან კარგი, ყველანი ერთდროულად გაეზნენ მახეში. შევკავშირდეთო, მოუწოდებდნენ ერთმანეთს, გავერთიანდეთ საუკუნოვანი დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაშიო, თან დროსაც არ კარგავდნენ, დაეტაცებინათ და გაენაწილებინათ მისი ქონება და ისე იყვნენ გართული ამ საქმით, რომ ვერავინ შეამჩნია მკვდრეთით აღმდგარი პრეზიდენტი. მაშინ მან მხოლოდ ერთხელ დაჰკრა ხელი მაგიდას და შესძახა, ასე ხომ. ამის თქმა და სულ რაღაც ერთ წამში დარბაზში მხოლოდ სიგარეტის ნამწვავებით სავსე საფერფლეები, ყავის ფინჯნები და იატაკზე უნესრიგოდ მიყრილ-მოყრილი სკამები დარჩა და კიდევ, მისი მეგობარი გენერალი როდრიგო დე აგილარი. სავლელ ფორმიანმა ტანჩია გენერალმა აუღელვებლად გაფანტა კვამლი ერთადერთი ხელით, რათა ენიშნებინა თავისი პატრონისათვის, იატაკზე დაწეით, ახლა ატყდება თუ ატყდება ბათქაბუთქიო. ძლივს მოასწრეს იატაკზე დაწოლა, რომ სასახლის წინ შრაპნელების სასიკვდილო როკვაც დაიწყო. დაიწყო სისხლიანი ზეიმი გვარდიელებისა, რომლებიც განსაკუთრებული მონდომებით ასრულებდნენ პატრონის დავალებას, ტყვიამფრქვევის ჯვრით მოცვლეს ისინი, ვინც მთავარი კარიდან ცდილობდა გაქცევას, ჩიტებივით ჰაერშივე დახოცეს ისინი, ვინც ფანჯრებიდან ხტებოდა, ხოლო ვინც მოახერხა და ახლომახლო სახლებს შეაფარა თავი, ფოსფოროვანი ყუმბარებით აიძულეს, გარეთ გამოლოღებულებიყვნენ. დაჭრილებს თავი მოუყარეს და რაკი პრეზიდენტმა ბრძანა, დასჯასა და სიკვდილს გადარჩენილებს სამშობლოს მოლაღატის სამარცხვინო სახელიც ეყოფათ მთელი ცხოვრება სატანჯველადო, გვარდიელებმა ცოცხლები გაუშვეს.

გენერალ როდრიგო დე აგილარის შორიანხლოს იატაკზე პირქვე განოლილ პრეზიდენტს ყოველ აფეთქებაზე შუშის ნამსხვრევები და ჭერიდან ჩამოცვენილი ბათქაში ეყრებოდა ზურგზე. ესეც ასე, მეგობარო, მლოცველივით ბუტბუტებდა იატაკს გაკრული ხელისუფალი. ესეც ასე, ამიერიდან მხოლოდ მე ვიუფროსებ, ვერც ერთი ძალი ვეღარ შემომბედავს შემოყეფას ხვალ დილით შევამონმებ რა გადაურჩა ამ ბათქაბუთქს სკამები თუ დაიმტვრა არა უშავს უბრალოს ვიყიდით იაფფასიანს ჭილოფსაც ვიყიდით და კედელზე ხვრელებს ავაფარებთ თეფშებს და კოვზებს ყაზარმებიდან ნამოვილებთ ჯარისკაცებს და ოფიცრებს გავყრი არ მჭირდებიან მაგათ მარტო რძე დაალევიან მეტი არაფერი უნდათ. პატივისცემა ვერ შეიშვნეს ჩასაფრებულები არიან როდის გამოგდონ კვანტი მარტო გვარდიას დავიტოვებ იქ პატიოსანი გულადი ბიჭები არიან მინისტრთა საბჭოსაც დავშლი ვის რა ჯანდაბად უნდა ამდენი მინისტრი ერთი კარგი ჯანმრთელობის მინისტრიც კმარა და ერთიც ისეთი კაცი გვინდა ლამაზად წერა რომ ეხერხება ვინ იცის რისი ჩანერა მოგვინევს ყაზარმებსა და სამინისტროებს საცხოვრებელ ბინებად გამოვიყენებთ ფულს ავიღებთ სასახლის აღდგენას მოვახმართ ახლა ფული უფრო გვჭირდება ვიდრე ხალხი ორი მოახლე გვეყოფა ერთი საქმელზე და დალაგებაზე იზრუნებს მეორე გარეცხავს და დააუთოებს პირადად მე ძროხებსა და ქათმებს მოფუვლი მორჩა ვეღარც ბოზები ირბენენ ჯარიკაცების ფეხსალაგებში კეთროვანებსაც მეტისმეტად გაუტკბათ ვარდის ბუჩქებში ძილი არც ყოვლის მცოდნე მეცნიერები მჭირდება და არც ყოვლის დამნახავი პოლიტიკოსები ბოლოს და ბოლოს ეს არის პრეზიდენტის სასახლე და არა ბინძური ბორდელი როგორც გრინგოებს უთქვამთ თურმე და დავუჯერებთ პატრისიო არაგონესს საქმეს ერთიც გავართმევ თავს არავინ მჭირდება თუნდაც კომეტის მეორე გამოჩენამდე და მეთემდეც რადგან სიკვდილს აღარ ვაპირებ თუ ძალიან უნდათ თვითონ მოკვდნენ. თითქოს ქადაგად დავარდაო, ხმამაღლა და სხაპასხუპით ლაპარაკობდა. ომის დროიდან შემორჩა ჩვევად ხმამაღლა ფიქრი, საკუთარ შიშს აფრთხობდა. ამ წუთშიც ისე ხმამაღლა ფიქრობდა, არც ესმოდა აფეთქებათა ხმები, თუმცა

სასახლე კი ზანზარებდა. მეორე დღის გეგმას აწყობდა, მომავალი ასწლეულის ერთ საღამოს რა უნდა გაეკეთებინა, იმასაც გეგმავდა. ქუჩაში საკონტროლო გასროლა რომ გაისმა, გენერალი როდრიგო დე აგილარი ფანჯარასთან მიხობდა, წამოიწია და ვილაცას უბრძანა, ნაგვის ფორნებით გაიტანეთ გვამებიო, დარბაზიდან გასვლისას კი მობრუნდა, ღამე მშვიდობისა, გენერალო. ღამე მშვიდობისა, მეგობარო, უპასუხა მანაც, დიდი მადლობა, და პირქვე დაწოლილი დარჩა მინისტრთა საბჭოს სხდომათა დარბაზის შავი მარმარილოს იატაკზე. მოხრილი მარჯვენა ხელი თავქვეშ ბალიშივით დაიდო, სახე შიგ ჩარგო და სულ რაღაც ერთ წამში ჩაეძინა ახლა უფრო მეტად მარტოსულს, ვიდრე ოდესმე. ნანინასავით ჩაესმოდა თავის სანყალობელი შემოდგომის გაყვითლებული ფოთლების შრიალი. შემოდგომა კი სწორედ იმ ხოცვა-ჟლეტის ღამემ მოუტანა ოხშივარადენილ სისხლის გუბებში მენამულისფრად აალებულ მთვარეებთან ერთად. მეორე დღის გეგმა ჩაეფუშა, გასაკეთებელი აღარაფერი იყო, ჯარმა თვითონ შეწყვიტა არსებობა, ჯარისკაცები აქეთ-იქით მიმოიფანტნენ, ერთი მუჭა ოფიცრობა კი, დედაქალაქისა და ქვეყნის სხვა ექვს ყაზარმაში სისხლის უკანასკნელ წვეთამდე რომ იბრძოდა, პრეზიდენტის გვარდიელებმა მოხალისე მოქალაქეების დახმარებით ერთიანად ამოწყვიტეს. ცოცხლად დარჩენილმა მინისტრებმა საზღვარგარეთ გაქცევით უშველეს თავს. მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი დარჩა, მისი პირადი ექიმი და კიდევ ერთი კაცი, რომელიც ცნობილი იყო თავისი ღამაში კალიგრაფიით. პრეზიდენტს არც ერთი სახელმწიფოსთვის არ მიუმართავს ინვესტიციების თხოვნით, რადგან არაფერი ჰქონდა შესაძენი და საყიდელი. მოულოდნელად გამოჩენილმა კეთილისმყოფელებმა სახელმწიფო ხაზინას აუარება ოქროს საქორწილო ბეჭედი და სამკაული ჩააბარეს. იაფფასიანი ტყავის სკამების ყიდვამ აღარ მოუწიათ, არც ჭილოფები უყიდიათ თავისმომჭრელი დაკრძალვის დღეს გამონგრეულ კედლებზე ასაფარებლად, კარგა ხნით ადრე, ვიდრე ქვეყანა საბოლოოდ და სრულიად დამშვიდდებოდა, ვიდრე ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგებოდა, სასახლე აღდგენილ იქნა. იგი უფრო დიდებული და თვალისმომ-

ჭრელი სანახავი გახდა, გალიებში კვლავ აუიფივდნენ ჩიტები, გუაკამაიურ თუთიყუშებს თვლა არ ჰქონდა, სამეფო თუთიყუშები გაუთავებლად მღეროდნენ „ესპანეთისთვის და არა პორტუგალიისთვის“. ორი მოკრძალებული მოახლე ქალის წყალობით ირგვლივ ყველაფერი ისე ბზინავდა, როგორც საბრძოლო გემზე. ფანჯრებში იღვრებოდა სახობო მუსიკა, პეტარდების ტკაცუნის და ზარების საზეიმო გუგუნი, სულ ახლახან ზუსტად ასევე აღინიშნა მისი სიკვდილი, ახლა კი სიკვდილის გაგრძელებას, მის უკვდავებას უკმევდნენ გუნდრუკს. ზიმზიმებდა სახალხო გამოსვლებისთვის მუდამ მზად მყოფი დე არმას მოედანი, ისმოდა პრეზიდენტისა და ხალხის ერთიანობის სადიდებელი შეძახილები, მოათრევდნენ უზარმაზარ ტრანსპარანტებს, ღმერთო, დაიფარე შენი რჩეული, რომელიც მესამე დღეს აღსდგა მკვდრეთით. ერთი სიტყვით, ცხოვრება უსასრულო ზეიმად იქცა, უწინდელივით აღარ სჭირდებოდა ხელოვნურად გაღვივება, ყველაფერი თავისთავად ხდებოდა, ლაგდებოდა, ქვეყანა წინ მიიწევდა, სადავები მხოლოდ პრეზიდენტს ეპყრა ხელთ, რაც უნდოდა, იმას აკეთებდა, არავინ ეურჩებოდა არც სიტყვით, არც საქმით, თითქოს მტრებმაც კი მიატოვეს დიდების მწვერვალზე მარტო მყოფი. რას გაიხარებდა მისი ერთგული ორეული გენერალი როდრიგო დე აგილარი, ცოცხალი რომ ყოფილიყო, თავისი სამსახურით ალბათ კმაყოფილი იქნებოდა, ჰოდა, პრეზიდენტიც იყო კმაყოფილი, ამიტომაც ბრძანა, მოედანზე გამოეყვანათ ის გვარდიელები, რომლებმაც უწესრიგობისა და ნგრევის აღსაკვეთად განსაკუთრებული მონდომება და სიმკაცრე გამოიჩინეს. ყველას რომ ოფიცრობა ჩამოურიგა, მიხვდა, ჯარის აღდგენა მაინც მოუწევდა, უხელქვეითო, უჯარისკაცო ოფიცრები რისი მაქნისიაო, თუმცა გამოცდილებით ისიც იცოდა, რომ აღდგენილი ჯარი ადრე თუ გვიან კბენას დაუნყებდა თავის მარჩენალსა და პატრონს. და მაინც რიგით გვარდიელებს ოფიცრებად აწინაურებდა, მკერდზე თითს ადებდა და დაუფიქრებლად არიგებდა ჩინს, შენ გენერალი იქნები, შენ მაიორი, შენ პოლკოვნიკი, მოიცა, მგონი ამერია, ჰო, შენ გენერალი, დანარჩენები კი ლეიტენანტები იქნებითო, ესეც შენი არმია, ჩემო ძმაო. მან ის ხალხიც არ დაივიწყა,

ვისაც ნამდვილად დანყვიტა გული მისმა სიკვდილმა, მადლიერების გრძნობით აღვსილმა ბრძანა ის მოხუცი მოეყვანათ, მის კუბოსთან დამწუხრებული რომ იდგა და ის კაციც ბეჭედზე რომ აკოცა მიცვალებულს, სასწრაფოდ მიჰგვარეს და მანაც მშვიდობის მედლით დააჯილდოვა ორივე. არც ის თევზით მოვაჭრე ქალი დავინყნია, მის ცხედარს ცხარე ცრემლით რომ დასტიროდა. ამ ქალს თოთხმეტი შვილი ჰყოლია თურმე და პრეზიდენტმაც ყველაზე საოცნებო რამ, დიდი სახლი აჩუქა. ის მოსწავლე გოგონაც მიუყვანეს, კუბოზე რომ ყვავილი დაუდო. მანაც სასწრაფოდ მიათხოვა ერთ მეზღვაურს და ამით გოგონას სასწრაფო ოცნებასაც შეასხა ფრთები. მაგრამ თვითონ ვერ დაიმშვიდა აფორიაქებული სული, საჩუქრების ჩამორიგებამ ვერ უშველა, მანამდე ვერ მოისვენა, სანამ სან ხერონიმოს ყაზარმის ეზოში არ დაინახა ხელფეხშებორკილი ის მეამბოხეები, სასახლეზე რომ მიიტანეს იერიში, შიშიც და სიძულვილიც მეხსიერებას სიფხიზლეს მატებენ და მანაც შეუბრალებელი სიზუსტით ამოიცნო ყოველი მათგანი, ამოიცნო და ჯგუფებად დაყო ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით. შენ იერიშს მეთაურობდი, აქეთ დადექი, თქვენ იატაკზე მოისროლეთ თევზით მოვაჭრე ქალი, აქეთ დადექით, თქვენ შეურაცხჰყავით მიცვალებული, კიბეზე ჩაათრიეთ, ტალახში ამოსვარეთ, აქეთ დადექით, დანარჩენები იქით დადექით. მისთვის დასჯა სულაც არ იყო მთავარი, მისთვის მთავარი იყო თავად დარწმუნებულიყო, რომ ხალხმა კი არ შეუტია სასახლეს, ხალხმა კი არ შეურაცხჰყო მიცვალებული, ხალხის გულისწყრომის სტიქიური გამოვლინება კი არ იყო მთელი ეს არეულობა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ დაქირავებულთა ველური შემოტევა. ამიტომაც გადაწყვიტა თვითონ დაეკითხა ტყვეები. დაკითხვისას ყველანაირად ცდილობდა ამ საცოდავებს ელიარებინათ თავიანთი დაქირავებულობა და ამით გაემართლებინათ მისთვის სასურველი ილუზიები. მაგრამ რომ დარწმუნდა, ამაოდ გაისარჯა, ბრძანა, ფეხებზე ხელებმიბმული დამნაშავეები თუთიყუშებით დაეკიდათ თავდაყირა რამდენიმე საათი. რაკი ამანაც არ გაჭრა, ბრძანა, ერთ-ერთი ჩაეგდოთ ორმოში, სხვებს კი ეცქირათ, ნიანგები როგორ გლუჯდნენ მათ ამხანაგს. როცა

არც ამან გაჭრა, ბრძანა, სათითაოდ გამოეყვანათ და ყველას თვალწინ გაეძროთ მათთვის ტყავი. ნაზი, მოყვითალო ტყავი მშობიარის საშოდან გადმომსკდარ პლაცენტასავით თახთახებდა, ცხელ წებოვან სისხლში ამოთხვრილი სხეული კი ყაზარმის ეზოს ქვის ფილებზე ხტოდა და იგრიხებოდა. მაშინ კი გატყდნენ კერპები, დაგვიქირავეს, ოთხას-ოთხას პესოს შეგვპირდნენ მიცვალებულის ნაბილწვაში, სასტიკ უარზე ვიდექით, რაცა გვნამს, იმას ფულის გამო ვერ ვუღალატებთ-თქო, პრეზიდენტის სანი-ნაალმდეგო არაფერი გვაქვს, მით უმეტეს მიცვალებულის-თქო, მაგრამ ერთ-ერთ საიდუმლო შეხვედრაზე ვილაც ორი გენერალი მოვიდა და მუქარით გვაიძულეს დავთანხმებულიყავით. გეფიცებო, ჩემო გენერალო, მხოლოდ ამიტომ დავეთანხმეთ. მან შვებოთ ამოისუნთქა, ბრძანა, ამ საწყალ, მოტყუებულ ბიჭებს კარგად აჭამეთ, გამოაძინეთ, დილით კი ნიანგებს ჩაუგდეთ ორმოშიო. სასახლისაკენ მიმავალი გრძნობდა, როგორ უთავისუფლდებოდა სული მღრღნელი ეჭვისაგან და კმაყოფილი ბუტბუტებდა, ხომ დავარწმუნე ყველა, რომ ხალხი აქ არაფერ შუაშია, ხალხს მე ვუყვარვარ. შიშის კოცონი, ოდესღაც პატრისიო არაგონესმა რომ დაუნთო გულში, ახლა ნელ-ნელა ინავლებოდა. ფეხებით ზედ შემდგარმა უკანასკნელი ალიც ჩააქრო და დაიფიცა, ამ ქვეყანაში ამიერიდან აღარავინ მოკვდებოდა წამებით. მართლაც, მაშინვე დახოცეს ნიანგები, დაანგრის საგანგებო საკნები, სადაც, მართალია, ხალხს არ კლავდნენ, მაგრამ ცემით კი ძვალსა და რბილს უერთიანებდნენ. გამოცხადდა საყოველთაო ამნისტიაც. თითქოს ჯადოსნური კვერთხი შეეხოო, გონება უცებ გაუნათდა, ამ ქვეყანაში მთელი უბედურების თავიკა და ბოლოც ის არის, რომ ხალხს ბევრი დრო აქვს ფიქრისთვისო. ბევრი იმტვრია თავი, რა მოვიგონო ისეთი, რომ ხალხმა ფიქრისთვის ველარ მოიცალოსო, და პოეტების შეჯიბრი განაახლა მარტის თვეში, ყოველწლიური სილამაზის კონკურსებიც აღადგინა და კარიბის ქვეყნებში ყველაზე დიდი სტადიონიც ააგო, ჩვენს გუნდს კი დევიზად დაუსახა, სიკვდილი ან გამარჯვება. მისი ბრძანებით ყველა პროვინციაში გაიხსნა ხვეტის შემსწავლელი უფასო სკოლები. პრეზიდენტის ზრუნვის პასუხად ამ სკოლების მოსწავლე გოგონები ფანატიკუ-

რი თავგამოდებით მარტო სახლებს კი არა, ქუჩებსა და გზა-შარებსაც მოედვნენ. საბოლოოდ იმდენი ნაგავი დაგროვდა, სად წაეღოთ, არ იცოდნენ, ერთი პროვინციიდან მეორეში გადაჰქონდათ, ან პირიქით, თან ყოველ წალეხა-წამოღებას სამშობლოს დროშების ფრიალი და უზარმაზარი ლოზუნგები ახლდა, ღმერთო, შენ დაიფარე უფაქიზესი კაცი, რომელიც ერის სისუფთავეზე ზრუნავს. ის კი ამ დროს ბაღში დააბოტებდა თავისი უზარმაზარი ფეხებით და ფიქრებში ათასნაირ საქმეს იგონებდა ხალხის სამუშაო ფერხულში ჩასაბმელად. უკან დასდევდნენ ბრძები, კეთროვნები, ხეიბრები და სასწაულმოქმედ მარილს სთხოვდნენ განსაკურნავად. ისიც ხან მარილს არიგებდა, ხანაც ეზოში მდგარ ემბაზში ნათლავდა ოდესღაც თავის მიერვე მონათლულთა შვილებს და ყველას თავის სახელს არქმევდა. მლიქვნელები ენას არ აჩერებდნენ, ერთადერთი ხარო, ელაქუცებოდნენ. რაღაცით ის მართლაც იყო ერთადერთი, ორეული აღარ ჰყავდა და თვითონ უწევდა საკუთარი თავის ორეულობა ამ გაბაზრებულ სასახლეში. აქაოდა, პრეზიდენტის დედა ბენდისიონ ალვარადო ერთ დროს ჩიტების მოშენებას მისდევდაო, დღე არ გავიდოდა, ფრინველებით გამოვსებული გალიები არ მოეზიდათ. ზოგს მეტისმეტი მლიქვნელობისაგან მოჰქონდა, ზოგსაც სამასხარაოდ. ბოლოს ისე გაივსო იქაურობა, ახალი გალიის ჩამოსაკიდი ადგილი აღარსად იყო. ჩიტების გარდა სახელმწიფოს სხვა საზრუნავიც ბლომად ჰქონდა, ასეთ შემთხვევებში სასახლეში ერთდროულად წყვეტდნენ ყველა საქმეს და პატიოსა თუ კაბინეტებშიც იმდენი ხალხი ირეოდა, კაცი ვერ გაიგებდა, ვინ მთხოვნელი იყო, ვინ მოხელე. სიხალვათისთვის შიდა კედლები მონაგრის, ზღვისკენ უამრავი ფანჯარა გაჭრეს თვალის გასახარადაც და იმადაც, რომ სათხოვნელად მოსულ ხალხს დარბაზიდან დარბაზში შესვლა-გამოსვლისას შემოდგომის ქარიან ზღვაში მიკარგული იალქნებდაბერილ ნავში ჰგონებოდა თავი. სასახლის ფანჯრებში ათადან და ბაბადან თარეშობდა მარტის ქარი, მაგრამ ამჯერად რატომღაც ყველანი ერთხმად ირწმუნებოდნენ, ჩემო გენერალო, ეს მშვიდობის ქარიაო. ყურებში ჩაბუდებულ შემანუხებელ ხმაურზეც ეუბნებოდნენ, მშვიდობის ქარიაო. პირადმა ექიმმაც ასე უთხრა,

ჩემო გენერალო, ეს მშვიდობა ხმაურობს თქვენს ყურებშიო. იმ დღიდან, რა დღესაც ის პირველად ნახეს ჯერ მკვდარი და მერე მკვდრეთით აღმდგარი, ყველანი ერთხმად აღიარებდნენ, მინაზეც და ცაზეც საყოველთაო სიმშვიდემ დაისადგურაო. მანაც დაიჯერა თავისი უკვდავება და დეკემბერში კვლავ ეწვია კლდეზე შემდგარ სახლს, რათა დამტკბარიყო ყოფილ დიქტატორთა უბედურების ცქერით, ერთბედექვემ მყოფთა იძულებითი ძმური კავშირით ამ თავშესაფარში. მის დანახვაზე დიქტატორებს ლაპარაკის საღერღელი ეშლებოდათ, უკვე მერამდენედ ისმენდა ერთსა და იმავეს. ვთქვათ, ეს დომინოს ქვა მე ვარ, ეს კი ყეყეჩი კონსერვატორია, ვერაფრით მოვურიგდით ერთმანეთს, ესეც არ იყოს, მე არაფერი ვიცოდი პაპებისა და მასონების საიდუმლო ალიანსის თაობაზე. ნეტავი ამდენს არ ლაქლაქებდეს ეს გადაღობული ბერიკაცი, ვერა ხვდება, წვნიანი რომ უცივდება. ახლა მეორე გადაღობული ინცებდა ახსნას, ვთქვათ, ეს საშაქრე პრეზიდენტის სასახლეა, ქარი რომ არა, მტრის ქვემეხიდან გამოსროლილი ყუმბარა ოთხასი მეტრით დაშორებულ სასახლემდე ვერ მოაღწევდა, და თუ ახლა ამ გასაცოდავებულ ყოფაში ვარ, ეს სულ რაღაც ოთხმოცი-ოთხმოცდაორი სანტიმეტრის ბრალია, ბედი არ გინდა. იმედგადაწურულიც ბევრი იყო მათ შორის, სხვის კარზე მათხოვრული ყოფით დაბეჩავებულები გაფაციცებული ელოდებოდნენ თავიანთი ქვეყნის გემის გამოჩენას, რომელსაც კვამლის ფერსა და გასაცოდავებულ გუგუნზე ცნობდნენ. მეორე დღით კი გამთოშავ წვიმასა თუ ქარში პორტისკენ მიცუხცუხებდნენ, რათა სანაგვე ყუთებიდან ამოექექათ მეზღვაურების გადაყრილი ნაგავგახვეული გაზეთები. მერე ბრუნდებოდნენ თავშესაფარში, სხდებოდნენ და კითხულობდნენ თავიდან ბოლომდე, მარცხნიდან მარჯვნივ და მარჯვნიდან მარცხნივაც. კითხულობდნენ, ვინ მოკვდა, ვინ დაქორწინდა, ვინ ვინ დაპატიჟა ან სულაც ვინ ვინ არ დაპატიჟა თავის დაბადების დღეზე და ამ ამბების მეშვეობით ცდილობდნენ ამოეცნოთ, რა ვითარება იყო მათ ქვეყნებში. სასწაულის მოლოდინში ნამდვილად იყვნენ, ცალ-ცალკე ყველას სჯეროდა, რომ მის ცხოვრებას სრულიად შეცვლიდა ერთი შავად მოქრუშული ღრუბელი, რომელიც აპოკალიფსურ

გრიგალს დაატეხდა თავს მის სამშობლოს, დაანგრევდა კაშხალებს, კალაპოტიდან გადმოიყვანდა მდინარეებს, დატბორავდა მინდვრებს, ყანებს, ქალაქებს, დაინყებოდა შიმშილობა, ქვეყანაში გაჩნდებოდა შავი ჭირი და აი, სწორედ ამ დროს ხალხი საშველად უხმობდა იმ ადამიანს, ვინც ქვეყნიდან გააძევა, იმ ადამიანს, ვისაც ძალუძს ქვეყანას ააცილოს სრული განადგურება და ანარქია. აი, ნახავთ ასე თუ არ მოხდება. მაგრამ ამ დიადი წუთების მოლოდინში ცხოვრება თავისას ითხოვდა და ბებრებიც ყოფით წვრილმანებს ვერსად ემალებოდნენ. განზე გაიხმობდნენ ხოლმე რომელიმე შედარებით ახალგაზრდა ლტოლვილს და სთხოვდნენ, თუ არ შენუხდებით, ძაფი გამიყარეთ ნემსში, შარვალი გამეხა, უნდა დაკვემსო, ხომ არ გადავაგაღებ, ეს შარვალი ხსოვნასავით ძვირფასია ჩემთვის, სულიერად მავსებს. უცხო თვალთაგან მოფარებულები საცვლებსაც ირეცხავდნენ და ახლად მოსულთა ჰაიჰარად გადაყრილ ნახმარ, პირდაპლაგვებულ საპარსებსაც ჩუმ-ჩუმად აგროვებდნენ, ჭამითაც თავ-თავიანთოთახებში გამოკეტილები ჭამდნენ, რათა არავის შეემჩნია მათი უკბილო უძლურება, არავის ენახა ბებრული სიძაბუნის, შეუკავებლობის ნიშანი, სამარცხვინოდ ჩასვრილი შარვალი. ერთ ხუთშაბათ დღეს ერთ-ერთმა იმათგანმა, რომელიც, ცოტა არ იყოს, საკმაოზე მეტ ხანს შემორჩა სააქაოს, სული განუტევა. მიცვალებულს ერთადერთი შემორჩენილი პერანგი ჩავაცვით, მკერდზე ჩინ-მედლები დავაბნიეთ, თავისი ქვეყნის დროშაში გავახვიეთ, თავისი ქვეყნის ჰიმნიც ვუმღერეთ და გადავულოცეთ სამარადისო დავიწყების საუფლოს, კლდის ფერხთით განოლილ ზღვის ფსკერს, საითკენაც გამეტებით მიაქანებდა ერთადერთი ბალასტი, მისივე ნატანჯვი, ეროზიამოდებული გული. ამ საცოდავს არაფერი დარჩენია დედამინაზე ერთი ცარიელი ადგილის გარდა, უიმედობის ტერასაზე გამოდგმული სკამის გარდა. ჩვენც ამ სკამზე ვსხდებით, ჩემო გენერალო, ვთამაშობთ და სანაძლეოზე ჩამოვდივართ მის არარსებულ ნივთებს. ვინ იფიქრებდა, ჩემო გენერალო, ასეთი დიდებული ცხოვრების მერე ასეთ უბადრუკ სიკვდილს თუ არგუნებდა ბედი. ერთ სხვა შორეულზე შორეული დეკემბრის თვეში, სწორედ ამ თავშესაფრის გახსნის დღეს, პრე-

ზიდენტმა ტერასიდან დაინახა მიძვებივით ასხმული ანტილის კუნძულები, იფიქრა, ნამდვილად მეჩვენებაო, მაგრამ ვილაცამ თითოთ ზღვის ვიტრინაზეც ანიშნა. მან დაინახა კეთილსურნელოვანი ვულკანი კუნძულ მარტინიკაზე. ხედავთ ხომ, ჩემო გენერალო. მან დაინახა ქლექიანების სანატორიუმი, დაინახა გოლიათი ზანგი, რომელსაც მაქმანებით განყობილი კვართი ეცვა, ტაძრის თაღქვეშ იდგა და გუბერნატორთა ცოლებს გარდენიებს სთავაზობდა საყიდლად. მან დაინახა პარამარიბოს ჯოჯოხეთურად აფუთფუთებული ბაზარი. ხედავთ ხომ, ჩემო გენერალო. დაინახა ზღვაში ჩამავალ ფეხსალაგების მილებს გამოყოლილი და სანაპირო კაფე-ბარების მაგიდებზე მობორიალე კიბორჩხალები. დაინახა ბრილიანტით კბილებდაპლომბილი გავასქელი ზანგი დედაბრები, რომლებიც წვნიანივით ბლანტ წვიმას არად აგდებდნენ, არხეინად ისხდნენ და ინდიელთა ნიღბებს თუ ათასნაირ სამკურნალო ბალახს ყიდდნენ. დაინახა ტანაგუარენას პლაჟზე მთვლემარე ხორცსავსე მატრონები – მზეზე ოქროსფრად დაფერილი ძროხები. დაინახა გუაირელი უსინათლო ნათელმხილველი, რომელიც ორ რეალად უკრავდა ერთსიმშემორჩენილ ვიოლინოზე, რათა სამუდამოდ განედევნა სიკვდილი – ინდაური. მან დაინახა პაპანაქება სიცხე ტრინიდადზე, დაინახა უკულმა წინ მიმავალი მანქანები და მწვანე სამოსიანი ინდუსებიც პირდაპირ ქუჩაში, ზედ თავიანთი ფარდულების წინ ჩაცუცქულები რომ იცლიდნენ კუჭს. დაინახა ჰაიტის სამინელება, გაქუცული ლურჯი ძაღლები, დაინახა გამთენიისას ჯორშებმულ ფორნებში როგორ ჩაყარეს ქუჩებში მიფანტულ-მოფანტული გვამები, დაინახა კურასაოს ბენზინსაცავი, რომლის კედელზე მიეხატათ ტიტა ნიშნად იმისა, რომ ჰოლანდია კვლავ აქ არის, დაინახა სახურავწანვეტებული, ქარის ნისქვილებივით სახლები. ასეთი დაფერდებული სახურავები ჭკვიანური მოგონებაა დიდ-თოვლობის დროს, დაინახა საოკეანო გემი, რომელიც თავისუფლად დაცურავდა ქალაქის ცენტრიდან ხან ერთ, ხანაც მეორე სასტუმრომდე, დაინახა კარტახენა დე ინდიას ქვით შემორაგული ფარეხები, ჯაჭვით შემოკავებული ზღვის უბე, განათებული აივნები, გამომწყვდეული, მონყენილობისგან მთქნარებად ქცეული

სააღლუმო, ვიცე-მეფეთა დროინდელ საკვებზე მეოცნებე ცხენე-ბი. მძღ...ის სუნია, ჩემო გენერალო. მართლაც რა უსაზღვროა ქვეყანა, მაგრამ ამავდროულად ვერაგიც. თუ ამჟამინდელ დეკემბრის თვეში პრეზიდენტმა ინება და კლდეზე წამომდგარ თავშესაფარს ესტუმრა, იმიტომ კი არ შეინუხა თავი, რომ იქ თავშეფარებულებისთვის ორიოდ თბილი სიტყვა ეთქვა, ისინი ხომ ისე ეზიზღებოდა, როგორც საკუთარი ორეული უბედურებათა სარკეში, არამედ იმიტომ, რომ არ გამორჩენოდა ის ზღაპრული წამი, როცა დეკემბრის საოცრად შუქიან და გამჭვირვალე ჰაერში კვლავაც შეძლებოდა ეხილა მძივებით ასხმული ანტილის კუნძულები ბარბადოსიდან ვერაკრუსამდე. ჰოდა, რა დროს დომინოა, ტერასაზე გავიდა, რათა კიდევ ერთხელ დამტკბარიყო ზღვის უბეში მთვლემარე ნიანგებევით განოლილი, მთვარის შუქით განათებული კუნძულების ცქერით. მას გაახსენდა ის ისტორიული ოქტომბრის პარასკევი დღე, როდესაც დილაუთენია გამოვიდა თავისი საძინებლიდან და თვალებს არ დაუჯერა, სასახლის თითქმის ყველა ბინადარს წითელი ჩაჩი ეხურა თავზე. წითელი ჩაჩები ეხურათ მის საყვარლებსაც, რომლებიც ოთახებს გვიდნენ და გალიებში წყალს უცვლიდნენ ჩიტებს, წითელი ჩაჩები ეხურათ მწველავებსაც და ყარაულებსაც, კიბეზე ჩამომსხდარ ხეიბრებსაც და ვარდის ბუჩქებში მობორიალე კეთროვნებსაც. ვერაფრით გაეგო, რა მოხდა ამ ერთ ღამეში, მის ძილში. რატომ ეხურა წითელი ჩაჩი ყველას, სასახლეშიც და მთელ ქალაქში, ან ეს რა საჩხარუნოები ეჭირათ ხელში. როგორც იქნა, გამოჩნდა ამბის მომტანი კაცი. უცხოელები გვესტუმრნენ რამდენიმე გემით, ჩემო გენერალო. ისე, მთლად უცხოელებიც არ უნდა იყვნენ. ესპანურად ლაპარაკობენ, მაგრამ ჩვენს ესპანურს¹⁷ რაღაც არ ჰგავს. El Mar-ის ნაცვლად La Mar-ს ამბობენ,¹⁸ სიტყვებს თავისებურად გამოთქვამენ, ამახინჯებენ. ნავებით რომ მივუახლოვდით, მაშინვე ანძებზე აცვივდნენ და ისეთი გადაძახება-გად-

17 ლაპარაკია ანტილიურ კილოკავზე, რომელიც ოდნავ განსხვავდება სუფთა ესპანური ენისაგან.

18 El Mar – ზღვა. არტიკლების აღრევაზეა ლაპარაკი.

მოძახება ატეხეს, ყურთასმენა აღარ იყო. ერთმანეთს ჩვენზე ანიშნებდნენ, ნახეთ, რა ტანადები არიან, რა ლამაზები, რა გრუზა თმა აქვთ, ცხენის ფაფარს მიუგავთო. მერე ეტყობა, იფიქრეს, თაკარა მზის შიშით საღებავი აქვთ ტანზე წასმულიო და თუთიყუშებივით აქოთქოთდნენ, კანარიელებივით არც თეთრები არიან, არც შავები, ღმერთმა უწყის, ვინ არიანო. დაგვცინოდნენ. ვერაფრით გაგვეგო, რატომ დაგვცინოდნენ, ჩემო გენერალო, ჩვენთვის ხომ ბუნებრივია ეს ფერი, ჩვენ ხომ ასეთები გვშობეს ჩვენმა დედებმა. დასაციინი თვითონ იყვნენ, პაპანაქება სიცხეში ბანქოს ვალეტებივით ჩამოეხვავებინათ ტანზე სამოსი. თმა ქალებივით ჰქონდათ დავარცხნილი. ისე, ქალები არ ერიათ, არ დაგვინახავს. გვიყვიროდნენ, რატომ ვერ იგებთ ჩვენს ქრისტიანულ ლაპარაკსო. არადა, სწორედ ისინი ვერ იგებდნენ ჩვენს ლაპარაკს. მერე თვითონაც გამოემართნენ ჩვენსკენ ნაგებით. გაუკვირდათ, თევზისძვლისწვეტიანი ბარჯები რომ დაგვინახეს ხელში. თუ რამ გაგვანდა, სახელდახელოდ გაგვიცვალეს ნითელ ჩაჩებში, შუშის მძივებსა თუ თუნუქის საჩხარუნოებში. ჩვენც მაღლობის ნიშნად მაშინვე ჩამოვიკონწიალეთ ყელზე მძივები. საჩხარუნოები ერთი მარავედიც¹⁹ არ ღირდა, თეფშები, პატარა სარკეები და ზღვისიქითა მხარის ათასნაირი ხარახურა მოაყოლეს თან. ჩემო გენერალო, როცა დავრწმუნდით, ბოროტი განზრახვით არ იყვნენ მოსული და არც სულელები ჩანდნენ, ნელნელა, მათდა შეუმჩნევლად მივაყენეთ ნაპირს და სწორედ აქ მოხდა, რაც მოხდა. ისეთი აურზაური და ჯგლეთა შეიქნა, ძალღიპატრონს ვერ იცნობდა. ყველას, ვისაც არ ეზარებოდა, პაჭაპუჭებში გადასაცვლელად მოჰყავდა თუთიყუშები, მოჰქონდათ თუთუნი, შოკოლადი, იგუანას კვერცხი. ის კი არადა, ერთი ჩვენიანი ძლივს გადაურჩა ძველებურ ხავერდის ჟილეტში გადაცვლას, უცხოელები ამბობდნენ, ევროპაში უნდა წავიყვანოთ საჩვენებლადო. წარმოგიდგენიათ, ჩემო გენერალო, რა ხდება. გენერალი დაბნეული იდგა. რაღაც უჩვეულო და უცნაური რომ ხდება, ეს ცხადია, მაგრამ ძალუძს კი მას ამოხსნას იგი. თავგზაარეული

19 ძველებური მონეტა.

დაბრუნდა სასახლეში და თავის საძინებელს მიაშურა იმ იმედით, რომ ხვალ დილას ნათელს მოჰფენდა იმ აბდაუბდას, რაც ახლა მოისმინა. ზღვისკენ გაჭრილი ფანჯარა გამოალო, ნაპირთან კვლავ ტორტმანებდა დიდი ხნის წინათ საზღვაო დესანტის მიერ მიტოვებული ჯავშნოსანი გემი, ოდნავ მოშორებით კი, თავისდა გასაოცრად, დაინახა მოქრუშულ ზღვაში ლუზაზე მდგარი სამი კარაველა.

ესპანურიდან თარგმნა
ელზა ახვლედიანმა

გაბრიელ გარსია მარკესი. პატრიარქის შემოღობვა.
თბილისი: გამომცემლობა „სიესტა“. 2006.



ნაირა გელაშვილი დაიბადა 1947 წელს კახეთის სოფელ ნუკრიანში. 1970 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლური ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. 1975-1982 წლებში მუშაობდა მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა კოლეგიაში. „კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი – კავკასიური სახლის“ ხელმძღვანელი, ჟურნალის „აფრა“ დამფუძნებელი და რედაქტორი. გამოცემული აქვს რომანები: „ამბრნი, უმბრნი და არაბნი“, „დედის ოთახი“, „სარკის ნატეხები“, „ჩვენი გრძელი ამბავი“ და სხვ.; პროზაული და პოეტური კრებულები. თარგმნა ფ. ჰიოლდერლინის, ნოვალისის, ფ. ნიცშეს, რ. მ. რილკეს ჰ. ჰესეს, გ. მარგველაშვილისა და სხვ. ცალკეული თხზულებები. საქართველოში რაინერ მარია რილკეს საზოგადოების თავმჯდომარე, ავსტრიის კულტურის სამინისტროს ლიტერატურული პრემიის ლაურეატი. ლიტერატურული პრემია „საბას“ ორგზის ლაურეატი (2010 და 2013 წწ.).

მთვარით განათიებული ზალი

ვერა და ვერ გამიგია, რა აცინებდათ, რა იყო სასაცილო? რა ეშმაკი შეუძვრათ გულმუცელში, რომ ფერდებზე ხელებს იჭერდნენ, სკამებზე ხტოდნენ და ისე ხორხოცებდნენ, იქაურობას სულ ზრიალი გაუდიოდა. თუ გიჟები იყვნენ, რაღა ყველა გიჟმა ჩვენთან მოიყარა თავი, ექსკურსიაზე ხომ არ წამოასხეს, ბოლოს და ბოლოს! არა, მართლაც ბედისწერაა ყველაფერი, ვერაფერს ახსნი... მერედა, რა მშვენიერი იყო ჯულიეტა იმ თეთრ კაბაში; მართალია, კიბეზე რომ ჩამორბოდა ხელებგაშლილი, კაბის კალთაზე ფეხი დაიდგა და კინალამ დაგორდა, მაგრამ მსგავს ინციდენტებზე კულტურული საზოგადოება ხომ არ იცინის!.. ერთხელ მეც შევესწარი სახელმწიფო თეატრში, გონგადასულმა მედეამ ეტლიდან რომ ისკუპა, კაბა რაღაცას წამოსდო და მთელი ტანით დააწყდა თავის ერთ-ერთ შვილს, რომელსაც, წესით, უნდა მოხვეოდა, ეტლში აეყვანა და იქ, ძმასთან ერთად ნაზად მოეკლა. ბავშვი ძირს დაენარცხა, გულგახეთქილი წამოხტა და ღრიალით გავარდა სცენიდან. გამოედევნა გამზრდელი, ფარდის უკან იაზონმაც სტაცა ხელი და ძლივს დააბრუნეს, რადგან მისი იქიდან ცოცხლად გაშვება არაფრით არ გამოდიოდა, პირველი რიგის მა-

ყურებლებს დიახაც კარგად გვესმოდა, ბავშვს როგორ ამშვიდებდნენ, სად გარბიხარ, ჯერ ხომ არ დაუხოციხართო, ცოტაც მოიცადე, დედა მოგკლავთ და მერე სადაც გინდა, იქ წაგიყვანთო. ამასობაში მეორე ბავშვმა ძლივს ააყენა ძირს გამოტილი, დათეთქვილი მედეა, რომელსაც იმათი მოკვლისა კი არა, განძრევის თავიც აღარ ჰქონდა და შუბლზეც იმხელა კოპი დასჯდომოდა, ვერაფერი სანახავი იყო. ძალიან სასაცილო იყო ეს ყველაფერი, მე თუ მკითხავთ (თან წინასწარ რომ დაისაჯა გაავებული დედა ბავშვების მოკვლისათვის), მაგრამ ყველამ თავი შეიკავა! კარგად ვხედავდი, შეკავებული სიცილისაგან სახეები რომ დაეღრიცათ და მუცლები უკანკალებდათ. ზოგმა ცხვირსახოცში ატეხა ხველება, ზოგმა სათვალე მოიხსნა და წმენდას შეუდგა ერთიანად გაჭარხლებული... კინლამ გაიგუდნენ, მაგრამ არავის გაუცინია, სახელმწიფო თეატრი იყო და იმიტომ... აქ კი?

არა, ნამდვილად ჩვენი წარსულის ბრალია ყველაფერი, წარსულს ხომ ვერსად გაექცევი: ჩვენ კი ადრე ცირკში გამოვდიოდით. ხომ მიმიხვდით, რის თქმაც მინდა? მასასადამე, ხალხს ვაცინებდით, ვამხიარულებდით. და ახლა, სადაც არ უნდა დაგვინახონ, სულ ერთია, სიცილ-ხარხარი აუტყდებათ, გინდაც მაგათ წინ ვენები გადაიჭრა. არა, ნამდვილად ეს იყო მიზეზი. მაგრამ, მოიცათ! თუ ასეა, როგორღა ავხსნა ის ფაქტი, რომ ერთადერთი, ვინც არ იცინოდა, ვინც გაფითრებული და დაძაბული შესცქეროდა სცენაზე აბოხოქრებულ ვნებათაღელვას, ერთი იმათთაგანი გახლდათ, რომელთათვისაც ფაქტიურად არსებობს ცირკი, ვინც საცირკო სანახაობის ნამდვილი ადრესატი და მუდმივი სტუმარია? – ბავშვი! ათიოდე წლის, ფართოთვალეობა, წვრილმაჯებიანი, გრძელთმეზა ბიჭი იჯდა პირველ რიგში და თვალეობად იყო ქცეული, იმდენად, რომ სიცილი თავიდან არც გაუგონია. მაგრამ მერე და მერე, ყურთასმენა რომ წაიღეს (არადა ის-ის იყო ჯულიეტამ რომეოს გვამთან დაირტყა დანა და ღმერთო ჩემო, რა წარმტაცად გადააგდო თავი!), წამოხტა, მუშტებშემართული მიუბრუნდა იმ ეშმაკების ჯგროს და დაიღრიალა, გაჩუმდითო. ეჰ, გახსენებაც კი აღარ მინდა. მართლაც, საშინელი წუთები იყო ჩვენს ცხოვრებაში.

ცირკში კი, ცირკში, რასაკვირველია, დიდი წარმატება გვექონდა. შენობა ინგრეოდა ტაშით, სიცილითა და მხიარულებით. ჩვენი განთქმული დასი, რომელიც ორმოცდაათ წევრს ითვლიდა თავის რიგებში, ჩვენი ქალაქის უდიდეს სიამაყეს წარმოადგენდა და სიმართლე თუ გინდათ, ყველაზე დიდ ღირსშესანიშნაობასაც, ბოლო ხანებში. და ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს დედაქალაქს არ აკლია ისტორიულ-კულტურული საგანძურები. მაგრამ მაინც გადაჭარბებული არ იქნება, თუ განვაცხადებ: უფართოესი მასშტაბებით მას სწორედ ჩვენმა დასმა გაუთქვა სახელი. ოღონდაც!.. ამ... ე. ი. ჩვენ საქმეში ჩახედული პირებიდან ვინ არ დამეთანხმება, რომ ერთი – არცთუ ისე დიდი ქალაქისათვის ორმოცდაათი ლილიპუტი მართლაც რომ გასაოცრად დიდი რიცხვია. სად აღარ იუნწყებოდნენ უზარმაზარი, ბრწყინვალე აფიშები – „ლილიპუტების ცირკი ქალაქ №№-დან“. იმასაც გეტყვით, რომ თუ სხვა დასებშიც ჰყავთ თითოთოროლა ლილიპუტი, ისინი იქ დამხმარე როლს ასრულებენ და ჟონგლიორების, ეკვილიბრისტებისა თუ კლოუნების თანაშემწეებად გვევლინებიან: ან რგოლს მიაწოდებენ, ან ილუზიონისტის ჭრელი ყუთიდან ამოყოფენ მოულოდნელად თავს, ან დადგებიან და განვრთნილი ძაღლები ზედ თავზე გადაეველებიან ხოლმე. ჩვენ კი პროფესიონალი მსახიობები გახლდით და ყველა ძირითად ნომერს თავად ვასრულებდით. მაგრამ ალბათ დამეთანხმებით, როგორი ბრწყინვალეც არ უნდა ყოფილიყო იქ ჩვენი მოღვაწეობა, ცირკი – ცირკია. ცირკს აკლია... თუ გნებავთ – პოეზია, დახვეწილი გემოვნება, არტისტიზმი... მეტსაც გავბედავ – ამაღლებული სული. თუმცა კი იქ ნამდვილ რისკთან გვაქვს ხშირად საქმე და ამდენად, ნამდვილი ცხოვრების სუნიც უდის, მაგრამ უფრო სპორტთან დგას ახლოს, ვიდრე ნამდვილ ხელოვნებასთან... ზოგი ე. წ. „ეფექტური“ ნომერი ისეთი დაძაბულობისა და ჭაპანწყეცის ფასად სრულდება, რომ სიამოვნებას ვეღარც კი იღებ, თანაც მსახიობების გაფითრებულ სახეზე რომ გატანჯული ღიმილი გადაიჭიმება, ეს ხომ მთლად საშინელებაა! აკრობატიული, ჟონგლიორული, თვით მასხარათა ნომრებიც კი დაიშტამპა და ახლა ყოველი ცირკის პროგრამა ძირითადად წინასწარ ვიცით. მე თუ

მკითხავთ, იმიტომ იცინის ხალხი და მხიარულობს, რომ ამაში ფული აქვს გადახდილი. რა თქმა უნდა, არა ერთი და ორი პირი ვინაა იცის ცირკის ისტორიამ, ვისაც შემოქმედებითი სიახლე შეჰქონდა თავის საქმეში, თუნდაც ის დიდებული კლოუნი რად ღირს (გვარს არ დავასახელებ, რათა შური არ აღვძრა მის მიმართ), რომელიც იუმორისტულსა და პოეტურს ისეთი ფაქიზი არტისტიზმით ათავსებდა ერთმანეთთან, რომ მართლაც დიდი ხელოვნება გამოდიოდა?! მაგრამ ასეთები, სამწუხაროდ, გამო-ნაკლისს წარმოადგენდნენ. ჩვენ კი, პირველ რიგში, ჩვენი აღ-ნაგობა გვშველოდა, რათა ყველასაგან გამორჩეული ვყოფილიყავით, ის ბავშვური, ლალი, უშუალო განწყობილება, რაც ჩვენი წარმოდგენის დროს სუფევდა. ამავე დროს, ბავშვებს ბავშვები ვეგონეთ და ეს, რასაკვირველია, ყოველწინააღმდეგარად ხელს უწყობდა ჩვენს კონტაქტს... მაგრამ რა ფასად დაგვიჯდა თუნდაც ის, რომ ჩვენს ორკესტრს (რომლის დირიჟორიც ყოფილი მოკრივე გახლდათ და მუსიკოსები კი იმას ახერხებდნენ, რომ თან დაეკრათ და თან ლიმონათის ან ლუდის ბოთლები მოეყუდებინათ) პროფესიულ დონეზე შეესრულებინა გემოვნებით შერჩეული, დახვეწილი მუსიკა და ისე ყურისწამლებად არ ეგრიალა თავისი მარშებით? ამისათვის ჩვენ ახალი ორკესტრის მოწვევა მოგვიხდა, რაც ხანგრძლივ და დაუღალავ ბრძოლას ნიშნავდა. ერთი სიტყვით, ცირკის თაობაზე მე ჩემი პროფესიული შეხედულებანი მაქვს, მაგრამ მრავალი მიზეზის, პირველ რიგში კი იმის გამო, რომ ეს ძალზე შორს წაგვიყვანდა, მსჯელობას აღარ გავაგრძელებ. მთავარი ის გახლავთ, რომ ჩვენ ცირკი აღარ გვაკმაყოფილებდა... რაღაც დიდისა და სერიოზულისაკენ გვინევდა გული...

აბა, როგორ დამავინწყდება, როცა ერთხელ გაშმაგებული დავეძებდი ჩემს კოლეგას, რათა თავისი ნომრისათვის მომზადებულიყო და ვერსად ვპოულობდი (მისი ნომერი კი ის გახლდათ, რომ მას შემდეგ, რაც თოკზე აცოცდებოდა და იქედან ბაგირზე გაირბენ-გამოირბენდა, ცოტა უნდა წაეცეკვა და მერე თავით გადმოშვებულიყო იმ სიმალიდან, ქვემოთა ბაგირზე ფეხზე დამდგარიყო და ისე უდარდელად გაევილო, თითქოს არაფერი არ მომხდარაო), სადღაც ბოლოში, განწრთნილი ცხოვე-

ლების გალიებს შორის აღმოვაჩინე! იდგა ჟირაფის ქვეშ, დიახ, ბატონებო, ხელში პატარა წიგნი ეჭირა, ცალი ფეხი წინ წაედგა, ხელი მკერდზე მიეკრა და შთამაგონებლად მიმართავდა უხილავ საზოგადოებას: „ – ჩემგან გამოვლილ ჭირთათვის მან მე შემეცვარა, მე შევიყვარე ჩემთა ჭირთა თანაგრძნობისთვის“. ჟირაფს კი თავი დაეხარა და გრძელთვალეზგაშტერებული ყურადღებით უსმენდა. ჯერ გავოგნდი, მაგრამ მერე გული მომეწურა. დიახაც, გასაგები იყო ჩემთვის ჩემი კოლეგის სულისკვეთება... თუ ამაღლებული ცხოვრებისაკენ გრძნობ მისწრაფებას, ვის შეუძლია აგიკრძალოს და სამუდამოდ მანეჟზე კუნტრუში მოგისაჯოს, მხოლოდ იმიტომ, რომ პატარა ხარ? დიახ, აბა, ვინ გაიგებდა, რომ ერთხელ ჩვენი სახელგანთქმული მასხარა მართლა ატირდა, როცა მანეჟის შუაგულში დაგორებული ვეებერთელა საზამთრო უცბად გადაიხსნა და შიგ მჯდომმა ჩვენმა კლოუნმა, ნაცვალდ იმისა, რომ ამომხტარიყო, ილუზიონისტის წინაშე დაეჩოქა და შეეძახა: გმადლობ, დიადო ჯადოქარო, შენ მიხსენიო, – ძლივს აიღო წიგნიდან თავი, რომელსაც ჯიბის ფანრით ანათებდა და ისე კითხულობდა?.. გავოგნებულმა მიმოიხედა და თვალცრემლიანმა სერიოზულად მიმართა მაყურებელს: მოდიო... ყველამ ერთად ვიტყვიო, ის უკვე მოკვდაო. სიცილმა იფეთქა დარბაზში, თუმცა არც სიტყვები გაუგონიათ და არც თეთრი თავგები ჩამოცოცებულან მასხარას ფერადყვავილებიანი შარვლის განიერი ტოტებიდან, როგორც ეს მოსალოდნელი იყო.

მერედა ვინ იყო ის „ის“? არც მეტი და არც ნაკლები – ანტიგონე! ამ მამაცი ქალიშვილის ტრაგიკულ ამბავს ისე აელევებინა ჩვენი მასხარა, რომ მყუდროებას მონატრებული დიდი ხნით ადრე ჩამჯდარიყო იმ საზამთროში (გონივრულად ფანარიც თან შეეტანა), რათა მთელი არსებით ზიარებოდა საბედისწერო სიუჟეტის მსვლელობას და სცენაზეც კი ვერ გამოერკვა. სამაგიეროდ, სხვა გამოერკვა, შეეჭვდა და შეფიქრიანდა! ცირკის დირექტორმა დიდხანს ათვალაიერა ნაღმა-უკულმა ის წიგნი, მრავლისმეტყველი და ავისმომასწავებელი ღუმილით შებრუნდა კაბინეტში და ჩაიკეტა! ან როგორ არ ჩაიკეტებოდა! განა ღრმა ანალიზი არ სჭირდებოდა იმ ფაქტს, რომ ყველა ის უცნაურობა,

რამაც ბოლო დროს დასის ნევრთა შორის იჩინა თავი და რასაც აშკარად არევ-დარევა შეჰქონდა ჩვენს მოღვაწეობაში, გარკვეული ჯურის წიგნებთან იყო დაკავშირებული? ჯერ მარტო ბეატას საქციელი რად ღირდა! (სწორედ ბეატა გახლდათ, ასე ბრწყინვალედ რომ შეასრულა ჯულიეტას როლი): ხუჭუჭა პუდელების, თეთრი თხისა და ნაბლისფერი მელიის ამალით სცენაზე რომ გამოდიოდა, ბოლო დროს მოკლე, ბრჭყვიალა სარაფანის ნაცვლად ის ხომ გრძელ თეთრ კაბასა და ასეთსავე გრძელ მოსასხამში იყო გამოწყობილი, რომლის კალთებიც მოწინებით მოჰქონდათ თხასა და მელაკუდას! თავის განვრთნილ ცხოველებთან ერთად კი აღარ დახტოდა და კისკისებდა, არამედ მიმოხრა სულ უფრო დედოფლური, ასე ვთქვათ, საიდუმლოებით მოცული უხდებოდა!

და მერე რით დამთავრდა ეს ყველაფერი? ერთხელაც მისმა საყვარელმა და ყველასათვის ცნობილმა თხამ – ბიკიმ დიდი ვარდისფერი კალათიდან, რომელსაც ჭრელი ქალაღის პეპლები ასხდნენ, ბაფთებიანი შლაპა კი არ ამოიღო, ორ პუდელს მისთვის თავზე რომ უნდა დაეხურა, არამედ ისევ და ისევ რაღაცა პატარა წიგნი და იქვე ჩაცუცქულმა გადაშალა, თავი ჩარგო და კიკინს მოჰყვა! მართალია, ნომერმა ამით მხოლოდ მოიგო და ბავშვების მხიარულებას საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ ჩვენმა დირექტორმა ხომ იცოდა, რომ იქ წიგნი კი არა, შლაპა უნდა ყოფილიყო და ეს წიგნი რაღაც ფატალურად გაჩნდა იმ კალათაში (როგორც ჩანს, იმის გამო, რომ ბეატამ სიჩქარეში სხვაგან ვერსად მოახერხა მისი მიმალვა და ბოლოს სულ გადაავიწყდა), შლაპა კი კალათაშივე დარჩა, და დაბნეულმა ბეატამ სწრაფად გამოგლიჯა რა თხას ის ავბედითი წიგნი, არანაკლებ დაბნეულ ცხოველს უბრძანა ისევ კალათაში ჩაერგო თავი. მერე ნომერი თავისი წესით გაგრძელდა, მაგრამ დიდი ხანი არ გასულა ამ ინციდენტის შემდეგ, რომ ყველა ეს წიგნი დირექტორის კაბინეტში აღმოჩნდა და იქ აფორიაქებული და დაძაბული კვლევის საგნად იქცა. და ჩვენ, ვინც კაბინეტის წინ ვითომ ყოველგვარი განზრახვის გარეშე საქმიანად მიმოვიდოდით, იქიდან გამოღწეული დაბნეული ბურტყუნიდან მხოლოდ ერთ სიტყვას მოვკარით ყური: „ეპიდემია“. დირექტორისთვის სრულიად ცხადი შეიქნა, რომ ჩვენში მომხდარი

აუხსნელი ცვლილება სახელგანთქმული დასის მოღვაწეობას აშკარა საფრთხით ემუქრებოდა. დიახ, სიმართლეს ვერ დავმაღავ: ლილიპუტების ცნობილ ცირკს წყალი ჰქონდა შემდგარი და მერე რა წყალი! ეს იმ წიგნის ბობოქარი სული გახლდათ, სადაც დიდ-დიდნი დრამატურგნი ადამიანთა ამალღებულ ვნებებზე მოგვითხოზდნენ, საოცარი ძალით გვიხმობდნენ ნამდვილი ცრემლისა და ნამდვილი სიკვდილისაკენ, გვიღვიძებდნენ დაუძლეველ სწრაფვას, დაგვევინწყებინა ჩვენი პატარა ყოფიერება და ჩვენს პატარა სხეულებში დიდი ცხოვრების ფეთქვა გვეგრძნო.

დირექტორს ჩვენთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ ამის შემდეგ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვაწყდებოდით ისეთ სიურპრიზებს, რომლებიც მის მიერ შემუშავებულ საბრძოლო ტაქტიკაზე მიგვანიშნებდნენ. ასე, მაგალითად, ერთ თავისუფალ საღამოს, ჩემი ტუმბო რომ გამოვხსენი, სადაც ჩემი საყვარელი წიგნი მეგულებოდა და წინასწარ ვნეტარებდი იმ სიამოვნების მოლოდინში, რასაც შორეულ, ასე მონატრებულ ცხოვრებაში შესვლა მანიჭებდა, ნაცვლად ამისა პრიალა ყვითელყდიანმა წიგნმა შემომანათა „სიცილი – ჯანმრთელობა“. შემდეგ გავიგე, რომ ჩემი კოლეგებიც, ზოგი სასთუმალქვეშ, ზოგი პალტოს ჯიბეში ან საცირკო ინვენტარის რომელიმე კუნჭულში ასეთსავე წიგნებს წააწყდნენ იქ გადამალული ტრაგედიების ნაცვლად: – „მასხარას პროფესია – კეთილშობილური პროფესიაა!“, „ცირკი – საუკუნის სული!“, „გვეძახის, გვიპყრობს, გვამხნეებს – მანუი!“, თქვენ თავად განსაჯეთ, რა ზღვარს აღწევდა იმ ხანებში ჩემი აგზნებულობა, რომ ისეთი ნაბიჯი გადავდგი, რაც აშკარა გამოწვევას, ასე ვთქვათ, ამბოხს უდრიდა: ის ხსენებული ყვითელი წიგნი, ხსენებულ წარწერიანი, შეუმჩნევლად დავტოვე დირექტორის კაბინეტში მაგიდაზე, პატარა ბარათთან ერთად: „თუკი სასაცილო არაფერია, ვინმე გააცინო – მოტყუებაა!“ არც ამის შემდეგ უთქვამს დირექტორს რაიმე, ეტყობა, ტაქტიკის შეცვლასა და კონტრშეტვის განხორციელებაზე ფიქრობდა. ამასობაში კი არც ჩვენ ვკარგავდით დროს. სწორედ დირექტორის ჩარევამ განაპირობა, რომ ჩვენი სპონტანური მღელვარება უკვე ჩამოყალიბებულ პროგრამად გადაიქცა. დასამალი რაღაა და გამოგიტყდებით, რომ უკვე მაშინ

მიმონერა გვექონდა გაჩაღებული ქალაქის ერთ-ერთ ინსტანციასთან, რომელსაც რკინისებური ლოგიკით ვუსაბუთებდით ჩვენი სულისკვეთების სამართლიანობას, მოვითხოვდით, გასაქანი მიეცათ ჩვენი ვნებათაღელვისათვის. ძალიანაც კარგად მოგვეხსენებოდა, რომ ლილიპუტების დასის დაშლა არაფრით არ შედიოდა ჩვენი ქალაქის მმართველობის ინტერესებში, არც ფინანსური, არც რაიმე სხვა თვალსაზრისით. მაგრამ ჰუმანიზმის პრინციპებზე დაფუძნებულ ჩვენს არგუმენტაციას, ასე რომ იცავდა ნიჭს, სულის, შემოქმედების თავისუფლებას, რა პასუხს გასცემდნენ? მათი პასუხი კი, უნდა გითხრათ, რაღაც ორჭოფული, ორაზროვანი და სულაც გაუგებარი იყო.

პირველი პასუხი განადიდებდა ჩვენი ცირკის მოღვაწეობას და დაწვრილებით განიხილავდა მის უდიდეს მნიშვნელობას დედაქალაქის, თუნდაც მთელი ერის ცხოვრებისათვის. ხაზგასმული იყო, რომ სპორტულ სანახაობათა (განსაკუთრებით კი ფეხბურთის) შემდეგ, რომელთა წყალობით მამაკაცთა დიდი ნაწილი მღელვარედ ატარებს თავისუფალ დროს და თავისუფლდება ზედმეტი ემოციური ენერჯისაგან, ცირკი მასობრივი მიზიდვის თვალსაზრისით მეორე ადგილზე დგას და სრულიად შეუცვლელ მოვლენას წარმოადგენს, რადგანაც იზიდავს ორივე სქესის ყველა ასაკის ადამიანს ერთი წლიდან მოკიდებული იმ ხნოვანებამდე, ვიდრე კაცს სიარული შეუძლია; რომ სახიფათო, სასაცილო, ვირტუოზული მომენტების, მკვეთრი, სიცოცხლით სავსე მუსიკისა და თავბრუდამხვევი განათების სინთეზით იგი იმგვარად იპყრობს, აოგნებს, ცლის და აღავსებს მაყურებელს, რომ ცირკიდან გამოსულთა სულში ყოველდღიური სანუხარი ძნელადღა იპოვის ადგილს. მეორე პასუხი, რომელიც, ცხადია, ჩვენი პასუხის პასუხს წარმოადგენდა, განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას ბავშვების ბედ-იღბალზე, გულისტკივილითა და ფარული საყვედურით მოგვაგონებდა მათ სათუთ გრძნობებსა და ფსიქიკას, რომელსაც ასე სჭირდება სიცილი და თავდავიწყება. მესამე პასუხი რაღაც გაურკვეველ ეჭვებს გამოთქვამდა ჩვენი გეგმების, ჩვენ მიერ არჩეული ახალი შემოქმედებითი ამპლუის მისამართით, მეოთხე პასუხი აშკარა უარი გახლდათ, გამოთ-

ქმული ფინანსური მოსაზრებების საფუძველზე, მეხუთე – დაუკონკრეტებელი თანხმობა – რალაც განუსაზღვრელი ვადით ითხოვდნენ საქმის გადადებას, მეექვსე – ფაქტიური თანხმობა და მეშვიდე – რეზოლუცია. გეტყვით, რომ არაფრით არ ველოდი საქმის ასე მალე დაგვირგვინებას! ალბათ ხანდახან ბედსაც მოსწყინდება ხოლმე მუდმივი წყრომა და ერთხელაც შემოგლიმებს, და აქ მთავარია, ისეთი ქანცგანყვეტილი არ დაუხვდე, რომ იმის ღიმილს ველარ შეეგებო, როგორც უმეტესად ხდება კიდეც.

სიზუსტის გულისათვის უნდა გითხრათ, რომ ჩვენს პასუხებთან, რომლებიც მათი პასუხების პასუხებს წარმოადგენდა, დავა ადვილი არ გახლდათ. ყველაფერი წინასწარ გვექონდა მოფიქრებული, აწონილ-დანონილი. ჩვენი არგუმენტაცია ჰუმანიზმის ზემოთხსენებული ზოგადი პრინციპების გარდა, შემდეგ კონკრეტულ პუნქტებს შეიცავდა: როგორც სტატისტიკა გვაუწყებს, ვწერდით ჩვენ, ჩვენს დედაქალაქში ღვთის წყალობით (ფუჰ! ამ შემთხვევაში, თორემ ისე რა წყალობაა, პირიქით!) ლილიპუტები ისევ და ისევ იბადებიან (ამ საქმეში ჩვენი ქალაქი ისევ უსწრებს სხვა ქალაქებს), რაც შესაძლებლობას ქმნის, დასი ახალი კადრებით დაკომპლექტდეს და ჩვენ სიხარულით ვაცხადებთ მზადყოფნას შეფობა და კონსულტაციები გავუწიოთ ახალბედა მსახიობებს; რომ უარით დათრგუნული დასის წევრები ე. ი. ჩვენ, ძნელად შექმნიან ლალ და მხიარულ განწყობილებას, რადგანაც მათში ე. ი. ჩვენში ჩაკლული სწრაფვა სხვადასხვა სახით ამოხეთქს, რაც კურიოზულ მდგომარეობას უქადის საცირკო სანახაობას. ხოლო ის წერილი, სადაც რატომღაც რალაც გაურკვეველი ეჭვები იყო გამოთქმული ჩვენი ახალი შემოქმედებითი ამპლუის მისამართით, მართალი გითხრათ, პასუხის ღირსადაც არ ჩავგითვლია. ასე იყო თუ ისე, ბოლოს და ბოლოს, ჩვენს განკარგულებაში აღმოჩნდა ერთი არცთუ დიდი, მაგრამ საოცრად მყუდრო და ლამაზი, ძველი, ბაროკოს სტილით ნაგები შენობა, რომლის ჩუქურთმებიან ჭერზეც ზუსტად ჩვენხელა ლოყებამობერილი, პირში საყვირებგარჩილი ანგელოზები მიმსხდარიყვენ და რომლის ფასადიც სულ მალე დაამშენა წარწერამ: „ლილიპუტების თეატრი“.

მასსოვს ბოლო დღე ცირკის შენობაში. გულთბილად გამოვეთხოვეთ ჩვენს დირექტორს, რომელიც მაგიდასთან დაღვრემილი იჯდა და ზემოთხსენებული მიზეზითა და მიზნით ჩვენთვის შემოპარებულ ლიტერატურას – ფერად-ფერად პრიალა ნიგნებს (ახლა სათითაოდ და თანაგრძნობით რომ ვუდებდით მაგიდის კუთხეში), ხან მარჯვენა და ხან მარცხენა მხარეს აწყობდა. ბოლოს ნიგნების ორ სვეტს შუა აღმოჩნდა, უაზროდ დაამტერდა ჯერ ერთი, მერე მეორე სვეტის სათაურს (რასაც ჩვენ ცხადია, თვალს ველარ ვუნვდენდით) და ამოიხსუკუნა: „გვეძახის, გვიპყრობს, გვამხნეებს მანუჟი“, „ცირკი – საუკუნის სული“. ჩვენ რაც შეგვეძლო, მერწმუნეთ, მთელის გულწრფელობით ვამშვიდებდით და ვამხნეებდით. ვეხვეწებოდით, შეენახა უზარმაზარი ცხვირსახოცი, რომლითაც თვალებს ინმენდდა და გამაგრებულიყო. წინასწარ მივინვიეთ ჩვენს ყველა წარმოდგენაზე და უგულითადესი სურვილებით დავემშვიდობეთ.

თეატრშივე დავბინავდით და შევეუდექით ახალ ცხოვრებას. ჩვენი რეჟისორი, ბედის ირონიით, გოლიათური აღნაგობისა გახლდათ, ცირკის დირექტორზე ბევრად უფრო მაღალი. თუმცა უცნაური და დაბნეული კაცი იყო და ლაპარაკითაც გაუგებრად ლაპარაკობდა, ვერ წავართმევ, ფრიად უწყინარი ბუნებითა და კეთილი გულით გამოირჩეოდა. ყველას, ვინც კი ჩვენ ერთად დაგვინახავდა, გულივერი და მისი პატარა მეგობრები გაახსენდებოდა აუცილებლად და არა ყარაბას-ბარაბასი და მისი თოჯინები, რასაც ასე მოგვაგონებდა ცირკის დირექტორთან ჩვენი ცხოვრება.

როდესაც რეპერტუარის შერჩევაზე ვდავობდით, რეჟისორმა ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ბელგიელი დრამატურგის ტრაგედიები შემოგვთავაზა, მიზეზად კი ის დაასახელა, რომ ეს ტრაგედიები თოჯინების თეატრისათვის იყო დაწერილი. მას მხოლოდ ჩვენი ყოფილი ილუზიონისტი დაეთანხმა. სხვათა სიმპათიები კი ანტიკური და აღორძინების თეატრისკენ იხრებოდა. საქმე ის გახლდათ, რომ ჩვენ ბელგიელი დრამატურგის ღირსებას კი არ უარვეყოფდით, არა, ღმერთმა დაგვიფაროს. რა შეედრება იმ საიდუმლოებით მოცულ სამყაროს, რაც იქ იშლება! მაგრამ ჩვენ

მძაფრი და ბობოქარი მოქმედება გვწყუროდა, მისი პიესეები კი, როგორც ცნობილია, სწორედ ამგვარი ცხოვრების უარყოფას წარმოადგენენ. ჩვენ, ჩვენი წარსულის შემდეგ პირდაპირ ამ დიდ სიჩუმესა და გარინდებაში ჩაძირვა არაბუნებრივად გვეჩვენებოდა. ბოლოს, ხანგრძლივი დავის შემდეგ, რომლის დროსაც ხან ერთი და ხან მეორე ჩემი კოლეგა წამოიჭრებოდა და ოიდიპოსის ან კრეონტის, ოტელოს ან მეფე ლირის განსახიერებას იწყებდა (წარმოიდგინეთ, უკვე ზეპირად იცოდა ყველამ თავისი საყვარელი როლი), არჩევანი „რომეო და ჯულიეტაზე“ შეჩერდა.

მერწმუნეთ, ისეთი მონდომებით და რა გადაჭარბებულადაც არ უნდა ჟღერდეს – თავგანწირვით გადავმევიტ ახალ ცხოვრებაში, რომ ჩვეულებრივ თეატრში არც კი დაესიზმრებათ. ჩვენი რეპეტიციების დროს სიცოცხლე დუღდა და გადმოდიოდა. სადაც ცრემლი იყო საჭირო, წამდვილად ვტიროდით, სადაც ბრძოლა იყო – წამდვილად ვიბრძოდით (ისე რომ, ერთხელ რეჟისორმა ძლივს გააშველა გააფთრებული მონტიეკები და კაპულეტები) და მეტსაც გეტყვით – ჩვენ მზად ვიყავით სიკვდილითაც წამდვილად მოვმკვდარიყავით, ისეთი ძლიერი იყო ჩვენში წამდვილი ცხოვრების სურვილი.

ჩვენმა რეჟისორმა, რომელიც უმეტესწილად მხრებს იჩეჩავდა, კეფას იფხანდა და რალაცას თავისთვის ბურდლუნებდა, მაგალითად, „...სულ ერთია, შედეგი მანც იგივეაო“, რაც ალბათ მისი ცხოვრების რაიმე ამბავს ეხებოდა, რასაც ის ხმამაღლა შეეხმინებოდა ხოლმე, და არა ჩვენს რეპეტიციებს, სრული თავისუფლება მოგვანიჭა და ჩვენც დაულალავად ვმრისხანებდით, ვიბრძოდით, ვლოცულობდით, გვიყვარდა და ვიხოცებოდით.

აბა, მითხარით, ყოველივე ამის შემდეგ, როგორ დაუუჯერებდი ყურებს, როცა პრემიერაზე დარბაზში სიცილი გაისმა? მით უფრო, რომ ჩვენ კომიკური ფრაზები მინიმუმამდე შევკვეცეთ!

თავად მე სუფლიორის მოკრძალებული როლი მხვდა წილად, რადგანაც ჩემი შესაძლებლობები მეორე სპექტაკლისათვის შემოინახეს. და მე, სუფლიორის პატარა ორმოში სკამზე მდგომს, კანტი-კუნტი რალაც ბგერები რომ შემომესმა დარბაზიდან, ცხა-

დია, თავიდან ჩახველება მივიჩნიე, რაც შეეხება მსახიობებს, ისინი ისე იყვნენ გართული, რომ დარბაზს საერთოდ არ აქცევდნენ ყურადღებას. ჩახველება კი რა ისეთი გასაკვირია მაყურებელთა მხრიდან? სახელმწიფო თეატრშიც ხან ერთ, ხან მეორე კუთხეში ჩახველებენ ხოლმე, ხშირად კი ისეთი ხველება აუტყდება ვინმეს, რომ დარბაზსაც ტოვებს – აქოშინებული. დაცემინებაც ხშირია, მოგეხსენებათ, როგორ იმძლავრა ბოლო ხანებში სურდომ და გრიპმა, ლამის სექტემბრიდანვე მოედება ხოლმე ქალაქს და რა ქნას ხალხმა? ამის გულისთვის თეატრში წასვლას ხომ არ აღიკვეთს?! და მეც გულმონყალედ, ასე განსაჯეთ, თანაგრძნობითაც კი ვიყავი გამსჭვალული იმ მაყურებელთა მიმართ, რომლებიც ამ ბგერებს გამოსცემდნენ. ჩქარი გამოჯანმრთელებაც კი ვუსურვე თვითეულ მათგანს.

თვალს ველარ ვწყვეტიდი სპექტაკლის მსვლელობას და ისე გამიტაცებდა ხოლმე, რომ დრო და დრო მეტისმეტად ხმამაღლაც კი მომდიოდა კარნახი და ფაქტიურად მსახიობებს ვასწრებდი სათქმელს, მაგრამ დროზე ავლაგმე მოზღვავებული გრძნობები და ყველაფერი დიდებულად წარიმართა. მერე და მერე კი, დარბაზში ხმაური რომ გაძლიერდა და საეჭვო შეიქნა, რა უნდა მექნა?.. თავი ამოვყავი ჩემი ორმოდან და იქაურობა მოვათვალიერე, რამაც უზომოდ გაზარდა მათი უკვე სრულიად აშკარა მხიარულება.

ისინი იცინოდნენ, ბატონებო, ისინი იცინოდნენ! ისინი იცინოდნენ, როცა რომეო მთვარიან ღამეში სიყვარულს ეფიცებოდა ჯულიეტას (სწორედ ამ დროს წამომცდა მეტისმეტად ხმამაღლა რომეოს სიტყვები), ისინი იცინოდნენ, როდესაც მერკუციო ძირს დაენარცხა! როცა რომეომ განგმირა ტიბალტი! ისინი იცინოდნენ თვით აკლდამაში, სადაც სიკვდილი გამეფებულიყო! აქ მოხდა სწორედ, იმ კეთილშობილმა ბავშვმა თავი რომ ველარ შეიკავა და დაიყვირა!..

როდესაც მესამედ ამოვყავი თავი ორმოდან, თვალში ერთი უზარმაზარი სახე მეცა, სახე, რომელიც ყველაზე ხმამაღლა იცინოდა. დაიხურა თუ არა მისი პირის ვეება წითელი ღრმული და დაღრეცილი ნაკვთებიც თავის ადგილზე დაბრუნდნენ, მაშინვე

ვიცანი: ცირკის დირექტორი გახლდათ. რაც შეეხება ჩვენს რეჟისორს, იმას წამით მოვკარი თვალი კულისებში. დაღონებული უყურებდა სპექტაკლს და კეფას იფხანდა, მერე კი გაქრა. ბოლოს და ბოლოს, მსახიობებიც გამოერკვნენ, როდესაც დაიხოცნენ, მშვიდად გაიშოტნენ ბნელ აკლდამაში და მოისვენეს. იმ სიჩუმეში როგორ შეიძლება არ გაეგონათ ეს ღრიანცელი ანდა ტირილად მიეჩნიათ. მკვდარმა რომეომ თავიც კი წამოყო და დარბაზს გადმოხედა.

ტაშის გრიალში დამთავრდა წარმოდგენა. აგზნებულმა და კმაყოფილმა მაყურებელმა ხელის ქნევითა და მონონების შეძახილებით დატოვა დარბაზი. მსახიობები კი – ერთმანეთისათვის არ შეუხედავთ, ხმაამოუღებლად დაიშალნენ.

რაც შემეხება მე, ჩემი ორმოდან ამოსვლა აღარ მინდოდა. იქ, ორმოში, ბევრ რასმე მივხვდი, მაგრამ არ მსურდა სახელის დარქმევა. ამ აფორიაქებულ ფიქრებს ჩვენი რეჟისორის ფრაზა მისდევდა ლაიტმოტივად: „სულ ერთია, შედეგი მაინც იგივეაო“. დიახ, შედეგი სიცილი გახლდათ. და ნუთუ აქ ცირკიც კი არაფერ შუაში იყო? ნუთუ მხოლოდ და მხოლოდ ტანი, დიდი ვნებებისკენ წაწვდილი ჩვენი პატარა ტანი ქმნიდა ენითაუნერელ კომედიას? აქ კი არა, განა ეკლესიაშიც არ მქონდა შემჩნეული ირონიის სხივი (რომელიც არ მსურდა შემემჩნია) ჩვენსკენ მომართულ თვალებში: ნუთუ ისინიც უწყინარი (არა, ბატონებო, მე ღვარძლს არავის დავაბრალებ), – დიახ, უწყინარი ხუმრობით ფიქრობდნენ, რომ ჩვენ ასე პატარებს პატარა ღმერთი უფრო შეგვშვენოდა და ეკლესია? ნუთუ ჩვენი წამდვილი მაყურებლები მხოლოდ ბავშვები და ანგელოზები შეიძლება ყოფილიყვნენ? მაგრამ ბავშვებს ამ წარმოდგენაზე არ უშვებენ (ის სათნო ბავშვიც როგორღაც შემოიპარა) და როგორც საექვო პირებს, არც ანგელოზებს შემოუშვებენ, კიდევაც რომ მოინდომონ ჩვენს დარბაზში მობრძანება და კართან ჩვეულებრივი ბილეთი წარადგინონ, ხოლო გულთამხილავი, მაგრამ უხილავი მაყურებლის სახით ისინი ბევრს ვერაფერს გვშველიან ამ სცენაზე, ჩვენი თეატრის ორომტრიალში. მაგრამ, ერთი ნუთით, ბატონებო! ჩვენს მაყურებელს რომ ეთამაშა იმავე სპექტაკლში, განა ის კი არ იქნე-

ბოდა სასაცილო? განა იმ დიდ-დიდ როლებში ისე არ იფართოხუნებდნენ, როგორც დაგვალული შვილიშვილები ახოვანი პაპების პალატოებში?! მიუხედავად დიდი ტანისა! ოლონდაც. და ვინ არ იქნებოდა სასაცილო? თვალი მოვავლე უკვე ცარიელ დარბაზს და ის გამახსენდა! – ვინრომაჯებიანი, აღშფოთებული ბავშვი! – ის არ იქნებოდა. კიდევ მრავალი სხვა ფიქრი მიტრიალებდა თავში, მაგრამ მე ეს შეკითხვები ღიად დავტოვე. ღია შეკითხვა ცხოვრების გაგრძელების საწინდარია და „ნუთუ“ მაინც ნუგეში. იმდღევანდელი ამბავი ისევ გაუგებრობით ავხსენი, შემთხვევად, დამთხვევად მივიჩნიე და ცხოვრების აუხსნელ მოვლენებს მივაკუთვნე. ბოლოს და ბოლოს პანაშვიდზეც წასკდებათ ხოლმე სიცილი, და იქ სასაცილო ხომ ნამდვილად არაფერია, უფრო მეტიც: არც ეცინებათ გულში...

მაგრამ ღამით, როდესაც ჩემი მანსარდის პატარა აივანზე გავედი და ტირილი მომესმა, გულმა ველარ მომითმინა და აღმომხდა ის... რაც მაშინ რომეოს ნაცვალ ნამოვიძახე... გვერდითა აივნის მოაჯირზე დამხობილმა, ისევ ჯულიეტას კაბაში გამონყობილმა ბეატამ თავი აიღო და დანითლებული, ცრემლებით სავსე თვალებით შემომხედა... მე კი უნებურად, თავზარდაცემულმა მოვავლე თვალი ქვემოთ, მთვარით განათებულ ბაღს: ალბათ იქაც არიან ჩასაფრებულნი და საცაა სიცილი იფეთქებს-მეთქი.

ნაირა გელაშვილი.

მოთხრობები.

თბილისი: გამომცემლობა „მერანი“. 1984.

მ

ო'ჰენრი (ნამდვილი სახელი – უილიამ სიდნეი პორტერი) 1862 წელს დაიბადა ჩრდილო კაროლინაში. წერა 80-იან წლებში დაიწყო. თან მუშაობდა ბანკში, საიდანაც გაფლანგვის ბრალდებით გაათავისუფლეს. იგი ჯერ სამხრეთ ამერიკაში ემალებოდა მართლმსაჯულებას, შემდეგ კი შტატებში დაბრუნდა და სამი წლის მანძილზე ოჰაიოს ციხეში იხდიდა საჯელს. აქ მან მრავალი მოთხრობა დაწერა, რომლებიც გამოაქვეყნა ო'ჰენრის ფსევდონიმით. 1904 წელს დაიბეჭდა მისი ერთადერთი რომანი „მეფეები და კომბოსტოები“, შემდეგ წლებში კი მოთხრობების კრებულები, რომლებმაც მას საყოველთაო აღიარება მოუტანა. სიცოცხლის ბოლოს მას დიაბეტი და ცეროზი ტანჯავდა. იგი 47 წლის ასაკში გარდაიცვალა ნიუ-იორკში, 1910 წელს.

პოლისემი და ჰიმი

სოპი მედისონ-სკვერში თავის ძელსკამზე აწრიალდა.

როცა გარეული იხვების გუნდი მალლა ცაში აფრინდება, როცა სიასამურის ქურქზე მეოცნებე ცოლი ქმარს დაუტკბება, როცა სოპი პარკში ძელსკამზე აწრიალდება, ეს ნიშნავს – ზამთარი კარს მოგვადგა.

ყვითელი ფოთოლი სოპის მუხლებში ჩაუვარდა. ეს ჯეკ ფროსტის – ყინვის ბაბუის სავიზიტო ბარათი გახლდათ. იგი მედისონ-სკვერის მუდმივ ბინადრებს კეთილად ექცევა და თავის მოახლოების შესახებ პატიოსნად აფრთხილებს. ოთხი ქუჩის გასაყარზე თავის ბარათებს ჩააბარებს ხოლმე ჩრდილოეთის ქარს, „ღია ცის ქვეშ“ სასტუმროს შვეიცარს. ასე რომ, მდგმურებს შეუძლიათ მოემზადონ.

სოპიმ გააცნობიერა, მოსულა დრო მოახლოებული სუსხისა და ყინვისაგან საკუთარი პერსონის გადასარჩენად საჭიროა შევიდეს სახსრებისა და საშუალებების მოსაძიებელ ერთკაციან კომიტეტში. ამიტომაც აწრიალდა ძელსკამზე.

სოპის გეგმები ზამთრის სეზონზე განსაკუთრებული პატივმოყვარეობით არ გამოირჩეოდა. არც ხმელთაშუა ზღვის კრუიზი

აფიქრებდა და არც სამხრეთის ცით ტკობა ვეზუვის ყურეში იახტით გაჩერებისას. სამი თვე კუნძულზე – აი, რა სწყუროდა მის სულს. სამი თვე საიმედო თავშესაფარი და უზრუნველი ლუკმა სასიამოვნო კომპანიაში, ჩრდილოეთის ქარისა და პოლისმენებისგან დაცული ყოფა – სოპისტვის ოცნების მწვერვალს წარმოადგენდა.

წლების განმავლობაში სტუმართმოყვარე „ბლეკველზი“ მისთვის ზამთრის რეზიდენციის როლს ასრულებდა. იმის მსგავსად, როგორც მისი უფრო იღბლიანი თანამოქალაქეები პალმ-ბიჩსა თუ რივიერაზე გასამგზავრებლად ბილეთებს ყიდულობდნენ, სოპიც კუნძულზე ყოველწლიური მოგზაურობისათვის მარტივ ზომებს იღებდა. და, აი, დროც დადგა. წინა ღამით სამმა ცალმა საკვირაო გაზეთმა, პიჯაკის ქვეშ, კოჭებსა და მუხლებზე რომ შემოიხვია, სიცვიისგან ვერ დაიცვა, ძველ პარკში შადრევნის გვერდით როცა ეძინა ძელსკამზე. კუნძული სოპის გონებაში დროულ, სანუკვარ თავშესაფრად იქცა. სოპი ამრეზით უყურებდა იმ ზრუნვას, ქალაქი რომ ეწეოდა უსახლკაროთათვის ქველმოქმედების სახელით. მისი აზრით, კანონი უფრო მონყალე გახლდათ, ვიდრე ფილანტროპია. არსებობდა უამრავი დაწესებულება, როგორც მუნიციპალური, ასევე კერძო, სადაც მას შეეძლო თავისი მოკრძალებული მოთხოვნების შესაბამისად თავშესაფარი და ლუკმაპური მიეღო. მაგრამ სოპის ამაყი სულისთვის ქველმოქმედების საჩუქარი მიუღებელი იყო. ფილანტროპიის ხელიდან მიღებულ ყოველ სიკეთეზე ფულით თუ არა, დამცირებით მაინც უნდა გადაგებოდა. როგორც ცეზარს ჰყავდა თავისი ბრუტუსი, ასევე ყოველ საქველმოქმედო საწოლს თან სდევდა აუცილებელი აბაზანა, ყოველ ლუკმაპურს კი – სულში უბოდიშო ჩაძრომა და ხელის ფათური. ამიტომაც ერჩივნა კანონის სტუმარი გამხდარიყო, სადაც ყველაფერი მკაცრად დადგენილი წესით ხდებოდა, სამაგიეროდ, ჯენტლმენის პირად საქმეში ცხვირს არავინ ყოფს.

სოპიმ კუნძულზე გამგზავრება გადაწყვიტა და განზრახვის განხორციელებას უმალ შეუდგა. ციხეში მრავალი მარტივი გზა

მიდიოდა. ყველაზე სასიამოვნო შემდეგი იყო – ისაღილო რომელიმე ძვირ რესტორანში და მერე, როცა გამოაცხადებ, რომ ვერ გადაიხდი, მშვიდად, ყვირილისა და ჩხუბის გარეშე, პოლისმენს გადაგცემენ. საქმეს კი დაუზარელი მოსამართლე დააგვირგვინებს.

სოპი წამოდგა, პარკიდან გამოვიდა და ასფალტის ზღვას გაუყვა, რომელსაც ბროდვეისა და მეხუთე ავენიუს შესაყარი ქმნის. ბროდვეიზე გაიარა, გაჩახჩახებულ კაფესთან შეჩერდა, სადაც ყველაფერი საუკეთესო შეეკრიბათ, რაც კი შეიძლება ვაზმა, აბრეშუმის ჭიამ და პროტოპლაზმამ მისცეს ადამიანს.

სოპი თავის თავში დარწმუნებული გახლდათ – ჟილეტის ქვედა ლილიდან ზევით. გაპარსული იყო, პიჯაკი ურიგოდ არ გამოიყურებოდა, ყელზე ეკეთა შავი ფერის ჰალსტუხი-პეპელა, რომელიც მისიონერმა ქალბატონმა „მადლიერების დღეზე“²⁰ აჩუქა. თუკი რესტორანში მაგიდამდე მისვლას მოახერხებს, წარმატება გარანტირებულია. მისი ის ნახევარი, რომელიც სუფრის ზევით იქნება, ოფიცინტს ეჭვს არ აღუძრავს. შემწვარი იხვი, გაიფიქრა სოპიმ, ზედგამოჭრილი იქნება, და ზედ ერთი ბოთლი „შაბლი“, მერე კამამბერი, ფინჯანი ყავა და სიგარა. დოლარიანი სიგარა იკმარებს. ანგარიში, საერთო ჯამში, არც ისე დიდი გამოვა, რომ კაფეს ადმინისტრაციას განსაკუთრებულად სასტიკი შურისძიებისკენ უბიძგოს; და ისიც, ასე და ამგვარად პირჩაკოკლოზინებული, ზამთრის თავშესაფრისკენ სასიამოვნო მოგზაურობას დაიწყებს.

მაგრამ შეაბიჯა თუ არა სოპიმ რესტორანში, მეტრდოტელის დაგეშილმა თვალმა უმაღლ შენიშნა გაქუცული შარვალი და შელახული ფეხსაცმელი. ძლიერმა, მარჯვე ხელებმა წამში გაატრიალეს და გარეთ, ტროტუარზე უხმოდ გასვეს – ასე იხსნეს იხვი მისთვის გამზადებული საბედისწერო მომავლისგან.

სოპი ბროდვეის მოშორდა. როგორც ჩანს, აღთქმული კუნ-

20 „მადლიერების დღე“ – ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ნაციონალური დღესასწაული, აშშ-ში 1941 წლიდან აღნიშნავენ ნოემბრის მეოთხე ხუთშაბათს. უკავშირდება პირველ კოლონიტებს.

ძულისკენ მიმავალი გზა ია-ვარდით მოფენილი არ იქნება. სხვა საშუალება უნდა გამოიხატოს.

მეხუთე ავენიუს კუთხეში გამვლელთა ყურადღებას კაშკაშა სინათლით განათებული ვიტრინა იპყრობდა შიგ ათასნაირი, ლამაზად გამოფენილი საქონლით. სოპიმ ქვა აიღო და ვიტრინა ჩაამსხვრია. წამსვე შეგროვდა ხალხი, ყველაზე წინ პოლისმენი მორბოდა. სოპი მშვიდად იდგა, ხელები ჯიბეში ეწყო, პოლიციელს უღიმოდა.

– ეს ვინ გააკეთა? – უმალ იკითხა ოფიცერმა.

– ხომ არ ფიქრობთ, ამასთან გარკვეული კავშირი მაქვს? – სოპიმ შეფარული სარკაზმით, თუმც კი მეგობრულად ჰკითხა, კაცივით, იღბლიან შემთხვევას გულით და სულით რომ მიესალმება.

პოლისმენმა არ ისურვა, თუნდაც თეორიულად, სოპი ეჭვმიტანილად განეხილა. ვიტრინას ვინც ამსხვრევს, კანონის დამცველებთან სამასლაათოდ ადგილზე არ რჩება, თავქუდმოგლეჯილი გარბის ხოლმე. პოლისმენმა თვალი მოჰკრა კაცს, ნახევარი კვარტალის დაშორებით ტრამვაის რომ მისდევდა. ხელკეტი შემართა და იმ ვილაცას გაეკიდა. გუნებამოშხამული სოპი ნაბორიალდა. მეორეჯერაც არ გაუმართლა.

ქუჩის მოპირდაპირე მხარეს არც მაინცდამაინც გამორჩეული რესტორანი იყო, დიდი მადისა და მცირე შეძლების მქონეთათვის, სადაც თიხის ჭურჭელი და ატმოსფერო მძიმეა, სუფრები და წვნიანი კი – თხელ-თხელი. სოპიმ იქ თავისი „დანაშაულებრივი“ ფეხსაცმლითა და „ყბადაღებული“ შარვლით ყოველგვარი გართულების გარეშე შეაღწია. მაგიდას მიუჯდა, ბიფშტექსი, მაჭკატები, ფუნთუშები და ნამცხვარი მიირთვა. შემდეგ კი ოფიციალტს უთხრა, რომ იგი და ყველაზე წვრილი, ხუთცენტისანი მონეტაც კი არ იცნობენ ერთმანეთს.

– ახლა კი, – უთხრა სოპიმ, – სასწრაფოდ დაუძახეთ პოლიციას. თუ შეიძლება, იჩქარეთ, ჯენტლმენს ნუ ალოდინებთ.

– ვერ მოგართვით პოლიცია, – მიუგო ოფიციალტმა ფუნთუშასავით დატკბილული ხმით. თვალები კოქტიელის ალუბლებს მიუგავდა, – ჰეი, კონ, მომეხმარე!

ორმა ოფიციალმა სოპი ქვის ტროტუარზე მარცხენა ყურით დააგდო. სოპი დურგლის დასაკეცი საზომივით ნაწილ-ნაწილ ნა-მოიმართა და მტვერი ჩამოიფერთხა. დაპატიმრება ვარდისფერ ოცნებად გადაქცეოდა. კუნძულამდე თვალუნვდენელი გზა იყო. აფთიაქის წინ მდგარმა პოლიციელმა შეხედა, ჩაიცინა და ქუჩას გაუყვა.

სოპიმ ხუთი კვარტალი გაიარა, სანამ გამბედაობა მოიკრიბა, კიდევ ერთხელ რომ ეცადა ბედი. ამჯერად შესანიშნავი შანსი მიეცა, თავისი ქუთით. ახალგაზრდა, მოკრძალებული და სასიამოვნო გარეგნობის ქალი ვიტრინასთან იდგა და საპარს მონ-ყობილობებსა და სამელნეებს ინტერესით ათვალიერებდა. იქვე, ორი იარღის მოშორებით, სქელი პოლისმენი იდგა – სახანძრო ონკანს ეყრდნობოდა.

სოპიმ გადაწყვიტა ყველასათვის საძულველი ქუჩის ლოვე-ლასის როლი ეთამაშა. დასახული „მსხვერპლის“ წესიერი გარეგნობა და პოლიციელის სიახლოვე საფუძვლიან იმედს აძლევდა, რომ სულ მალე მხარზე კანონის სასიამოვნო, ოფიციალურ ხელს იგრძნობდა და კუნძულზე ზამთრის რეზიდენციაც გარანტირებული ექნებოდა.

სოპიმ მისიონერი ქალის ნაჩუქარი ჰალსტუხი შეისწორა, სახელოებიდან თავისი ურჩი მანუეტები გამოაჩინა, ქუდი გვერდზე მოიგდო და პირდაპირ ქალისკენ გაემართა. თვალი ჩაუკრა, ჩაახველა, გაუღიმა, ჩაიცინა, ერთი სიტყვით, ქუჩის ლოველასის კლასიკური არსენალი სრულიად უტიფრად აამოქმედა. გვერდითი მზერით სოპი ხედავდა – პოლიციელი აკვირდებოდა. ახალგაზრდა ქალმა რამდენიმე ნაბიჯი გაიარა და ისევ ვიტრინას მიაჩერდა. სოპი მიჰყვა, თავხედურად დაუდგა გვერდით, ქუდი ოდნავ ასწია და თქვა:

– ჰეი, ლამაზო, ხომ არ გინდა ცოტა გავერთოთ?

პოლისმენი თვალს არ აშორებდა. საკმარისი იყო შეურაცხყოფილ ქალს თითოთ ერთადერთი მოძრაობა გაეკეთებინა, რომ აღტყეული კუნძულისკენ მიმავალი გზა ხსნილი ექნებოდა. სოპი პოლიციის უბნის მხურვალე ატმოსფეროს წინასწარ გრძნობდა. ახალგაზრდა ქალმა შეხედა და სოპის მკლავს ჩაეჭიდა.

– სიამოვნებით, მაიკ! – მხიარულად უპასუხა, – თუკი ლუდ-

საც დამალევიანებ. ადრევე დაგელაპარაკებოდი, მაგრამ პოლისმენი გვიყურებდა.

ქალი ისე შემოეხვია, როგორც სურო – მუხას. დაღვრემილმა სოპიმ მასთან ერთად ცხვირწინ ჩაუარა პოლისმენს. ეტყობა, თავისუფლებაზე ყოფნა მისჯილი აქვს.

პირველივე კუთხეში ქალი ჩამოიბერტყა და მოკურცხლა. შეჩერდა კვარტალში, სადაც ქუჩები რეკლამის შუქით იყო განათებული, სადაც გამარჯვება ადვილია, გული ლალია და ყველაფერი თამამია.

ძვირფას ბენვის ქურქებში გახვეული ქალები და თბილ პალტოებში გამოწყობილი მამაკაცები მხიარული მუსაიფით სეირნობდნენ ლამისაა ზამთარივით ცივ საღამოს. უცებ სოპი დაიზაფრა, საშინელმა აზრმა გაუელვა, რომ, შესაძლოა, რაღაც ბოროტმა ძალებმა მოაჯადოვეს და პოლიციისთვის მიუწვდომელი გახადეს. კინლამ პანიკაში ჩავარდა და როდესაც მორიგე პოლიციელს ჩაუარა, რომელიც გაბრჭყვიალებული თეატრის წინ მედიდურად იდგა, გადაწყვიტა „საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას ნესრიგის დარღვევის“ ხავსს მოჭიდებოდა.

ვითომცდა მთვრალი, მთელი ძალით აღრიალდა ტროტუარზე ჩახრინნული ხმით – აქაოდა, ვმდერო. თან ცეკვავდა, იმანჭებოდა, იგრინებოდა, ყვიროდა, ერთი სიტყვით, ყველანაირად არღვევდა ნესრიგს.

პოლისმენმა ხელკეტი დაატრიალა, სოპის ზურგი შეაქცია და გამვლელს უთხრა:

– ეს იელის უნივერსიტეტის სტუდენტია. გამარჯვებას აღნიშნავენ, ჰარტფორდის კოლეჯს ფეხბურთის მატჩი მოუგეს. კი ხმაურობენ, მაგრამ საშიში არაფერია. ინსტრუქცია მოგვცეს, ხელი არ ვახლოთ.

სასონარკვეთილმა სოპიმ უშედეგო ფოიერვერკი შეწყვიტა. ნუთუ პოლისმენი აღარასოდეს დაადებს ხელს? კუნძული უკვე მიუწვდომელ არკადიად²¹ ერგენებოდა. თხელი პიჯაკი ბოლომდე შეიკრა – ცივი ქარი ძვალ-რბილში ატანდა.

21 არკადია – რეგიონი საბერძნეთში, პელოპონესის ნახევარკუნძულზე. გადატანილი მნიშვნელობით: ამქვეყნიური სამოთხე, უტოპია.

თამბაქოს მაღაზიაში თვალი მოჰკრა კარგად ჩაცმულ კაცს, რომელიც გაზის სანთურზე სიგარას უკიდებდა. აბრეშუმის ქოლგა შესასვლელთან დაეტოვებინა. სოპიმ ზღურბლს გადააბიჯა, ქოლგას ხელი სტაცა და ნელი ნაბიჯით წავიდა. სიგარიანი კაცი მიჰყვა.

– ეს ჩემი ქოლგაა, – მკაცრად უთხრა.

– მართლა? – სოპიმ თავხედურად გაუღიმა და ამით წვრილმან ქურდობას პიროვნების შეურაცხყოფაც დაურთო, – რატომ არ ეძახით პოლიციას? დიახ, ავიღე. თქვენი ქოლგა! რატომ არ ეძახით პოლიციელს? აგერა დგას, კუთხეში.

ქოლგის მფლობელმა ნაბიჯები შეანელა, ასევე სოპიმაც. გრძნობდა, ბედისწერა ახალ მუხტლობას უმზადებდა. პოლისმენი ინტერესით უყურებდა ორივეს.

– კი ბატონო, – ჩაილაპარაკა ქოლგის პატრონმა, – რასაკვირველია... თქვენ... იცით, ასეთი შეცდომები როგორც ხდება ხოლმე... მე... მოკლედ, რესტორანში ვნახე და წამოვიღე... თუკი იცანით, იმედია, რომ... თუ ეს მართლა თქვენი ქოლგაა, იმედია, მაპატიებთ...

– რა თქმა უნდა, ჩემია, – გაბრაზებით მიუგდო სოპიმ.

ქოლგის ყოფილმა პატრონმა უკან დაიხია. პოლისმენი კი მდიდრულ მანტოში გამოწყობილი მაღალი ქერათმიანი ქალბატონის დასახმარებლად გაეშურა: ქუჩაზე უნდა გადაეყვანა, რადგან ორი კვარტლის დაშორებით ტრამვაი გამოჩნდა.

სოპიმ რეკონსტრუქციისგან დამახინჯებული ქუჩით აღმოსავლეთისკენ გადაუხვია. ქოლგა ორმოში მოისროლა ბოლმით. ხელკეტიან-რკინისჩაფხუტიანებს აგინებდა. როგორ უნდა მათ კლანჭებში მოხვდეს, არადა, ისე ექცევიან, როგორც მეფეს, რომელიც ცუდს ვერაფერს ჩაიდენს.

ბოლოს სოპი აღმოსავლეთ მხარეს ერთ-ერთ ავენიუზე გავიდა, სადაც ხმაური და რეკლამების კაშკაშა შუქი უკვე ვეღარ აღწევდა. გეზი მედისონ-სკვერისკენ აიღო, რადგან შინ დაბრუნების ინსტინქტი მაშინაც კი მოქმედებს, როცა სახლი მხოლოდ და მხოლოდ პარკის ძელსკამია.

ერთ უჩვეულოდ ჩუმ კუთხეში სოპი შეჩერდა. იქ ძველი, ნან-ვეტიტულსახურავიანი ეკლესია იდგა.

ისფერვიტრაჟიანი სარკმლიდან რბილი სინათლე იღვრებოდა. ორლანისტი, ეტყობა, თავის ინსტრუმენტთან დარჩა, საკვირაო საეკლესიო ჰიმნი კიდევ ერთხელ რომ დაეკრა. სოპის მუსიკის ტკბილი ჰანგები ესმოდა, ლითონის ღობის მოჩუქურთმებულ რიკულებს მიეკრო.

ელვარე მთვარე უშფოთველად ანათებდა, მანქანები და გამ-ვლელები თითქმის არა ჩანდნენ, სახურავების ქვეშ შეყუჟული ბელურები ძილში ერთი-ორს ნაიჟლურტულებდნენ ხოლმე, – შეიძლება გეფიქრა, სოფლის სასაფლაოზე მოვხვდიო. საორლანო ჰიმნმა სოპი ლითონის მესერს მიაჯაჭვა, რადგან იმ დროიდან იცნობდა მას, როცა მისი ცხოვრება შეიცავდა ისეთ რალაცეებს, როგორიცაა: დედები და ვარდები და ამბიციები და მეგობრე-ბი და სუფთა აზრები და ქათქათა საყელოები. ძველი ეკლესიის მუსიკამ სოპის სულში უეცარი და განსაცვიფრებელი გადატ-რიალება მოახდინა. შეძრწუნებულმა დაინახა ჭაობი, რომელშიც ფართხალებდა, – სამარცხვინოდ გატარებული დღეები, უღირსი სურვილები, დაღუპული იმედები, ყველაფერი, რისგანაც ამჟამად შედგებოდა მისი ცხოვრება.

მოულოდნელად მისი გული ამ ახალი განწყობის შესატყვისად აძგერდა. თავის თავში იგრძნო ძალა, მუხთალ ბედისწერას წინ აღდგომოდა. ჭაობიდან ამოვა, ადამიანად იქცევა, დაამარცხებს ბოროტს, რომელმაც დაიმონა. ჯერ კიდევ აქვს დრო, ჯერ კიდევ შედარებით ახალგაზრდაა. ძველ ამბიციებს გაიხსენებს, ენერ-გიულად შეუდგება მათ განხორციელებას. ორლანის დიდებულმა, ტკბილმა ჰანგებმა მის სულში გადატრიალება მოახდინა. ხვალვე ნავა ქალაქის საქმიან კვარტალში და სამუშაოს იშოვის. ბენვეუ-ლის ერთი შემომტანი ოდესღაც მეეტლის ადგილს სთავაზობდა. ხვალვე მოძებნის და სამსახურსა სთხოვს. მას უნდა ადამიანი გახდეს. მას უნდა...

სოპიმ მხარზე ვილაცის ხელი იგრძნო. ეგრევე შეტრიალდა და პოლისმენის ფართე სახე შემოეფეთა.


– აქ რას აკეთებ? – ჰკითხა მან.

- არაფერს, - მიუგო სოპიმ.
- მაშინ, წამოდი, - თქვა პოლიციელმა.
- სამი თვე კუნძულზე, - გამოაცხადა მოსამართლემ მეორე დილას.

ინგლისურიდან თარგმნა

ირაკლი ლომოურმა

ო'ჰენრი. მოკლე მოთხრობები. ინგლისურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ირაკლი ლომოურმა. თბილისი: გამომცემლობა L. 2009.



ნუზგარ ვასაიძე 1944 წელს დაიბადა თბილისში. სკოლის დამთავრების შემდეგ ერთხანს სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკის ფაკულტეტი. სხვადასხვა წლებში მუშაობდა თბოელექტროცენტრალში ტურბინის მემანქანედ, საქართველოს ენერგოსისტემაში ინჟინრად, გაზეთ „ლელოს“ რედაქციაში, გამომცემლობა „მერანში“, ჟურნალ „ომეგაში“. პირველი მოთხრობა („თეთრი ყვავილები“) გამოაქვეყნა 1968 წელს ჟურნალ „ცისკარში“, 1979 წელს გამოსცა პირველი კრებული – „მოთხრობები“. არის მრავალი მხატვრული და დოკუმენტური ფილმის სცენარის ავტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1996), ტელესერიალ „ცხელი ძაღლის“ სცენარის თანაავტორი (კოტე ჯანდიერთან ერთად). მიღებული აქვს გონფრევილის საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზი საუკეთესო სცენარისათვის („გალმა ნაპირი“. 2009), გარდაიცვალა 2009 წელს.

ნოემბრის წვიმა

– ბატონო, ბატონო? – ალექსანდრემ ყურზე ხელისგული შემოიღო, თავი ოდნავ გვერდზე გადახარა და მესამე რიგში მჯდომ პარუნაშვილს ჩანითლებული ქუთუთოების ხამხამით მიაჩერდა.

გარეთ წვიმდა. ბნელოდა. ფანჯრის სველ მინებში საკლასო ოთახი ირეკლებოდა და იქაც, იმ ანარეკლშიც ზუსტად ისევე ყურზე ხელისგულშემოდებული იდგა მოხუცი ალექსანდრე, ზუსტად ისევე – ოდნავ თავგადახრილი მისჩერებოდა პარუნაშვილს და მუშა-ახალგაზრდობის საღამოს სკოლის ხანგადასული მოსწავლეებიც სწორედ ისევე გაჩუმებულები და თავჩალუნულები ისხდნენ მერხებზე.

– პარუნაშვილი, ადექი ახლავე და გაიმეორე, რაც თქვი!

– ნუ მიყვირით – სახე მოელრუბლა პარუნაშვილს.

– ადექი-მეთქი!

– კლასობრივ მტრებს აქებთ, ბურჟუაზიულ პროპაგანდას ეწევით და კიდევ თქვენ ყვირით?!

– ვინ არის, ბიჭო, კლასობრივი მტერი?! – სახეზე შეცბუნებული ლიმილმა გადაურბინა მოხუცს.

– ვინ და მაგ ლექსის დამწერი!

ალექსანდრე გაფითრდა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, ცარცით დასვრილი თითები გაინმინდა, მერე პარუნაშვილს მიუახლოვდა, ყურში ნასწვდა და თავი ღონივრად შეუქანჯალა.

საკლასო ოთახში სიოსავით გაირბინა ჩურჩულმა.

პარუნაშვილმა თავი გასწია, მასწავლებელს ყურიდან ხელი გააშვებინა, მაგრამ ალექსანდრემ მაინც იმარჯვა და ახლა მოკაკვული თითი ჩასცხო ოდნავ შემელოტებულ კინკრიხოში.

– მდაა!... – გადატეტკილი ტუჩები ღიმილმა დაუბრიცა პარუნაშვილს.

ალექსანდრე გამობრუნდა, მაგიდასთან მივიდა, სკამი გამოსწია, დაჯდა და გამტკნარებულ კლასს მკაცრი მზერა მოავლო.

ალექსანდრემ ქოლგა გაშალა და მერე კარგა ხანს იწვალა, სანამ იმ გაშლილი ქოლგით კარში გაეტეოდა.

ნელი, ბებრული ნაბიჯით გაუყვა შინისაკენ. ტროტუარზე მოზრდილი გუბეები იდგა, მაგრამ, რაკილა კალოშები ეცვა, იმ გუბეებს მაინცადამაინც არ ერიდებოდა.

ნოემბრის ცივი თქორით ჩამობურულ ქუჩაში არავინ ჩანდა.

სკოლის შენობას რომ გასცდა, უკნიდან აჩქარებული ნაბიჯების ხმა შემოესმა. კოლია ფურცხვანიძე უნდა ყოფილიყო – სკოლის დირექტორი, შინისაკენ მიმავალს სწორედ ამ ადგილას წამოეწეოდა ხოლმე და მერე ერთად აგრძელებდნენ გზას.

გაჩერდა და უკან მიიხედა. კი, კოლია იყო – მაღალი, კალისავით გამწვანებული კაცი. იმ სიბნელეში, რა თქმა უნდა, მისი სახის გამომეტყველებას ვერ გარჩევდა, მაგრამ ალექსანდრეს მაინც მოეჩვენა, რომ დირექტორი რაღაცას შეეწუხებინა.

მოახლოებისთანავე კოლიამ მიიხედა-მოიხედა, ცარიელი ქუჩა ფრთხილად დაზვერა და იმის ნაცვლად, რომ ალექსანდრესთვის

ჩვეულებისამებრ მკლავში ხელი გამოედო და რაიმე სახუმარო ეთქვა, მკაცრი ხმით ჰკითხა:

- ეგ რა ჩაგიდენიათ, ბატონო ალექსანდრე, ა?
- რა ჩამიდენია?!
- კი მაგრამ, არ იცით, ვინ არის პარუნაშვილი?

ალექსანდრე გაბრაზდა:

- შენ თუ იცი, რა გამიბედა?
- ვიცი, ბატონო, ყველაფერი ვიცი! მთელი სკოლა მაგაზე ლაპარაკობს.

- მერე?!

დირექტორმა ხელმეორედ მოათვალიერა ცარიელი ქურა, დაიხარა, მოხუცს ქოლგის ქვეშ შეუყო თავი და ჩურჩულით უთხრა:

- ჩეკისტია ეგ, ბატონო ალექსანდრე!
- ვინც უნდა, იყოს!

კოლია შეკრთა, გასწორდა და ახლა ზემოდან ჩამოხედა მოხუცს. ერთხანს მდუმარედ მისჩერებოდნენ ერთმანეთს.

წვიმდა. ქოლგას წურწურით ჩამოსდიოდა წვიმის წყალი.

- ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ბავშვები ხომ არ არიან, როგორ შეიძლებოდა ასე!

- რა ვქნა ახლა, ბოდიში მოვუხადო? იქნებ შინ ვეახლო, დავუჩოქო და...

- არა, არა - ირონია ვერ იგრძნო ფურცხვანიძემ.
- აბა?

დირექტორი ჩაფიქრდა.

- ამაღამ სადმე სხვაგან რომ გაათიოთ?
- დავიმალო?!
- და ჯერჯერობით ნურც სკოლაში მოხვალთ.
- სამსახურიდან მითხოვ, ყმანვილო?!
- ჯერჯერობით, ჯერჯერობით-მეთქი!

დირექტორი შებრუნდა და სველ ტროტუარს ჩქარი ნაბიჯით გაუყვა.

– გტკივა ღამე, საშა?

ალექსანდრემ არ უპასუხა, ცოლის შეკითხვა არც გაუგონია, მაღალზურგიან სავარძელში იჯდა, ხელები გამხმარ მუხლებზე დაეწყო და თვალეგამტერებულს, ფიქრში წასულს ოდნავ ურაცრაცებდა თავი.

უყვარდა ამ სავარძელში ჯდომა. კაცმა რომ თქვას, არც ადრე იყო დიდი დაუდგრომელი ყმანვილი, მაგრამ რაც პენსიაზე გავიდა და სამსახურს თავი დაანება, სულ შეიცვალა – ისე მოეშვა, გაზეთების საყიდლად აღარ გადიოდა ქუჩაში. ხეიბარით მიეჯაჭვა იმ გაქუცულ სავარძელს, იჯდა და ან თვლემდა, ან არადა ფიქრობდა თავისთვის რაღაცას, ათჯერ რომ გეკითხა, ერთ პასუხს არ გაგცემდა.

ელენე თავიდან ყურადღებას არ აქცევდა – რას იზამ, დაბერდა და გამოჩურჩუტდაო, ფიქრობდა, მაგრამ როცა წვერის პარსვასაც მიანება თავი, მაშინ კი ძალიან შემფოთდა, მიხვდა, რომ ალექსანდრემ ფარ-ხმალი დაყარა, სიბერეს ტყვედ ჩაბარდა და ახლა მშვიდად, უდრტვინველად ელოდებოდა სიკვდილს.

ჯერ გაბრაზდა, ისე როგორ უნდა დალაჩრდეს ვაჟკაცი კაცი, რომ წინასწარ დაიკრიფოს გულზე ხელები და სამარეში ჩაწვეს, საკუთარი ნებით მოისპოს სიცოცხლეო, მაგრამ მერე შეეცოდა – ქმარი იყო მაინც, თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე ეწეოდნენ ერთად ცხოვრების ჭაპანს და ამ ხნის მანძილზე სიმწარესთან ერთად სიტკბოც ბევრი ახსოვდა მისგან.

ეგეც არ იყოს, ცოტათი საკუთარ თავსაც ადანაშაულებდა – შვილი რომ გვეყოლოდა, ასე არ მოეშვებოდა, არ მოიმჩვარებოდა, შვილიშვილებს გადააყოლებდა გულს, იმათი სიყვარული გააძლებინებდა და გადაატანინებდა სიბერესო. ერთთავად იმის ფიქრში იყო, რა ვქნა, რით ვუშველო ამ კაცსო. ხან რას მოიგონებდა და ხან კიდევ რას: გადი, საშა, გარეთ, ნახე, რა ყაყაჩოსავით დღეაო! ე ბიჭო, რა იპოვნე ამ სახლში ამისთანა, ადექი, გაისეირნე, თვალს წყალი დააღვეინეო!

ერთხელ თეატრის ბილეთები მოიგანა, ძალით გააპარსვინა

წვერი, კოსტუმი ჩააცვა, ჰალსტუხიც გაუკეთა. ნავიდნენ სპექტაკლზე, ხალხში გაერივნენ, თითო-ოროლა ნაცნობიც ნახეს. ალექსანდრე ცოტა გამოცოცხლდა, გახალისდა, მაგრამ მეორე დღეს ისევ ისე იჯდა იმ დასანვავ სავარძელში გაყურებული, გარინდებული, ფიქრში ნასული.

ბოლოს, ელენე მიხვდა, რომ ალექსანდრეს არც ქუჩაში სეირნობა უშველიდა და არც სპექტაკლებზე სიარული – ამ კაცს უსაქმობა სპობდა. წინათ, სანამ სკოლაში მუშაობდა, საკუთარი თავი საჭირო, გამოსადეგ ადამიანად მიაჩნდა, ახლა კი ზედმეტ ბარგად ქცეულიყო და ამიტომაც იყო ასეთ დღეში. კაცი რომ უსაქმოდ დარჩება, რა ფასი აქვს იმის სიცოცხლეს!

ელენე მიდგა-მოდგა და თავისი ნამონაფარი კოლია ფურცხვანიძე იპოვნა. კარგად აუხსნა ყველაფერი, დაარიგა. ისიც მეორე დღესვე ეწვია შინ და იმდენი უჩიჩინა ალექსანდრეს, ქართულის მასწავლებელი არ მყავს და შენს იქით გზა არა მაქვსო, რომ დააჯერა კაცი!

ასე დაიწყო ალექსანდრემ საღამოს სკოლაში მუშაობა. სულ რამდენიმე საათი ჰქონდა, კვირაში სამჯერ უწევდა მისვლა, მაგრამ ისე შეიცვალა, ისეთნაირად გადასხვაფერდა, ვერც კი იცნობდით – გახალისდა, თითქოს გაახალგაზრდავდა კიდეც და ახლა ძველებურად ისევ გარინდებული და ფიქრში ნასული რომ ნახა, ელენემ იმიტომ ჰკითხა, ხომ არაფერი გტკივაო.

– გტკივა ღამე?

ალექსანდრემ არ უპასუხა, თვალეგამტერებული თავისთვის ფიქრობდა.

ელენე მაგიდას მოსცილდა, წამოვიდა, ქმარს წინ დაუდგა და ნაღვლიანი ღიმილით მიაჩერდა.

იმან ახლალა დაინახა ცოლი.

– ჰმ ჰმ-ს! – ჩაახველა.

– ადექი, ვივახშმოთ.

– ჰო, კაი, კაი! – მაგრამ ალექსანდრე ერთხანს კიდევ იჯდა და საწერ მაგიდასთან, კედელზე გაკრულ სურათებს მისჩერებოდა: აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ილია ჭავჭავაძე. მათ ქვემოთ ოვალურ ჩარჩოში ჩასმული სიმამრის, პოლკოვნიკ გიორგი ჯანელიძის ფოტო.

– ადექი ახლა, ნუ გეზარება!

სავარძლის სახელებს დაებჯინა, სადღაც შიგნიდან დაძრული კენესა შეიკავა და ძლივს აითრია წელი.

ელენეს ღარიბული სუფრა გაეშალა: ჩაი, პური, ყველი, ბლის მურაბა.

სკამი გამოსწია და დაჯდა.

– რაღაც ვერა ხარ გუნებაზე. – სასხვათაშორისოდ უთხრა ცოლმა.

ალექსანდრემ ჩაის მოურია და ისე მიაჩერდა, თითქოს რაღაცის თქმას აპირებდსო.

– ჰო! – წააქეზა იმან.

– დავბერდი, მგონი, ელიკო – გაიღიმა ალექსანდრემ.

– ოჰ, ახალი ამბავი! – ეჭვიანად შეათვალიერა ქალმა.

– ვინ გამახსედა, თუ იცი?.. მამაშენი. თვალწინ დამიდგა, სანყალი!

ელენეს გაეღიმა. იმასაც მოაგონდა მარტოხელა გადამდგარი პოლკოვნიკი – მხნე, ხალისიანი, საყვარელი მოხუცი.

– გახსოვს, სახლი რომ ააშენა ალბულახში?

– ბალი? მერე სად, მიუვალ კლდეზე!

– „პოლკოვნიკ დჟანელიძეზე სოშოლ სუმა, გდე ონ სტროიტ დომ?!“ – ვილაცას გამოაჯავრა მოხუცმა.

– ახლაც მახსოვს იმ ვაშლების სურნელი. ატამი? რა ატმებს გვიგზავნიდა!

– პირველად რომ ვენვიეთ, როგორი გრანდიოზული სადამო მონაწყო, ვინ არ დაპატიჟა „მოია დოჩკა იზ პარიჟა!“ – ახლა სიმამრს გამოაჯავრა ალექსანდრემ. ეტყობოდა კარგად გამოუვიდა, რადგან ელენემ ხმამაღლა გაიცინა.

– ცოლის შერთვა რომ მოინდომა? ოთხმოცი წლის ასაკში, წარმოგიდგენია?

– ჰო, იცინე, იცინე! ვერ გამოუჩნდა მშვენიერი საცოლე?
თანაც ვინ – აბაშიძის ქალი!

– სულელი! ეგონა, მოკვდება და მილიონებს დამიტოვებსო,
რა იცოდა, ყელამდე რომ იყო ვალებში.

– მერე რა ახალგაზრდა, როგორი ლამაზი! რა დაგიმალო,
ელეიკო, და ისეთ ქალზე არც მე ვიტყოდი უარს!

– ჰო, შენც კარგი მუსუსი ხარ, ნუ გემინია!

ისხდნენ და იცინოდნენ. კუჭკუჭებდნენ ბებრულად.

– მასე, შე კაცო, რომ ჩამოგეშვა ცხვირი და იჯექი, – სული
ძლივს მოითქვა ბოლოს ელენემ.

– ეჰ, გიორგი, გიორგი!.. – ამოიოხრა ალექსანდრემ.

ელენემ ჩაი მოსვა და ქმარს შეცბუნებული ღიმილით მია-
ჩერდა:

– უყურე?! ეს ჩაი კი გაგვციებია და!

ნავახშმევს ელენემ სუფრა აალაგა, ჭურჭელი გარეცხა, მერე
ლოგინები გაშალა, ნავთის ლამპას ჩაუნია და დანვა.

ალექსანდრემ ერთხანს კიდეც იბორიალა, სათვალე მოძებნა,
დილანდელი გაზეთი გაშალა, გადაათვალიერა, მაგრამ როცა
ცოლმა გამოსძახა – დანეჭი, კაცო, დაისვენეო, – სანოლ ოთახ-
ში შევიდა, გაიხადა და ჩანვა ლოგინში.

იცოდა, რომ არ დაეძინებოდა და მართლაც, როგორ არ ინვა-
ლა, რამდენი არ იტრიალა, რული არ მიეკარა თვალზე. ელენეს
მალე ჩაეძინა, ალექსანდრე კი ინვა და ისევ იმ შემთხვევაზე
ფიქრობდა: თვალწინ ედგა პარუნაშვილის გაფითრებული სახე,
მისი ავი გამოხედვა, აგონდებოდა კოლია ფურცხვანიძის სიტ-
ყვებიც, ჩეკისტია ეგო, და რალაც ცივი, ნებოვანი თხიერით ევ-
სებოდა სული. იცოდა, რომ ამ გრძნობას გულში შემოპარული
შიში ინვევდა და ცდილობდა წინააღმდეგობა გაენია მისთვის
– სულერთია, ვინც უნდა იყოს და სადაც უნდა მუშაობდესო,
ფიქრობდა, მაგრამ იქვე მეორე ხმაც ჩაესმოდა – არა ხარ მარ-

თალი, სისულელე ჩაიდინე ნამდვილადო. რა ვქნა აბა, მივიდე, მუხლებში ჩავევარდე და პატიება ვთხოვო? – საკუთარ თავზე ბრაზობდა ალექსანდრე, მაგრამ ის შინაგანი ხმაც ჩასაფრებულ-ლივით იქვე იყო: არ გიშველის ეგ, ჩემო ალექსანდრე, აღარაფერი გიშველის, ის პარუნაშვილია თუ ვილაცა ოხერი, მართლა ენკავედეში თუ მუშაობს, არ გაპატიებს ყურების ჭყლეტას და თავში კაკუნს, გათავებულია შენი საქმეო. კოლია ფურცხვან-ნიძის ხმას ჰგავდა ეს ხმა. მეც კარგი ვინმე ვარო, ფიქრობდა გულში, მართლა და მართლა, პატარები ხომ არ არიან, სიტყვიერად გამეკიცხა, გამეთათხა, თუ გინდა. ეს ყურის აწევა და თავში რახუნი რალამ მომაგონაო. შინაგანი ხმა გაჩუმებულიყო, კრინტს აღარ ძრავდა, მაგრამ ალექსანდრე გრძნობდა, რომ იქვე იყო, მისი ტვინის რომელიღაც კუნჭულში განაბულიყო და ჩუმად აყურადებდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ჩაეძინა და ესიზმრა, ვითომ, საკლასო ოთახში მერხზე იჯდა, მერხებს შორის დინჯად მიმოდოდა უკან ხელებშემონწყობილი ევდოკიმ რომანოვიჩ კატუროვი – ჟღალწვერულვაშიანი, შავსერთუკიანი მასწავლებელი და წამლერებით ამბობდა:

– ოტ-ჩე ნა-ა-აშ!..

– ოჩე ნააშ! – გაჰკიოდნენ მოსწავლეები.

ზოგი მართლა „ოჩეს“ გაიძახოდა, ზოგიც „ოჩის“ და იდგა ერთი ყურთასმენის წამლები ღრიანცელი.

– ხორომ! – ბრძანებდა კატუროვი.

– ოტ-ჩე ნა-აშ, ხორომ! – იმეორებდნენ დაბნეული მოსწავლეები.

– ოტ-ჩე ნა-აშ, იყე ე-სი ნა ნე-ბე-საახ ხორომ!

ამ შეძახილზე მთელი კლასი გუგუნებდა და ალექსანდრე ვითომ ძალიან კი ცდილობდა, მაგრამ სიტყვა ვერ დაეძრა, ხმა არ ამოსდიოდა ყელიდან, ამიტომ პირზე ხელს იფარებდა, არ უნდოდა მასწავლებელს მისი ეს პასიურობა შეემჩნია, მაგრამ კატუროვი მაინც მიუხვდა თვალთმაქცობას, გაბრაზებული მიეჭრა და „ვოტ, ტებე! ვოტ, ტებეს“ ძახილით თავ-პირში წკეპლა დასცხო.

გამოეღვიძა შეშინებულს, ხელეზაკანკალებულს.

ლამპა ჩამქრალიყო და ოთახში ნავთის სუნი იდგა.

ალექსანდრე გულაღმა იწვა და იმ კომმარული ზმანებიდან გამორკვევას ცდილობდა. ნელ-ნელა მოდიოდა გონს. ბოლოს ცოლის მშვიდ სუნთქვას მიუგდო ყური, საბოლოოდ გამოფხიზლდა.

სიზმარმა ბავშვობა და მონაფეობის ხანა გაახსენა: ყოველდღე, გაკვეთილების დანწყებამდე, მასწავლებელი ბავშვებს ერთ დიდ საკლასო ოთახში მოუყრიდა თავს და ყველანი ერთად ამბობდნენ „ოტჩე ნაშსა“ და „პრებლაგაი გოსპოდის“, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ კი – „ბლოგოდარიმ ტია, სოზდატელუს“. ეს ლოცვები მასწავლებელმა ბავშვებს პირველ სამკვირაში გააზეპირებინა და მხოლოდ ამის შემდეგ დაანწყებინა რუსული ანბანის შესწავლა. სწავლების მეთოდი მარტივი და, ამასთან, სრულიად გამოუსადეგარი იყო: მასწავლებელს ხელში ეჭირა წიგნი და დამარცვლით კითხულობდა ცალკეულ სიტყვებს, მოსწავლეები იმ სიტყვებს გუნდურად იმეორებდნენ და თან მერხზე გადაშლილი წიგნის ფურცელს მარჯვენა ხელის სალოკ თითს აყოლებდნენ. მასწავლებელი ზოგჯერ წყვეტდა კითხვას და ამონებდა, ყველა ბავშვს ედო თუ არა თითი საჭირო სიტყვასთან. ვაი, მისი ბრალი, ვინც ცდებოდა! ასეთებისთვის კატუროვს მზად ჰქონდა მოქნილი წკეპლა, რომელსაც მუდამ ზურგს უკან მალავდა ხოლმე. ამ მეთოდით ანბანის შესწავლა ბავშვებს ძალიან უჭირდათ, და ამიტომ მხოლოდ ორი-სამი წლის შემდეგლა ახერხებდნენ ასე თუ ისე თავისუფლად კითხვას. სამაგიეროდ, სკოლა ისე დაამთავრეს, რომ სრულიად არ იცოდნენ ქართული წერა-კითხვა. ქართული ენის სწავლება მხოლოდ ცხრაასხუთში შემოიღეს, როცა ალექსანდრე უკვე თვითონ იყო მასწავლებელი.

ერთხელ, მამამ – შეძლებულმა, მაგრამ უწინგურმა გლეხმა, შინ ქართულად ნაწერი ქალაღდი მოიტანა და სადილის შემდეგ შვილს მისცა – შენს გაზრდას, ნამიკითხე ერთი, რა წერია შიგო! – თან მაგიდის გარშემო შემომწკრივებულ მრავალრიცხოვან ჯღაღებს ფარული სიამაყით მოავლო თვალი, აი, საღ გამომადგა

შვილის განსწავლულობა, ტყუილად როდი ვიხდი სკოლის ფულსო! ალექსანდრე ქალაქს ჩააშტერდა, მაგრამ რაკი ვერაფერი გაუგო, მამას დამნაშავესავით მიაჩერდა და წაილულულა, ქართული კითხვა არ ვიცო.

– როგორ, ამდენი ხანია სკოლაში დადიხარ და კითხვა არ იცი?! – გაოცდა მამა, – ეგ არის სწავლა? ფუი, მაგისტანა სკოლას და მაგისტანა მასწავლებელს! ხვალიდან აღარ გნახო იქ მისული, აიღე თოხი და გამომყევი ყანაში!

საქმეში დედა ჩაერია: ნუ იცი, კაცო, მასე შენო, – უთხრა ქმარს, – ქართულის სწავლას რად უნდა სკოლა, აგერ ნახავ, ერთ თვეზე თუ არ შევასწავლო ანბანიო!

მართლაც, მეორე დღესვე დედამ ალექსანდრეს წინ დაუდო გადაშლილი წიგნი და უთხრა:

– აი, ეს არის „ა“! აბა, ამისთანა სხვაგანაც მიპოვნე!

ალექსანდრემ მაშინვე უპოვნა.

– ჰოდა, – უთხრა დედამ, – მაგას ჰქვია „ა“. აბა, კიდევ მიპოვნე „ა“!

ალექსანდრემ კიდევ უპოვნა.

– რა ჰქვია, შვილო, მაგასა?

– „ა“. – უპასუხა ალექსანდრემ.

– ყოჩაღ! – შეაქო დედამ, აკოცა და თავზე ხელი გადაუსვა. ასე ასწავლა მთელი ანბანი. მერე წერაზე გადავიდნენ: იშოვნეს ხარის დიდი ბეჭი, განმინდეს, გააპრიალეს, მოიმარაგეს თავმომწვარი ჩხირებიც. დედამ გაპრიალებულ ძვალზე ჩამონერა ასოები და უთხრა:

– ეს არის „ანი“, ეს „ბანი“, „განი“, „დონი“ აბა, გაიმეორე!

ალექსანდრემ გაიმეორა.

– ახლა დამინერე „ანი“!

ალექსანდრემ ადვილად დაუნერა, რადგან ხელი უკვე კარგად ჰქონდა განაფული სკოლაში მეცადინეობით.

– ახლა დამინერე „ბანი“! – უთხრა დედამ.

ესეც დაუნერა და მერე მიაყოლა „განი“, „დონი“ და „ენი“.

ასე და ამგვარად, ზუსტად ერთ თვეში ისწავლა ქართული წერა-კითხვა. დედას ჰქონდა მზითვეში მოყოლილი წიგნები:

„ვეფხისტყაოსანი“, „ალექსიანი“, „დავრიშიანი“, „ყარამანიანი“ და მალე ისე გაინაფა მათ კითხვაში, რომ დედასაც კი სჯობნიდა.

ალექსანდრემ ამოიოხრა და სანოლში გვერდი იცვალა. საკვირველი იყო, დედა მუდამ ახალგაზრდა ახსოვდა, არადა, მამისაგან განსხვავებით, სანყალმა, დიდხანს იცოცხლა და ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა. ხშირად ცდილობდა მოხუცებულნი დედა გაეხსენებინა – ძველ ქართულ კაბაში გამონყობილი, ჩიხტიკოპით თავდახურული, ფარდაგადაფარებულ ტახტზე მჯდომარე, მაგრამ მუდამ უჭირდა ეს და ახლაც, როცა თავს ძალა დაატანა და ოთხმოც წელს გადაცილებული, სახედალარული დედაბერი წარმოიდგინა, ვერაფრით დაუკავშირა იგი დედას – ახალგაზრდას, ლამაზსა და ტკბილად მოუბარს.

მამა შედარებით ბუნდოვნად ახსოვდა. ზოგჯერ თვალწინ დაუდგებოდა მისი კუჭიტი სახე, ეჭვიანი გამოხედვა, დიდი, მძიმე ხელები, რომლებითაც სულ მუდამ რაღაცას აკეთებდა: ან სახრე ეჭირა და ხარებს მიერეკებოდა, ან თოხს უბაყუნებდა ყანაში, ან ცელს ლესავდა, მერე კი მუხლამდე ბალახში იდგა და თიბავდა, შეშას ჭრიდა, ბარავდა, ჭურს რეცხავდა, ურმის ფერსოს თლიდა, გოდორს წნავდა, ვენახიდან ამოსული, მუშაობით დაღლილი, ცივ მჭადს იფშვნიდა ლობიოს ჯამში.

ბოდაიბოს ოქროს საბადოებიდან დაბრუნებულ ალექსანდრეს მამა ცოცხალი აღარ დაუხვდა. მის ნაცვლად სამების საყდრის ეზოში ერთი პატარა ბორცვი აჩვენეს, რომელზეც უკვე ამოსულიყო ბალახი. იმ ბორცვთან მთელი საღამოს განმავლობაში იჯდა, თამბაქოს აბოლებდა და ფიქრობდა თავის უიღბლო ცხოვრებაზე, სხვადასხვა ციხეებსა და ტაიგაში გატარებულ უაზრო წლებზე, მამაზე, რომელიც აქ, ამ ბორცვის ქვეშ, იწვა გულხელდაკრეფილი, უზრუნველად იხრწნებოდა და მშვიდად უერთდებოდა იმ მიწას, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ჩაჰბლუოდა მუშა ხარივით.

იმ უზრუნველობაში, იმ სიმშვიდეში ხედავდა მამინ ალექსანდრე ცხოვრების აზრს. ციხეებსა და გადასახლებაში განამებულნი კაცისაგან ეს არც იყო გასაკვირი, მაგრამ იმ საღამოდან მო-

ყოლებული, მერეც, ყოველთვის სიმშვიდეს მიეღწეოდა, მისკენ მიისწრაფვოდა. ერთხელ უნებურად ფეხგადაბრუნებული მუდამ ცდილობდა ფრთხილად ევლო, რადგან ძალზე მწარედ ახსოვდა მაშინდელი მარცხი, მაშინდელი ტკივილი.

ახლაც, სიბერეში ხშირად იგონებდა იმ საშინელ დამცირებასა და ტანჯვას, რაც ციხეებში ეგემა, მაგრამ იგონებდა თავისთვის, ფიქრში. ხმამაღლა ამის შესახებ არავისთვის, თვითონ ელენესთვისაც კი არაფერი უთქვამს.

დაჭერით კი დაიჭირეს, როგორც ახლა ფიქრობდა, სრულიად უაზროდ, საკუთარი გულუბრყვილობის, უფრო სწორად, სიბრიყვის გამო. ცხრაას ექვსის სექტემბრის მიწურულში, როცა ალექსანდრე ზუგდიდის დანყებითი სკოლის მასწავლებლად მუშაობდა, მისივე კოლეგამ, იმავე სკოლის მასწავლებელმა, ფედერალისტთა ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის წევრმა ვასიკო ალშიბაიამ, კომიტეტის სხდომაზე წაიყვანა. კაცმა რომ თქვას, ალექსანდრეს იქ წასვლა სულაც არ უნდოდა, რადგან გადანყვეტილი ჰქონდა პოლიტიკაში არ გარეუღიყო, მაგრამ ვასიკოს ხათრი ვერ გაუტეხა და წაჰყვა სხდომაზე, სადაც, თურმე, ძალზე მნიშვნელოვანი საქმე ირჩეოდა: „ესფერებს“ (ასე ეძახდნენ მაშინ სოციალ-ფედერალისტებს), უნდა გამოეტანათ გადანყვეტილება მაზრის უფროსის ვასილი კელაშოვისა და მისი ორი ბოქაულის – კვარაცხელიას და შენგელაიას მოკვლის შესახებ. კელაშოვისთვის წინა სხდომაზევე გამოეტანათ განაჩენი, ხოლო ბოქაულების შესახებ კამათი კარგახანს გაგრძელებულა და მათი საქმე ღიად დარჩენილა. კომიტეტის იმდღევანდელ სხდომაზე, რომელსაც ალექსანდრეც დაესწრო, ვასიკო ალშიბაია ამტკიცებდა, რომ ბოქაულების დახოცვა სრულიად ზედმეტი იყო, რადგან ისინი კელაშოვის ხელში მხოლოდ ბრმა იარაღს წარმოადგენდნენ. ალექსანდრეს ხმის უფლება მიანიჭეს და საკითხს კენჭი უყარეს. ის, ცხადია, ვასიკოს მიემხრო და ბოქაულებსაც სწორედ ამან შეუნარჩუნა სიცოცხლე.

ვასილი კელაშოვისთვის სასიკვდილო განაჩენი, როგორც უკვე ითქვა, წინა სხდომაზევე ჰქონდათ გამოტანილი და ამის შესახებ ალექსანდრესთვის, რა თქმა უნდა, არაფერი უკითხავთ.

ისე კი ილაპარაკეს ქუთაისიდან ბომბის ჩამოტანაზე, იმაზე, რომ ეს საქმე უნდა დაევალებინათ ვინმე ჩხეიძისათვის, რომელიც ქუთაისში ჩამოტანილ ბომბს ვანო ჭანტურისას აფთიაქში დააბინავებდა, მაგრამ კელაშოვს ბედმა გაუღიმა – ბოქაულმა შენგელაიამ ბომბი იპოვნა და კომიტეტის ყველა წევრი ერთ ღამეში დააპატიმრა. სხვებთან ერთად დაიჭირეს ალექსანდრეც.

სისხლის სამართლის მაშინდელი კანონის მიხედვით, პოლიტპატიმრებისათვის სამი კატეგორიის დანაშაული იყო კლასიფიცირებული: ა) – სიტყვიერი გამოსვლა სახელმწიფოსა და მთავრობის წინააღმდეგ, რაც ისჯებოდა სამ წლამდე პატიმრობით მოქალაქეობრივი უფლებების აყრის გარეშე. ბ) – არსებული სახელმწიფოებრივი წყობილების სანინააღმდეგო ფარული ორგანიზაციის თუნდაც პასიური წევრობა. ეს დანაშაული ოთხ წლამდე კატორღითა და მოქალაქეობრივ უფლებათა სრული აყრით ისჯებოდა. გ) – ფარული ორგანიზაციის წევრობა და ამასთან შეიარაღებული მოქმედება, რაც კატორღით ან სიკვდილით ისჯებოდა.

ალექსანდრე მეორე კატეგორიის დამნაშავედ სცნეს და ოთხი წლით საკატორღო სამუშაოებზე გაგზავნა და ციმბირში გადასახლება გადაუწყვიტეს.

სანამ ტუსალებს შორეული რუსეთის გზას გაუყენებდნენ, სოციალ-დემოკრატებისა და ფედერალისტების საგუბერნიო კომიტეტებთან შეთანხმებით გადაწყდა ქუთაისის ციხეში გვირაბის შეყვანა და იქიდან პოლიტპატიმრების გაპარება. გვირაბი უნდა გაეთხარათ ესფერთა პარტიის წევრის ვარლამ ფანცხავას სახლიდან, რომელიც ციხეს ემიჯნებოდა, ქუჩის იქით ვარლამის სახლი იდგა, აქეთ – ციხე.

ჭიათურის მარგანეცის მრენველთა საბჭოს თავმჯდომარის, ესფერთა საგუბერნიო კომიტეტის ხელმძღვანელის გიორგი ზდანევიჩის ხელშეწყობით, ჭიათურიდან ჩამოიყვანეს მალაროს პროფესიონალი მეგვირაბეები და მათი ინჟინერი. მუშაობა ფანცხავას სახლის სარდაფიდან დაიწყო და მეთექვსმეტე დღეს გვირაბმა ციხის ერთ-ერთი საკნის სანოლქვეშ ამოყო თავი.

ტუსალები სათითაოდ ჩადიოდნენ პირველი სართულის სა-

კანში, ძვრებოდნენ გვირაბში, ხოხვით გადიოდნენ თორმეტნახევარ საჟენს და ამოდდიოდნენ ფანცხავას სახლის სარდაფში, სადაც მათ „გუბკომის“ წარმომადგენლები ახვედრებდნენ პასპორტებს, ფულსა და ტანსაცმელს. სმოკინგებში, ფრაკებსა და ცილინდრებში გამონწყობილი პატიმრები ერთმანეთის მიყოლებით გამოდიოდნენ ფანცხავას სახლიდან, ციხის ყარაულების თვალწინ სხდებოდნენ მათთვის დაძახებულ ეტლებში და სასწრაფოდ ტოვებდნენ იქაურობას.

ერთადერთი კაცი, ვინც სიაში იყო, მაგრამ ციხიდან ვერ გავიდა, ალექსანდრე გახლდათ.

გარეთ ისევ განვიმდა.

ალექსანდრე საბოლოოდ გამოფხიზლდა, ერთხანს კიდევ იწვა და ცოლის სუნთქვასა და წვიმის ხმაურს ყურს უგდებდა. მერე ადგა, იატაკზე მიყრილ ფლოსტებში ფეხები წაჰყო, სკამის საზურგეზე გადაკიდებული ზოლიანი ხალათი მოიცვა და სასტუმრო ოთახში გავიდა.

ამ მოზრდილი ფართო ოთახიდან ქუჩაში ორი ფანჯარა გადიოდა. გარეთ, სახლის წინ, ხის მაღალ ბოძზე მიმაგრებული ეული ნათურა ბჟუტავდა და ფანჯრიდან შემომავალი მისი შუქი იქაურობას მკრთალ ნათელს ჰფენდა. ალექსანდრემ თხელი, გამჭვირვალე ფარდა გადასწია და ქუჩას გახედა. ნათურის შუქზე მოჩანდა, როგორ აღმაცერად უჟაჟუნებდა. იდგა და ჩუმად უყურებდა წვიმას, სველ ქვაფენილს, ქუჩის გასწვრივ ჩარიგებულ ფოთოლგაძარცვულ აკაციებს, სიბნელეში უცხო კაცებივით რომ იდგნენ.

სულ მუდამ ეგონა, რომ სწორედ ასეთ ამინდში, ნოემბრის ცივ, წვიმიან ღამეს უნდა მომკვდარიყო. ზაფხულში და, მითუმეტეს, გაზაფხულზე სიკვდილი უაზრობად, ბედის მწარე დაცინვად მიაჩნდა. ისე ხშირად ფიქრობდა ამაზე, რომ ჭირივით შესძულდა წვიმაც და ნოემბრის თვეც. იმ საბედისწერო ჟამის

წარმოდგენაზე მუდამ მძიმე ნალველი აწვებოდა გულზე, ცხოვრების ხალისი ეკარგებოდა და ერთადერთი სურვილია რჩებოდა – მჯდარიყო თავისთვის სამების გორაზე დედ-მამის საფლავთან და ფიქრში გართულს სწორედ იქ დაესრულებინა თავისი ტკბილ-მწარე სიცოცხლე.

რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ იმ გორაზე, მისი მშობლიური სოფლის ეკლესიის შაბიამნისფერ კედელთან სიკვდილი უფრო ბუნებრივი, ლოგიკური და, ამდენად, გაცილებით უფრო იოლი უნდა ყოფილიყო, ვიდრე აქ, ამ მიუსაფარ ქალაქში. მაგრამ მაინც რა იყო სიკვდილი – დასასრული თუ დასაწყისი? ალექსანდრეს მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე სწამდა, რომ სიკვდილი იყო ის საშინელი რამ, რაც დაუნდობლად სპობდა და ანადგურებდა ყოველივე ამქვეყნიურს, რაც უსულო ლეშად აქცევდა ადამიანს და ეს თავზარდამცემი აზრი თავგზას ურევდა, სიცოცხლის ხალისს უკარგავდა, მაგრამ ბოლო დროს, მისი უნუგეშობის ღამეულ ცაზე შორეული ვარსკვლავივით აჭიატდა რაღაც იმედი, მართალია, ჯერ სულ მცირე, უმნიშვნელო, ეჭვის ჭიასთან სუსტად მეზრძოლი, მაგრამ მაინც იმედი, რომ სიკვდილი იყო დასაწყისი დიადი და შეუცნობელი რეალობისა.

ეს იმედი ჯერ იმდენად უძლური იყო, რომ შვებას ვერ ჰგვრიდა, ამღვრეულ სულს ვერ უმშვიდებდა, მაგრამ იმ შუქურას კი ჰგავდა, მღელვარე ზღვაში მობორიალე გზააბნეულ, მარტოსულ ნავს გეზს რომ აძლევს და შორეული ნაპირის მიმართულებას უჩვენებს. თანდათანობით რწმუნდებოდა, რომ იმ მიმართულებით უნდა ევლო, იმ ნაპირისკენ უნდა ეცურა, რადგან სწორედ იქ, იმ ალთქმულ მიწაზე იყო ის, რასაც ეძებდა, რაც ნალველსა და ტანჯვა-წამებას გაუქარვებდა.

მაშინ, იმ შორეულ ბავშვობაში, როცა დედის მიერ ნასწავლი ლოცვის სიტყვებს იმეორებდა, ცხოვრება საგულდაგულოდ დალაგებული ეჩვენებოდა – ქვას, ბალახს, ყოველ სულიერს, თავად მას, მის მშობლებს, სოფელს და მთელს ქვეყნიერებასაც ერთი პატრონი ჰყავდა – უსაზღვროდ კეთილი და სამართლიანად მკაცრი მამალმერთი. ის წარმართავდა ყოველივეს,

ის იყო ადამიანის მწყემსი და მფარველი, მისთვის უნდა დაგე-
ჯერებინა, მას გაჰყოლოდი და ყველაფერი კარგად იქნებოდა,
მაგრამ გადიოდა დრო, ალექსანდრე იზრდებოდა, დღითიდღე
შორდებოდა დედის თბილ კალთას, მამის მზრუნველ, კოჭრიან
ხელებს და თანდათანობით რწმუნდებოდა, რომ ცხოვრება გა-
ცილებით მკაცრი და დაუნდობელი იყო, ვიდრე ეგონა. ღმერთი
არ ერეოდა კაცის საქმეში და თუ ის მაინც არსებობდა, არსე-
ბობდა თავისთვის, მარტო, ქვეყნიერებიდან ძალიან მოშორე-
ბულ კუთხეში და სულაც არ აინტერესებდა მის მიერ შექმნილი
ადამიანის ბედ-იღბალი.

ღმერთის არსებობაში პირველად მაშინ შეეპარა ეჭვი, როცა
ათი-თორმეტი წლისამ უყურა, როგორ მოკლა მეზობლის ბერი-
კაცმა კეტის ცემით გომურის ბოძზე მიბმული საკუთარი ბე-
ბერი ძალღი. მერეც, დიდობაშიც, მუდამ ახსოვდა საბრალო
ცხოველის დაჩეჩქვილი, გასისხლიანებული სხეული, მისი შემ-
ზარავი, ადამიანური კვნესა და თვალები, ერთდროულად ორ
გრძნობას – საშინელ ტანჯვასა და გამაოგნებელ ერთგულებას
რომ გამოხატავდა. ახსოვდა ისიც, ის ბერიკაციც, რომელმაც
თავისი საქმე რომ მოათავა, იქვე, რუსივე ამოიბანა ხელები და
ვალმოხდილი კაცის კმაყოფილი იერით მიუჯდა ლაფაროში გაშ-
ლილ პატარა სუფრას. ხოლო მერე, დიდი ხნის შემდეგ, როცა
საკუთარ ტყავზე გამოსცადა ნოვოროსიისკისა და ორიოლის
ციხეების პატიმართა არაადამიანური, დამამცირებელი ყოფა,
ზნამენკის და ბოდაიბოს კატორღული ცხოვრების აუტანელი,
სულისშემხუთველი წესი, უფრო გაუძლიერდა ეჭვი, რომ მამალ-
ღმერთი ადამიანის მიერ გამოგონილი ისეთივე ზღაპრული პერ-
სონაჟი იყო, როგორიც ხუთკუნჭულა, ჭიქარა თუ ხელმწიფის
ოქროსქოჩრიანი ვაჟი.

მაგრამ ახლა, როცა მქრქალ ბურუსში სულ უფრო და უფრო
კანთიელად მოჩანდა იმედის შორეული ნაპირი, ალექსანდრე
დღითიდღე რწმუნდებოდა, რომ ჭეშმარიტი ცხოვრების გზას
აცდენილი სულ სხვა მიმართულებით წასულიყო, სხვა ბილიკს
დასდგომოდა და სხვაგან გასული, ახლა დაბნეული ათვალიე-
რებდა იქაურობას – უცნაურსა და სრულიად უცხოს.

ორიოლის ციხეში გატარებული ოთხი წლის შემდეგ, როცა ციმბირში გადასახლებული ზნამენკაში ჩაიყვანეს, იქ, ერთი ადგილობრივი მეძავის ქოხში, ალექსანდრემ შემთხვევით სარკეში ჩაიხედა და ელდა ეცა – სარკიდან საკუთარი მამა შემოსცქეროდა! დაზაფრული და მოულოდნელობისაგან თავზარდაცემული გვიანლა მიხვდა, რომ ის ნაადრევად დაბერებული, სახედალარული ჭაღარა კაცი თვითონ იყო და ეს უცნაური გრძნობა ძალიან ჰგავდა იმას, ახლა, ამ სიბერეში რომ განიცდიდა – ეჩვენებოდა, თითქოს ახლაც დაბნეული, გაოგნებული იდგა სარკესთან და საკუთარი სულის ანარეკლს ველარა სცნობდა, რადგან იქიდან, იმ სარკიდან სულ სხვა კაცი შემოსცქეროდა. ჰო, სხვა, რადგან ადამიანს საკუთარი თავი ცოტათი მაინც უკეთესი ჰგონია, ვიდრე სინამდვილეშია და ახლა, შორეული ნაპირის ხილვით თვალახელილი ცხადად ხედავდა იმ უცხო, სრულიად უცხო, სრულიად უცნობ ადამიანს, რომელიც სინამდვილეში თავადვე იყო.

ეს შინაგანი ცვლილება თუ შემობრუნება თავისით არ დაწყებულა.

შარშან, დეკემბრის ერთ ჭახჭახა ყინვიან კვირადღეს, როცა ალექსანდრემ სარდაფიდან შეშა ამოიტანა და ღუმელის დანთებას შეუდგა, კარზე ვილაცამ დააკაკუნა და ცოტა ხნის შემდეგ, ელიკო ოთახში მათ ახალ მეზობელს – ნიკოს შემოუძღვა.

ნიკო იყო ასე ორმოცი წლის, საშუალო ტანის ოდნავ მელოტი, შავგვრემანი კაცი. ჰქონდა რაღაც განსაკუთრებულად შავი, ერთთავად მბრწყინავი თვალები და თეთრი, ნაფოტა კბილები. ამ თვალებისა და კბილების გამო ადამიანი მათი პატრონის მიმართ უნებლიე ნდობით იმსჭვალებოდა. ასე მოუვიდა ალექსანდრეს და არა მარტო ალექსანდრეს, თვით ელენესაც კი, რომელსაც საერთოდ არ უყვარდა უმიზეზოდ მხიარული, კრეჭია ადამიანები.

ნიკოს ჭადრაკის ყუთი ეჭირა ხელში, მაგრამ სულ მალე გამოირკვა, რომ ჭადრაკი ახალ მეზობელთან დაახლოების საბაზი

უფრო იყო, ვიდრე თავგადაკლული მოთამაშის ჟინი: ორი პარტიის შემდეგ ფიგურები ყუთში ჩაყარა, ფეხი ფეხზე გადაიდო და საკუთარი ამბების მოყოლა დაიწყო. თითქმის მთელი საღამოს განმავლობაში იგი მოხუც ცოლ-ქმარს გულწრფელად, რალაცნაირი ბავშვური მიამიტობითა და უშუალოდ უამბობდა თავის საკმაოდ ჩვეულებრივ, არაფრით გამორჩეულ თავგადასავალს, გულუბრყვილოდ ლაპარაკობდა საკუთარ გრძნობებზე, მიზნებსა და მისწრაფებებზე და ალექსანდრეს ეჩვენებოდა, რომ ეს ახალგაზრდა კაცი, რომელიც წლოვანების მიხედვით შვილად ერგებოდა, განსაკუთრებულ ნდობას უცხადებდა ორთავეს და ამის საფასურად მათგანაც ისეთსავე გულახდილობასა და მიმნდობლობას თხოულობდა. მსგავსი რამ მხოლოდ ციხეში ენახა – ადამიანები მხოლოდ იქ იყვნენ ასეთი უშუალონი, გულწრფელნი და ამიტომაც იოლად უმეგობრდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ეს მეგობრობა, როგორც წესი, ხშირად დღენაკლული აღმოჩნდებოდა ხოლმე, რადგან გარეთ აღარ გასდევდათ და ძველი, გამოუსადეგარი ტანისამოსისა არ იყოს, იმასაც იქვე, ციხის კედლებში ტოვებდნენ. პატიმრობაში შექენილი მეგობარი მართლაც ძალიან ჰგავდა ათას ადგილზე გამომწვარ, ზინზლიან ქურთუკს, რომელიც რამდენადაც საჭირო და გამოსადეგია ცივ საკანში, იმდენადვე სრულიად ზედმეტი და ხელისშემშლელი აღმოჩნდება ხოლმე ციხის გარეთ.

იმ საღამოს მერე ერთმანეთს ძალიან დაუახლოვდნენ, ან ჭადრაკს თამაშობდნენ, ან სამოვარს უსხდნენ და ტკბილად მასლაათობდნენ. ზოგჯერ, თუკი მიზეზი გამოჩნდებოდა, სვამდნენ ღვინოსაც. ასეთ დროს ალექსანდრე უფრო გულახდილი და ენამჭყერი ხდებოდა – ჰყვებოდა კატორლისა და გადასახლების ამბებს, ხშირად ისეთ ღამესაც კი, რაზეც წინათ კრინტსაც არ სძრავდა და ამით, თითქოს, გულახდილობის ვალს უსტუმრებდა თავის მეზობელს. ნიკო კი ლაპარაკობდა დღევანდელ ცხოვრებაზე – იგი უკმაყოფილო იყო ბოლშევიკური რეჟიმისა, წუხდა საქართველოს მონური მდგომარეობის გამო, ლანძღავდა მავანთ და მავანთ, ვისაც თავისი პოლიტიკური ამბიციებისა თუ კარიერისთვის სამშობლო გაეყიდა.

ამ საუბრებიდან ალექსანდრე ხვდება, რომ მისი ახალი მეზობელი საკუთარ სამშობლოში ტუსაღად გრძნობდა თავს, მშობლიური გარემო მას ციხის კედლებად გადაჰქცეოდა და ის უჩვეულო გულწრფელობა და უშუალობა, რითაც აგრერიგად გამოირჩეოდა სხვა ადამიანებისაგან, მეგობრის შექენის ხერხი უფრო იყო, ვიდრე თანდაყოლილი თვისება. მეგობარი კი ნიკოს ისევე სჭირდებოდა, როგორც ციხეში გამომწყვდეულ, მარტოობისაგან გულგასენებულ პატიმარს.

ნიკოს ცოლი ნუნუ – ქმარზე თითქმის თხუთმეტი წლით ახალგაზრდა, არც თუ ულამაზო ქალი – ფეხმძიმედ იყო, დღე-დღეზე ბავშვს ელოდებოდა და ამიტომ განსაკუთრებულ მზრუნველობას საჭიროებდა. მისი მშობლები ზემო იმერეთში ცხოვრობდნენ, ნიკოს კი სრულიად ყმაწვილს მოჰკვდომოდა დედა და მერე, ერთი წლის შემდეგ, მამაც; უფროსი და ერთ ქალაქელ ყასაბს გაჰყოლოდა ცოლად, საკუთარი შვილები და შვილიშვილები ჰყავდა მოსავლელი და, ცხადია, ახლადდაქორწინებულებისთვის არ ეცალა.

ნიკოს ცოლს ელიკო ეხმარებოდა, ხან ცხელ კერძს მიაწვდიდა, ხან სარეცხსა თუ სხვა მძიმე საოჯახო საქმეში ნაუკრავდა ხელს და ორსულ ქალს ამით უმსუბუქებდა ყოფას. ალექსანდრე ხედავდა, დღითიდღე როგორ უახლოვდებოდნენ ქალები ერთმანეთს, როგორი სულიერი და იმავდროულად ნათესაური კავშირი მყარდებოდა მათ შორის, რანაირად უღვივდებოდა ელენეს დიდი ხნის წინათ მიმქრალი და მინავლული დედობრივი გრძნობა და, რაც მთავარია, როგორ თვალდათვალ იცვლებოდა ამის გამო მისი დამოკიდებულება ქმრის, საკუთარი ოჯახის, მთელი სამყაროს მიმართ.

ცოლის ამგვარი ცვლილება ალექსანდრეს თავიდან აფრთხობდა და აღიზიანებდა კიდევც, რადგან ეჩვენებოდა, რომ ხელიდან ეცლებოდა წლების მანძილზე ნაგები ციხესიმაგრე, რომლის ბატონ-პატრონი და ერთადერთი ბინადარი თვითონ იყო, რომ იმ კოშკში შემოსახლებული მდგმურები ჯიუტი მონდომებით იპყრობდნენ მის ყოველ სართულს, ყველა ოთახს, თავხედური სიხარბით ინანილებდნენ მის კუთვნილ ნივთებს –

სავარძელს, ფლოსტებს, ჯამ-ჭურჭელს და დანა-ჩანგალს, მაგრამ მერე, როცა თებერვლის ერთ ქარაშოტიან დღეს ნუნუს მუცელი ასტკივდა, როცა ალექსანდრემ ნიკოსთან ერთად მთელი ღამე გაატარა სამშობიარო სახლის ცივ, ჩაბნელებულ მოსაცდელში, ხოლო დილით, მომვლელმა ქალმა ნიკოს ბიჭის მამობა, მას კი, შეცდომით, ბაბუობა მიულოცა, ალექსანდრემ იგრძნო, რომ გულში რაღაც გაულღვა და იქიდან დაძრულმა სითბომ ჟრუანტელისმომგვრელად დაუარა ძარღვებში.

იმ დღის მერე მისი ცხოვრება საფუძვლიანად შეიცვალა: სულ ცდილობდა ბავშვთან ყოფილიყო, მის შორიახლო ეტრიალა, სიამოვნებდა იმისი ცქერა, თუ როგორ უვლიდნენ ქალები მას, რანაირად აბანავებდნენ, როგორ აწვენდნენ აკვანში. ზოგჯერ ხელშიც აჰყავდა და როცა მისი თოთო სხეულის გულისამათრთოლებელ სითბოსა და სურნელს იგრძნობდა, მუდამ უცნაური სიხარული ეუფლებოდა ხოლმე.

ვერ გეტყვოდათ, როგორ ან რატომ, მაგრამ ერთი კი ცხადი იყო, რომ სწორედ ამან, ამ ახლადმოვლენილმა სიცოცხლემ დაანახვა ალექსანდრეს ის შორეული ნაპირი, ის იმედისმომცემი შუქურა და აქამდე საკმაოდ არეული, ქაოსური ცხოვრებაც მისმა ნათელმა გაუცისკროვნა. ახლა თითქოს ყველაფერი ლაგდებოდა, ყოველივე თავის კუთვნილ ადგილს იჭერდა. და ალექსანდრე გრძნობდა, როგორ ნელ-ნელა ისადგურებდა მის გულში რწმენა და უჩვეულო სიმშვიდე.

გარეთ ისევ წვიმდა. ალექსანდრემ ღამის ნათურა აანთო. საათი ოთხის ნახევარს უჩვენებდა. კედლიდან მშვიდად იმზირებოდნენ ილია, ვაჟა და აკაკი. მათ ქვემოთ ოვალურ ჩარჩოში ჩასმული გიორგი ჯანელიძის ფოტო ეკიდა. ოთახში ციოდა. მოხუცმა კაფელის ღუმელის განელეებულ კედელს ხელისგული მიადო, მერე ჩაიჩოქა, თუჯის მრგვალი კარი გამოაღო, მინავლულ ნაკვერჩხალს მასა შეუჩიჩხინა და ღუმელში შემის ნაპობე-

ბი შეანყო. უეცრად, ისევ თვალწინ დაუდგა პარუნაშვილის გაფითრებული სახე, მისი ჩატეტკილი ტუჩები, სავარძელში ჩაჯდა და მუხლებზე კუბოკრული პლედი წაიფარა.

უცნაური გრძნობა დაეუფლა, მოეჩვენა, თითქოს, ეს ყველაფერი ოდესღაც, წინათ, უკვე იყო – ამგვარი, ან უფრო სწორად, ზუსტად ამგვარი რამ ადრეც განიცადა და ამ შემანუხებელმა გრძნობამ ერთიანად ააფორიაქა, თანაც, ალბათ, შესცივდა, რადგან მუცელში საშინელმა ტკივილმა დაუარა და ამან, ამ ტკივილმა, უეცრად, საკვირველი სიცხადით გაახსენა ის დიდი ხნის წინანდელი ამბავი, რომლის მოგონებაზეც მუდამ სირცხვილისა და უხერხულობის შეგრძნება ეუფლებოდა და რომლის დავინწყებასაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ცდილობდა.

თვალწინ დაუდგა ქუთაისის ციხის საკანი, დაინახა საკუთარი თავიც – იმ საკნის ნარზე მწოლარე, მუცლის საშინელი ტკივილისაგან მოკრუნჩხული, დაინახა ვასიკო ალშიბაია და ვანო გოგუაძე, რომლებიც ციხიდან გასაპარებელი პატიმრების სიით ხელში დასდგომოდნენ თავზე და შენუხებული სახით დასჩერებოდნენ. მაგრამ მუცელზე ხელშემოჭერილი, ტკივილისაგან გათანგული ალექსანდრე ადგილიდან ვერ იძვროდა და გატანჯული ხმით მხოლოდ ერთსლა იმეორებდა: „წადით, თქვენ წადით, ძმებო, მე თავი გამანებეთ!“ ხოლო მერე, როცა ყველაფერი დამთავრდა და ოცდაორივე ტუსაღმა მშვიდობით გააღწია გარეთ, თითქოს ამას ელოდებოდაო, ალექსანდრეს მაშინვე მოემშვა მუცლის ტკივილი და შვებამოგვრილი განსაცდელისგან თავდახსნილი ადამიანის უეცარმა სიხარულმა შეიპყრო. ახლა კი, როცა თავის საყვარელ სავარძელში მჯდომი, წუხანდელ შემთხვევაზე ფიქრობდა, ეჩვენებოდა, რომ წლების მანძილზე ნაშენებ-ნალოლიავები ხუხულა თვალწინ ენგრეოდა და მის ადგილს ნელ-ნელა იჭერდა საოცრად ნამდვილი, ხელშესახები გრძნობა თავზარდამცემი და ყოვლისწამლევკავი შიშისა.

ღუმელი გახურდა და ოთახში სითბო დატრიალდა.

თანდათან რწმუნდებოდა, რომ ამაღამ უსათუოდ წაიყვანდნენ. იქნებ სჯობდა, ცოლი გაელვძიებინა და ყველაფერი ეთ-

ქვა. სხვა თუ არაფერი, თითო ხელ საცვალსა და წინდას მაინც გაუმზადებდა, მაგრამ ადგილიდან არ იძვროდა, რალაც გაუცნობიერებელი იმედი აკავებდა, იქნებ ისე არა წვიმს, როგორც ქუხს და ელენეს ამბავი რომ ვიცი, ვაი თუ სასაცილოდ ამიგდოს, სიმხდალე დამწამოსო.

იჯდა და მუცლის ტკივილს უძალიანდებოდა.

აგონდებოდა რუსეთის სხვადასხვა საპატიმროებში გატარებული დღეები, ყურში ჩაესმოდა ბორკილების საშინელი ჩხარუნი და ბადრაგის ყვირილი. აგონდებოდა ჩელიაბინსკისა და ირკუტსკის გადასაგზავნი ციხეები, ზნამენკა, იქაური შიმშილი, სიღარიბე, დაბოლოს, ბოდაიბოში გამგზავრება.

ოქროს საბადოებზე შვიდი წლის მტანჯველი, ჯოჯოხეთური შრომის შედეგად, ალექსანდრემ იშოვნა ათ გირვანქამდე ოქრო, რომელიც, სამშობლოში გამომგზავრების წინ ირკუტსკში ფულად აქცია – გირვანქა ხუთას მანეთად გაყიდა, მაგრამ როცა თბილისში ჩამოსულმა, ვაგზლის რესტორანში ისადილა და ორ თავ კერძში მანეთის ნაცვლად თუმანი გადაახდევინეს, მიხვდა, რომ დიდი სისულელე ჩაედინა – საქართველო იმ დროს რუსეთ-ოსმალეთის ფრონტის უახლოეს ზურგში იმყოფებოდა და ამიტომ ფულის კურსი აქ უფრო დაბალი იყო, ვიდრე ირკუტსკში, სამაგიეროდ, ოქრო ფასობდა გაცილებით ძვირად და ფულის ნაცვლად, ის ათი გირვანქა რომ ჩამოეტანა, მის ბედს ძალღი არ დაყეფდა. თუმცა, რადგან სამშობლოში ჩამოსვლას ეღირსა, ალექსანდრეს დიდად აღარ უნაღვლია ეს ამბავი.

გაუთავებელმა ომმა, ეკონომიურმა სიდუხჭირემ და, ბოლოს, თებერვლის რევოლუციამ რუსეთის იმპერია დაანგრია. საქართველოში ამას პოლიტიკური მოძრაობის გაცხოველება მოჰყვა, მაგრამ ციხეებითა და გადასახლებით დაშინებული ალექსანდრე პოლიტიკაში არ ჩარეულა, იგი მთელი არსებით მიეღტვოდა სიმშვიდეს, ოჯახურ მყუდროებას და ამიტომ თერთმეტი წლის უნახავი ცოლი სოფლიდან თბილისში ჩამოიყვანა, სოლოლაკში ოროთახიანი ბინა იყიდა და ამდენი ხნის იძულებითი განშორების გამო ერთმანეთს დანატრებულმა ცოლ-ქმარმა მართლაც რომ მყუდრო და მოსიყვარულე ოჯახი შექმნა.

ალექსანდრე მაშინ ორმოცდათერთმეტი წლის კაცი იყო, კატორღისა და გადასახლებისაგან ჯანგატეხილი და დაჩაჩანაკებული, მაგრამ მშობლიურმა გარემომ და განსაკუთრებით კი ელენეს მზრუნველმა ხელმა იგი ფეხზე დააყენა. შვილი არ ჰყავდათ, მაგრამ მათი ოჯახური ბედნიერებისათვის ამას ხელი არ შეუშლია – ცხოვრობდნენ ტკბილად, მეგობრულად, შეთანხმებულად, თითქმის უსიტყვოდ ესმოდათ ერთმანეთისა. მუშაობითაც ერთად მუშაობდნენ, ერთ სკოლაში. ელენე მათემატიკას ასწავლიდა, ალექსანდრე მშობლიურ ენასა და ლიტერატურას. ასე გადიოდა დრო.

იმ წელიწადს უჩვეულოდ თბილი ზამთარი დაიჭირა. მართალია, ნახალწლევს მოთოვა და ქალაქის ირგვლივ შემოჯარული მთები თეთრად ჩამოლესა, მაგრამ იანვრის ოცში ქარმა დაუბერა, ღრუბელი გაფანტა და ცა ერთიანად მოაკრიალა. დათბა. მზემ თოვლი გააღწო, ქალაქში გაზაფხულისათვის დამახასიათებელი ნაზი სურნელი დატრიალდა. მტკვარიც სწორედ ისე ადიდდა, გაზაფხულობით რომ იცოდა ხოლმე – ამღვრეული, აზვირთებული მოქშუოდა და თან მოჰქონდა ძირიანად მოთხრილი ხეები, მოატივტივებდა ძველ, გამოუსადეგარ, გადაყრილ ნივთებს, ზოგჯერ ჩამოატარებდა დამხრჩვალ, მუცელგაბერილ და ბალანგასვლეპილ ძაღლს ან კატას. მაგრამ წყალდიდობა დიდხანს არ გაგრძელებულა, მდინარე ორ-სამ დღეში ჩაცხრა, დადინჯდა, ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდა. ჩადგა ქარიც და თბილი, მშრალი დღეები წაენყო ერთმანეთს. გახალისდა, გამხიარულდა ყოველივე, მაგრამ ნაადრევი გამოდგა ეს სიხარული: თებერვლის მეორე კვირის ბოლოს, დილით, მოქალაქეები ქვემეხების გრიალმა გააღვიძა. სროლა სოღანლულისა და ვაზიანის მხრიდან ისმოდა.

ჩრდილოეთიდან მოსულ მტერს თან მოჰყვა საშინელი ქარა-შოტი, რომელმაც შავი, ყომრალი ღრუბლები მორეკა და სულ ჩამოაბნელა იქაურობა. აცივდა. მოულოდნელად დამდგარი ზამთრის სუსხი ძვალრბილში ატანდა. ქარიშხალი ყაჩაღივით დათარეშობდა ქალაქის უკაცრიელ ქუჩებში. ბელურები სახლის სხვენებსა და თბილ საკვამურებს შეეხიზნენ. საღამოს ქარი

ჩადგა, მაგრამ ისევ ციოდა. მერე დაღამდა. ჩამონვა ყურჭივით შავი უკუნეთი და იმ სიბნელეში, უეცრად გათოვდა.

თოვდა მძიმედ, რალაცნაირი ავი დაჟინებით. მაღლიდან ჯიბრიანად მოცვიოდა თოვლის დიდრონი ფანტელები. უცხო, უსახური ფრინველებივით სხდებოდნენ ის ფანტელები სახლის სახურავებზე, ქვაფენილზე, აივნის მოაჯირებსა და ხეების შიშველ ტოტებზე. ქალაქი გაყურდა. სახლებში შეყუყული ადამიანები შეფიქრიანებულები უსმენდნენ ზარბაზნების შორეულ გრუხუნს. შუალამისას ქუჩაში ანთებული მამხალეებით ჩამოიარა ახალგაზრდების მცირე ჯგუფმა – „სა-ქარ-თვე-ლო, სა-ქარ-თვე-ლო!“ – ყვიროდნენ ისინი. მერე წავიდნენ, თოვლსა და სიბნელეს შეერივნენ და გაუჩინარდნენ. ვერავინ გაიგო, ვინ იყვნენ, საიდან მოვიდნენ ან ასე მოულოდნელად სად გაქრნენ.

მშვიდად დიოდა მრავლისმნახველი ბებერი მდინარე. მასაც ათოვდა. თოვლის დიდი, მძიმე ფანტელები მის გლუვ, ჩაშავებულ ზედაპირზე ჩუმად სხდებოდნენ და ასევე ჩუმად ამთავრებდნენ სიცოცხლეს. ის კი მიდიოდა, ქვემოთ მიჰქონდა სიცივისაგან გამკვრივებული წყალი.

მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავთ და როცა გათენდა, ნახეს, რომ ქალაქი თოვლის სქელ საბურველში იყო გახვეული. ოდნავლა ფერფლავდა, მაღლიდან უნიათოდ მოფარფატებდა თითო-ოროლა ვნებადამცხრალი ფიფქი. თითქმის სახლების დათოვლილ სახურავებამდე დაწეულიყო განაცრისფერებული ცაც. მოსულიყვნენ, ხის ტოტებზე ჩამოფაფხულიყვნენ შავი ყვავები.

ელენე და ალექსანდრე სკოლაში წავიდნენ. მართალია, კანტიკუნტად ისევ ისროდნენ, მაგრამ გარეთ უჩვეულო სინყნარე იდგა. ჰაერში ზამთრის სუსხი და თოვლის საამო სურნელი ტრიალებდა. თითქოს არაფერი მომხდარაო, მოქალაქენი დინჯად, აუღელვებლად მიმოდოდნენ დათოვლილ ქუჩებში. მეეზოვეები ტროტუარზე ნაცარს ყრიდნენ, ვაჭრები თავიანთი ფარდულეების წინ აქანდაზებით თოვლს ფხეკდნენ. მარტო სასახლესთან ირეოდა უამრავი ხალხი – იქაურობა აშლილ, აფორიაქებულ სკას დამსგავსებოდა. ალექსანდრემ იცნო მთავრობის ერთი

წვერი, რომელსაც ჯარისკაცის უბრალო მაზარა ეცვა, მხარზე შაშხანა გაედო და სასახლის წინ ბოლთას სცემდა.

სკოლაში სწავლა არ იყო, ყველანი უნივერსიტეტში წასულიყვნენ და ისინიც ფეხით გაუყვნენ დათოვლილ ქუჩას. ჩაუარეს ქვაშვეთის საყდარს, არტისტული საზოგადოების თეატრის შენობას. გზადაგზა ნაცნობები ხვდებოდათ. ადამიანები ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ. თანდათანობით იზრდებოდა ის ჯგუფები. სახეგაქვავებულები მიბიჯებდნენ, მათ ფეხქვეშ თოვლი ჭრატუნობდა, იტკეპნებოდა, ფერს იცვლიდა.

– სა-ქარ-თვე-ლო! სა-ქარ-თვე-ლო! – ყვიროდნენ წინა რიგებში.

– ძირს ჩრდილოეთის სვავები!!! – ბანს აძლევდნენ უკანანი.

– სა-ქარ-თვე-ლო! – გუგუნებდნენ ყველანი ერთად.

ასე მიადგნენ უნივერსიტეტის ეზოს, სადაც უამრავი ხალხი შეყრილიყო. შენობის მთავარ შესასვლელთან, ქვის დათოვლილი კიბის თავში იდგნენ პროფესორ-მასწავლებლები, მთავრობის წარმომადგენლები. მათ შორის იყვნენ საომრად აღჭურვილი სამხედროებიც. უნივერსიტეტის რექტორი ხალხს სიტყვით მიმართავდა. იგი ღინჯად, აუჩქარებლად ლაპარაკობდა, ეტყობოდა, ამით შინაგანი მღელვარების დაფარვას ცდილობდა. იქვე, კიბის ძირში, რამდენიმე ოფიცერი მოხალისეთა სიას ადგენდა. გრძელ რიგში ჩამდგარიყვნენ იმ სიაში ჩაწერის მსურველნი. ეწერებოდნენ სტუდენტები, ხნიერი მუშები, ქალაქელი ხელოსნები. რექტორი კი ლაპარაკს განაგრძობდა, მისი ხმა ნელ-ნელ იკრებდა ძალას, თანდათანობით უფრო ომახიანად ჟღერდა, დიდი, ღონიერი ფრინველივით უვლიდა ირავს გაყინულ ჰაერში, ხმაგაკმენდილ, გაფითრებულ ადამიანებს არწივივით დაჰყეფდა ზემოდან და უცნაური, ჟრუანტელისმომგვრელი ძალით ავსებდა.

„უნდა ჩავენერო!“ – გაიფიქრა უეცრად ალექსანდრემ, თოვლში ფეხი მოინაცვლა და ცოლს გადახედა.

ელენე თავანუელი იდგა, ორატორს ყურადღებით უსმენდა და მთელი მისი გამომეტყველება – ოდნავ ღია ბაგე, გასხვივსნებული თვალები და განათებული სახე საოცარ ალტკინებას გამოხატავდა.

სიაში ჩანერის მსურველთა რიგი ნელა მიიწევდა წინ, უფრო და უფრო იზრდებოდა, რიგს იკავებდნენ ახალგაზრდა გოგონები, სუფთად ჩაცმული ინტელიგენტები, ოჯახის ხანდაზმული მამები.

„არა, უნდა ჩავენერო“, – ფიქრობდა ალექსანდრე და თან წამდაუნუმ ფეხს ინაცვლებდა, სციოდა.

იქ, ზემოთ კი ახლა მოხუცი გენერალი ლაპარაკობდა. იგი ბორძიკობდა, სიტყვებს ეძებდა, მაგრამ მის ფოლადივით მჟღერ ხმაში მაინც ისმოდა ხმლების წკრიალი, თოვლში ჩაფანტული ნაპერწკლების შიშინი.

„მეც უნდა ჩავენერო“ – კიდეც ერთხელ გაიფიქრა ალექსანდრემ და ცოლს მკლავზე ხელი დაადო. ელენემ სწრაფად შეხედა, კითხვის თვალით მიაჩერდა, მაგრამ ალექსანდრემ მოულოდნელად თავი ჩაღუნა და წაიდუღუნა:

– არ წავიდეთ ელიკო?

– კი ბატონო, წავიდეთ.

ფიქრიდან მანქანის მოტორის ხმაურმა გამოარკვია. შეკრთა, თავი ასწია, ავისმომასწავებლად ეჩვენა ამ შუალამისას მანქანის გამოჩენა. სავარძლიდან წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და გარეთ გაიხედა. წვიმდა ისევ, წვრილად ცრიდა, რიყის ქვით მოგებული სველი ქუჩა შავმა მანქანამ ამოიარა და ბოძზე მიმაგრებული ნათურის შუქით განათებულ წრეში გაჩერდა. ალექსანდრემ უკან დაიხია, მაგრამ ცდუნებას ვერ გაუძლო, გამჭვირვალე ფარდა ათრთოლებული თითებით გადასწია, კისერი წაიგრძელა და საიდუმლო მდუმარებით მოცულ მანქანას ფრთხილად გახედა – დაორთქლილი საქარე მინა ნათურის ყვითელ შუქს ირეკლავდა და შიგ მსხდომთ არ აჩენდა. უეცრად, ავტომობილის ორთავ კარი ერთდროულად გაიღო და იქიდან სამი კაცი გადმოვიდა. ალექსანდრემ მაშინვე ხელი უშვა ფარდას, მაგრამ ბოლო მომენტში, მაინც იცნო ტყავის ქურთუკიანი პარუნაშვილი და მოეჩვენა, რომ მისალმების ნიშნად მან თავი დაუკრა და თავაზიანად გაუღიმა.

ბნელში ხელების ცეცებით მიმავლი ელენე ნოტიო კედელს მიუყვებოდა და როცა იმის ლოპრმოდებულ ზედაპირზე მოუხვდებოდა ხელი, ზიზლი იპყრობდა. ამ უცნაურ გვირაბში საშინლად მყრალი, გულისამრევი სუნი იდგა და ყველაფერი რალაც ნებოვანი ლორწოთი იყო გალიპული. ყინულივით ცივ, ბლანტ წყალში ფეხშიშველი მიაბიჯებდა. ზოგჯერ ფეხებზე ხორკლიანი, მოფუთფუთე არსებების შეხებას გრძნობდა და შიშისაგან სუნთქვაშეკრული ცდილობდა, უფრო სწრაფად ევლო, რომ იქაურობას რაც შეიძლება სწრაფად გასცლოდა, მაგრამ სიცივისაგან გათოშილი სხეული აღარ ემორჩილებოდა და ეჩვენებოდა, რომ სადაც იყო, წაიქცეოდა, ბინძურ წყალში წალავდებოდა, იქ, იმ საშინელ სიბნელესა და სიმყრალეში ჩაიხრჩობოდა.

უეცრად, რალაც შორეული ხმა, რალაც ძახილი შემოესმა და გაჩერდა, ყური მიუგდო, მაგრამ ძახილი აღარ გამეორებულა. სამაგიეროდ გაიგონა ხის კიბეზე ამაველი ადამიანების მძიმე ფეხის ხმა, აშკარად შემოესმა ვილაცათა გახშირებული სუნთქვა, ქოშინი და იმედმიცემულმა დაძახება გადანყვიტა, პირი გააღო, მაგრამ ყელიდან უცხო, უცნაური ხავილის მეტი არაფერი ამოუვიდა. სასონარკვეთილებისაგან დაზაფრულმა გზა განაგრძო, სწრაფად მიდიოდა, კოჭებამდე წყალს მიაჭყაპუნებდა და ახლა უკვე აღარ ერიდებოდა მყრალი ლორწოთი განებილ კედლებს, ზედ ეხლებოდა, ხელისგულებით ებჯინებოდა და სიბნელეში ეგრე მიტორტმანობდა.

უცებ, რალაცას წამოჰკრა ფეხი, წაიბორძიკა, თავი ველარ შეიკავა და წყალში გულაღმა მწოლარე გვამზე წაიქცა. მაშინვე იცნო, უფრო სწორად, გუმანით მიხვდა, რომ ალექსანდრეს ცხედარი იყო, შიშისაგან შეჰყვირა და გამოეღვიძა.

ერთხანს თვალედახუჭული იწვა, გონზე მოსვლას ცდილობდა, მერე ქმრის ლოგინზე ხელი მოაფათურა და როცა ნახა, რომ ცარიელი იყო, ელდა ეცა. ქუჩიდან რალაც გაურკვეველი ხმები ისმოდა. ყური მიუგდო, გაიგონა მოტორის თუხთუხი, ვილაცის მშრალი ჩახველება და მანქანის კარის ჯახუნი. ელენე საწოლი-

დან ადგა, სიბნელეში ხელების ცეცებით მივიდა ფანჯარასთან, სქელი ფარდა გადასწია და გარეთ რომ გაიხედა, დაინახა შავი ავტო, რომელიც ადგილიდან დაიძრა, ქვემოთ დაეშვა, სიბნელეს შეერია და გაუჩინარდა.

ერთხანს იდგა და ქმრის შემოსვლას ელოდებოდა. საპირფარეშოში გავიდოდაო, ფიქრობდა. მართლაც, ლამლამობით ხშირად უნევდა ხოლმე ალექსანდრეს საპირფარეშოში გასვლა და კომმარული სიზმრიდან გამორკვეული ელენე თანდათანობით დამშვიდდა.

გარეთ ნოემბრის ცივი, გულისგამანვრილებელი წვიმა ასველებდა ქუჩას, სახლის სახურავებს, ტანდაჯირფვებულ, ბებერაკაცებს. ელენეს რატომღაც ებრალებოდა ის აკაცები, შემოდგომით დაუნდობლად რომ გადაბელავდნენ ხოლმე და მერე, გაზაფხულზე, ხანმოთუელნი და უძალონი, ძლივსღა ამოიყრიდნენ თითო-ოროლა მწვანე რტოს. ამ ოცი წლის წინათ, ისინი ჯერ კიდევ ახალგაზრდები იყვნენ, ჯერ კიდევ შეეძლოთ ვარდობის-თვეში თეთრად გადაპენტილიყვნენ და მთელი ქუჩა ნაზი, გულისამაჩქროლებელი სურნელით გაებრუებინათ. ახლა კი უპატრონო და უმწეო მოხუცებევით საბრალოდ იდგნენ იმ წვიმაში, იდგნენ და ელოდნენ, როდის ჩამოივლიდა ცულიანი წყნეთელი გლეხი, რომ ძირში მოეჭრა, მოკლე-მოკლედ დაეხერხა და ცხენის ურმით შინ წაეღო. მათ ამ მოლოდინს ელენე მუდამ მტკივნეულად განიცდიდა და იმ წყნეთელი კაცის გამოჩენაზე შიშით ისე აუთრთოლდებოდა ხოლმე გული, ისეთი ელდა ეცემოდა, თითქოს ქუჩაში ერთი უბრალო გლეხი კი არა, მიქელ-გაბრიელი მოდენილიყო.

ოცი წლის წინათ ელენეც ახალგაზრდა იყო, მთლად ისეთი ვერა, აყვავება რომ შესძლებოდა, მაგრამ ჯერ მაინც იმდენად ლამაზი, რომ აკაციის ყვავილებით გაბრუებულ ქუჩაში მომავალს, უბნის კაცები თვალს აყოლებდნენ და გადასახლებიდან დაბრუნებული, ცოლმონატრებული ალექსანდრეც ვნებიანად უთვალთვლებდა ჯიშთან ტან-ფეხს.

ელენეს მიაჩნდა, რომ ქმარს უნდა ეამაყა მისით, რადგან იმ თერთმეტი წლის განმავლობაში, რაც იგი ციხესა და შორეულ

გადასახლებაში იმყოფებოდა, მიუხედავად მრავალი მაცდუნებელი შემოტევისა, მაინც ბოლომდე მისი ერთგული დარჩა და კატორლაში მყოფ პოლიტპატიმარს ნამუსი შეუნახა. იმ დროს ხალხი ჯერ კიდევ დიდად აფასებდა კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის მებრძოლ, ტანჯულ გმირებს. ამიტომ ელენესაც, როგორც ერთ-ერთი ასეთი გმირის ცოლს, ყველა განსაკუთრებული ყურადღებითა და პატივისცემით ეპყრობოდა და თუმცა თვითონ სრულიად არაფერი იცოდა ქმრის იატაკქვეშა მუშაობის შესახებ, მაინც სულ იოლად დაიჯერა, რომ ალექსანდრე მართლაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა იყო. მასთან ხშირად მოდიოდნენ სოციალ-ფედერალისტთა ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის წარმომადგენლები, ეხმარებოდნენ ფულით და ზოგჯერ მისგანაც თხოულობდნენ დახმარებას.

ერთხელ ელენეს მათი ოჯახის კარგი ნაცნობი და შორეული ნათესავი, ელიზბარ ლოლუა ესტუმრა და როგორც რევოლუციონერის ცოლსა და სანდო პიროვნებას სთხოვა, დროებით, სულ რამდენიმე კვირით შეენახა უცხოეთიდან საიდუმლოდ შემოტანილი იარაღი. ელენე თავიდან შეშინდა, რადგან იმ წლებში საქართველოში საშინელი რეაქცია მძვინვარებდა და იცოდა, რომ იარაღის შენახვისათვის ციმბირს აქეთ დაატოვებინებდნენ, მაგრამ ქმრის სიყვარულისა და მისი საქმის ერთგულების გამო ელიზბარს უარი ვეღარ უთხრა. მართლაც, მარტის ერთ თოვლჭყაპიან ღამით, ელენეს კარზე მოაყენეს შაშხანებითა და ტყვია-ნამლის ყუთებით დატვირთული, კამეჩებშებმული ურემი და იარაღი სამზადის ქვეშ, წინასწარ გათხრილ ხაროში დამალეს. დაღლილი და შეციებული ხალხი დიასახლისმა ბუხრის წინ გაშლილ სახელდახელო სუფრასთან მიიწვია და როცა ელიზბარის ამხანაგებმა სველი ნაბდები სოხანეზე მიყარეს და ყაბალახები შემოიხსნეს, ერთი მათგანის გამორჩეულმა ვაჟკაცურმა შესახედაობამ და სილამაზემ ქალი განსაკუთრებულად მოხიბლა. ეს იყო მთელს სამეგრელოში ცნობილი, სახელგანთქმული სენაკელი აბრაგი ჯარიშა ჯგუშია, რომელიც „ესფერებს“ უცხოური გემიდან იარაღის გადმოტანასა და მის დაბინავებაში შველოდა.

იარაღის შემოტანა მუდამ დიდ ხიფათთან იყო დაკავშირებული და ამიტომ პარტიული კომიტეტი ყაჩაღთა რაზმებს იყენებდა ხოლმე ამ საქმისთვის, მაგრამ რაკი მათ ბოლომდე მაინც არ ენდობოდა, მეთაურად ყოველთვის ისეთ კაცს უნიშნავდა, რომელსაც ღალატს ვერავინ გაუბედავდა. სწორედ ასეთი კაცი იყო ჯარიშა ჯგუშია. იგი განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა აბრაგებს შორის. თვითონ იგი იმდენად იყო სანდო, რამდენადაც იცოდა, რომ ღალატის შემთხვევაში, პარტიული კომიტეტი მას სასიკვდილო განაჩენს გამოუტანდა და ამის აღმსრულებელსაც უთუოდ იპოვნიდა მის პირად მტრებს შორის.

იმ ღამით ელენემ სულ ორჯერ შეავლო ჯარიშას თვალი და იმან ორჯერვე დაიჭირა მისი მზერა. ამის შემდეგ არ გასულა რამდენიმე დღე, რომ ერთ საღამოს, სკოლიდან დაბრუნებულს აბრაგი შინ დაუხვდა. ელენემ ახლაც არ იცოდა, რანაირად შევიდა ჯარიშა დაკეტილ სახლში. იგი მშვიდად იჯდა ტახტზე და მის მოსვლას ელოდებოდა. ქალი გააცოფა ამგვარმა თავხედობამ, ყაჩაღი კინწისკვრით გააგდო გარეთ, მეორე დღეს კი ზუგდიდში ჩავიდა, ელიზბარ ლოლუა მოძებნა და აღშფოთებულმა ყველაფერი უამბო. მას შემდეგ ჯარიშა ჯგუშია თვალით აღარ უნახავს, მაგრამ, როცა რამდენიმე წლის შემდეგ მისი დალუპვის ამბავი შეიტყო, დაჯდა და ცხარე ცრემლით დიდხანს იტირა.

დათქმულ დღეს ელიზბარის გამოგზავნილმა კაცებმა იარაღი წაიღეს, ელენე კი მას შემდეგ პოლიტიკურ საქმიანობაში აღმოჩნდა ჩაბმული. კაცმა რომ თქვას, იგი არც თუ უხალისოდ ასრულებდა სხვადასხვა პარტიულ დავალებებს – დადიოდა კრებებზე, ავრცელებდა პროკლამაციებს, მოსწავლეებს და მათ მშობლებს ესაუბრებოდა ძირმომპალი თვითმპყრობელობის მავნე, ანტიხალხური რეჟიმის დამხობის აუცილებლობასა და გარდაუვალობაზე, ბოლოს კი პარტიაშიც შევიდა, რადგან მიაჩნდა, რომ ქმრის მიერ დანყებული საქმე თვითონ უნდა გაეგრძელებინა.

გადასახლებიდან დაბრუნებულმა ალექსანდრემ ცოლის პარტიულ გატაცებასა და ენთუზიაზმს ცივი წყალი გადაასხა. მან ჯერ ბევრი იცინა, როცა შეიტყო, ელენე პარტიის წევრი გამ-

ხდარაო, მერე კი სთხოვა, თუ ხათრი გაქვს, ელიკო, ეგ მანდატი ხვალვე ჩააბარე და იმ ხალხთან ყოველგვარი კავშირი განწყვიტო.

ელენეს წინააღმდეგობა არ გაუწევია, იმ საქმეში სულაც ალექსანდრეს ხათრით იყო ჩაბმული და ამიტომ პოლიტიკურ მოღვაწეობას სრულიად უმტკივნეულოდ დაემშვიდობა, მაგრამ ქმრის შესახებ ადრინდელი წარმოდგენა კი, ცოტა არ იყოს, გაუფერმკრთალდა. თერთმეტი წლის განმავლობაში ალექსანდრე მისთვის ნელ-ნელა იმ საიდუმლო ბურუსით მოცულ რაინდად იქცა, დღედაღამ მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის, მისი ნათელი მომავლისათვის რომ იბრძოდა და ამ მაღალი მიზნის მისაღწევად სიცოცხლეს არ იშურებდა – არ ერიდებოდა ციხეს, ბორკილებს, ციმბირულ ყინვასა და კატორღულ შრომას. მაგრამ გადასახლებიდან დაბრუნებული ალექსანდრე, ელენეს გასაკვირად, სულ სხვა კაცი აღმოჩნდა. ამ ჩია, ავადმყოფ, ერთთავად კუჭმტკივან ადამიანს საერთო არაფერი ჰქონდა მისი წარმოდგენით შექმნილ გმირთან და ერთი ჩვეულებრივი, კურდღელივით ფრთხილი, მშვიდ ცხოვრებას დანატრებული კაცი იყო, რომელსაც სრულიად არ აინტერესებდა მსოფლიო პროლეტარიატის ბედი და მასზე საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენაც კი ჰქონდა.

ელენე კარგა ხანს გონს ვერ მოდიოდა, ეჩვენებოდა, თითქოს ოქროს თუმნიანის ნაცვლად ვიღაცამ ხელში ყალბი ფული შეაჩერა და იმედგაცრუებული და განზილებული დატოვა, მაგრამ როცა მიხვდა, რომ ამ საბრალო ადამიანს, რომელიც კუჭის გამუდმებულ ტკივილს სოდიანი წყლის სმითა იყურებდა, საყვედურებისა და ათვალწუნების ნაცვლად, მზრუნველი ხელი და განსაკუთრებული მოვლა-პატრონობა სჭირდებოდა, შინაური წამლები და მკაცრი დიეტა დაუნიშნა, ფაფებით კვებავდა, თვალ-ყურს ადევნებდა, რომ პირში ისეთი არაფერი ჩაეკარებინა, რაც აწყენდა და ერთი წლის თავზე სასიკვდილოდ გადადებული კაცი ფეხზე დააყენა. იმ ერთი წლის მანძილზე ელენემ ისე ახლოს გაიცნო საკუთარი ქმარი, იმდენი კარგი თვისება აღმოუჩინა, რომ უკვე თვითონვე ეცინებოდა თავის გაზვიადებულ

წარმოდგენაზე და გრძნობდა, როგორ დღითიდღე უფერულდებოდა, რანაირად ფერმკრთალდებოდა მის მიერ წარმოსახული წამებული რაინდის სახე და მის ადგილს როგორ იჭერდა რეალური, ახლობელი და საყვარელი ადამიანი.

რევოლუციურმა საქმიანობამ ელენეს ხასიათს მაინც ღრმა კვალი დაამჩნია. ახლობლები მას იცნობდნენ როგორც გამბედავ, პირში მთქმელ ადამიანს, რომელიც არავის შეეპუებოდა და თავს ეგრე იოლად არავის დააჩაგვრინებდა. მოსწავლეებს მისი ეშინოდათ, მასწავლებლები ხათრითა და რიდით ექცეოდნენ. მისი პრინციპულობისა და შეუდრეკელი ხასიათის გამო ხშირად თავბედი უწყევლიათ სკოლის დირექტორებსა და განათლების განყოფილების გამგეებს.

ამნაირად იცხოვრა, ასე გალია წუთისოფელი და ახლა უკვე ხანშიშესული და თმაშევერცხლილი ხშირად ნაღვლობდა ხოლმე იმ მძიმე ხვედრზე, რაც ბედს მისთვის ერგუნებინა და რასაც ამ სიბერეში უფრო განიცდიდა, ვიდრე მაშინ, როცა ეგონა, რომ ყველა ბავშვი, ვისთვისაც კი ოდესმე ესწავლებინა, ვისაც მის ხელში გაეგლო, საკუთარი შვილივით უყვარდა, მაგრამ ახლა, როცა ყველა მათგანს, ყველა მოსწავლეს – ავსაც და კარგსაც, უკვე ერთ მთლიან, უსახურ მასად აღიქვამდა, ხვდებოდა, რომ იმ მაშინდელი სიყვარულით თავს იტყუებდა და სწორედ ამით იკმაყოფილებდა დედობრივ ინსტინქტს, თორემ სულ სხვა იყო ის ნამდვილი, ღვთიური გრძნობა, ადამიანს საკუთარი სისხლისა და ხორცის მიმართ რომ გააჩნია. ამ გრძნობას, ამ მარადიულ ინსტინქტს ებრძოდა მთელი ცხოვრება. ებრძოდა მაშინაც, როცა ეგონა, რომ საკუთარი შვილივით უყვარდა ყველა მოსწავლე, მაშინაც, როცა გადასახლებიდან დაბრუნებულ ავადმყოფ ალექსანდრეს უვლიდა და ახლაც, როდესაც ნიკოსა და ნუნუს შვილს – პატარა მერაბს მართლაც რომ საკუთარი შვილივით დაჰკანკალებდა და ცივ ნიავს არ აკარებდა.

გარეთ ისევ წვიმდა, ეული ნათურის შუქით განათებულ ქუჩაში, აქა-იქ წყლის შავი, პირქუში გუბეები იდგა და იმ გუბეებმა ელენეს წელანდელი სიზმარი გაახსენა. ისევ თვალწინ დაუდგა ბნელი გვირაბი, წებოვანი ლორწოთი გალიპული მისი

კედლები. ხალათი ჩაიცვა, კარი გამოაღო და სასტუმრო ოთახში შეიხედა.

ალექსანდრე ელენესაკენ ზურგშექცევით იდგა და კედელზე გაკრულ სურათებს ხსნიდა – უკვე ჩამოელო ილიას, აკაკის, ვაჟას ფოტოები და ახლა მეფის არმიის პოლკოვნიკისფორმიან გიორგი ჯანელიძის სურათს აძრობდა.

დაბნეული ელენე ჩუმად უყურებდა ქმრის საქმიანობას. ვერ გაეგო, რაში სჭირდებოდა ახლა, ამ შუალამისას, ალექსანდრეს ეს სურათები, მაგრამ როცა მან სიმამრის ფოტოც ჩამოსხნა, ღუმელთან მიიტანა და ოთხივე ცეცხლს შეუკეთა, ელენემ შეჰყვირა და ხელებგანვდილმა წინ წაინია.

ცოლის ყვირილზე ღუმელთან ჩაჩოქილმა ალექსანდრემ უკან მოიხედა და ელენემ დაინახა მისი მიტკალივით გაფითრებული სახე, უპეებჩამავებული თვალები და მორღვეული, უფორმო პირი. თავზარდაცემული შეჰყურებდა ამ ერთ ღამეში დაჩაჩანაკებულ, უცნაურად შეცვლილ ქმარს. ვერ მიმხვდარიყო რა მოხდა, რა უბედურება ტრიალებდა მათ თავს და როცა ალექსანდრემ ასადგომად აინია, მაგრამ მუხლმოკვეთილმა ნაიბორძიკა და იატაკს ხელით დაეხვინა, ელენე სწრაფად მიუახლოვდა, წამოაყენა, სავარძელთან მიიყვანა და შიგ ფრთხილად ჩასვა.

ბერიკაცმა წყლიდან ამოგდებული თევზივით აალამუნა ტუჩები.

– ჰო, რა იყო, საშა, ცუდადა ხარ?

ჰკითხა ელენემ, მაგრამ ალექსანდრე ხმას ვერ იღებდა, ცოლს უაზროდ მიშტერებოდა, თითქოს ვერ გაეგო, ვინ იყო ეს ქალი, აქ საიდან მოსულიყო ან რა უნდოდა და როცა იმან კომოდის უჯრიდან პიტნის წვეთების პატარა ბოთლი ამოიღო, აკანკალებული ხელით წყლიან ჭიქაში ჩააყირავა და მერე ის ჭიქა პირთან მიუტანა, ჩახრინწული ხმით უთხრა:

– ნიკო და მისი ცოლი წაიყვანეს წელან.

– დალიე ეს, დალიე! – აჩქარებით უთხრა ქალმა და როცა ალექსანდრემ ჭიქა გამოცალა, მერელა ჰკითხა, – სად წაიყვანეს, საშა, რას ამბობ?!
– არ ვიცი, მანქანაში ჩასვეს ორივენი და წაიყვანეს.

ელენეს ახლალა გაახსენდა ის შავი ავტომობილი, ელდა ეცა, ჭიქა ხელიდან გაუფარდა და იატაკზე დაეცა, მაგრამ არ გატეხილა.

– კი მაგრამ ბავშვი?!

ალექსანდრე ერთხანს უხმოდ მისჩერებოდა, სახე დაეძაბა, თითქოს რაღაცას იხსენებო.

– არ ვიცი, ბავშვი არ დამინახავს.

ელენე კართან მიიჭრა, გასაღები გადაატრიალა, გააღო და აჩქარებული გარეთ გაიჭრა.

ალექსანდრე არ განძრეულა, იჯდა და დაცარიელებულ კედელს მიშტერებოდა. გახუნებულ შპალერზე ფოტოსურათების ნაკვალევი დარჩენილიყო – სამი მოზრდილი და ერთიც მომცრო, ოვალური. იმ ადგილებზე კედელს ფერიცა და პენიც ძველებური შერჩენოდა და ის დღე გაახსენდა, როცა აისორი ხელოსნები ბინას ურემონტებდნენ. ცხადად მოაგონდა კირის, სახამებლისა და ხის ნებოს სუნი. ეს წარსულის, ბედნიერი ცხოვრების სურნელი იყო. რას არ მისცემდა, რომ ახლა იქ, იმ შორეულ წარსულში დაბრუნებულიყო. მაშინ, ოცი წლის წინათ, როცა ციბირიდან ჩამოტანილი ფულით ეს ბინა იყიდა, მის ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, რადგან სწორედ ეს იყო მისი პირველი და ერთადერთი საკუთრება, რომელსაც გადასახლებაში ყოფნისას ასე ნატრობდა. თავიდანვე შეუყვარდა ამ სახლის სუნი, მისი კედლები, ხის დარაბებიანი ფანჯრები, საიდანაც რიყის ქვით მოგებული ვინრო, თბილისური შუკა მოჩანდა. ახსენებოდა გაზაფხულის საღამოები, როცა ამ ფანჯრების წინ გამართულ სკამზე მეზობლები ჩამოსხდებოდნენ და თამაშობდნენ ჭადრაკს, ნარდს, ანდა უბრალოდ, მეზობლურად მასლაათობდნენ.

ასეთ დროს, იმ თბილ ამინდში, ყველა სახლის ღია ფანჯრიდან მოჩქროლავდა განსაკუთრებული, მარტოოდენ იმ ბინებისთვის ნიშანდობლივი სხვადასხვა სუნი და ერთმანეთთან შე-

ზავებული, თეთრად გადაპენტილი აკაციების ოდნავ მომწარო სუნთან შერწყმული, ერთ მთლიან, მხოლოდ მათი შუკისთვის დამახასიათებელ, განუმეორებელ სურნელსა ქმნიდა. მაშინ, იმ დროში, ადამიანები ცნოსვით სცნობდნენ საკუთარ ქუჩებს, რადგან ყოველი მათგანი, დიდი თუ მცირე, თავისი განსაკუთრებული არომატით გამოირჩეოდა და სწორედ ამ ათასგვარ არომატთა ნაზავი, ერთ მთლიან სუნად შეკრული და შენივთებული წარმოდგენდა იმ უძველესი ქალაქის სურნელს, რომელსაც დასაბამიდან თბილისი ერქვა, მაგრამ რატომღაც ყველა უბრალოდ „ქალაქს“ ეძახდა.

ალექსანდრე ახლა შორეული სიზმარით იხსენებდა მაშინდელ თბილისს, რაღაც სხვანაირს, სხვა იმედით გაციკროვნებულს და იქნებ ათასგვარი საზრუნავით შეწუხებულსაც, მაგრამ გაცილებით უფრო მხიარულს, ბედნიერსა და თავისუფალს. იხსენებდა იმ დღესაც, როცა დამარცხებულ ქალაქში ტანისამოს-შემოფლეთილი, მკბენარდახვეული, მშვიერი მტერი შემოვიდა. როცა სულ სხვა, უცხო კანონ-სამართლის არტახებით გაკრულ ქალაქში ცხოვრება ჩაკვდა და ჩაინავლა.

ქვეყანაში ტერორი გამეფდა. ცეცხლითა და მახვილით მოსულმა ძალამ გლეხი კოლმეურნეობის მონა გახადა, მუშა ჯამაგირის მოკლე თოკით დააბა, არისტოკრატია მოსპო, მღვდელი გაკრიჭა, ხოლო ინტელიგენცია მუჭში დამალული შაქრის ნატეხის ემხით, ცირკის განვრთნილ გოშიად აქცია და ქართველი ერი თანდათანობით იმ მოზვერს დაამსგავსა, რომელიც იძულებული იყო ორიდან ერთი, უფრო ნაკლები უბედურება აერჩია: ან უნდა დაეკლათ და ხორცის ნაჭრებად გაეყიდათ, ან დაეკოდათ და მუშა პირუტყვად ექციათ. ერმა ფიზიკურ განადგურებას მეორე უბედურება ამჯობინა, უღელში მორჩილად გაყო თავი და ყელში აპეურნაჭერილმა, ხრიოკი სახრის შიშით, სოციალიზმის ოღრო-ჩოღრო გზაზე გასწია.

ეს არჩევანი ალექსანდრეს გონივრულად მიაჩნდა. დათვი რომ მოგერევა, ბაბაია დაუძახეო, ეუბნებოდა ხოლმე მასთან მოკამათე ნიკოს. ეს ერთი მუჭა საქართველო დიდ რუსეთთან ვერას გახდება, ტყუილუბრალოდ შევანყდებით, გავნადგურდე-

ბით და აღვიგვებით პირისაგან მინისა. მთავარია, როგორმე გავუძღლოთ, თავი გადავირჩინოთ, სული რომ გვიდგას, ახლა ესეც დიდი საქმეაო. აბა, დავიკრიფოთ გულზე ხელები და ვუყუროთ? – ბრაზობდა ნიკო. – რატომ, კაცო, ვიშრომით, ქვეყანა ვაშენოთ, მამაპაპური ადათ-წესები შევინახოთ, ერის ტრადიციებს ნუ დავკარგავთ, ნუ გადავგვარდებით. მარადიული არაფერია, ამაზე უარესი დღეებიც გვინახავს, ბოლოს და ბოლოს, ესენიც წავლენ, მოგვცვილდებიან და ჩვენი დროც დადგებაო. მაგრამ ნიკო არ ეთანხმებოდა – მონობაში სიცოცხლეს სიკვდილი სჯობსო, მონა შექმნის და ააშენებს კი არა, რაც აქვს, იმასაც დაკარგავს და სულ ხელცარიელი დარჩებაო.

ერთი სიტყვით, ვერ თანხმდებოდნენ, სხვადასხვა აზრზე იდგნენ და ცხარედაც კამათობდნენ, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მათ მეგობრობას.

კარგით ახლა, გეყოფათ, ნუ დაჭამეთ ერთმანეთიო! – ეცინებოდა ელენეს, – ნეტა ვიცოდე, რა გაქვთ გასაყოფი, რა ყრია მაგ ცარიელ ლაპარაკშიო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხშირად თვითონაც ერეოდა მათ კამათში და ასეთ დროს მუდამ ნიკოს მხარეს იჭერდა, მის აზრს იზიარებდა; მათ ერთობლივ შემოტევას კი ალექსანდრე ველარ უძღებდა, ხუმრობით თითს მოკაკავავდა და ღიმილით ამბობდა, აბა, ელიკოსთან მე რას გავხდები, ეგ ხომ ძველი რევოლუციონერი გვყავს, პოლიტიკურ ბრძოლებაში ნაცადი და გამოცდილიო.

ასე ამთავრებდნენ კამათს, უფრო სწორად, მეორე დღისთვის გადასდებდნენ, მანამდე კი მიუსხდებოდნენ ელენეს მიერ გაშლილ სუფრას, ან ჩაის სვამდნენ, ანდა წელში გამოყვანილ ჭიქებში დასხმულ საფერავს და ჭუკჭუკებდნენ ტკბილად, თავისთვის, სულ ავინყდებოდათ სოციალიზმის მშენებლობა და მისი მონაპოვარი. მალე შემოვიდოდა ნუნუც, რომელსაც ცალ ხელში უსათუოდ ცხელი, იმერული ხაჭაპურებით თავმოდგმული თეფში, მეორეში კი ლოყებპუტკუნა, მოღიმარი ბიჭი ეჭირა, მიუჯდებოდა გვერდით ელენეს, ბავშვს კალთაში ჩაისვამდა და ალექსანდრე გრძნობდა, რომ ოთახში რაღაც სხვანაირი სიტბო და სიყვარული ისადგურებდა.

ბოლო ხანებში, ნიკო და ნუნუ მათთვის განსაკუთრებულად ახლობელ ადამიანებად გადაიქცნენ, მაგრამ ახლა, როცა ისინი პარუნაშვილმა და მისმა ამხანაგებმა მანქანაში ჩასხეს და წაიყვანეს, ალექსანდრეს ერთი უცნაური, სამარცხვინო გრძნობა ეუფლებოდა, გრძნობა უცაბედად მოვლენილი შვებისა და სიხარულისა, რომელიც გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, მთელ მის არსებას მაინც ჯიუტი მონდომებითა და ძალით იპყრობდა.

წელან, მანქანიდან გადმოსული პარუნაშვილის დანახვაზე, ალექსანდრეს, მისდა გასაკვირად, სრულიად გაუქრა შიშნარევი მოლოდინის მტანჯველი გრძნობა და უეცარი სიმხნევე და სიმშვიდე დაეუფლა. თითქოს მღვრიე წყლიდან ამოყვინთაო, გარკვევით დაინახა ყველაფერი, გონებადანმენდილი ამჩნევდა, როგორ ლაგდებოდა ირგვლივ ყოველივე, რანაირად უბრუნდებოდა საგნებსა და მოვლენებს თავთავისი ფორმა და მნიშვნელობა. ტკბილ-მწარე მოგონებები რეალობამ შეცვალა, განვლილი ცხოვრების სურათები სქელ ნისლში დაინთქა და უფრო ხელშესახები გახდა ანმყო, რომელიც ალექსანდრეს უკვე აღარ აშინებდა, ახლა სხვა, მისი აზრით, უფრო მნიშვნელოვანი საფიქრალი ანუხებდა: ნანობდა, რომ ცოლი თავის დროზე არ გააღვიძა, ყველაფერი წინასწარ არ უამბო და ამ წუთებისთვის არ შეამზადა. გონების თვალთ იქექებოდა წიგნების კარადასა და საწერი მაგიდის უჯრებში, რადგან აინტერესებდა, ჩხრეკის დროს რა უნდა ეპოვნათ იქ ისეთი, რაც მომავალში მის საწინააღმდეგო სამხილად გამოადგებოდათ. ეცოდებოდა ელენე, რომელიც ამ სიბერეში ისევ მარტო უნდა დარჩენილიყო და, ცხადია, თვითონაც ესიკვდილებოდა იმ ერთხელ უკვე ავლილი გოლგოთის ხელმეორედ ავლა, კვლავ ყურში ედგა ბორკილების ჟღერიალი და ბადრაგის მკვახე შეძახილი. მაგრამ დიდი ხნის ნალოდინარი საშიშროება იმდენად რეალური და გარდაუვალი გამხდარიყო, რომ ალექსანდრეს სრულიად აღარ აფრთხობდა, რადგან საშიშროების მოლოდინი გაცილებით უფრო მტანჯველია, ვიდრე თვითონ საშიშროება.

შუა ოთახში იდგა და ღამის სიჩუმეში გარკვევით ესმოდა

ყოველი ჩქამი, სულ ოდნავი გაფაჩუნება: ნვიმის რბილი, ჩუმი შრიალი, საათის ტიკტიკი, რალაც შორეული, სუსტი წკრიალი და სადარბაზოს ხის ჭრიალა კიბეზე ამომავალი პარუნაშვილისა და მისი ამხანაგების მძიმე ფეხის ხმა. ეჩვენებოდა, რომ ხედავდა კიდეც მათ მკაცრ სახეებს, მოკუმულ ტუჩებს, ჯიბეებში ჩამალულ ხელებს. აი, კიბე ამოათავეს და დერეფანში შემოვიდნენ. ახლა მარჯვნივ გამოუხვევდნენ, მოადგებოდნენ ალექსანდრეს ბინის დაკეტილ კარს და ზედ მუშტით მაგრად დააბრაახუნებდნენ. სმენად იქცა, დაძაბული, კისერგანვდილი მისჩერებოდა შემოსასვლელს, მაგრამ არავინ აკაკუნებდა და ეს მტანჯველი მოლოდინი თანდათანობით უფრო აუტანელი და დამთრგუნველი ხდებოდა.

უეცრად, მართლაც ატყდა მძიმე ბრაახუნი, მაგრამ მას როდი უკაკუნებდნენ, ეს ხმა უფრო შორიდან, დერეფნის ბოლოდან მოდიოდა და ალექსანდრემ გაიფიქრა, ალბათ, კარი თუ შეეშალათო.

ცოტა ხნის შემდეგ შემოესმა ნიკოს ნამძინარევი ხმა, ვინ არისო, კითხულობდა და ამათაც ისე მხიარულად, ისეთი მეგობრული ტონით უპასუხეს, გააღე, კაცო, ჩვენა ვართო, რომ ალექსანდრეს გაუკვირდა, ნეტავი ეს ჩვენი ნიკო და პარუნაშვილი საიდან იცნობენ ერთმანეთსო! მერე გაისმა კარის ჭრიალი, რალაც გაურკვეველი, ყრუ შეძახილი, თითქოს ვიღაცამ დაახველაო და იქაურობა ისევ ჩანყნარდა, ნვიმის გაბმულ შრიალსა და საათის ტიკტიკში ჩაიძირა.

ალექსანდრე არ განძრეულა, იდგა და ფიქრობდა: ალბათ, ჯერ ნიკოსთან იმიტომ შევიდნენ, რომ მოწმედ სჭირდებათ, მისი თანდასწრებით მიპირებენ დაპატიმრებას, რათა ყველაფერს კანონიერი სახე მისცენო, მაგრამ გადიოდა დრო და იქიდან ჩამიჩუმი აღარ ისმოდა.

ალექსანდრემ კარგა ხანს იცადა და ბოლოს ცოლის გაღვიძება გადაწყვიტა. ახლა მხოლოდ ისღა ადარდებდა, რა ვქნა, ისე როგორ შევაპარო ეს ამბავი, რომ საწყალ ქალს გული არ გავუხეთქოო და ამ ფიქრში რომ იყო, უეცრად, ისევ მოესმა კარის ჭრიალი, ხმაური და ნაბიჯების ხმა. ყური მიუგდო, გაიგონა კა-

ცების ლაპარაკი და ქალის ტირილი, რალაც ბლლარძუნის ხმაც შემოესმა, მაგრამ არც ამჯერად გამოუხვევიათ მისი კარისკენ, კიბე ჩაიარეს და გარეთ გავიდნენ.

ალექსანდრემ ფანჯარას მიაშურა, ფარდა გადასწია და ქუჩაში გაიხედა: ავტომობილის კარი გაეღოთ და ნიკოს და ნუნუს შიგ ძალით სვამდნენ. ნიკო გახევებული უაზროდ იდგა, ხმას ვერ იღებდა, ნუნუ კი ტიროდა, კაცებს უძალიანდებოდა, გამწარებული რალაცას ამბობდა და სახლისკენ მიიწეოდა, მაგრამ ისინი ყურს არ უგდებდნენ, მანქანის ღია კარისკენ უბიძგებდნენ და როცა ბოლოს ორივენი შიგ შეყარეს, თვითონაც ჩახდნენ და ის იყო, ავტომობილი დაიძრა, რომ პარუნაშვილმა დაორთქილილი მინა გადანმინდა, ალექსანდრესკენ გამოიხედა და გაუღიმა.

მერე მანქანა ქვემოთ დაეშვა, სიბნელეს შეერია და გაუჩინარდა, ალექსანდრე კი იქვე დარჩა, იმ ფანჯარასთან, ცალი ხელით ფარდას ჭმუჭნიდა და ისევ თვალწინ ედგა პარუნაშვილის სუფთად გაპარსული სახე, მისი ღიმილი, თითქოს ორაზროვანი და ნიშნის მომგები, მაგრამ იმავდროულად მეგობრობისა და კეთილგანწყობის გამომხატველიც. ეჭვმა შეიპყრო. ეს ღიმილი სანდო არ იყო. გაახსენდა, წელან ნიკოს შინაურულად რომ დაუძახეს, გააღე, ჩვენა ვართო, და ალექსანდრესთვის ცხადი შეიქნა მათი მზაკვრობა. მოაგონდა შავი მანქანაც, რომელიც იმის ნაცვლად, რომ სიბნელეში გაეჩერებინათ, მთელს ქუჩაში ერთადერთ განათებულ და გამოსაჩენ ადგილზე, სწორედ მისი სახლის ფანჯრებთან დააყენეს და ალექსანდრე მიხვდა, რომ ეს ყველაფერი მის შესაშინებლად მოაწყობა პარუნაშვილმა და ეგებ ნიკოსა და ნუნუს დაჭერაც მისთვის დადგმული სპექტაკლი იყო. ოღონდ ერთ ღამეს ჯერ ვერ ხვდებოდა, ეს უშნო ფარსი უკვე დამთავრდა თუ კიდევ წინ ჰქონდა მეორე აქტი, რომელიც ტრაგიკული ფინალით უნდა დასრულებულიყო და ალექსანდრეს კვლავ შემოაწვა გაურკვეველი მოლოდინის მტანჯველი გრძნობა, შემობრუნდა, ოთახს უაზროდ მოავლო თვალი და როცა, უეცრად, მაგიდის თავზე გაკრული ილიას, ვაჟას, აკაკის და მეფის არმიის პოლკოვნიკის, გიორგი ჯანელიძის

ფოტოები შენიშნა, შიშისგან სუნთქვა შეეკრა და ელდანაცემმა სანერ მაგიდას მიაშურა.

კარმა გაიჭრიალა და სავარძელში მჯდომი ალექსანდრე შეკრთა. ოთახში ელენე შემოსულიყო, ხელში მძინარე ბავშვი ეჭირა. ქალი აჩქარებული ნაბიჯით წამოვიდა, ქმრისთვის ერთხელაც არ შეუხედავს, წამით თვალი დაცარიელებულ კედელს შეავლო და საძინებელ ოთახში შევიდა. ღია კარიდან მოჩანდა, როგორ მზრუნველად ჩაანვინა ბავშვი ლოგინში, როგორ ჩაფუთნა. მერე იდგა და ჩუმად დასჩერებოდა.

ელენეს ეცოდებოდა ასე ობლად, უდედმამოდ დარჩენილი პატარა ბიჭი, რომელსაც ბრმა ლეკვივით ჯერ თვალიც არ აეხილა და უკვე საშინელ განსაცდელს უმზადებდა წუთისოფელი. თავზარს სცემდა ნუნუსა და ნიკოს დაჭერა. ვერ წარმოედგინა, რა უნდა ჩაედინათ ამ მშვიდ, უწყინარ ადამიანებს ისეთი, რომ შუალამისას შინ მოუცვივდნენ, ლოგინიდან წამოყარეს და ისე წაასხეს, თოთო ბავშვსაც არ გაუწიეს ანგარიში. ბუნდოვანი გუმანით გრძნობდა, რომ ამის შესახებ ალექსანდრემ მასზე მეტი იცოდა, თორემ იმ სურათებს ისეთი ფათაფუთით არ ჩამოსწიდა და ღუმელში არ შეუკეთებდა. სასტუმრო ოთახში გავიდა, კარი ფრთხილად მიხურა და ქმარს მიაჩერდა:

- როგორ ხარ, საშა?
- არა მიშავს.

სკამი აიღო, სავარძელთან მიაჩოჩა და კაცს წინ დაუჯდა. ალექსანდრე ოდნავ შეირხა. კარგა ხანს უხმოდ, მდუმარედ ისხდნენ და ესმოდათ ქუჩიდან შემომავალი წვიმის შრიალი, კომოდის თავზე შემოდგმული საათის ხმა და იატაკქვეშ დაბუდებული თავგის ფაჩუნი. ელენე ქმარს სახეში შეჰყურებდა, მაგრამ ალექსანდრე თვალს არიდებდა, მუხლებზე დალაგებულ საკუთარ ხელებს დასჩერებოდა, ისე გულმოდგინედ აკვირდებოდა ყავისფრად დალაქავებულ, ძარღვებამომსხდარ მტევნებს, თით-

ქოს პირველად შეამჩნიაო და როცა ქალმა ამდენი ხნის სიჩუმეს ვეღარ გაუძლო და სასხვათაშორისოდ ჰკითხა, ნეტავი რა ჩაიდინეს იმ საცოდავებმა ასეთიო, თავი ასწია და ფანჯრებს შეხედა.

ლამე გაბაცებულიყო, ოთახში დილის რიჟრაჟის მკრთალი ნათელი შემოდოდა და, ანი, ალბათ, აღარ მოვლენო, გაიფიქრა. მართლაც, ნესად ჰქონდათ, „ხალხის მტრებს“ ლამლამობით აპატიმრებდნენ, იშვიათად თუ ვინმეს დღე დაიჭერდნენ, შუალამისას მიადგებოდნენ ხოლმე მანქანით და ყოველგვარი ხმაურის გარეშე, ჩუმად მიჰყავდათ.

– ჩემი მოსწავლე იყო ერთი, – თქვა ბოლოს და ჩახრინული ყელი რომ ჩაენმინდა, ჩაახველა.

– რომელი?

– არ იცი შენ.

– მერე, ვერ უთხარი ლამე?! – ხმაში საყვედური გაერია ელენეს.

ალექსანდრეს ნაძალადევა ღიმილმა დაუგრიხა ტუჩები, დაცარიელებულ კედელს შეავლო თვალი და ელენემაც ძალაუნებურად იქით გაიხედა. გახუნებულ, გაცრეცილ შპალერს მკვეთრად აჩნდა ის ადგილები, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ სურათები ეკიდა.

– გუშინ პატარა ნაკინკლავება მომიხდა იმ ბიჭთან და მეგონა, ჩემს დასაჭერად იყვნენ მოსულები.

– მოიცა, თუ კაცი ხარ, დალაგებით მომიყევი ყველაფერი!

– ილიას „გაზაფხული“ ნაფუკითხე. რა ვიცოდი, ჩეკისტი თუ მეფედა კლასში.

– ჰო.

– კლასობრივი მტერია მაგ ლექსის დამწერიო, მითხრა!

– მერე?

– ყური ავუნე და მეგონი ნამოვარტყი კიდევ პატარაზე.

ელენემ ტუჩებზე ხელის გული მიიფარა და ქმარს გაღიმებული თვალებით მიაჩერდა. ერთხანს ეგრე უყურეს ერთმანეთს. ქუჩიდან გაღვიძებული ბელურების ჟივჟივი ისმოდა. თავი გაჩუმდა. ახლა საათილა ნიკნიკებდა ნყნარად და, ეტ-

ყოფა, წვიმამაც გადაიღო, რადგან აღარ ისმოდა მისი გამაბეზრებელი ხმაური.

– მაგისტვის ვინ დაუჭერიათ, შე კაცო! – თქვა ბოლოს ქალმა.

უეცრად გარედან საყვირის ხმა მოისმა. ელენე წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და ქუჩაში გაიხედა. ქვემოდან მერძვე მოდიოდა, ცალ ხელში ბიდონი ეჭირა, მეორეში მონიკელებული საყვირი. სახლთან რომ ამოვიდა, ბიდონი დადგა, საყვირი პირზე მიიღო და ჩაბერა.

ბავშვს გამიღვიძებს ეს შეჩვენებულიო, შეშინდა ელენე, სამზარეულოში გავიდა და კარადაში ჯამ-ჭურჭელს აუყენა ჩხარუნი – ქვაბს თუ ეძებდა რძისთვის.

ამ ახალმა ხმებმა: ბელურების ყვილ-ხივილმა, საყვირის ხმამ, ჭურჭლის ჩხარუნმა და ქუჩიდან შემოსულმა დილის ნათელმა, სამყარო შეცვალა, გადაასხვაფერა და თითქოს ალექსანდრესაც მოჰგვარა ერთგვარი შვება. მტანჯველი ღამე წარსულს ჩაბარდა და ახალმა დღემ რალაც გაურკვეველი იმედი ჩაუსახა გულში. იმედიანი იყო ელენეს ნათქვამიც – მაგისტვის ვინ დაუჭერიათო, – და, მართალია, ალექსანდრემ კარგად იცოდა, რომ ამაზე გაცილებით უმნიშვნელო რამისთვისაც იჭერდნენ, მაგრამ მაინც გულიდან გადაეყარა ის მძიმე ნაღველი, მთელი ღამე რომ აწუხებდა და მოსვენებას არ აძლევდა.

გარედან ისევ მოისმა საყვირის ხმა. ალექსანდრემ თავი ასწია და სანოლი ოთახის კარს მიაჩერდა. იქ ბავშვს ეძინა – ნაადრევად დაობლებულს, მარტო დარჩენილს. მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად იგრძნო სიბრაღეული. შეეცოდა მისი მშობლებიც, რომლებიც, ვინ იცის, რა ბრალდებით დააპატიმრეს. თავისი წელანდელი ვერსია გაახსენდა – ნიკო და ნუნუ ჩემს შესაშინებლად დაიჭირა პარუნაშვილით, – და საკუთარ გულუბრყვილობაზე გაეცინა. მთლად ასე მარტივად არ უნდა ყოფილიყო საქმე. ეტყობოდა, ნიკო სხვასთანაც ლაპარაკობდა მთავრობის აუგს და დააბეზლა ვილაცამ, ბოროტი ხალხის მეტი რა იყო! მაგრამ, ვაითუ, მართლაც ღამეში იყო გაბმული, ვაითუ, მისი ხასიათის პატრონმა ვერ მოითმინა და რომელიღაც ფარულ ორგანიზაციაში შევიდა, მაშინ? თითქოს ცხელი წყალი

გადაასხესო, ამის წარმოდგენაზე ცეცხლი მოედო. იცოდა, რომ იმათ ხელში ჩავარდნილ კაცს აღარაფერი ეშველებოდა, მაგრამ გონება მისგან დამოუკიდებლად მაინც ეძებდა გამოსავალს.

ამ ორიოდე თვის წინათ, ალექსანდრეს ქუჩაში ერთი შორეული ნათესავი შეხვდა, შუახანს გადაცილებული კაცი მანასი წიქორიძე. ეს მანასი ადრე წყალტუბოს თემის მღვდელი იყო. ცხრაასოცდასამში, როცა ბოლშევიკებმა დიდი ანტირელიგიური კამპანია წამოიწყეს, გაზეთში „მუშა და გლეხი“ მისი სახელით შემდეგი შინაარსის წერილი დაიბეჭდა: „ამხანაგო რედაქტორო! ჩემს მღვდლობაში მე ადრევე დავრწმუნდი, რომ სასწაულები და არაბუნებრივი მოვლენები არ არსებობს, მაგრამ მე კიდევ მაჩერებდა სარწმუნოების ზნეობრივი მხარე; ეხლა ვხედავ, რომ ამაშიც შევცდარვარ. ამიტომ ვტოვებ მღვდლობას, კავშირს ვწყვეტ ეკლესიასთან და ამიერიდან ვეცდები ვიყო მტკიცე მორწმუნე მეცნიერებისა. გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ მღვდლობა გულუბრყვილო ხალხის ძარცვა-გლეჯა და ავაზაკობაა. ამიტომ დღეიდან ამ საქმიანობას თავს ვანებებ და გადწვეტილი მაქვს, ვემსახურო მშრომელ ხალხს და ვისაზრდოო თავი პატიოსანი შრომით“.

სინამდვილეში, მანასი წიქორიძე სოფლის აქტივისტებმა და კომკავშირლებმა ძალით გაკრიჭეს, ის კორესპონდენცია კი, ცხადია, რედაქციის მუშაკმა დაწერა.

მისი ნახვით გახარებულმა ალექსანდრემ მანასი რესტორანში დააპატიჟა. დალიეს თითო ბოთლი ღვინო, მოიკითხეს ერთმანეთი, გაიხსენეს ძველი ამბები, ნათესავეები. შუა პურის ჭამაში ყოფილ მღვდელს უეცრად, ტირილი წასკდა, თვალებიდან ღაპაღუპით წამოუვიდა ცრემლები, ველარ ჩერდებოდა. კარგა ხანი გავიდა, სანამ დამშვიდდებოდა, მერე კი შეცბუნებულ ალექსანდრეს გამოუტყდა, სწორედ ახლა მოვდივარ შინსახკომიდან, სადაც ხელწერილი დამანერინეს, რომ ვალდებული ვარ არაკეთილსაიმედო ხალხს თვალ-ყური ვადევნო და საიდუმლო განყოფილებას მათ შესახებ ცნობები მივანოდო. შენ გამოცდილი კაცი ხარ, ძველი რევოლუციონერი და მიჩნე რა ვქნა, როგორ მოვიქცეო.

ალექსანდრე გაშრა, უეცრად შესძულდა საკუთარი თავი-
ცა და მანასი ნიქორიძეც, გამტკნარებული იჯდა, ერთი სული
ჰქონდა, აქედან როდის წავიდოდა. მანასი კი არ ეშვებოდა, ეხ-
ვენებოდა, მირჩიე ღამეო. ბოლოს, ალექსანდრე ადგა, ყოფილ
მღვდელს უთხრა, ისე მოიქეცი, როგორც საკუთარმა სინდისმა
გიკარნახოსო, ოფიცინტს დანახარჯი გადაუხადა, დაბნეული
სტუმარი გაშლილ სუფრასთან მიატოვა და წავიდა.

ალექსანდრემ იცოდა, რომ საქართველო სავსე იყო მანასი
ნიქორიძის მსგავსი აგენტებით და, ცხადია, სწორედ ერთ-ერ-
თმა მათგანმა დააბეზლა ნიკოც.

ელენე შემოვიდა და ქვაბით რძე შემოიტანა. ალექსანდრემ
შენიშნა, რომ ცოლი თვალს არიდებდა, სამაგიეროდ, წამდაუ-
წუმ, დაცარიელებული კედლისკენ გაურბოდა თვალი და, ცოტა
არ იყოს, შერცხვა თავისი წელანდელი საქციელისა, მაგრამ გუ-
ნებაში მაინც გაიმართლა თავი – სურათები ხომ იმიტომ დან-
ვა, რომ სულ მცირე, იოტისოდენა სამხილიც კი მოესპო და
ახლა უკვე დარწმუნებული იყო, რომ დაპატიმრების შემთხვევა-
ში ისეთს ველარაფერს უპოვნიდნენ, რაც მის სანინაალმდეგოდ
გამოადგებოდათ, მაგრამ, მოულოდნელად, თითქოს შიგნით რა-
ღაც აუფეთქდაო, გონება თვალისმომჭრელმა შუქმა გაუნათა.
ამ უეცარი შეგრძნებისაგან ალექსანდრე ფეხზე წამოხტა და სა-
წოლი ოთახის კარს მიაშტერდა: იქ, იმ კარს მიღმა უდრტვინ-
ველად ეძინა პატარა მერაბს, დღეის ამას იქით ხალხის მტრის
შვილსა და ყველაზე დიდ სამხილს, რაც სრულიად კმაროდა
მისი და ელენეს ირკუტსკში, ზნამენკასა თუ ბოდაიბოში გადა-
სასახლებლად.

თავდაპირველად მოაგონდა, რომ ნუნუს მშობლები სადღაც,
ხარაგაულის რაიონში ცხოვრობდნენ, მაგრამ სოფლის სახელი
ვერ გაიხსენა. გამალებული ფიქრობდა, მეტისმეტი დაძაბულო-
ბისაგან თავი ასტკივდა. ბოლოს დაასკვნა, ელენეს ეცოდინე-

ბა მისამართით, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ სანამ ტელეგრამა იქამდე ჩააღწევდა, სანამ ისინი თბილისში გამოსამგზავრებლად აიბარგებოდნენ და ბოლოს, სანამ ჩამოვიდოდნენ, დაგვიანდებოდა ძალიან. მერე ნიკოს და მოაგონდა, რომელიც კუკიის უბანში ცხოვრობდა. არც მისი მისამართი იცოდა, მაგრამ ნიკოს სიძე ყასაბი იყო, ლეო ერქვა და ასე კიდევ შეიძლებოდა მათი პოვნა. ახლავე უნდა წასულიყო, კუკიაზე ყასაბი ლეო მოეძებნა და ბავშვი იმათთვის მიეგვარა, მაგრამ, უეცრად, ცოლის ეჭვიან მზერას წაანყდა. ეტყობოდა, ელენე, როგორც ყოველთვის, ახლაც უსიტყვოდ მიხვდა მის ნაფიქრს, რადგან საწოლი ოთახის კარზე აკრულს ფოცხვერით უელავდა თვალები და თვითონაც იმ ფოცხვერს ჰგავდა, ერთადერთი ლეკვის წართმევას რომ უპირებდნენ.

ალექსანდრე მოეშვა, სავარძელში მოწყვეტით ჩაჯდა და განათებულ ფანჯარას მიაჩერდა. წელან ცოტა ხნით ნაგრძობი შვება გამქრალიყო და ახლა მის ნაცვლად, რაღაც უცხო, ცხოველური შიში ავსებდა, შიში დამფრთხალი ნადირისა, ბნელ კუთხეში მიკუნჭული და მდევერებისაგან გარშემორტყმული, გადამწყვეტ დარტყმას რომ ელოდება.

სულ სხვა რამ იყო ეს შიში, სხვა აზრების გამჩენი და წარმომშობი სრულიად უცხო, მოულოდნელი სურვილებისა, რაც ალექსანდრეს თავზარს კი სცემდა, მაგრამ თანდათანობით იმორჩილებდა, რაღაც უცნაური ძალით თრგუნავდა და აიძულებდა წამომხტარიყო, უგზო-უკვლოდ გაქცეულიყო და მანამ ერბინა, სანამ დაღლილი და გასავათებული სადმე მკვდარივით არ მიეგდებოდა. მაგრამ ახლა, არამც თუ გაქცევისა, სავარძლიდან წამოდგომის თავიც არ ჰქონდა, რადგან, თურმე, დიდი ხანია უკვე გარბოდა, გაურბოდა იმ საზიზღარ ლაფსა და ტალახს, რომელსაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ერიდებოდა და ახლა, გაუთავებელი სრბოლისაგან დაღლილსა და ძალაგამოცლილს, ერთი ზედმეტი ნაბიჯის გადადგმაც აღარ შეეძლო. იჯდა და სასონარკვეთილი ფიქრობდა, რომ სრულიად ამო ყოფილიყო ის სირბილი, ის დაუსაბამო ტანჯვა-წვალება, რადგან, სადაც უნდა წასულიყო, როგორც უნდა დამალულიყო, მაინც იპოვიდნენ, მიწიდანაც კი ამოიღებდნენ და ბოლოს, უსა-

თუოდ იმ წუმბქესთან მიათრევდნენ, რომელსაც ასეთი სულელური გულუბრყვილობით ემალებოდა.

მარადიული ლტოლვისაგან დაღლილსა და გაბეზრებულს, ახლა უნებურად აგონდებოდა სოფელი და სამების გორაზე წამომართული, კედლებდაბზარული ძველი საყდარი, რომლის შორიახლოს, ჟანგისაგან შეჭმული რკინის მესერიტ შემოღობილ ყვითელ თიხნარში მშვიდად იწვნენ ცხოვრების დაუსაბამო მდინარისაგან გაცვეთილი და ზენაარის მიერ შევებამინიჭებული მისი მშობლები და ერვენებოდა, რომ თვითონაც იქ იყო, იმ დიდი ხნის წინათ მიტოვებულ საფლავთან იჯდა და უყურებდა, როგორ დასდიოდა ნოემბრის წვიმა ჯერ ისევ მწვანე ბალახით შემოსილ მიწას, სისველისაგან გაშავებულ საფლავის ლოდებს და მთელს სასაფლაოს, ხნარცვებიდან აძრული ნისლით შებურვილსა და რძისფრად შეღებილს. გონების თვალით ხედავდა მამას, მის ფიქრიან, ყოველდღიური საზრუნავით დამძიმებულ გამოხედვას და ესმოდა დედის ტკბილი, ჟრუანტელისმომგვრელად მშობლიური ხმაც: – ეს არის „ა“! – ეუბნებოდა იგი, – აბა, კიდევ მიპოვნე „ა“. რა ჰქვია, შვილო, მაგასა?

– „ა“, – ელიმებოდა ალექსანდრეს და დედაც ალერსიანად უსვამდა თავზე ხელის გულს, ეფერებოდა.

გულაჩქროლებული ალექსანდრე გრძნობდა იმ ხელის სიღბოს, სინახეს, მის სულშიჩამწვდომ სითბოს და სანთელივით ეღვენთებოდა მთელი სხეული, თვალის უპეებში ცხელი ცრემლი უგროვებოდა.

ფიქრებიდან კარზე ატეხილმა კაკუნმა გამოარკვია, შეკრთა, თავი ასწია და ცოლს მიაჩერდა.

ამ სისხამ დილით სხვა ვინ უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაინც არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ კარს უკან „ისინი“ იდგნენ. გაუკვირდა, მანქანის ხმა რატომ ვერ გავიგონეო, სავარძლის სახელურებს დაებჯინა, ძლივს წამოდგა და ფანჯარასთან მიფრ-

ტუნდა. ტყვიასავით დამძიმებოდა ფეხები. გარეთ, ელექტრონის ბოძთან შავი ავტომობილი იდგა, ტყავისქურთუკიანი მძღოლი გადმოსულიყო, საქარე მინას ფალასით წმენდდა და თან წამდაუნუმ მისი სახლის ფანჯრებისკენ იცქირებოდა.

ელენე უკვე კარს ალებდა. ზურგმექცევით მდგომ ალექსანდრეს ესმოდა გასაღების ჩხაკუნი, ჩაჟანგებული ანჯამების ჭრიალი და როცა მობრუნდა, დაინახა ოთახში შემოსული პარუნაშვილი – მაღალი, ლამაზი ახალგაზრდა კაცი, რომელიც ელენეს გაღიმებული მისჩერებოდა.

– უნდა მაპატიოთ, ქალბატონო, ამ დილაადრიან რომ შეგანუხებთ, – წარმოთქვა მან და მერე ალექსანდრეს მიუბრუნდა, – ბოდიშის მოსახდელად გეახელით, ბატონო ალექსანდრე!

მოხუცმა გაკვირვებით აზიდა წარბები, ცოლს გადახედა. ელენე დაბნეული იდგა, ხან დაუპატიჟებელ სტუმარს უყურებდა, ხანაც ქმარს, რადგან ამ უცნაური გამოცანის პასუხს სწორედ მისგან ელოდებოდა.

პარუნაშვილი ალექსანდრეს მიუახლოვდა, მის წინ თავდახრილი, სახეშეფაკლული ჩუმად გაჩერდა, ბოლოს, როგორც იქნა, თვალი გაუსწორა და დარცხვენილი ღიმილით უთხრა:

– შევრიგდეთ, ბატონო ალექსანდრე?

ამ უცნაური მოულოდნელობისაგან ალექსანდრე საშინლად დაიბნა. მართლაც საკვირველი იყო: იმ პირსისხლიანი ჯვალათისა და შემზარავი ურჩხულის ნაცვლად, რომელიც მის ცნობიერებაში მთელი ღამის ტანჯვისა და გვემისაგან ჩამოყალიბდა, ახლა მის წინ ერთი ზრდილი, სინდისის ქენჯნისაგან შენუხებული ყმანვილი იდგა და გუშინდელი უგვანი საქციელისათვის შენდობას სთხოვდა.

ამ მოულოდნელმა გარემოებამ მოხუცი სულით ხორცამდე შეძრა და მისი დაჭიმული ნერვები ისე დააღბო, როგორც გაზაფხულის წვიმამ გვალვისაგან დაშაშრული, ხრიოკი მიწა. სულმთლად მოეშვა, მუხლებში სისუსტე იგრძნო და, უეცრად, ისე, რომ თვითონაც არ ელოდებოდა, სიცილი წასკდა – მთელი სხეული აუთახთახდა, მუცელზე ხელები შემოიჭირა, მოიკაკკვა და ბებრული, ხრინწიანი ხმით ახითხითდა.

იცინოდა და, თუმცა მშვენივრად გრძნობდა სიტუაციის აბსურდულობასა და იმ უხერხულობას, მისი უნებური, უაზრო სიცილი რომ იწვევდა, მაგრამ ვერ ჩერდებოდა, რადგან ეჩვენებოდა, რომ აქამდე ცოცხლად დამარხულს, სულშეგუბებულს, ზემოდან მიწა გადააცალეს და ახლა ის სიცილი სწორედ ისევე სჭირდებოდა, როგორც გრილი, სუფთა ჰაერი ბნელი სამარიდან ამოყვანილს.

პარუნაშვილი ჯერ კი გაღიმებული და, ცოტა არ იყოს, დაბნეული შესცქეროდა ასე მოულოდნელად გამხიარულებულ თავის მასპინძელს, მაგრამ თანდათანობით იმასაც გადაედო მისი სიცილი, შუბლშეკრულ, შეფიქრიანებულ ელენეს თვალი შეავლო და, უეცრად, ისეთი ხარხარი აუტყდა, რომ ძველი სახლის კედლები შეინძრა, კარადაში ჭურჭელი ანკარუნდა და ფანჯრის მინებმაც ზრიალი მოიღეს.

ახლა ორივენი იცინოდნენ, თვალზე ცრემლმორეულები, წელში მოხრილები ეხლებოდნენ ერთიმეორეს, სიცილისაგან დაოსებულები ზოგჯერ ხელებსაც კი უცაცუნებდნენ ერთმანეთს მკლავებზე, მხრებზე და ერთნაირი ჟინით ატაცებულნი, თითქოს ერთ არსებად ქცეულნი გიჟებივით ხარხარებდნენ.

გაოგნებული ელენე შეცბუნებული შეჰყურებდა კაცებს. უკვე იცოდა, ვინც იყო ეს უცხო სტუმარი და რაკი ქმრის ამნაირი მხიარულების მიზეზს ვერ ხვდებოდა, მათი სიცილი ნერვებს უშლიდა, აღიზიანებდა და როცა საძინებელი ოთახიდან, უეცრად, ბავშვის ტირილი შემოესმა, ველარ მოითმინა და დაუყვირა:

– კარგი, საშა, რა დაგემართა!

ალექსანდრე, როგორც იყო გაჩუმდა, მაგრამ პარუნაშვილი ჯერ ისევ იცინოდა, თან ჯიბეებში იქექებოდა, ცხვირსახოცს ეძებდა, რომ თვალებიდან ცრემლი მოენმინდა.

სიცილისაგან გასავათებული, ძალაგამოლეული მოხუცი კი სავარძელში ჩაეშვა და ბავშვის ტირილიც სწორედ მაშინ შემოესმა!

პარუნაშვილმა სახიდან ღიმილი მოისხიპა, სანოლი ოთახის კართან მივიდა, გამოაღო და შიგ შეიხედა. იმას უკან მიჰყვა

ელენე, რომელსაც ატირებულ ბავშვთან უნდოდა მისვლა, მაგრამ პარუნაშვილს გზა ჩაეხერგა და აღელვებული, აფორიაქებული ქალი კარებში გახიდულ კაცს ხან აქედან უვლიდა, ხანაც იქიდან, მაგრამ ოთახში შესვლას ვერ ახერხებდა.

ამასობაში ბავშვი ჩაბჟირდა, ახლა უკვე განწირული ხმით გაჰკიოდა, მაგრამ პარუნაშვილი ადგილიდან არ იძვროდა, კარის ჩარჩოზე ხელეხმობჯენილი, საძინებელ ოთახში თავშეყოფილი, უხმოდ იდგა და გაალმასებულ ქალს, რომელიც იმის განიერ ბეჭებს აქოთქოთებული, ცხარე კრუხივით ზედ აწყდებოდა, არავითარ ყურადღებას არ აქცევდა.

ალექსანდრე ბრაზით უყურებდა ამ სურათს და გული მოსდიოდა საკუთარ ცოლზე, რომელიც სტუმარს ზურგში ხელს ჰკრავდა, უჯიკავებდა და გზიდან მის ჩამოცილებას ასე ცდილობდა.

უეცრად, პარუნაშვილი მობრუნდა, ქალს გზა მისცა და ალექსანდრეს ნაღვლიანი ღიმილით მიაჩერდა.

– ამას კი აღარ მოველოდი თქვენგან, ბატონო ალექსანდრე,
– თქვა ბოლოს და თავი სინანულით გადააქენია.

ალექსანდრე სავარძელში ჩაკვდა, ჩაიფერფლა. ახლავს გაახსენდა, რომ ამ კაცისა სახელიც კი არ იცოდა და ამის გამო სინდისის ქენჯნა იგრძნო. შესცქეროდა ამ ლამაზ, წარმოსადეგ ადამიანს, მის მიმართ საოცარი ნდობით იმსჭვალეობდა და როცა იმან უსაყვედურა, ხალხის მტრისა და მოლალატის შვილი ოჯახში რამ შემოგაყვანიანთო, ცოლს სანოლ ოთახში ბრაზით გასძახა: – აბა, მოიხედე, ქალო, რას გეუბნებოდიო!

პარუნაშვილი ფანჯარასთან მივიდა, ფარდა გადასწია, გარეთ გაიხედა და ვილაცას თავი დაუქენია.

უეცრად მეორე ოთახიდან თმაგანწილი, სახეშეშლილი ელენე გამოვარდა და ქმარს ეცა:

- ვინ არის, საშა, ეს კაცი?
- ელიკო! – გამაფრთხილებლად უთხრა ალექსანდრემ.
- ვინ არის-მეთქი, რა უნდა ამ სახლში!
- კარგი, ახლა, ელიკო!
- უთხარი, ახლავე ნავიდეს აქედან!

– დანყნარდით, ქალბატონო, – ჩაერია პარუნაშვილი, – სჯობს ჩაიცვათ და ბავშვიც მოამზადოთ.

უეცრად, კარი გაიღო და ოთახში ორი უცხო კაცი შემოვიდა. ელენეს მკვდრის ფერი დაედო.

– ბავშვს თბილად ჩააცვით, თორემ გაგიცივდებათ. – ურჩია პარუნაშვილმა.

ამის შემდგომ მოვლენებს ალექსანდრე სიზმარივით აღიქვამდა, ეჩვენებოდა, თითქოს ყველაფერი წყლის ფსკერზე ხდებოდა. ადამიანები შენელებულად მოძრაობდნენ, თევზებივით ალამუნებდნენ ტუჩებს, მათი ლაპარაკი სრულიად არ ესმოდა, ყურებში გაბმული ბუყბუყი და შრიალი ედგა. დაინახა, როგორ გამოიყვანეს საწოლი ოთახიდან ტყავისქურთუკიანმა კაცებმა პალტოჩაცმული, ბალღატატებული ელენე. უყურებდა, როგორ იდგა იგი შუა ოთახში, მისკენ არც კი იყურებოდა და ალექსანდრეს მოეჩვენა, რომ ქალს ერთი სული ჰქონდა, სანამ აქედან წავიდოდა და, მართლაც, როცა იმ კაცებმა წინ გაიგდეს, ოთახიდან ისე გავიდა, უკან ერთხელაც არ მოუხედავს.

მერე სავარძელში იჯდა და ხედავდა, როგორ დადიოდა პარუნაშვილი დაცარიელებულ ოთახში, რანაირად ათვალეირებდა იქაურობას და ბოლოს, როცა მიუახლოვდა და დასამშვიდობებლად ხელი გამოუწოდა, ძალიან კი ეცადა, მაგრამ ისე ჰქონდა კიდურები გახევეებული, რომ სავარძლის სახელურს მარჯვენა ვერ ააგლიჯა.

პარუნაშვილი ერთხანს ეგრე ხელგამონვდილი იდგა, მერე ნელა შებრუნდა და წავიდა.

ვერ გეტყვოდათ, კიდევ რამდენ ხანს იჯდა, მაგრამ როცა ნამოდგა, სხეულში უცნაური, სასწაულებრივი სიმსუბუქე იგრძნო, რამაც ენით აუნერელი შვება მოჰგვარა.

ფანჯრიდან გარეთ გაიხედა.

ავტომობილი აღარსად ჩანდა.


ცას ღრუბელი გადაეყარა და აღმოსავლეთიდან დიდი, ნითელი მზე ამოდიოდა. მის სხივებს ერთნაირად გაეკაშკაშებინა ნანვიმარი ქუჩა, სახლების სველი სახურავები, მთელი ქალაქი. ტროტუარზე ნელი ნაბიჯით მოდიოდა წყნეთელი გლეხი და ხმობაშეპარულ აკაციებს დინჯად, საქმიანად ათვალიერებდა.

ალექსანდრე ნელა შემობრუნდა. მზის ოქროსფერ ნათელში გახვეულიყო მთელი ოთახი, მისი ყოველი კუთხე-კუნჭული უცნაურად ბრწყინავდა და უეცრად, ელდანაცემმა კინალამ შეჰკვივლა: მაღალზურგიან, გაქუცულ სავარძელში უძრავად იჯდა მისი გახევებული, უსულო გვამი, რომელსაც ღიად დარჩენილ, ჩამქრალ თვალებზე შემოდგომის მსხვილი, მწვანე ბუზები დააცოცავდნენ.

ნუგზარ შატაიძე.

შეხვედრა (რჩეული).

თბილისი: ქართული ბიოგრაფიული ცენტრი. 2010.



მარგერიტ იურსენარი (ნამდვილი გვარი – კრეიანკური) დაიბადა 1903 წელს ბრიუსელში. პირველი დიდი პროზაული თხზულება 1929 წელს გამოაქვეყნა, 1951 წელს კი დაიბეჭდა მისი ყველაზე ცნობილი რომანი „ადრეანეს მოგონებები“, რომელიც ჯერ კიდევ მწერლის ცხოვრებაშივე კლასიკად აღიარეს. 1979 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა ამერიკაში. 1981 წელს მარგერიტ იურსენარი პირველი ქალი გახდა, რომელიც საფრანგეთის აკადემიის წევრად აირჩიეს და ამით დაარღვიეს საუკუნოვანი ტრადიცია. გარდაიცვალა 1987 წელს მაუნთ-დეზერტში, საკუთარ სახლში, მეგობრებითა და ახლობლებით გარშემორტყმული.

მარგერიტ იურსენარი

პერსონალის ღვთისმშობელი

თერაპიონ ბერი სიყმანვილეში ათანასე დიდის უერთგულესი მოწაფე იყო. კუმტი და პირქუში თერაპიონი თბილად მხოლოდ მათ ეპყრობოდა, ვინც ეშმაკეულად არ მიაჩნდა. ეგვიპტეში მკვდრეთით აღადგინა მუმიები და სახარება უქადაგა; ცოდვები მიუტევა ბიზანტიის იმპერატორთ; სიზმრად მიღებული ჩვენებით საბერძნეთს გაემართა, რათა პანის საცდურისგან ეხსნა ეს ქვეყანა. ზიზლით ივსებოდა წმინდა ხეების დანახვაზე, ტოტებზე ჩვრები რომ შეებათ ხურვებით შეპყრობილ გლეხებს და ჩაეთქვათ, რომ სალამოჟამს, ნიავის შექროლებაზე ამ კონკებს ეცახცახა მათ ნაცვლად. ბრაზს ჰგვრიდა უღალო მინისთვის მეტი მოსავლის გამოსაძალავად აღმართული ფალოსებიც, წყაროსთავთან ან თახჩებში გამოდგმული თიხის ღმერთებიც. სეფისის კბოდეზე წმინდა ხეებისაგან საკუთარი ხელით გამართა პატარა ქოხი. სოფლელები თავიანთ ღარიბულ ლუკმას უნაწილებდნენ. უჭირდა თერაპიონს თავსდამტყდარი ომებითა და შიმშილით ილაჯგანყვეტილი, გაცრეცილი და გაძვალტყავებული გლეხების გაძლოლა ზეცისაკენ. მათ უყვარდათ იესო, ძე მარიამისა, ამომავალ მზესავით ოქროთი მოსილი, მაგრამ

გულის სიღრმეში მაინც ჯიუტად ეთაყვანებოდნენ ხეებსა და წყლის ჩქერში ჩაბუდებულ ღმერთებს. ყოველ საღამოს ნიმფების ჭადართან ტოვებდნენ ერთადერთი მარჩინალი თხის რძით გალიცლიცებულ ტაგანს. შებინდებისას სოფლის ბიჭები კორომში შერბოდნენ, სურდათ თვალი შეეველოთ აქატიისთვალეზა ასულებისათვის, რომლებიც ძირათი და ველური თაფლით საზრდოობდნენ. ყველგან იყვნენ ისინი, ამ ხრიოკი და მწირი მიწის ასულები, ყველგან! ხან ნისლივით იფანტებოდნენ, ხან კი უეცრად ნამდვილ სახეს იღებდნენ, ხორცს ისხამდნენ. წყაროსთან, თიხნარში ნახულობდნენ მათ ნაფეხურებს. მათი კანის სითეთრე ქარაფებზე არეკლილ ნათელს ერთვოდა შორიდან. ზოგჯერ ასეც ხდებოდა: დასახიჩრებული ნიმფა ჩარჩებოდა სახელდახელოდ გაქერქილ თავხეში და ღამლამობით ისმოდა მისი ჩივილი, ხან კი – ღიღინი. მთებში თითქმის ყოველდღე იკარგებოდა მონუსხული საქონელი. რამდენიმე თვის შემდეგ ძვლების პატარა გროვასლა პოულობდნენ. ეს წყეულები ხელს დაავლებდნენ ბალღებს და ციმციმ მიაქანებდნენ ხრამისაკენ. მათი პანია ფეხები მიწას არც კი ეხებოდა. უფსკრული შთანთქავდა ხოლმე მათ პატარა მოუქნელ სხეულებს. ზოგჯერ ნიმფების კვალის მაძიებელი ცხროიანი ბიჭი აცახცახებული ჩაირბენდა წყაროსთან. წყალთან ერთად სიკვდილსაც ეწაფებოდა თურმე. ყოველი ახალი უბედურების შემდეგ თერაპიონ ბერი მუშტებს უღერებდა კორომს, იმ შეჩვენებულების სახიზარს. გლეხები მაინც ეთაყვანებოდნენ თითქმის უხილავ ნაზ ფერიებს და ისე იოლად ივინყებდნენ მათ ბოროტ ნამოქმედარს, ნიმფებს ისე აპატიებდნენ უკეთურებას, როგორც, ვთქვათ, შეუნდობენ ხოლმე მზეს შეშლილთა ტვინის გალაცებას, ან მთვარეს – მეძუძური ქალებისთვის ძილში რძის გამონოვას, როგორც მიუტყვებენ ხოლმე სიყვარულს გაუსაძლისი ტანჯვის მოტანას.

ბერს მგლების ხროვასავით ეშინოდა ნიმფებისა. მეძავებივით უფორიაქებდნენ სულს. საოცრად ღამაზები წამით არ აძლევდნენ საშველს. ღამლამობით ზედ სახესთან გრძნობდა მათ ცხელ სუნთქვას, თითქოს ნადირი დაბორგავდა ოთახში და გეშს იღებდა. ავადმყოფთან მოსაკითხით მიმავალი ბერი მინდორს

რომ გაუყვებოდა, კვალდაკვალ მისდევდა მათი ფეხის ბაკუნი და ციკნების პეტელი. ლოცვის დროს უნებურად თუ ჩასთვლემდა, ნიმფები გულუბრყვილოდ შემოესეოდნენ და წვერზე ექაჩებოდნენ. მის ცდუნებას არ აპირებდნენ, უშნოდ და სასაცილოდ ეჩვენებოდათ თაღის ჯვალთი მოსილი ბერი. ლამაზები კი იყვნენ, მაგრამ ვნებებს არ აღუძრავდნენ. ბერს მათი შიშველი ტანი ისევე ეზიზღებოდა, როგორც მუხლუხას სიფერმკრთალე, როგორც უნასის წყლტუ კანი. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ნიმფები მაინც ახერხებდნენ მის ცდუნებას, რადგან მათ შემყურე ბერს ღვთის სიბრძნე ეეჭვებოდა, რად შექმნა ეს უმაქნისი, მაგნე არსებანიო, – ფიქრობდა და შესაქმე ღვთის თავშესაქცევ ავ ოინად ესახებოდა. ერთ მშვენიერ დილას გლეხებმა ნახეს და შემფოთდნენ, შეფიქრიანდნენ, ნიმფებმა შური არ იძიონ, წყარო არ წაგვართვანო. თანაც ამ ჭადრის ჩრდილში სოფლის გოგო-ბიჭები ცეკვა-თამაშისთვის იყრიდნენ თავს. მაგრამ წმინდა კაცს საყვედური ვერ შებედეს, შეეშინდათ, არ გავანანყენოთო მამა, რომელი არს ცათა შინა და რომელი განაგებს დარსა და ავდარს. კრინტი არ დაუძრავთ და მათმა დუმილმა უფრო შეაგულიანა თერაპიონ ბერი.

ამიერიდან კარში ისე არ გამოვიდოდა, ნიმფების მოსაგერიებლად ორი ქვა მაინც რომ არ ჰქონოდა სახელოს ნაოჭებში დამალული. მწუხრისას, როცა უკაცრიელ მინდვრებში აღარცერთი გლეხი არ ჩანდა, ცეცხლი ნაუკიდა ბებერ ზეთისხილს. მის დაფუღუროებულ ზროში ქაღალმერთები იმალებიანო, – ფიქრობდა. ცეცხლს მისცა ფიჭვის შიმელაც. დახეთქილი ქერქიდან ცრემლებად რომ სდიოდა აშიფი. შიშველი სხეული ამოვარდა მისი ვარჯიდან და შეუერთდა თავისიანებს, დამფრთხალი შვლებივით შორიახლო გაფაციცებულთ. წმინდა ბერი კი ხარობდა, ბოროტების კიდევ ერთი ბუდე რომ მოშალა. ჯვრები აღმართა ყველგან. საღვთო ნადირი იფანტებოდა, ამ რაღაც სახრჩობელას მსგავსის ჩრდილს გაურბოდა და განწმენდილი სოფლის შემოგარენში სიმშვიდე და სიმართოვე ისადგურებდა. მაგრამ ბრძოლა გრძელდებოდა ფეხდაფეხ, კვალდაკვალ. ახლა ნიმფები ფერდობებზე ძეძვნარს შეეხიზნენ და ქვებს უშენდნენ ბერს. აქედან უფრო ძნელი იყო მათი გაძევება.

ბოლოს, როცა სოფლის ბიჭებმა ზურგი შეაქციეს, ლოცვებით და ცეცხლით შეჭირვებული ნიმფები როცა უსაბოძვროდ და უსიყვარულოდაც დარჩნენ, ერთ პატარა ფერდობს შეაფარეს თავი. აქ, თიხნარში, მთლად ჩაშავებული ფიჭვები ვეება არწივებს ჰგვანდნენ. თითქოს მძლავრ კლანჭებში ჩაებლუჯათ ეს აყალო მინა, თითქოს ცაში მაქმანივით დაფრიალებდა მათი ბუმბული. ქვებზე წყარო მონანწკარებდა. წყალი ისე ცივი იყო, რომ სარეცხის საჭიჭყნად არ ეკარებოდნენ. გორაკის ფერდობზე შეთხრილ ეხში შეღწევა შეიძლებოდა ვინრო ნაპრალით, რომელშიც კაცი ძლივს შეეტეოდა. ყოველთვის, როცა ნიმფებს გაუფადრდებოდათ და გართობა შეუფერხდებოდათ, აქ შეიხიზნებოდნენ ხოლმე. ისინი, ნადირისა არ იყოს, უფრთხოდნენ ჭექა-ქუხილს და უმთვარო ღამეებში აქ, პარეხში, ეძინათ. მეხრე ბიჭები გამოქვაბულში შეღწევას ცდილობდნენ. ეს სახიფათო საქმე მათი ვაჟკაცობის დიდი გამოცდა იყო. შემდეგ გაუთავებლად ტრაბახობდნენ, მრუმეში ნიმფების კენარი ტანი და დაბურდული თმები დავლანდეთო. თერაპიონ ბერს კლდის ფერდზე მიმალული ეს გამოქვაბული გულზე ეკალივით ესობოდა. მინდვრის განაპირას საათობით იდგა გარინდებული ბერი და ხელაღპყრობილი შესთხოვდა ზეცას ღმერთების მოდგმის ამ საშიში ნაშთის მოსპობას.

აღდგომის შემდეგ ცოტა ხანი რომ გამოხდა, ბერმა შეარჩია თავისი მრევლიდან ყველაზე უბირი და თან ყველაზე სანდო გლეხები, წერაქვები და ჩირაღდნები მისცა, ჯვარცმას დასწვდა და სიბნელესა და სისოვლეში წაუძღვა მათ ოკრობოკრო გორაკებზე. მარჯვედ უნდა გამოეყენებინა ეს ნესტიანი, კუნაპეტი ღამე. თერაპიონ ბერი გამოქვაბულის შესასვლელში ჩადგა, თავისი თანამზრახველები შიგ არ შეუშვა, შეეშინდა, ცდუნებას არ აჰყენებო. ბნელში ისმოდა წყაროს ჩუხჩუხი და ფიჭვებში სიოს ქროლვასავით ნაზი ფაჩუნი. ეს მძინარე ნიმფების ფშვინვა იყო. სიზმრად ხედავდნენ სამყაროს სიჭაბუკეს, ეზმანებოდათ ჟამი, როცა დედამინა მხოლოდ ხეების, პირუტყვისა და ღმერთების სამკვიდრო იყო. გლეხებმა კოცონი გააჩაღეს, მაგრამ ქარაფს ხომ ვერ წაუკიდებდნენ ცეცხლს! ბერმა თაბაშირის აზელვა და ქვებზე დაგოზვა დაავალა მათ. ინათა თუ არა, ზედ იმ დაწყევლილი გამოქვაბუ-

ლის ზღურბლთან, ფერდობზე, პატარა სამლოცველოს აშენება დაიწყო. კედლები ჯერ არ შემშრალიყო, კარიც აკლდა, ქერიც, მაგრამ თერაპიონ ბერმა კარგად იცოდა, ნიმფები ცდუნებას ვერ აწყებოდნენ, ვერ გადმოლახავდნენ ამ წმინდა ადგილს, მისგან დალოცვილსა და ნაკურთხს. უფრო გულდაჯერებული რომ ყოფილიყო, ზედ იმ ადგილას, სადაც კლდე იყო გადახსნილი, თანაბარმკლავიანი ჯვარი აღმართა. ჯვარზე ქრისტი იყო მოხატული. ნიმფებს მხოლოდ ღიმილის ენა გაეგებოდათ და შეშფოთებული უნდა უკუქცეულიყვნენ წამებულის ხილვაზე.

მზის პირველი სხივები მიადგა გამოქვაბულის ზღურბლს. ის საცოდავები, ჩვეულებისამებრ, სწორედ ამ დროს წამოიშლებოდნენ ხოლმე და იქვე, ხეთა ფოთლებიდან ცვარს ისრუტავდნენ. ახლა კი ქვითინებდნენ დატყვევებულები, შველას ითხოვდნენ, ოღონდ აქედან გაგვალწვენიეო, და ალაღად აღუთქვამდნენ ბერს სიყვარულს. გლეხები მთელ დღეს აშენებდნენ. საღამოჟამს ცრემლები გადმოსცვივდათ ქვებს. გაისმა ხველება და როყოი ყივილი, დაკოდილ მხეცთა ძახილის მსგავსი. მეორე დღეს სამლოცველო გადახურეს და ყვავილებით მორთეს, კარიც შეაბეს და კლიტეში რკინის დიდი გასაღებიც გააჩნაკუნეს. დაქანცული გლეხები იმ ღამეს სოფელში დაბრუნდნენ, თერაპიონ ბერი კი იქვე, ახალაღმართული ეკვდერის წინ, მიწვა. ძილფხიზლობდა, ტყვექმნილთა გმინვა და ვაება უკრთობდა ძილს. უნდა ითქვას, რომ ბერი გულმონყალე იყო. ნუხდა, უნებურად ფეხით მღილს თუ გასრესდა, ან მისი ძაძის შეხებაზე ყვავილი თუ ღეროში გადატყდებოდა. ახლა კი ისე იყო გაცეცხლებული, ასპიტთა ბუდისთვის მიეგნო თითქოს და ორ ალიზს შუა მოემწყვდია.

მეორე დღეს გლეხებმა კირწყალი მოიტანეს. შიგნიდან და გარედან შეფეთქეს ეკლესია. იგი თეთრ მტრედს დაემსგავსა, კლდის მკერდზე მიყუჟულს. სხვებზე უტეხმა ორმა გლეხმა ეხში შესვლაც კი გაბედა. ნესტიანი და დაღარული კედლები უნდა შეეთითხნათ, რომ წყაროს წყალსა და თაფლს არ შეეჟონა, არ გახანგრძლივებულიყო ფერიების გაჯახირებული ყოფა. ღონემიხდილ ნიმფებს იმის ძალაც აღარ შესწევდათ, ადამიანებს გამოცხადებოდნენ. მხოლოდ აქა-იქ მრუმეში ძლივს გამოკრთებო-

და მოკუმული ტუჩები, სახვეწრად შეტყუპებული ნაზი ხელები, ან მოვარდისფრო მკერდი.

კირით გათხვრილი ცერი გაუსვეს გლეხებმა ხაოიან კედლებს და რბილი თმების თრთოლვა იგრძნეს. ხვიფლი თუ მოსდებოდა ნოტიო, ხამ ადგილებს. ნიმფების დაძაბუნებული სხეულები ნესტში იხრწნებოდა და პეპლის ჩამოყრილი ფრთებივით ცვიოდა მტვერში. კვენესოდნენ განუწყვეტილად, მაგრამ ყურთასმენა უნდა დაგეძაბათ მათი მისუსტებული ხმის გასაგონად. ეს მტირალი ნიმფების სულები იყო.

მთელ მომდევნო ღამეს თერაპიონ ბერი უდაბნოში დაყუდებული განდევილივით დაუცადებლად ლოცულობდა სავანის ზღურბლთან. უხაროდა იმის გაფიქრება, რომ ახალ მთვარემდე კვენესა-ვაება შეწყდებოდა და შიმშილით დახოცილი ნიმფები უამურ მოსაგონრადლა დარჩებოდნენ. სურდა, ლოცვით დაეჩქარებინა ტუსალთა ხსნის ყამი – მათი სიკვდილი. ბერს უნებურად შეეპარა მათი სიბრალული და გაალიზიანა თავისმა სამარცხვინო სისუსტემ. აღარავინ მოსულა მასთან. სოფელი სადღაც შორს, ქვეყნის დასალიერში, ეგულებოდა. მინდვრის განაპირას არჩევდა მონითალო მინას, ფიჭვებს და ოქროსფერ სხივებში ჩაკარგულ ბილიკს. ესმოდა ნიმფების ხროტინი, რომელიც თანდათან ნელდებოდა, და თავისი ლოცვაც ესმოდა. ხმა მთლად ჩახრინნოდა.

იმავე საღამოს, შებინდებისას, ბილიკზე შენიშნა მისკენ მომავალი ქალი. თავჩაქინდრული იყო და ოდნავ მოხრილი. შავი მოსასხამი ებურა, ჩიქილაც შავი ჰქონდა, მაგრამ რაღაც იდუმალი ნათელი ატანდა თალხ ქსოვილში და მწუხრს დილასავით აცისკროვნებდა. ყმანვილ ქალს მხცოვანის სიდინჯე და სიდარბაისლე შვენოდა. ნაზი იყო მონეული მტევანივით, სურნელოვანი ყვავილივით. ეკვდერს გაუსწორდა და გულდასმით შეათვალიერა ბერი. მას კი ლოცვა შეაცივდა ბაგეზე.

– ეს ბილიკი არსაით მიდის, საიდან მოხვალ, ქალო?

– საიდან? დილასავით... აღმოსავლეთიდან. შენ აქ რასა იქმ, მოხუცო ბერო? – ჩაეკითხა ყმანვილი ქალი.

– აგერ, ამ გამოქვაბულში გამოვამწყვდიე ნიმფები, ლამის წაწყმიდონ ეს მხარე. გარეთ გამოღწევა რომ ვერ გაბედონ, ზედ

ეხის ნაპრაღს მივაშენე ეს პატარა ეკლესია. ისინი ხომ შიშვლები არიან და თავისებური რიდი აქვთ ღვთისა. ველი, რომ სიცივითა და შიმშილით ამოიხოცებიან და ღვთის წყალობა მოეფინება არემარეს.

– კი მაგრამ, ვინ გითხრა, რომ წყალობა ღვთისა არ ერგება ნიმფებს, ასევე – შვლების ჯოგსა თუ თხათა არვეს?! – შეეპასუხა ქალი. – ნუთუ არ იცი, რომ შესაქმის ჟამს ღმერთს დაავინწყდა ზოგი ანგელოზისთვის ფრთების ბოძება. ისინი მინაზე ჩამოცვივდნენ, ხეებში ჩაიბუდეს, ნიმფებისა და პანების მოდგმას მისცეს დასაბამი; სხვები მთას შეეხიზნენ და ოლიმპიელ ღმერთებად იქცნენ. ნუ დრტვინავ წარმართივით, შემოქმედისაგან მივინწყებული არსებანი ნუ გაშინებენ, საქმენი უფლისანი ნუ აღგაშფოთებენ, მაღლი შესწირე ღმერთს დიანას და აპოლონის შექმნისთვისაც.

– ჩემი სული ასეთ სიმალლეს ვერ შესწვდება, – მდაბლად ჩაილაპარაკა მოხუცმა ბერმა. – ნიმფები მლოცველებს მიშფოთებენ, მრევლი ლამის წამინწყიდონ, მათი სულის ხსნა კი მე მბარია, ღვთის წინაშე პასუხი მე მომეთხოვება. ამიტომ ვდევი მათ და, თუ საჭირო შეიქნა, ვდევი ქვესკნელში დანთქმამდე.

– ეგ ყველაფერი ერთგულ მსახურებად ჩაგეთვლება, გულმართლო ბერო, – ღიმილით თქვა ყმანვილმა ქალმა, – მაგრამ სხვა საშველს ვერა ხედავ? ეგებ ნიმფებიც გადარჩნენ და შენი მრევლიც ცხონდეს.

მისი ხმა ნესტვის ჰანგივით დატკბა. შეჭირვებულმა ბერმა თავი დახარა. ყმანვილმა ქალმა მხარზე ჩამოადო ხელი და უფლებამოსილად უთხრა:

– შემისვი ეხში, ბერო! მიყვარს გამოქვაბულები. მებრალება ყველა, ვინც იქ ეძიებს თავშესაფარს, გამოქვაბულში იშვა ჩემი ძე, მკვდარიც გამოქვაბულს მივაბარე, რათა აღდგომით მეორედ შობილიყო.

განდეგილი განზე გადაგა. გზა უტია. ის კი პირდაპირ ნაპრაღისაკენ გაემართა. თუმცა საკურთხეველი ფარავდა მას. ზღურბლზე ვეება ჯვარი იყო აღმართული. მან სათუთად შეახო ხელი ჯვარს, შეახო, როგორც შეჩვეულსა და ახლობელს, გასწია და ქვაბში შევიდა.

კვენესამ იმატა სიბნელეში. ჟღერტული და ფრთების ფათქუნი გაისმა. ქალი ნიმფებს ესაუბრებოდა. ესაუბრებოდა რაღაც უცნაურ ენაზე, ფრინველთა და ანგელოზთა ენაზე, ალბათ. უეცრად ქალი ბერის გვერდით გაჩნდა. ის კი კვლავ ლოცულობდა.

– იხილე ბერო, იხილე და ისმინე!

ყურთასმენის წამლები ჭიკჭიკი მოისმა. ქალმა მოსასხამის კალთები გადაშალა და თერაპიონ ბერმა იხილა მისი კაბის ნაოჭებში შეხიზნული მერცხლები. ქალმა მლოცველივით ალაპყრო ხელები, ააფრინა ჩიტები და ჩანგივით წკრიალა ხმით თქვა:

– გაფრინდით, ჩემო პატარებო!

მერცხლები მწკრივად აიჭრნენ მწუხრის ცაში. ფრთებითა და ნისკარტით ამოუცნობ ნიშნებს ხაზავდნენ. მოხუცი ბერი და ყმანვილი ქალი მზერით მიაცილებდნენ მათ. შემდეგ მოსულმა უთხრა დამხვედურს:

– ყოველ გაზაფხულს დაბრუნდებიან და შენ მათ შეიფარებ ჩემს ეკლესიაში, მშვიდობით, თერაპიონ!

მარიამი დაადგა იმ ბილიკს, არსაით მიმავალს. გზანვრილი წყდება თუ არა, როდი აფიქრებს მას, ვისაც ზეცის გზებზე სვლა ხელენიფება.

თერაპიონ ბერი სოფლისკენ გაემართა. მეორე დღეს, ჟამისწირვისთვის რომ ამობრუნდა, ნიმფების გამოქვაბული მერცხლის ბუდეებით იყო მოფენილი.

ისინი ყოველ წელს ბრუნდებიან, მოფრინავენ და იბუდებენ ეკლესიაში. ბარტყების დაზრდაზე, თავიანთი ბუდეების – თიხის პანია სახლების – შემტკიცებაზე ზრუნავენ. თერაპიონ ბერი ლოცვას შეწყვეტს ხოლმე და შეჰხარის მათ სიყვარულს, მათ სილაღეს.

ასეა, ნიმფებს როდი ეპატიებათ ის, რაც მიეტევებათ მერცხლებს.

ფრანგულიდან თარგმნა

მანანა გიგინეიშვილმა

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“.

10 აპრილი, 1987.



ფრანც კაფკა დაიბადა 1883 წელს პრატის ებრაულ გეტოში. მწერალი გერმანულ ენაზე წერდა, თუმცა ჩეხურსაც თავისუფლად ფლობდა. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო პრატის უნივერსიტეტში, სადაც მიიღო სამართლის დოქტორის ხარისხი. 1922 წლამდე იგი მუშაობდა უმნიშვნელო თანამდებობებზე სადაზღვეო უწყებაში, რომელიც ავადმყოფობის გამო დატოვა. 1923 წელს მწერალი 19 წლის დორა დიმანტთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა ბერლინში, თუმცა საბოლოოდ მაინც პრატაში დაბრუნდა. კაფკას ნაწერების უმეტესობა გამოქვეყნდა მისი გარდაცვალების შემდეგ. გარდაიცვალა 1924 წელს ვენასთან ახლოს მდებარე სანატორიუმში ყელის ტუბერკულოზით. დაკრძალულია პრატის ებრაულ სასაფლაოზე.

ქველი აზვავი

თითქოს ჩვენ საერთოდ არ გვალელებდეს ჩვენი სამშობლოს ბედი. ამაზე ადრე არასოდეს გვიფიქრია და ჩვენს საქმიანობას ვაგრძელებდით, მაგრამ ბოლოდროინდელმა ამბებმა შეგვაშფოთა.

მოედანზე, კაიზერის სასახლის წინ, ფეხსაცმელების მალაზია მაქვს. გარიჟრაჟზე ვხსნი და რას ვხედავ, ყველა ჩიხი სავსეა შეიარაღებულებით. მაგრამ ჩვენი ჯარისკაცები როდი არიან, არამედ ჩრდილოელი ნომადები, ვერ ვხვდები რა ხერხებით მოაღწიეს დედაქალაქამდე, რომელიც საზღვრიდან ძალიან შორსაა. ყოველ შემთხვევაში, ახლა ისინი აქ არიან და ალბათ მომავალში უფრო მომრავლდებიან.

მათ ბუნებას თუ გავითვალისწინებთ, ნომადები ღია ცის ქვეშ ბანაკობენ, რადგან საცხოვრებელი სახლები ეზიზღებათ. საქმიანობას ხმლების ლესვა, ისრების წამახვა და ცხენით ჯირითი წარმოადგენს. ეს წყნარი, შიშისგან დაზაფრული ხალხისგან დაცარიელებული მოედანი ნამდვილ სალორედ აქციეს. ჩვენ ვცდილობთ და ხანდახან ვახერხებთ ჩვენი მალაზიებიდან გამოსვლას და ნაგვის ალებას, მაგრამ ეს უკვე იშვიათად ხდება, რადგან ეს ცდა უშედეგოა და თან ამით საშიშროებაც გვემუქრება: ან ცხენები გადაგვთელავენ, ან მათრახი მოგვხვდება.

ნომადებს ვერ დაელაპარაკები. ჩვენი ენა არ ესმით, ნეტავ საკუთარი თუ აქვთ?! ერთმანეთში ჭკებივით საუბრობენ, გამუდმებით ისმის მათი ჩხავილი. ჩვენი ცხოვრების წესი მათთვის გაუგებარია და ამასთანავე სულერთიც. ისინი ყურადღებასაც კი არ გვაქცევენ. ყბას ამოიგდებ და ხელებს მოიტყებ, მაგრამ რა აზრი აქვს, მაინც ვერ გიგებენ და ვერც ვერასდროს გაგიგებენ. ხშირად გრიმასებს იღებენ, თვალებს აბრიალებენ და პირიდან ქაფი გადმოსდით, რალაცას გეუბნებიან და თან გაშინებენ. ასე იმიტომ იქცევიან, რომ მართლა ასეთები არიან. რაც ჭირდებათ, იღებენ. ვერაფერს იტყვი, ძალაუფლება აქვთ. მათი თავდასხმის შიშით ადამიანები გარბიან, და ყველაფერს ტოვებენ.

ჩემი მარაგებისგანაც კარგი რალაცეები მიითვისეს. მაგრამ რას დავინუნუნებ, როცა ვხედავ, ყასაბს რასაც უშვებიან, ხორცი არ აქვს მოტანილი და უკვე ართმევენ და სანსლავენ. მათი ცხენებიც ჭამენ ხორცს. ხშირად დაინახავთ მხედარს, რომელიც ცხენთან ერთად შეექცევა ხორცს, ერთი თავიდან, მეორე ბოლოდან. ყასაბს ეშინია და ველარაფერს ბედავს. ფულს კი ვაძლევთ, მაგრამ თუ ხორცს არ მისცემ ნომადებს, არ იცი, რას მოიმოქმედებენ. ყასაბმა ძალა მოიკრიბა და დილაადრიან ისევ მოიყვანა ხარი. ეს აღარ უნდა გაეკეთებინა.

აღბათ, ერთი საათი ვინეჩი ჩემი სახელოსნოს იატაკზე და მთელი ჩემი ბარგი-ბარხანა თავზე მეყარა ხარის ბლავილი რომ არ გამეგო. ყველა კუთხიდან მორბოდნენ ნომადები და კბილებით გლეჯდნენ ხორცს. სიჩუმემ რომ დაისადგურა, კარგა ხნის შემდეგ გავბედე ადგომა. შემზარავი სანახაობის მონმე გავხდი: ლოთები რომ ყრიან ღვინის კასრის გარშემო, ისე ეყარნენ ისინი ხარის ნარჩენების ირგვლივ.

გავიფიქრე, კაიზერმა თუ დაინახა-თქო ეს ყველაფერი. თითქმის არასოდეს გამოდის წინა ოთახებში, შუაგულ ბალში ცხოვრობს მხოლოდ.

მაგრამ ამჯერად იქ იყო, იშვიათად თუ მინახავს იგი, ერთ-ერთ ფანჯარასთან იდგა და თავდახრილი უყურებდა ციხესიმაგრის წინ მომხდარ ცოდვის ტრიალს.

„რა იქნება, რა გველის? – ვიკითხეთ ერთხმად. – როდემდე

უნდა ავითანოთ ამდენი ტანჯვა-წვალება? ნომადებს კაიზერის სასახლის ხელში ჩაგდება უნდათ, კაიზერს კი ვერ მოუსაზრებია როგორ მოიგერიოს ისინი. ჭიშკარი დაკეტილია. დარაჯი, რომელიც ადრე საზეიმოდ მარშირებდა წინ და უკან, ჩარაზული ფანჯრის მიღმა იმალება. ჩვენ, ვაჭრებს და გამყიდველებს, იმედი გვაქვს სამშობლოს ხსნისა, მაგრამ არაფერი შეგვიძლია და ვერც ვერაფერს მოვიმოქმედებთ, ამისთვის ჯერ არც ვართ მზად. სწორედ ამის გამო ვიღუპებით“.

გერმანულიდან თარგმნა
მამუკა კახნიაშვილმა

<http://www.presa.ge/new/i.php?m=lit&AID=5801>

პუბლიცისტიკა



მიგელ დე უნამუნო – ბასკური წარმოშობის ესპანელი მწერალი, ფილოსოფოსი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. დაიბადა 1864 წელს ბასკეთში, ქალაქ ბილბაოში. საუნივერსიტეტო ფილოსოფიური განათლება მიიღო მადრიდის უნივერსიტეტში. 1924 წელს დაუპირისპირდა პრიმო დე რივერას დიქტატურას, ხოლო შემდეგ – ფრანკოს ტოტალიტარულ რეჟიმს, რის გამოც არაერთხელ იყო რეპრესირებული (გადასახლება კანარის კუნძულებზე, ემიგრაცია საფრანგეთში, შინაპატიმრობა...). იგი იყო ესპანური კულტურის ე. წ. „მეორე ოქროს საუკუნის“ ერთ-ერთი შემოქმედი და თვალსაჩინო წარმომადგენელი, „1898 წლის თაობის“ ერთ-ერთი მეთაური; ხუან რამოს ხიმენესის შეფასებით, „უნამუნოსგან დაიწყო ჩვენი შეგნებული ფიქრი და ზრუნვა ფილოსოფიაზე“. გარდაიცვალა 1936 წელს სალამანკაში. ანტონიო მაჩადომ მიგელ დე უნამუნოს გარდაცვალებას „ესპანეთის ეროვნული კატასტროფა“ უწოდა.

მიგელ დე უნამუნო

ესპანეთის თანამედროვე მარაგვისათვის

(ნაწყვეტები)

თანდათან ვხვდებით, რამდენად გვაკლია შინაგანი თავისუფლება, რადგან გვგონია სრულად ვსარგებლობთ გარეგნული თავისუფლებით, თუკი არავინ გვიკრძალავს. ჩვენი დღევანდელი ესპანეთის საზოგადოება ერთიანად მოიცვა უზომო ერთფეროვნებამ და ერთსახოვნებამ, მანვე მიიყვანა იგი მოდუნებამდე, საშინელი უხამსობა ტყვიასავით დაანვა და გასრისა ყოველივე...

აი, რა არის საშინელი სათქმელი – არა გვყავს ახალგაზრდობა. ახალგაზრდები კი გვყავს, როგორ არა, მაგრამ ახალგაზრდობა არა გვყავს; არა გვყავს იმიტომ, რომ ფარულმა ინკვიზიციამ და ბებრულმა ფორმალიზმმა გასრისა იგი. ევროპის სხვა ქვეყნებში დროდადრო მაინც გაიელვებენ ხოლმე ახალ-ახალი, თუნდაც უმეტესწილად ცთომილი ვარსკვლავები, გაელვებისთანავე რომ ქრებიან, თითო დღის კერპებიც გამოჩნდებიან და სეზონის გენიოსებიც. ჩვენში კი ვერც ამას ნახავ, სულ ერთსა და იმავე ფრაკებში გამოწყობილი, ერთი და იგივე ფრანტები ირევიან.

იტყვიან, ცოცხალი და ნაყოფისმომცემი ყლორტები ჩვენშიც ამოიყრის ხოლმე, თუმცა შეიძლება ერთბაშად ვერც შევამჩნიოთო, მაგრამ ისეა მოსწორებული და მოტკეპნილი ნიადაგი, რომ ღრმად ჩაგდებული თესლი გაქევავენულ ზედაპირს ვერ ამოხეთქავს და ყინულს ვერ გატეხს. ერთი ჩვენი თანამემამულე, რომელმაც ლამის სიბერეში შედგა ფეხი, მაგრამ მაინც შემორჩა რწმენა, ძალა და ჭაბუკური ენთუზიაზმი, ამტკიცებს, ჩვენში ახალგაზრდები მარტო ოცდაათ წლამდე იძლევიან იმედს, მერე კი ნამდვილ ყეყეჩებად გადაიქცევიან ხოლმე, უფრო სწორად, კი არ გადაიქცევიან, არამედ გადააქცევენო; მათ აშთობს ჩვენი ბრძანებასდამორჩილებული და ჩვენი სულელური გაფუყულობის უხეში და შეუვალი რუტინა. მათ ხომ კეთილმოსურნის თვალით, გამგებიანი მზერით არავინ შეხედავს; მაინცდამაინც სხვანაირები უნდათ რომ დაინახონ და არა ისეთები, როგორებიც არიან. ჩვენი შეუწყნარებლობის დახვავებული სული ვერაფრით ვერ შეგუებია იმას, რომ ყოველი ადამიანი თავისი არსისა და ბუნების თანახმად უნდა ვითარდებოდეს...

ამას დავუმატოთ ისიც, რომ ჩვენი ერის სიღარიბის გამო ძალზე ჭირს ცხოვრებაში ფეხი მოიმაგრო და რაიმეს მიაღწიო; ახალგაზრდები ძალიან გვიან წყდებიან დედის კალთას, გვიან ფრინდებიან ბუდიდან, მერე კი მთელ თავის დაზოგილ ძალებს პატრონის ძებნას ანდომებენ, ვინც ამ ყინულის სავანიდან თავს გააღწევენება.

ნიჭსა და ძალას არ ზოგავენ, ოღონდაც თამაშიდან არ გამოიყვანონ, ქამელეონებივით იცვლიან ფერს, მორუხო-მონაცისფროდაც კი გადაიქცევიან, რომ გარემომცველ ფონზე არ გამოარჩიონ და ამას მშვენივრად ახერხებენ, მაგრამ როცა ასე აქტიურად აგუებენ თავს გარემოს და გარემოს კი თავის თავს, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მართლა ეგუებიან; ისინი უბრალოდ პასიურად ესადაგებიან ვითარებას...

ჩვენ ისე მოვაშთობთ ხოლმე ახალგაზრდებს, არც კი ვეცდებით გაუფგოთ, ვთხოვთ უკვე დადინჯებულები, ჩამოყალიბებულები და სრულქმნილები იყვნენ. როგორც ღმერთი ფარაონს, ჩვენც ისევე ჯერ დავაყრუებთ და მერე ვუძახით, მაგრამ როცა

არ გვაგონებენ, შეურაცხყოფას ვაყენებთ... ამასობაში თვითონ ახალგაზრდებიც ბერდებიან, უფრო სწორად, აღივსებიან ბებრული სულით, ჩამოყალიბდებიან, წელში მოიხრებიან, მწყობრში გასწორდებიან და წმინდანებივით კეთილზნინებიც რომ გახდებიან, მერე უკვე შეიძლება ჩვენს საჭადრაკო დაფაზე პაიკებადაც განლაგდნენ, ხოლო თუ კიდევ გამგონე ბიჭებივითაც მოიქცევიან, მაშინ ეგებ რომელიმეს ლაზიერად გაყვანაც მოხერხდეს.

სადაც ახალგაზრდობა არ არის, იქ არც ერთიანობის ქემ-მარიტი სული ტრიალებს, ცხოვრების უკიდევანობა, ენერჯის უსაზღვრობა რომ ბადებს ხოლმე. კალაპოტში რომ ვეღარ ეტევა და ნაპირებზე გადმოდის; ჩვენშიც წარმოიქმნება საზოგადოებები, მაგრამ მაშინვე ქვავდება, რადგან ურთიერთობის დამყარების უუნარობა ჩვენი ერთი მთავარი თვისებაა... ჩავეფლობით ჭაობში და მერე კიდევ გვიკვირს, სხვა ქვეყნებში ათასგვარი სკოლები და დაჯგუფებები რომ ჩნდება და ქრება, საიდუმლო კრებების, ჯგუფებისა და ჟურნალების ორომტრიალს რომ ვუყურებთ, სადაც ექსტრავაგანტური გამომხდომების მიღმაც კი ცხოვრების მძლავრი ფეთქვა იგრძნობა...

ნაკლები სიზუსტე და პედანტიზმი და მეტი საფუძვლიანობა და მიზანდასახულება! სიღინჯე და არა გაბლენძილობა! მაგრამ ყველაზე უფრო კი მაინც თავისუფლება, თავისუფლება! ოღონდ ნამდვილი თავისუფლება და არა ოფიციალური! რამხელა ზიანს გვაყენებს იმის შიში, საზოგადოების, ამ ხახადაღებული ურჩხულის წინაშე სასაცილონი არ გამოვჩნდეთო!

სასტიკი სიძულვილით გვძულს ყოველგვარი სიახლე და ბრწყინვალება, ყოველგვარი გონიერი და ცოცხალი; სამაგიეროდ, მშვენივრად შევირგებთ ხოლმე, სერიოზულობით შეკაზმულ აბსურდს რომ მოგვართმევენ... ჩვენ პათოლოგიური სიძულვილით გვძულს ყოველგვარი უბრალო სამუშაო, უმუშაო, ჩაღრმავებული და დაკვირვებული კვლევა-ძიება; თვით ყველაზე უფრო შრომისმოყვარე კაციც კი ცოდნის ერთგვარ საცავ-საჭურჭლედ გადაიქცევა ხოლმე ანდა ნეხვის ხოჭოსავით აგუნდავებს ყოველგვარ უკანასკნელ მეცნიერულ სიახლეს.

სულ იმაზე დაობენ, ვინ უფრო ადრე გაიგოო და არა იმაზე, ვინ უფრო კარგად გაიგოო; უფრო მიღებულია ის, ვინც უკანასკნელი მოვლენების საქმის კურსშია, ვინც პირდაპირ პარიზიდან მიიღო წიგნები, ჯერ სტამბის საღებავიც რომ არ შეშრობია...

რა საერთო აქვს ყველაფერ ამას ეროვნულ დვრიტასთან, ოდინდელობასთან? ბევრი. ეს არის ანგარიშსწორება ძველთაძველი, ეროვნული ისტორიული სულისა, რომელიც ეწინააღმდეგება ევროპეიზაციას. ეს გახლავთ ფარული ინკვიზიციის ნამოქმედარი. განსაკუთრებული ადამიანები, რომელთაც სხვა ეპოქაში შეეძლოთ ხელი შეეწყოთ ჩვენი წინსვლისთვის, ახლა ჩვენს დაკნინებას მონმეებივით უყურებენ...

ეგებ ყველაფერი იღუპება? არა, ესპანეთის მომავალი თვლემს ჩვენი ისტორიული საზოგადოების სიღრმეში, ინტრაისტორიაში, შეუცნობელ ხალხში და იგი მანამდე არ გაიღვიძებს, სანამ ევროპიდან მონაბერი ქარი თუ ქარაშოტი არ გამოაფხიზლებს...

მე ვისურვებდი მთელი ძალით შემეგონებინა მკითხველისთვის ეს აზრი – როცა ხალხის დაუოკებელ მასასა და რეგიონებს სიცოცხლისკენ, ცხოვრებისკენ მოვუწოდებთ და ვაფხიზლებთ, ამავე დროს, ერთად, შეთანხმებით, ფართოდ უნდა გავალოთ სარკმელი ევროპის მინდვრებისკენ, რათა ჩვენს სამშობლოს დაუბეროს მაცოცხლებელმა ნიავმა, ჩვენ უნდა გავაევროპულოთ ჩვენი თავი და გავითქვიფოთ ხალხში, ამ ღრმა ხალხში, რომელიც ცხოვრობს ისტორიის მიღმა, მაგრამ არის ყველა კასტის საყრდენი, მისი პროტოპლაზმა; განსხვავდება და გამოირჩევა მხოლოდ ისტორიული კლასები და ინსტიტუტები და მხოლოდ ისინი გაახალგაზრდავდებიან, თუ ჩაყვინთავთ და გავითქვიფებთ ხალხში.

უნდა ვირწმუნოთ ჩვენთვის დამახასიათებელი თვითმყოფადობა, ვირწმუნოთ, რომ მუდამ დავრჩებით თავისდათავადნი და დაე, მოვარდეს გარედან შმაგი თქეში, გვესხუროს მაცოცხლებელი წვიმა...

სავალალოა, რომ ესპანეთში ხალხი არის ამომრჩეველთა და გადასახადის გადამხდელთა მასა. რაკი იგი არ უყვართ, არც

სწავლობენ, და რაკი არ სწავლობენ, არც იცნობენ, რომ შეიყვარონ...

ღმერთმა ინებოს, ნამდვილმა ახალგაზრდობამ, თამამმა და თავისუფალმა, გაგლიჯოს ყულფი, ყელში რომ გვაქვს ნაჭერილი და გვახრჩობს, ბოლო მოუღოს ამ ერთფეროვნებას, ამ გამაუსახურებელ ერთფეროვნებას, გულით მოეკიდოს ხალხის შესწავლის საქმეს, ხალხისა, რომელიც არის ჩვენი ყველას საყრდენი...

1895 წ.

ესპანურიდან თარგმნა
მერი ტიტვინიძე

მიგელ დე უნამუნო. სულის სიღრმეში.
თბილისი: გამომცემლობა „ლომისი“. 1994.

ეს ავისომიასწაველი შობა

შობა დღეს აღარავის ახსენდება ღმერთი. უწყვეტი საყვირი და ფეიერვერკი, ფერად-ფერადი გირლანდები, უთვალავი უდანაშაულო ყელგამოლადრული ინდაური და უზომო ფულის სურვილი, რათა, რეალურ შესაძლებლობათა მიუხედავად, არ შერცხვე და ჩნდება კითხვა: რჩება კი თუნდაც წამი იმისათვის, რომ გაიზრო: ესოდენ მფლანგველობა იმისთვისაა, რათა აღინიშნოს იმ ჩვილის დაბადების დღე, რომელიც 2000 წლის წინათ ღარიბულ თავლაში იშვა, შორიასლო იმ ადგილიდან, სადაც დაახლოებით ათასი წლით ადრე დაიბადა მეფე დავითი. 954 მილიონ ქრისტიანს სწამს, რომ ეს ჩვილი ხორცშესხმული ღმერთი იყო, მაგრამ ბევრი შობას ისე აღნიშნავს, თითქოს ამის არც სჯეროდეს. გარდა ამისა, შობას დღესასწაულობს მილიონობით ის ადამიანი, რომელიც არასოდეს ყოფილა რელიგიური, მაგრამ უყვარს ქეიფი, და აგრეთვე ისინიც, მზად რომ არიან თავდაყირა დააყენონ სამყარო, რათა აღარავინ იწამოს. საინტერესოა, გულის სიღრმეში რამდენი ფიქრობს, რომ შობა დღევანდელი სახით აუტანელია; და ცრურწმენისა გამო ვერ ბედავს იმის თქმას, რომ ეს უკვე არა რელიგიური, არამედ სოციალური დღესასწაულია.

ყველაზე მძიმე კი ის კულტურული კატასტროფაა, რასაც ასერიგად გადაგვარებული შობა ინვეეს ლათინურ ამერიკაში. ძველად, როდესაც გაგვაჩნდა მხოლოდ ესპანელთაგან ნამემკვიდრევი წეს-ჩვეულებები, ოჯახური ბაგა-საკვებური ხალხური წარმოსახვის საოცრებას წარმოადგენდა. ჩვილი ღმერთი უფრო დიდი იყო, ვიდრე ხარი, ბორცვებზე აღმართული კოპნია სახლები კი ღვთისმშობელზე დიდი. და არავინ აქცევდა ყურადღებას ანაქრონიზმებს: ბეთლემის პეიზაჟში დასაქოქ მატარებელს, რომლის ფუმფულა ხავერდის თათი უფრო დიდი იყო, ვიდრე იმ ლომისა, სასტუმრო ოთახის სარკეში რომ ირეკლებოდა; ანდა საგზაო აგენტს, რომელიც იერუსალიმის ერთ-ერთ უბანში ცხვრის ფარას მიერეკებოდა. ყოველივე ამას ემატებოდა ოქროსფერი ქალაქისაგან გამოჭრილი ვარსკვლავი, შუაში მიმაგრებული მანათობლითა და ყვითელი აბრეშუმის სხივით, რომელსაც მოგვებისათვის უნდა მიეთითებინა გზა ხსნისა. ყოველივე საშინელი იყო, მაგრამ ჩვენეული; და, ყოველ შემთხვევაში, მებაჟე რუსოს მიერ ცუდად გადახატულ სურათებს სჯობდა.

მითოლოგიზაცია დაიწყო ადათით: სათამაშოები მოაქვთ არა მოგვებს – როგორც წესითა და რიგით ხდება ესპანეთში, არამედ ჩვილ ღმერთს. ბავშვობაში უფრო ადრე ვიძინებდით, რათა უფრო ადრე მიგველო საჩუქრები, და ბედნიერები ვიყავით, როდესაც უფროსების მიერ მოგონილ პოეტურ ტყუილებს ვისმენდით. თუმცა ხუთიოდე წლის ვიქნებოდით, როდესაც ვილაცამ ჩვენს ოჯახში გადანყვიტა, სიმართლის გამჟღავნების დრო დადგაო. ეს იყო იმედგაცრუება და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მართლა მჯეროდა, სწორედ ჩვილს მოაქვს ჩემთან სათამაშოები-მეთქი. იმიტომაც, რომ მინდოდა ისევ და ისევ დამეჯერებინა ყოველივე ეს. გარდა ამისა, სავსებით მონიფულის ლოგიკით დავასკვენი, რომ დანარჩენი კათოლიკური მისტერიებიც მშობლების მიერ იყო გამოგონილი ბავშვების გასართობად, და აღმოვჩნდი სამოთხის კარიბჭესთან. იმ დღეს, როგორც ამას დაწყებითი სკოლის იეზუიტი მასწავლებლები ამბობდნენ, დავკარგე უმანკობა: აღმოვაჩინე ისიც, თურმე არც ბავშვები მოჰყავდათ წეროებს პარიზიდან, რისი დაჯერე-

ბაც ძალიან მინდოდა, რათა მეტად მეფიქრა სიყვარულზე და ნაკლებად – აბებზე.

უკანასკნელი ოცდაათი წელია მსოფლიო მასშტაბის კომერციული ოპერაციის შედეგად ყველაფერი შეიცვალა, რაც, იმავდროულად, გამანადგურებელი კულტურული აგრესიაა. ჩვილი ღმერთი ტახტიდან ჩამოგდებულ იქნა გრინგოებისა და ინგლისელთა სანტა კლაუსის მიერ, რაც ფრანგებისათვის პაპა ნოელია, და რომელთაც სუყველანი ძალიან კარგად ვიცნობთ. მან ყველაფერი თან წამოიღო: ხარირემში შებმული ციგა და სათამაშოებით დახუნძლული ნაძვის ხე, ფანტასტიკური თოვლის გრიგალიც კი გამოაყოლა. სინამდვილეში ეს ლოთისცხვირიანი უზურპატორი სხვა არავინაა, თუ არა კეთილი წმინდა ნიკოლასი, წმინდანი, რომელიც ძალიან მიყვარს თუნდაც იმიტომ, რომ ჩემი პოლკოვნიკი პაპის წმინდანია; მაგრამ საერთო არაფერი აქვს შობასთან, მით უმეტეს, ლათინური ამერიკის ტროპიკული შობის ღამესთან. ჩრდილოური ლეგენდის თანახმად, წმინდა ნიკოლასმა გააცოცხლა და განკურნა რამდენიმე სკოლის მოწაფე, რომლებიც დათვმა თოვლში დაგლიჯა; ამიტომაც გამოაცხადეს ბავშვების მფარველად. მაგრამ მისი ხსენების დღე აღინიშნება 6 და არა 25 დეკემბერს. ინსტიტუციური ხასიათი მორთულ-მოკაზმული ნაძვის ხის ლეგენდამ გერმანიის ჩრდილოეთ პროვინციებში XVIII საუკუნის ბოლოს მიიღო; ხოლო ასწლებზე ცოტა მეტი ხნის წინათ დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში გადაინაცვლა. შემდეგ გავრცელდა შეერთებულ შტატებში, და მათ კი ეს ტრადიცია ლათინურ ამერიკაში გამოგვიგზავნეს მთელი თავისი კონტრაბანდული კულტურით: ხელოვნური თოვლით, ფერადი კელაპტრებით, ფარშირებული ინდაურითა და ორკვირიანი ზღვარსგადასული მომხმარებლობით, რომლისგანაც თავის დაღწევას ძალიან ცოტანი თუ ვბედავთ. და მაინც, ალბათ ყველაზე საბედისწერო ამ მომხმარებლური შობიდან ის უბადრუკი ესთეტიკაა, რომელიც მას თან მოჰყვა: უგემოვნო საფოსტო ბარათები, ფერადი ნათურების აცმა, მინის ზანზალაკები, ზღურბლზე დაკიდებული ფითრის გვირგვინი, ინგლისურიდან თარგმნილი საშობაო სიმღერები გონებაჩლუნგათვის

და სხვა უამრავი ბრწყინვალე სიბრიყვე, რომელთა გამოც არც კი ღირდა ელექტრობის გამოგონება.

და ყოველივე ეს ხდება წლის ყველაზე შემამფოთებელი დღე-სასწაულის დროს: ჯოჯოხეთურ ღამეს, როდესაც ბავშვები ვერ იძინებენ მთვრალეობით სავსე სახლში, ოთახიდან ოთახში რომ ბორიალობენ და ეძებენ ადგილს, სად დაიცალონ, ან სულაც დასდევნენ სხვის ცოლებს, რომელთა ქმრებსაც სასტუმრო ოთახში დაძინების ბედნიერება ერგოთ წილად. ყველაფერი სიყალბეა. ეს არ არის სიმშვიდისა და სიყვარულის ღამე, არამედ, პირიქით – ეს არის ზემო იმათთვის, ვისაც ერთმანეთი არ უყვარს. ეს განსაკუთრებული შემთხვევაა, როცა ბოლოს და ბოლოს უნდა შეასრულო გადადებული ვალდებულებანი, რომელთა შესრულებაც არ გინდა: მოიპატიჟო საცოდავი უსინათლო, რომელიც არავის ახსოვს, ან ბიძაშვილი ისაბელი, თხუთმეტი წლის წინათ დაქვრივებული, ან დამბლადაცემული ბებია, რომლის გამოჩენასაც ვერავინ ბედავს. ეს დეკრეტით ნებადართული მხიარულებაა, სიყვარული სიბრალულისა გამო: წამი გაცემისა, იმიტომ, რომ შენც გწყალობენ და წამი ტირილისა საჯარო ახსნა-განმარტების გარეშე. ბედნიერება გამონვეულია იმით, რომ სტუმრებმა დალიონ ყველაფერი, რაც წინა შობიდან მორჩა: პიტნის კრემი, შოკოლადის ლიქიორი, ბანანის ღვინო. არც ის არის გასაკვირი, რომ დღესასწაული ხშირად ჩხუბითა და სროლით მთავრდება, და აღარც ის, რომ ამდენი სისასტიკის შემხედვარე ბავშვები დაიჯვრებენ, ჩვილი იესო დაიბადა არა ბეთლემს, არამედ ამერიკის შეერთებულ შტატებშიო.

ესპანურიდან თარგმნა
ელეონორა კუჭავამ

ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“.
5 იანვარი, 2007.



ილია ჯავახიანი – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, ბანკირი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ეროვნული მიზანდასახულობის ლიბერალურ-დემოკრატიული იდეოლოგიის ფუძემდებელი საქართველოში. დაიბადა 1837 წელს ყვარელში. თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1861 წელს სრული კურსის დაუმთავრებლად დაბრუნდა სამშობლოში და სათავეში ჩაუდგა ქართული საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ტრანსფორმაციისა და აღორძინების სასიცოცხლო მნიშვნელობის პროცესს. ავტორია „ნაციონალური კონსოლიდაციის“ კონცეფციისა, რომლის მიხედვითაც, მხოლოდ კონსოლიდირებულ ერს შეუძლია, ერთი მხრივ, ტრადიციებზე დაფუძნებული და ინდივიდუალიზმით აღბეჭდილი ეროვნული კულტურის განვითარება, ხოლო მეორე მხრივ, ახალი იდეებისა და ღირებულებებისათვის გახსნის, დროის გამოწვევების მიმართ ადეკვატური საზოგადოების ჩამოყალიბება. 1890-იანი წლებიდან ჩაება ქართველ მარქსისტებთან მწვავე იდეოლოგიურ ბრძოლაში. მოკლეს წინამურთან 1907 წლის 30 აგვისტოს (ძველი სტილით). დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

ახალი დასის მოლოდინები

ცხოვრებამ ჩვენში ცოტად თუ ბევრად ფერი იცვალა. ახალმა დრომ ახალი მოთხოვნილება დაჰბადა ხალხის ცხოვრებაში. ძველი ცხოვრება თავის ნაკვალევიდამ გამოვიდა და ახალი გზა-კი ჯერ ვერ გაუკვლევია, ახალის ცხოვრების კვალი ვერ მიუგნია. ძნელია, თუ კაცს გზა აერივა: უკან დაბრუნება უძნელდება და წინ წასვლაც ვერ მოუხერხებია...

უმრავლესობას შეიძლება თვალნათლად არც-კი ჰქონდეს გამორკვეული ეს ცვლილება, მაგრამ არ შეიძლება კი რომ თვით უმეცარიც ბუნდად მაინც არ ჰგრძნობდეს ამასა. მხოლოდ არც ცოდნა აქვს მას და არც იმოდენა გონებითი ძალღონე, რომ თავის-თავს თვითონვე უშველოს. აი აქ უნდა მოეშველოს ის, ვისაც იმოდენა ცოდნა და განათლება შეუძენია, რომ ახალის ცხოვრების მოთხოვნილება ესმის და გზის ჩვენებაც შეუძლიან. აი აქ უნდა გამოვიდეს საქვეყნოდ ის, ვისაც გული შეტკივა თავის უმეცარ მოძმესათვის. მადლობა ღმერთს, ამ ბოლოს დროს ჩვენს ბედს ძალიან ვერ დავემდურებით. ცოტად თუ ბევრად ხომ ჩვენში ჰმატულობს ყოველ-წლივ მცოდნე და განათლებული წყობა ერისა. სად არის, სად იმალება ეს წყობა? რა-

ტომ არ ეშველება იმ ხალხს, რომელმაც იგი გამოზარდა და რომელსაც იგი ეკუთვნის?

ნუთუ არ ესმით, ან ავინყდებით, რომ ყოველი გროში, რომელსაც ის თავის სწავლაში ხარჯავს, ხალხის ოფლით, წვითა და დაგვით არის შექმნილი, თუნდა მახლობელთა ხელითაც იყოს მიწვდილი. ხალხი თუ იხდის ამ მძიმე ხარჯს, მხოლოდ იმ იმედით, რომ მისი ამაგი მუქთად არ ჩაივლის, რომ მისის ნაღვანით და შრომით გამოზრდილი მასვე დაუბრუნდება და რაიმე შველას მისცემს თავის ცოდნით. არა გვგონია, რომ ჭეშმარიტად განათლებული კაცი არ ჰგრძნობდეს ამ-გვარ მოვალეობას, არ ჰფიქრობდეს, რომ იგი ზნეობით მოვალეა ხალხს უკანვე დაუბრუნოს სამაგიერო მისი, რაც მისგან მიუღია. ხოლო თუ ხალხს არ უხდიან სამაგიეროს, სხვა მიზეზი უნდა მოქმედობდეს, იქნება ცოტად თუ ბევრად შესაწყნარებელიცა, მაგრამ, ჩვენის ფიქრით-კი, გასამართლებული არ იქნება. მწარე ფიქრები წარმოგვიდგება ხოლმე თავში, როდესაც ჩვენს განათლებულს კაცებს ვუფიქრდებით. შეჰხედეთ სხვა ქვეყნებს... ერთობ ყოველ დანინაურებულ, განათლებულ ქვეყანაში თითქმის ყოველ ათსწელობი ცხოვრება ფერს იცვლის... ყოველ ამ-გვარ მოძრაობას ახალი მოთხოვნილება მოსდევს და საქვეყნო სარბიელზე ახალის დასის ხალხი გამოდის. ძველ თაობას ახალი სცვლის, ან გვერდში უდგება. ახალი – ახალის ცოდნით, ახალის ცხოვრების გამოცდილებით, მეტიც ჯანით და ღონით, ცხოველის ძალით არის შეჭურვილი და ამიტომ ცხოვრების მიმდინარეობას შესამჩნევ მოძრაობას აძლევს. ამ მოძრაობის ტალღები ვრცლად გადის და ცხოვრების ვარამსა და ვაგლახსა ჰრეცხს... სანუგეშოდ ის მაინცა რჩება, რომ ცხოვრება იქ დახვავსებულ გუბედ არ გადიქცევა. საცა მოძრაობაა, იქ სიცოცხლეც არის. ჩვენში რაღასა ვხედავთ? ჩვენცა გვყავს თითო-ოროლა მაინც ჭეშმარიტად განათლებული და მცოდნე კაცები, იმისთანებიც, რომელთაც მეცნიერებაში სახელიც მოუპოვებიათ, მაგრამ ისინი, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენ გარეთ არიან. და ამ-სახით, ვისაც ზნეობრივი და გონებრივი ძალ-ღონე აქვს წინ-გაუძღვეს თავის საკუთარს ქვეყნის ცხოვრებას, განზედა სდგას. იქნება

ამის მიზეზი ჩვენი ცხოვრებაც არის, მით რომ ბევრს სიამოვნებას და ხელის შეწყობას არ უქადდეს, მაგრამ ქვეყნის სამსახური ყველგან მსხვერპლია და არა სეირი. ამ შემთხვევაში დგომა – ცდომაა. ცხოვრება წინ წავიდა... ცარიელი მოედანი ცხოვრებისა ჰლაღადებს და იწვევს იმ განათლებულ მშრომელთა. მაგრამ ლაღადი ჯერ არავის ესმის და მოწვევაზედაც ჯერ არავინ მიდის.

1886 წ.

ილია ჭავჭავაძე.

თბილისის სრული კრებული (ათ ტომად).

პავლე ინგოროყვას რედაქტორობით.

ტ. III. თბილისი: სახელგამი. 1953.

დავით აღმაშენებელი

არ ვიცი, სხვა როგორა ჰფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მანანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს – ვინ არის, საიღამ მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს. რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი თუ, – რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც. ისტორია თავის გულის ფიცარზედ იბეჭდავს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაბეჭდვითა, როგორც სარკე, გვაჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღევრძელობისათვის და გაძლიერებისთვის.

უკეთესნი და უდიდესნი მომქმედნი ერისა ხომ სხვა არა არიან-რა, თუ არ ერის გულის-ნადების და წყურვილის გამომეტყველნი და გამახორციელებელნი, რომელნიც ამის გამო თითქო შემოქმედობენ, თითქო ჰქმნიან ისტორიასა. ამიტომაც ეს ამის-თანა მომქმედნი, ვამბობთ ჩვენ, დაუვიწყარნი უნდა იყვნენ, თუ ერს კიდევ ერობა ჰსურს და დედამიწის ზურგიდამ მტვერსავით

ასაგველად არ გადაუდვია თავი. დავიწყება ამათი – საკუთარის ვინაობის დავიწყებაა, და თუ კაცს თავისი ვინაობა არ ახსოვს, რილას მაქნისია? იგი ნადირია, რომელსაც, რაკი დედის ძუძუს მოჰპოვრდება, აღარ ახსოვს თავის მშობელი და სიცოცხლის მიმნიჭებელი. გარდა იმისა, რომ ამ უკეთესთა და უდიდესთა მომქმედთა მეოხებით და ღვანლით ვცხოვრობთ დღესა და ვსულდგმულობთ, ამათ სხვა სამსახურიც მიუძღვით ჩვენ-ნინა. ისინი ცხოველი მაგალითებია მისი, თუ რა სიმალლემდე შეუძლიან ერს ამა თუ იმ გარემოებაში მიაღწიოს. რამოდენადაც დიდ-ბუნებოვანია ამისთანა მომქმედი, რამოდენადაც ეს დიდ-ბუნებოვნება ხშირია რომლისამე ერის ისტორიაში, იმოდენად უფრო უტყუარი სანყაო გვაქვს ხელთ ერის სიკეთის, ძალ-ღონის და შემძლეობის აწყვისათვის. თუ გუშინ იყვნენ ჩემის სისხლისა და ხორცის დიდებულნი და სახელოვანნი კაცნი, რა მიზეზია, რომ ხვალაც არ გამოჩნდნენ, თუ გარემოების იგივეობას ვიგულისხმებთ.

გარდა იმისა, რომ ამ უკეთესთა და უდიდესთა მომქმედთა მეოხებით და ღვანლით ვცხოვრობთ დღესა და ვსულდგმულობთ, ამათ სხვა მნიშვნელობაცა აქვთ ერისათვის. ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმინდანების გვირგვინითა ჰმოსავეს და ჰლოცულობს, ზოგს დიდ ბუნებოვანების შარავანდედითა, და თაყვანსა სცემს სასოებით და მაღლობითა, ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუვინყარობა.

„ჩვენთვის, ადამიანებისათვის, საჭიროაო, – ამბობს ბრძენი სენეკა, – იმისთანა კაცი, რომ მის მიხედვით და მაგალითით შევიძლოთ საკუთარის ხასიათის განვრთნა და გამტკიცებაო. ოჰ, რა ბედნიერია იგი, ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწვრთნის ჩვენ, არამედ მარტო თავისის სახელის ხსენებითაცაო“.

ამისთანა ბედნიერი დავით აღმაშენებელია საქართველოს ერისთვის. მისი მიცვალების დღე 26 იანვარია. ხოლო საქართველოს ეკლესია, რომელიც ყოველთვის თავდადებით ჰჰატრონობდა ჩვენს ერს და არასდროს დიდებას ერისას დავიწყებას არ აძლევდა, 26 იანვარს აქებს და ადიდებას სახელოვანს დავით მეფეს,

რომელსაც უტყუარმა განაჩენმა ერისამ, ეკლესიის დალოცვითა და კურთხევით, აღმაშენებელის სახელი დაარქვა საუკუნო სახსენებლად. ამ მართლა-და დიდებულმა მეფემ ერთად მოუყარა თავი ქართველობას, აოხრებული ქვეყანა ააშენა, მტერი გაუფრთხო და გაუფანტა, და დღეს თუ ჩვენ ჩვენს ბინაზედ ვართ, – ეს იქნება იმისი ღვანლი, იმისი სამსახურიც უფრო იყოს. დიდება სახელსა მისსა!..

ხოლო დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ თავის დიდ-ბუნებოვან კაცობითაც. იგი, თავგადადებული მოყვარე თავის ეროვნობისა და მართლმადიდებელის სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნობისაც და სარწმუნოებისა. ამისთანა შემწყნარებელი სხვისა მაშინ, როდესაც იგი ყოვლად-შემძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლის და სხვადასხვა სარწმუნოების ერისა, ამისთანა სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელადაც არა ჰზოგავდა, ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნობისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან!

მეტი-და დიდ-ბუნებოვანობა მოეთხოვება განა მეთორმეტე საუკუნის კაცს მაშინ, როცა დღეს, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს საკვირველებად მიგვაჩნია გლადსტონი, რომ ირლანდიის ეროვნობას და სარწმუნოებას ესარჩლება იმავე კაცთმოყვარეობით, რა კაცთმოყვარეობითაც დავით აღმაშენებელი სხვა ერს პატივისა-სცემდა! ჩვენს მათიანეებს თავი დავანებოთ და ვიმონმით სხვა ერის მემამტიანენი. ისინიც კი აღტაცებით იხსენიებენ დავით აღმაშენებელს, როგორც კაცს, პატივისმცემელს და შემწყნარებელს სხვა ერისას და სხვა რჯულისას.

სომეხი მათე ედესელი ამბობს:

„დავით იყო წმინდა, კეთილმსახური, სავსე ქველმოქმედობით და მართლმსაჯული. დავითის გარშემო იკრიბებოდა დანარჩენი სომეხთა ნათესავი, რომელთათვის მან დააფუძნა საქართველოში ქალაქი კორი (გორი), სადაც მრავალი ეკლესია და მონასტერი ააშენა. მიაგო ჩვენს ნათესავს ყოველგვარი ნუგემის ცემა და შვება“.

ვარდან დიდი წერს:

„დავითს არავითარი სიძულვილი არა ჰქონდა სომხურის წირვა-ლოცვისა და ეკლესიისა: იგი ხშირად იდრეკდა თავს ჩვენს ხელქვეშ და ითხოვდა ჩვენს ლოცვა-კურთხევას“.

ეგ კიდევ არაფერი, რომ დავით აღმაშენებელი ასე ექცეოდა სომხებს, რომელნიც, რაც უნდა იყოს, ქრისტიანები იყვნენ და არიან. დიდ-ბუნებოვანი კაცთმოყვარეობა დავით მეფისა მაჰმადიანებსაც მიეფინათ, და მით უფრო ბრწყინვალეა ეს ამბავი, რომ მაჰმადიანები თვით დავით მეფისა და მისის ერის სარწმუნოებას ერჩოდნენ აღმოსაფხვრელად. – მაჰმადიანთა მწერალი ალ-აინი აი რასა წერს:

„დავითს სთხოვეს მუსულმანებმა, რომ ქრისტიანეთ არა ჰქონოდათ ნება მუსულმანებთან ერთად შესვლისა აბანოში და აღეკრძალნა გიაურებისათვის მათი ავად ხსენება. დავითმა ყოველივე ეს თხოვნა აუსრულა. დავითი თავის შვილის დიმიტრიითურთ ყოველ-დღე დადიოდა უმთავრესს მეჩეთში, ისმენდა სამეფო ლოცვას და თვით ყურანის კითხვას. დავითი უხვად აძლევდა ფულს ქატიბს და მუაძინებს. მან ააშენა უცხო ტომთათვის ქარვასლები, და პოეტთათვის, რომელთაც ულუფას უნიშნავდა. თუ ვინმე ისურვებდა ტფილისის დატოვებას, გულ-სავსებით ხელს უპყრობდა და მგზავრობის ღონისძიებას აძლევდა ფულით. დავითი უფრო მეტს პატივისა-სცემდა მუსულმანთა, ვიდრე მთავარნი მუსულმანთანი“.

ყოველივე ეს დიდსულოვანობა და სულგრძელობა დავითისა მაშინ არის მომხდარი, როცა ძლევამოსილი იგი მეფე სრულად გაბატონდა თავის ქვეყანაში და, მასასადამე, ამისთანა პატიოსანი და განათლებული ქცევა მარტო იმის დიდ-ბუნებოვან გულს და გონებას უნდა მიენეროს და არაფერს სხვას. იმას აღარ ვამბობთ, რომ სწეულთა, უღონოთა და საპყართათვის დავითმა ააშენა სამკურნალო, თითონ ხშირად დადიოდა ამ უბედურთა სანახავად და მოსაკითხავად.

აი ეს დიდებული მეფე – რა დიდებულ კაცურ-კაცის სახესაც მოგვივლენს თვალ-წინ და რა თავმოსაწონებელს საბუთს გვაძლევს ხელთა. აი ამისთანა კაცის ხსენებაა გამაცოცხლებელი

ერისა და ამისთანა კაცის არ-ხსოვნა მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ერსა, რომელმაც იგი ჰშვა და თავის ძუძუთი გამოჰზარდა. ჩვენმა დამცველმა ეკლესიამ ეს კარგად იცოდა და ამიტომაც 26 იანვარი დაგვინიშნა, რომ წელიწადში ერთხელ მაინც გავიხსენოთ ეს ქართველისათვის თავმოსაწონებელი დიდებული მეფე, დიდებული კაცი.

კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო, – ამბობს ჩვენი ერი: – ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა ისე არავის შეუსრულებია, როგორც დავით მეფესა. აქ აღმაშენებელის სახელი დარჩა, როგორც მეფეს, და იქ, როგორც დიდ-ბუნებოვანმა კაცმა – წაიყოლა სახელი წმინდანისა, დიდების გვირგვინით შემკობილი.

1888 წ.

ილია ჭავჭავაძე.

თხზულებათა სრული კრებული (ათ ტომად).

პავლე ინგოროყვას რედაქტორობით.

ტ. IV. თბილისი: სახელგამი. 1955.



აკაკი წერეთელი – მწერალი, პუბლიცისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, „თერგდალეულთა“ თაობის უთვალსაჩინოესი წამომადგენელი. დაიბადა 1840 წელს იმერეთში, სოფელ სხვიტორში. დედით იყო იმერეთის მეფე სოლომონ პირველისა და 1819-1820 წლების იმერეთის აჯანყების ერთ-ერთი მეთაურის, იოანე (ივანე) აბაშიძის, შთამომავალი. მიუხედავად იმისა, რომ მიღებული ჰქონდა საუნივერსიტეტო განათლება (დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი), არასოდეს ყოფილა სახელმწიფო სამსახურში. პირველი ლიტერატურული ნაწარმოებები გამოაქვეყნა 1850-იანი წლების დასასრულს ივანე კერესელიძის ჟურნალ „ცისკარში“ და აქედან მოკიდებული სიცოცხლის ბოლომდე ეწეოდა ნაყოფიერ ლიტერატურულ, ჟურნალისტურ, საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იყო ჟურნალ „აკაკის კრებულისა“ (1897-1900) და გაზეთ „ხუმარას“ (1907) რედაქტორ-გამომცემელი, ალმანახ „ზურნას“ (1908) რედაქტორი, ჟურნალ „ცეცხლის“ (1907-1908) ფაქტობრივი რედაქტორი. აკაკის ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლისთავი (1908) და მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში (1912) გადაიქცა საყოველთაო სახალხო დღესასწაულად. გარდაიცვალა 1915 წელს სხვიტორში. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

სისყვა, თქმული აკაკისაგან
ხელთუხნის სკოლის კურთხევის
დროს ოქტომბრის I- ლს 1884 წ.

ამ წმინდა მამის დამოძღვრისა და ბატონი მასწავლებლის საგულისხმო სიტყვის შემდეგ, თუმცა ბევრი ლაპარაკი საჭირო აღარ არის, მაგრამ მაინც, ჩემო ძმებო, თუ ყურს დამიგდებთ, მინდა ცოტა ხანს მაინც გესაუბროთ.

აქედან შორს, ბევრ ცხრა-მთას იქით, ზღვისპირად, ესპანეთის ქვეყანაში არის ერთი პატარა მაზრა, რომლის უმშვენიერესი თითქმის არსად მოიპოვება; ყოველ გვარად შემკულია, მაგრამ ერთი უბედურება სჭირს. საოცარი ციებ-ცხელება იცის.

ამ მშვენიერ მხარეზედ არის ამბად ნათქვამი: ვითომც ერთხელ მამა ღმერთს ებრძანებოდა წმინდა გიორგისთვის: „ვიცი, რომ გაჭირვებულ ხალხს ეწევი და მფარველობო. ამისთვის მადლობელი ვარ მე შენო!... მთხოვე, რაც გინდა და აგისრულებო!“ ისიც შეჰვედრებია ღმერთს: „მე მეტი არა მინდა-რა, მხოლოდ იმ ქვეყანაში ციებ-ცხელება მოსპუეო!“ „ეგ კი არ შეიძლებაო, – უბრძანებია ღმერთს, – ეგ განგებით არისო: იქ რომ სწეულება მოვსპო, მაშინ ის კუთხე ამ სასუფეველს ემჯობინება და აქ ვინდა ისურვებს დადგომასაო“.

ამ მხარისა არ იყოს, ეს ჩვენი პატარა ქვეყანაც, ყოვლისფრით სრულია, რომ ამასაც ერთი ჭირი არ ადგეს ხოლმე: მას

არც ერთხელ მოსვენება არ ჰქონია; მიტომ, რომ მშვენიერი არის, ყველას მაგისი ხელში ჩაგდება ჰსურდა...

მაგრამ, ნათელი მათ საფლავს, რომ ჩვენ მამა-პაპებს თავი გამოუდევიათ და არავისთვის დაუნებებიათ!.. მართლაც, ცალ ხელში რომ სამუშაო იარაღი ეჭირათ, მეორეში მტრის მოსაგერიებელი, გული არ გასტეხიათ, თავი არ დაუზოგავთ. დღეს იმისთანა ადგილს ვერსად გამოვსძებნით ჩვენს ქვეყანაში, რომ მათი ძვლები არ ეყაროს! თვით აი ეს ადგილიც, რომელზედაც ახლა ჩვენ ვდგევართ, შეიძლება მათის წმინდა სისხლით იყოს მორწყული!.. დიად, ტანჯვით შესწირეს თავი ჩვენს ქვეყანას, მაგრამ დაიცვეს თავისი ეროვნება.....

დღეს სულ სხვა დრო გვიდგას: გარეშე მტერი აღარა გვყავს, მაგრამ...

იმ ძველ მტრებზე ეს ახალი მტერი უფრო საშიშია და საფრთხილო. ცხად მტერს, პირდაპირ მომავალს, შეუპოვრად მიეგებები, – მაგრამ რა უნდა უყოს უჩინარ მტერს, რომელზედაც თვალი ახვეული აქვს. ეს უჩინარი მტერი არის უმეცრება და უსწავლელობა. – სანამ ამას არ მოვიშორებთ, თვალი არ აგვეხილება. თვალის ასახელად კი სულ სხვა გვარის იარაღებია საჭირო და ის იარაღები აი, ამისთანა სახლებიდან უნდა გამოიტანონ თქვენმა შვილებმა, რომ თქვენი ხვედრი აიცილონ, თორემ ხომ ხედავთ, რა გემართებათ დღეს: გიყვარსთ თქვენი მინა-წყალი და ვერ უვლით! – შრომობთ და ბარაქა არ არის! – გინდათ, რომ თქვენს თავს მოუაროთ, პატივი სცეთ და არ შეგიძლიათ! – უსამართლოდ რომ ვინმე გადაგეკიდოსთ და მოინდომოს თქვენი დაჩაგვრა, თქვენ ხომ თქვენდა თავად პასუხს ვერ აგებთ? უნდა ნახვიდეთ და გამოსძებნოთ მისთანა კაცი, რომელიც თვალ-ტანად, ძალ-ღონით და ჭკუა-გონებით თქვენზე ნაკლებია, მაგრამ, ცოდნა რომ მეტი აქვს თქვენზედ, ის დიდ-გულად, ბატონივით გეპყრობათ და თქვენ კი მის წინ ქუდ-მობდილები დგებართ. ისიც, ორ სიტყვას რომ იტყვის თქვენს მაგივრად, ტყავს გაძრობსთ და თუ ორი კალამიც მოუსვა, სულსა გხდისთ! თუ გინდათ, რომ თქვენს შვილებსაც თქვენისთანა დღე არ ადგეს, ამ სასწავლებელს მოსჭიდეთ ხელი, ეს არის ერთად ერთი თქვენი

გამომხსნელი, აქ გამოზარდეთ შვილები და ისინიც სიყვარულით მოგიხსენებენ.


კიდევ ერთი სიტყვა!.. არაკით დავიწყე თქვენთან საუბარი და უნდა ნამდვილ ამბით კი დავაბოლოო: სამი ძმა იყო ძველად ჩვენში, კარგი ოჯახის შვილები და კარგადაც სცხოვრობდნენ. ბოლოს, რაღაც შემთხვევამ ისე მოიტანა, რომ...

შეჩვენებულებმა ისე გადაამტერეს, ისე გადაჰკიდეს ეს ძმები ერთმანეთს, რომ კინაღამ სამივეს ოჯახი დაუქციეს. მაშინ მიიხმო ის ძმები დედა მათმა და უთხრა: შვილებო! თქვენ ხომ სამივე ამ ერთი მუცლით მიტარებიხართო?... დიალ! უპასუხეს. ხომ ამ ერთი ძუძუთი გამიზდიხართო? მართალიაო! მიუგეს. ღმერთიც ხომ ერთი გყავსთო. რასაკვირველიაო! სთქვეს. ჰო და მამ ერთმანეთს რაღას გადაჰკიდებიხართ ერთ-სისხლი და ერთ-ხორცი ძმებო!... პირჯვარი, როგორც გინდათ ისე დაინერეთო!... ჩახვდნენ მაშინ მოჩხუბრები გონებაში, შერიგდნენ და ისევ გაძლიერდნენ...

ეს მაგალითი მიტომ მოვიყვანე, რომ დღესაც არიან ჩვენში მისთანები, რომ სხვა-და-სხვა რჯულზედა დგანან და ერთმანეთის ძმები აღარა ჰგონიათ თავი. საჭირო არის, იმათაც გამოუჩინდეს დამრიგებელი დედა და უთხრას: თქვენ ხომ ერთი ქვეყნის შვილები ხართ? ერთის მიწა-წყლით ნაკვები!... ერთი ენა გაქვსთ, ერთი ზნე და ერთი ჩვეულება. თქვენს მამებსაც ჭირი და ლხინი ერთად უნახავსთ და თქვენც ერთნი უნდა იყოთო... ამ გვარად თქვენი დამრიგებელი და შემაგნებელი უნდა იქნენ ამნაირი სასწავლებლები. და თქვენც,...ჩემო ძმებო, ვალდებული ხართ, რომ ყური დაუგდოთ და გულ-წრფელად მოუსმინოთ!.. გაუმარჯოს ამ ახალ-ნაკურთხს თქვენ სასწავლებელს, გაუმარჯოს იმ მოსწავლეთ, მათზე მზრუნველებს და თქვენც ერთობით ყველას გაგიმარჯოს!

აკაკი წერეთელი.

თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად).
გიორგი აბზიანიძის საერთო რედაქტორობით. ტ. XII.
თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. 1960.



ნიკო ნიკოლაძე – პუბლიცისტი, კრიტიკოსი, უთვალსაჩინოესი ფიგურა XIX ს. II ნახევრისა და XX ს. I მესამედის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-სალიტერატურო ცხოვრებაში. დაიბადა 1843 წელს დიდ ჯიხაიშში. 1868 წელს დაამთავრა ციურიხის უნივერსიტეტი, იქვე დაიცვა დისერტაცია („განიარალება და მისი ეკონომიკური და სოციალური შედეგები“) და მიენიჭა დოქტორის ხარისხი. ჟურნალ „კრებულის“ (1871-1873) ფაქტობრივი რედაქტორი, არალეგალურ ემიგრანტულ გაზეთ „დროშის“ (პარიზი, 1873) დამაარსებელი და რედაქტორი, რუსულენოვანი გაზეთების: „Обзор“ (1878-1880; მწვავე კრიტიკული მიმართულების გამო ხელისუფლებამ დახურა, ხოლო რედაქტორი სტავროპოლში გადაასახლა) და „Новое обозрение“ (1887-1891) რედაქტორი, ფოთის ქალაქის თავი (1894-1912), საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1917-1918) და დამფუძნებელი კრების (1919-1921) წევრი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან. გარდაიცვალა 1928 წელს თბილისში. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

ნიკო ნიკოლაძე

ფრანგული პრესის

დეკადანსი

(ნაწყვეტები)

პერიოდულმა პრესამ, განსაკუთრებით კი ყოველდღიურმა, საფრანგეთში მხოლოდ რევოლუციის შემდეგ გაიდგა ფესვი. ძველი რეჟიმი მას ვერ აიტანდა. პოლიცია, ცენზურა, ნოდებრივი პრივილეგია, ბასტილია და ყოველივე ის, რაც აქედან გამომდინარეობდა, ისეთი ხასიათის იყო, რომ მის თავისუფალ განვითარებას ხელს არ შეუწყობდა. ეს წინააღმდეგობანი გაცამტვერდა იმ დღეს, როცა ძველი რეჟიმის საძირკველი დაინგრა. აი, მაშინ დაიბადა პრესა. მაგრამ საფრანგეთი უკვე გადაქცეულიყო მძაფრ პოლიტიკურ შეჯახებათა მსხვერპლად. მთელ ერს თვალი მიპყრობილი ჰქონდა იმ ასპარეზისაკენ, სადაც ყველა წმინდა პრინციპი და ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნებანი გააფთრებით იბრძოდნენ. ნებით თუ უნებლიედ, ახლადდაბადებული პრესა ამ შეხლა-შემოხლას უნდა გაჰყოლოდა და მონაწილეობა მიეღო ბრძოლებში. შექმნილი ვითარების გამო მისი არსებობის ერთადერთი წყარო იყო ის, რომ იგი ნაკითხული ყოფილიყო.

ისინი, ვინც ბრძოლას ხელმძღვანელობდნენ და ვინც, ასე თუ ისე, ჩარეული იყო ამ ბრძოლებში, ჩქარა მიხვდნენ, თუ

რა სარგებლობის მოტანა შეეძლო მათთვის პრესას, რაკი მას თავიანთი მიზნებისა და მისწრაფებების სასარგებლოდ გამოიყენებდნენ. ამ ეპოქაში კი, როცა ყოველგვარი ხიდან მშვილდისრებს ამზადებდნენ, შეუძლებელია ასეთი მძლავრი იარაღი უგულებელყოთ. ყოველი მხრიდან დაესიენ პრესას, რათა ბრძოლის იარაღად ექციათ იგი. ამგვარად, პრესა, რომელმაც დაბადება ვერც კი მოასწრო, და რომელსაც საზოგადოება ძლივს იცნობდა, პარტიებს ჩაუვარდა ხელში; პარტიებმა იგი მაშინვე გადააქციეს ომის მანქანად, რომელიც განკუთვნილი იყო მათ შეხედულებათა პროპაგანდისათვის და მონინაალმდეგეთა დასათრგუნავად.

ამის შემდეგ პრესის მდგომარეობა თითქმის არ შეცვლილა, არსებითად მაინც. მთავრობები ერთმანეთს ცვლიდნენ და იცვლიდნენ ფორმებს, შეხედულებებს, მიზნებს, პრესის მიმართ კი ერთნაირ დამოკიდებულებას იჩენდნენ. ყველა ისინი თავიანთი გეგმების განხორციელებისათვის იყენებდნენ პრესას და ამავე დროს ყოველ ძალღონეს, რათა იგი საკუთარი თავისადმი უვნებელი გაეხადათ. მათ არასოდეს თავი არ შეუწუხებიათ გაეგოთ, ვალდებულია თუ არა სახალხო საქმეთა ხელმძღვანელობა დაინტერესდეს იმით, რომ ერს გააჩნდეს პატიოსანი და გონიერი პრესა, რომელსაც შესწევს უნარი უდიდესი სამსახური გაუწიოს ხალხს თავისი ცნობების სიზუსტით და მოსაზრებათა მიუკერძოებლობით. მათ ასევე არაფრად მიაჩნიათ ცოდნა იმისა, თუ რა დიდი დახმარების განევა შეეძლო პრესას სახალხო განათლების განვითარებისათვის და ხალხის პოლიტიკური აღზრდისათვის. მაგრამ, სამაგიეროდ, არასოდეს არაფერი, რაც ადამიანის ძალასა და ღონეს აღემატებოდა, არ დაუზოგავთ, რათა გაეხრწნათ პრესა და მისთვის პირი აეკრათ. ამასთან, არცთუ კარგად ახსოვდათ, რა სამსახური გაუწია მათ პრესამ იმ დროს, როცა ჯერ კიდევ ძალაუფლებას იპყრობდნენ. ამიტომ თვითეული სახელმწიფო ცდილობდა იგი გადმოეხრებინა და, ცბიერებითა და ძალადობით, თავისი მონინაალმდეგეებისათვის ეს საშიში ძალა წაერთმია. იგი აარსებდა ოფიციალურ გაზეთებს, ყიდულობდა ან ქირაობდა ყოველივეს, რაც იყიდე-

ბოდა და ქირავდებოდა. იზიდავდა თავისკენ სხვასაც – მოუსყიდველთ ისეთი საპატიო ჯილდოების მეშვეობით, როგორიცაა სენატის სავარძელი, პრეფექტურა, საელჩო, ხარკების მთავარი ამკრეფობა და სხვა. და თუ კიდეც გადარჩებოდა ორი ან სამი მოუთვინიერებელი გაზეთი, მათ წინააღმდეგ კანონს კანონზე გამოსცემდა და ჯარიმების, გაფრთხილებების, საპატიმროების, დახურვისა და ლიკვიდაციის მთელი არსენალით აღიჭურვებოდა. პოლიტიკური სტატიის დაწერა ჟურნალისტებს ზოგჯერ გადასახლებად და მთელ სიცოცხლედ უჯდებოდათ.

ამგვარი ვითარების გამო, პრესას ყოველთვის ორი მიმდინარეობა მიაქანებდა ორი, დიამეტრალურად საწინააღმდეგო, მიმართულებით, რომლის თავიდან აცდენა დღესდღეობით თითქმის შეუძლებელი გამხდარა. იმ დროს, როდესაც ჟურნალისტთა ერთი ნაწილი, ადმინისტრაციულ მფარველობას დახარბებული, სულითა და ხორციტ იცავდა არსებულ ხელისუფლებას და მისი მესაიდუმლე და რუპორი ხდებოდა, მეორე ნაწილი ემხრობოდა ყველაფერს იმას, რაც მთავრობას ეწინააღმდეგებოდა და ცდილობდა გაზეთი გადაექცია დასაყრდენად და ძალად, რომლის დახმარებით სახელმწიფო ძალაუფლებას შეებრძოლებოდა. ვინაიდან ამქვეყნად ყველაფერი ჯილდოვდება, ჟურნალისტთა პირველი ნაწილი ცხოვრობდა მთავრობის მიერ მინიჭებული პრივილეგიებით, ხოლო მეორე ნაწილი, ადმინისტრაციულ მონყალებას მოკლებული, თავს ინუგეშებდა მკითხველთა და ხელმომწერთა ცოტად თუ ბევრად გაზრდილი რიცხვით, რომელიც საფრანგეთში ხელისუფლებით უკმაყოფილო პრესას არასოდეს არ მოაკლდება...

რომელიმე პარტიისადმი დამონებული გაზეთი ამ პარტიას იმდენად შეიძლება სთვლიდეს თავის დასაყრდენად, რამდენადაც იგი რეალურ სამსახურს უწევს მას, იცავს პერ ფას ეტნეფას და გამსჭვალულია მისი აზრებითა და საქმით. რაც უნდა დიდი იყოს იგი, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ პატარა ეკლესიაა, აღჭურვილი საკუთარი ფეტიშებით, მკაცრი დოგმებით და მგზნებარე თაყვანისმცემელთა ვიწრო წრით. როგორც ყველა ეკლესიაში, აქაც სუფევს შეუწყნარებლობა, მიკერძოება და

წინასწარ აზრის შექმნა საკუთარ თავზე, როგორც განსაკუთრებულ მოვლენაზე. აქ არავინ მსჯელობს, არავინ ეძებს ქეშმარიტებას, არავინ იღვწის თავად გათვითცნობიერდეს და საკუთარი აზრები სხვას შთაუწერგოს. აქ მრისხანე გუგუნით და ღრიალით თავს ესხმიან განდგომილებს, ანათემას გადასცემენ მათ; აუდიტორიის გულის მოსაგებად ისტორიასა და მოვლენებს ამახინჯებენ. გამვლელი და გულგრილად განწყობილი საზოგადოება იქ არც შეჩერდება, რადგანაც ვერც ვერაფერს აქაური ლაპარაკით გაიგებს და ვერც აქაურ ვნებათაღელვას გაიზიარებს. მონინააღმდეგენი იქ არასოდეს ფეხს არ დგამენ, ვინაიდან უსარგებლოდ მიაჩნიათ მეთავერ მოისმინონ ერთიდაიგივე ბრალდება და, განსაკუთრებით კი, ერთიდაიგივე ცილისწამება. ხანდახან ვინმე მორწმუნეს შეუცდება ფეხი და ეკლესიის ქურუმნი იძულებულნი არიან თავიანთი ქადაგება ახალბედა მოციქულებზე გაასაღონ. ფართოდ გაღებული კარები სრულებითაც არ აღვივებს თვით მორწმუნეთა ცნობისმოყვარეობასაც და ისინი, მეტწილად, ღრმა მონყენილობაში ჩაფლულნი ყურს უგდებენ დაუსრულებელ ლიტანიას, რომელიც, სხვა რომ არა იყოს რა, ზეპირად იციან...

ჟურნალისტთა შორის პირველი ადგილი დაიჭირა და თანდათან მრავალრიცხოვანი ხდება ლანძღვა-გინების მოყვარული კალმოსნები. მათი მეთოდია უწმანური სიტყვების ხმარება. ისინი პროვოკატორულად და სრულიად თავზეხელაღებულად აფრქვევენ გაბედულ ფრაზებს, გადმოსცემენ შემოკლებულ ჭორებს; ხალხს თავს ისე აჩვენებენ, ვითომც დარწმუნებულნი იყვნენ არა მხოლოდ საკუთარ თავში, არამედ თავიანთი სიტყვების სიმართლეშიც. მყვირალა პატრიოტიზმის შესახებ წარმოთქმული ცარიელი სიტყვებით ისინი ქვეყანას ატყუებენ და იმედს ამყარებენ ზოგის უვიცობაზე, ზოგის ცუდ მეხსიერებაზე, განსაკუთრებით კი მასების გულუბრყვილობაზე. ისინი დარწმუნებულნი ბრძანდებიან, რომ მტკიცებათა გამბედაობა, რაც უნდა ყალბი იყოს იგი, ნაკლები ბაქი-ბუქით გადმოცემული, სხვაგვარად დასაბუთებული მოსაზრებების კვალს წაშლის. მათ შესანიშნავად იციან, რომ მდაბიო მკითხველთა ბრბოსთან შე-

დარებით უმნიშვნელოა საგანთა ცივი გონებით შეფასებას შერვეულ ადამიანთა რიცხვი, რომელიც აღიარებს მხოლოდ კარგად ჩამოყალიბებულსა და საკმაოდ დასაბუთებულ ფაქტებს. ამიტომაც ამ ჯურის ჟურნალისტები წერენ უპირატესად ბენტერა, დაუფიქრებელი მკითხველებისათვის, რომელთათვის გაზეთის უკანასკნელი სტატია არის უფლებისა და რწმენის ერთადერთი კოდექსი. ამგვარი ჟურნალისტის მთელი ლოგიკა, მთელი მჭევრმეტყველება, მთელი ცოდნა იხატება არაკეთილსინდისიერებითა და უსირცხვილო ყალბაბანდობით შეთითხნილი ნაწერების მხოლოდ ქედმაღლურ და თავხედურ ტონში. მაგრამ ვაი, რომ მხოლოდ ეს ტონია მისი შემოქმედების მთელი ძალა.

მრავალ გაზეთში წარმატება მოიპოვა ჟურნალისტთა ერთმა წყებამ, ჯიშმა, რომელიც მხოლოდ იმაზე ლაპარაკობს, რაც დავალებული აქვს შეაქოს, და სახელი გაუთქვას. ერთ დღეს, დამიჯერეთ, იგი მოგიყვებათ პატარა ამბებს, მეტად უმნიშვნელოს, გულუბრყვილოს. მეორე დღეს დაუბრუნდება ისევ ამ ამბავს, დაუმატებს წვრილმანს და მარჯვედ, შეუმჩნეველად შემოაპარებს იმ ფირმის მისამართსა და ნომერს, რომელზეც, ვითომც და არაფერი, ოსტატურად ჩაურთავს ყოველგვარ სიკეთეს და საქმეც გაკეთებულია. ამ მეთოდს იყენებენ არა მარტო იმისათვის, რომ „საქმეებს“ გაუთქვან სახელი, არამედ კახებსაც და, რა თქმა უნდა, მათს პატრონებსაც. ადვილი სავარაუდოა, რამდენ ფულს იგებენ ამ ხელობით და ასევე ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენ ფიქრსა და შთაგონებას ხარჯავენ მასზე.

სამარცხვინოა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ პარიზში ოთხი თუ ხუთი დიდი გაზეთი მხოლოდ ამ ხელობით არსებობს; მათ ღია ცის ქვეშ გამოუფენიათ კალამი და პრესა, გამზადებული ყველაზე მეტი ფულის მიმცემისა და ფასის მომმატებელის სამსახურისათვის. ესენი გახლავთ ორგანიზებული შანტაჟისა და მოდის შემთითხნი სახელოსნოები...

ჟურნალისტთა ჩამოთვლილ სახეობათა გარდა შეიმჩნევა ნიჭიერი ადამიანები, უაღრესად პატიოსანი და გულწრფელი, რომლებიც მთელ სიცოცხლეს სწირავენ იმ საქმეს, რომელიც მართალი ჰგონიათ, ან იმ აზრს, რომელიც მართლაც მათი სა-

კუთრებაა. მაგრამ ესენი იმდენად იშვიათნი არიან, რომ იკარგებიან უვიცსა და გულგრილ, უბადრუკი მჯღაბნელების ბრბოში, რომელიც ჭიალუასავით ახვევია ყველა გაზეთს... და ასეთნი გაცილებით მეტია, ვიდრე გგონია; ისინი ათახსირებენ თავიანთ ნიჭსა და ყიდიან თავიანთ ინტელექტს, ემსახურებიან საკუთარი მისწრაფებების უაღრესად სანინაალმდეგო მიზნებს. მიჩვეულნი საზოგადოებრივი აზრის ფალსიფიკაციას, მგზნებარების ან სიყვარულის სიმულაციას, როცა სრულებით არაფერს განიცდიან, მიჩვეულნი ყველა საქმის რიგრიგობით მომსახურებასა და ლალატს, ბოლოს მართლა სკეპტიკოსები და გულგრილნი ხდებიან, კარგავენ ილუზიებსა და რწმენას. როგორც უბადრუკი მსახიობი ადგილს პოულობს მოხეტიალე დასში, ეს ჟურნალისტები ისე ემსახურებიან განსაზღვრული „დანიშნულების“ გაზეთს, თამაშობენ როლს ყოველ საღამოს; ფარდა ჩამოეშვება თუ არა, ანდა ნომერი გაიშვება თუ არა დაზგის ქვეშ, იწყება დირექტორის დაცინვა ან პირველი როლის შემსრულებელთა გაკილვა. წამოწყების წარმატების ბედი მათთვის სრულიად სულერთია, მათ ხომ თავის დროზე უხდიან ჰონორარს. მეტწილად მათ არაფრად მიაჩნიათ, თუ რა გავლენას მოახდენს საზოგადოებაზე ამ გაზეთის მიმართულება. და თუ დირექტორი ბნელ საქმეებში გაეხვევა და გაზეთი განადგურდება, მერე რა?! განა ხსენებული მსახიობები მეორე დღესვე ვერ გაეშურებიან ყოფილი პატრონის კონკურენტთან, შეიძლება მტერთანაც და ვერა სთხოვენ სამსახურს? განა ის ვერ მიატოვებს ოპერეტაში კომიკური როლების შესრულებას? მანამდე ხომ იგი კეთილშობილი მშობლების როლს ანსახიერებდა იმ დასში, რომელიც დაიშალა?

აი, ზუსტად ჟურნალისტის ნამდვილი ტიპი. იგი მუშაობას იწყებს გაზეთში და მის პოლიტიკურ ელფერს უსისხლხორცდება. ითვისებს მისი კომპანიის და ამხანაგების აზრებს, სიძულვილს, მოშურნეობასა და პირმოთნეობას. იძულებულია საკუთარი აზრები გაზეთის მიმართულებას დაუქვემდებაროს, გაზეთის მისწრაფებების მიხედვით გააშუქოს მოვლენები. იგი ჩქარა ცოტად თუ ბევრად მოხერხებული დიალექტიკოსი ხდება, ცოტად თუ ბევრად მარჯვე სოფისტი, და იმის მაგივრად, რომ მკითხველ-

ბისათვის სიმართლის ძიებას გაჰყვეს, სრული სიმართლისა და მხოლოდ სიმართლისა, იგი თავის თავს ვალდებულად თვლის შეალამაზოს სინამდვილე, დაფაროს, შენიღბოს, ყალბი ცხვირი მიაკეროს. „ყველა სიმართლე არ უნდა ითქვას“ – აი მისი დევიზი. სულ ცოტა ხანიც რომ იმუშაოს ამ მშვენიერ ხელობაზე, მას მაინც მთლიანად ეკარგება ილუზია ყოველივე იმის მიმართ, რის სიყვარულიც შთანერგილი ჰქონდა; მოხერხებულობის მეტი აღარაფრის სჯერა და იღებს რწმენას (საკითხავია, რწმენაა ეს?) იმ ადამიანებისას, რომლებსაც ემსახურება. როცა მსგავსი მწერლის თვალწინ რაიმე იდგა ააღელვებს მთელს საფრანგეთს, ან რომელიმე ორატორი შთამაგონებელი გულწრფელობითა და რწმენით გამაჭვალულ სიტყვას წარმოთქვამს, მისი გული ამის გამო აღარ ძგერს და ვერც მისი გონება სწვდება იმ აზრის ძალასა და სიდიადეს, რომელიც ცივილიზებულ სამყაროს აზანზარებს. იგი მხოლოდ უმნიშვნელო მხარეებს ხედავს, მხოლოდ გარეგან საფარს და კმაყოფილდება მოკლე თქმით: „ეს კარგად არის ნაპოვნი, ძალიან მარჯვედ“, ან „ეს მოუქნელია“, და გადადის სხვა საკითხებზე. და თუ შემთხვევით მას დაეუფლება ენთუზიაზმი ან ლირიკული განწყობილება, მაშინვე ადვილად შეამჩნევთ, რომ ამ გრძნობას არ წარმოშობს არც უბინო გონება და არც მძლავრი გული. ეს, უბრალოდ, დახურდავებული აზრების, მრავალჯერ ნახმარი და გაცვეთილი სიტყვების ცივი პერიფრაზაა, კალმით ნაძლადევად გადმოცემული, როცა გული სულაც არ ფიქრობდა მასზე.

ყურადღებით გადაიკითხეთ ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ან რომელიმე ლიტერატურულ კაბინეტშიაც გსურთ, ყველა პარიზული გაზეთის კოლექციები და განცვიფრდებით; – თქვენ დაინახავთ, რომ ამ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, რომელიც სავსე იყო უაღრესად ტრაგიკული და უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენებით, პრესამ ვერ წარმოშვა ერთი მძლავრი, უანგარო მწერალიც კი, რომელიც შესძლებდა თავისი შემოქმედება განემსჭვალა მწარე გულგატეხილობის გადამდები ძალით, სისხლით გაჟღენთილი საყვედურებით და უკეთესი მომავლისაკენ მიმართული წარმტაცი სურვილებით. ამოდ გადაიკითხავთ

უამრავ ნომრებს, რომელთაც შეძლეს ესულდგმულათ იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც ცხოვრობს ქინქლი, – ერთი დღის განმავლობაში, – მათში ვერ იპოვით გულიდან ამოხეთქილ ერთ აკორდსაც, ვერც ისეთ სურათს, რომელიც ადამიანის გონებას ააღელვებდა და შიგ სამუდამოდ შთაიბეჭდებოდა, ვერცერთ იმ დიად აზრს, რომლითაც ესოდენ ზღაპრულად მდიდარი და გულუხვად მფანტველი იყო ოდესღაც საფრანგეთი. ყოველივე დაწვრილმანდა, რაქიტული გახდა; აღარც მძლავრი ამოსუნთქვა, აღარც რწმენა, ყველაფერი აღბეჭდილია პოლიტიკური დაჯგუფების საქმიანობით, ყველაფერს დუქნის სუნი ასდის. ასი ნაბიჯიდანვე მოსჩანს ხელოვნური კბილები და ზიზილ-პიპილოები კალმის ყველა რაინდისა, რომლებიც ცხრაპირ ტყავს იძრობენ, რომ თავიანთ გიგანტ წინამორბედებს დაემსგავსონ. და ამ მუყაოს მებრძოლებს ჰგონიათ, რომ საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების მართვას შესძლებენ; და ამ ძალით ფიქრობენ მასზე გავლენის მოხდენას!..

თავისი ერის ერთგვარი ნდობა რომ დაიმსახუროს, პრესა მკითხველის მეგობარი უნდა გახდეს, ღრმად უნდა შთააგონოს ის აზრი, რომ მას არ ატყუებს, არაფერს არ უმაღავს და, ბოლოს და ბოლოს, არც არის დაინტერესებული, ასე მოიქცეს. ფრანგი მკითხველი ცუდად გათვითცნობიერებულია, ნაკლებად განათლებული, ნაკლებად დაფიქრებული, მაგრამ ყველა აღიარებს ამ სიმართლეს – იგი დიდი ხანია გამოვიდა ბავშვობის იმ მდგომარეობიდან, როცა თვალახვეულივით ხელის წავლება სჭირდებოდა. თუ კი იგი უნდობლობას გამოხატავს, თუ კი აღარა სწამს იმისა, რასაც უქადაგებენ, ეს იმიტომ, რომ მან შეამჩნია – კაცად არ მაგდებენო, ბევრ ღამეს მიმაღავენო, ჩემი ჭკუისა და კეთილი სურვილების ბევრი არაფერი სჯერათო. მკითხველი დარწმუნებულია, რომ შეუძლია თავის თავს უხელმძღვანელოს და რამდენს მეტს დაუმაღავენ მას, იმდენად უფრო მეტად ჩამოიშორებენ ჩამოყალიბებულ ადამიანებს...

პრესას უნდა განესაზღვრა, და ამგვარად უფრო ხელშესახები უნდა გაეხადა ქვეყნის მოთხოვნილებანი, რათა მათი კანონიერი დაკმაყოფილებისათვის პირობები მოემზადებინა. პრესა

ათასი მილით შორსა დგას გონების ამნაირი გამოყენებიდან. დღეს მას იყენებენ თითქმის ცარიელი ნიადაგის მოსაკობტავებლად, აზრთა უბადრუკობის დასაფარავად და ბრწყინვალე ფეიერვერკით ხალხის მისაზიდად... მაგრამ იდეების, მთელი ინტელექტუალური ცხოვრების შეცვლა უმიზნო და უსაგნო ფეიერვერკთა მთელი რიგით – ეს არის შეჰქმნა ხელოვნება ხელოვნებისათვის, გახრწნა საზოგადოების გონება და მასში გამოაღვიძო გასართობებისა და სპექტაკლების მოთხოვნილება, რაც უცხადესი ნიშანია ერის მორალური დეკადანსისა და მისი, როგორც გვამის, გახრწნისა...

იქნებ გვისაყვედურონ, რომ ჩვენი სურვილების განხორციელება გამოიწვევდა პოლიტიკური პრესის ნგრევას და სხვადასხვა პარტიას მოუსპობდა საშუალებას, ხალხისათვის გაეცნო თავისი უპირატესობანი და მშვიდობიანად გაევერცელებინა საკუთარი დოქტრინები და იდეები. ერთი უკიდურესობა, რარიგ მკაცრი არ უნდა იყოს იგი, სულაც არ გვაგდებს საწინააღმდეგო უკიდურესობაში და შორსა ვართ იქედან, რომ უარვეყოთ პარტიის საქმისადმი განუხრელად ერთგული პრესის მნიშვნელობა. ინგლისში, ისევე როგორც ამერიკაში, სადაც დიდი გაზეთები არცერთ პარტიას არ ემსახურებიან, ყველა გაზეთი პარტიას ერთნაირი მიუკერძოებლობით აფასებს და ყველა პარტიას პოლიტიკურ პრესაში საკუთარი ოფიციალური ორგანო აქვს. მოყვარენი მათ კითხულობენ, მონინააღმდეგეები კი – ათვალერებენ. მაგრამ მათ ზემოთ არსებობს ნამდვილი პრესა, რომელიც მათ ამონმებს და არ აძლევს ფაქტების დამახინჯებისა და სიმართლის ფალსიფიკაციის ნებას; ეს პრესა არცერთ პარტიას არ ემსახურება და მას არავინ არ წაიკითხავს და არც არავინ დაუჯერებს, სანამ უამრავი საბუთებით არ მოიპოვებს პატიოსანი, მიუდგომელი და პოლიტიკური აღლოს მფლობელის რეპუტაციას. სწორედ ეს პრესა, და არა პარტიათა უამრავი გაზეთი, არის აღჭურვილი ავტორიტეტით ფართო მასებისა და ქვეყნის უმრავლესობის თვალში. ზემოთ აღნიშნულ მდგომარეობას რომ ამჯობინო ფრანგული პრესის მდგომარეობა, – სადაც ყველა გაზეთი, დიდი თუ პატარა, პოლიტიკურ პარტიებს და დაჯგუ-

ფებებს ან მათ ფინანსებს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მათ ხელმძღვანელებს ემსახურება, – ნიშნავს ესწრაფვოდე გაახანგრძლივო ეს უაზრობა და მიანიჭო კონტროლის განევის უფლება ზუსტად იმ ადამიანებს, რომლებსაც თავად ესაჭიროება კონტროლი.

დროა ეს მდგომარეობა საბოლოოდ შეწყდეს და ფრანგული პრესა გათავისუფლდეს ნებაყოფლობითი მონობიდან, რადგანაც საკუთარი მორალური გავლენისა და მატერიალური კეთილდღეობის ნგრევასთან ერთად სერიოზულ ზიანს აყენებს თვით საფრანგეთის ინტერესებსა და მომავალს. დროა, მოცილოს უღელი ზოგიერთი პოლიტიკური თუ ფინანსური ინტრიგანისა და პატივმოყვარისა, რომლებიც მას მოხერხებულად იყენებენ საზოგადოების აზრთა ფალსიფიკაციისათვის და ეროვნული ქონების მისათვისებლად...

დღეს, როდესაც საზოგადოება მნიშვნელოვნად გაიზარდა, მან თავი დააღწია ამ ხლართებსა და ამ როლსაც გამოემშვიდობა, პრესა ამაოდ ამოძრავებს თავის ძველ წითელ ან თეთრ მოჩვენებებს, ამაოდ მიმართავს ცილისწამებებს და შეურაცხყოფას: ეს მთელი მისი წვრილმანი ლანძღვა-გინება, მთელი მისი არაკეთილსინდისიერება დღეს მის წინააღმდეგ შემოტრიალდა და ნელ ცეცხლზე სწავს მას; საზოგადოებრივი აზრის მართვა, პოლიტიკური ცხოვრების განსაზღვრა ხელიდან უსხლტება მთლიანად. თუკი მაინც ჯიუტად გაჰყვება გზას, რომელმაც ამ საცოდავ მდგომარეობამდე მიიყვანა, მისი საქმე ამის შემდეგ ხელიდან წასულია. იგი ზუსტად ისე დაასრულებს თავის სიცოცხლეს, როგორც ანტიკურ საბერძნეთში დაასრულეს სიცოცხლე ორაკულებმა და სოფისტებმა: ხალხის სრულ გულგრილობას ზიზღი მოჰყვება და ეს იქნება სიკვდილის წინ უკანასკნელი დარტყმა.

ამ აუცილებელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად პრესას მხოლოდ ერთი გზა დარჩენია – უარი თქვას ყოველგვარ პატარ-პატარა პოლიტიკურ ხრიკებზე, დაივიწყოს მთელი თავისი ინტრიგები და ცილისწამებანი, თავიდან მოიშოროს არაკეთილსინდისიერება და პრეტენზიები... ერთადერთი ამოცანა, რომე-


ლიც დიდი, ცივილიზებული ქვეყნის პრესას აკისრია, ეს არის ხალხის გაცნობიერება, პატიოსნად და მთელი შესაძლებლობით გაშუქება რეალური ცხოვრებისა და თანამედროვე სამყაროს ინტელექტუალური პროგრესისა. ფრანგული პრესის თითქმის მზეჩასვენებული გავლენის აღდგენის ერთადერთ საშუალებას აღნიშნული ამოცანის კეთილსინდისიერად შესრულება წარმოადგენს.

პარიზი. 1875 წ.

ნიკო ნიკოლაძე.

თბზულებანი. დავით გამეზარდაშვილის
რედაქციითა და შენიშვნებით. ტ. 4.

თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. 1964.



გერონსი ქიქოძე – მთარგმნელი, პუბლიცისტი, ესეისტი, კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. თვალსაჩინო ფიგურა XX საუკუნის ქართული კულტურის ისტორიაში. დაიბადა 1885 წელს გურიის სოფელ ბახვში. ქუთაისის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ჯერ ლაიფციგის, შემდეგ ბერნის უნივერსიტეტების ფილოსოფიის ფაკულტეტზე (დაამთავრა 1912 წელს). 1900-იანი წლების რევოლუციურ პროცესებში მონაწილეობისათვის რამდენჯერმე იყო რეპრესირებული. საქართველოს ეროვნული კრების (1919-1921) დამფუძნებელი წევრი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან, ჟურნალ „არიფიონის“ (1928) თანარედაქტორი (ვ. გორგაძესთან ერთად). 1920-იან წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა დასავლურევროპული ლიტერატურის ისტორიის კურსს. თარგმნილი აქვს ო. ბალზაკის, სტენდალის, პ. მერიმეს, ა. ფრანსისა და სხვ. მწერალთა მხატვრული ნაწარმოებები. გარდაიცვალა 1960 წელს თბილისში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

გერონტი ქიქოძე

ნარმოება და ეროვნული ენერჯია

(შემოკლებით)

კაცობრიობა არასოდეს ყოფილა ისე მომქმედი და მოძრავი, როგორც დღეს არის... ცხოვრების ტემპი არასოდეს ყოფილა ისე ჩქარი და ალელვებული, როგორც დღეს არის. თანამედროვე კაცობრიობა ეკონომიკური ციებ-ცხელებითაა შეპყრობილი. ის ეძებს სულ ახალსა და ახალ სფეროს, სადაც შეიძლება ენერჯიის დახარჯვა და სიმდიდრის შექმნა. მთები გათხრილია ხვრელებითა და გვირაბებით, ნიადაგი დასერილია მაღაროებით, ჰაერი გამსჭვალულია ქვარტლით. ამ ატმოსფეროში მუშავდება ახალი ტიპი კაცობრიობისა, ნერვიული, მოუსვენარი, ენერჯიული...

მაგრამ ეს ახალი ტიპი კაცობრიობისა ყველგან როდია შემუშავებული. ზოგიერთი ქვეყანა ჩამორჩენილია ეკონომიკურად. სხვათა შორის, საქართველოც. მართალია, თანამედროვე სოციალური და პოლიტიკური ფრაზეოლოგია უკვე შევიმუშავეთ, მაგრამ თანამედროვე ნარმოება ჯერ კიდევ არ შეგვიქმნია.

ფსიქოლოგიურად ძლიერ ჩამორჩენილი ვართ, რასაკვირველია. უწინარეს ყოვლისა, სისტემატური, აუჩქარებელი, მიზანშეწონილი შრომის უნარი გვაკლია. ბუნებით მოუთმენელნი ვართ და შემთხვევით ან უცაბედად გამდიდრებაზე ვოცნებობთ. ამ

მხრივ საშუალო საუკუნეების მეკობრეებსა და რაინდებს უფრო ვგავართ, ვიდრე თანამედროვე ადამიანებს. ან, უკეთ ვთქვათ, იმ ესპანელ ავანტიურისტებს, მეთექვსმეტე საუკუნეში მთელი ამერიკა რომ შემოიარეს ელდორადოს, ე. ი. ოქროს ქვეყნის ძებნაში. ოქროს მინდვრები არსად არსებობს, უეჭველია. ოქროს სილას კი შეგროვება, განმენდა და გადადნობა უნდა, ე. ი. ხანგრძლივი და მეთოდური მუშაობა.

ცხადია ისიც, რომ ეკონომიკური წინსვლა არ შეიძლება მექანიკურად, ადამიანის შეგნებული და ენერგიული მონაწილეობის დამოუკიდებლად. არც ეს გარემოებაა ჩვენთვის სასვებით ნათელი. ჩვენ გვგონია, რომ საერთაშორისო კაპიტალიზმი ერთ მშვენიერ დღეს ჩვენზეც მოიღებს მონყალებას, აამოძრავებს და განავითარებს ჩვენი სამშობლოს სანარმოო ძალებს, გაშლის და ააყვავებს მეურნეობას, წარმოებას, ალებ-მიცემობას. ეს პროცესი თავისთავად უნდა დამთავრდეს, ჩვენი ფიქრით, ანუ „ობიექტური აუცილებლობით“, როგორც იტყვიან.

ეს ფატალისტური რწმენაც ერთგვარი ნაშთია წარსული დროებისა. ისიც უფრო საშუალო საუკუნეებს შეეფერება, როცა ადამიანი საგანთა და მოვლენათა გავლენას ემორჩილებოდა უსიტყვოდ და უზრუნველად. თანამედროვე აზროვნებისთვის კი, ცხადია, რომ ეროვნულ სიმდიდრეს მხოლოდ ცოცხალი ეროვნული ენერგია ქმნის.

კაპიტალიზმი ყველა ერს ერთნაირად როდი სწყალობს. ზოგს ის აძლიერებს და აწინაურებს, ზოგს ასუსტებს და აქვეითებს, ზოგს კიდევ სრულიად გვის დედამიწის ზურგიდან. აფრიკა, ამერიკა და ავსტრალია მოფანტულია იმ ტომების ჩონჩხებით, რომელნიც „ობიექტური აუცილებლობით“ გაუნადგურებია კაპიტალიზმის რკინის ბორბალს. იმიტომ, რომ თავის დასაცავად მათ არაფერი ჰქონიათ, გარდა რამდენიმე ტლანქი ფეტიშისა და საცოდავი, დრომოჭმული რწმენისა. ამ რწმენათა შორის ერთგვარ პირველყოფილ ოპტიმიზმს საპატიო ადგილი ეჭირა.

კაპიტალიზმის განვითარება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ჩვენთვის ხელსაყრელი, თუკი ეს განვითარება ჩვენივე მწარმოებელი კლასების შემწეობით მოხდება. ამ კლასებს შორის კი ერთი

უპირველესი ადგილი კაპიტალისტებს უჭირავთ. ჩვენი სამოქალაქო ცხოვრების გაცხოველება შეუძლებელია, თუ მთელ ჩვენს ბუნებრივ სიმდიდრეს უცხოელი კაპიტალისტები დაეპატრონენ.

მწარმოებელი კლასების წინააღმდეგ ცრუდემოკრატიული ანტიპატიით ვართ გამსჭვალული. ისე არაფრის გვემინია, როგორც ქართველი კაპიტალისტისა, მასში მხოლოდ ბურჟუას ვხედავთ, ე. ი. ცხოვრების ნებიერ და ლალ შვილს, რომელიც უჯიათად სარგებლობს ეკონომიკური კეთილდღეობით და პოლიტიკური უპირატესობით. ვერ ვამჩნევთ, რომ კაპიტალისტი ანტრეპრენიორი და მწარმოებელიც არის, რომ თანამედროვე საზოგადოებაზე თავისი ინციატივით, გამბედაობით, საქმიანობის უნარით და ტატნობის სიფართოვითაც მოქმედებს.

თუ კაპიტალისტის ბურჟუაზიული სული მუდამ განსაზღვრული და კმაყოფილია, მისი მწარმოებელი სული მუდამ მაძიებელი და უკმაყოფილოა. ადამიანის მოთხოვნილებანი შეზღუდულია და ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ცოტაოდენი კაპიტალია საკმაო. მაგრამ დაუსრულებელია ადამიანის ლტოლვა ძლიერებისადმი. მას ვერ დააკმაყოფილებს ვერავითარი თანხა, რაგინდ დიდი იყოს ის, და მორგანი ან ვანდერბილტი ისევე ილტვიან თავისი მილიარდების გასაფართოებლად, როგორც რომელიმე მენვრილმანე თავისი გროშებისა.

ქართველი ერის მოდუნება და უენერგიობა, სხვათა შორის, იმაში იხატება, რომ ის კაპიტალს უცქერის არა მწარმოებლის, არამედ მხოლოდ მომხმარებლის თვალსაზრისით. მისთვის კაპიტალი მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი საშუალებაა და არა სტიქიონი, რომელიც მთებს თხრის, ნიადაგს აბრუნებს და უზრუნველყოფს ადამიანის ბატონობას ბუნების ძალებსა თუ ფარულ საუნჯეებზე...

თვით ხელოვნება, ლიტერატურა, ფილოსოფია ერთგვარ კომფორტს წარმოადგენს ეკონომიკური თვალსაზრისით. მათი შექმნა მხოლოდ ისეთ ერებს შეუძლიათ, რომელნიც საკმაოდ უზრუნველყოფილნი და მორჭმულნი არიან ქონებრივად და, საწარმოო კაპიტალის გარდა, თავისუფალი ფონდიც გააჩნიათ. როცა ერი სხვის საწველ ფურად არის გადაქცეული, როცა ის პრო-

ლეთარიზაციის გზაზეა დამდგარი, თავისუფალ ფონდზე ოცნება მისთვის უნიადაგოა. ზედმეტი ღირებულება სხვებს აქვს, მას კი მხოლოდ შრომის ხელფასი რჩება ყოველდღიური მოთხოვნილებებისათვის...

ჩვენი მდგომარეობის სიდუხჭირე იმაშია, რომ პოლიტიკური ძალა არა გვაქვს ეროვნული წარმოების ფეხზე წამოსაყენებლად და დასაცავად. თანამედროვე სახელმწიფო ყველგან დიდ ეკონომიკურ როლს თამაშობს. პრემიებითა და სუბსიდიებით ის აქეზებს მწარმოებელს, გონიერი საბაჟო პოლიტიკით ნორჩ ადგილობრივ ინდუსტრიას უცხოელი მეტოქეებისაგან იფარავს. ჩვენ კი ასეთი წამქეზებელი და დამხმარე არა გვყავს. ის საბაჟო პოლიტიკა კი, რომელიც ჭარხლის და ზღვის ძაღლების ინდუსტრიას იფარავს, არაფერს გვარგებს, რასაკვირველია.

მაგრამ ეროვნული ენერჯის ამოძრავებით თანდათან ყველა დაბრკოლების ძლევა შეიძლება. მით უმეტეს, რომ ჩვენი ქვეყნის ბუნება უზომოდ მდიდარიც არის და ქალწულებრივად ხელუხლებელიც. ჩვენი მდინარეები და ჩანჩქერები კი ულეველ უფასო ენერჯიას მოგვცემენ წარმოების ასაყვავებლად.

1915 წ.

გერონტი ქიქოძე.

პატარა ერის ხვედრი. შემდგენლები:
მანანა ქიქოძე, ლევან ასათიანი, ედუარდ კოდუა. თბილისი:
თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2003.

საკაკი ბაძრაძე – ლიტერატურათმცოდნე, თეატრალური და კინოკრიტიკოსი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. დაიბადა 1928 წელს თბილისში. ოზურგეთის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1953 წელს. სხვადასხვა წლებში მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“, კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტში; იყო შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის დირექტორი (1973-1980), კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის (1988-1989) სამხატვრო ხელმძღვანელი, „რუსთაველის საზოგადოების“ პრეზიდენტი (1989-1991), 1980-იან წლებში კითხულობდა საჯარო ლექციებს მწვავე სალიტერატურო-სახელოვნებო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პრობლემებზე. გარდაიცვალა 1999 წელს თბილისში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

რასომ ხდება ასე?

ხელოვნება ყოველთვის ეკუთვნოდა და ეკუთვნის ხალხს. იმ-თავითვე ასე იყო. როცა ადამიანი პირველად მოკიდა კალამს ხელი, მკითხველიც უკვე იგულისხმა. როცა პირველად იმღერა, მსმენელიც უკვე ივარაუდა. ხელოვნება ყოველთვის ორ მხარეს გულისხმობდა – შემოქმედს და მომხმარებელს. მათი ერთიანობის გარეშე ხელოვნება არ არსებობს. ამასთანავე მომხმარებელი აუცილებლად მასობრივი უნდა იყოს. ამიტომ თამაშდებოდა ანტიკური ტრაგედიები ღია ცის ქვეშ უზარმაზარ ამფითეატრებში, სადაც მთელი პოლისი იყრიდა თავს. ამიტომ იხატებოდა ეკლესიები, საჯაროდ იმღერებოდა რელიგიური ჰიმნები და იმართებოდა გრანდიოზული კარნავალები. მაგრამ ხელოვნება სულის საზრდელია და ამისი მოთხოვნილება ყოველ კაცს სხვადასხვანაირი აქვს. ეს ბადებს ხელოვნების ყოველი დარგისადმი დამოკიდებულების პრობლემას. ეს მეტად რთული საკითხია, მაგრამ რატომღაც ხშირად მას ზერელედ და იოლად ვეკიდებით. ასე გვეგონია, რაკი თვალი ყველას აქვს, მასასადამე, მხატვრობაზე მსჯელობაც ყველას შეუძლია, მაგრამ ჩვენი თვალი და დავით კაკაბაძის თვალი რომ რადიკალურად განსხვავებული თვალია, ამას ანგარიშს

არ ვუნნევთ. რაკი ყურები ყველას ასხია, მასასადამე, მუსიკაზე მსჯელობაც ყველას შეუძლია, მაგრამ ჩვენი ყური და ზაქარია ფალიაშვილის ყური რომ ორი არსებითად განსხვავებული ყურია, არც ამას ვაქცევთ ყურადღებას. ამ ზერელე დამოკიდებულებას ხშირად სერიოზული შეცდომა მოსდევს, უფრო მეტიც, ხანდახან დანაშაულიც. მაგალითად, განა უმეცრებისა და ზერელობის შედეგი არ იყო ის დავიდარება, რაც თავის დროზე ოთარ იოსელიანის ფილმების „გიორგობისთვისა“ და „აპრილის“ გარშემო ატყდა?

1967 წლის დასაწყისში პირველად უჩვენეს ეკრანზე „გიორგობისთვისე“. ამ ფილმმა მაშინ საზოგადოების ერთი ნაწილი გააბრაზა. ზოგიერთები ზემდგომ ორგანოებში წერილებს აგზავნიდნენ და ფილმის აკრძალვას მოითხოვდნენ. მერე ეს წერილები ზემდგომი ორგანოებიდან კინოსტუდიაში გადმოგზავნეს განსახილველად. ვინ არ აწერდა ხელს ამ წერილებს: პარტიის რაიკომის მდივნები, რაიკომისკომების თავმჯდომარეები, კომკავშირის რაიკომის მდივნები, მეცნიერებათა დოქტორები და კანდიდატები, გაზეთების რედაქტორები. ჩინიანთ და ხარისხიანთ არც უჩინონი და უხარისხონი ჩამორჩებოდნენ.

მაშინ კინოსტუდიაში ვმუშაობდი და თანამდებობის მიხედვით ამ წერილების გაცნობა მევალებოდა. წერილები წავიკითხე და საარქივოდ გულმოდგინედ შევინახე. ახლა ამ წერილებიდან ამონაწერებს გავაცნობ მკითხველებს. რა თქმა უნდა, ავტორების დაუსახელებლად, ღამეთუ მნიშვნელობა აზრს აქვს და არა ავტორს.

აი, რას წერდნენ ისინი (სტილი და მართლწერა ყველგან ზუსტად დაცულია):

„ფილმის თვითეული კადრი უხამსობაა, დამცირება და აგდებაა ქართველი ერისა; საბჭოთა ხალხების ინტერნაციონალური სოლიდარობისა. ფილმში შებილწულია ქართული ენა, მუსიკალური ხელოვნება, ჩვენი მაღალი ეთნიური თვისებები. ქართველმა ხალხმა, ქართულმა კინემატოგრაფიამ ასეთი რეჟისორი, მისი ასეთი ნახელავი თავიდან უნდა მოიცილოს. მაყურებელთა წინადადებაა კინო-ფილმი „გიორგობისთვისე“ მოიხსნას ეკრანიდან, განადგურდეს“.

ამ წერილის ავტორი მაშინ რაიკომის მდივანი იყო.

„ახალგაზრდა რეჟისორის ო. იოსელიანის ეს ფილმი მთელი ჩვენი ცხოვრების უნდობლობით, ადამიანთა უნდობლობით, ცინიზმით, მოტყუებით და ჩვენი დღევანდელიობისადმი ურწმუნობითაა გაჟღერებული“.

ამ წერილის ავტორი კი მაშინ კომკავშირის რაიკომის მდივანი იყო.

„დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ №49 ბუტში წითელი ღვინო უვარგისია, დავა და ჩხუბი მის გარშემოა. სცენარის ავტორს და რეჟისორს გონიათ აქ უსუსური ალეგორიის გამოყენებით ჯვარი დაუსვან ჩვენს სინამდვილეს, ისე როგორც ჯვარი დაუსვეს №49 ბუტს, რას ნიშნავს ის, რომ უვარგის ღვინოს ქართველები სხვებს ასმევენ. როდის იყო ქართველები ასე ექცეოდნენ თავიანთ სტუმრებს? ბოლოს და ბოლოს რა უნდათ გვითხრან ამ „ხელოვნების ვირტუოზებმა“.

ამ წერილის ავტორი მაშინაც და დღესაც პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორია.

„ფილმში გამასხარავებულია საერთოდ სოფლის მეურნეობა (მხედველობაში მაქვს რადიო გადაცემა) და განსაკუთრებით კი მეღვინეობა. ძველი თაობა; მუშები, სპეციალისტები, წარმოების ყველა უარყოფითი ტიპებია, საცინად არის აგდებული ახალგაზრდობა, მთელ ფილმში თითქმის არ არის არცერთი დადებითი ტიპი“.

ამ წერილის ავტორი პროფესორია. თუმცა ზემორე ციტირებული სტრიქონების წაკითხვის შემდეგ არავის გასჩენია კითხვა: შეიძლება თუ არა წერა-კითხვის უცოდინარი კაცი პროფესორი იყოს?

„ჩემი აზრით, ეს არის სურათი, რომელიც ღვარძლიანად, ყოვლად უხეშად და დაუმსახურებლად ლაფს ასხამს ჩვენს სამშობლოს, საქართველოს. სურათი დაუყოვნებლივ უნდა მოიხსნას ეკრანიდან და ასეთი ღვარძლით სავსე ადამიანებს, როგორიც მისი დამდგმელია, საჭირო რჩევა უნდა მიეცეს რომ ქართულ კინემატოგრაფიას მეორედ სახელი არ გაუტეხოს“.

ამ წერილის ავტორიც პროფესორია და მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე.

„საოცარია, ახალგაზრდა ავტორებს, რომლებიც დაიბადნენ და გაიზარდნენ საბჭოთა ეპოქაში, როგორ დაუგროვდათ ამდენი ღვარძლი მშობლიური ქვეყნისადმი. საბჭოთა საქართველოს ყველაზე დიდი მტრებიც, უკიდურესად რეაქციონერი ადამიანებიც კი ვერ მოახერხებდნენ ასეთი პასკვილის შექმნას“.

ამ წერილის ავტორი კი დღესაც გაზეთის რედაქტორია.

ეს ამონაწერები წვეთია ზღვაში. მაგრამ ეს წვეთიც ნათელ წარმოდგენას იძლევა იმ ზღვაზე, რომელიც მაშინ ფილმ „გიორგობისთვეს“ და მის ავტორებს წარღვნიტ ემუქრებოდა.

როგორც ხედავთ, ადამიანებმა, რომელთაც კინოხელოვნების არა გაეგებოდათ რა, მომაკვდინებელი სასჯელი გამოუტანეს „გიორგობისთვეს“ და მის ავტორებს.

მადლობა ღმერთს, რომ მაშინ „გიორგობისთვეს“ მაინც დაუჭირა მხარი კინემატოგრაფიული საზოგადოების ერთმა ნაწილმა და ფილმი გადარჩა. თორემ შეიძლებოდა „გიორგობისთვეც“ ისევე დაღუპულიყო, როგორც დაიღუპა ოთარ იოსელიანის მეორე ფილმი „აპრილი“. ვინ აგებს დღეს პასუხს „აპრილზე“? არავინ. არადა, ფილმოთეკიდან ვინმემ ფირის ერთი მეტრიც რომ მოიპაროს, ციხეში ამოჰყოფს თავს. აქ კი მთელი ფილმი გაქრა და ვითომც არაფერი.

ახლა მკითხველს „აპრილის“ შინაარსი მინდა ვუამბო. მართალია, შინაარსი მხატვრულ ნაწარმოებზე ოდნავადაც ვერ იძლევა წარმოდგენას, მაგრამ მაინც გავიხსენოთ იგი.

ქალ-ვაჟს ერთმანეთი უყვარს. ისინი ერთ პატარა, ნათელ, ღარიბულ ოთახში ცხოვრობენ. სიღარიბე არ აშინებთ. ახალგაზრდული ალალმართლობით სჯერათ, რომ მოყვარული ცოლ-ქმარი მართლა მოთავსდება თოხის ტარზეც. ამ ახალგაზრდების ცხოვრების პოეტურ ატმოსფეროს რეჟისორი კინემატოგრაფიული საშუალებებითაც აძლიერებდა. მაგალითად, როცა ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ლაპარაკობდა, მეტყველების მაგიერ ჩიტების ჭიკჭიკი ისმოდა, როცა ონკანს გააღებდნენ, წყლის ჩხრიალის მაგიერ, მუსიკის ჰანგები გეყურებოდა.

ახალგაზრდების მეზობლების ყოფა კი სხვანაირი იყო. მეზობლები ავეჯის შექმნის ციებ-ცხელებას შეეპყრო. დილიდან საღა-

მომდე დარბოდნენ მალაზიებში, ავეჯის ფაბრიკებში. ეძებდნენ ნაცნობებს და გავლენიან პირებს. ცდილობდნენ ისეთი ავეჯის ყიდვას, სხვა რომ ვერ იშოვნოდა. ამ ადამიანებს არ ესმოდათ მუსიკა, არ სწამდათ ბუნების მშვენიერება. მათ სძულდათ სალამურის ხმა, მაგრამ სულგანაბულნი უსმენდნენ ხერხის ხრჭიალს. ზროკენარი ხეების მაგიერ ხედავდნენ სკამებს, კარადებს, მაგიდებს.

ერთ დღეს ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ოჯახში შავი კაცი მოვიდა. დაათვალიერა მათი ბინა, სინანულით გააქნია თავი და დაინყო ქადაგი – არ შეიძლება ჩამორჩე დროს, არ უნდა გახდე მეზობლების სალაპარაკო, უნდა აკეთო ის, რასაც ყველა აკეთებს. იმდენი უჩიჩინა, რომ ახალგაზრდებიც დაითანხმა. ქალ-ვაჟიც ავეჯის შეძენის მანიამ შეიპყრო. მათი პატარა ბინა გაივსო ნაირნაირი ნივთებით. უკვე ტევა აღარ არის, ერთმანეთთან მიახლოება უჭირთ. ერთ კუთხეში დარჩენილნი მეორეში ველარ მიდიან. როცა ონკანს გააღებენ, მუსიკა აღარ ისმის. წყლის ბუფბუყი და რკინის ხრიალი გიჭყდავს ყურს. მათი ლაპარაკისას ჩიტები აღარ ჭიკჭიკებენ. ყელიდან უაზრო ხრინინი ამოსდით. ქალ-ვაჟი მიხვდა, კომფორტის ძებნაში დაეკარგათ სიყვარული და სილამაზე. მაშინ ისინი ადგნენ, ფანჯარა გააღეს და წვითა და დაგვით შექენილ ნივთებს ეზოში გადაუძახეს. ბინა გათავისუფლდა. ოჯახში ისევ დაბრუნდა თავდაპირველი სილალე.

ასეთი იყო ამ მოკლემეტრაჟიანი ფილმის შინაარსი.

ეს სურათი ერთ დიდად პასუხისმგებელ პირს უჩვენეს. მან სევდიანი სახითა და დარდიანი თვალებით უყურა ფილმს და თქვა:

ამ კინოსურათის ჩვენება არ შეიძლება. იგი მიმართულია ავეჯის შეძენის წინააღმდეგ. ეს კი დაუშვებელია. როგორ შეიძლება გადავყაროთ სკამები, მაშინ რაზე უნდა დავსხდეთ? როგორ შეიძლება დავამტვრიოთ კარადები, მაშინ სად შევანყოთ ჯამჭურჭელი, ტანსაცმელი? თუ ავეჯი გადასაყრელია, მაშინ რატომ ვაშენებთ ავეჯის ფაბრიკებს? რატომ გვაქვს ავეჯის მალაზიები? თუ ადამიანები ბევრ ავეჯს ყიდულობენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი კარგად ცხოვრობენ, კარგ ცხოვრებას კი რა სჯობს! ამისთვის ვიბრძვით ჩვენ.

შევეცადეთ დაგვემტკიცებინა, რომ აქ ავეჯი არაფერ შუაშია. ფილმი აკრიტიკებს ობივატელობას, ფილისტერობას, მეშჩანობას. ადამიანმა ზომიერების გრძნობა არ უნდა დაკარგოს და არ უნდა იქცეს ნივთების მონად. ნივთი ადამიანს უნდა ამშვენებდეს და არა ადამიანი ნივთს.

ყურადღებით მოგვისმინა, მაგრამ პასუხად გვიოხრა: – ფილმში მე მხოლოდ ის დავინახე, რომ ავეჯს ყრიან. ეს კი ანტიისა-ზოგადოებრივი საქციელია, რადგან ამით გამოხატულია ავეჯის ფაბრიკის მუშაკების შრომისადმი უპატივცემულობა. ჩვენ არავის მივცემთ უფლებას პატივი არ სცეს შრომას.

ამით საუბარი დამთავრდა და „აპრილი“ მაყურებელს აღარ უნახავს. სამწუხაროდ, მაშინ ვერ გავბედეთ გვეკითხა, განა „აპრილი“ შრომის ნაყოფი არ იყო?

„აპრილი“ ერთადერთი და გამონაკლისი არ ყოფილა. სამწუხაროდ, მისი ბედი სხვადასხვა დოზით სხვა მხატვრულ ნაწარმოებ-საც რგებია. სულ ერთია, იქნებოდა იგი კინემატოგრაფიული, ლიტერატურული, მუსიკალური თუ თეატრალური. ანალოგიური მაგალითების გახსენება ყველას შეუძლია, ვისაც ხელოვნების ამა თუ იმ დარგში უმუშავია.

რატომ ხდება ასე? რატომ განსაზღვრავს ხშირად ხელოვნების ამა თუ იმ ნაწარმოების ბედს ამ საქმის უმეცარი ადამიანების აზრი?

ვისაც ხელოვნება უყვარს და ესმის, კარგად იცის, რომ ხელოვნების ნაწარმოები მაშინ არის საინტერესო, თუ იგი უცნაურს, ახალს და მოულოდნელს შეიცავს. სტანდარტებს შეჩვეულ გონებას ეს უცნაური და მოულოდნელი აღიზიანებს. შეუჩვეველ ღზინს შეჩვეული ჭირი უჯობს. ამიტომ მყუდროების დარღვევის წინააღმდეგ ილაშქრებს. ბუნებრივია, გაღიზიანებით დაბნეულ გონებას უჭირს ობიექტური განსჯა. ამ დროს ასპარეზზე კრიტიკა უნდა გამოვიდეს. ის უნდა გახდეს შუამავალი შემოქმედსა და მომხმარებელს შორის, მაგრამ ჩვენი კრიტიკა ხშირად ძალიან გაუბედავია. თუმცა უსამართლობა იქნებოდა ყველაფერი კრიტიკისთვის დაგვებრალებინა, რადგან ხანდახან კრიტიკის გაუბედაობას ემატება ჟურნალ-გაზეთების რედაქტორთა და

გამომცემლობათა დირექტორების პრაქტიციზმიც. ისინი ელიან, საით გადაიხრება სასწორი, რომ ამისდა მიხედვით თავიანთ სასარგებლოდ უშეცდომოდ იმოქმედონ. შეიძლება არასასიამოვნო მოსასმენია, მაგრამ ზოგჯერ რედაქტორებსა და დირექტორებს ბელიკოვის სენი სჭირთ – Оно, конечно, так то так, все это прекрасно, да как бы чего не вышло. სანამ მოლოდინით განაბული კრიტიკა და პრაქტიციზმით დაავადებული რედაქტორები ყოყმანობენ, ცარიელი ასპარეზი იოლად უვარდებათ ხელთ ხელოვნებაში სრულიად ჩაუხედავ ადამიანებს. რაკი მათ პოლემიკაში, აზრთა ჭიდილში გამარჯვების იმედი არა აქვთ, მიმართავენ დემაგოგიას, თავიდან მოცილების დასაგმობ საშუალებას. მათ არ ანუხებთ ხელოვნების ბედი. უფრო საკუთარი მყუდროება ადარდებთ. უმჯობესია არ არსებობდეს ის, რაც შეიძლება სალაპარაკო გახდეს, არადა, რა ფასი აქვს ხელოვნებას, თუ იგი ცხარე კამათის საგანი არ არის, აზრთა სხვადასხვაობას არ იწვევს.

ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვირწმუნოთ ერთი ურყევი კანონი – შეიძლება არსებობდეს ხელოვნების ნაწარმოების გარშემო ორი რადიკალურად განსხვავებული აზრი და სამივეს (ნაწარმოებს და ორ სხვადასხვა აზრს) არსებობის თანაბარი უფლება ჰქონდეს. ოღონდ ორივე აზრი სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული და არგუმენტირებული, ისე, როგორც დაასაბუთა ლ. ტოლსტოიმ თავისი უარყოფითი დამოკიდებულება კომპოზიტორ რ. ვაგნერისადმი. მოგეხსენებათ, გამოკვლევაში „იმის შესახებ, რასაც ხელოვნებას უწოდებენ“ ტოლსტოიმ პირდაპირ გაანადგურა ვაგნერის მუსიკა. დიდმა მწერალმა მისთვის არასასურველ მოვლენას ხელოვნებაში დაუპირისპირა მტკიცედ არგუმენტირებული თეორიული აზრი. მაგრამ არავისთვის მიუწერია – ვაგნერი არ მომწონს და აკრძალეთო. მიუხედავად „ანა კარენინას“ ავტორის უარყოფითი დამოკიდებულებისა, ვაგნერი დარჩა ვაგნერად. დღეს მილიონები აღტაცებით უსმენენ ვაგნერის მუსიკას და ასევე ინტერესით კითხულობენ ტოლსტოის გამოკვლევას, ღამეთუ „О том, что называют искусством“ – ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომია ხელოვნების თეორიაში. ორივეს – ვაგნერის მუსიკას და ტოლსტოის თეორიას თანაბარი უფლება აქვს

არსებობის. ასეთი რამ ჩვეულებრივი მოვლენაა ლიტერატურასა და ხელოვნების ისტორიაში.

1906 წელს მათისმა გამოფინა სურათი „ცხოვრების სიხარული“. ამ სურათმა ალაშფოთა ცნობილი მხატვარი-მოდერნისტი პოლ სინიაკი. იგი მეგობრისადმი მიწერილ ბარათში ჩიოდა – მე მგონია, მათისი საბოლოოდ გაგიჟდაო. მაგრამ არც პოლ სინიაკს მიუწერია საფრანგეთის მთავრობისათვის – „ცხოვრების სიხარული“ არ მომწონს და აკრძალეთო. პირიქით, მათისის სურათი დამოუკიდებელთა სალონში გამოფინა. ნუ დაივიწყებთ, რომ სალონის ვიცე-პრეზიდენტი სწორედ პოლ სინიაკი იყო.

ლიონ ფოიხტვანგერი რომანში „მელიები ვენახში“ ერთ ამბავს გვიყვება.

ფრანგი არისტოკრატის ვოდრეილის ოჯახში სტუმრად არის ახალშექმნილი სახელმწიფოს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ფრანკლინი. იგი განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს და ყველა ინტერესით უსმენს მას. სხვათა შორის, ფრანკლინმა სტუმრებს ესეც უამბო:

ერთი ჩემი მეგობარი შვედი მისიონერი ამერიკელ ინდიელებს ქრისტიანობას უქადაგებდაო. ინდიელები ყოველთვის წყნარად, გატაცებით და ყურადღებით უსმენდნენ მას. როცა მისიონერმა ქადაგება დაამთავრა, თავაზიანმა ინდიელებმა თავის მხრივ ადგილობრივი ლეგენდების მოყოლა დაიწყეს. ამან გააბრაზა ქრისტიანი მისიონერი და შესძახა: – შეჩერდით! მე თქვენ წმინდა ჭეშმარიტებას გიქადაგებთ, თქვენ კი ზღაპრებით მიმასპინძლებითო. ინდიელებმა იწყინეს ეს და მისიონერს მიუგეს: – თქვენს ღრმადპატივცემულ დედას ცუდად გაუზრდიხართ, რაკი არ უსწავლებია ზრდილობა და მოთმინება. ჩვენ ვირწმუნეთ შენი ნაამბობი, მაგრამ რატომ არ გჯერა ჩვენი?

ეს თქვა ფრანკლინმა, გაიღიმა და გაჩუმდა. პრინცი შარლი არ მოეშვა სტუმარს: მაინც, დოქტორო ფრანკლინ, ვისი სიმართლეა უკეთესი – თქვენი მეგობარი მისიონერისა თუ ინდიელების? ამის პასუხად ფრანკლინმა განაცხადა: ორივე მხარეს ჰქონდა თავისი მშვენიერი ნახევარი სიმართლე.

ასეა. ერთადერთი, ვინც სრული სიმართლე იცის, დროა. იგია

ყოველგვარი ადამიანური საქმიანობის პირუთვნელი მსაჯული. იტალიელები ხუმრობენ: – ერთადერთი კაცი, ვისი მოქრთამვაც არ შეიძლება, დროა. ამიტომ ვაცალოთ დროს. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სპეციალისტებმა არ გამოთქვან თავიანთი აზრი ოფიციალურ პრესაში. პირიქით, რაც შეიძლება აქტიურად უნდა იმსჯელონ. თუ სურვილი აქვთ, არასპეციალისტებმაც ილაპარაკონ, ოღონდ პრესაში. მაგრამ ნუ ჩავერევით დროის საქმეში. ნაადრევად ნუ გამოვიტანთ საბოლოო განაჩენს. დამსახურებისა და მიხედვით, დრო ყველას და ყველაფერს მიუჩენს თავის ადგილს. იგი არასოდეს შემცდარა და არც მომავალში შეცდება.

1974 წ.

აკაკი ბაქრაძე.

კინო. თეატრი.

თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“. 1989.



ჯემალ ქარჩხაძე – მწერალი (პროზაიკოსი, მთარგმნელი), პუბლიცისტი. დაიბადა 1936 წელს იმერეთის სოფელ უხუთში. 1960 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1961-1982 წლებში მუშაობდა კულტურის სამინისტროში, თოჯინების თეატრსა და კინოსტუდია „ქართულ ფილმში“. პირველი მოთხრობა „აბზიანიძეების ოჯახი“ გამოაქვეყნა 1962 წელს. 1979 წელს გამოაქვეყნებული რომანით „მდგმური“ იწყება მწერლის აღიარება და პოპულარობა ახალგაზრდობასა და ინტელექტუალურ საზოგადოებაში, საბჭოთა მთავრობა კი მას უნდობლად უყურებდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მწერალმა გამოაქვეყნა პოლიტიკური პამფლეტი „ბიძაჩემი იონა“. მისი ნაწარმოებები: „ქარავანი“, „ანტონიო და დავითი“, „ზებულონი“, „იუპიტერის სინანული“, „იგი“ სამართლიანად ითვლება ქართული პროზის კლასიკად. 1999 წელს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია. მისი ნაწარმოებები თარგმნილი და გამოცემულია მსოფლიოს მრავალ ენაზე. გარდაიცვალა 1998 წელს თბილისში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

მონოლოგი დიალოგიდან

(ნაწყვეტები)

მაღალი ინტელიგენტური სული დღეს ჩვენს საზოგადოებაში არ ტრიალებს. იმიტომ, რომ ნამდვილი ინტელიგენცია ჩვენ, არსებითად, არ გვყავს. მე ინტელიგენტში არ ვგულისხმობ ისეთ კაცს, რომელსაც ახლა ეძახიან ინტელიგენტს და რომლის ინტელიგენტობის მთავარი ნიშანი უმაღლესი განათლების მოწმობაა. ასეთი ინტელიგენტები არათუ გვყავს, იმაზე მეტიცა გვყავს, ვიდრე სასურველია. ინტელიგენტში მე ვგულისხმობ ადამიანს, რომელსაც ცხოველური სანყისი ბოლომდე დაძლეული აქვს და მხოლოდ სულიერ და ინტელექტუალურ მოთხოვნილებათა შესაბამისად ცხოვრობს. ასეთი ინტელიგენტი, უპირველეს ყოვლისა, ბუნებრივი მოვლენაა. ბუნებრიობა მისი არსებობის ყოვლისმომცველი ფორმაა, შეიძლება ითქვას, ის ენაა, რომელზედაც მისი ცხოვრების ისტორია იწერება. ამიტომ ინტელიგენტის ნიშან-თვისებებზე ლაპარაკი არასწორი იქნება. არ შეიძლება, მაგალითად, იმის თქმა, რომ პატიოსნება ინტელიგენტის თვისებაა, როგორც არ შეიძლება იმის თქმა, რომ სუნთქვა ადამიანის თვისებაა. სუნთქვა არის არა თვისება, არამედ გარდუვალობა. ინტელიგენტს, უბრალოდ, არ შეუძლია პატიოსანი არ იყოს, დე-

მოკრატი არ იყოს, ჰუმანისტი არ იყოს, შინაგანად თავისუფალი არ იყოს, თავმდაბალი არ იყოს... ან: ინტელიგენტს არ შეუძლია პატივმოყვარე იყოს, ამპარტავანი იყოს, შური აწუხებდეს, ცდუნებას აჰყვეს, კრიტიკა აღიზიანებდეს, ჩინ-მედლებს მიეღტვოდეს...

თუ ვინმეს ეს სურათი ზედმეტად მაქსიმალისტური მოეჩვენოს, გადაავლოს თვალი ივანე ჯავახიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, პეტრე მელიქიშვილის და უამრავ მათ თანამედროვეთა პირად ცხოვრებას და დარწმუნდება, რომ გადაჭარბებული აქ არაფერია.

ერთი გარეგანი ნიშანიც ვიცი ინტელიგენტისა: ხეპრე ვერ იტანს.

ინტელიგენტი სანთელია, რომელიც თავისი ცხოვრების არეს ანათებს. როცა ქვეყანაში ასეთი სანთელი ბევრია, მაშინ ქვეყანა გაჩირაღდნებულია. რაც უფრო ცოტაა სანთელი, ქვეყანაც მით უფრო ჩაბნელებულია, სიბნელეში კი არა მარტო ქურდები გამოდიან საშოვარზე...

როგორც სინდისსა აქვს ბიოლოგიური შემკავებლის ფუნქცია, რაც ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრების სანინდარია, ისე ინტელიგენციას აქვს საზოგადოებრივი შემკავებლის ფუნქცია, რაც უფრო მაღალი ზნეობრივი საფეხურია და კანონიერებისა და სამართლიანობის სანინდარი. ამავე დროს ინტელიგენცია, როგორც ერის სახე და მისი პოტენციის საზომი, სულიერი განვითარების მამოძრავებელი ძალაა, ზღაპრული რაშების მათრახიცა და ლაგამიც.

საქართველოში ასეთი ინტელიგენცია მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში იქმნებოდა. საუკუნის მიწურულს ჩამოყალიბდა კიდეც და ჩვენმა ისტორიამაც შვებით ამოისუნთქა, რადგან სწორედ ეს იყო ერის გადარჩენის ერთადერთი პირობა. მეოცე საუკუნის დასაწყისში კი უკვე შეიძლებოდა ლაპარაკი არა მარტო იმაზე, რომ საქართველომ საბოლოოდ დააღწია თავი შუა საუკუნეების სიბნელეს, არამედ იმაზეც, რომ საქართველოს ამისათვის მინიმალური დრო დასჭირდა, რაც ერის დიდი შინაგანი ძალის მაჩვენებელი იყო.

დღეს ინტელიგენცია, არსებითად, არა გვყავს. ის რამდენიმე სანთელი, რომლებიც ჯერ კიდევ ანთია, მხოლოდ რამდენიმე სანთელია და ერთიან სინათლეს ვერ ქმნის. ოცდაათიანი წლების ნაჯახმა ჩვენს ეროვნულ ხეს მთავარი ტოტები დააჭრა. საქართველო უმთავრესად სწორედ ინტელიგენციისაგან გაინმინდა (ხეპრე ვერ იტანს!), ტრადიცია კი ჯერ კიდევ არ იყო ისეთი ძალისა, რომ გადაჭრილი ტოტების ადგილას ახალს ამოეყარა. ამას არც დრო უწყობდა ხელს და არც გონიერება. ინტელიგენცია რომ შეიქმნას იქ, სადაც ინტელიგენცია არ არის, პირველ რიგში, საჭიროა იმის აღიარება, რომ ინტელიგენცია არ არის. ჩვენში კი დრომ და უგუნურებამ ხელოვნური ინტელიგენციის გამოჩარხვა სცადა. ეს უაზრობაც იყო და ძალადობაც, რადგან არაინტელიგენტს ისევე ვერ მოსთხოვ ნამდვილ ინტელიგენტობას, როგორც კოჭლს ვერ მოსთხოვ გამართულ სიარულს. კოჭლს შეუძლია იხტუნოს, იცეკვოს, ირბინოს, მაგრამ გამართულად ვერ ივლის, ინტელიგენტობა კი სწორედ გამართული სიარულია.

ვიცი, ეს მარტო საქართველოს უბედურება არ არის, მაგრამ ის კი არ ვიცი, როდის ჩავრთეთ დამატებითი სიჩქარე და რომელ ეტაპზე გადავუსწარით სხვებს, ისეთი რა იმალებოდა ჩვენი ბუნების ღრმა შრეებში, რომ დრომ და ვითარებამ ასეთ სარეველად წამოშალა. იქნებ ვინმეს მოეჩვენოს, თითქოს მეტისმეტად ვამუქებ ფერებს, იქნებ ვინმე შემომწყრეს კიდევ, მაგრამ წყრომას ახლა მგონი ისა სჯობს, ძილ-ბურანს თავი დავაღწიოთ და დაკვირვებით მიმოვიხედოთ. ჩვენ უნიკალური მოვლენის მოწმე ვართ – ერი თვალდათვალ იცვლის სახეს. ცოტაც და იმ საქართველოდან, რომელიც ჩვენს ცნობიერებაშია აღბეჭდილი და რომელიც გვიყვარს, სულ სხვა საქართველოს მივიღებთ. ვიდრე მტერი გარეთ გვყავდა, ვებრძოდით და ვუმკლავდებოდით კიდევ, როცა სულში გავვიჩინდა და შემოგვიტია, დავიბენით, რადგან საკუთარი თავის წინააღმდეგ ბრძოლა არ ვიცით. ჩვენი სიმღერა და სიყვარული კვლავაც ხმაურიანია, მგზნებარე და პათეტიკური, მაგრამ სიმღერისა და სიყვარულის საგანი თუ ხელიდან გამოგვეცალა, უსაგნო სიმღერასა და სიყვარულს რას ვაქნევთ! დროა თვალი გავახილოთ. იქნებ უფსკრულისკენ მივექანებით,

ჩვენ კი, რაკი კუდაბზიკობა ამის გამხელის ნებას არ გვაძლევს, გვეგონია, თითქოს საზეიმო დემონსტრაციაზე მივაბიჯებთ! თუ ახლა არ შევჩერდით, თუ ახლა ბეჯითად, ღრმად და დაუნდობელი სიმართლით არ გავარკვიეთ, რა ჭირი გვჭირს, თუ ახლა ჩვენი შანსი – ვინ იცის, უკანასკნელი – არ გამოვიყენეთ, თუ ახლაც ვერ დავძლიეთ ჩვენი გულარხეინობა და ღვთისმოიმედობა, ხვალ ჩვენს ადგილას სხვა საქართველო იქნება – ვაჭრუკანა, ცბიერი, ხარბი, უფიცი. ვისაც თვალი აქვს, არ შეიძლება ვერ ხედავდეს, რომ რაღაც გადაუბიჯებელ ზღვარს გადავაბიჯეთ და ფეხქვეშ ნიადაგი გამოგვეცალა. ჩვენი განთქმული პატრიოტიზმი ფარსად იქცა, ჩვენი ცნობილი თავმომწონეობა – თვალთმაქცობად, ჩვენი მომხიბლავი არტისტიზმი – ტაკიმასხარობად, ჩვენი ღირსეული სიამაყე – ბაქიაობად. ჩვენ კვლავ მივადექით პროვინციალიზმის ჭაობს, საიდანაც მეცხრამეტე საუკუნის ტიტანური მეცადინეობის წყალობით ამოვედით. ჩვენმა ცრუმხატვრობამ, ცრუპათეტიკამ, ცრუეროვნულობამ, ცრუპუბლიცისტიკამ, ცრუმორალმა ჩვენვე წაგვლეკა.

როცა ქვეყანას პროვინციალიზმის ხავსი მოედება, არ შეიძლება მორალი არ შეირყვნას. სადაც არ არის ინტელიგენცია – ბუნებრივი შემკავებელი, იქ განსაკუთრებული კეთილსინდისიერებით უნდა მოქმედებდეს კანონი – ხელოვნური შემკავებელი, მაგრამ კანონს თუ რჩეულები ჰყავს და ამგვარად საყოველთაობის ფუნქცია დაკარგული აქვს, ის უკვე კანონი აღარ არის და ეს ხელოვნური ზღუდეც დაქცეულია. ეს ობიექტური მიზეზი კია, მაგრამ ობიექტურ მიზეზს ახსნა შეუძლია და არა გამართლება. საუკუნეების განმავლობაში რომ მშვივრები ვიყავით, განა შეიძლება ეს იმის გამართლებად გამოდგეს, რომ, რაკი საჭმელი ვიშოვეთ, გაძლომა ვეღარ გავიგოთ, ზნეობა ნიღბად ავიფაროთ და გულში ოქროზე ვლოცულობდეთ, ომახიანად ვიძახოთ, უმაღლესგანათლებულთა რაოდენობით მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მონინავე ქვეყანა ვართო, ჭეშმარიტად მონინავე კი მხოლოდ მუცლის გარშემონერილობით ვიყოთ!..

გავბედოთ და ვთქვათ: ჩვენს ეროვნულ ნავს ძირი აქვს გახვრეტილი და წყალი შემოგვდის. კი ვცდილობთ ამოვხაპოთ, მაგ-

რამ ჩვენი მცდელობა „პროფილაქტიკური ზომებია“ და საქმეს ვერ შველის. შედეგის წამლობა მიზეზს ვერ განკურნავს. თანდათან მთელი ზღვა შემოვა და მთელ ზღვას ხომ ვერ ამოვხაპავთ! ადრე თუ გვიან დავიქანცებით, ჩვენი საქმიანობის უაზრობასაც დავინახავთ, ხელს ჩავიქნევთ, ყველაფერს ბედის ანაბარა მივატოვებთ და ჩავიძირებით კიდეც. ამიტომ მე მინდა ვუთხრა ყველა მენავეს, რომ ამოხაპვა ამაო გარჯაა. ვიდრე ნახვრეტს არ დავგმანავთ, მანამ არაფერი გვეშველება...

1988 წ.

ჯემალ ქარჩხაძე.

პუბლიცისტიკა. შემდგენლები:

ლეილა ბერიაშვილი, გია ქარჩხაძე.

თბილისი: გია ქარჩხაძის გამომცემლობა. 2005.



მთარ ჯილაქა – მწერალი (პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, მთარგმნელი), პუბლიცისტი. დაიბადა 1933 წელს სიღნაღში. ბათუმისა და თბილისის საშუალო სკოლებში სწავლის შემდეგ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება (1956). მისი ლიტერატურული დებიუტი შედგა უნივერსიტეტის ალმანახ „პირველ სხივში“ (1952), პირველი პოეტური კრებული („მატარებლები და მგზავრები“) გამოსცა 1959 წელს. ავტორია მაღალი მხატვრული ღირსებებით აღბეჭდილი რომანებისა: „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“, „რკინის თეატრი“, „მარტის მამალი“ და სხვ.; საქართველოს სახელმწიფო, ილია ჭავჭავაძის, შოთა რუსთაველის, „საბას“ პრემიების ლაურეატი. 1998 წელს ნომინირებული იყო ნობელის პრემიაზე ლიტერატურის დარგში. მისი პოეტური თუ პროზაული ნაწარმოებები მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. გარდაიცვალა 2009 წელს თბილისში. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

სიცოცხლისათვის

(ნაწყვეტები)

დღემდე მოღწეული ხალხების უმრავლესობას სულიერი წრთობისა და ბედთან ჭიდილის თითქმის ერთნაირად რთული, ერთნაირად უსაშველო გზა აქვს გამოვლილი, მაგრამ, ერთი დიდი მწერლის ცნობილ გამოთქმას ოდნავ თუ შევცვლით, ყველა ხალხი თავისებურად, განსხვავებულად არის ბედნიერი, ანუ უაღრესად თავისი, სიმარტოვეში გამომუშავებული მეთოდებითა და ხერხებით უმკლავდება დრო-ჟამის დაუნდობელ დინებას. ბედთან ჭიდილი და თავისთავადობის დაცვა ყოველთვის უმთავრეს და უკეთილშობილეს მოთხოვნილებად დარჩება ნებისმიერი ხალხისთვის, ვიდრე კაცობრიობა იარსებებს, ხოლო ვინც ამას დაივიწყებს, დაილუპება, მაშინვე გაქრება საერთაშორისო ასპარეზიდან, როგორც ხალხი, როგორც განსაკუთრებული ენის, ფსიქიკისა და ტრადიციის მქონე დამოუკიდებელი ორგანიზმი და, ამიტომაც, განუყოფელი, სისხლხორცეული ნაწილი მთელი დანარჩენი კაცობრიობისა, რამდენადაც თავისი განსაკუთრებულობითა და გამორჩეულობით ესა თუ ის ხალხი კი არ უპირისპირდება მთელს, ანუ დანარჩენ კაცობრიობას, არამედ ავსებს და ამდიდრებს შეძლებისდაგვარად, ზუსტად იმ ფერს ამატებს საერთო, „საოჯახო“ სურათს, რომლის

დამზადებაც მხოლოდ მას ასწავლა ბუნებამ და ურომლისოდაც სურათი სრულყოფილების იერს დაკარგავდა.

ამის შეგრძნება ნებისმიერ ხალხს არა მარტო აქეზებს სიცოცხლისათვის, გარკვეული და, ამავე დროს, აუცილებლად კეთილშობილი აზრითაც ტვირთავს მის სიცოცხლეს. აქედან იღებს ალბათ სათავეს ის ამოუხსნელი, ღვთაებრივი მადლიც, რომლის წყალობითაც ყოველთვის სიამაყით ვამბობთ ხოლმე: მე ქართველი ვარ, ფრანგი, გერმანელი, ფინელი ან ინდოელი ვარო. ასე რომ არ იყოს, აღარც სიცოცხლეს ექნებოდა აზრი და ყველანი „მშვიდად“ დაველოდებოდით აღსასრულს, უფრო სწორად, არაფერს აღარ დაველოდებოდით, ნებაზე მივუშვებდით ცხოვრებას, ჩვენც უზნეობის, განუკითხაობის, განუსჯელობის მაცდურ დინებას მივეცემოდით, ანუ ყმად დავუდგებოდით იმ მანკიერებებს, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლა, ჯერჯერობით, უმთავრეს და უპირველეს მოვალეობად ითვლება ყველა ჭეშმარიტი ადამიანისათვის, და რომელთა აყოლაც არა მარტო პირადად ჩვენი, არამედ საერთოდ სიცოცხლის უგულებელყოფას ნიშნავს...

ჩვენ, ქართველები, ყოველთვის გამოვიჩნეოდით ცხოვრებისადმი ოდნავ ზერელე, ოდნავ აგდებული, უფრო სწორად, არტისტული დამოკიდებულებით. გვიჩვენია, თავი მოვიტყუოთ, ვიდრე ვაღიაროთ, რაიმე გვტკივაო. გვრცხვენია, როცა ვილაცის თვალში დაჩაგრულად გამოვიყურებით, გვაღიზიანებს სისუსტის, სიღარიბის ანდა სხვა ნებისმიერი ნაკლის გამომჟღავნება, რაც სხვადასხვა, ზოგჯერ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზის გამოც შეიძლება გვჭირდეს. ამიტომ უცხო კაცს შეიძლება ზედმეტად მხიარულებიც მოვეჩვენოთ. არადა, სწორედ ქართველს აქვს ნათქვამი ქართველზე – ტრაგედიის შვილიაო. კარგია ეს თუ ცუდი, ძნელი სათქმელია, მაგრამ სრული სიმართლეა და, ამიტომ, ნაკლებად საინტერესოც. უფრო საინტერესოა იმის გარკვევა, საერთოდ იცვლება თუ არა ეროვნული ხასიათი დროთა განმავლობაში, უფრო ზუსტად, რა რჩება ამ ხასიათიდან და რა მიაქვს სამუდამოდ დროს.

რაც არსებობს, იცვლება კიდეც, ოღონდ მარტო თვითონ კი არა, ყველაფერთან ერთად; შესაბამისად, ყველაფერი იცვლება

მის გარშემო და ამიტომ ეს ცვლილება იმდენად ძნელი შესამჩნევია, ლამის უცვლელი ტოლფარდია. უფრო მეტსაც ვიტყვი: მე მგონი, საერთოდ უცვლელია ხალხის ხასიათი, უცვლელია იქამდე, ვიდრე ის ხალხი არსებობს. თავად ხალხი ემორჩილება დროის დინებას, ბუნებისა და ცხოვრებისეულ მოვლენებს და არა მისი ხასიათი... მაგრამ ამჯერად ჩვენთვის მთავარი მაინც ის არის, თუ რამდენად სახარბიელოა, რამდენად „საამაყო“ ჩვენი ხასიათის ამგვარი „სტაბილურობა“. იქნებ აჯობებდა, ცოტა ხნით მაინც დაგვევინყა ქართული გულარხეინობა და მთელი ხმით, ყველას გასაგონად გვეყვირა ჩვენს სატკივარზე?! სატკივარი კი ბევრი გვაქვს, საკმაოდ დაგვიგროვდა დროთა განმავლობაში, რადგან თავის დროზე, ეტყობა, ვერც ერთს ვერ მივაქციეთ სათანადო ყურადღება, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სათანადოდ ვერ შევაფასეთ ვერც თავის დროზე და ვერც მერე. სამაგიეროდ, მერე ხშირად გვინანია და, რაც კიდევ უფრო უარესია, უმისამართო საყვედურებით მოგვიფხანია გული...

დღეს გაცილებით ახლოს არის ადამიანი არარაობის, უარყოფის უფსკრულთან, ვიდრე ოდესმე ყოფილა. მაგრამ საკითხავი ის არის, ბუნებრივად, კანონზომიერად შემეცირდა მანძილი ადამიანსა და მარადიულ ნყვდიადს შორის, თუ ადამიანის სულსწრაფობამ, სიბრიყვემ და სიხარბემ წამებში გაარბენინა იმავე ადამიანს საუკუნეობით გასავლელი მანძილი. „ჩადენილი შეცდომები ბევრია“ და ყველა მათგანის თუნდაც აღსანუსხავად არც დრო გვეყოფა, არც ადგილი. ის კი მაინც უნდა ითქვას, რომ, თუ კაცობრიობას დაღუპვა უწერია, ეს კაცის ხელით მოხდება, და არა ბუნებისა, იმიტომ კი არა, საკმარისზე მეტი რომ დაუგროვდა კაცს თერმოზირთვული იარაღი, არამედ იმიტომ, შემადრწუნებელი სისწრაფით რომ კნინდება იმის სულში საუკუნეების მანძილზე ძლივს აღზრდილი პიროვნება. რასაკვირველია, შექმნაზე ადვილი დანგრევაა, მაგრამ სავალალო და გულდასაწყვეტი ის გახლავთ, ნგრევის საშუალებები გაცილებით უფრო მეტი რომ არის, ვიდრე შექმნის საშუალებები ჰქონდათ ჩვენს სულიერ მამებს კაცობრიობის გარიყრაყზე. კიდევ უფრო სავალალოა, რომ შექმნა ყოველთვის ტანჯვასთან, ტკივილთან, მოთმენასთან, თვითგვე-

მასთან არის დაკავშირებული, როცა ნგრევას მინიერ სიავეთა აღზევება და ლამის სიგიჟემდე მისული ალტყინება ახლავს თან.

მაგრამ ჩვენ მაინც ყველაფერი უნდა ვილონოთ სიცოცხლის გადასარჩენად, რაც, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი მეობის, ჩვენი თავისთავადობის გადარჩენას ნიშნავს. ასე რომ, არავის არა გვაქვს უფლება, „მშვიდად“ დაველოდოთ აღსასრულს, რამდენადაც, ცალკე და იზოლირებულად ცხოვრება დღეს არათუ დაუშვებელი, შეუძლებელიცაა. დღევანდელი მსოფლიო იმდენად შეკუმშულ-შემჭიდროებულია თუნდაც გასული საუკუნის მსოფლიოსთან შედარებით, კერძო და პირადული პრობლემები თითქმის აღარც არსებობს. ერთი ხე თუ გახმა სადმე, ჩრდილი ყველას თანაბრად დაგვაკლდება. ტექნიკურმა რევოლუციამ, უნდოდა თუ არა, ყველანი ერთმანეთის ჭირ-ვარამის მოზიარენი გაგვხადა. უფრო სწორად, იძულებულნი და ვალდებულნიც ვართ, უფრო ფხიზლად ვადევნოთ ერთმანეთის საქმიანობას თვალი, არა მარტო მეზობლური ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, არამედ თვითდაზღვევის მიზნითაც, მოუშზადებელნი რომ არ დავხვდეთ ბუნებისა თუ მეცნიერების მორიგ გამოხდომას. კაცობრიობას უკვე საკმაო გამოცდილება აქვს იმისა, თუ რა სავალალოდ მთავრდება მისი თითქმის ყოველი ცდა ბუნების მარადიული წესრიგის დარღვევისა...

როგორც ერთი ამერიკელი კომპოზიტორი შენიშნავს, „კონცერტი ქადაგება არ არის“ და მსმენელმა თვითონ უნდა იაზროვნოს, თვითონ უნდა გამოიტანოს სათანადო დასკვნები, მაგრამ სათანადო დასკვნების გამოსატანად სათანადო აღზრდა, ცოდნა და კულტურაა საჭირო. იმასაც ამბობენ, თითქოს თანამედროვე მუსიკა დამლუპველად მოქმედებდეს ახალგაზრდობაზე, მაგრამ, ჩემი აზრით, ესეც ხელოვნურად შექმნილი ურჩხულია, რომელსაც არავითარი ზიანის მოტანა არ შეუძლია, თუკი შეგვეძლება სწორი ურთიერთობის დამყარება მასთან. ამით იმის თქმა მინდა, რომ ვერავითარი მანკიერება ვერ მოგვერევა, თუკი სულიერად მზად ვიქნებით მის აღსაქმელად, მისი სიავკარგის გასაანალიზებლად. ეს, რასაკვირველია, მეტად სერიოზული საკითხია და ისეთ მნიშვნელოვან სფეროებს ეხება, როგორიცაა

სკოლა და ოჯახი, საზოგადოება და სოციალური გარემო, ანუ ყველაფერი, რაც ამ ქვეყანაზე თვალის გახელისთანავე ხვდება ყველა ახალ სიცოცხლეს და, რაც, ბოლოს და ბოლოს, განაპირობებს კიდეც მის მომავალს. ასე რომ, თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, როგორი იქნება ჩვენი ბავშვობა, რადგან ჩვენი სიბერე ჩვენს ბავშვობაშივე იდგამს ფეხს. ბავშვობაში ეყრება საფუძველი იმ სულიერ ხერხემალსაც, რომლის სიმტკიცე განსაზღვრავს ჩვენს პიროვნულ თვისებებს, ჩვენი ადამიანურობის ხარისხს, ანუ, როგორც უკვე ვთქვით, გვაძლევს საშუალებას, სწორი ურთიერთობა დავამყაროთ, ვთქვათ, თანამედროვე მუსიკასთან, ტელევიზიასთან, მასობრივ სანახაობებთან...

აღზრდის ათასნაირი მეთოდი არსებობს და მათ შორის უკეთესის ამორჩევა ასე ერთბაშად, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ დღეს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ტრადიციას, ტრადიციის სწორ აღქმასა და გათანამედროვეობას. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როცა ტრადიციას მუზეუმის საკუთრებად ვაქცევთ ხოლმე, რითაც თითქოს მისდამი უღრმეს პატივისცემასა და მონივნებას გამოვხატავთ, რაც სრულებითაც არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან მუზეუმის ვიტრინებში ხავერდის ბალიშებზე დასვენებული, ჰაერის განსაზღვრულ ტემპერატურაზე განსაკუთრებულად განათებული ტრადიცია მკვდარია და არავითარი სიკეთის მოტანა აღარ ძალუძს; იმ მხატვარსა ჰგავს, რომელსაც ძველი დამსახურებისათვის გვირგვინი კი დაადგეს, მაგრამ ხატვა აუკრძალეს. ტრადიცია არა მარტო ჩვენი გუშინდელი დღეა, არამედ ჩვენი მომავალიც, უფრო სწორად, მხოლოდ მისი მეშვეობით შევძლებთ ხვალინდელ დღეში გადასვლას ჩვენი მეობისა და ჩვენი განსაკუთრებული სახის დაუკარგავად. ტრადიცია არა მარტო გვასწავლის ცხოვრებას, არამედ გვავალდებულებს კიდეც, ვიცხოვროთ მისი მრწამსისა და შეხედულებების მიხედვით, ანუ, იმიტომ კი არ ვიცოცხლოთ, რომ ვიარსებოთ, არამედ გარკვეული აზრის, გარკვეული მიზნის, რწმენისა თუ ოცნების აღსრულებას მოვახმაროთ ჩვენი სიცოცხლე. ტრადიცია ეროვნულობის კვარცხლბეკია, ეროვნულობა კი – კულტურისა...

მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, თითქოს სიცოცხლეს არ გააჩნდეს თავისი „ჩრდილოვანი მხარეები“. რა დასამალია და, სიცოცხლე ამაზრზენიცაა, მტკივნეულიცაა, მწარეცაა, მძიმეცაა, გულქვაც, დაუნდობელიც, მკაცრიც, ძუნწიც, ხეპრეც, უსინდისოც... მაგრამ, ამავე დროს, ვერც კი წარმოვიდგენთ, რამდენნაირი სიხარულის, შვების, სიამაყის, ბედნიერების მონიჭება შეუძლია თანაგრძნობის ერთ სიტყვას, სიბრალულის ძლივს ჩაყლაპულ ცრემლს, დაუნანებლად გაყოფილ ლუკმას, თავგანწირვის ნებისმიერ მაგალითს... ესეც სიცოცხლეა. უფრო სწორად, ესეც და ისიც, ერთად, განუყოფლად, და ვაი იმას, ვინც სიცოცხლიდან მხოლოდ კარგის ამოკენკვას შეეცდება – სიცოცხლე როგორიცაა, ისეთი უნდა ჩაიხუტო გულში; არც იმის სიმახინჯემ უნდა შეგანუხოს და არც იმის სიბინძურემ, რადგან მხოლოდ სიმახინჯისა და სიბინძურის დაძლევით მივეახლებით სიმშვენიერესა და სინმინდეს.

ოთარ ჭილაძე.

სიცოცხლისათვის.

თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. 1988.

ISBN 978-9941-0-7506-3



9 789941 075063